190603
J
3

ქ 90603
3

ოცხელის და ამხ. წ[illegible] საბჭოლობა ქუთაისში.

სამხატვრო და სამეცნიერო კრებული

„ცხოვრება და მეცნიერება.“

პროფ. მელიქიშვილის სურათით და 45 ნახატით.

№ 1.

შემოსავალი ამ კრებულისა გადაიდება ადესის ქართულ საზოგადოების „**საქართველო**“-ს სასარგებლოთ.

ქუთაისი
ქართ. შ. წ.-კითხ. გამ. საზ. ქუთ. განყოფილების ბეჭდ. ტამბა
1914

„ცხოვრება
და
მეცნიერება.“

I.

პრ.-დოც. სიმ. ავალიანი. დროებით ვალდებულ გლეხთა განთავისუფლება საქართველოში. **სტ. ვ. კარბელაშვილი**. ახალგაზდები. **გრ. ვეშაპელი**. არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიური შეხედულებანი. **ტ. ტაბიძე**. პანაშვიდი. **სტ. ქ. რაჭველი**. პატარა საუბარი (ხელოვნება). **სტ. ვ. ეგნატაშვილი**. ვაჩე-ბრძენი. **სტ. ს. ასლანიშვილი**. ძველი საქართველო: სამცხე-საათაბაგო. **სტ. ვ. ყიფიანი**. კახეთის ბუნება. **კანდე**. მხატვარი და მკითხველი ქართულ პოეზიაში.

II.

აქიმი მ. ცეცხლაძე. ადამიანის სქესობრივი ცხოვრება. **აქიმი სიმ. ყიფშიძე**. საუბარი ტვინის შენობისა და ფუნქციების შესახებ. **აქიმი ნ. კახიანი და სტ. პ. ქავთარაძე**. უჯრედი და ქსოვილი. ადამიანის ანატომიის შესავალი.

III.

ბიბლიოგრაფია.

„ერთგულებას, სიყვარულს, პატივის-
ცემას—აი რას მოითხოვს მეცნიერება.“

პროფ. პ. მელიქიშვილი.

წინასიტყვაობა.

აგერ სამი-ოთხი წელიწადია დაიბადა აზრი გამოიცეს ქართველ სტუდენტთა ჟურნალი. და მართლაც ბევრი აზრი გამოითქვა ამის შესახებ ქართულ პრესაში. მაგრამ პირობები ხელს არ უწყობდა ქართულ ჟურნალის დაარსებას და მიუხედავათ იმისა რომ ამ საკითხის შესახებ ყოველივე ფუსფუსი შეწყდა, ადესის ქართველ სტუდენტობამ მაინც განიზრახა გამოცემა სამხატვრო და სამეცნიერო კრებულისა, რომელშიც, სტუდენტობის გარდა, მონაწილეობას მიიღებდენ აგრეთვე უნივერსიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები.

შესდგა სარედაქციო კომისია, რომელმაც განიხილა რა, რომ მხოლოდ ადესელ სტუდენტობის ნაწარმოების მოთავსება კრებულში მისცემს უკანასკნელს არა საერთო სტუდენტურ ხასიათს, ამისათვის განიზრახა „კრებული ყოფილიყო ორგანო მთელ ქართველ სტუდენტობისა, გაფანტულ სხვადასხვა რუსეთის თუ საზღვარ-გარეთ საუნივერსიტეტო ქალაქებში“.

კრებული, რომელსაც სახელათ „ცხოვრება და მეცნიერება“ ეწოდება, დაყოფილია სამ ნაწილათ: პირველ ნაწილში მოთავსებულია ისტორია და ლიტერატურა, მეორეში—სააქიმო და საბუნებისმეტყველო ნაწარმოებნი, რომელნიც ქართულ ენაზე წარმოადგენენ პირველ გამოკვლევებს სპეციალისტებისას და მესამე ნაწილში კი შეგროვებულია ბიბლიოგრაფიული ცნობები ამ ბოლო ხანებში გამოცემულ წიგნებისა. (სამწუხაროთ ჩვენ ხელთ არ გვქონდა მომეტებული ნაწილი ახალ გამოსულ წიგნებისა და ამისათვის ვთხოვთ ავტორებს მოგვაწოდონ თითო ცალი თავიანთ ნაწარმოებისა, რათა შემდეგისათვის შეძლება გვექნეს ბიბლიოგრაფიული ცნობები მოვათავსოთ კრებულში. ჩვენს მისამართს პრესის საშვალებით შევატყობინებთ პატივცემულ ავტორებს).

ამასთანვე კრებულში მოთავსებულია პროფესორ პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილის სურათი და აგრეთვე სხვადასხვა ნახატები რიცხვით 50-მდე.

ჩვენი მიზანია: 1) ხალხში შეტანილ იქნეს მცირედი ცნობები მაინც მეცნიერების სხვადასხვა დარგებიდან და 2) დახმარება გაუწიოთ ქართველ სტუდენტების დაწესებულებებს; მაგ. შემოსავალი პირველ კრებულისა გადადებულ იქნება ადესის ქართულ საზოგადოების „საქართველო“-ს სასარგებლოთ.

კრებულში მართლ-წერა ერთნაირათ არ არის დაცული, ვინაიდან აქამდის არ არსებობს ქართველთათვის „ერთი, ყველასათვის სავალდებულო გრამატიკა და მართლ-წერა“. ჩვენ ახალგაზდები ამ შემთხვევაში მოუწოდებთ ქართულ ენის მცოდნე პირებს, რათა „დაეხმარონ ჩვენს ენას, სანამ იგი ცოცხალია, განდევნონ სენი, სანამ არ დამკვიდრებულა საბოლოოთ და არ მოახლოებულა წამი ულმობელ აგონიისა. განკურნონ მას სენი და მით დაამკვიდრონ საღი მარტივი აუჭრელებელი, დაბროლებული ქართული ენა. ამას შესძლებს, ჩვენის ღრმა რწმენით, კონსილიუმი მკურნალთა და ჩვენ ასეთ კონსილიუმათ მიგვაჩნია «**ქართული ენის მცოდნეთა კონგრესი**»“... (შ. ბერიძე უახლოესი საჭიროება. „სახალხო ფურცელი“ № 29. 1914).

სარედაქციო კომისია.

მარიობისთვე, 1914.
ქ. ქუთაისი.

ადესის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი
სიმონ ლუკას ძე ავალიანი.

დროებით ვალდებულ გლეხთა განთავისუფლება საქართველოში.

დროებით ვალდებულ გლეხთა განთავისუფლება საქართველოში.

13 ოქტომბერს 1864 წ. თფილისის გუბერნიაში გააუქმეს ბატონ-ყმობა, ერთი წლის შემდეგ 13 ოქტომბერს 1865 წ. ბატონყმობა მოისპო ქუთაისის გუბერნიაში, 1866 წ. იგივე ინსტიტუტი სამეგრელოში, სამურზაყანოში, სუხუმის ოლქში და სვანეთშიც დაემხო.

კანონის ძალით თითო განთავისუფლებულ გლეხის კომლს ებოძა თფილისის გუბერნიაში ხუთი დესიატინა სარწყავი მიწა და სადაც მიწა არ ირწყებოდა, იქ ათი დესიატინა, მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში თითო გლეხის კომლს 12 ქცევა ერგო.

განთავისუფლებულ გლეხებს და მემამულეთ შორის ორი წლის განმავლობაში უნდა დადებულიყო ხელ-შეკრულება (Уставныя грамоты), რომელშიც აღნიშნული უნდა ყოფილიყო მიწის ზომა და აგრეთვე იმ ღალის რაოდენობა, რომლის გადახდაც გლეხისაგან ბატონისადმი სავალდებულო იყო.

ამასთანავე მთავრობამ გლეხებს ნება მისცა მიწა ანუ ნადელები გამოეყიდათ. გლეხებისათვის ნადელის გამოყიდვა ძლიერ საძნელო იყო და მთავრობამ სასარგებლოთ სცნო მათთვის დახმარება აღმოეჩინა და ფულის სესხება აღუთქვა კიდეც; შემუშავებული იყო საგანგებო ანგარიში მთავრობის შემწეობისა.

თუ გლეხები ბატონს ღალას ფულით უხდიდენ, მაშინ მთავრობა გლეხს ერთი დღის სახნავ ურწყავ მიწაზედ (1200 კვ. საჟენი) აძლევდა 15 მანეთს დახმარებას და 30 მანეთს—სარწყავ მიწაზედ თფილისის გუბერნიაში, ქუთაისის გუბერნიაში ერთ ქცევა მიწაზედ (900 კვ. საჟენი) მთავრობა აძლევდა სესხათ გლეხს 11 მან. 25 კაპ., სრულიად მთავრობის სესხი არ უნდა აღმატებოდა 350 მან. სულ სხვა გვარი ანგარიში იყო იმ მიწებზედ, რომლე-

ბიც ღალას იხდიდენ არა ფულით, არამედ მიწის ნაწარმოებით, სანოვაგით; ამ შემთხვევაში თფილისის გუბერნიაში სარწყავ მიწებზედ მთავრობა იძლეოდა დახმარებას $^1/_2$ დესიატინაზედ 20 მან., ქუთაისის გუბერნიაში ერთ ქცევაზედ 7 მან. 50 კ.; ურწყავ მიწებზედ თფილისის გუბერნიაში 10 მან., იმ პირობით, რომ მთელი მთავრობის სესხი 250 მან. არ უნდა აღმატებოდა.

მთავრობის დახმარება წარმოადგენდა გრძელ ვადიან სესხს, რომელიც გლეხობას უნდა გადაეხადა 49 წელიწადში და ამ ხნის განმავლობაში გლეხებს მთავრობისათვის ეს ვალი უნდა დაებრუნებინათ.

თუმცა მთავრობამ დახმარება აღმოუჩინა განთავისუფლებულ გლეხებს, თითქოს ხელსაც უწყობდა გრძელ-ვადიანი სესხით, მაგრამ ქართველ გლეხობამ, განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში სრულიათ არ ისარგებლა მთავრობის შემწეობით; ის სულ სხვა გზას დაადგა; ზოგი მათგანი ეცადა თავისი ძალებით მამულების გამოსყიდვას, ზოგი კი დროებით ვალდებულ გლეხებათ დარჩა, თფილისის გუბერნიაში კი მთავრობის შემწეობით გლეხების მცირე ნაწილმა ისარგებლა. მომეტებული ნაწილი კი მემამულეების მიმართ სავალდებულო დამოკიდებულებაში დარჩა. მიზეზი ამ უცნაურ მოვლენისა ის გახლავთ, რომ მთავრობის დახმარება და სესხი იმდენათ მცირე და შეუსაბამო იყო მამულების ღირებულებასთან, რომ არავითარ შემწეობას არ წარმოადგენდა. რუსეთის შიდა გუბერნიებში მთავრობის დახმარება შეადგენდა თითქმის $80^0/_0$ იმ თანხისას, რომელიც გლეხებს მემამულეებისათვის უნდა გადაეხადათ, თვითონ გლეხებს თავისი სახსრისაგან მხოლოდ $20^0/_0$ უნდა დამატებიათ. ჩვენში მიწები ისე ძვირი იყო, განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში, რომ მთავრობის დახმარებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. თუ გლეხები მიიღებდენ მთავრობის დახმარებას, ისინი მთავრობის მოვალენი შეიქნებოდენ და ამას გარდა ძლიერ დიდი ნაწილი შესასყიდი თანხისა თვითონ უნდა ეტვირთათ, რაც დაღარიბებულ და დაქვეითებულ გლეხობას არ შეეძლო. 1889 წ. თფილისის გუბერნიაში დესიატინა მიწა ღირდა საშუალოთ 81 მან.,

1899 წ.--112 მან., 1909 წ.—165 მან., ქუთაისის გუბერნიაში 1889 წ.—ქცევა ღირდა—297 მან., 1899 წ.--352 მან., 1909 წ.—429 მან. მთავრობის დახმარება კი თფილისის გუბერნიაში სარწყავ მამულებში უდრიდა $^1/_2$ დესიატინაზედ 20-30 მან.; ქუთაისის—15—22 მან. 50 კ. ერთ ქცევაზედ; ურწყავზე თფილისის გუბერნიაში 10-15 მან., ქუთაისის გუბერნიაში—7 მან. 50 კ.-11 მან. 25 კ.; გლეხობამ არჩია თავისი ძალღონით მამულების გამოყიდვა.

1889 წლამდე ქუთაისის გუბერნიაში გამოიყიდა შვიდ მაზრაში თავისი ნადელები 23,407 კომლმა, უკეთ რომ ვსთქვათ 1869 წ.-1889 წლ., 20 წლის განმავლობაში გამოყიდული იყო 104.165 დესიატინა და გადახდილი 4.833.258 მან. „უსტავნია გრამოტებში“ კი ირიცხებოდა 48.261 კომლი, ე. ი. 20 წლის განმავლობაში გამოიყიდა 23407 კომლმა, რომელიც შეადგენს მთელ დროებით ვალდებულ გლეხთა ნახევარს. ეს მიწები გლეხებმა გამოიყიდა არა მთავრობის დახმარებით, არამედ თვისი ძალღონით. თუ საშუალო რიცხვებს მივიღებთ მხედველობაში აღმოვაჩენთ, რომ გლეხების მიერ გამოსყიდული მიწები ძლიერ ცოტა იყო, თითო კომლს ერგო 4,4 დესიატინა, ვინაიდან კომლი მრავალ-რიცხოვანი იყო. ნადელი, მიწის ზომა ძლიერ მცირე შეიქნა და რასაკვირველია გლეხის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა.

თფილისის გუბერნიაში 1872 წლის პირველ იანვრიდან დაწყებული 1882 წლამდე ანუ ათი წლის განმავლობაში იყო შეყიდული 7,200 დესიატინა, რომელიც გლეხობას 421.520 მ. დაუჯდა, 80 წლების დასასრულს მთავრობის შემწეობით შესყიდული იყო იმავე თფილისის გუბერნიაში 12.159 დესიატინა, გლეხობამ 647.738 მანეთი გადიხადა, სულ ნადელები 11.067 სულმა შეისყიდა და უკეთ რომ ვსთქვათ 1869 წლ.-1889 წლამდე თფილისის გუბერნიაში ბატონ-ყმობას თავი დაახწია და დროებით სავალდებულო მდგომარეობიდან გამოვიდა მხოლოდ 30%, თითქმის 70% ისევ ბატონის მონობაში იყო; შეუსყიდელი მიწები შეადგენდა 43.520 დესიატინას ანუ 80% სრულიად ყველა ნადელებისას. შემდეგ ათი წლის განმავლო-

ბაში დროებით ვალდებულ გლეხთა მდგომარეობა თითქმის წინ არ წაწეულა; ნადელების შესყიდვა ისევ ძნელათ და გაჭირვებით მიდიოდა. 1898 წლის პირველ იანვრამდის შესყიდული იყო 3.413 კომლისაგან 14.895 დესიატინა და გადახდილი 819.372 მანეთი; 1898 წლიდან დაწყებული 1906 წლ. ე. ი. რვა წლის განმავლობაში წლიურათ საშუალოთ ერთი კომლი გამოდიოდა სავალდებულოთ დამოკიდებულებიდან, ასე რომ 1906 წ. 1 იანვრამდე შეისყიდა ნადელები სულ 3670 კომლმა. 1869 წლ., ანუ მას შემდეგ რაც გლეხობას ნადელების შესყიდვის ნება მიეცა 1904 წლამდე 76.451 დესიატინა მიწისაგან, რომელიც ნადელათ ერგო გლეხობას თფილისის გუბერნიაში მთავრობის შემწეობით 15.259 დესიატინა შეისყიდა (თავისი საფასით მთავრობის შემწეობის დამოუკიდებლათ 1051 დეს.). საერთოდ გლეხობამ შეისყიდა 17452 დეს. შეუსყიდელი დარჩა 58.866 დეს. ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ ჩვენში, 1864 წლიდან 1904 წლამდე ანუ 40 წლის განმავლობაში თფილისის გუბეონიაში ნადელების 30% შეუსყიდელი დარჩა.

ზემო მოყვანილი ცხობები ძლიერ საგულისხმიერო არის. რასაკვირველია მართალია, სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ ძლიერ ცუდათ იკრიფებოდა, სტატისტიკური გამოკვლევანი ჩვენში არ არის, სტატისტიკური მასალა ხშირათ შემთხვევითი ხასიათისაა, მაგრამ რაც უნდა სუსტი იყოს იგი, მოყვანილი ცნობები უტყუარათ გვეუბნებიან, რომ თუმცა გლეხობა კანონის ძალით განთავისუფლებული იყო ბატონ-ყმობისაგან, მაგრამ მან თავი მონობას ვერ დაახწია, ბატონ-ყმობამ მხოლოდ ახალი ელფერი მიიღო, ახალი ეკონომიური მონობა შეიქნა. საქმე ის არის, რომ ნადელის გამოყიდვისათვის მარტო გლეხის სურვილი საკმარისი როდი იყო, საჭირო იყო ბატონის, მემამულის თანხმობა; მამულის შეყიდვის პირობები და თანხმობა განსაკუთრებულ საგანს შეადგენდა და მემამულეს კეთილ სინიდისზედ იყო დამყარებული. არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ მთავრობის დახმარება ძლიერ მცირე იყო და სრულებით არ იყო დაახლოებული იმ ღირებულებასთან, რო-

მელსაც მიწა წარმოადგენდა, მაშასადამე ის მცირე ფული, რომელსაც შეაძლევდა გლეხი მემამულეს, სრულებით არ უდრიდა მიწის ნამდვილ ფასებს და რა თქმა უნდა ისე იაფათ მემამულე მიწას არ დაუთმობდა, როგორც ამას მთავრობა აფასებდა. უფრო დიდ გასაჭირში გლეხობა ქუთაისის გუბერნიაში ჩავარდა. ქუთაისის გუბერნიის მიწის ფასები უფრო დიდი იყო, ვიდრე თფილისის გუბერნიისა. ქუთაისის გუბერნიაში მიწის დიდი სივიწროე იყო, ვინაიდან იგი უფრო მჭიდროთ იყო და არის დასახლებული. სრულიად გაუგებარია, რით ხელმძღვანელობდა მთავრობა, როდესაც გლეხებს ასეთ მცირე შესასყიდ ფულს აძლევდა. ამ შემთხვევაში მთავრობამ დიდი უვიცობა და საქართველოს ადგილობრივ მდგომარეობის შესახებ ცოტა ცოდნა გამოიჩინა. მთავრობამ მალე დაინახა, რომ დროებით ვალდებულ გლეხთა რაოდენობა ძლიერ ნაკლებათ მცირდებოდა, ცხადი შეიქნა, რომ გლეხობას მთავრობის მცირე დახმარება არავითარ თვალსაჩინო შემწეობას არ აძლევდა. მიუხედავათ ამისა მთავრობა არაფერს არ ღონობდა და ჩვენი გლეხობა ღვთის ანაბარათ იყო მიტოვებული. ეს მით უმეტესათ ყურად-საღებია, რომ შინაგან რუსეთის გლეხობისათვის მთავრობა კიდევ ზრუნავდა. მთავრობამ იქ სავალდებულოთ გახადა მემამულეთათვის მიწების შესყიდვა 1881 წ., მემამულეთა თანხმობა აღარ იყო საჭირო, ჩვენში კი მამულის სავალდებულო შეყიდვა შემოღებული არ იყო.

ცუდათ მოწყობილ საქმეს ცუდი შედეგებიც მოყვა ჩვენ გლეხებისათვის; თფილისის გუბერნიაში, როდესაც ნადელები შეიყიდეს, აღმოჩნდა რომ თითო სულს საშუალოთ 1, 2 დესიატინა ერგო, ალაგ-ალაგ ნადელის ზომა ამაზედ ნაკლებიც იყო; სიღნაღის მაზრაში თითო სულს 0,9 დესიატინა ხვდა. უდიდესი ნადელის ზომა თფილისის და გორის მაზრაში 1, 8 დესიატინა იყო. ეს მცირე ნაწილები ნადელებისა სრულებით ვერ აკმაყოფილებდა გლეხების მოთხოვნილებას, გლეხობა თითქმის შიმშილით კვდებოდა; ნადელის მცირე ზომას მოყვა მეორე უბედურება, რომელმაც ჩვენი გლეხობა სრულებით გააღატაკა და დააქვეითა. გლეხობა დაჯილდოებული

მცირე ნადელებით ძლიერ დავალიანდა; ერთ დესიატინა მიწას, რომელიც გლეხს ნადელათ ერგო და შეიყიდა ვალი საშუალოთ თფილისის გუბერნიაში 55 მან. 42 კ. ედო; თელავის მაზრაში ვალი ერთ დესიატინაზედ 63 მან. 10 კ. შეადგენდა, სიღნაღის—61 მან. 89 კ. (სიღნაღის მაზრაში ნადელის რაოდენობა 0,9 დეს. შეადგენდა). რასაკვირველია დავალიანებული გლეხობა თავის ვალებს ძლიერ ცუდათ იხდიდა და თავის ვალდებულებას მთავრობის წინაშე ძლიერ ცუდათ ასრულებდა. გლეხობას იმდენათ უჭირდა მთავრობისგან აღებულ სესხის თავნის და პროცენტების გადახდას, რომ გადაუხდელი ვალი წლიდან-წლამდე იზდებოდა, მამულს თავს აწვებოდა და მით უფრო უძნელებდა გლეხს მდგომარეობას. 1892 წ. 1 იანვრამდე ძველი გადაუხდელი ვალი შეადგენდა ერთ დესიატინაზედ საშუალოთ 8 მან. 45 კაპ. ეს ვალი გლეხის მთელ ვალთან საერთოთ მის მამულზედ ირიცხებოდა და 21, 4% შეადგენდა, ზოგიერთ მაზრაში ეს დარჩენილი ვალი უფრო დიდი იყო, მაგალითად, თელავის მაზრაში 19 მან. 44 კაპ. ე. ი. საერთოდ გლეხის ვალების 30,4%; დუშეთის მაზრაში—9 მ. 24 კ., ე. ი. 81,8%; ნაკლებათ დავალიანებული იყო თფილისის მაზრა 0,35 კ. ანუ 1,1%.

დაღარიბებული, დაქვეითებული ქართველი გლეხობა, მშიერი და უმიწაწყლო მუდმივ მიწისაკენ მიეშურებოდა. მთავრობამ კი სულ ყურად-უღებელი დასტოვა ჩვენი გლეხობა და რა თქმა უნდა, რომ ერთიანათ საქართველოს გლეხობა უკმაყოფილო მთელს წარმოადგენდა და საკმარისი იყო მცირეოდენი მიზეზი დაბადებულიყო, რომ უკმაყოფილება აშკარა ამბოხებათ გადაქცეულიყო. თუ 1905 წ. რევოლიუცია ერთიანათ მოედო საქართველოს გლეხობას—მიზეზი მისი ყო-ცხოვრება, მისი ბედკრული მდგომარეობა იყო და ბოლოს, როგორც იქნა მოიხედეს ჩვენ გლეხებისაკენაც.

მეფის მოადგილემ გრ. ვორონცოვ-დაშკოვმა უმაღლეს მოხსენებაში 1907 წ. აღნიშნა, რომ საქართველოს გლეხობა უკიდურეს მდგომარეობაშია, რომ საქართველოს გლეხები დაჯილდოებულნი მცირე ნადელებით, იძულებულნი არიან დიდი ბეგარა იხადონო;

გრ. ვორონცოვ-დაშკოვი იმ აზრის არის, რომ გლეხობის უკმაყოფილებას კანონიერი საფუძველი აქვს, ვინაიდან მთავრობამ 35 წლის განმავლობაში ვერ მოიცალა რაიმე კანონი გამოეცა და გლეხების მდგომარეობა შეემსუბუქებია.

15 ქრისტიშობისთვეს 1906 წ. მეფის მოადგილემ სახელმწიფო სათათბიროს კანონ-პროექტი წარუდგინა დროებით ვალდებულ გლეხთა მოსპობის შესახებ. დეპუტატებმა ბბ. გეგეჭკორმა და ჩხეიძემ თავის-თავათ იმავე დაწესებულებას თავისი პროექტი წარუდგინეს. მეფის მოადგილის მიერ წარდგენილი პროექტი მიიღეს და 20 ქრისტიშობისთვეს 1912 წ. დამტკიცდა კიდეც.

ახალი კანონის ძალით საქართველოში 1913 წ. 1 იანვრიდან გლეხების დროებით ვალდებულება მოისპო; მათი ნადელების გამოკიდვა სავალდებულოთ შეიქნა და მთავრობამ მემამულეთ დაკმაყოფილება იკისრა. მთავრობის გამოანგარიშებით სავალდებულო გლეხების ნადელების გამოსაყიდათ საკმარისი იქნება ამიერ კავკასიაში 23.114.835 მანეთი, რომელიც გლეხობას ვალათ დაედება, ამ ვალის თავნი და პროცენტები 56 წლ., 41 ან 28 წლის განმავლობაში უნდა გადიხადონ. ახალი კანონის მნიშვნელობა ძლიერ დიდია, რასაკვირველია, იგი სპობს ძველ ბედს-გლეხების დამოკიდებულებას ბატონებისაგან. დროებით დამოკიდებულება ამ 40 წლის განმავლობაში ახალ ბატონ-ყმობათ გადაიქცა. ამ ახალ კანონს ძლიერ დიდი ნაკლიც აქვს. ჯერ ის უნდა აღვნიშნოთ, რომ გლეხის მცირე ნადელები, რომელიც მას ვერ აკმაყოფილებს, ისევ უცვლელათ დარჩა. ამ საკითხს ახალი კანონი არ ეხება. როგორც ზევით იყო ნათქვამი, გლეხი მცირე ნადელებით უკვე დარჩა და ძველი გასაჭირი არ მოისპო. მეორე ის არის, რომ გლეხობას გაღატაკებულს, მიწას მოკლებულს აწვება ვალი თავზედ და შვილის-შვილობამდე უნდა იხადოს იგი. რუსეთის გუბერნიებში ნადელების გამოსაყიდი ფულები უკვე მოსპობილი არის, გლეხი თავისუფალი მესაკუთრეა, ჩვენში კი გლეხის მამულს ახალი და დიდი ვალი აწვება თავზედ. ვისი ბრალია ეს ვალი? ამ 50 წლის წინათ ჩვენში გაუქმდა

ბატონ-ყმობა, ჩვენ გლეხობას ერგო ის, რაც რუსეთის გლეხობას ხვდა 19 თებერვლის კანონის ძალით, მხოლოდ საგლეხო რეფორმა ჩვენში შეკვეცილი შეიქნა რუსეთის რეფორმასთან შედარებით. ჩვენში მთავრობამ ძლიერ მცირე დახმარება აღმოუჩინა გლეხობას და მან ვერ შეიყიდა დროზედ მამულები. ამ შემთხვევაში საქართველოს გლეხობა დამნაშავე არ იყო; ჩვენ გლეხობას არ ხვდა ნადელების სავალდებულო შეყიდვა და ამაშიც იგი დანაშაული არ იყო. ახლა, 50 წლის შემდეგ, შეცდომა სწორდება და იმის მაგივრათ, რომ მთავრობამ თვითონ ივალოს გლეხების ნადელების შეყიდვა, მას აწერს იმ ვალს, რომელიც მთავრობამ მემამულეთ გადუხადა. ჩვენი დეპუტატების კანონპროექტით დროებით ვალდებული გლეხობა ჩვენში უნდა მოსპობილიყო უცებ და გლეხებისთვის ნადელები უფასოთ უნდა გადაეცათ. ეს პროექტი სათათბიროშ არ შეიწყნარა.

ერთ დიდ უსამართლობას მეორე მიემატა. რუსეთის გლეხები, ხელმწიფის ქვეშევრდომები ნადელების გამოსაყიდ ფულებას გადახდისაგან თავისუფალნი არიან. ქართველი გლეხობა—რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომნი—იძულებული არის ნადელების გამოსაყიდი ვალი იხადოს. ამგვარათ ქართველი გლეხი უფრო ცუდ პირობებში არის ჩაყენებული.*)

თუ როგორ გადიხდის ჩვენი გლეხობა ახალ ვალს და რა გავლენა ექნება მის ყოფა ცხოვრებაზედ ამ ვალს, ამას მომავალი გვაჩვინებს.

სიმ. ავალიანი.

ქ. ადგსა.

---

*) ვრცლათ, აქ მოკლეთ აღძრული კითხვები, დამუშავებული მაქვს ჩემ გამოკვლევაში: **Крестьянскій вопрос в Закавказьѣ, т. I. II. Од. 1912-1913 г.г.; Очерки по крестьянскому вопросу в Закавказьѣ. Од. 1913 г.**

ს. ა.

სტუდენტი ვანო კარბელაშვილი.

ახალგაზდეგი.

(ამბავი).

ახალგაზდები.

(ამბავი).

1.

მაისის გასულს, როცა ქალაქში უკვე ცხელოდა და ხალხი სააგარაკოთ აიშალა, ლეო, ვახტანგი და ირაკლი უკანასკნელ ეგზამენებისთვის ემზადებოდნენ. სულ სამი თუ ოთხი ეგზამენი ღა დარჩათ, ივნისის ათამდის სულ მთლათ მორჩებოდნენ, გიმნაზიის გათავებას რითიმე აღნიშნავდნენ და ლურჯ ქუდიანები სარუსეთოდ ფუსფუსს შეუდგებოდნენ.

დიდი ხანი როდია, რაც ერთმანეთს დაუახლოვდნენ: გიმნაზიის უკანასკნელ კლასში დაეწიენ ერთი მეორეს. წარსულ შემოდგომაზე ვახტანგმა და ირაკლიმ შემთხვევით თავიანთ კლასში ლეო აღმოაჩინეს, ლეომაც თავის მეგობარი ფარნაოზი ჩაითრია საერთო ნაცნობობაში, შარშან გიმნაზია დამთავრებული ფარნაოზი და შესდგა წრე ოთხი ახალგაზდისა, ულვაშ-აშლილების და საქორწილოთ შეღერებულ ბიჭებისა.

დუღაბსავით ურთიერთს მალე შეეტკბნენ, მალე შეეთვისნენ; ვერცხლის წყალსავით ზრახვა და ფიქრი შეატმასნეს, რადგან ყველა ამათგანს ერთი ტკივილი აწუხებდა, ტკივილი გამოსარკვევი და მით უკურნავი; ყველა მათგანი მარტოობას სჩიოდა სულისას, ძალას გრძნობდა მკლავში დევისას, სურვილი ჰქონდა ჩანჩქერივით ძლიერი და ჩქარი, გული გრძნობამ წალეკა,—მაგრამ მარტოხელათ, უძლურათა გრძნობდნენ თავს, არ იცოდნენ, თუ მიზნისკენ როგორ ლტოლვილიყვნენ.

ერთად შეყრამ თითქო საბამი გამოუძებნა მათ ამოძრავებას, გულისხმაში ჩააგდო წადილი ახალგაზრდათა. მალე დამეგობრდნენ,

რადგან იგრძნეს ურთიერთ შორის სულის ნათესაობა, ერთი გზით სიარული, ერთი საქმისადმი სამსახური. ვახტანგის გარდა ყველანი დედმამასთან ცხოვრობდნენ. ბინა უფრო ვახტანგთანა ჰქონდათ დადებული: ჯერ ერთი თავს იქ თავისუფლათა გრძნობდნენ, მეორეც ყველასთვის ხელმარჯვეთ იყო.

— დღეს შენთან მოვალ, ვახტანგ!—იტყოდა ლეო.

— მეც მოვალ, თუ დრო ვიშოვე.—წაიბურძღუნებდა ირაკლი.

— მე იქნებ ვერ მოვიცალო!—დაბეჯითებით იტყოდა ფარნაოზი.—თუნდ ეგ არა, მე დაგიშლით. ხვალზევით გერმანულ ენის ეგზამენი გაქვთ და თქვენ კი „აინ-ცვაი“ რა არის, არ იცით. ისწავლეთ, კაცო, ისწავლეთ, რას ეგვანება გერმანულში ან კოსმოგრაფიაში რომ ჩაიჭრათ?!

ფარნაოზის დარიგება უპასუხოთ რჩებოდა, რადგან ეგზამენების გამო ლაპარაკი ყველას სძულდა. მაინც ირაკლი და ფარნაოზი სტყუოდნენ: პირველი დროს ფუთობით შოულობდა, მეორე მუდამ მოიცლიდა და საღამოთი ოთხივე იყვენ ვახტანგის ოთახში.

ვახტანგი ქალაქის განაპირა უბანში, გიმნაზიის ახლო ერთი მემაწვნის სახლში იდგა. მეორე სართულში ეჭირა ერთი ოთახი, რომელშიაც ზამთარში უღმერთოთ ციოდა და ზაფხულში უზომოთ ცხელოდა, ზამთარში ქარი საქმეს აჭირებდა, ზაფხულში კი სიო სათოფეთ არ ეკარებოდა. სახლი თუმც ახალი იყო, კიბე უდროოთ დაბერებულიყო, ყოველ ასვლა-ჩასვლაზე ისეთ კვნესასა და ჩივილს ასტეხდა, შიშით აღარ იყავ, აქ სული არ ამოსძვრესო.

ოთახის ფანჯარა თებერვლიდან ჩამტვრეული იყო. მგონი ეს მაშინ ჩაიმტვრა, როცა ბახუსის კალთებ ქვეშ შეფარებულ ვახტანგს შუაღამისას ფანჯარა კარებში ეგონა და გასაღებათ ხელი ჰკრა. ვახტანგს ამ შუშების ჩასასმელათ დრო არა ჰქონდა, დიასახლისი კი ამას არც კი ფიქრობდა.

ოთახი ისე იყო არეული, კაცს ეგონებოდა შამილი შემოსევია ეს ეს არის თავის მეომრებით და აქაურობა აუკლიაო. წიგნების თაროზე დიდი ალიაქოთი იყო. თუმცა პირდაპირ კუთხეში იდგა,

მაინც თვალში გეცემოდათ. **ილიას** თხზულება და ფრანგულის თარგმანი, **აკაკის** წიგნები და ძველი რვეულები, ერთმანეთში არეულიყო. **ნოეს** და **არჩილის** წიგნების მეზობლად სკანდარნოვის ლექსები დასახლებულიყო. ძველი გაზეთები, როგორც ომში დაჭრილები, ისე გაფანტულიყო მთელ ოთახში. დღევანდელ გაზეთის მძებნელს მთელი გაზეთები უნდა გადაექოთებინა.

საწოლი ძირს ჩაზნექილიყო: ეს იმისგან, რომ ჩვენ ვაჟკაცებს ზედ ჯდომა ძლიერ უყვარდათ. ბალიში საწოლზე არა ჩანდა: ვახტანგს საბანი ქვეშ დაემალა, რადგან ღეო მოვიდოდა თუ არა, ბალიშს უნდა სცემოდა და ზედ დამჯდარიყო.

რგვალი მაგიდა სხვა და სხვა ადგილას იდგა: დილით საწოლიდან მოშორებით, რადგან ძილში ვახტანგმა ფეხების ქნევა იცოდა და ერთხელ მაგიდასაც უთავაზა ღამით. მაგიდა გადაბრუნდა და ალბათ გვერდები ჩაემტვრა. სახლის სხვა მცხოვრებნი შეშინდნენ და მეორე დილით ვახტანგმა ერთი წყვილი საყვედურიც მიიღო. შუადღიდან საღამომდე საწოლთან იდგა, დიასახლისი მუდამ აქ დგამდა სახლის დალაგების დროს. საღამოთი ადგილი ეცვლებოდა: ღეოს ფანჯარასთან უყვარდა; ფარნაოზს წიგნების თაროსთან, რომ ლაპარაკის დროს წიგნები, ისედაც არეული, უფრო ექოთებინა; ირაკლის თავის ადგილას, საწოლთან, რადგან წესრიგის დიდი მოყვარული ბიჭი იყო. თვითონ ვახტანგს, როგორც მასპინძელს არავინ არაფერს ჰკითხავდა. ან კი რა მასპინძელი იყო ვახტანგი?

ამის ოთახში თავს უფრო თავისუფლათ სხვები გრძნობდენ. თვითონ ამას აქედან გადასვლა კიდეც უნდოდა, მაგრამ ვაჟკაცების თათბირი არ დასთანხმდა: ამგვარ თავისუფალ ქცევას მგონი სხვაგან არ მოუწონებდნენ, ყველასთვის ახლო იყო და მეტად იაფი, თვეში 5 მან.

ოთახის პირდაპირ მეორე კუთხეში ვახტანგის დიდი საბარგო კალათი იდო, რაც სკამის მოვალეობასაც ასრულებდა, საწოლისასაც, (როცა ერთ-ერთი ღამით ვახტანგთან რჩებოდა და კალათს და სკამს შეაერთებდნენ) და კალათი-საბარგულე ხომ იყო და იყო. ოთახში

იდგა ორი ევროპიული სკამი, რომელნიც ისე მოძველებულიყვნენ, რომ ევროპიულს კი არა, აზიურსაც აღარ ჰგავდნენ. იდგა კიდევ ერთი გრძელი სკამი, ხისა. ამაზე ხშირათ ვახტანგი იჯდა და აქეთ-იქით სანთლები ენთო. ლამპარის შუქი ყველას ეჯავრებოდა, ამიტომ კართოფილის სანთლები ძლიერ მოსწონდათ.

ყველანი პაპიროზს ეწეოდნენ. თუ ისტორიას დაუჯერებთ, პაპიროზს ერთმანეთის მიხედვით შეეჩვიენ. თუ რომელი პაპიროზი მოეწიათ, ამაში ჯერაც არ შეთანხმებულან. ლეო ბინიათ-ოღლისას ეწევა, რადგან ჰგონია, რომ ბინიათ-ოღლი ქართველი მაჰმადიანია, ვახტანგი ბოზარჯიანცს ვერ შეჰლევია და ირაკლის მუდამ ბავშვს ეძახის, როცა „მშვიდობის“ ფირმისას ეწევა. თუ ვისმე პაპიროზის მოკიდება უნდა, ვახტანგი გრძელ სკამს ციმციმათ ასწევს, რომ სანთლები არ გადმოცვივდეს და ისე მოაკიდებინებს.

კედელზე ვახტანგის პალტო და ძველი შარვალი ეკიდა, რასაც ლოგინის მაგიერობას ასრულებინებდენ, როცა კი ყმაწვილები ყველანი ვახტანგთან რჩებოდნენ ღამით. ეს კი ხშირათ ხდებოდა: ვახშამს (ყველი, მწვანილი და პური ხშირათ, თან ორი სამი ბოთლი ღვინო) გვიან ათავებდენ, სიარული ყველას ეზარებოდა და აქ იძინებდნენ.

ვახტანგის დიასახლისი, შუახნის დედაკაცი, ნამდვილი ოთარაანთ ქვრივი იყო, ტკბილ სიტყვას არ აღირსებდა არც ვახტანგს და არც მის სტუმრებს: ზარმაცები, ქვეყნის ამშენებლები, ნასწავლი ხალხი—აი მისი ტერმინები. მხოლოდ პირში არ იცოდა ლაპარაკი, გავიდოდა მეორე ოთახში და იქ ამათ გასაგონათ ბუზღუნებდა.

მაგრამ უნდა გენახათ, როცა მეზობელ ქალებს ელაპარაკებოდა ამათ ამბავს;-ამათზე სწავლულები მთელ სკოლაში არ არიან, ყველაფერში ბეჯითები არიან, მხოლოთ ამათი პაპიროზის წევა და ქეიფები არ მომწონს. ეგეც არის, ძალიან არ ითვრებიან, მაგრამ, ჭალო, რა სიტყვებს არ ამბობენ სადღეგრძელოებში, ან ისე; შუაღამე გადავა, მამალი მეორეს იყივლებს, ღამე გატყდება და ესენი მაინც ძილს თავს არ აძლევენ. დიდხან ყურს უგდებ ხოლმე იმათ ლაპა-

რაკს და არ მომწყინდება.

დიასახლისი მართალს ამბობდა: ყურს უგდებდა ამათ ლაპარაკს, უსწავლელ ადამიანს ზოგი რამ არ ესმოდა, მაგრამ აფიქრებდა ამათი ბაასი, კამათი, მასლაათი, არ სწყინდებოდა.

პირველად ვახტანგთან მოვიდოდა ლეო, რომელიც ყველაზე შორს იდგა. მერე ფარნაოზი გამოცხადდებოდა, სულ შემდეგ გაჩნდებოდა ირაკლი, რომელიკ უთუოთ რაიმე ახალ ამბავს მოიტანდა, რითაც ყველას გააკვირებდა, რატომ ჩვენ კი ვერ გავიგეთ ეს უბრალო შემთხვევაო.

ვახტანგი ისე შეეჩვია ამათ წასვლა-მოსვლას, რომ ყურსაც არ იბერტყდა, ხმასაც არ გასცემდა მომსვლელს ან წამსვლელსა.

პაპიროზის მოწევის სეზონს მუდამ ლეო გახსნიდა, ყველაზე ცოცხალი და დიდი ტემპერამენტის ადამიანი, კვიმატი და ენა წყლიანი მოლაპარაკე, ყველას შესთავაზებდა პაპიროზს, მაგრამ მის ბინიათოლღს ფარნაოზის მეტი არავინ აიღებდა. ფარნაოზი მწეველი არ იყო, მაგრამ პაპიროზის პირში ჰერა მოსწონდა.

—მართლაც და, კაცო გასაკვირველი ამბები დასტეხია ჩვენ ქვეყანას წარსულში: რამნდენჯერ მოღონიერებულა და რამდენჯერ დაცემულა. რთული იქნებოდა მიზეზები ამ დაცემა-ამაღლებისა! — წამოიძახა ვახტანგმა, რომელიც საწოლზე წამოწოლილიყო და ფეხები ინგლისურათ კედელზე შეეწყო, თან „საქართველოს ისტორია“ გვერდზე გადადო.

—რთული კი არა, ძალიან მარტივია მიზეზი, ძალიან! —დარიგების კილოთი დაიწყო წიგნების თაროსთან მჯდომ ფარნაოზმა, რომელსაც როლი ამხსნელ-დარმიგებლისა ძლიერ ეხერხებოდა.

—აბა, გვიბრძანე, ვახუშტ ბატონიშვილო!?—შეეკითხა ლეო.

—„იას ბნელ ხევში მოსულსა, დიდი ჰანდარი ჰფარავდა, ეწვა დიდხანს სიცოცხლე, წადილი აღარა ჰმალავდა!“ აი მოკლეთ საქართველოს ისტორია. ეს ჰანდარი, ფესვებ განზედ გადგმული ჰანდარი, ქართველ კაცის უკუღმართი ბუნებაა: წადილი, უკვდავი წადილი განთვითეულებისა, შენ-ჩემობის გაღმერთებისა. აი მიზეზი,

რომ გურია კახეთს თავისად არა სთვლის და კახეთი სამეგრელოს. ხალხის ფსიხიკა შერყვნილია და მოშხამული!—დაათავა ფარნაოზმა და დაბეჯითებით ლეოს დაუწყო ცქერა, აცა რას მეტყვისო.

—შენა, ძმაო, რაკი ვაჟა-ფშაველა გიყვარს, ისტორიასაც იმის ნაწერითა ხსნი და ასტრონომიასაც. აბა სად თვიური იყ და სად სამეფო, რომელსაც 21-საუკუნის არსებობა ზურგზედა ჰკიდია!?— თქმა ლეოსი და ყველას სიცილი ერთი იყო.

—ეჰ, დაგაბა ფარნაოზ, ლეომ დაგაბა!—ხით-ხითებდა ირაკლი.

—დამაბა კი არა, დამაკრა!—ცხარობდა ფარნაოზი.

—შენა, კაცო ფარნო, ახირებული დანასკვი იცი ყველაფრისა; გეოგრაფიულ მდებარეობას მაშ მნიშვნელობა არა ჰქონდა ქართველების დაქუცმაცებაში?!—უკვე დინჯათ კითხულობდა ლეო.

—ჰქონდა, მაგრამ იმდენათ არა!—ცხაროზდა ფარნაოზი.

—არა, ფარნაოზ, თუ საერთო ისტორიისთვის თვალი გიდევნებია, ნახავდი, გეოგრაფიულ მდებარეობას ყველგან დიდი ადგილი უჭირავს: არაბეთის ნახევარი კუნძული ქვეყნიერობას მოწყვეტილი იყო უდაბნო ადგილებით, ამ მდგომარეობამ ერთის მხრით იგი მტერთაგან დაიფარა და მეორის—საბერძნეთისა და რომის კულტურას მოსწყვიტა და აიძულა კულტურისკენ საკუთარი გზით ევლო. ჩვენშიც ასე იყო: მიუვალ მთებმა და გაუვალ ხევხუვებმა მტერთაგან დაცვის სახსარი მოგვცეს, მაგრამ განგვათვითეულეს.—ირწმუნებოდა ვახტანგი.

—ის კი არა, მართლა სუმბათაშვილმა ოთარ-ბეგში თავის თავი გამოიყვანა?!—იკითხა ირაკლიმ, რომელსაც გაჭიანურებული კამათი არ უყვარდა.

—ეჰ, რის ოთარ-ბეგი! ოთარბეგი ოცი წლის შემდეგ მაინც დაუბრუნდა თავის ქვეყანას, ეგ?—გაჯავრებითა სთქვა ლეომ.

—იცით, რა? თუ ხვალ სოსო ჩამოვიდა, მოდი ხვალზევით წერა-კითხვის საზოგადოების კრებაზე წავიდეთ ყველანი, კვირას კი ერთი ქართულ თეატრში შევიხედოთ. ხო იცი სოსოს მოენატრებოდა ქართული წარმოდგენა რუსეთში.—სთქვა ირაკლიმ, რომელსაც გულით უნდოდა კამათისთვის ბოლო მოეღო.

სოსომ ფარნაოზთან ერთად შარშან გაათავა გიმნაზია, ყველა ამათგანის კარგი მეგობარი იყო, ამიტომ იმის რუსეთიდან ჩამოსვლას გულით მოელოდნენ. სოსო ახალ სიოს შემოიტანდა ამათ ცხოვრებაში, ააფორიაქებდა ყველაფერს.

ამ დროს ოთახში ჩუმად, თითქმის ფეხაკრეფით ამათი ამხანაგი ონისე შემოვიდა. ონისე მეტად დინჯი და ჩაფიქრებული იყო. ვახტანგთან ახლო იდგა, ცალკე ოთახი ეჭირა ერთ დედაბერთან, რომელსაც, თუმცა ყოველ-დღე ეჩხუბებოდა, მაინც ვერ მოშორებოდა.

ეს ის ფლეგმატიკი ონისე იყო, რომელმაც ნატვრაზე რომ ლაპარაკი ჩამოვარდა ამხანაგებში, ინატრა, ნეტავ ორასი წელიწადი ღამე იყოს, ერთი ხვირიანათ ვამოვიძინოვო. ისე მხიარული, მარტოთ რომ დარჩებოდა, მუდამ თვალები ელულებოდა და ძილს ნატრულობდა.

—ონისე, ბიჭოს! როდის მოხვედი?! დასწყეველა ღმერთმა, ქურდივით არ შემოიპარება ხოლმე!? —გაკვირვებით სთქვა ლეომ, რომელიც გრძელ სკამზე წამოწოლილიყო კარებიდან ზურგ-შექცევით და პაპიროზს ისე გატაცებით ეწეოდა, რომ ონისე კი არა, მართლა ქურდები შემოსულიყვნენ, ვერას გაიგებდა.

—კარგი ახლა და, ლაპარაკი ლაპარაკსა, ცხენი გაყვა ამხანაგსაო, ნათქვამია; მასლაათი რომ შეაბით, ხვალზევით გერმანულში ეგზამენს ვინ ჩააბარებს?—შეეკითხა ონისე და გამოსაფხიზლებლად გაიზმორა, თან ფანჯარასთან მდგომ ლიტრას ხელი წაატანა, მაგრამ მოაგონდა, ლიტრაში თავისდღეში წყალი არ იდგა, ლიტრის მაგიერ ფანჯარასთან მდებარე ჩოთქი აიღო და ტანისამოსის წმენდა დაიწყო.

—ვახტანგ, ეს ოთხი კაცი ორ აბაზს მოგცემთ, ვახშამი გვაჭამე!—უთხრა ლეომ.

—ვიზარალებ, ცოტაა ორი აბაზი. აბაზის ყველი, შაურის მწვანილი...-სამ კაპეიკისაც თავსაყრელია!—შეაწყვეტინა ლეომ სიტყვა.

—მიბრძანდი, მოვართმევენ! აბაზის პური, ეს თქვენი ცხრა შაური, ორი აბაზი ღვინო. ეჰ, შვილოსან ვიზარალებ. ოთხმა ორი

აბაზი და მე, ერთმა ცხრა შაური?! სამი აბაზი მომეცით და ხუთი შაური ჩემი იყოს. ყიდვით კი ირაკლიმ იყიდოს, მე დაღლილი ვარ!— გადასწყვიტა ვახტანგმა და საწოლზე გაიშოტა.

—ბატონ ჩემს გაუმარჯოს! დაღლილია! გუთანში ები, თუ წყალი ზიდე, რითი ხარ დაღლილი?! არ წავალ მე!—ცხარობდა ირაკლი.

როგორც იყო ერთ მანეთამდე ფული მოაგროვეს, ონისემ ერთი შაური დაუმატა, მწვანილი მეტი იყიდეთ, მიყვარსო, მაგრამ საქმე იმაში იყო, ვინ წავიდოდა. რაკი ირაკლი გაჯიუტდა და ვახტანგიც უჯაათის ვირზე შეჯდა, ერთხმად გადასწყდა, ყველანი წავიდეთო.

წავიდეთ, წავიდეთ!—ყვიროდნენ აქეთ-იქით და ქუდებს ეძებდნენ. ქუდების მოძებნა კი დიდი საქმე იყო: ლეოს ქუდი რაღაც მანქანებით წიგნებში შეჩხერილიყო, ირაკლის ქუდზე ვახტანგი დაწოლილიყო და გაეკუნტა. ერთი ონისე იყო, რომელიც ქუდს თავიდან არ იშორებდა, რადგან იცოდა ეს ამბავი დაემართებოდა.

კიბემ დავიდარაბა ასტეხა და ეს უკვე იმის ნიშანია, რომ ვაჟკაცნი გამგზავრნენ...

2.

კვირა საღამოს ფარნაოზმა სოსოსაგან ბათუმიდან დეპეში მიიღო: დღეს საღამოს 9 საათზე დამხვდითო.

ფარნაოზს სადილი ხეირიანათ არც კი უჭამია, მაშინვე ეგზამენისთვის მმზადებელ ბიჭებთან გაიქცა და ეს ამბავი ახარა.

ფარნაოზი პირად ცხოვრების მოუწყობლობის გამო (ობოლი იყო), მუდამ პესიმისტურ გუნებაზე იყო, მაგრამ ამას არ იმჩნევდა, მხიარულ ელფერს არა ჰკარგავდა, რითაც ბუნებით მალხაზი და კვიმატი უღროოთ დაღინჯებულ-დაბრძენებულიყო.

რაკი პირადი ცხოვრება არეულ-დარეული ჰქონდა, გულისყური საზოგადო საკითხებს მისცა, ადგილობრივ გაზეთში მუშაობდა და მოწაფეთა წრეებში მონაწილეობდა.

ამხანაგები, ეგონა, გახურებულ სწავლაში იქნებოდნენ, ამიტომ ფარნაოზს, ეხათრებოდა კიდეც მისვლა ვაი თუ დაუშალოთო. ის კი არა, გერმანული წიგნი გვერდზე გადაეგდოთ და გაცხარებულ ჩხუბში იყვნენ: ომში გერმანია გაიმარჯვებს, თუ ინგლისიო. ვახტანგი გერმანელი იყო, ლეო — ინგლისელი. ირაკლი და ონისე კი განზე გამდგარიყვნენ და გულგრილათ მსჯელობდნენ, რუსეთში საცხოვრებლათ 30 მანათია საჭირო თუ 25-ც კმარაო.

გერმანელი ვახტანგი დამარცხდა, რადგან ფარნაოზი, გარეშე პოლიტიკის მცოდნე, ლეოს მიემხრო და განაცხადა, რომ ინგლისის ფლოტი უძლეველიაო.

სოსოს ჩამოსვლის ამბავმა ყველა გაახარა, შეემატებოდათ ერთი თავისი კაცი, რომელიც ამასთანავე რუსეთის ამბებს იტყოდა, ურჩევდა, რა ქალაქში წასულიყვენ და სხვა.

იმავე საღამოთი, როცა ბინდი ქუჩებში შემოიპარა და ქალაქის საათმა რვა დაჰკრა, ხუთივე ქალაქის უმთავრეს ქუჩაზედ შეიკრიფნენ სადგურზედ წასასვლელათ. პირველად ონისე მოვიდა, ბედათ ერთი ნაცნობი ქალი შეხვდა, რომელსაც ქურდულად ეარშიყებოდა კიდეც, (დიდი არშიყი ბრძანდებოდა ეს ჩვენი დინჯი ონისე!), და მასთან ერთი-ორჯერ გაიარ-გამოიარა.

— ჯერ ადრეა, სულ რვა საათია, მოდი ერთხელ კიდევ გავიაროთ ბულვარზე! — წინადადება შემოიტანა ლეომ. წინააღმდეგი არავინ იყო. გამოვლისას ფული დათვალეს ტრამვაისთვის. ხუთნი იყვნენ და ხუთი შაური ჰქონდათ სწორეთ. მოლარეთ ირაკლი აირჩიეს და ფული ჩააბარეს. ცოტახანს კიდევ შეიცადეს ცხრის ნახევარი საათი გამხდარიყო.

— სწორეთ ცხრის ნახევარია, აბა წავიდეთ! — ნიშანი მისცა ირაკლიმ.

თვალზე უმალ ვაგონს შეახტნენ ყველანი გარდა ირაკლისა, რომელიც ელექტრონის ფარანთან მიმდგარიყო და ფულებს ითვლიდა.

— ჩამოდით, ჩამოდით, ჩქარა, ჩამოდით, ჩქარა! — დაუყვირა ირაკლიმ ვაგონში დამსხდარ ამხანაგებს და სიტყვას ხელის ქნევაც მიაშველა დასაჯერებლათ.

—რა ამბავია, რა იყო!?– გაჯავრდა ვახტანგი.

—რა მასხარაობაა, რა წარამარათ გვახტუნებ, ხო ხედავ გვიგვიანდება!— ყველაზედ მეტათ ცხარობდა ლეო.

—რაღა რა არის, სულ 19 კაპეიკი გვაქვს და ამით რომელი ერთი უნდა წახვიდეთ! —სთქვა ირაკლიმ და ხელის გულზე 19 კაპ. გამოიშვირა.

თურმე ლეოს პაპიროზისთვის 6 კაპ. გამოერთმია ირაკლისთვის, რომელსაც არ მოაგონდა, რომ მარტო ხუთი შაური ჰქონდათ.

მეტი ღონე არ იყო, უნდა ფეხით წაჩანჩალებულიყვნენ, რადგან ცალ-ცალკე წასვლა რა საკადრისი იყო!?

ერთი საათის შემდეგ ძლივს მივიდნენ სადგურზედ. მათ ბედზე მატარებელს ცოტათი დაეგვიანა და სოსოც ბარგის გამოტანაზე გაეწვალებინათ.

—რუსეთელო, რუსეთელო!—თითქმის ერთ-ხმივ წამოიძახეს ყველამ და მივარდნენ სოსოს და გადაკოცნეს, თან ერთმანეთს არ აცლიდნენ და ყველამ ერთად მიაყარა: როგორა ხარ და რასა იქ-სის კითხვები.

სოსო რუსეთის სამხრეთ უნივერსიტეტში სწავლობდა. გიმნაზიაში სახელი ჰქონდა განთქმული მათემატიკის არ ცოდნით. კოსმოგრაფია ხომ?! წიგნი არც კი გადაეშალა. სამაგიეროთ ძალიან კარგათ იცოდა ისტორია და ამის გამო გაათავებინეს გიმნაზია. ისე ყველაფერში ცოცხალი ადამიანი, მოძულე იყო ყოველგვარ სპორტისა. ქალებთან დამოკიდებულებაში ორიგინალი იყო, ყველას „შენ"-ობით ებაასებოდა, სალამს პირველი არ აძლევდა. ხასიათი რბილი ჰქონდა, ყველას მალე უმეგობრდებოდა, ნების ყოფის ადამიანი იყო, მაგრამ ამასთან ისეთი ჯიუტი, თავ-ნება, რომ თუ ერთი აიტეხავდა რამეს, ქვეყანა რო მისდგომოდა ვერ გადაათქმევინებდა.

—აბა მეგობრებო, ერთი ბარგს თავი მოვუყაროთ, ბარგის მზიდავს დაუძახოთ! —შეიშველია სოსომ ამხანაგები.

ათი წუთის შემდეგ ექვსნი ორ ეტლში იყვნენ გამოჭიმულნი და სოსოს სახლისკენ გასწიეს. სახლში მეტად კარგი ამბავი დახვდათ:

სოსოს დედ-მამა უკვე სააგარაკოთ სოფლად წასულიყვნენ, სახლში მსახური და სოსოს უფროსი ძმა იყო. ამბავი დაეტოვებინათ, ჩამოვიდეს თუ არა სოსო, სოფელში წამოვიდესო.

დაალაგეს ბარგი და წამოვიდნენ.

ან კი სოსოს სახლში რა უნდა გაეკეთებინა?

—სხვა, სოსო, გვითხარი რუსეთის ამბები; რა ნახე, ვინ გაიცანი, ისწავლე რამე, თუ ისევ ჩვენისთანა ჰკვიანი ხარ, ყველაფრის მცოდნე!—დაუწყო გამოკითხვა ლეომ.

ამ გამოკითხვამ ყველას მომავალი მოაგონა.

—ასე მგონია, გიმნაზიას რომ გავათავებ, სულ სხვა კაცი შევიქნები, სულ სხვა; გველის ტყავივით გამომეცვლება ეს ბავშური ხასიათი, დავდინჯდები და ბევრ რამეს უცბათ გავიგებ.—აღტაცებით წამოიძახა ვახტანგმა.

—მარტო ის რათა ღირს, შენ ნებაზე რომ იცხოვრებ: როცა გინდა ისადილებ, შენი დამშლელი არავინ არის. გინდ აღმა წადი და გინდ თავდაღმა!—ოცნების კილოთი სთქვა ირაკლიმ.

—სხვა არ იყოს რა, ერთი ხეირიანათ მაინც გამოვიძინებ გიმნახიის გათავების შემდეგ, თორემ რაც მოწაფეთ ვარ, დილის ძილი ჩაშხამებული მაქვს!—ჩაერია ლაპარაკში ონისე, რომელიც მუდამ სიჩუმის მოყვარული იყო.

—ჰე, გახსოვთ რა დიდი იმედებით მივდიოდი რუსეთისკენ?—გამოეპასუხა აღტაცებულ თანამოსაუბრეებს სოსო.—მეც მეგონა მეორეთ დავიბადებოდი, როცა უნივერსიტეტში ფეხს შევდგამდი. როდესაც ქალაქს გავცილდი, ჩაველ თუ არა ნავთლუღის სადგურთან, თავი ობლათ ვიგრძენი. თითქო თბილისს აქეთ საქართველო სრულებ აღარ ყოფილიყვეს. ბესლანის სადგურთან თერგს ვეძებდი. იმდენი რამ გამეგო ამ მდინარისა, მომწონდა ნახვა. მაგრამ ბესლანთან თერგს ვინ მაჩვენებდა?! როსტოვს ახლო სადგურზე ერთი მოვაჯრე ქართველი კაცი ვნახე, უკვე მოხუცებული, საქართველოში 10—12 წელიწადი აღარ ყოფილიყო. იერზე ვიცანით ერთმანეთი და გამოველაპარაკე. სხვათა შორის იმ მოხუცმა ერთი რამ

მკითხა, რაც არასოდეს დამავიწყდება:

––არისღა საქართველოო?––მკითხა და რაღაც დამცინავ კილოზე გაიღმა. ხმა აღარ გამიცია, პასუხიც არ მიეც, ცივი წყალი გადამასხა აღტაცებულს, ვაგონში შეველ და N-დის აღარვის დავლაპარაკებივარ. როდესაც N-ს მიუახლოვდი თავში ათასნაირი ბრძნული აზრები მიტრიალებდა. სადგურზე ძველი თბილისელი სტუდენტები დამხვდნენ, რომელთაც დამაბინავეს და პირველად უნივერსიტეტში წამიყვანეს. ცოტა არ იყოს შევიშმუშნე ხუთ-ექვს სტუდენტს რომ გამაცნეს, მაგრამ როცა ერთ პრივ.-დოცენტს გამაცნეს და მანაც რამდენჯერმე college დამიძახა, სრულებ გავწითლდი, დავმუნჯდი და ხმა ვერ ამოვიღე. მეგონა პროფესორი ლექციას რომ წაიკითხავდა, ჩვენებურ ორატორივით ხელებს გაშლიდა, აღელდებოდა და პათეტიურად გალობით იმღერ-იორატორებდა. ის კი არა, სრულებით დამშვიდებით ერთ საათს გველაპარაკა, თუ რა მეთოდით შეგვესწავლა მეცნიერება. თვით სტუდენტობა არც ისეთია, როგორიც ჩვენ გვეგონა: მაღლა-აზრებით გატაცებული, არალეგალურ მუშაობაში ჩაბმული, ერთმანეთის გამტანი და სხვა ამისთანა და არც ისეთია, როგორსაც ჩვენი მამები ხატავენ; ზარმაცი, უპრინციპო, მოქეიფე, არშიყი და საზოგადო ცხოვრებას მოწყვეტილი. ურევია შიგ პირველი და მეორეც, მაგრამ უმრავლესობა „ჩვეულებრივ ხალხის“-გან შესდგება. მაინც, ამხანაგებო, უნივერსიტეტში სხვა სიო ჰბერს, ახალგაზდის სურვილი ნიადაგს პოულობს და ეს წელიწადი საუკეთესო ხანაა ჩემს ცხოვრებაში!––დაათავა სოსომ, როცა უკვე ვახტანგის სახლს უახლოვდებოდნენ.

––მართლა და, სულ გადაგვავიწყდა ვახშმის საქმე. სადა ვჭამოთ? გიორგის რესტორანში, თუ შენთან, ვახტანგ?––იკითხა სოსომ.

ხმები გაიყო: სოსო, ფარნაოზი და ირაკლი გიორგისთან წასვლას ამბობდნენ და დანარჩენნი ვახტანგისთან.

დიდათ გამოჩენილი ადამიანი იყო რესტორანის პატრონი გიორგი. რამდენი დავიდარაბა გამოუვლია მოწაფეების გამო, რომელთაც რესტორანში ჩასვლის ნება სულ არა ჰქონდათ, მაინც სიამოვ-

ნებით მიიღებდა ხოლმე. პაწია ბაღჩაში რგვალი მაგიდა იდგა მოწაფეთათვის. მეტადრე ჩვენი ნაცნობების წვევა უყვარდა, ვისი „ტკბილი სიტყვების კვალი გიორგის გულს ეხლაც აჩნევია“ და „რომელნიც სხვებსავით მარტო ქეიფისათვის კი არ მოდიოდნენ, არამედ მეგობრულ ბაასში დროს გასატარებლად“.

თვითონ გიორგი, დროს ტარების დროს, ბაღჩის კართან იჯდა და ყურს უგდებდა, თუ რა გატაცებით ლაპარაკობდა ლეო და ვახტანგი.

გიორგი, მოხუცებაში შესული და შეძლებული კაცი, რაღაც მანაქანებით ახალ-თაობის ადამიანი იყო. თანამედროვე ქვეყნიერობის ღერძათ-უსამართლობა მიაჩნდა და გულით სჯეროდა „მეორეთ მოსვლა“, როცა მდიდარი და ღარიბი გასწორდებოდა, მავნე და ბოროტი არვინ იქნებოდა.

ამიტომ, როცა ლეო სურვილ მორევით იძახდა, რომ შავი ძალა მაჯლაჯუნასაკით დასწოლია ადამიანსაო, გიორგის გული ვერ მოუთმენდა და წამოიძახებდა: „დაითრგუნება, დაითრგუნება“-ო.

ოჰ და, აი ამ გიორგისთან იწვევდნენ სოსო, ფარნაოზი და ირაკლი. მაგრამ არც ვახტანგისას იყო ცუდი: აქ მეტი თავისუფლება იზიდავდა.

—კარგი, გიორგისთან წასვლა სხვა დროისთვის იყოს, შენთან წამოვალთ, ვახტანგ!—უთხრა სოსომ.

—მაშ მზადებას შეუდგეთ. ჩვენ, ხო გითხარით ჯიბეები გვიტირის, აბა გახსენ შენი ქისა, რა ავლა-დიდების პატრონი ბრძანდები! —მიუბრუნდნენ სოსოს ყველანი.

სოსოს ქისაში ფული საკმაო ამოჩნდა, რვა მანეთამდე იყო.

—ჩვენ ოთხიც გვეყოფა, დანარჩენი შეგვინახე, ჩვენო ხაზინადარო!—უთხრა კვიმატ ლეომ.

ყველაფრის საყიდლათ სოსო, ირაკლი და ონისე წავიდნენ, დანარჩენნი სახლისკენ გაემართნენ. ერთმანეთს კარგათ დაშორდნენ, როცა ლეო ყვიროდა:—ირაკლი, „ატლასი“ არ იყიდო, ბინიათ-ოღლი წამოიღეო!

ტყუილი იყო ლეოს ყვირილი: სოსოს სიტყვით, ბინიათ-ოღლი წმინდა ოსმალი ამოჩნდა და ლეოს ერთათ-ერთი არგუმენტი ხელიდან გამოეცალა, ბინიათ-ოღლის პაპიროზს ის თვალით ველარა ჰნახავდა.

ეჰ, რაღა ბევრი გაგიგრძელოთ, ნახევარ საათის შემდეგ ჩვენი ყმაწვილები ყველანი ვახტანგისას დიდ ფუსფუსში იყვნენ და ვახშამს ამზადებდნენ.

ონისე მწვანილს არჩევდა, სპეციალისტი იყო ამ საქმისა. ვახტანგი ბადრიჯნის კონსერვსა ხსნიდა. ყველაზე ზორბა იყო ტანით, მეტად ღონიერი და ამ კონსერვს თუ ვერ გახსნიდა, დაანტვრევდა მაინც. ფარნაოზი მაგიდაზედ ვითომდა საჭმელებს ალაგებდა, ის კი არა ლაზათიანათ ილუკმებოდა და ლეოს რისხვას იმსახურებდა.

საქმე წვადების შეწვა იყო: დიასახლისი ცუდ გუნებაზე იყო და ვახტანგი ვერაფრის თქმასა ჰბედავდა. როგორც ახლად ჩამოსულმა, ისევ სოსომ გაბედა და დიასახლისს შეეხმაურა:

—როგორა ბრძანდებით, მამიდავ, როგორ გიკითხოთ!—მოიკითხა სოსომ.

—მადლობთ, შვილო, შენ როგორა ხარ შენი სწავლით, „ივზამენია“ ხო კარგათ ჩააბარე!—

—კარგათ, კარგათ. სხვა, მამიდავ, ეს ჩვენი ყმაწვილები ხომ არ გაჯავრებენ?—

—ეჰ, შვილო, მე რას გამაჯავრებენ, თუ ვეუბნები რამეს, თავათ გამოადგებათ. ღვთის წინაშე კარგი ბიჭები არიან, მაგრამ ეს გვიანობით დაწოლა არ მომწონს. ადრე დაწექით, შვილო, ადრე გაიღვიძეთ, რომ ჯანი შეგემატოთ. აი ეხლაც, შუაღამეა და თქვენ კი ჯერ არ გივახშმიათ... წვადები გექნებათ შესაწვავი, მოიტათ შეგიწვამთ. დღეს ეს შენი ჩამოსვლით იყოს და მერე მე ვიცი მაგათი!?—თითქოს მუქარითა სთქვა დიასახლისმა, მაგრამ რამდენი დედობრივი მზრუნველობა და სიყვარული იყო ამ მუქარაში!

ექვსი ვაჟკაცი ვახშმათ დასხდნენ.

—შენ, სოსო უსაფუძვლო ყვედრება იცი ხოლმე. ჯერ უნდა

გაგეგო საქმის ვითარება და მერე დაგეყენებინა ის წერილების აურზაური! მეორე წრე გიმნაზიელ ქალებისა მიტომ დაიშალა, რომ ხეირიანი ბინა ვერ ვიშოვეთ. 4—5-ზე მეტი არასოდეს იკრიფებოდა ათიდან. ეს კი მოცდენათ არა ღირდა, როცა სხვაგანაც იყო საქმე; მეორეც, ის წრე სიმეტრიული ნაკლებ იყო. ფარნაოზი მე 19-საუკუნის ლიტერატურის ახსნის დროს გაკვრით რუსულსაც ეხებოდა, მათ კი, მეტადრე ზოგიერთებს, რუსულ ლიტერატურისაც ნაკლებათ ესმოდათ. საქართველოს ისტორიის სწავლების დროს ხომ კურიოზები იყო: როცა უძველეს ქართველების გვაროვნობით წესს უხსნიდი, „თემი“ რა ხალხიაო?—ერთი მეკითხება. მეორეს თურმე იბერია—ეხლანდელი ქართლი, მთელი ერთი თვის სწავლების განმავლობაში, ესპანია ეგონა, რადგან გაეგო გეოგრაფიიდან, რომ ესპანიაში იბერები იყვნენ და გაკვირვებით წამოიძახა:—ესპანიაში სპარსეთს რა უნდოდაო.—მოდი შენა და ამისთანებს ისტორიის მეთოდზე ელაპარაკე!—სთქვა ვახტანგმა.

—კაცო, სწავლა მაგისთანებს უნდა, თორემ ნასწავლი თქვენთან არ მოვა. ექიმი ავადმყოფს ეპირვება.—უთხრა სოსომ.

—ეგ ჩვენც ვიცით,—ჩაერია ლაპარაკში ფარნაოზი, რომელიც აქამდის ილუმებოდა,—ეგ ჩვენც ვიცით, მაგრამ სჯობს ისეთებს ვასწავლოთ, რომელთაც საზოგადო განათლება უკვე აქვთ და სამშობლოს ისტორია და მწერლობა კი არ იციან.

—პირველი წრე რას აკეთებს?—იკითხა სოსომ.

—პირველმა წრემ ჩვენზედ მეტი იცის: მეცხრამეტე საუკუნის ისტორიას და საზოგადოებრივ აზრის მიმოხილვას ათავებენ. იქ კარგათ მომზადებულნი არიან. ყველა მაგათგანი კარგი ქართველი დედა გამოვა. ერთი ეგ არის, ჩვენ თუ რუსეთისკენ წამოვედით, აქ ვინ უნდა აწარმოვოს წრეების საქმე?—იკითხა ლეომ.

—გამოჩნდებიან, აი ეს სამი თვე ვეძებოთ. თვით მაგ პირველ წრიდან, თუ ვინმე თბილისში დარჩა, მაგათ ვინ სჯობია?!—სთქვა სოსომ და ჰიქა გაიცინა.

—სოსო გაგიმარჯოს! შენი ჩამოსელა, ჩვენი აქ დახვედრა!

ერთხელ არჩეულ გზისთვის ნუ გადაგახვევინოს!— ადღეგრძელა ირაკლიმ.

—გაგიმარჯოს, სოსო, შენი გამარჯვება ჩვენი საკუთარია! რა ვიცი, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან მერამდენე თაობა ვართ; რამდენ თაობასაც ვაკვირდები, ერთ დიდ თვალსაჩინო ნაკლს ვამჩნევ: ყველა თაობა ჩვენი ქვეყნისთვის მუშაობას ახლად იწყებს, თითქოს ვინც მანამდის მუშაობდა, ტყუილ შრომა იყო. გამალებული დაუწყებს წინა თაობის ნამუშევრის ძირიანათ ნგრევას და ამ ნგრევაში შემოალამდება, მოხუცება უსწრებს. საეროვნო საქმის კეთების ტრადიცია არ არის ჩვენში. ღმერთმა ქნას, ჩვენ წინაპართა ნამუშავერი შეგვესწორებინოს და განგვეგრძოს. ამ ტრადიციის ცხოველი მაგალითი შენა ხარ, სოსო, და გაგიმარჯოს!— ადღეგრძელა ფარაოზმა.

—ამხანაგებო, ორი გზა არის კაცისთვის ცხოვრებაში სასიარულო: ერთი საპირადო, კერძო. ეს გზა ლხენისა და კმაყოფილებისკენ უხვევს, სიცილმა მორთო იგი ყვავილით და მზის სხივებმა გაანათა. იმ გზაზე არც არავინ გაგცარცვამს, არც დაგვიანდები, შენს სიარულს ხელისშემშლელი არ გამოუჩნდება; ამ გზაზე არ არის ჯვარი ან და გოლგოთა, არც ციხეა და არც საავადმყოფო; არის მეორე გზა, გზა ოღრო-ჩოღრო და უსწორ-მასწორო, წუხილით არის იგი მოკირწყლული და კვნესით გაკვლეული. ყველაფერს შეხვდება იქ კაცი, გარდა ლხენისა, სასაფლაოსკენ მიდის ეს გზა. საზოგადო საქმის, ხალხისთვის სამსახური ჰქვიან სახელად. მეგობრებო! წავიდეთ ამ გზით! დეე ხალხის ჭეშმარიტი მოქმედების ძიებამ შეიწიროს და ოცნება ციხეში ჩაიფერფლოს, დეე უდროოთ დავიკარგოთ, გვჯეროდეთ მოგვძებნიან და ჩვენ ნაკვლევს გამოჰყვებიან. სოსო, შენ ჩვენზე ცოტა ადრე შედექი ამ გზაზე, იარე მაგ გზით. ნუ დაგვიცდი, რადგან ყოველი ცდა ხალისის წამრთმევი, ჩვენ მოგეწევით, იარე!—ლეოს უკვე თვალები უბრწყინავდა, მთლად მოქმედების სურვილათ ქცეული თავს ტყვეთა ჰგრძნობდა.

—კარგი ხარ, ლეო, კარგი, ბინიათ-ოღლის პაპიროზი რომ არ

გიყვარდეს!—შენიშნა მისი სიტყვით ატოკებულმა ონისემ და ჩაიხითხითა.

ყველას სადღეგრძელო ესე კერძო ხასიათს ჰკარგავდა და ჩვენი ყმაწვილები, თვისდა შეუმჩნეველათ, ოცნების ტალღებში ერეოდნენ.

—ხვალ წერა-კითხვის საზოგადოების კრებაზე წავიდეთ. ერთი ძველ ხალხს დავეტაკოთ, თორემ მთლად ქართველობას ეგ ერთი დაწესებულება გვაქვს და ეგეც კუს ნაბიჯით მოძრაობს.—წინადადება შემოიტანა ვახტანგმა, რაც ყველამ მიიღო. გადაწყდა, რომ ფვალ წავიდოდნენ კრებაზე და იქ კულუარებში ძველ ხალხს ხმამაღლა ეტყოდნენ, რომ ნელა სიარული სიდინჯეს კი არა, სიზარმაცესა ნიშნავს.

—„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს“. დაგმობილია უკვე, ბიჭებო, მკვდრის მსგავსი ცოცხალი. იმ მკვდარს გაუმარჯოს, რომელიც ცოცხალსა სჯობია, ჩვენში არის და ფიქრით არ მომკვდარა. სახელოვან ხალხს ვახსენებ, ვინც არ მომკვდარა. საუკუნო განსვენება კი არა, სიცოცხლე უსურვეთ!—წარმოთქვა ლეომ.

—რა მდიდარია ქართული ენა! კაი ქართველი არ იტყვის მოკვდაო. „გარდაიცვალა!“ ბრძენს უთქვამს ეს სიტყვა და ხალხს დაუხსოვნია. კი არ მოკვდა, მხოლოდ გარდაიცვალა, ფერი იცვალა. ხორციელიდან სულიერ იქცა. და რაც იცვლება, ის არ ისპობა. დიდი ქართველი არ მომკვდარა, იცვალა. გაუმარჯოს ამ „ცოცხალ მკვდრებს!“—სთქვა ფარნაოზმა.

—გაუმარჯოს, გაუმარჯოს ამ ცოცხალ მკვდრებს! მათი მოქმედება სამაგალითოდ იყოს ჩვენში!—დალია ვახტანგმა.

მომღერლები არ იყვნენ, გარდა ირაკლისა, რომელიც ტკბილ მეორეს ამბობდა, მაინც სიმღერას ამბობდნენ: ფარნაოზი, ვახტანგი და ლეო „დავრდომილი სნეული-ს“ მღეროდნენ და ერთმანეთს არწმუნებდნენ, რომ სიმღერა ჩინებული გამოდიოდა.

ცეკვა იცოდნენ: ირაკლი მაგიდაზე ლეკურს დაუკრავდა, ვახტანგი მაშინვე წამოხტებოდა და ლეკურის მაგიერ „კინტოურს„

ჩამოუვლიდა, თან ფეხს ისე მაგრა ატყაპუნებდა, ყველას ეშინოდა ოთახის იატაკი არ ჩაინგრეს და პირველ სართულში არ ჩავცვივდეთო. ვახტანგი შიშს არავისას დაგიდევდათ, ისე გატაცებული იყო ცეკვით, რომ ეხვეწებოდნენ და მაინც არ დგებოდა.

ონისე საჩხერელ ურიას ცეკვას აჯავრებდა და დანარჩენებს სიცილითა ჰხოცავდა.

—ამხანაგებო, ერთბელ მზეს საჩივარი მიუვიდა, შენ სამეფოში მრავალი ჯურღმულია, ხალხი სიბნელეში იხოცებაო. მზე ადგა და მთელი თავისი სამეფო შემოიარა, მაგრამ ვერსად ნახა ჯურღმული ან და სიბნელე. ვერ ნახა, რადგან ჯურღმულ ადგილებს თავის მისვლით მზე ანათლებდა. ჩვენც ესე ვართ. ყოველ საქმიანობაში ოცნება შეგვაქვს და მიტომ ვერა ვხედავთ ბნელ მხარეებს ჩვენი ცხოვრებისას. გაუმარჯოს ამ ახალგაზდურ ოცნებას! ტკბილია იგი დედის რძესავით და პირველ სიყვარულივით მომხიბვლელი! — სთქვა ფარნაოზმა და „ალავერდს“ მეოცნებე ლეოსთან მივიდა.

—„დავრდომილიიი, სნეულიიი,
უნუგეშოოოთ ვსტიიირი მეეე,
რა ვქნა, რა ვქნააა, მითხარიიი
შენი ჰირიიი კვნესა მეეე!“—

დაიწყო საპასუხოთ ლეომ და მალე ეს ჩვენი „სამება“ ისეთ ეშხზე მოვიდა, რომ თავს უიმედო სიყვარულის მსხვერპლათ გრძნობდა.

ადგილ-ადგილ სცდებოდათ სიმღერა, ირაკლი უსწორებდა, მაგრამ ყურს ვინ უგდებდა?!

—„კვნესიიის ოხრააავს ეს გულიიი!“—სწევდა მაღლა ფარდებში ლეო, თან სიამით თვალები დახუჭა, ცალი ხელი ჰაერში გაეშალა და მეორეში პაპიროზი საწყლის კერასავით ჩამქრალიყო.

მაშინღა გამოერკვნენ ჩვენი მომღერალნი, როცა ირაკლიმ „შენ გეტრფი მარად“ დაიწყო. ალბათ შერცხვათ თავის სიმღერისა, თორემ მიკვირს, რამ გააჩუმათ?!

—ირაკლი, შენი სიყვარულის ისტორია გრძელდება, თუ მეტიანემ შესწყვიტა წერა?!—ჰკითხა სოსომ გვერდზე მჯდომ ირა-

კლის, თან ხმა დაუდაბლა, რადგან „სამება“ სიმღერას აპირებდა.

—გრძელდება, გრძელდება!—ირაკლის არ დააცალა ლეომ.—სასაცილოა ამის საქმე: „ამირან გულში მღეროდა, მოყმენო ბანი მითხარითო,“ სწორედ ამის საქმეა ესე. სიყვარულმა უკვე ძარღვებში დაუარა, გვერდებში გაუჯდა, იძის ნახვა ძალზე სწყურიან და ეს კი მაინც ეჭვიანობს: ვერ ვეტყვი ჩემი გულის გრძნობას, ვაი თუ უარი მითხრასო. მოდი შენა და ამას ელაპარაკე! ჩაიცინა ლეომ და გამოსაჯავრებლად ირაკლის ცქერა დაუწყო.

ირაკლი კი სრულებით არა ჯავროზდა: ლეო მართალი იყო. ერთ წელიწადზე მეტია, რაც მისი გული გალიაში დაატყვევა მერვე კლასელ გიმნაზიელ ტასიკომ, რომლის დანახვაზე დამნაშავესავით ფითრდება და წითლდება; ეს მაინც ჩუმად არის, პირადათ ნაცნობობამაც ვერა უშველა რა და თვით ტასიკოს არას ეუბნება, და არის ამ გამოურკვეველობაში! მორცხვი იყო, მორცხვი ჩვენი ირაკლი!

—შენ ეგ რად გინდა! ირაკლი ეხლა ნაკლებ საინტერესოა. ჩვენი ვახტანგიც რომ შეიქმნა „ტრფობის ისრით განაწონი“! აცნობა ონისემ.

ვახტანგი ამ სიტყვებზე შეწითლდა, ულვაშებში ჩაიცინა და ვითომდა აქ არაფერიაო, პაპიროზს მიუმარჯვა.

—მართლა ვახტანგ? ვინ არის შენი ნესტანი? მითხარი რალასა ჰმალავ შე ყურუმსაღო?!—ჩააცივდა სოსო.

ვახტანგის გულიც უიმედო სიყვარულს დაეთრთვილა. ეს მხოლოდ ირაკლისავით ჩუმათ არ იყო: ოხრავდა და ბორგავდა ტარიელოვით, კლდე-ღრეს აწყდებოდა, „უნუგეშოთ სტიროდა“, მაგრამ ნუგეში არსაით იყო.

—შენა, სოსია ბიჭო, აქ ჩვენ რომ გამომძიებელივით გვეკითხები, შენ ხომ არავინ აიკიდე იმ რუსეთში?!—შეეკითხა სოსოს ლეო, მაგრამ გამოძიებით ამოჩნდა, რომ არავინ აეკიდნა, თუმცა მზათ იყო საქართველოში მაინც ამ აკიდებისთვის.

უკვე ნაშუაღამევის სამი საათი იყო, ონისე უკვე ძილის ნატვრაში იყო, ამიტომ აიშალნენ. დიასახლისს, ხველებაზე ეტყობო-

და, არ ეძინა. ფეხ-აკრეფით აივანზე გავიდნენ და მშვენიერ მთვარიან ღამეს რამდენიმე სიტყვა უძღვნეს.

ფარნაოზს უნდოდა საკუთარი ლექსიც კი შეეთხზა მთვარისთვის, მაგრამ „კაშკაშს“ რითმა ვერ მოუძებნა და გაჩუმდა.

მანამ ფარნაოზი, ვახტანგი, ლეო და სოსო გარეთ მთვარიან ღამითა სტკბებოდნენ, ონისე და ირაკლი დაწოლილიყვენ და ტკბილათ ხვრინავდნენ.

—რა გვეშველება, დილაზე ათ საათზე უნდა ავდგეთ, ეგზამენებისთვის და რომ დაგვეძინოს?!—იკითხა, ცოტა არ იყვეს, შეფიქრიანებულ ვახტანგმა.

—რომ დაგვეძინოს, იმედია გაგვეღვიძება როდისმე!—იკვიმატა ლეომ.

—ჰე, თქვენ მანდ იცინეთ და მე კი იმედი მქონდა საწოლზე დაძინებისა, ის კი არა ხმელ კალათზე უნდა მოვთავსდე. —წყენის კილოთი სთქვა ფარნაოზმა და დასაწოლათ მოემზადა.

ლეო და სოსო კარგა ხანს იცინოდნენ...

უკვე თერთმეტი საათი იყო დილისა, როცა გაჯავრებული დიასახლისი ჩვენ ყმაწვილებს აღვიძებდა:

—საქართველოს ამშენებლებო, გეყოფათ დილის ნებიერობა, ადექით „იგზამინიაზედ“ წადით, ადექით!-ო.

ვაჟკაცები კი გმირულათ ხვრინავდნენ...

ვანო კარბელაშვილი.

ქ. ადესა.

გრიგოლ ვეშაპელი.

არჩილ ჯორჯაძის
ფილოსოფიური შეხედულებანი.

არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიური შეხედულებანი. *)

„მე თვითონ ვეძებ მას, რაც უარმიყვია თეორიულად“.

არჩ. ჯორჯაძე.

«სიცოცხლის გზაზე სდგას ხის ჯვარედინი, რომელზედაც მოსჩანს წარწერა: – უკან მიბრუნდები — ამწვანებული მდელო, გაზაფხული და სიხარულია. წინ გადასდგამ ფეხს, დაინახავ არე-მარეს, შემჭკნარ და გაყვითლებულ ფოთლებით ავსილს; ხოლო იქით, კიდის ბოლოში — წყვდიადით მოცულ არარაობას»... („წერილები იტრიის წისქვილიდან“).

ამ სიტყვებში განსახიერებულია ის მარადიული პრობლემა, რომლის გარშემოც ტრიალებს არჩილის მთელი ფილოსოფიური აზროვნება. მისი აზროვნების ტრაღედიაც სწორეთ იმაშია, რომ სოციალურ შეხედულებათა სფეროში ოპტიმიზმით გაჟღენთილი, „მომავალ ამ სოფლათ საზოგადოებრივ სამართლიანობის დამყარებისა“, არჩილი იმავ დროს მწვავეთ განიცდიდა პესიმისტურ გრძნობას ფილოსოფიურ საკითხთა გარდაწყვეტაში.

არჩილის თვალთ წინ მუდამ იდგა ლანდი გამოსაცნობ სფინქსისა თავის საბედისწერო კითხვებით: ვინ ვართ ჩვენ; საიდან მოვალთ და სად მივალთ; რაშია აზრი ჩვენი ცხოვრებისა, რომელსაც თანა სდევს ულმობელი სიკვდილი; უკვდავია ჩვენი „მე“ – პიროვნება- თუ იგიც ჰქრება სამყაროს მარადისულ ცვალებადობაში?

ვისი გული არ შემკრთალა ერთხელ მაინც ამ წყეულ კითხვათა მოგონებაზე; ვის სულს არ გადაფარებია ბინდი მწუხარებისა?

*) მოხსენება, წაკითხული 21 მარტს 1914 წ. მოსკოვში უნივერსიტეტთან არსებულ **„ი. ჭავჭავაძის კულტურულ წრე“**-ში.

მაგრამ დიადი სული არ კმაყოფილდება ზედაპირულ განცდით. იგი თვისი არსების მთელი სიღრმით სწვდება ამ კითხვათა მარადისობას. მის გულში იბადება წინადგრძნობა იმ უხილავ, ხელუხლებ სამყაროსი, რომლის არსებობაც ხთება არა ნაკლებ რეალობათ, ვიდრე არსებობა ფიზიკურ განცდის სფეროში მოთავსებულ სინამდვილისა.

ილია ნაკაშიძის სხარტულ გამოთქმით, მთელი ცხოვრება არჩილ ჯორჯაძისა წარმოადგენდა განუწყვეტლივ ბრძოლას სიკვდილთან, როგორც ფიზიკურათ, ისე ფილოსოფიურათ.

მუდმივი ძიება ზნეობრივ-რელიგიურ იდეალისა, ძიება, რომელსაც განუცდია მწვავე დაღი პესიმისტურ გრძნობისა, პირველ ყოვლისა არის, ჩვენის აზრით, აღმოცენებული თვით არჩილის სიცოცხლის ტრაღედიაში.

მოიგონეთ რამოდენიმე ხაზი არჩილის ბიოგრაფიიდან, გადმოცემული მისი მეგობრების მოგონებაში და თქვენ მისწვდებით ამ ტრაღედიის წყაროს.

არჩილი ჯერ ბავშია, როდესაც მის თვალწინ მდინარეში იხრჩობა მისი ორი და. „ამ უბედურ შემთხვევამ წაუშლელი დაღი და სამუდამოთ დაკოდილი ძარღვები დაუტოვა არჩილის ნაზ და ჩვილ აგებულებას.“ მასუკან არჩილს არ უნახავს ქუთაისის არე-მარე; მეგობართა დაპატიჟებაზე იგი უპასუხებს: „მე ქუთაისს ვერასოდეს ვნახავ, რადგან ქუთაისის დანახვისთანავე წარმომიდგება თვალ წინ ჩემ უბედურ დების ტრაღიკული სიკვდილიო.“

დაუმატეთ ამას არჩილის ფიზიკური ნაკლი (მარცხენა ხელის) და ბოლოს ის საშინელი განსახიერება სიკვდილისა—ჰლექი, რომელიც უკვე სტუდენტობის დროიდან თან სდევდა არჩილის სიცოცხლეს—და თქვენ ნათლათ წარმოიდგენთ თუ რა დაუშრეტელი იყო ინდივიდუალური წყარო არჩილის პესიმისტურ ჰანგებისა, წყარო, რომელსაც ერთვოდა გარეშე, საზოგადოებრივი—ეროვნული სივალალის ნაკადული!

ვის უნდა ეგრძნო თუ არა არჩილს მთელი სიმწვავე **სიულლი პრიუდომის** მგზნებარე ლექსთა:

—„ამ სოფლათ ხმება იასამანი და ფრინველთა გალობაც ხანმოკლეა, ამ სოფლათ ტუჩი ტუჩს ოდნავ ეწაფება...

ამ წუთისოფელში ყველანი დასტირიან ზოგი მეგობრებს, ზოგი საყვარელს...

იგი კი ოცნებობს იმგვარ კოცნაზედ, რომელიც სამარადისოა... იმგვარ ზაფხულზედ, რომელიც სამუდამოა... იმგვარ კავშირზედ, რომელიც მარადიულია“... („იმა ქვეყანათა ხელშეხება“).

მთელი ისტორია არჩილის აზროვნებისა განვითარების განუწყვეტელი ლტოლვაა ამ მარადიულ არსებობის ნავთსაყუდელისკენ. ძიება ფილოსოფიურ-ეთიურ-რელიგიურ მსოფლმხედველობისა გადის წითელ ზოლივით მის ნაწერებში, დაწყებული 1901 წლიდან ვიდრე მისი ცხოვრების უკანასკნელ წუთამდე.

წინამორბედი და დამნერგი იმ ეროვნულ-პოლიტიკურ მიმდინარეობისა, რომელიც უნდა გარდიქცეს ახალ სახარებათ ქართველ მშრომელ ხალხისთვის, არჩილი არ ეკუთვნოდა საბედნიეროთ იმ ქართველ პოლიტიკოსთა რიგს, რომელთაც არ შეწევთ ძალა განყენებულ აზროვნებისა ფილოსოფიურ კითხვათა განმარტებაში.

სოციალურ პოლიტიკის მესაჭეობა არ უშლიდა არჩილს ძვირფასი ნააზრევი შეეტანა ქართულ ეროვნულ აზროვნების სალაროში განყენებულ პრობლემათა გარკვევით.

ამ მხრივ იგი თვალსაჩინო გამონაკლისს წარმოადგენს „უფილოსოფობის“ სენით შეპყრობილ ქართველობაში, სადაც არა მარტო ფართო ინტელიგენტური წრეები, არამედ თვით მათი მოწინავე ბელადებიც კი მოკლებული არიან ფილოსოფიურ აზროვნების უნარს.

და განა ეს ჩვენი აუცილებელი ბედია?

განა ქართველთა კულტურას არ ახსოვს დავით — თამარის ოქროს ხანა, როდესაც იქმნებოდა ეროვნული ფილოსოფია, მეცნიერება, პოეზია და ხელოვნება? მოიგონეთ ჩახრუხაძე, რუსთაველი, რომელიც თამარის სადიდებლათ ამღერებდა ეგვიპტეს, საბერძნეთის, რომის და ინდოეთის კლასიკურ სახელებს. მოიგონეთ სიღრმე: „ვე-

ფხვის ტყაოსან“-ში განსახიერებულ ფილოსოფიურ შეხედულებათა. მოიგონეთ მე-XI საუკუნის ქართველი ნეოპლატონიკები: ჰირჰიმელ-პეტრიწი —მთარგმნელი არისტოტელისა, ფლაბიუსისა, პროკლე დოდოხისა; იოანნე ტარიდჩიძე—მთარგმნელი არისტოტელის დიალექტიკისა; საბა სინგელი; არსენ იკალტული; ეფრემ მცირე და სხვ.

ჩვენ გვავიწყდება ქართული მწიგნობრობის „ვერცხლის ხანა,“ ხანა ტეხილისა მე-XVII—XVIII საუკუნეში, როდესაც ხელახლა დამკვიდრდა ეროვნული მიმართულება ჩვენს კულტურაში.

მოიგონეთ ამ დროის ტრაქტატები ღვთის მეტყველებაში, ფილოსოფიაში, ისტორიაში, რითორიკაში, დაწერილნი არჩილ I, ოეიმურაზ I და II, ვახტანგ VI და ანტონ კათალიკოზის მიერ; განსაკუთრებით ანტონის „გზა მეტყველება“ —რელიგია-ფილოსოფიური ტრაქტატი მონოფიზიტთა წინააღმდეგ მიმართული, მისი წყობილ სიტყვაობა“, თარგმანი ვოლფის „ფიზიკისა“, წინასიტყვაობა ბურმეისტერის „ფილოსოფიისა“, რომელიც მაშინდელ დროს სახელმძღვანელოთ ყოფილა მიღებული ქართულ უმაღლეს სასწავლებელში; მისი ორიგინალური თხზულებანი: დიალექტიკა, ლოღიკა და სხვანი. მოიგონეთ ძველი ქართული თარგმანები კლასიკოსთა: ჰომერის, ჰეროდოტესი, პლუტარქის, ციცერონისა, მოიგონეთ რომ მონტესქიეს „L'esprit des lois“ ჯერ კიდევ მე-XVIII საუკუნეში თარგმნილა დავით ბატონიშვილის მიერ. —მოიგონეთ ყველა ეს და თქვენ დამეთანხმებით, რომ ტრადიციები ფილოსოფიურ აზროვნებისა არც ისე სუსტი ყოფილა ჩვენში ძველათ, როგორც ეს პირველ შეხედვით გვეჩვენება ჩვენ, დაბადებულთ სოციალურ-პოლიტიკურ დაკნინების ხანაში.

გარეშე ბარბაროსულ ძალათა მეოხებით გაწყვეტილა ძაფები კულტურულ მემკვიდრეობისა ძველ და დღევანდელ საქართველოს შუა და ჩვენ, ვითარცა „ახლათ შობილნი“ გვიხთება ხელახლათ ანბანების სწავლა იმ განყენებულ კითხვათა სფეროში, რომელნიც საუცხოოთ ყოფილან განმარტებულნი ათიოდე საუკუნის წინ.

და არჩილიც სწორედ რომ პირველი და უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია საქართველოს XX საუკუნის კულტურულ მოძრაობისა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს **ხანა ქართულ კულტურის რესტავრაციისა**.

*
* *

ჩვენ არ ძალგვიძს აქ სავსებით შევეხოთ არჩილის შეხედულებათა განვითარებას ბიოგრაფიული ცნობების შეკავშირებით. ამისათვის საჭიროა ხელთ გვქონდეს არა მარტო მოგონებათა ხასიათის ნაწყვეტები, არამედ საფუძვლიანად შედგენილი ბიოგრაფია.

ამიტომ უმთავრესი მასალა და საზომი ჩვენთვის იქნება თვით არჩილის ნაწერები, მოთავსებულნი მის სიცოცხლეშივე გამოკვეთულ თხზულებებში (ნაწერები 1901—1911 წ.). თამამათ ითქმის, რომ ამ ათი წლის განმავლობაში არჩილის თვალსაზრისი არ იყო უძრავი და უცვლელი. იგი მუდამ ძიება-კვლევაშია. და თუ XX ს. პირველ წელთა ნაწერებს ახის მძლავრი დაღი ოპტიმიზმისა, რომელშიაც გადაწნულნი არიან როგორც სოციალური ისე ფილოსოფიური ელემენტები, სამაგიეროთ უკანასკნელნი, მეათე წელთა ნაწერები პესიმისტურ-ირრაციონალურ წინადგრძნობებზე არიან აწყობილნი. მათ ნიშანდობლივ თვისებას შეადგენს ძლევა იდეოლოგიურ მეტაფიზიკისა რეალისტურ ემპირიკაზედ და თანდათანობით გამართლება პესიმისტურ მსოფლმხედველობისა, რომლის სიმპატია პირველ ხანში უფრო ინტუიტურად გრძნობიერი ბოლოს ინტელექტუალურადაც მართლდება არჩილის თვალში.

რეალისტურ ხანას ეკუთვნის რიგი წერილთა, მოთავსებულნი „ცნობის ფურცელ"-ში და უმეტეს შემთხვევაში მათი თემა—პარქსიზმთან შებრძოლებაა. არჩილი აქ აშკარავებს ისტორიულ მატერიალიზმის ფილოსოფიურ ცნებათა სიყალბეს. პირველი მათგანი არის ცნება სუბსტანციისა და პირველყოფილ მიზეზისა*). არჩილი სამართლიანათ

*) „ისტორიული მატერიალიზმის გამო" (თხზულებანი, წ. IV გვ. 77).

ხედავს მათში დოგმატიურ აზროვნების ცნებებს. მატერიის აღიარება ერთათ ერთი აბსოლიუტური ხასიათის სუბსტიანციათ და პირველ-ყოფილი მიზეზით გრძნობიერებისა და აზროვნებისა — ყველა ეს ეწინააღმდეგება თანამედროვე ფსიქო-ფიზიოლოგიის დასკვნათ, რომელიც უარყოფილათ უცქერს, როგორც მატერიალისტურ, ისე იდეალისტურ მონიზმს. სული და ნივთიერება, იდეა და მატერია ურთიერთისგან დამოუკიდებელი პარალერული პროცესებია. მატერიის ცნება სულიერ მოვლენათა მიზეზათ ყოვლად შეუძლებელია. ასეთივე დოგმატიური მეტაფიზიკაა მარქსიზმის დიალექტიური კანონი -ვითომც სინამდვილის შეგნების და მდგომარეობის-მოვლენათა ცვალებადობაში ერთი მოვლენა (მიზეზი) გარდაიქმნის მეორეში (შედეგი). უკანასკნელი თავის მხრივ იქცევა მესამედ, რომელიც წარმოადგენს პირველის და მეორის შედუღებას. ყველა ეს ჰეგელის მეტაფიზიკის მემკვიდრეობაა, უარყოფილი როგორც ბიოლოგიაში, ისე ფიზიკაში: რაოდენობა არასოდეს არ გადადის თვისებაში. ასეთი დიალექტიკა სრულიად არ შეესაბამება ენერგიის შენახვის კანონს.

ამგვარათ ნიადაგი არჩილის თვალთახედვისა არის კრიტიკულ ფილოსოფიის ნიადაგი. მისთვის ყოველ ადამიანის ცოდნას სუბიექტური პირადი ხასიათი აქვს. ქვეყანა მოვლენათა წყობაა. მათ აკავშირებს ადამიანის გონება. წესი და რიგი, რომელიც არსებობს ჩვენს წარმოდგენათა შორის - გარეშე სინამდვილეში კი არ არის აღმოცენებული. იგი ჩვენი — შინაგან მიზეზის — შეგნების მიზეზია.

სუბიექტურ თვალსაზრისზე მდგომს არ შეუძლია მიიღოს არც მარქსისტული შეხედულება აუცილებლობა - თავისუფლებაზე.

თუ საგანი-მოვლენა არ არსებობს ობიექტურათ, თუ მისი არსებობა დამოკიდებულია ადამიანის შეგნებაზე — მაშ არც აუცილებლობის კანონი, რომელიც მეფობს ჩვენს გარეთ, წარმოადგენს ჩვენგან დამოუკიდებელ მოვლენათა კავშირს. იგიც ადამიანის შედეგია. რა დამოკიდებულობაა აუცილებლობის და თავისუფლების შუა?

არჩილი ვერც ამ კითხვაში ეთანხმება მარქსიზმის განმარტებას. მარქსიზმი გვეუბნება—თავისუფლება იგივე აუცილებლობაა, მხოლოდ შეგნებული. ერთი გადადის მეორეში. ნამდვილი ჰეშმარიტი თავისუფლება იგივე აუცილებლობაა.

არჩილისთვის ყოვლად მიუღებელია ასეთი უკანონო შეუღლება თავისუფლების და აუცილებლობისა.—„თავისუფლება, ამბობს იგი, განსაზღვრული მიზნის ასრულებაა. იგი უარყოფაა ყოველივე დაბრკოლების, რომელიც მას გზაზე ეღობება. აუცილებლობა კი განუსაზღვრელი ბრმა პროცესის მსვლელობაა. აქ განდევნილია ყოველივე დაფასება ზნეობრივ საზომის მიხედვით. აუცილებლობამ არ იცის სიკეთე და სიავე. ერთი სიტყვით „აუცილებლობა“ და „თავისუფლება“ ორი წინააღმდეგობაა. რამდენათ პირველი ბატონდება, იმდენათ მეორე ილახება. მათ შორის ბრძოლაა, სწორედ ის ბრძოლა, რომლის კვალს ჩვენ ვხედავთ ცხოვრებაში, როდესაც უკეთესი მომავლის, უკეთესი წესწყობილებისათვის გამოვდივართ სამოქმედოთ და ადამიანის პრაქტიკული მოქმედება,—დასკვნის არჩილი,—ვერ დაემორჩილება აუცილებლობის კანონს, რადგან აუცილებლობა თავისუფლების დამხობა და გათახსირებაა.

ადამიანის პიროვნების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ურმის თვალის სოლს კი არ მიაგავს, არამედ თვით ურმის თვალს და მის მოქმედებას შემოქმედებითი ძალა აქვს.

ინტელიგენციის მოქმედებას ეძლევა მკვიდრი ნიადაგი მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი განთავისუფლებულია ცხოვრების ვითომდა ობიექტურ, ადამიანისგან დამოუკიდებელ, უაზრო და უმიზნო პროცესიის მონობისგან.“

ასეთია არჩილის თვალსაზრისი ისტორიის ფილოსოფიაში. იგი, როგორც ხედავთ, უახლოვდება ეგრედ წოდებულ სუბიექტურ შკოლას, რომლის საუკეთესო წარმომადგენელნი არიან რუსეთში **პ. ლავროვი** და **ნ. მიხაილოვსკი**. მათთან ერთათ არჩილი აღიარებს ფსიქოლოგიურ და ეთიურ ფაქტორთა საჭიროებას ცხოვრების ფილოსოფიურ განმარტებაში.

უფრო ინტიმურ ხასიათისაა 1902 წელს ნაწერი ეტიუდი „გზაში“. *) თემა—თანამგზავრთან საუბარია რკინის გზის ვაგონში. თვითონ არჩილს რამოდენიმე რეპლიკა თუ ეკუთვნის, თორემ სხვა მთლათ მოსაუბრის აზრის გადმოცემაა. აქ ვითომ არჩილის „მე“ არც კი არის შეხებული. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შეხედვით.

მოგეხსენებათ, რომ ყოველ მწერლის თხზულებაში პირველი ადგილი უჭირავს სიუჟეტს-საგანს,—რაზედ სწერს ავტორი,—ეს არა ნაკლებ ნიშანდობლივია, ვიდრე რას და როგორ სწერს იგი.

ეტიუდი „გზაში“ საგულისხმოა სწორეთ ამ მხრივ. არჩილი მთელს წერილს უძღვნის თავის შემთხვევით თანამგზავრს, ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ მის შეხედულობას სიცოცხლე-სიკვდილის წყეულ კითხვებზე. მეტათ მძლავრია დაღი პესიმიზმისა, რომელიც აზის მას, აწყობილს ვინიესებურ ჰანგებზე.

—„რად მოქმედობს ადამიანი, რად ებღაუჭება იგი სიცოცხლეს? რა არის ამ სიცოცხლეში ასეთი ხელთ-საჭიდებელი?... ბედნიერებისათვის? სად არის ბედნიერი? ვინ არის კმაყოფილი... ფუჭია, თვალთმაქცობაა და მოტყუება სიცოცხლე... ერთი თაობა მეორე თაობის ადგილს იჭერს, მეორე თაობა მესამისას, მხოლოდ ყველა ესენი რიგ-რიგზე ჰქრებიან და კვდებიან. რა აზრია ამაში?... ვსთქვათ თქვენ საზოგადო მოღვაწე ხართ და როდესაც თქვენი აზრი დამწიფებულია და თქვენ მზათა ხართ თქვენი სულიერი ძალა სხვას გადასცეთ, მოულოდნელათ ხდებით ავათ, იტანჯებით რამდენიმე დღეს და კვდებით. ესე იგი სამუდამოთ ეცლებით თქვენ მეგობრებს, სტოვებთ დაუმთავრებელ შრომას, იკლავთ გულში გამოუთქმელ სიტყვებს... მითხარით რა აზრია ყველა ამაში?...“ - მითხარით რა აზრია ყველა ამაში? ასე ათავებს არჩილის მისაუბრე ყოველ თავის მგზნებარე სიტყვას. თვით არჩილი მხოლოდ გაუბედავ «ოფიციალურ» პასუხს თუ აძლევს ხანდახან თავის მოკამათეს, თორემ იგი უფრო მეტათ სდუმს. თქვენ ეჭვი გეპარვებათ ამ თანამგზავრის რეა-

*) თხზულებანი IV—249 გვ.

ლურ არსებობაში. იგი მხოლოდ დასურათხატებაა თვით არჩილის თანამდევ ტრაღიულ განცდის. იმ განცდის, რომელსაც საფრანგეთის ბაირონმა **ალფრედ დე-ვინიიმ** უწოდა: „passion des idees.“

ჩვენ დავინახავთ თუ როგორ გადაიფურჩქნა შემდეგი ათი წლის განმავალობაში ამ ფსიქოლოგიურ ეტიუდში ჩასახული პესიმისტური გრძნობა და როგორ დაადასტურებს სიცოცხლის ტრაღიზმს თვით არჩილის ინტელექტი, ჯერ კი იგი ცდილობს გარმონიულათ შეაზავოს როგორც ფილოსოფიური, ისე სოციალური მსოფლმხედველობა. გარმონია როგორც განყენებულ, ისე პრაქტიკულ შეხედულებათა შორის,—ეს ყოველ მწერლის იდეალია, და არჩილიც ილტვის ამ იდეალისაკენ.

ამ მხრივ ერთ უკანასკნელ ცდათ უნდა ჩაითვალოს იმავე 1902 წელს ნაწერი—«ცხოვრების საგანი». *) აქ თითქმის შებრძოლებასაც კი ვხედავთ პესიმისტურ ცხოვრების მხედველობასთან.

უარყოფა ამ ქვეყნის სიამისა, აღიარება ცხოვრების უაზრობისა, ბედნიერების თვალთმაქცობისა, ადამიანის მარტოობა—ყველა ამას ვერ შერიგებია არჩილის ინტელექტი—გონიერება. იგი ცდილობს სიცოცხლის გამართლებას და მის ღირებულების აღდგენას. მისი თვალსაზრისი იგივეა, რაც საფრანგეთის პოეტ-ფილოსოფოსის **ჟან მარი გიუიოსი**. გიუიოს აზრით, სიცოცხლის იდეა არის ის საყოველთაო დასაწყისი თვისება, რომელზედაც უნდა ემყაროს როგორც ზნეობრივი და რელიგიური რწმენა, ისე ხელოვნება. ინტენსიური ცხოვრება პიროვნებისა თავის თავისთვის არის იმავ დროს ექსტენსიურათ ნაყოფიერი დანარჩენ ადამიანთათვის. საზოგადოებრივ ცხოვრების აზრი—სოლიდარობაა და რელიგია მხოლოდ გაფართოვებაა ამ ფაქტისა. ვინაიდან იგი აერთებს ადამიანს არა მარტო დანარჩენ საზოგადოებასთან, არამედ მთელ სამყაროსთან. ამგვარივეა არჩილის შეხედულებაც.

ზნეობა სიცოცხლის იდეაზე დამყარებული, ურელიგიო გაერთიანება ადამიანისა მთელ ცხოველ სამყაროსთან აი ის ოპტიმის-

*) თხზულებანი IV—გვ. 255.

ტური მრწამსი, რომლითაც მას უნდა წინაღუდგეს პესიმისტურ მიუნდობლობას.

«თვით სიცოცხლეში,—გვეუბნება არჩილი,- იმდენი ღირსებაა, იმდენი სიამოვნება და მომხიბლველობა, რომ ყოველივე ეს საკმარისათ უღვიძებს ადამიანს სიცოცხლის სურვილს... ვისარგებლოთ და დავსტკბეთ ახალგაზდობით, როდესაც ოცნება და აღფრთოვანება ჩვენს გონებაში ერთმანეთს ეცილებიან. თუ სიკვდილის მოგონება საღერღელს გვიშლის, გავიხსენოთ რომ სადაც სიკვდილია, სიცოცხლე და დაბადებაც არის, ესე იგი, სიხარული და ბედნირება.

«ამასთან ისიც მოვიგონოთ. რამდენნაირ სიხარულს აქვს ადგილი ჩვენს გულში, როგორ ამშვიდებს ადამიანს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, როგორის სიხარულით ვეგებებით ხოლმე ჩვენ ახალ აზრს, როგორ გვაფრთოვანებს წრფელი გრძნობა, სულის წარმტაცი ოცნება, თავგანწირულება და სულდიდობა; ყველა ეს რომ გავიხსენოთ... დავინახავთ, რომ სიცოცხლეში, არამც თუ ნამდვილი სიხარულია, ღრმა აზრი და მნიშვნელობაც არის.»

ასეთი ოპტიმისტური ხასიათისაა არჩილის აღსარება მისი აზროვნების პირველ ხანაში.

აქ სოციალურ შეხედულებათა ოპტიმიზმი გადაწნულია ფილოსოფიურ ხასიათის ოპტიმიზმთან და მათ შორის სრული გარმონია სუფევს. ამ გარმონიას ველარ ვხედავთ შემდეგ ხანის ნაწერებში, რომელნიც ეკუთვნის 1908 წელს. გარმონია მსოფლმხედველობისა აქ უკვე დამსხვრეულია. რეალისტურ-ოპტიმისტურ ჰანგების ნაცვლათ ისმის უკვე მისტიურ-პესიმისტური ხმები.

*
* *

სად უნდა ვეძიოთ მიზეზი ამ ევოლიუციისა?

უპირველესათ ყოველისა თვით არჩილის პიროვნებაში. თუ სიყმაწვილიდგანვე ტანჯული იყო არჩილის სიცოცხლის მსვლელობა, იგი პირდაპირ მოწამეობით ხასიათისაა უკანასკნელ წელთა განმავლობაში.

სიკვდილის წინამორბედი – ჰლექი საბოლოოთ დაეპატრონა არჩილის მწუხარ ცხოვრებას. რამოდენიმეჯერ სიკვდილს გადარჩენილი, არჩილი ნამდვილი პატიმარი გახდა. „მთელ ზამთარში, მოგვითხრობს მისი მეგობარი, – იგი ოთახში იყო გამომწყვდეული ოთხ კედელს შუა. უფრო ხშირათ წამოწოლილი იყო ლოგინზე, კითხულობდა... დილაობით კი არჩილი სწერდა ხოლმე. არავითარი გასართობი მისთვის არ არსებობდა, არავითარ პრაქტიკულ საქმეში მას მონაწილეობის მიღება არ შეეძლო. იგი ვერ დაესწრებოდა კრებას, ვერ წავიდოდა წარმოდგენაზე, ვერ მოისმენდა კონცერტს. მისი სისუსტისა და დაავადებულ სხეულისათვის ყველა ეს შეუძლებელი იყო... მან კარგათ იცოდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ჰქონდა და ცდილობდა საჩქაროთ გამოეთქვა თავისი აზრები, სამარეში არ ჩაეტანა თავისი ფიქრები.“ მეგობართა საყვედურზე, რატომ არ აძლევს დასვენებას თავის დაავადებულ ორგანიზმს, არჩილს არა ერთხელ უთქვამს: „თუ ვცხოვრობ, მხოლოდ იმისთვის, რომ ვიმუშაო და რამე დავწეროო, ამის მეტი არავითარი ინტერესი აღარა მაქვს ცხოვრებისა და თუ ესეც მომესპო, მაშინ სიცოცხლე რათ მინდა, თუ კი ჩემს თავს ზედმეტ ბარგათ ვიგრძნობო.“

—„იფიქრებდი, რამდენათ ძლიერი უნდა იყოს იგი სულით, რომ თავი არ დააჩაგვრინოს მის წინააღმდეგ ამხედრებულ შავბნელ ძალას: გარეშე საზოგადოების მწარე უიმედობას, რომელიც, რაც უნდა განმარტოებული იყოს სნეული ადამიანი, მის ლოგინთანაც გაიკაფავს უთუოდ გზას – და შიგნით თვით სხეულში ღრმათ ფესვგადგმულ სასტიკ ულმობელ სნეულებასო,“ ამბობს **ილია ნაკაშიძე**, თანდამსწრე ტანჯულ მოღვაწის ცხოვრების უკანასკნელ წელში.

ილია ნაკაშიძის სიტყვებში ერთი საგულისხმო ხაზია, რომელიც გვითითებს ჩვენ, გარდა არჩილის სუბიექტურ-პიროვნულ ტრაღედიისა, კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე – გარეშე საზოგადოების უიმედობაზე. შიგნით და გარეშე ცხოვრების უიმედობა – აი ის ნაყოფიერი ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა არჩილის უკანასკნელ წელთა ფილოსოფიური პესიმიზმი. ნუ დაივიწყებთ, რომ

ეს ხანა ეკუთვნის რევოლიუციონურ ტეხილის შემდგომ გამეფებულ უდროობას, რომელმაც მძლავრი პესიმისტური დაღი დაადო ქართულ ინტელიგენციის მეცნიერებას. სწორედ ამ ხანაში აღმოცენდა ჩვენში ის რელიგიურ-მისტიური მიმართულება მწერლობაში, რომლის პირველი მერცხალიც არის **გრიგოლ რობაქიძე**.

და დიდსულოვანება არჩილის სწორეთ მასშია, რომ მან მკაცრათ განსაზღვრა თვისი ფილოსოფიური პესიმიზმი სოციალურ შეხედულებათა სფეროდან. უკანასკნელში იგი იყო და დარჩა მოიმედე წინასწარმეტყველად.

ევოლიუცია გიუიოს ოპტიმისტურ ფილოსოფიიდან რელიგიურ მისტიურ დასკვნამდე რომ ადამიანი „მომქმედია იმ ტრაღედიისა, რომელსაც სიცოცხლეს უწოდებენო.“ ამგვარი ევოლიუცია არ არის განმარტოებული დიად პიროვნებათა აზროვნების ისტორიაში.

მოიგონეთ საფრანგეთის ფილოსოფოსი **ოგიუსტ კონტი,** დამაარსებელი თანამედროვე სოციოლოგიისა. პირველ ხანაში იგი უარყოფდა ყოველივე მეტაფიზიკას; მისთვის არ არსებობდა საგანი შემეცნებისა გარეშე გამოცდილების სფეროში მყოფ მოვლენათა. არა სუბსტანციის და არა პირველყოფილ მიზეზთა შესწავლა, არამედ — ბუნებაში მომქმედ კანონთა შეგნება — აი ასეთი იყო კონტის პოზიტიური შეხედულება.

მაგრამ იმავე კონტმა თავის აზროვნების ევოლიუციის მეორე ხანაში შექმნა მეტაფიზიკურ-მისტიური სისტემა: აღიარა ინტელექტის-გონების უძლურება გრძნობათა წინაშე და გარდააქცია თავისი ფილოსოფიური სისტემა რელიგიათ. თუ წინათ იგი მთელ კაცობრიობის განვითარებაში ხედავდა სამ ხანას: თეოლოგიურს, როდესაც ადამიანი ყოველივეს ზეარსი, ღვთიური განგებით ხსნის; მეტაფიზიკურს, როდესაც ადამიანი მიმართავს მოვლენათა ასაცთნლათ სუბსტანციას, პირველყოფილ მიზეზს, და თანამედროვე — პოზიტიურს — სამაგიეროთ მანვე აღიარა დაბოლოს მეტაფიზიკურ-თეოლოგიური კულტი „დიად არსებისა“ (Grand Etre) და იქამდის მივიდა თავის

რელიგიურ ლტოლვილებაში, რომ მოინდომა ახალ პირჯვარის, ახალ კალენდრის და ახალ წმინდანების შექმნა!

ასეთია კანონი ღრმათ გამცადი აზროვნების ევოლიუციის. რა გინდ პოზიტიურ თვალთახედვით არ იწყებოდეს იგი დაბოლოს უსათუოდ დაძლევს მეტაფიზიკა.

*
* * *

მაგრამ გავყვეთ არჩილის აზროვნების ევოლიუციას.

1908 წლის ნაწერი „ინდოეთის სიბრძნე“ იწყება **რუსთველის** ეპიგრაფით:

—„ვერ დაიჰირავს სიკვდილსა გზა ვიწრო ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი განსწორდეს: სუსტი და ძალგულოვანი.“

ამიერიდან სიკვდილის პრობლემა შუაგულ ადგილს იჭერს არჩილის განყენებულ ნაწერებში.

საგულისხმოა საგანი, რომელსაც არკვევს ავტორი.—„ინდოეთის სიბრძნე“ – ეს ხომ პირველი და უაღრესი სისტემაა პესიმისტურ ფილოსოფიისა, შექმნილი კაცობრიობის თვითშემეცნების აკვანში. სისტემა, რომლისათვისაც ხორციელი ცხოვრება დროსა და სივრცეში მოქცეული — მხოლოდ ტანჯვაა! ტანჯვა, რომლისგან თავის ხსნა შეიძლება მხოლოდ ყოველივე გრძნობიერებას მოკლებულ ნირვანაში.

მართალია, არჩილი არ ეთანხმება სავსებით ინდოეთის ბრძენთა ტრაღიულ დასკვნათ, მაგრამ მისთვის უკვე ცხადდება აუცილებელი სიკოტრე მეცნიერებისა წყეულ კითხვათა გარდაწყვეტაში.

თანამედროვე ბიოლოგები ცდილობენ სიკვდილის პრობლემის ოპტიმისტურათ გარდაწყვეტას. არჩილი მიუკერძოებლათ უკეთებს ჯამს მათ საუკეთესო წარმომადგენელთ, **მეჩნიკოვ-დასტერს** შრომათ. მათთვის არ არსებობს სიკვდილის საბედისწერო აუცილებლობა. ბუნებაში უკვდავნი არიან ერთუჯრედოვანი არსებანი—ინფუზორიები—აგრეთვე პოლიპები.

თვით ადამიანის სხეულში არიან უკვდავნი ნაწილნი, მაგალითად სახეთა გამრავლებისათვის დანიშნული უჯრედები — სპერმატოზოიდები. არც ადამიანის სიკვდილი არის აუცილებელი ბუნებრივობა. იგი პატოლოგიურ ხასიათისაა. მეცნიერების იდეალი, მეჩვენოს რომ კითხოთ, სწორედ მასშია, რომ მოისპოს, ავათმყოფური ხასიათის სიბერე და გახდეს იგი ჯანსაღათ და ხანგრძლივ ჰასაკად. მაშინ ვითომც სრულიად გაქრება შიში სიკვდილისა, ვინაიდან ჩვენივე ბუნებაში აღმოცენდება სიცოცხლის ალღოზედ არა ნაკლებ მძლავრი ალღო სიკვდილისა, რომელიც სრულიათ აღმოფხვრის ადამიანის გულში გარდაცვალების **მწვავე განცდას**... მწუხარე და მაძიებელი სული არჩილისა ვერ ურიგდება ასეთ კომპრომისს; იგი მიილტვის მეტაფიზიკურ სფეროში. „იმედი, — ამბობს არჩილი თავის წერილის დასასრულში, ჯერ ხნობით ოცნებათ რჩება და ადამიანის გული, წარსული და აწმყო მწუხარებით დანისლული, რაღაც სიამოვნებით ეწაფება სევდით გამსჭვალულ ფილოსოფიურ სისტემას.*)

ასეთივე ჰანგებზეა აწყობილი შემდეგი წლის ნაწერებიც (1909 — „პოეზიის სამფლობელოში“, „ნავთსაყუდელის ძებნაში“ და „გარდამავალი ხანა“). რაციონალური თვალსაზრისი აქ არ არის სავსებით უარყოფილი და ამიტომაც არჩილი კრიტიკულათ ხედავს თანამედროვე ფილოსოფოსთა (**ბერგსონის, ჯემსის**) ირრაციონალურ შემეცნების თეორიას.

თუმც არჩილისთვის ცხადია რომ ემპირიული მეცნიერება **კანტის** შემეცნების თეორიაზე აშენებული, თავის კვლევა ძიებაში უკვე მიადგა ერთგვარ ზღუდეს, რომლისგან გასავალი ჯერ არ აღმოუჩენიათ, მაგრამ მას მაინც არ ძალუძს ირაციონალურ მეტაფიზიკის რწმენა.— „თუ რაციონალურს და ირრაციონალურ შორის ბრძოლაა, ბრძოლა ეს ჯერ არ დამთავრებულა და სანამ ირაციონალიზმი არ გაიმარჯვებს, რაციონალიზმის მიმდევარნი თავის ნიადაგს არავის დაუთმობენ და არ შეიწყნარებენ სიცოცხლის იმგვარ გან-

*) თხზულებანი წ. III გვ. 92.

მარტებას, რომელსაც ირრაციონალურ განმარტების ხასიათი აქვსო. არ შეიწყნარებენ იმ შემთხვევაშიაც, თუნდაც რომ მათი რაციონალური განმარტება უძლური იყოს სიცოცხლის საიდუმლოების ახსნის კითხვაში... საიდუმლოების წინ ჩაფიქრებული ვდგევართ და ოავი არ გვინდა ვიხსნათ «სასწაულის» აღიარებითო“ (გარდამავალი ხანა. წ. III).

თქვენ გრძნობთ თუ როგორი ორმაგი ხასიათისაა ასეთი დაგმობა ირრაციონალიზმისა. მწერალი უკვე აღიარებს „საიდუმლოებას,“ რომლის გამოცანაში უძლური აღმოჩდა რაციონალური შემეცნება და ეს ხომ სიღარიბის დამოწმებაა ემპირიულ ცოდნისთვის. მაგრამ არჩილი მაინც ვერ მინდობია მაცთურ ინტუიტიზმის ტალღათა ნებისყოფას. შემდგომ წელთა ნაწერებს (1910 1911 წ.წ.) ეტყობა ამ მხრით მეტი რადიკალიზმი. მათ უცილო მეტაფიზიკური ხასიათი აქვთ. ჩაფიქრებული დგომა „საიდუმლოების“ წინაშე უკვე მიტოვებულია. ზღუდე, რომლის წინ უძლურია ემპირიული მეცნიერება, გადალახულია.

აი ამ ევოლიუციის, ანუ თუ გნებავთ რევოლიუციის მაღალადებელი ფაქტი.

1904 წელის ნაწერში „ინდოეთის სიბრძნე“ ჩვენ ვხვდებით შემდეგ საგულისხმო ადგილს: „ჩვენთვის არ არსებობს არც სუბსტანცია, არც დამოუკიდებელი „სუბიექტი“ და არც ნოუმენი. როგორც ბუნების, ისე ფსიხიკის ფარგალში არსებობს მხოლოდ ის, რაც აშკარავდება გამოცთილებით. ჩვენი გამოცდილების ფარგალი თანდათან იზრდება. რაც გამოცთილების გარეშეა, ნოუმენი (შეუგნებელი საიდუმლოება) კი არ არის, არამედ მხოლოდ ის, რაც დღეს მიუწვდომელია ჩვენთვის“.*)

მოგეხსენებათ, ეს ტიპიური დებულებაა რეალისტურ, თვით მატერიალისტურ ფილოსოფიისა, რომლის კლასიკური გამოთქმაც

*) თხზულებანი, წ. III. გვ. 54. ეს ადგილი არჩილს კურსივით აქვს მოყვანილი.

ეკუთვნის **კარლ მარქსს**. ცნობილ მეორე თეზისში ივეირბახის შესახებ იგი ჰკითხავს:

„ძალუძს თუ არა ადამიანის გონიერებას საგანთა შემეცნება იმ სახით, როგორც ისინი არსებობენ სინამდვილეში? და უპასუხებს: ეს კითხვა არა თეორიული ხასიათისაა, არამედ პრაქტიკული. პრაქტიკით—მოქმედებით უნდა დაამტკიცოს თავის შემეცნების ჭეშმარიტება, დაამტკიცოს რომ მის შემეცნებას აქვს ნამდვილი ძალა, რომ იგი არ სჯერდება მოვლენათა ამა მხარის შემეცნებით.“

ასეთივე რეალისტურია **პლეხანოვ-ბელტოვის** გნოსეოლოგიური თვალსაზრისი. (იხ მისი „Materialismus militans“).

მაგრამ 1911 წ. (თავის თხზულებათა ერთად გამოცემის დროს) არჩილი შემდეგ მრავალმნიშვნელოვან სქოლიოს უმატებს აღნიშნულ ადგილს. „ამ აზრსო,- ამბობს იგი,—სავსებით არ ვიწყნარებ ამ ჟამადო.“ *)

მაშასადამე არჩილის თვით შემეცნების თეორია, გნოსეოლოგიური თვალსაზრისი სრულიად შეცვლილა ამ ორი წლის განმავლობაში. ნოუმენი-ის რაც გამოკვეთილების გარეა მოთავსებული, საიდუმლო მხარე მოვლენათა, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებელია— ყველა ეს უკვე არსებობს ახლა არჩილის შემეცნებისთვის. ეს ხომ ნიშანდობლივი თვისებაა იდეალისტურ მეტაფიზიკის ძლევისა...

1910 წ. არჩილი სწერს „ნავთსაყუდელის ძებნა“-ს. ტრაღიკული კითხვა სიცოცხლე-სიკვდილისა აქ უკვე შუაგულ ადგილს იჭერს. პესიმიზმი ფილოსოფიური და სოციალური—აი თემა არჩილის ნაწერებისა. მას სურს დაამტკიცოს პიროველის შესაძლებლობა მეორეს უარყოფასთან ერთად.

—„არ იცი საიდან მოდის (ადამიანი), სად მიდის, არ იცი ამ გზის თავი და ბოლო. დღესაც გამოუცნობელი დარჩა ეს დიადი პრობლემა... და ადამიანის სიცოცხლე სდგას ორ ბნელ უფრსკულის წინაშე, ფესვებ მოწყვეტილი, ხვედრის მონა მორჩილი... და

*) თხზულებანი წ. III. იქვე.

დანაღვლდა ადამიანის გული... ეს სევდა იყო მჭნე ძალა თანამედროვე ფილოსოფიისა და მსოფლიო პოეზიისა... ყველა ამ რელიგიებსა, მოძღვრებებსა, ფილოსოფიურ სისტემებსა და პოეტურ შემოქმედებაში ის აზრი ისახება, რომ სიცოცხლე თავის თავად აღებული, სოციალურ ორგანიზაციის მიუხედავად ტანჯვა და მწუხარებაა. პესიმიზმი ფილოსოფიური ტრაღიკულია, აბსოლიუტური და სამუდამო. იყავით მატერიალისტი, იყავით ემპირისტი, მაგრამ უნდა აღიაროთ, რომ სიკვდილი თქვენთვის გაუგებარი მოვლენაა, უნდა გამოტყეთ, რომ სიკვდილი თქვენთვის მეტაფიზიკური მოვლენაა, რადგან მას ვერავითარი საზომით ვერ მიუდგებით და ვერავითარის საშუალებით ვერ გამოიცნობთ... მატერიალურ სისტემების მიმდევართ ჰგონიათ, რომ... იგი პესიმიზმი გამოწვეულია შიშით გამოურკვეველ მომავლის, სოციალურ უპირატესობის დაკარგვის წინაშე... მაგრამ ამ ორ მოვლენათა შორის (ტრაღიურ ფილოსოფიის და კლასიურ შიშის შუა) არავითარი ლოღიკური კავშირი არ არსებობს. ადამიანი სოციალურ ოპტიმიზმით გაჟღენთილი, მომიდე სოციალურ სამართლიანობის დამყარებისა, შეიძლება იყოს შეპყრობილი ტრაღიული გრძნობით და აზრით. და მსოფლიოს სიდუმლოება სოციალისტისათვის და რეფორმატორისათვის იგივე საიდუმლოებაა, როგორიც არის იგი ყოველ მოაზრე ადამიანისთვის... ტრაღიზმი ადამიანის სიცოცხლისა უტყუარი ფაქტია. უტყუარი ფაქტია ის, რომ სიცოცხლის წყურვილს სიცოცხლე ვერ აკმაყოფილებს, რომ სინამდვილე ღალატობს ადამიანს, სტოვებს მას მარტოთ, უმწეოს, ეულს. უტყუარი ფაქტია ისიც, რომ ადამიანი ამ თავის ხვედრს ვერ შერიგებია და ძველის დროიდანვე ნავთსაყუდელის ძებნაშია, ცდილობს დაახწიოს თავი თავის მარტოობას, განკერძოვებას, ცდილობს სიკვდილის დათრგუნვას და სიცოცხლის განმტკიცებას, გაგრძელებას, გამარადისობას, და აი მზათ არის ნიადაგი ყოველგვარ რელიგიურ სისტემების წარმოშობისთვის.“ *)

*) იქვე გვ. 26.

ეს ადგილი ფრიად საგულისხმოა იმის აღსანიშნავად თუ როგორი ევოლიუცია გამოიარა არჩილის აზროვნებამ. შეადარეთ იგი ადგილი 1902 წ. ნაწერს („ცხოვრების საგანი"), მოიგონეთ მაშინდელი ოპტიმისტური დასკვნა-- „სიცოცხლეში იმდენი ღირსებაა, იმდენი სიამოვნება და მომხიბლველობა, რომ ყოველივე ეს საკმარისად უღვიძებს ადამიანს სიცოცხლის' სურვილს...

სადაც სიკვდილია, იქ დაბადებაც არის ე. ი. სიხარული და ბედნიერება... სიცოცხლეში არამც თუ ნამდვილი სიხარულია, ღრმა აზრი და მნიშვნელობაც არისო." *) თქვენ ხედავთ ნათლათ თუ რა დიდი ზღვარია ამ ორ შეხედულებათა შუა ერთ და იმავე საგანზე. თუ 1902 წ. არჩილის მსოფლმხედველობა ემპირიულ ოპტიმიზმს უდრიდა, 1911 წ. იგი მსოფლმხედველობა კაეშანის ფერადებით არის გარემოცული.

რელიგიურ-მეტაფიზიკური პესიმიზმი--აი ახალი ფაზა არჩილის ფილოსოფიურ აზროვნებისა. ფაზა, მართალია დაუმთავრებელი, მაგრამ ფრიად საგულისხმო, ფორმულა: სოციალურ სფეროში-- ოპტიმიზმი, ფილოსოფიურში პესიმიზმი, --აი ის ტრაღერია მწერლის აზროვნებისა, რომელმაც მოუსპო არჩილის შემეცნებას მთლიანობა. ძნელია ობიექტურად ამ ფორმულის გამართლება, ვინაიდან ასეთი გამიჯვნა მსოფლ-მხედველობის სოციალურ და ფილოსოფიურ სფეროთა შორის ყოვლად შეუძლებელია. ფილოსოფიური მხედველობის სფერო ხომ თანაბარი არაა სოციალურისა, უკანსკნელი მხოლოდ პირველის ნაწილია და ამიტომაც ის, ვინც პესიმისტათ აღიარებს თავის თავს ფილოსოფიურ სფეროში, იგი თვითონვე არღვევს თავისვე ხელებით შექმნილ სოციალურ ოპტიმიზმს. არჩილი გრძნობს ამ ორმაგობის ტრაღედიას და ობიექტურათ არც კი ამტკიცებს თავის ფორმულის სამართლიანობას. იგი გრძნობს, რომ მის ფორმულას აქვს მხოლოდ სუბიექტური, პიროვნული აღიარების ღირებულება.

---

*) თხზულებანი წ. III.

ამგვარ სულისკვეთების დროს გარდაიცვალა **ლევ ტოლსტოი** და არჩილიც მგზნებარე დახასიათება-მოგონებას უძღვნის მის ხსოვნას. „მთელი სიცოცხლე და მოღვაწეობა ლევ ტოლსტოისა, — ამბობს არჩილი, — იყო სიცოცხლის აზრის ძიება. მისი ბედშაობის აღიარება სიკვდილის წინაშე, ეს იყო ტიტანიური შებრძოლება სიკვდილის პრობლემასთანო. *)

ამ სიტყვებს არჩილი ხაზს უსვამს და მართლაც განა ტრაღედია ტოლსტოისა არ არის იმავ დროს არჩილის ტრაღედიაც? განა თვით არჩილის ცხოვრებაც, მთელი მისი აზროვნების განვითარება ტიტანიური შებრძოლება არ იყო სიკვდილის პრობლემასთან?

ბრძოლა, რომლის საბოლოო ფაზათა ცხადყოფა არ დააცალა შავ სიკვდილმა. სიცოცხლის ბედშაობის აღიარება წითელ ზოლივით გადის არჩილის უკანასკნელ ნაწერებში („ქალის სევდა“ და „იმა ქვეყნათა ხელშეხება“).

„ქალის სევდა“ საუცხოო ცდაა ქალთა საკითხის გათვალისწინების ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურის საზრისით, დედა-აზრი ამ კითხვისა — ქალის პიროვნების განთავისუფლებაა. არჩილისთვის არსებობს სამი გარდაწყვეტა ქალის საკითხისა, სამი გამოსავალი.

„პირველი გზა — კაცური პიროვნების და ინტელექტუალურ კულტურის მოპოვებაა! ამ გზით სწარმოებს ფემინისტურ მოძრაობის სვლა... მაგრამ ფემინიზმის ოცნებას არავითარი ნიადაგი არა აქვს. პიროვნებათა გათანასწორებას ხელს უშლის სექსუალურ ორგანიზაციის და ფსიხიკის სხვადასხვაობა, ვინაიდან ინტელექტუალური აქტივობა და სექსუალური პასივობა ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან.

„მეორე გზა — ქალური პიროვნების გაღრმავება და მასში ძებნა თვით გამორკვევის თვისებისა. არც ამ გზით სიარული ანიჭებს ქალს დამოუკიდებელ პიროვნების ძალას, რადგან აქაც უცვლელი რჩება ქალის ტემპერამენტი და პასივობა და მაშასადამე უცვლელი დარჩება მისი ინტელექტუალი ტემპერამენტიც... საჭიროა მესამე გზის გამონახვა და შესწავლა.“

*) თხზულებანი წ. III. გვ. 95.

ეს მესამე გზაა — არჩილის აზრით „სქესობრივობის დაძლევა და სექსუალობის ალაგმვა. ის არის მეტაფიზიკურ-რელიგიური გადაწყვეტა საკითხისა. მეტაფიზიკური ხასიათი სიყვარულისა არამც თუ არ ეწინააღმდეგება სექსუალობას, ხელსაც უწყობს მას, ვინაიდან იგი სიყვარული დაშლაა საზღვარ დადებულ ინდივიდუუმისა და აღდგენაა სრულ და მარადულ პიროვნებისა, რომელშიაც ძლეულია სქესთა განცალკევების თვისებანი და დამთავრებულია სინტეზი უკვდავი პიროვნებისა. ეს გზა მომხიბლავი და შესაძლებელი გზაა რელიგიური მსოფლმხედველობით აღჭურვილ ადამიანისათვის და თეორიულად მაინც ერთათ ერთი გზაა ამ პრობლემის გარდაწყვეტისთვის.

„მაგრამ ამ გზით სიარული ხომ შეუძლებელია ემპირიულ სინამდვილეში და ამ ფილოსოფიის გამარჯვება ხომ ფიზიკურ სიცოცხლის სიკვდილს მოასწავებს. ასე როდ ამ გზით ივლიან ისინი, ვისაც აღარ ჰხიბლავს ამ ქვეყნის მომხიბლავი ძალა, ვის თვალშიაც წაშლილია ფერადი სურათი ყვავილებით მორთულ მდელოებისა და ვის გულშიაც ამ სოფლიურ სიყვარულის სიმღერა აღარაფერს ეუბნება.

„მაშ როგორც ვხედავთ, იტყვის მკითხველი, ამ დედამიწის ზურგზე ხსნის გზა არა ყოფილა, მკითხველზედ ნაკლებად გაკვირებული არც მე ვარ, ამბობს არჩილი. მაგრამ განა ახალი ამბავია, რომ «სოფელმან სოფლის მყოფი ყოველი დასვა, ცრემლთა დენათ». ქალი ერთი მომქმედია იმ ტრაღედიისა, რომელსაც სიცოცხლეს უწოდებენო. მეორე მომქმედი პირი კაცია და ნურავინ იტყვის, რომ კაცის მდგომარეობა ამ ტრაღედიის წინაშე სახარბიელო და სანუკვარო რამ იყოს. ულმობელი «აუცილებლობა» სდარაჯობს ორთავეს. «დასრულდება მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა. გადაჰხედეს, განვლეს სოფელი, ნახეს სიმუხთლე ჟამისა! ვის გრძლად გონია, მისთვსცა არის ერთისა წამისა».*)

ასეთია ტრაღიული გრძნობით აღსავსე გათვალისწინება ქალის ბედისა. მეტი პესიმიზმის აღიარება, რაც ამ წერილში გამოსჭვივის

*) იქვე გვ. 132—134.

შეუძლებელია. აქ ნათლათ ისახება ის მეტაფიზიკურ-რელიგიური ლტოლვილება, რომლის საბოლოო ჩამოყალიბება ერთ სისტემაში შესაძლოა, არც ისე შორს უოფილიყო, მაგრამ მუხთალ სიკვდილმა გასწყვიტა უდროოთ ძაფი არჩილის აზროვნების ევოლიუციისა.

არჩილის გნოსეოლოგიურ აზრისის დასახასიათებლათ ბევრს გვეუბნება იმავე წერილის შემდეგი ადგილი:—„ცოდნა, ფილოსოფიური ცოდნა, ამბობს არჩილი, მარტოოდენ რაციონალური არ არის, არამედ ირაციონალური და ინტუიტიურიც.“ ამგვარი აღიარება ინტუიტიურ-ირრაციონალურ ცოდნისა, თუმც მარტო ქალის ბუნებასთან შეგუებულის, ეწინააღმდეგება არჩილის წინა წელთა ნაწერთ. თუ მათი ნიშანდობლივი თვისება — გრძნობის, ინტუიციის უარყოფაა გნოსეოლოგიაში და გაღმერთება რაციონალიზმის—ახლა ინტელექტი უკვე ნახევართ უარყოფილია და რაციონალურ ცოდნასთან ერთათ ცნობილია კანონიერება ირრაციონალურ ცოდნისა, ინტუიციისა.

აქედან შორს არ არის ის აგნოსტიური მრწამსი, რომელიც გამოსჭვივის არჩილის უკანასკნელ ფილოსოფიურ წერილში—(„იმა ქვეყნათა ხელშეხება“)—„სრულიად გამოურკვეველი და დაფარულია ჩვენთვის მიზეზი, დასაწყისი და დასაბამი სიცოცხლისა. და საიდუმლოების ხილვაა თითქმის ისიც, რომ აი არის ეს ხილული, ხელთშესახები სამყარო, სადაც მიმდინარეობს ჩვენი სიცოცხლე და არის კიდეც რაღაც «არარა», საიდანაც მოდის და სადაც მიდის ეს სიცოცხლე. *) მითხარით რა აზრი უნდა ჰქონდეს თქვენს იდეალებს, თქვენს მისწრაფებას, თუ კი ყოველივე იქარწყლება, ისპობა, კვდება“. **)

სწავლულთ მეცნიერება უკვე უარყოფილია არჩილის მიერ, ვინაიდან „მას აქვს პრეტენზია ნათელჰყოს ისეთი საიდუმლოება, რომლის გამოცნობისათვის ჩვენს გონებას ჯერ ხნობით არავითარი სახსარი არა აქვს“.

*) თხზულებანი წ. III. გვ. 137.

**) იქვე. გვ. 142.

უმთავრესი მიმართულებანი თანამედროვე „მეცნიერულ ფილოსოფიისა“ არიან ერთი მხრივ მატერიალისტურ-ბიოლოგიური ასხნა, მეორე მხრივ ენერგეტიკო-მსოფლიური განმარტება.

ბიოლოგიური მატერიალიზმი ამყარებს თავის ასხნას იმ სადა და მარტივ ელემენტთა შესწავლაზე, რომელნიც შეადგენენ ცოცხალ არსებას. დასაბამათ იცნობა ერთუჯრედოვანი არსება, რომლის განვითარებით თანდათან წარმოიშვნენ უფრო რთული არსებანი და მათ შორის ადამიანიც.

მაგრამ, კითხულობს არჩილის ძიებითი სული,—საიდან გაჩნდა ეს პირველი დაწყებითი ცოცხალი ერთუჯრედოვანი არსება? მეცნიერი არ გიპასუხებთ ამ კითხვაზედ. იგი გეტყვით, რომ მეცნიერულ კვლევის საგანს შეადგენს მხოლოდ უკვე არსებული დასაბამი მოვლენა— მას არ ძალუძს იკვლიოს თუ როგორ და რად იშვა თვით ეს პირველყოფილი მოვლენა.

„უკვე არსებული უჯრედი კი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ საიდან და როგორ წარმოსდგა ეგ სიცოცხლე. და რაკი ამას ასე მეუბნება, რაც გინდ შესწავლილი მქონდეს მისი თვისებები ამ უუსადესი არსების შესახებ მკრთალი და ნაკლულევანებათა აღსავსე ცოდნაა“.

დარჩა მეორე ძირითადი მიმართულება, ეგრეთ წოდებული ენერგეტიული მონიზმი, რომლის საუკეთესო წარმომადგნელია გერმანელი ფილოსოფოსი **ოსტვალდი**. მისთვის ფუძე ყოველგვარ მოვლენათა, როგორც ადამიანის სულიერ და ფიზიკურ ცხოვრებაში, ისე მთელ ბუნებაში-ერთათ ერთია-ენერგია, ძალა. ამნაირათ ენერგეტიზმი ყოველნაირ მოვლენის ასხნა განმარტებაში სარგებლობს ენერგიის მცნებით, ისე როგორც ბიოლოგები სარგებლობენ მატერიის მცნებით. ენერგიული მსოფლმხედველობა ემყარება ორ კანონს: კანონი ენერგიის შენახვისა და კანონი ენერგიის გარდაცვლისა. არც ერთი ოდნავი ენერგია არ იკარგება მსოფლიოში. ყოველი მოვლენა აისხნება ენერგიის გარდაცვლით **ერთი** ფორმიდან მეო**რე**ში. იმავ დროს რაოდენობა მთელ მსოფლიოში მომქმედი ენერგიისა

უცვლელია და მთელ სამყაროს განვითარება მხოლოდ გარდასვლა-გარდაცვლაა ენერგიათა სხვადასხვა ფორმათა ერთი მეორეში.

სად იბადება ეს ენერგია? თვით ნივთიერებაში, გვიპასუხებს ენერგეტიზმი, ვინაიდან ყოველ ნივთიერებას თან ახლავს თვისება რადიოაქტივობისა, ესე იგი სხივოსნობისა; ყველაზედ უფრო სხივოსანია რადიომი, მაგრამ რადიომის თვისებები მხოლოდ უფრო მკრედი ხარისხით ყოველგვარ ნივთიერებაშია, აი ეს სხივოსანი ძალა ჰქმნის მსოფლიოში მომქმედ ენერგიას. არის ენერგია ქიმიური, რომელიც იჩენს თავს სიცოცხლეს თან-მდევ მოვლენაში. არის ენერგია ნერვული, რომელიც მოქმედებს სხვადასხვა სულიერ მოვლენათა დროს. თუ ნერვული ენერგიის დენა ძლიერია, ადამიანი, ცხოველი, ჰგრძნობს სიამოვნებას და თუ იგი სუსტობს-ადამიანიც უსიამოვნოა... ასეთია დაახლოვებით ენერგიული სისტემა. მასაც იგივე მომაკვდინებელი ცოდვა სდევს, როგორიც ბიოლოგიურ მატერიალიზმს.

„სულიერ სიცოცხლის მიზეზათ სთვლიან პროცესებს, რომელნიც მას თან სდევენ".

თუ მეცნიერება, ცოდნა უძლურია ჯეროვანი პასუხი გასცეს ადამიანის სიცოცხლის წყეულ კითხვებზე: საიდან მოვალთ, სად მივალთ, რად ვცხოვრობთ? — მაშ სად უნდა ვეძიოთ ჩვენი ნავთსაყუდელი?

პასუხი ერთია—რელიგიაში. „აქვს თუ არა რელიგიას არსებობის საფუძველი?—კითხავს არჩილი და უპასუხებს გადაჭრით—აშკარაა აქვს. იმიტომ რომ ადამიანის გულის წყურვილს მეცნიერება ვერა კლავს, რელიგია კი აწვდის მას წყურვილის მოსაკლავ წყაროს".

მაგრამ სკეპტიკური აზრისი აქაც ძირს უთხრის უმიდობისაგან მსხნელ თეორიას. თკით რელიგია-მხოლოდ განსახიერებაა ადამიანის ნატვრისა უტანჯველ სიცოცხლისამდი. ცოდნა, რომელსაც გვაწვდის რელიგია „იმა ქვეყნათა შესახებ"—ილიუზია, რომლითაც დამშვიდება შეუძლია მხოლოდ პიროვნულ შეგნებას. ობიექტურ ცოდნას კი რელიგია ვერ მოგვაწვდის. მით უფრო რომ ყოველი ისტორიული

რელიგია, თავის განვითარებაში არაპროგრესიულ, ასკეტურ და ანტისოციალურ იერს იღებს. აიღეთ თუნდ ქრისტიანობა. რელიგია მაშვრალთა პირველ დაწყებით ხანაში, იგი შემდეგ ებრძვის როგორც მიწიერ სიცოცხლის გამოსახულებათ: კულტურას, ოჯახს, საზოგადოებრივ, ეროვნულ ბრძოლას. არჩილის მიერ პრაქტიკული უარყოფა რელიგიის უაღრეს ისტორიულ ფორმისა გამომდინარეობს სწორედ ამ მუხლიდან: —უმთავრესი პრინციპი ქრისტიანობისა-მოყვასთათვის თავისდადებაა სულის ცხონებისათვის, რომელიც მოიპრება არა სოფლიურ, არამედ ღვთიურ ღვაწლით. „პოლიტიკურ და ეროვნულ საქმისათვის სამსახური კი არის სამსახური მიწიერი, ამასოფლისა, მაშადასამე, ქრისტიანი ვალდებულია თავი შეიკავოს და არ დასდვას იგი ეკონომიურ, პოლიტიკურ და ეროვნულ კეთილდღეობის მოპოებისთვის.“

ამგვარათ რელიგია, როგორც ისტორიული ინსტიტუტი, არჩილის მიერ, უარყოფილია. იგი რელიგია მიუღებელია არჩილისთვის, როგორც ამ ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ და ეროვნულ ბრძოლის მოწინააღმდეგე დაწესებულება. ქრისტიანულ-რელიგიური ეთიკა ვერ სწვდება არჩილის გულს და გონებას.

მაშ სად არის ხსნა? როგორ უნდა შეარიგოს ადამიანმა ამ ქვეყნის, მიწიერი და იმ ქვეყნის, მარადიული საკითხები.

მეცნიერებამ ვერ გასცა არჩილს ამ კითხვაზე ჯეროვანი პასუხი. მეცნიერებამ **დიუბუა რეიმონის** კლასიკურ ფრაზით სთქვა— ignorabimus— ძალა არ შეგვწევს მარადიულ, იმა ქვეყნათა ხელშეხება და განმარტოებაო. რელიგიამ—ბუდიზმის და ქრისტიანობის სახით წარმოადგინა ამ მარადიულ კითხვათა გადაწყვეტა. მან განმარტა, თუ რა არის ადამიანი, საიდან მოდის და სად მიდის იგი; მაგრამ ერთი მხრით რელიგიის ჰეშმარიტებანი სავალდებულოა მხოლოდ მორწმუნე ადამიანისთვის, ობიექტურათ კი მათი გასამართლება, რაციონალურათ დასაბუთება შეუძლებელია. და მეორე მხრით რელიგია სრულიად რწმენის ხასიათს უკარგავს ადამიანს, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება მიწიერ, ამ წუთისოფლის ინტერესებით გამსჭვალვას და

უარყოფს ყოველგვარ სოციალურ ბრძოლას, როგორც პოლიტიკურ და ეკონომიურს, ისე ეროვნულს. და ამიტომ არჩილიც უარყოფს ისტორიულ რელიგიის უაღრეს გამოხატულებას — ქრისტიანობას.

*
* *

მაგრამ ჯვარედინი გზა, რომელსაც მიადგა არჩილის აზროვნების მსვლელობა, ხომ გაუვლელია. ხიდი ამ ქვეყნის და იმ ქვეყნის შუა ისევ ჩატეხილია. დასკვნა არჩილის წერილებისა (იტრიის წისქვილიდან) უაღრესად პესიმისტური და აგნოსტიურია.

«ნათელი და გარკვეული გახდა მისთვის არა მარტო შეურიგებლობა ამა და იმ ქვეყანათა შორის არსებული, არამედ ღრმა გაუვალი უფსკრულიც, რომლის გადალახვა შეუძლებელია ქვეყნის ნაოესავისთვის. ვინც მოინდომებს ამ უფსკრულის გადალახვას, ხელი აიღოს სოფელზედ, მიწიერ ბედნიერებაზე, შრომაზე და კეთილდღეობაზე. ხოლო ვინც აქ, ამ სოფელში რჩება, სამუდამოთ უქციოს ზურგი იმას, რაზედაც მინდობა მას არ ძალუძს... მართალია, ამბობს არჩილი, ამგვარ დასკვნაში გამახალისებელი არაფერია, სიცოცხლის ძირითადი პრობლემა ისევ სიბნელით მოცული რჩება და ჩვენ უნებლიეთ ისევ გვეჩხირება ხის ჯვარედინი, რომელზედაც სწერია: „უკან მობრუნდები,— ამწვანებული მდელო და სიხარულია, წინ გადასდგავ ფეხს, დაინახავ წყვდიადით მოცულ არარაობას...“ და სწორეთ ამ აზრით არის გამსჭვალული სოლომონ მეფის საფლავის წარწერაც: განმეძარცვა მე პირველ ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველი საფლავსა ამასა შინაო“. ერთათ ერთი ნუგეში, რომელიც დარჩენილია ადამიანისთვის, ეს არის განვითარება ადამიანის ცხოვრების მსოფლიო სიცოცხლესთან განუყრელობის გრძნობისა. ის კოსმიური გრძნობა, რომელითაც „ადამიანი ეზიარება სამყაროს. ამ დიად საკრებულოსთან გაერთიანებით თითქოს იჭარწყლება მწვავე საკითხი ადამიანის მარტოობისა.

«მაგრამ... უმატებს არჩილი, ვშიშობ, რომ ეს ჩემი ნუგეშსაცემი „თუობაზე“ აგებული აზრი, ერთგვარ **რელიგიისაკენ მოწოდებათ** არ ეჩვენოს იქვიან მკითხველს და არ მისაყვედუროს, რომ ბოლოს თითქოს **მე თვითონ ვეძებდე მას, რაც უარმიყვია თეორიულადო**».*)

დიახ! ეს უკანასკნელი სიტყვები შეიძლება ეპიგრაფათ წინეუძღვნათ არჩილის შეხედულებათა ევოლიუციის განმარტებას!.

ძიება, იდუმალი ლტოლვა თეორიულად უარყოფილ რელიგიისადმი,—აი ღერძი ამ უდროოთ გაწყვეტილ ევოლიუციისა.

საქართველოს ეროვნული თვითგანთავისუფლების წინასწარმეტყველმა მოინდომა იმგვარ ფილოსოფიურ ფორმულის შექმნა, რომელიც უნდა ყოფილიყო ორგანიულათ დაკავშირებული ჩვენ ეროვნულ კულტურის ვითარებასთან. (იხ. „ნაზრევის“ წინასიტყვაობა).

ძიება ესე დამთავრდა მწერლის დამარცხებით. მან ვერ შექმნა მთლიანი ფორმულა, ორგანიულათ შემაკავშირებელი, როგორც სოციალურ, ისე ფილოსოფიურ შეხედულებათა.

არჩილმა ვერ შესძლო ის, რაც ბედათ ხვდა გერმანელთა ეროვნების წინასწარმეტყველს—**ფიხტეს.**

ფიხტემ კი არ უარყო მეტაფიზიკა და რელიგია როგორც მტერი ეროვნულ და სოციალურ ბრძოლის თვალთახედვისა, არამედ თვით ეროვნული და სოციალური მხედველობა ააგო მეტაფიზიკურ საფუძველზე.

გავიხსენოთ ფიხტეს მოძღვრების აზრი: ადამიანის შეგნება—თავისუფალი, მომქმედი ნებისყოფაა. ყოველივე, რაც კი არსებობს, შედეგია თვითშეგნების მოქმედებისა. უაღრესათ განვითარებული ნებისყოფა ადამიანის შეგნებისა—შედეგი კი არ არის გარეშე სამყაროსი, იგი თვით ჰქმნის გარეშე სინამდვილეს. ქვეყანა მხოლოდ მასალაა ადამიანის ზნეობრივ მოვალეობის, რათა მან განამტკიცოს, დაამყაროს თავისი იდეალები.

---

*) იქვე გვ. 187. (კურსივი ჩვენია).

მაგრამ თავისუფალი ზნეობრივი შეგნების არსებობა უაზროა გარეშე საზოგადოებისა, ერისა. საზოგადოებაც, ერიც ისეთივე თავისუფალი უნდა იყოს, როგორც ჩვენი ზნეობრივი მოვალეობის იდეა. და აი ფიხტემ მიმართა საფრანგეთის ცეზარიზმით დამონავებულ გერმანელ ერს, ვითარცა წინასწარმეტყველმა, თავის ფილოსოფიური წერილებით და სიტყვებით. ამ სიტყვებმა გაუხილეს თვალი თანამედროვე გერმანელს, ააღვიეს მისი ნაციონალური ნებისყოფა, უარმყოფელი ყოველივე უცხო ცივილიზაციის ბატონობისა, რა გინდ უაღრესი და უმაღლესი იყოს იგი. ფილოსოფიური ფორმულა ფიხტესი გაამართლა თვით ისტორიამ გერმანიის ეროვნულ და კულტურულ განთავისუფლებით. საქართველოც უცდის ისეთ ფილოსოფიურ ფორმულას, რომელიც ნათელყოფს ჩვენ ფსიხიკას, ჩვენ სულიერ ვინაობას, აგვიხსნის, თუ რაშია საფუძველი ქართველობისა, როგორც სხვა ტომებიდან გამოსარჩევ ეროვნებისა, დაგვანახებს, აქვს თუ არა ჩვენს არსებობას რაიმე მნიშვნელობა საკაცობრიო კულტურისათვის ანუ ასეთი მიზანი უკვე აღარ არსებობს და ქართველებს დარჩენია მხოლოდ ღა ღიღიალი ევროპიელ ერთა კულტურის კუდში.

ჩვენ გვწამს, რომ ასეთი ისტორიული მიზანი არსებობს, როგორც არსებობს იგი ყოველივე ცხოველმყოფელ ეროვნებისათვის. თავდები ჩვენი ცხოველმყოფელ ძალისა თვით ისტორიაა.

არჩილის აზროვნება კი საკმაო თავდებია მისი, რომ ქართველობა შეიმცნებს თავს არა მარტო პოლიტიკურათ, არამედ იდეოლოგიურათ, გაანთავისუფლებს თავის თავს, როგორც პოლიტიკურ, ისე სულიერ ტყვეობიდან და შეიქმნება მთლიან ეროვნულ პიროვნებათ. ეს არის ანდერძი არჩილის აზროვნებისა—ანდერძი, რომლის აღსრულებაც, ჩვენ გვწამს, არც ისე შორია.

დაე, ჯერ კიდევ დაშლილი იყოს ნაწილებათ ჩვენი ეროვნული ერთეული, დაკუწული და განკერძოვებული იყოს ჩვენი ეროვნული ცხოვრება, ემსგავსოს იგი ტიალ ველზე გაფანტულ ძვლებს, რომლებზედაც ჰღაღადებს წინასწარმეტყველი. დაე იყვენ ისინი დახსნილი,— დაე ახმობდეს მათ გრიგალი და ჰსწვამდეს

მზე. ცხოველმყოფელი სული საქართველოსი ისევ ჰქრის. მოვა ნეტარი ჟამი და იგი გარემოიცვის ჩვენი ეროვნულ ერთეულის გამხმარ ნაწილთ, შეკრავს მათ ძარღვებით, შემოსავს ხორცით და კანით და ჩაჰბერს მათ თავის უკვდავ სულს, რათა იცხოვრონ ხელახლა და იგრძნონ მარადისობა საქართველოისი.

გრ. ვეშაპელი.

ქ. მოსკოვი.

პანაშვიდი.

პ ა ნ ა შ ვ ი დ ი.

„პანაშვიდიც ჩვენში გასართობია!“

არჩილ ჯორჯაძე.

საშინელია, საშინელი სიკვდილის ძახილი, როცა მას ეხმაურებიან საუკეთესო შვილები გავერანებული სამშობლო ქვეყნის?.

– სთქვა მასწავლებელმა. თავდაღუნული შევცქეროდით ჩვენ იმას და არასდროს არ ვყოფილვართ ისე ახლობელი, როგორც ეხლა. ჩვენ შორის გაიბა, რაღაც უხილავი ქსელი, რომელმაც შეაწნა ერთმანეთს ჩვენი გულები, ერთად რომ გამოგვეტირა საერთო ნაღველი, წებოსავით რომ ჩაგვესხა მკერდში.

—ჩვენი ქვეყანა ბევრი ტანჯვით და უბედურებით ყოფილა ორსული, მაგრამ ეს უკანასკნელი დაორსულებაა. არჩილი მშობიარობას გადაყვა.

ჩვენი სევდა მიაგავს, სევდას იმ მეომართა, რომელთაც მოიგეს ბრძოლა, მაგრამ ძვლებით მოკენჭეს ბრძოლის ველი.

თვალებზე დაეკიდენ ცრემლები.

ბევრი მინახავს ცრემლი, როცა ვინმე დაკარგავს მეგობარს, საყვარელს ანდა შვილს.

ამნაირი ცრემლი კი არასდროს არ მინახავს. ამ ცრემლში თითქო ერთად გალესილან იმედი და სევდა, მწუხრი და გარიჟრაჟი.

—ის ბზინავს ნაღველით და თან ამჩნევ იმედს ყვავილებს.

—ჩვენი არჩილი, ჩვენი არჩილი!..

***

გაზაფხული იწყება. სარძლოსავით ინაბება მიწა. მომსკდარი ნიაღვარი, აფუთქული ყლორტები შეხვედრის სიმღერით ხვდებიან

გაზაფხულს, კავკასიონის მოხუც დევებს რომ გამოპარვია, კაბა ყვავილებით მოურთავს და თვალებით ცისარტყელას ეარშიყება...

ჩემთვის სამახსოვროა ეს გაზაფხული. მოქრის, მოტირის ვაი ვაგლახით მატარებელი, ალბად იცის, რომ სასიკვდილოდ დაჭრილი გმირი მოყავს, ალბად ესმის მიდამოს და ჩვენი ნაღველი. თავის სიცოცხლეში გულში საქართველოს ატარებდა, გარდაიცვალა და უსულო გვამმა საქართველოს ერთი კუთხიდან მეორემდი შუა გადაჭრა გზა, რომ საფლავში თან ჩაეტანა გაცოცხლებული მიდამოს სუნი, ყვავილების საგაზაფხულო გაზმორება, საგაზაფხულო ფიქრები.

ყოველ სადგურზე ახალ ახალი თაიგულები ემატებიან, ნიავქარი ღუნავს ხეების წვეროებს, ალბად ისინიც ემშვიდობებიან.

შეიცხადებს მატარებელი, როგორც გათხოვილი ქალიშვილი დედის სიკვდილს რომ გაიგებს და გაჩერდება სადგურზე.

თავს მოიყრის ხალხი, ამოვა მოხუცი კრებული მგალობლებით და დაიწყებდა პანაშვიდის გადახდას ხმა კანკალებს, ცრემლში სოლდება და ისე ამოდის სასულესგან. საკმევლის კვამლი დგება ვაგონში ვერ ეტევა და მიდამოს ეფინება, ორი რწყვილი თაფლის სანთელი სტირის ჩვენთან ერთად.

—სულთათანა განუსვენე უფალო!.. კი არ გალობენ სტირიან მგალობლები და ეს ხმა როგორც უკანასკნელი გაკვნესება ჭიანურისა ეფინება ხალხში, სულში შედის და როგორც დედის კოცნა დნება. თეთრი თოვლივით თმა, ჟღალი ჩოხა და ცრემლიანი „სულთათანა“ ჩამომესმის ყოველთვის როცა მომაგონდება ძვირფასი მასწავლებელი. ცრემლები აშრებიან მხლებლებს, ნაღვლიანი დაღლილი სახე ვერ გამორკვეულა და რაღაც ერთგვარ უსასოებაში იყინება, მაგრამ ჩამოესმება თუ არა ყურს ცრემლიანი ხმა სულთათანასი... გულის სიღრმიდან მიდიან ცრემლები, თითქო ჯადოქარის დაფიცებაზე.

ეს დღე იყო დღე ჩემი ცეცხლით ნათლის ღებისა, როცა ამ სტრიქონებს ვსწერ, წინ მიდევს წითელი ყვავილი არჩილის კუბოზე

აღებული, იგი თანდათან ჰკნება, მაგრამ სამაგიეროდ გულში იშლება უჭკნობი ყვავილი სიყვარულისა.

თვალწინ მიდგანან ჰაღარა მგალობლები და ჩამომესმის ნაღვლიანი „სულთა თანა“- დასაფლავებაზე არავის უთქვამს სიტყვა, მხოლოდ არჩილის კუბომ იცოდა, რას ელაპარაკებოდა საგაზაფხულოდ გაშლილი ველი და ნაღვლიანი „სულთა თანა“...

ტ. ტაბიძე.

ქ. მოსკოვი.

სტუდენტი ქრისტეფორე რაჭველი.

პატარა საუბარი.

(ხელოვნება).

პატარა საუბარი.

(ხელოვნება).

სადღაც ერთი სურათი მინახავს: მუდამ განყენებულ ფიქრებსა და თეორიებს წასულ მეცნიერისათვის მშვენიერს ქალწულს სული შეუშფოთებია. მუშაობაში ჩაფლულ ადამიანისთვის ხელი შეუშლია. მაგიდასთან მიმჯდარ მეცნიერს უკან სდგას ქალწული და ხელში სასწორი უჭირავს. ერთ მხარეს დევს ადამიანის ტვინი, მეორე მხარეს, ბევრად მაზედ პატარა, მაგრამ ცეცხლად აღგზნებული გული ადამიანისა. და წარმოიდგინეთ, გული სძლევს ტვინს, სასწორი მისკენ გადახრილა. მეცნიერი ცოტა არ იყოს, გაუკვირვებია ამ მოვლენას, მიუტოვებია მუშაობა, მის მარადის უვნებო სახეს სიცოცხლე დასტყობია და ნახევრად მობრუნებული იდუმალებით შესცქერის ამ საგულისხმო სურათსა.

ეს სურათი როდი არის ვისიმე გამოჩენილის ხელოვანის ნახატი, არც დიადი შემოქმედებაა. მაგრამ იმ ღრმა აზრით, იმ ტენდენციით, რის გამომხატველიც იგია, მართლაც რომ შესანიშნავია. ვნება, ჭკუა, ტვინი ერთის მხრით და გული, გრძნობა მეორე მხრით. სურათი გვარწმუნებს, გული, გრძნობა სჭარბობს ჭკუას, უფრო ძლიერია, ვიდრე გონებაო.

ერთის თვალის გადავლებით დავაკვირდეთ ამ მხრივ კაცობრიობის ისტორიას და გავშინჯოთ, მართალია თუ არა ზემოხსენებული სურათის აზრი.

ადამიანის გრძნობის სფეროს გამომხატველად შეიძლება ჩაითვალოს რელიგია, სარწმუნოება; გონების -- ფილოსოფია, განყენებული მსჯელობა. ფილოსოფიას და სარწმუნოებას თუმცა წყარო ერთი აქვთ, არსებითად განსხვავდებიან, როგორც პირველი, ისე მეორე, მითოლოგიისაგან წარმოიშვა, მაგრამ ფილოსოფია, რაც ხანი გადიო-

და, მით უფრო და უფრო შორდებოდა სათავეს, იკვლევდა საკუთარ გზას.*) ბევრი თეორია იყო სარწმუნოების, რელიგიის წარმოშობისა, მაგრამ ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ იგი აკმაყოფილებს ერთს განსაკუთრებულს მოთხოვნილებას ადამიანის ცხოვრებისას და ტრიალებს გრძნობის ფარგალში. მუდამ ასე იქნება, სხვა საკითხია, აქამდე კი ისეთი ერი არ მოიძებნება, რაიმე სარწმუნოება არა ჰქონდეს. ისეთი დროებაც იყო ხოლმე, როცა ფილოსოფია სცდილობდა სარწმუნოების მაგივრობა გაეწია, მაგალითად საბერძნეთის დაცემის ხანს, მაგრამ ცდა უნაყოფო იყო.

ავიღოთ ეს ორი სფერო ადამიანის ცხოვრებისა—სარწმუნოება და ფილოსოფია და შევადაროთ ერთმანეთს მათი მნიშვნელობა. სარწმუნოება ამ შემთხვევაში გვეინტერესება იმდენად, რამდენადაც გრძნობის სიძლიერეს შეიცავს და ამტკიცებს და, არა როგორც ღირებულება რამე. შეგვეძლო სხვა გრძნობა აგველო, მაგალითად სიყვარული, მაგრამ სარწმუნოებას ისტორია აქვს და უფრო ადვილად ნათელჰყოფს ჩვენს აზრსა.

ყველა ერის ცხოვრებაში სარწმუნოება დიდ როლს თამაშობს. მისი გულისთვის, ვინ იცის, რამდენი ადამიანი წამებულა. მოიგონეთ ინკვიზიცია, ახალი სექტის დამაარსებელნი, მქადაგებელნი, საეონალლორა, იოანე ჰუსი. მეორეს მხრით, მეცნიერებასაც ფრიად ბევრი წამებული ჰყოლია და ჰყავს. მაგრამ ერთი დიდი განსხვავებაა: კაცობრიობაში ისეთი შემთხვევა, მაგალითი არა ყოფილა, რაიმე განყენებულ თეორიას, ან საფილოსოფიო სისტემას მასსა, ხალხი აემოძრავებინოს, სამოქმედოდ, საბრძოლველად გამოეყვანოს ასპარეზზე. თუ რაიმე სამეცნიერო სისტემა ან თეორია ამას ჩაიდენს, იგი უეჭველად ჰკარგავს თავის პირვანდელ ხასიათს და სარწმუნოებრივი ელფერი ეძლევა.**) მშრალი მსჯელობა, განყენებული თეო-

*) იხ. აქის შესახებ **პროფ. გილიაროვის** შრომა ,,Философія въ ея существѣ и исторіи".

) ეს აზრი ვრცლად არის დასაბუთებული ფრანგის მწერლის **ჰუსტ. ლებონის წიგნში: ,,სოციალიზმის ფსიხოლოგია'' (რუსული თარგმანი).

რიები ხალხის გულს თავის დღეში ვერ მისწვდება. ვერც აამოძრავებს. სარწმუნოება კი სწორედ ფანტაზიით, გრძნობით არის ძლიერი. მოიგონეთ ჯვაროსანთა ლაშქრობანი მე-XI– XIII საუკუნეებისა, დიდი, შეუჩერებელი სურვილი ევროპიელ მორწმუნეთა გაენთავისუფლებინათ წმინდა ქვეყანა პალესტინა მაჰმადიანთა მფლობელობისაგან. ათასობით იხოცებოდა ლაშქრად წასული ხალხი, გარნა მასსა უკან არ იხევდა, წინ მიისწრაფოდა. მოიგონეთ აგრეთვე არაბების აღფრთოვანება მე-7 საუკუნეში მაჰმადის სჯულის გავლენითა, განუწყვეტელი ომი და ძლევამოსილი მსვლელობა მათის ლაშქრისა და ადვილად დარწმუნდებით, რამდენათ ძლიერია მეუფება გრძნობისა და რამდენად მოისუსტებს გონების გავლენა. სხვა საკითხია მარადის ასე იქნება თუ არა. დღეს კი ზემოხსენებული სურათი სიმბოლიური გამოხატულებაა კაცთა ცხოვრების მიდრეკილებისა. გული, გრძნობა სჭარბობს დღევანდელ მსოფლიოში და ქვეყანა უფრო მისი ამყოლია, ვიდრე გონების, ჭკუისა. მართლაც, უფერული იქნებოდა ადამიანის ცხოვრება, გრძნობა რომ არ ამშვენიერებდეს, განა მისწრაფება იდეალისადმი გრძნობით არ აიხსნების, განა თეორიების ნაყოფია მისთვის თავის გაწირვა? უკეთილესი რამ —სამშობლოს სიყვარული, მისთვის ტანჯვა, თუ მარტოოდენ ჭკუას დავეკითხებით, შეცდომა იქნება. იდეალი მისთვის მინდა-ვიხილო და მოვეწიო. ამისთვის კი თავს ვწირავ, ვისპობი, ვქრები. ჩემთან ერთად ყველაფერი ისპობა ჩემთვის მაინცა და სადაური ანგარიშიანობაა იმისთვის იბრძოლდე, იტანჯებოდე, რაც შენთვის სრულიად უსარგებლოა. ,,ჩემს მერე ქვა-ქვაზედაც ნუ ყოფილა“-ო--აი, რას გვეტყვის მარტოოდენ ჭკუა და ეს საყოველდღეო ლოზუნგად გადაგვექცევა ცხოვრებაში. ეგოიზმის წუმპეში ჩაიხრჩვება კაცი, გატიალდება. მაშასადამე გრძნობა, იმის გარდა, რომ ძლიერია და სასწაულთ მომქმედი, ფრიად საჭიროც არის. შეიძლება როდისმე დადგეს ის სანატრელი დროება ჭკუის, გონების მეუფებისა, ზოგიერთი სწავლული რომ წინასწარმეტყველებს, ხოლო თუ გრძნობასაც

შესაფერისი ადგილი არ მიეცა, ცხოვრება ბევრს რასმე დაჰკარგავს, მშვენება დააკლდება.

ხელოვნება, პოეზიაც სწორედ გრძნობის სფეროს უფრო შეეხება და მით არის ძლიერი. თუ ზემოხსენებული ყურადსაღები მნიშვნელობა გრძნობისა შევიგენით, ხელოვნების მნიშვნელობასაც ადვილად გავიგებთ და დავაფასებთ. დავიხსომოთ ესა და შემდეგ თავში წერილის საგანს, ხელოვნების განხილვას შეუდგეთ.

I.

ხელოვნების თაობაზე ძლიერ ბევრი დაწერილა, დიდი ლიტერატურა არსებობს. მიუხედველად ამისა, საკითხი ჯერაც ვერ გადაუწყვეტია მეცნიერებას საბოლოოდ, ათასნაირ განმარტებას, ფორმულას იძლევა. ამის და მიხედვით, ჩვენ, რასაკვირველია, ახალს ვერაფერს ვიტყვით და ვერ აღმოვაჩენთ. ჩვენი სურვილია ის წრე საზოგადოებისა, რომელსაც შეძლება არა აქვს სერიოზული წიგნები იკითხოს, ოდნავ დააინტერესოს ხელოვნების საკითხმა.. მიზანს მიწეულად ჩავთვლი, თუ სულ პატარა სხივი და შუქი მოვფინე წერილის საგანსა და პოეზიის მნიშვნელობასა.

რა არის ხელოვნება, პოეზია, რა მნიშვნელობა აქვს კაცის ცხოვრებაში? ზედმეტი რამეა, საფუფუნო თუ აუცილებელი? მოკლედ უპასუხოთ ამ საკითხსა.

ხელოვნება ორნაირია: პლასტიკური და ტონური. პლასტიკური ხელოვნება მოქმედებს მხედველობაზე, ტონური—სმენაზე. სულ კი ხუთი დარგია ხელოვნებისა: პოეზია, მუსიკა, მოქანდაკეობა, მხატვრობა და ხუროთმოძღვრება.

ამ ხუთ დარგში პირველი ორი, მუსიკა და პოეზია ტონურს ხელოვნებას ეკუთვნის, ვინაიდან სმენაზე მოქმედებს; მხატვრობა, ხუროთმოძღვრება და მოქანდაკეობა კი პლასტიკურს მიეწერება, რადგან სმენაზედ კი არა, თვალის ჩინზე მოქმედებენ.

რა არის პლასტიკურ ხელოვნებათა: მხატვრობის, ხუროთმოძღვრების და მოქანდაკეობის საგანი? მისი საგანია ადამიანის გარეგანი, ხილული ცხოვრება. მხატვარი შეჰქმნის მშვენიერ სურათს და დაატკბობს თვალს, გულსა. მაგრამ ის მხოლოდ ერთს მომენტს, წუთს გამოჰხატავს საგნის მდგომარეობისას. იტალიის გამოჩენილს მხატვრის **ლეონარდო დე-ვინჩის** გათქმული სურათი „ჯიოკონდა“ ავიღოთ მაგალითად, ამას წინად რომ მოიპარეს პარიზის მუზეუმში და გასულ წელს ძლივის იპოვნეს. „ჯიოკონდა“—მოღიმარე ქალია. მხატვრობის მცოდნეები და ესთეტიკოსები აღტაცებაში მოჰყავს ამ ღიმილს, მომჯადოებელს უწოდებენ, იმასაც ამბობენ, როდესაც ლეონარდო დე-ვინჩი ამ სურათს ჰხატავდა, დასახატ ქალის სახეზე ღიმილის გამოსაწვევად გუნდს ამღერებდა, მუსიკას აკვრევინებდაო. მიუხედველად ყველა ამისა, სურათში ვხედავთ მხოლოდ ერთს მომენტს ადამიანის ცხოვრებისას, გაქვავებულს მდგომარეობას—მარტოოდენ ღიმილსა.

ხუროთმოძღვრება ისეთს შენობას ააგებს, რაიც თვალს აამებს, ლამაზი იქნება, სახალისო შესახედავი. მოქანდაკე გამოჰკვეთს თიხისა ან მარმარილოსაგან მშვენიერ ფორმას, თავის თანშეწონილობით სასიამო შთაბეჭდილებას რომ მოახდენს მაყურებელზე და რომელსამე იდეას რომ გამოჰხატავს. ხოლო მხატვრობას ერთი უპირატესობა აქვს მოქანდაკეობასთან; იმას შეუძლიან მცენარეულობა დაჰხატოს, საზოგადოდ მთლად ბუნება—მოქანდაკეს არ შეუძლიან ესა. მცენარეთა, ბუნების ნათელსაყოფლად ფერადიანობაა საჭირო, სხივთა ქსოვილის მაყურებელთათვის გადაცემა. მოქანდაკეობა ამას ვერ შესძლებს. მაშასადამე იმას უფრო ადამიანი უნდა ჰყავდეს თავის შემოქმედების საგნადა. სხვაფრივ კი ორივე დარგი ხელოვნებისა—მხატვრობა და მოქანდაკეობა—ძლიერ ჰგავს ერთმანეთს. ორივე გამოჰხატავს გარეგან ცხოვრებას მსოფლიოსას და ადამიანისას, ხოლო შინაგანს იმდენად, რამდენადაც სულიერი მხარე გარეგნობად გამოისახვის.

სხვა არის და ფართო სარბიელი ტონური ხელოვნების, მუსიკის და პოეზიისა. კაცობრიობის ისტორიის უპირველეს ხანებში ეს

ორი დარგი ხელოვნებისა, განუყრელი იყო. პოეტი თავის ნაწარმოებს მღეროდა კიდევაც. მხოლოდ მერე ჩამოშორდა ერთმანეთს და განვითარდა ცალკე. პოეზიის საგანია არა მარტო გარეგანი ცხოვრება, არამედ მთელი ქვეყანა, ადამიანი შინაგან და გარეგან ცხოვრებითა. ყველაზედ მეტს დამახასიათებელს ხელოვნებისას პოეზია შეიცავს, რადგან აქ სიტყვის საშუალებით ადამიანს შეუძლიან ყველა დანარჩენ დარგთა შთაბეჭდილების მსგავსი შთაბეჭდილება გამოიწვიოს. ამიტომ საგნის გასაადვილებლად, შემდეგ საუბარი მარტოოდენ პოეზიის თაობაზე გვექნება.

ადამიანი ძველათგანვე სცდილობს თავისი გულისნადები სიტყვად, ლექსად გამოსთქვას, გამოაშკარაოს. კაცობრიობის აზროვნებამ პოეზიით აიდგა ფეხი, სურათოვან ლაპარაკითა. ჯერ სად იყო ან წერა-კითხვა, ანბანი, ან სხვა რამე, როცა პირველყოფილი ადამიანი თავის სულისკვეთებას ლექსად, სიმღერად გამოსთქვამდა. ეს მოვლენა ისეთი მარადი და ძველია, რომ კაცობრიობას არც ახსოვს, ვერც წარმოუდგენია დედამიწა უპოეზიო და უმუსიკოდ. სკანდინაველების, გერმანელების, ბერძნების და ფინების თქმულებით, შემოქმედმა ღმერთმა სულთან ერთად ადამიანს პოეზიისა და მუსიკის სიყვარული ჩაჰბერა. საზოგადოდ, უკვე შეურყეველ ჭეშმარიტებად არის აღსარებული, რომ სიტყვიერებაში პროზის წინად პოეზია გაჩნდა, იგი უფრო ხნოვანია, ვიდრე პროზა. სიმღერით პირველყოფილი ადამიანი თავს იკმაყოფილებდა, მხიარულებდა. განსაკუთრებით დიდი კავშირი ჰქონდა ხელოვნებას პირველ ხანებში სარწმუნოებასთან და ტაძრებში წარმოებული დიდება ღვთისა და ამნაირივე სამღრთო დღესასწაულნი ნამდვილი სათეატრო წარმოდგენები იყო ხოლმე. ასე წარმოსდგა, მაგალითად, ტრაგედია. სახალხო დღესასწაულების დროს მოხდებოდა ხოლმე აგრეთვე გაჯიბრება სხვადასხვა დარგში. თუ ვინმე მოშაირობის, მელექსეობის ნიჭს გამოიჩენდა, სახელსაც გაითქვამდა, დიდ ხანს არ დაიკარგებოდა მისი ხსენება ერში. თანდათან საამისოდ ცალკე კლასიც გაჩნდა ხალხში, რომელიც სიმღერა-პოეზიის მცოდნე-განმავითარებელი იყო და ამ ხელობით თავსაც იკვებავდა.

უეჭველია, ყველას ეცოდინება, ვინ არის მესტვირე, ალბად მისი ლექსებიც გაეგონება. ამისთანა მესტვირე-მეფანდურეები მარტო ჩვენში როდი ყოფილან. რაფსოდები საბერძნეთში, აოდები—ხალხის პოეტები იყვნენ. აგრეთვე აღსანიშნავია იტალიაში ტრუვერები, საფრანგეთში ტრუბადურები, გერმანიაში მინიზენგერები — ესენი სულ ხალხის შეხედულებათა მატარებელნი იყვნენ, გულის მესაიდუმლენი. გამოჩნდებოდა ვინმე გმირი, თავს ისახელებდა? მაშინვე მზად იყო ხალხის პოეტი, მეფანდურე, სიმღერა ეთქვა, ქებათა-ქება შეესხა მისთვის და შემდეგ მთელი ქვეყნისათვის ეუწყებინა ეს ამბავი, გაეერცელებინა. მოხდებოდა რაიმე ყურადსაღები ამბავი, ქვეყნისათვის თვალსაჩინო? მაშინაც არ დაავიწყდებოდა მოვალეობა მეფანდურესა.

თამარ მეფე და ხონთქარი
მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა;
ზღვაში ჩაუშვა ხომალდი
ზედ ალმასები დაჰკიდა,
შიგ ჩასვა ქართველთ ლაშქარი,
მრავალს წყალობას დაჰპირდა.

აი, როგორ აღინიშნებოდა ერის გონება-გრძნობაში რაიმე ისტორიული ამბავი. უპირველესად კაცი უფრო გარეგან ცხოვრებას აქცევდა ყურადღებას, ომებს, ლაშქრობას, რაიმე არაჩვეულებრივ ამბავს. ამიტომ პოეზიაში პირველად ეპოსი გაჩნდა, შემდეგ ლირიკა, კაცის შინაგან ცხოვრებას რომ შეეხება. გარდა ამისა, მეფანდურე გამომხატველი იყო ადამიანთა შორის უმშვენიერესი გრძნობის-სიყვარულისა, იგი უმღერდა ხალხს, უკანასკნელი იმეორებდა ნათქვამს და იკმაყოფილებდა ერთგვარ სულიერ მოთხოვნილებას.

ნუ იცინი, ნუ მაცინებ
თორემ დაგვაჭორებენო,
სიყვარულს რომ გაგვიგებენ,
დაგვაშორი-შორებენო.

მიჰმართავს მესტვირე იდუმალ სატრფოს.

ნეტავი ვიყო მე ვარდი,
შენ წინა გავიშლებოდე;

პატარა ჩიტად მაქცია
უბეში ჩაგიჯდებოდე;
შაქარ ყინულად მაქცია
ენაზე დაგადნებოდე-ო.

განაგრძობს იგი. ხალხი ლექსებს მღერის მუშაობის დროს, მღერის ლაშქრად წასვლის ჟამს;

ვთოხნოთ და ვთოხნოთ სიმინდი,
მერმე ყანის მკაც მოვაო!
გახედე, ლექსო, ხოდაბუნს,
ჰხედავ როგორ მოღელდაო.
ანწლის ხეო, დაბურვილო,
ცეცხლი მოგედოს, გენია,
მე კი დამწვი და დამდაგე,
დაიწვას შენი დღენია.

გამღერის შრომის შვილი. მთიული რომ ლაშქრად მიდის, იმასაც თავისი ლექსი აქვს:

მთიული ვარ, მთურად ნაჩვევი,
მტერო ვერ შეგიშინდები,
შვიდს ვირჩევ, შვიდჯერ სიკვდილსა
ხელში არ ჩაგივარდებიო.

გაიძახის მეომარი. ვიმეორებთ, ამისთანა ლექსები მაშინ ითხზებოდა, როდესაც კაცობრიობას ანაბანა არ გაეგებოდა. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ გაჩნდა წერითი ლიტერატურა; პოეზია გაიზარდა, ინდივიდუალი ხასიათი მიეცა. აქედან იწყება დიდებული ისტორია ლიტერატურისა, რომელიც სამართლიანად ყოველი ერის სულის შემოქმედების სალაროდ ითვლება.

შემოქმედება ადამიანის აუცილებელი თვისებაა. კაცი ისე ვერ იცხოვრებს, ფეხს ვერ გადასდგამს, არაფერი შეჰქმნას, არა გააკეთოს რა. სცივა? იგი იძულებულია სახლი ააშენოს. სახლის აშენებისათვის იარაღია საჭირო, იმასაც გაკეთება უნდა და სხვა. ეს რასაკვირველია, პირვანდელი ადამიანის შემოქმედების მაგალითია, ყეელაზე სადაა. იმიტომ მოვიყვანეთ.

როგორი ღაა მხატვრული შემოქმედება? იგი უდიდესი აქტია, ადამიანის ძალთა და მისწრაფებათა მხილებაა. იგი უმაღლესი საფეხურია ადამიანის ფსიხიკის ნიჭისა, საუკეთესო დამამტკიცებელი იმისა, რომ კაცი მართლადაც მეფეა ბუნებისა. თვით სიტყვა „პოეზია“ ბერძნულია და რისამე გაკეთებას, შემოქმედებას ჰნიშნავს. ასეთი შემოქმედება მუდამ თან სდევს ადამიანს ისტორიის განთიადიდან დაწყებული ელექტრონის და ტრამვაი-ტელეფონის დროებამდე.

რა არის მიზეზი პოეტის შემოქმედებისა? უპირველესად ზემოხსენებული თვისება ადამიანისა. კაცობრიობა თავის დღეში ვერ ურიგდება იმ ხილულ ქვეყანას, ყოველ დღე თვალწინ რომ გვიდგას. იგი, **მიუსეს** თქმისა არ იყვეს, ყოველთვის „უნებურად ციასკენ იყურება.“ კაცობრიობას სწამდა ღმერთები და შეჰქმნა მითოლოგია. როდესაც გონებით გაიზარდა, მითოლოგია აღარ სწამდა, მაგრამ იგი ზღაპრებად გადააქცია. და ეს ზღაპრები დღევანდლამდე ითქმის ხალხში, თუმცა მისი სინამდვილე არავის გაუგონია. ადამიანს ვერ აკმაყოფილებს მწირი სინამდვილე და ჰქმნის იდეალურს, ზედმეტს, იგონებს მშვენიერ ტყუილს—როგორც იტყვის ინგლისელი მწერალი **ოსკარ უალდი**. თითონვე იცის, რომ ტყუილია, მაგრამ ძალა არ შესწევს უარი სთქვას, ხელი აიღოს ილუზიაზე. პოეზია, ხელოვნება ჰქმნის იდეალს, რომელიც შესაძლებელია არ ეთანხმებოდეს სინამდვილეს, მაგრამ კარგი იყოს, ადამიანის ამამაღლებელი. შემოქმედება, კიდევ გავიმეორებთ, უცილობელი თვისებაა ადამიანისა და განსაკუთრებული ძალა აქვს პოეტში, ხელოვანში. მოქანდაკე გამოჰკვეთს მშვენიერს ფორმას ადამიანისას, დაგვატკბობს და გრძნობას გააკეთილშობილებს. მის ქანდაკებას მხოლოდ სული აკლია, ფიზიკური მოძრაობა. აი, აქ ხელოვნება და ხელოვანის შემოქმედება უძლურია ბუნებასთან შედარებით. „**ტიციანე** და **მიქელ-ანჯელო** ნახევრად ღმერთები არიანო, ამბობს **მ. გიუიო** *) და აღვილად ასახსნელია მიქელ-ანჯელოს სულისკვეთება, როდესაც

*) **მ. გიუიო**— „ხელოვნების და პოეზიის პრინციპი“ (რუსული თარგმანი).

გაჯავრებულმა მიჰმართა თავის მოსეს ქანდაკებას—„ამოძრავდი, ცანა ცოცხალი არა ხარო.“ ხელოვანი ჰქმნის, მაგრამ სრულ-ქმნა ვერ შეუძლიან, ეს მხოლოდ ბუნების კუთვნილებაა, სრული, ნამდვილი შემოქმედება...

„ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი, ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!
აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფვიან,
მაგრამ შენამდი ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან“-ო.

ამბობს ჩვენი უკვდავი პოეტი **ნიკ. ბარათაშვილი**. კაცობრიობის ტრაგედიაც სწორედ ეს არის, რომ მისნი მისწრაფებანი სრულყოფნისადმი „ჰაერშივე განიბნევიან“...

კიდევ რა არის პოეტის შემოქმედების მიზეზი? ძლიერ რთული, ძნელი საკითხია. უპირველესად ყოვლისა, პოეტი ისეთი ადამიანია, სხვა ადამიანებში გრძნობიარებით რომ განირჩევა. სიხარულს, სევდას, უბედურებას ცხოვრებისას პოეტი უფრო ძლიერად განიცდის, ვიდრე უბრალო მომაკვდავი და ნიჭიერება პოეტისა იმით გამოიხატება, თუ რამდენად შეუძლიან ნათლად, სხარტად და სრულად გადასცეს თავისი გრძნობა, ანუ შთაბეჭდილება. რასაც ჩვეულებრივი ადამიანი ვერ შეამჩნევს, გვერდს აუხვევს, პოეტი განსჯერეტს, ყურადსაღებად გახდის. ყველას არ შეუძლიან ბუნების სიმშვენიერის დანახვა, რადგან თვით ბუნება შეიძლება არც იყოს ყურადსაღები. საქმე ისაა, ჩვენ როგორ დავინახავთ. „ბუნების მთელი პოეზია ადამიანის თავშია მოთავსებული“-ო—ამბობს იგივე მ. გიუიო და მართალსაც ამბობს, პოეტი სწორედ ამ ჩამარხულ რასმე გააცოცხლებს და დაგვანახვებს. პოეტის გულის წადილის გამომჟღავნებას ხელს უწყობს კიდევ ადამიანთა ის დიადი გრძნობა, სოციალობას რომ უწოდებენ. კაცი, რაიმე შთაბეჭდილებას, ან ცოდნას რომ მიიღებს, გაუჩნდება უდიდესი სურვილი, ეს თავისი განცდა, ცოდნა რისამე მეორე ადამიანს გადასცეს. ასეთი სურვილი, თითქმის დაუძლეველი უბრალო ადამიანში, ძლიერად სჩქეფს პოეტის ბუნებაში. როცა კაცი ჰხარობს, უნდა ყველას უხაროდეს; როდესაც ნაღვლიანია, სცდილობს იგი სხვას გაუზიაროს. ადამიანი

ჰეშმარიტებას რომ შეიგნებს რასმე, შეუძლებელია სურვილი არა ჰქონდეს ამ ჰეშმარიტების ფართო მასისათვის გადაცემისა. იგეისთვის წამებულნი და დევნილნი წარმოგვიდგენენ საუკეთესო ამის მაგალითსა. გრძნობის ან რაიმე იმედის გაუმჟღავნებლობა, ან აკრძალვა, ცეცხლის ალის კოლოფში დამწყვდევას ჰნიშნავს. ეს ხომ ტყუილი ცდა იქნება: ცეცხლი, ადრე თუ გვიან საფარს გამოსწვავს და ჰაერში ალად ავარდება. მდგომარეობა პოეტისა, რომელიც შეპყრობილია პოეტურის აღმაფრენით, სურვილით გამოსთქვას გულისნადები, მშვენივრად აქვს დასურათებული ჩვენს პოეტ **ვაჟა-ფშაველას**:

როს უკვირდები თავის თავს
და არ ვემდური მეტადა:
მადლს დავთვლი ათასობითა,
ცოდვა სამ რჩება კენტადა—
მხრები მესხმება, ვიზრდები,
ცად ვიწევ ასაფრენადა.
გაჩნდება სიდღაც ნათელი,
გულს ჩამიდგება სვეტადა;
ზავდება მწყობრი სიტყვები
ქაღალდზე დასაბეჭდადა;
მითთრთიან გულის სიმები
სიამოვნების ღმერთადა.
არა ვსთქვა, არ შემიძლიან
მონა ვარ მაშინ ჩანგისა:
ნაცნობნი მეუბნებიან:
„ჰირიმე შენის ჰანგისა!“
თავადაც მომწონს: საამოდ
ხმამწყობრად ადის—დადისა
ჰქუხს ჩანგი, ველარ ისვენებს,
მეც მხოლოდ მღერა მწადისა
იშლება, მღერაში დნება
ბუდე ყველა სხვა დარდისა.

აი ნამდვილი აღწერა პოეტისა, როდესაც შემოქმედების ხანშია. იგი ემსახურება ადამიანთა შორის თანაგრძნობის, გაგების დამყარე-

ბას, ზოგჯერ ინსტინქტით, ალღოთი მუშაობს. და პოეტი იმდენათ არის ნიჭიერი, დასაფასებელი, რამდენადაც მეტს ადამიანს განაცდევინებს. აგრძნობინებს იმას, რასაც თვითონ გრძნობს და განიცდის. ეს, რასაკვირველია, არ ჰნიშნავს იმას, თითქოს უეჭველად საჭირო იყოს პოეტმა თავის ნაწარმოებში ტენდენცია შეიტანოს და მსჯელობით აუხსნას მკითხველს შთაბეჭდილება. პოეტი მხოლოდ ჰხატავს, გვიშლის სურათებს და შთაბეჭდილების მოხდენა უკვე ამ სურათის საქმეა. ეს ხალხური პოეზია, სიმღერები, მუსიკა—სხვათა შორის კაცობრიობის ზემოხსენებული სოციალობის გრძნობის ნაყოფია და მით დასაფასებელი. თვით ისეთი პესიმისტი ფილოსოფოსი, როგორიც **შოპენჰაუერია,** როდი უარყოფს ხელოვნების დიად მნიშვნელობას და ამბობს: ხელოვნება—თამაშობისა და გართობის ისეთი დარგია, რომელსაც შეუძლიან დუხჭირ ცხოვრების პირობებში ნუგეში გვცეს, დაგვატკბოსო, თუმცა იმასაც უმატებს, წუთიერია იგი დატკბობა, არახანგრძლივიო.

ჩვენი საამქვეყნო არსებობის უდიდესი დარდი, სევდა, ნაღველი იმისგან მომდინარეობს, რომ მარტონი ვართ ყველანი, ეულნი, სულით ობოლნი. ყოველი ჩვენი ძალ-ღონე მხოლოდ იმისთვის იხარჯება, როგორმე თავი დავახწიოთ ამ ობლობას, ამ ეულობას, მარტოობას... აი, ჰხედავთ— ორი შეყვარებული სკამზე ზის. ისინი, როგორც ჩვენ, როგორც ყოველი არსება ქვეყანაზე, სცდილობენ თავს აიშორონ მარტოობა, სცდილობენ ობლობა სულისა მოსპონ— უნდათ მოიშორონ იგი ერთს წუთს მაინცა, მაგრამ ამაოდ... ისინიც მარტონი არიან და მარტონივე დარჩებიან.

ასე ელაპარაკება ფრანგთა მწერლის **გიუ-დე-მოპასანის** მოთხრობის („სული ობოლი“) გმირი თავის მოსაუბრეს. ამ ადამიანის პესიმისტური შეხედულებაც რომ ავიღოთ, მოლაპარაკე მართალი მაინც არ იქნება. მას დაჰვიწყნია პოეზია. კაცთა შორის გრძნობათა გაზიარების უდიდესი იარაღი სწორეთ პოეზიაა. იგი ამსხვრევს იმ ზღუდეებს, ცხოვრებაში რომ არსებობს ადამიანებს შუა, გადალახავს ყოველ საზღვარს და სპობს ობლობას სულისას, მარტოობას

გულისას. პოეზია, განსაკუთრებით ლირიკა. ის ქვეყანაა, სადაც ადამიანი ყველაზე უფრო გულწრფელია, არა რცხვენიან თავის გრძნობათა გამოჟღავნებისა, რანაირიც უნდა იყოს იგი. რასაც პოეტი ზოგჯერ თავის ნაწარმოებში გამოსთქვამს, კერძო ცხოვრებაში, ცალკე, თავის დღეში ვერ იტყვის, ან არ იტყვის. უდიდესი გულახდილობა კაცისა, გულწრფელობა —პოეზიად გამოისახვის. და ამიტომ არის, რომ პოეტის ნაწარმოებში ბევრი თავის გულის პასუხს, საიდუმლო სიხარულს და ვარამს, სევდას პოულობს. პოეზია მთელი კაცობრიობისათვის ერთ ენას ჰქმნის და ასეთი ენა არის—გრძნობის ენა, ერთისა და იმავე ემოციის სხვადასხვა ადამიანებში გამოწვევა. ერთნაირი განცდა კი ადამიანებს აახლოებს, აკეთილშობილებს, ხელს უწყობს ძმობის, ერთობის, სიყვარულის განმტკიცებას.*) პოეზია ჭეშმარიტებას კი არ გვიმტკიცებს, თვალსაჩინოდ ჰხდის, გვიჩვენებს, როგორც ამბობს რუსის კრიტიკოსი **ბ. ბელინსკი.** პოეზია სურათებით გველაპარაკება და გვიბადებს ესთეტიურ შთაბეჭდილებას. ესთეტიური შთაბეჭდილება კი ყოველთვის სასარგებლო და სასურველია, კაცის დამამტკბობელი, რანაირი შინაარსის სურათმაც უნდა მოახდინოს იგი.

ესთეტიური შთაბეჭდილება რაღა არის? ეს საკითხი ძლიერ ძნელი გადასაწყვეტია და ბევრი მეცნიერი იმტვრევდა თავს მის გამოსაკვლევად. არის იგი მარტოოდენ ფსიქიური მოვლენა, თუ ფიზიოლოგიური საფუძველი აქვს? აი, საკითხები, რომელიც თავგზას უბნევდა მკვლევარებს. ჩვენ ვიტყვით მხოლოდ, რომ ესთეტიურ დატკბობის პროცესში სრულიად არ არის რაიმე სარგებლობის ელემენტი. აქ პოეზია, ან მშვენიერება, გრძნობის გზით, რომლის სიდიადე უკვე ვიცით, აერთიანებს გონებას და ნებისყოფას. ადამიანი რაღაც ძალას და სიხარულს გრძნობს არსებაში, მოქმედებისკენ, მოძრაობისკენ მიისწრაფვის. მართალი იყო ბერძენთა ფილოსოფოსი

*) ასე განმარტებს ფრანგთა მწერალი მ. გიუიო პოეზიას თავის წიგნში: „ხელოვნება სოციოლოგიურის მხრით (არის ქართული თარგმანიც, მგონი არასებული. დაიბეჭდა „მოამბეში“, წელი არ მახსოვს)“.

პლატონი, რომელიც ამბობდა, სიმშვენიერეს ხილვა და გრძნობა თვით მხილველსაც ამშვენიერებსო. პოეზიაც სწორედ ასეთ ზედმოქმედებას იჩენს ადამიანზე. თვით ტანჯვა, საშინელება ცხოვრებისა, მხატვრულად ნათელყოფილი და განჭვრეტილი—ყაცს მოსწონს, ატკბობს. ეს უკანასკნელი გრძნობა სდამიანისა მშვენიერად აქვს გამოხატული ისევ ვაჟა-ფშაველას თავის „უბედოდ ბედნიერში“:

ვიდრე ტანჯვაში გხედავ უბედურს,
არ შეიძლება უნდა ვიტანჯო,
შენს ყოფნას ჰგვანდეს, მსურს ჩემი ყოფნაც
თუნდა ძალ-ღონე უბრალოდ ვხარჯო.
ბედნიერადა თავს მაშინა ვგრძნობ
და აღარ მარცხენის ხმა იდუმალი,
ჩემი ტაიჭიც უღალავად რბის
და არ ელევა მუხლებში ძალი,
თამამად ვადგამ მიწაზე ფეხებს,
ამაყადა სძგერს გული-ბედკრული;
თავს მაღლა ვიღებ, წელში ვსწორდები,
კაცი ვარ მაშინ, ვაჟკაცი სრული.
ია და ვარდი გულზე მასხია
ნეტარებასა განიცდის სული
ვბრიყვდები ამით—ვითომ შველაა
რომ შენს ტანჯვის დროს მეც ვიტანჯები?
შველა მგონია სახსარ-დალეულს
რომ წარა-მარად მე ვიხარჯები.
თვისვე ოცნებით მოტყუებული
შავბედიანი ბედნიერ ვხდები.
რად არის ასე, ეს თქვენ გაიგეთ,
თავს რად ვატყუებ, რისათვის ვცდები?!“

თავს რად ვატყუებ, რისათვის ვცდები?! მართლაც ძნელი გადასწყვეტია, რათ ვიტყუებთ თავს ბევრ რასმე“ი „„რისათვის ვცდებით,“ მაგრამ დღევანდელი ადამიანი ჯერჯერობით ასეთია.

დასასრულ მოვიყვანთ ფრანგის მწერლის **ა. ფულიეს** განმარტებას პოეზიისას, რომელიც ავტორმა დასწერა ისევ მ. გიუიოს მიხედვითა. ხელოვნება, პოეზია აშორებს პიროვნებას საპირადო

ცხოვრებას და აზიარებს მსოფლიოს ცხოვრებასთან. პოეზია წამდვილი მუსიკაა—მუსიკა იმ მხრით, რომ გამოიწვევს სხვა და სხვა პიროვნებათა ხმაშეწყობილობას (ჰარმონიას). პოეზია საუკეთესო იარაღია მრავალ გულთა ერთ ჰანგად ასაძგერებლად, ისე ასაჟღერებლად, რაგვარადაც ჟღერს სიმი რომლისამე საკრავისა, ან ადამიანის ხმისა. უეჭველია ერთნაირად აზროვნება ბევრს რასმე ჰნიშნავს, მაგრამ იგი უძლურია ერთნაირივე სურვილი დაჰბადოს. უდიდესი საქმეა კაცთა გული ერთნაირად ააძგერო, გააერთიანო ერთის ჯრძნობითა და ამ სასწაულს მხოლოდ პოეზია, ხელოვნება სჩადისო.

ასეთია პოეზია და ასეთია მისი ძალა, რადგან იგი გრძნობის გზით მოქმედობს. ძლიერ დიდი ისტორია აქვს პოეზიას, ხანგრძლივი მატიანე. ამისთანა ხანგრძლივი ისტორია მხოლოდ ისეთ რასმეს ექნება, რაც ადამიანისათვის საჭიროა, აუცილებელია. შეგვიძლიან თამამად ვსთქვათ, რომ პოეზია აკმაყოფილებს განსაკუთრებულს მხარეს ადამიანის ბუნებისას. მისი ხანგრძლივი ისტორია ამტკიცებს, რომ პოეზიის არსებობა ქვეყანაზე მართებულია, ამტკიცებს, რომ იგი სრულიად არ არის შემთხვევითი მოვლენა. ამიტომ კანონიერი და მართებულია ის საერთო სიყვარული, მიდრეკილება, კაცობრიობას რომ ემჩნევა პოეზიისა და მშვენიერებისადმი. პოეზია ყოვლადია და მიტომ ყველასთვის გასაგები. იგი რომ არ ყოფილიყო, ადამიანი ბევრ რასმე დაჰკარგავდა. ბევრს სასო წარეკვეთებოდა, უფერულება ცხოვრებისა მეტი იქნებოდა, ვიდრე დღეს არის.

II.

არსებობს ერთი მშვენიერი ლეგენდა სახელგანთქმულ ბერის და მწერლის ექვთიმეს მამის იოანეს შესახებ. ეს იოანე მოღვაწეობდა მეათე საუკუნეში ათონზე. იოანეს ვერ აკმაყოფილებდა არსებული სამშობლო; მას საქართველო უფრო იდეალურად, სრულქმნილად წაროედგინა. თორნიკეს მიცვალების შემდეგ იოანემ განიზრახა წასულიყო, სხვა საქართველო ეპოვნა, უკეთესი, სრულქმნილი,

უნაკლო. ეძიებდა იგი ამისთანა ქვეყანას, ეძიებდა საქართველოს და მიემგზავრებოდა ესპანიად, „რამეთუ ასმიდა, ვითარმედ ქართველნი არა მცირედნი ნათესავნი და ერნი მკვიდრ არიან მუნ“...

ეს თქმულება ნამდვილი გამოხატულებაა, დამახასიათებელია ქართული მწერლობის, ლიტერატურის მიმართულებისა, განსაკუთრებით უკანასკნელ საუკუნის პოეზიისა. ჩვენს ისტორიას რომ დააკვირდეს ადამიანი, ძლიერ ადვილად შეამჩნევს შემდეგს: საქართველოს ისტორია მუდმივი შენება-ნგრევის ისტორიაა. როგორც იქნებოდა ავაშენებდით ქვეყანას, შევქმნიდით სახელმწიფოებრივ წესწყობილებას. მოვიდოდა გარეშე მტერი და მთლად დაგვილეწდა ყველაფერს, გაგვინადგურებდა. დაგვეკარგებოდა სამშობლო, გაჰქრებოდა დროებით საქართველო და ვიწყებდით ახლად საქმეს, ვეძებდით დაკარგულ სამშობლოს, რომ კვლავ აგვეყვავებინა იგი, კვლავ მოგვეწყო.

რას შვრებოდა საქართველოს გაჰირვების დროს ქართული ლიტერმტურა, მწერლობა? მისი ბედიც ნამდვილი ანარეკლი იყო საქართველოს ბედისა და მეთორმეტე საუკუნიდან დაწყებული ჩვენ სულ ხშირად და ხშირად ვხედავთ მოთქმას, სევდას სამშობლოს მდგომარეობის გამო. აქედან იწყება ძებნა ძლიერის, თავმომწონე საქართველოსი და ამის გამომხატველია ქართული ლიტერატურა. პირველ ხანებში ფრიად ბუნდოვანი იყო ყველაფერი და ჩვენი პოეტები გრძნობდნენ მარტოოდენ სევდას გამოურკვეველს, გულის წუხილს დაუამებელს:

ჟამი გარდახდა შვებისა, მოვიდა გლოვა წუხილი,
ლხინმან მიმრიდა, შემექნა გულს ურვა, თვალთა წუხილი,
ღვარი მდიოდა სისხლისა, ცრემლთა ისმოდა ქუხილი“-ო

ამბობს **მეფე თეიმურაზ პირველი** (†1663 წ.)

ასე სჯირს საქართველოსა
დიდებულთ, გინა მცირეთა.
აზვავდებიან, იტყვიან
უჩემოდ ვინ იმღერითა

სჩივის ჩვენის ნაკლით გულდათუთქული პოეტი—**მეფე არჩილი,** საქართველოს პირისუფალი (1647-1712 წ.)

რად დავიბადე, სოფლით ვიბადე.
ვაი სიკვდილო, მწარე სიკვდილო,
მეგონა რამე, სოფელი რამე
ვაი სიკვდილო, მწარე სიკვდილო

მოსთქვამს **მეფე ვახტანგი** (1675—1723 წ.)

სევდის ბაღს შეველ შენაღონები
მოკრეფად მსურდა ვარდის კონები
. . . . . .
ბესიკი სიკვდილს არ ვემალები,
თავი მაქვს მისთვის შენაწონებიო

ამბობს „მხიარული“ **ბესიკი** (1749—1791 წ.)

აღარ მსურს ქნარი. საკრავად სტვირი,
არც ზედ დამღერა, აწ ამას ვსტირი,
ცრუმან საწუთრომ მარიდა პირი...
გამაყრევინა თავზე თმა-ხშირიო

ჰგოდებს **დავ. გურამიშვილი** (1705—1791 წ.) და გულს უკლავს ის გარემოება, რომ „ქართლელების აღმა ხნული, კახელებმა დაღმა ჰფარცხეს“.

გადმოვედით მეცხრამეტე საუკუნეში და აქ სევდა ჩვენი, თუმცა უცებ არა, მაინც ჩამოყალიბდა, ნათელი გახდა, თუმცა, საცა სამართალი იყო, სწორედ ამ დროს უნდა ვყოფილიყავით დაამებულ-დამშვიდებულნი. მაგრამ, აბა, რა გუნებაზე დაგვაყენებდა

აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,
აჰა ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო.

და სწორედ ამან ააჟღერებინა ჩანგი ზოგჯერ სევდის ჰანგად „მხიარულსავე“ **ალ. ჭავჭავაძეს**. მას მისდევენ **გრ. და ვახტ. ორბელიანები;** შემდეგ უნიჭიერესი **ნიკო ბარათაშვილი,** რომელსაც გულს უკლავდა „ბედი ქართლისა“, რადგან კარგად ჰხედავდა ჩვენს უმწეო მდგომარეობას, „დაშთობილ ლამპარს“.

ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი,
ვერსად აღვანთე დაშთობილი მისი ლამპარი!

ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!

აი, სულით ობოლი პოეტის აღსარება. **ილია ჭავჭავაძისა** და **აკაკის** შესახებ რაღა ითქმის? პირველი ხომ მუდამაც იმას დასტრფოდა,

ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე და ღამ ნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი.

აკაკიმ სამშობლო სატრფოსავით შეიყვარა, მისთვის ხელობს, მისთვისვე მკვდარი. იგი გვამცნობს:

მაგრამ იცით ჩემი სატრფო ვინ არი?
ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი,
ფეხშიშველა, თავზედ ლეჩაქახდილი.

აკაკი ამ სატრფოს ეძებს და მისტირის, ვით ტარიელი ნესტან-დარეჯანსა.

გადაათვალიერეთ ახალგაზდა მწერლების, **ალ. შანშიაშვილის, ი. მჭედლიშვილის, ს. ფაშალიშვილის** და სხვათა ლექსები და ადვილად დარწმუნდებით, რომ ჩვენი ლიტერატურა მუდმივი ძებნაა საქართველოსი, დაკარგულ სამშობლოსი, სურვილია მომავალში მის განმტკიცებისა. იმაში ისმის პოეტთა „კვნესა გულისა", მარადი ოხვრა და სევდა იდეალისადმი.

ჩვენი ლიტერატურა მთლად გაჟღენთილია მოქალაქობრიობის ჰანგებითა, მითი ცოცხლობს და სული უდგია. ქართველ საზოგადოებასაც სარგებლიანობის საზომი აქვს პოეზია-ლიტერატურისათვის. და ეს ადვილი ასახსნელიცაა. იქ, სადაც არ არის ნორმალი პირობები ცხოვრების განვითარება-ზრდისა—უპირველესი საზრუნავი ამ პირობათა შექმნა და ჰაერის გასუფთავებაა. შეჰქმენით ნორმალი პირობები ადამიანთა ცხოვრებისათვის და მაშინვე აღმოჩნდება სხვა მრავალი დაუკმაყოფილებელი მხარეები კაცის ბუნებისა. გამოჩნდება ის, რასაც ეხლა ფარავს ჩვენი ერთად-ერთი საზრუნავი, ერთად-ერთი უბედურება—მონობა, დაჩაგრულობა. ლიტერატურა, პოეზია ბრძოლისკენ უნდა მოუწოდებდეს, სოციალ უსამართლობას ჰხატავ-

დეს; მჩაგვრელებს უნდა ჰგმობდეს, ჩაგრულთ იმედს უღვიძებდეს, ამხნევებდესო—აი, ჩვენი ფართო საზოგადოების აზრი ხელოვნების შესახებ. რასაკვირველია, ყველა ეს კარგია, მაგრამ თუ ზემოხსენებული იქადაგე და მხატვრობას ყურადღება არ მიაქციე--პუბლიცისტიკა გამოვა და არა პოეზია. უკანასკნელს კი გრძნობის გზით მოქმედება ეხერხება და არა მშრალი მსჯელობა, ქადაგება. ჩვენი ანორმალ მდგომარეობის გამო ქართულ ლიტერატურაში ჯერაც ვერ მომხდარა დიფერენციაცია პოეზიის და პუბლიცისტიკისა. და ხშირად, ძალიან ხშირად, პოეტი პუბლიცისტობს თავის ნაწარმოებში და ამით მხატვრულ შთაბეჭდილებას ანელებს.

მიუხედველათ ჩვენი საზოგადოების განსაკუთრებულ მდგომარეობისა, დღევანდელმა ჩვენმა პოეზიამაც ყურადღება უნდა მიაქციოს საკაცობრიო საკითხებს და ეროვნულ ნიადაგზე გადმორგას. რაც დღეს ევროპას ეინტერესება --ჩვენთვის საინტერესო შეიძლება იყოს. დიდია, განუზომელი ასპარეზი პოეზიისა და ჩვენმა პოეტებმა მთლად უნდა ამოსწურონ მრავალფეროვანი შინაარსი ადამიანის სულის და ხორცის ცხოვრებისა, გადაგვიშალონ არა მარტო ის, რაც არის, არამედ შექმნან იდეალიც, გვაჩვენონ ისიც, რა შეიძლება იყოს.

როგორი უნდა იყოს პოეზია საზოგადოდ, რას უნდა გამოხატავდეს? ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია მწერალს კანონები დაუწეროთ და ამ კანონთა აუცილებლად ასრულება მოვთხოვოთ. უმეტეს შემთხვევაში ამნაირი კანონების წერა ტყუილი დროს დაკარგვაა, რადგან შეუძლებელია წინადვე სრულად განსაზღვრო ფარგალი პოეტიური შემოქმედებისა. ერთი საზომი კი გვაქვს. შეგვიძლიან გადავწყვიტოთ, ესა თუ ის ნაწარმოები, მოახდენს თუ არა ესთეტიურ შთაბეჭდილებას. თუ მოახდენს, ხომ კარგი, არა და ნაწარმოები არ ვარგა, პოეტი სუსტი ნიჭის ყოფილა; მაგრამ აქ ერთი გარემოებაა იღსანიშნავი: შესაძლებელია თემა ნაწარმოებისა ფრიად ყურადსაღები იყოს, საგულისხმო. მაშინ საქმე სხვა არის, საკითხს უკვე სხვა მხრით უნდა შევეხოთ და ესთეტიკა გვერდზე გადავდოთ.

რა არის პირველი აუცილებელი პირობა პოეტურის ნაწარმოებისა? უეჭველია ძალდაუტანებლობა. თუ პოეტი ძალდატანებით, რეცეპტით სწერს—კარგს ვერაფერს შექმნის. თუ პოეტიური ნაწარმოები თავისუფალი შემოქმედების ნაყოფი არ არის—ესთეტიურ შთაბეჭდილებას თავის დღეში ვერ მოახდენს. მთლიანობა, დასრულება სურათისა, აი, მეორე მხარე ნამდვილის პოეზიისა. თუ პოეტმა მთლიანისა და სრულის სურათის შექმნა ვერ შესძლო—უნიჭობას დაამტკიცებს. სურათის შესაქმნელად კი საჭიროა არაკი, სიუჟეტი, რაზედაც პოეტი გრძნობა-განცდილს მოჰქარგავს. ზემოხსენებული თქმა, განყენებული მსჯელობა კი არ არის, საუკეთესო პოეტების ნაწარმოებთა დაკვირვებით გამოყვანილი დანასკვია. ერთი რამეც უნდა ითქვას—არაკი, ხილული სიუჟეტი ყოველთვის საჭირო არ არის სალირიკო ლექსთათვის. აქ პოეტი თავის პირად განცდა-გრძნობას გვამცნობს და ამ განცდილში ადვილად ვსჭვრეტთ მსოფლიოს, გარეგან ქვეყანასა. პოეტი აქ აშუქებს თავის «მე»-ს და იგი შუქი ეფინება მთლად სამყაროსა.

ძალდაუტანებლობის და სურათის მთლიანობის მშვენიერ მაგალითს ჩვენი პოეტი **ვაჟა-ფშაველა** წარმოგვიდგენს. ვაჟას პოეზია დაწერილი არ არის—იგი წარმოთქმულია სადმე ნადიმად, დიად მეჯლისში. მისი პოეზია—თითქოს უებრო იმპროვიზაციაა და ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენს, მისი პოეზიის ნაცნობი, ვაჟას კალმით ხელში, მაგიდასთან მიმჯდარს. ვაჟას პოეზია—გოგოთურის, აფშინას, საზიკაულის და სხვა მთის არწივთა ყრილობაზე, მათ ლხინზე წარმოთქმული დეკლამაციაა. გმირნი „წარსულთა დროთა მოგონებით სულს აფიქრებენ.“ ვაჟა ლაღადა გრძნობს თავს და ისმის მჭექრი ხმა, გარდახდილ ამბავთა თხრობა, მოწოდება ქვეყნისა და სამშობლოს მტერ-დუშმანთან საბრძოლველად... გმირებსაც ესმით მგოსნის გულის თქმა, მისი ყიჟინა, ვინაიდან ბრძოლაში გაკაჟებულ არიან, „ემღერებათ და იმღერიან“, მათი სტიქიონია ესა, მათი მოთხოვნილება. აქ მგოსანსა და გმირებს შორის სრული თანხმობაა, სრული ჰარმონია, სხვა გარემოებაში განუმეორებელი ჰარმონია. აქ

ციური და ქვეყნიური, მეორე ჩვენის მგოსნის სიტყვა რომ ვსთქვათ, „ერთად შეთხზულა, შეზავებულა“. ვაჟას პოეზიის სილაღის და მთლიანი სურათიანობის საუკეთესო დამამტკიცებელია მისი „დაუსრულებელი კვნესა“.

საზარელია ეს მხარე,
ზავთით მზარავი კაცისა...
როცა კი შემობინდდება
კისკისი ისმის ალისა,—
ამ მომხიბლავის, ცბიერის,
ტურფა, თმა-ხშირი ქალისა.
კლდიდან რომ დაბლა სიპებზე
ჩხრიალი ისმის წყალისა,
თავს უპყრობს კლდისა ნაჟურსა,
მატყვევებელი თვალისა;
გადაივარცხნის ქოჩორსა
ჩამოპოხილსა ნამისა
და შეუბურავს საროს ტანს
ჯანღი ნაწნავთა ჯარისა.
შუაღამემდე აქა ზის,
ტკბილად დამღერის არესა,
მკვდართ სულ აშლამდის ლხინშია
შესტრფის ამ ტურფა მხარესა,
უჩვენებს ელვის კბილებსა,
ცაზე გადმოსულ მთვარესა.
მთვარე რომ ჩავა, ვარსკვლავნიც
თითოობითა ჰქრებიან,
ცაში ზარს დაჰკვრენ ცისკრისას,
ცოდვილთ სულები ჰკრთებიან
და მკვდარნიც საფლავებიდან
სასეიროდა დგებიან:
მაშინ კლდის ქალი, ეს ტურფა,
წავა ნაბიჯით სწრაფითა;
შეივლის შავსა ჭანჭახებს
გალიპულს წყალთა ქაფითა,
ბნელს მღვიმეს მოეფარება

სიპის კარების ჩჩაფითა...
ცა გაიბურვის ღრუბლებით,
როგორც მურით და ლაფითა.

აი, სამაგალითო ნაწარმოები. აქ არაკი (სიუჟეტი) არის, პოეტიური არაკი და სურათიც სრული გამოდის. ძნელად გამოჩნდება ისეთი ადამიანი, ამ ლექსის შესახებ ძვირი სთქვას, ნაკლი რაიმე გამონახოს. და რა სიამოვნებას განაკდევინებს ეს ნამდვილი ხელოვნური ნაწარმოები თავის სისადავით, ძალდაუტანებლობით და გამოკვეთილობით, ამაზე ყველა მკითხველი ადვილად დარწმუნდება.

აქ უნდა ერთი გარემოება აღვნიშნოთ. ბევრჯელ გაგეგონებათ, ამა და ამ კრიტიკოსმა პოეტს ისეთი რამ მიაწერა, რაც მწერალს სიზმრად არ მოლანდებიაო. ძალიან შესაძლებელია ასეთი ამბავი და შეცდომის მიზეზი ყოველთვის პოეტის სურათის დასრულებაა, მთლიანობაა. როდესაც მგოსანი ჰქმნის, მხედველობაში აქვს მხოლოდ ერთი მხარე თავის ნაწარმოებისა. იგი ამ მხარეს ჰხედავს და ისე შემოქმედებს. მაგრამ პოეტიური ნაწარმოები სწორედ იმით განიზომება და იცნობა, რომ ცალმხრივი თავის დღეში არ არის. მგოსანი-ხელოვანი, როგორც არა ერთხელ ვსთქვით, ჰქმნის მთლიანს სურათს, დასრულებულს და საკვირველი არ უნდა იყოს, თუ მკითხველმა ნაწარმოებში ის აღმოაჩინოს, რაც პოეტს აზრად სრულიად არა ჰქონია. პოეტი, როგორც ვსთქვით, ერთს მხარეს ჰხედავს თავის ნამოქმედარისას, მკითხველი კი ყოველ მხარეს. მგოსანს ამიტომ შეიძლება არ ესმოდეს პირველად მთელი დიადი მნიშვნელობა თავის შემოქმედების ნაყოფისა. ამის მაგალითს რუსის მწერალი **ნ. გოგოლი** წარმოგვიდგენს. გოგოლი კონსერვატორი იყო, ძველი წესწყობილების და ბატონ-ყმობის მომხრე. თავის დღეში მთავრობის წინააღმდეგობას არ იფიქრებდა. და მიუხედველად ამისა, მისი „მკვდარნი სულნი“ საუკეთესო კრიტიკაა მაშინდელის რუსეთისა. გოგოლმა „რევიზორი“ რომ დასწერა, აზრად ჰქონდა დაეხატა ადამიანისათვის, თუ როგორ შეიძლება კაცმა დაჰკარგოს ყოველი სახე ადამიანისა, როცა შინაგანი, ზნეობრივი საჭე არა

აქვს.*) ნამდვილად კი მაშინდელი მთავრობის საშინელი სურათი დახატა და მართალი იყო მეფე ნიკოლოზ I, რომელმაც „რევიზორი“-ს წარმოდგენის შემდეგ თქვა: „აქ ყველას მოხვდა, ყველაზედ მეტად კი მე“-ო.

პოეტმა მხოლოდ არსებული უნდა გამოჰხატოს, თავის დღეში არ უნდა უღალატოს სინამდვილესაო, ამბობენ ზოგიერთები.

გავშინჯოთ საუკეთესო ნაწარმოებნი პოეტებისა და ვნახოთ, მართალია თუ არა ეს ზოგიერთების თქმა. მართლაც, ხელოვნება უპირველესად გამოჰხატავს იმას, რაც არსებობს და უნდა არსებობდეს. საამისო მაგალითად ბუნების აღწერა და იდილიური სურათები გამოდგება. ავიღოთ თუნდა **რაფ. ერისთავის** ზოგიერთი ლექსი, სადაც გლეხის მდგომარეობაა აწერილი. მაგრამ აქ სდგება ერთი ყურადსაღები საკითხი: პოეტი სინამდვილის მონა არის, ან უნდა იყოს თუ არა? განა პოეტის მიერ დახატული სინამდვილე მთლად არსებული სინამდვილეა უცვლელად? გვგონია, რომ არა და აი, რატომ. როდესაც პოეტი სწერს, ისე სწერს, თითქოს ყველაფერი ცხოვრებაში მომხდარიყოს, ნამდვილად ყოფილიყოს და პოეტსაც ენახოს. მაშასადამე მგოსანი მოგონებით, წარსულის გადადუღებით ჰქმნის და სწერს. მოგონება კი რისიმე, გონებით წარმოდგენა ის არ არის, რაც სინამდვილე. პოეტის ნაწარმოებიც არაა ფოტოგრაფიული სურათი, იგი ხელოვნური ნაწარმოებია. როგორც მოგონების დროს, ისე აქ წვრილმანი, უმნიშვნელო იკარგება—მსხვილმანი, ყურადსაღები რჩება. ამიტომ არის, რომ ზოგჯერ ნაწარმოებში დახატული საგანი უფრო ნათელყოფილია, გამოკვეთილი, ვიდრე სინამდვილე-ცხოვრებაში. ამაზეა დამყარებული ინგლისის მწერლის ოსკარ უაილდის აზრი, ნამდვილი სინამდვილე, იდეალური—ხელოვნებაა, ცხოვრება მასთან შესადარებელიც არ არისო. პოეტის ნაწარმოებში სინამდვილის სურათია მხოლოდ. ისეთი სურათი, სადაც წვრილმანის აშორება მეტ ფერადიანობას აძლევს დახატულს, ელფერს უცვლის და ყურადსაღებად ჰხდის.

*) იხ. ამის შესახებ: **Н. Котляревскій**—„Гоголь“.

ავიღოთ ახლა სხვა ნაწარმოებნი. ჩვენი ლიტერატურის მებაირაღტრის ილია ჭავჭავაძის მოთხრობებსა ღა ნაწარმოებში გამოხატულია სინამდვილე. „კაცია-ადამიანში“, მაგალითად, გამოსახულია ქართველი თავადიშვილი ლუარსაბ თათქარიძე, რომელიც ჭამა-სმისა, გორაობისა და ბუზის თვლის მეტს არას დაგიდევს. ღირსეულ თავადს ღირსეული კნეინაც უმშვენებს მხარსა. მთელ თავის სიცოცხლეს მუქთახორა ცხოვრებასა, ჩიხირთმა-ბოზბაშის უპირატესობაკამათში ატარებს დროს ეს ორი ადამიანი. აქაც სინამდვილეა მხატვრულად განსახიერებული. მაგრამ როგორი სინამდვილე? დასაგმობი, არასასურველი.

მაშასადამე ხელოვნება კარგსაც ჰხატავს, ავსაც—იმასაც განასახიერებს, რაც არის, მაგრამ არ უნდა იყვეს. პოეტი მხოლოდ სურათს გვიხატავს და იმითი გველაპარაკება. აზრის გამოტანა უკვე ჩვენი საქმეა. არამართებული სინამდვილე უდიდესი ასპარეზია ახლანდელი მწერლისათვის. ამიტომ ახლანდელ მწერლობაში უმთავრესად ისახება ის, რაც დასაგმობია, რაც არ უნდა იყოს. გადავლეთ თვალი ჩვენს მწერლობას და ადვილად დარწმუნდებით, რომ იგი თითქმის მარტოოდენ უარყოფითს ცხოვრებას ჰხატავს და შეუმჩნეველი რჩება დადებითი მხარეები. მოიგონეთ აკაკის და ილიას ლექსები, სატირები—სადაც პოეტნი ახლანდელ ქართველობას აგვიწერენ.

მაგრამ განა მარტოოდენ არსებულით განისაზღვრება ხელოვნების საგანი? არა. პოეზია იმასაც გამოჰხატავს, რაც სინამდვილეში არ არის, მაგრამ ავტორის აზრით შეიძლება იყოს. ამასთანავე პოეტი ჰხატავს სასურველ სინამდვილეს, იდეალს ჰქმნის. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ამერიკელი მწერლის **ბელამის** სოციოლოგიური რომანი: „ასი წლის შემდეგ“. ამ რომანში დასურათებულია მომავალი სოციალისტური საზოგადოება და წეს-წყობილება. მაშასადამე პოეტს შეუძლიან ისეთი რამ შეჰქმნას, რაც დღევანდელ სინამდვილეში არ არის, მაგრამ მომავალში განხორციელდება, ოდესმე იქნება. შესაძლებელია ამ დებულების შემოტრიალებაც. პოეტი

დაჰხატავს რაიმე ისტორიულ მოვლენას, მაგრამ დაჰხატავს თავისებურად. შესაძლებელია პოეტმა სასურველი იდეალი, ან ერთი მხარე, წარსულში ჰპოვოს და სცდილობდეს შეგვაყვაროს ეს იდეალი. მაგალითად, ილიას და აკაკის აქვთ ნაწარმოებნი, სადაც მხატვრულად განსახიერებულია ძველ ქართველთა მამულიშვილობა; შეიძლება ეს მამულიშვილობა ისეთი ძლიერი არ ყოფილიყოს, როგორადაც ილია და აკაკი გვიჩვენებენ. მაგრამ ეს გარემოება არ მოწმობს იმას, ვითომ ისინი ძველ ქართველებს აიდეალებდნენ და ძველის აღდგენას ჰქადაგებდნენ. ისინი მათის საშუალებით მხოლოდ მამულიშვილობის იდეალს გვიხატვენ, სასურველს საგანს, რისკენაც ყოველი ჩვენგანი უნდა ისწრაფოდეს. იდეალურის შექმნა კი ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანია ხელოვნებისა. მართალი იყო მ. გიუიო, რომლის ნათქვამსაც გავიმეორებთ: ხელოვანი ნახევრად ღმერთიაო. მარტოოდენ ყოველდღიურ სინამდვილის დახატვა ადამიანს ვერ დააკმაყოფილებს. კაცი ყოველთვის მიისწრაფვის შორეულისაკენ, იდეალისაკენ და ამიტომ პოეზიაც სწორედ ამ მოთხოვნილებას კაცის ბუნებისას აკმაყოფილებს. ფრიად დამახასიათებელია ამას წინად ბრესლავლის პარტეიტაგზე მომხდარი ამბავი. ეს პარტეიტაგი მოწვეული იყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მიერ. აქ მუშებმა, სხვათა შორის პროტესტი განაცხადეს იმ მუშათა ბელეტრისტების წინააღმდეგ, რომელნიც სცდილობენ, რაც შეიძლება შავბნელად, უიმედოდ დასახონ მუშის ცხოვრება. მოგვეწყინა ჩვენი ცხოვრების მატიანეო.*) ამავე მიდრეკილებით აიხსნება ის გარემოება, რომ ხალხს მოსწონს, ჩვენში მაგალითად, **შექსპირის** დრამები და ტრაგედიები. რათა, რისთვის? განა სრულად ესმის შექსპირის მნიშვნელობა? არა, აქ სულ სხვა რამეა. შექსპირის ტრაგედიები ფრიად ფერადიანია, შინაარსიანი. თანაც ისეთი, რაც ჩვეულებრივ ცხოვრებას, ყოველდღიურ მონოტონობას არაფრად მოაგონებს ადამიანსა. იგი დაშორებულია ამ მონოტონობას და სწრო-

*) იხ. ამის შესახებ საინტერესო წერილი **ა. ლუნაჩარსკისა:** „სოციალიზმი და ხელოვნება“ (Сборникъ о Театрѣ).

რედ ამ სიშორით არის მიმზიდველი, მომხიბლავი. აქ ნათლად გამოსჭვივის ადამიანის ბუნების რომანტიზმი, მუდმივი თანამგზავრი, აუცილებელი თვისება კაცთა ფსიხიკისა.

ზოგიერთი იმასაც ამბობდა, ხელოვნებამ მშვენიერება უნდა გამოჰხატოსო. ეს აზრი მხოლოდ ერთის მხრით არის მართალი, რადგან პოეზია ბევრ ისეთ რასმესაც გამოსახავს, რაც მშვენიერი როდი არის, გარნა ყურადსაღებია. აქ შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ხელოვნება—პოეზია მხატვრულად განასახიერებს არა მარტო რომელსამე მხარეს ცხოვრებისას, არამედ მის ყოველ მომენტს, საგულისხმოს და საინტერესოს. გავიმეორებთ—მისი ასპარეზია მთელი სამყარო და ადამიანი, კარგი და ავი—ხილული და შინაგანი, არახილული ქვეყანაა ადამიანისა.

მაგრამ უდიდესი საგანი პოეზიისა ადამიანის სულისკვეთების, ტანჯვის და სიხარულის გამოხატვაა. ადამიანის ბუნების ყოველ იდუმალ კუნჭულის პოეზიის შუქით განათება ხელს უწყობს ადამიანისავე თვითგამორკვევას, თავის და მოყვასთა ცნობას. ამ მხარეს ემსახურება სალირიკო პოეზია. ლირიკა განუზომელი ზღვაა, სადაც კაცის სული მეორეს ჰხვდება, ირკვევა და ნათელი ეფინება. უუნაზესი გრძნობანი კაცობრიობისა—სალირიკო პოეზიის საგანია. მოიგონეთ ნიკ. ბარათაშვილი, მისი მომხიბლავი სევდა, მუდმივი ძებნა ნამდვილის, ჰეშმარიტი სიყვარულისა და ძებნა იმისთანა ქვეყნისა, სადაც გრძნობიერ პოეტს შეეძლებოდა კვალად აღენთო დაშთობილი თვისი ლამპარი. სალირიკო პოეზიაში ისახება ყოველი მოხაზულება და მიდრეკილება ადამიანის ფსიხიკისა; სალირიკო პოეზიის საგანია ადამიანთა საუკეთესო გრძნობა-სიყვარული.

არ უკიჟინო სატრფოო, შენსა მგოსანსა გულისთქმა:

მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა!
მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო,
საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო;
მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი;

მინდა შენ იყო, სატრფოო, მშვენიერისა ცის ცვარი,
რომ განაცოცხლო, შავარნო, მდელო სიცხითა დამჭკნარი.

მიმართავს ობოლი პოეტი იდუმალ სატრფოს და კვნესას გულისას აცნობს. მოიგონეთ აგრეთვე აკაკის უმშვენიერესი და დღეს უკვე გაშაბლონებული ლექსი—„სულიკო“, სადაც გასაოცარის ხელოვნებით, სისადავით და უბრალოდ გამოთქმულია მთელი სიძლიერე სიყვარულისა.

ან და პოეტი გამოსთქვამს თავის ნაღველს, სევდას გვამცნებს. სჩივის სოფლის წარმავლობას, უნუგეშობას. ვერ აკმაყოფილებს აწინდელი ცხოვრება, სინამდვილე, მაგრამ მის აუცილებლობას, გარდაუვალობასაც კარგად გრძნობს.

რა მზე დაწვება, მთვარესა ჰშობს და მკრთალი შუქი
მოეფინება მშვიდი ღამის შავსა სარეცელს,
როცა ჩახუტულს ყვავილებზე თავს დაჰხრის ბუჩქი
და მდუმარება მიეცემა მაღალ მთებს, ზესკნელს,
როდესაც ჩასთვლემს ადამიანი მოწყენილ კერას—
მწარე ფიქრების შავს უფსკრულთან ვმღერი სიმღერას.
ვმღერი სიმღერას, სევდიანსა, მარად მკვნესარეს
და მარტოდ-მარტო, სოფლის გერი ცრემლს ვაფრქვევ ცხარეს.

———

ღრუბლებს რომ ჰხედავთ ტყიან მთებში—მე მიმოვფანტე
და იმ ღრუბლებად გამოვხატე სოფლის სიმჩატე:
დღეს რომ იალბუზს, მყინვარის მთას ედარებიან,
ხვალ ვეღარ ნახავთ, როგორც ბოლი კვლავ გაჰქრებიან.

———

განა არ მქონდა სიხარული, ბედნიერება!
განა არ მსდევდა ტრფობის სხივით მშვენიერება!
ბევრი მეწვია, ჩემის ტრფობით ვინც აღძრულიყო,
მაგრამ მათ მოსვლა თვით ფიქრზედაც ხანმოკლე იყო.
მომწყინდა თავი, უნუგეშო ჩემი ცხოვრება
და გადავწყვიტე სამუდამოდ გამოთხოვება.
მივეკარ გრიგალს მღელავ ფრთებზე და გავყე შორსა,
გადამაცილა ცხოვრების გზას, ვრცელსა მინდორსა;

მაგრამ წუხილი იმ ქვეყნადაც ვერ განვირიდე
და ესე გული—ზღვა შფოთვისა—ვერ დავიმშვიდე.

———

ისევ იქ მოველ... ძველ ნანგრევზე ცრემლს ვაფრქვევ წყნარად
და თანა ვმღერი, ვმღერი მწარედ, გლოვისა ზარად!..

ეს ლექსი ახალგაზდა პოეტ **ი. მჭედლიშვილისაა**. აქ ძლიერ კარგად არის გამოხატული პოეტის მდგომარეობა ქვეყნად. იგი ბევრის უკმაყოფილო, ბევრის ვერ ამტანი და მეტად გრძნობიარე—მეტადაც იტანჯვის ამ ცხოვრების უკუღმართობითა. მაგრამ იძულებულია ისევ აქ იყოს, ცხოვრებას, სინამდვილეს სასტიკი ანგარიში გაუწიოს და თან იმღეროს, იმღეროს მწარედ, გლოვისა ზარად!..

დასასრულ ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ფორმის შესახებ. ფორმას პოეზიაში ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს, დიდი მნიშვნელობა კი არა, ნახევარს შთაბეჭდილებას იგი ჰქმნის. ამიტომ ზოგჯერ უშინაარსო ლექსი რამოდენიმე შთაბეჭდილებას მოახდენს, თუ კარგ ფორმად არის ჩამოსხმული. მაგრამ ფორმა უნდა შეესაბამებოდეს შინაარსს, შეხმატკბილებულ და შეწყობილი იყოს. ამ მხრით ახლანდელი ჩვენი პოეზია ძლიერ წინ წავიდა, თითქმის ვირტუოზობას მიაღწია. შესანიშნავია ამ მხრით **ი. გრიშაშვილის** ლექსები, რომელიც სრულიად უსამართლოდ აუთვალისწუნებიათ ზოგიერთებსა. მოიგონეთ აგრედვე აკაკის და ალ. შანშიაშვილის ლექსები: აქ მშვენივრად არის ხოლმე ხმაშეწყობილი შინაარსი და ფორმა. ამის მაგალითად კმარა ყველასთვის ცნობილი აკაკის ლექსი „გაზაფხული“. რა მშვენიერია, წამახალისებელი, რაღაც ქალწულური ნათლის მომფენი, სიხარულის და აღფრთოვანების გამომწვევი ყოველი ამისთანა მხატვრული ნაწარმოები. დასტკბით ამისთანა პოეზიითა, მისის კითხვითა და განსაჯეთ, რა შეუძლიან პოეზიას და რა აუცილებელი რამ არის იგი ქვეყნისათვის, ადამიანებისთვის.

ბოლოს გავიმეორებთ: პოეზიის რომელისამე განსაზღვრულ თეორიით შეზღუდვა არ შეიძლება, შემოხაზვა ფარგლისა შეუძლებელია. არც ის შეიძლება, კაცმა პოეტს უბრძანოს, სინამდვილეს

ნუ გასცილდები, მხოლოდ ის განასახიერე მხატვრულად, ის ილა-პარაკე, რაც არსებობსო; როგორც ზემოდ ვსთქვით, გარდა რეალად არსებულისა, საპოეზიოდ არის ბევრი ისეთი რამე, ადამიანებისთვის აუცილებელი რომაა, მაგრამ რეალად არ არსებობს. პოეტის ბუნებაში ჩამარხულია იდუმალი ძალა, რომელიც პოტენციალობას სტოვებს მხოლოდ მხატვრულ შემოქმედებაში. ამიტომ პოეზიას ძალუძს და ჰქმნის კიდევაც იდეალურს, ზედმეტს ცხოვრებასთან შედარებით. პოეზია ყოველთვის იყო და იქნება მთელი ქვეყნიერების, სამყაროს, მსოფლიოს ჭვრეტა, განსახიერება. პოეზია ბევრჯერ სამყაროში ელემენტებს გადასხ-გადმოსხამს, სხვადასხვა კომბინაციებად გვიჩვენებს, ესთეტიურად დაგვატკბობს, სულით აგვამაღლებს. განგვასპეტაკებს. ამ მხრით მართალია გერმანელთა და მთლად მსოფლიოს უდიდესი პოეტი **გიოტე,** რომელიც შემდეგს ამბობს: „თავის დღეში არ შემწყდარა იმ დიდებულ ქებათა-ქების ხმა, კაცობრიობა უამუდმებით რომ გალობს და რასაც, შესაძლებელია, სიამოვნებით ყურს უგდებს თვით ღვთაება. და ჩვენც ღვთაებრივ სიტკბოებასა ვგრძნობთ, როს ვისმენთ ამ ჰარმონიულ ქებათა-ქებას, ყოველ ჟამს და ყოველ საუკუნეში რომ გაისმის, ხან ცალკე ხმად, ხან მრავლად, ხან კიდევ დიდებულ საერთო გუნდის გალობად". და ეს საუკუნებითი ჰიმნი სამყაროისადმი, ეს ღვთაებრივი ქებათა-ქება არის ხელოვნება, პოეზია...

იყო დრო, როდესაც ხელოვნება ასეთს მდგომარეობაში არ გახლდათ, რანაირშიაც დღეს არის. დანამდვილებით გამოკვლეულია და ამას არც დიდი ფიქრი და დაკვირვება უნდა, რომ ხელოვნებით დატკბობა, პოეზიით ზიარება გაუნათლებელ ხალხში, ველურ ერებში საყოველთაო იყო. აქ ყველანი თანასწორნი არიან ამ მხრით და ყოველი დიდებული ისევე სტკბება რომლისამე ხალხის მგოსნის სიმღერითა, ცეკვითა, რაგვარადაც მისი მონა და ხელქვეითი. ბუნების შვილნი—ბუნებითვე სტკბებიან და მასთან სიახლოვე უადვი-

ლებს პირველყოფილ ერებს ხელოვნების თანასწორად სარგებლობას, მის გამოყენებას. დღეს კი რა არის? განათლებულ ქვეყნებში მასსა თან და თან ჰშორდებოდა ხელოვნებას, იგი მისდვის უცხო ხილად გადაიქცეოდა. აუარებელი ხალხი მოგროვდა ქალაქებში, ერთად შეჯგუფდა. აქ დაირაზმა სამუშაოდ და გამომწყვდა ქარხანათა შეხუთულ ჰაერში. მინდვრები, ველნი და ტყენი კაცის სარგებლობის ასპარეზად გადაიქცა ყველგან და, რასაკვირველია, დაჰკარგა პირვანდელი ხელუხლებლობა, დაჰკარგა პირვანდელი სილამაზე. ბელგიაში, ინგლისში, მაგალითად, პეიზაჟს ვერსად ნახავთ, რადგან ყველგან ადამიანი გამეფებულა და ქარხნის შავი ჰვარტლით შეუღებნია მიდამო. ადამიანს, მუშას, არა აქვს მოცალება საპოეზიოდ, ხელოვნებით დატკბობისათვის. იგი იმდენად დახაფრულია, რომ აღარა რჩება დრო თანამედროვე ლიტერატურას ადევნოს თვალყური, წაიკითხოს უბრალო საბელეტრისტო ნაწარმოებნიც კი. ხელოვნება გადაქცეულა მხოლოდ რჩეულთა დასატკბობად, ხალხის ერთი პატარა ნაწილის საკუთრებად. მასსას წაერთო საშუალება ხელოვნებას ეზიაროს და თვითაც მიიღოს მონაწილეობა მის შექმნა-განვითარებაში. პოეტები, მუსიკოსები, არტისტები, ძოქანდაკეები, ხუროთმოძღვარნი—ისინი არიან, ვისი არსებობაც ხალხმა კარგად იცის, მაგრამ მათი შექმნილით სარგებლობა არ ძალუძს. მხოლოდ უკანასკნელ ხანს სცდილობენ ხელოვნების ხალხში გავრცელებას, მასთან დაახლოებას, შეიგნეს რა მისი დიადი მნიშვნელობა. მაგრამ ზემოხსენებული გარემოება ხშირად აქ იჩენს თავს და ზოგიერთებს არამართებულად მიაჩნიათ არსებობა ხელოვნება პოეზიისა. იგი მხოლოდ ბურჟუაზიისათვის შექმნილი და დაბადებული, მასვე უნდა ემსახუროს და ემსახურება კიდევაცაო. მაგრამ ეს ფრიად შემცდარი აზრია და ხელოვნება ისეთი დიადი რამ არის, რასაც უეჭველად ანგარიში უნდა გაუწიოს ყოველმა შეგნებულმა ადამიანმა და სცდილობდეს პოეზიის დემოკრატიზაციას, ხალხის და ლიტერატურის დაახლოებას. ამ მხრივ ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის თეატრს. თეატრი თუმცა არ წაროადგენს განსაკუთრებულს, დამო-

უკიდებელ დარგს ხელოვნებისას, გარნა დიადია მისი როლი შთაბეჭდილების შექმნაში, ემოციათა გავრცელებასა და ესთეტიურ ტკბობაში. მაგრამ აქ ერთი საკითხი წარმოგვიდგება, რასაც პასუხი უნდა.

ამბობენ, პოეზიას, ხელოვნებას არა აქვს მომავალიო. ცხოვრება წინ მიდის, რთულდება. მეცნიერება ძლევამოსილად იმარჯვებს და ყოველ ნაბიჯზე განამტკიცებს თავის მსვლელობას. მეცნიერება მტერია ყველაფერ ბუნდოვანის და გამოურკვეველისა. მეცნიერება შეუბრალებლად სპობს ყოველგვარ ილიუზიას, რანაირი მომხიბლავიც უნდა იყოს იგი და შიშველ ჭეშმარიტებას გვაწვდის. პოეზია ილიუზიებით საზრდოობს და არა შეგნებით; მის მიერ განსახიერებული ბუნება ის არ არის, რომელსაც მეცნიერება აგვიწერს. პოეზიას სარჩულად, ყოველთვის ერთნაირი საიდუმლოება უდევს, მეცნიერებას—ნამდვილი ცოდნა. ხშირად პოეტის მიერ დახატულ წარმტაც სურათს—მეცნიერება ანალიზს უკეთებს, შლის, ანაწილებს და გვიჩვენებს მის სრულიად არა პოეტიურ მხარესა. რამდენად მეცნიერება იზრდება, იმდენად მცირდება ასპარეზი პოეზიისა, იმდენად ჰკარგავს იგი მნიშვნელობას და ბოლოს გაჰქრება კიდევაცაო. ამიტომ რა საჭიროა იმისათვის ზრუნვა, რაც დღეს თუ ხვალ უნდა მოისპოს, აღიგავოს დედამიწის პირზედაო.

ეს ფრიად შემცდარი აზრია. თუმცა კაცობრიობამ ენა პოეზიით ამოიდგა, ფანტაზიით დაიწყო აზროვნება, მაინც ამ ელექტრონისა და ტელეფონების საუკუნეში მისი ასპარეზი არ შემცირებულა, განვითარება მისი არ შეჩერებულა. პირიქით, რაც წინ მიდის კაცობრიობა, მით უფრო ბევრი და ახალი საგანი აღმოჩნდება ხოლმე საპოეზიოდ, სახელოვნებოდ. ჩვენ უკვე ვიცით, გარდა ამისა, რომ პოეზია აუცილებელი და ფრიად საჭიროა ადამიანისათვის, აკმაყოფილებს ჯერედ დანამდვილებით არ გამორკვეულს მხარეს ადამიანის ბუნებისას და თუ ამას მივიღებთ მხედველობაში, ზემოხსენებული თქმა უმართებულოდ უნდა მივიჩნიოთ.

მაგრამ დავანებოთ თავი იმას, რაც წინად თქმულა პოეზიის მნიშვნელობის შესახებ და თუნდა პრაქტიკულად მიუდგეთ საკით-

ხსა. ვსთქვათ, ხელოვნება სხვა არა არის რა, თუ არ გასართობი. მერე განა ეს დაამცირებს მის მნიშვნელობასა? თუ გასართობია, ისეთი გასართობი ყოფილა, რაიც კაცის ამამაღლებელია და მისი მანუგეშებელი. ფრანგთა მწერალი **ფლობერი** სწერს **ლე-პუატიენს**: ერთად-ერთი საშუალება უბედური არ იყო ცხოვრებაში—არის ხელოვნების ყველაფრად აღიარება. ამასთან ერთად სხვა რამე აღარაფრად უნდა მიგაჩნდესო. სახელ განთქმული ინგლისელი მეცნიერი **დარვინი** რომანების შესახებ ასე ლაპარაკობდა: რომანები მიყვარს, თუნდაც ნახევრად უვარგისი იყოს. განსაკუთრებით ისეთები მომწონს, ბედნიერად რომ თავდება. ცალკე კანონი უნდა გამოიცეს, რითაც რომანისტებს უნდა აეკრძალოთ თავისი მოთხრობის უბედურებით დათავებაო. აქ მეცნიერი მაღლიდან დაჰყურებს ბელეტრისტიკას, მაგრამ დარვინის თქმა მაინც ყურადსაღებია.

ზოგიერთს მკითხველს ეცოდინება თუ რა მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის ცხოვრებაში წამბაძველობას. იგი ძლიერ გადამდებია და ხელს უწყობს სხვადასხვა იდეათა, ჩვეულებათა გავრცელებას. ადამიანთა ცხოვრება მუდმივი ზედმოქმედებაა ერთის პიროვნებისა მეორეზე, მუდმივი წამბაძველობა. ამის გამო რუსის სახელგანთქმულმა პუბლიცისტმა **ნიკ. მიხაილოვსკიმ** თეორიაც კი შეჰქმნა, ფრიად საგულისხმო და საინტერესო.*) ფრანგთა სოციოლოგმა **ტარდმა** ისიც კი აღიარა, საზოგადოება სხვა არა არის რა, თუ არ მიმბაძველობაო. ჰო, და სწორედ ამ თვალით რომ შევხედოთ ხელოვნებას, ძლიერ კარგად გავითვალისწინებთ მის პრაქტიკულ მნიშვნელობასა. პოეტი დაჰხატავს, მაგალითად, რომელსამე პიროვნებას, დასრულებულს, გამოკვეთილს. ეს ტიპი იმდენად იქნება ხელოვნურმხატვრული, რამდენადაც იგი ცოცხალია, მოკლებული განყენებულ ხასიათს, აბსტრაქტობასა. შესაძლებელია დაგვიხატოს ცოცხლად ტიპი საიდეალო ადამიანისა, სასურველ პიროვნებისა და თუ ეს სურათი მხატვრულია, ესთეტიური, იგი უეჭველად გამოიწვევს სიმპატიას,

*) იხ. მისი წერილი „Герои и толпа.“

წაბაძვას. ერთის სიტყვით, აქაც ემოციის საშუალებით მხატვარი გადასცემს მკითხველს იმას, რასაც სხვა ვერ შესძლებს, ან და აუარებელი ენერგია დასჭირდება. ამ მხრივ პრაქტიკული მნიშვნელობა ხელოვნებისა დიადია. თუ რამდენად გადამდები შეიძლება იყოს ამა თუ იმ მგოსნის ტიპის ქცევანი, მოწმობს გიოტეს „ვერტერი“. გიოტეს ამ რომანმა, სადაც გმირი თავს იკლავს, ისე იმოქმედა თანამედროვე გერმანელ ახალგაზდობაზე, რომ თავის მოკვლა სენად გადაიქცა, საშინლად გავრცელდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ გიოტემ თავის რომანის შემდეგ გამოცემას გამაფრთხილებელი სიტყვებიც კი დაურთო ეპიგრაფად. ბევრი ამისთანა მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ, მგონია ამითაც ადვილად გაითვალისწინებს მკითხველი, თუ რანაირი ზედმოქმედება შეუძლიან იქონიოს მხატვრულ ნაწარმოებს ადამიანზე. განსაკუთრებით ეს ქართველობის შჯსახებ ითქმის. განსვენებული **არჩ. ჯორჯაძე** ნატრობდა ისეთს მხატვარს, ხელოვანს, რომელიც შესძლებდა შეექმნა სინტეტიური სურათი ჩვენი ცხოვრებისა. დაქუცმაცებულია, დაკნინებული ჩვენი ცხოვრება და თუ გამოჩნდება ძლიერი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მხატვარი-ხელოვანი და შეჰქმნის მთლიანს სურათს ქართველობისას, დაგვისახავს იდეალს—მისი ნაწარმოები იქნება მომქმედი ძალა, ამამოძრავებელი და წარმომშობი წამბაძველობისა. აი, სწორედ, აქეთკენ უნდა იყოს, სხვათა შორის, მიქცეული ახალგაზდა პოეტთა ყურადღება, ენერგია. თუ ამ მიზნის მიღწევა მოახერხეს და შეჰქმნეს მისაბაძი, თუნდაც სინტეტიური სურათი ქართველი ადამიანის ცხოვრებისა, სახელს დიდს მოიხვეჭენ და მნიშვნელობა მათის ნაწარმოებისა დიადი იქნება.

აი, ასეთი შეიძლება კიდევ იყოს ხელოვნების მნიშვნელობა. იგი შეიძლება გახდეს ისტორიის ძლიერ ფაქტორად და გადაგვიშალოს არა მარტო ადამიანის სულის საგანძური, დაგვიხატოს აწმყო, არამედ შეუძლიან დაგვანახოს მომავლის პერსპექტივებიც.

ვიმეორებ, დიადი მნიშვნელობა ხელოვნებისა მოწინავე ქვეყნებში უკვე შეიგნეს და სცდილობენ მის გავრცელებას, გადემოკრატე-

ბას. ბუნებას და ხელოვნებას დაშორებული ხალხის მასსა ისევ უნდა დაეწაფოს ამ წმინდა წყაროს და საშუალება მიეცეს დასტკბეს, სული თვისი გააკეთილშობილოს და გული თვისი განასპეტაკოს. და მართლაც ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ მუშებიც თანდათან ეჩვევიან ხელოვნებას, აარსებენ საკუთარ თეატრებს, სადაც იმართება წარმოდგენები, კონცერტები. ამ წარმოდგენა-კონცერტებში უმეტეს ნაწილად თვით მუშები იღებენ მონაწილეობას და ამნაირად იქმნება მუშა—ხელოვანი, სცენის მოყვარე, მომღერალი, რისამე დამკვრელი და სხვა. ხელოვნება ისევ უბრუნდება იმათ, ვინც პირველი შემქნელი იყო მისი და ვინც ასაზრდოებდა. მთელი აწინდელი ცხოვრება აქეთკენ მიისწრაფვის, აქეთკენ მიექანება და ჩვენ მოვესწრებით იმისთანა დროს, როდესაც შრომით დაღლილი მუშაკი, დუქან-სამიკიტნოს მთლად მიანებებს თავს და თეატრის კარებს მიაშურებს, რათა იხილოს რომელიმე პიესა, ან და მოისმინოს დამატკბობელი, სულის ამამაღლებელი მელოდია გამოჩენილის მემუსიკისა.

მოკლედ ვიტყვით ჩვენს აზრს: გარდა საზოგადო დიადი მნიშვნელობისა, პოეზიას, ხელოვნებას აქვს, ან შეიძლება ჰქონდეს, წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობაც. იგი საუკეთესო საშუალებაა ხალხის უმრავლესობას მიეცეს გონიერი და ყოვლად დამაკმაყოფილებელი საზრდო. დღეს დღეობით საქმე სხვანაირად არის. ხელოვნება მხოლოდ ერთ ჯგუფს, ერის უმცირესობას უწევს სამსახურს; თუმცა ხალხმა, ფართო მასამ, ნაკლებ იცის მისი მნიშვნელობა და ვერც შეუძლიან მისი გამოყენება, მაინც დასაგმობია ის ზერელე შეხედულება ხელოვნებაზე, ზოგიერთები რომ აღიარებენ. ყურადსაღები არ არის იგი, ბურჟუაზიის, გაბატონებულ კლასების ხელშია და მასთან ერთად მოისპობაო. პირველი დებულება მართალია, მაგრამ მეორე შემცდარი. ჩვენ ვერ ვიტყვით, ძირს ხელოვნებაო, ვინაიდან კარგად გაგვითვალისწინებია მისი სიდიადე, ფასი. ჩვენ ვფიქრობთ არა ხელოვნების დაგმობას, არამედ საქმის უკეთესად მოწყობას. ჩვენ გვინდა ხელოვნება მომავლისა მარტოოდენ რჩეულთათვის არ იყოს გაჩენილი. ჩვენ გვსურს ხელოვნება საყოველთაო,

ხელოვნება პოპულიარი, გვსურს მისი სრული დემოკრატიზაცია. გვინდა ყველას შეეძლოს მისი სარგებლობა და მისით დატკბობა. ეს კი მაშინ მოხდება, როდესაც ხალხის ფართო მასსა შეიგნებს ხელოვნების მნიშვნელობას, ეცოდინება მისი დაფასება ცოტაოდნად მაინც, როდესაც ჩვენ ცხოვრებას მოხვდება მზის მაცოცხლებელი სხივი, ასე რომ გვესაჭიროება და ასე რომ გვენატრება...

ქ. რაჭველი.

ქ. ადესა.

სტუდენტი ვ. ეზნატაშვილი.

ვ ა ჩ ე - ბ რ ძ ე ნ ი.

ვ ა ჩ ე - ბ რ ძ ე ნ ი.

იმ დროს საქართველოში ჯერ კიდევ არ მომხდარიყო ხალხის სხვადასხვა წოდებად დანაწილება. გლეხი, თავადი, აზნაური არ არსებობდა; იყო მხოლოდ ქართველი. მაშინდელ ცხოვრებას ყველასათვის ერთნაირი უფლება მიენიჭებინა, ყველა თანასწორი იყო კანონისა და მეფის წინაშე.

თავის თავისა და ოჯახის გარდა, ყოველს ქართველისათვის არსებობდა მხოლოდ ღმერთი და სამშობლო.

სამშობლო მისთვის იყო წმიდათა-წმიდა, საგანი გულწრფელის, უანგო სიყვარულისა...

საქართველოსათვის იმ თავიდგანვე განგებას თუ ადამის ტომთაგან დატრიალებულს ბედის ჩარხს, მტერთა სიმრავლე არ დაელია.

...და ქართველიც მუდამ მახვილ-ამოწვდილი, თავის დადებად გამზადებული უდგა მტერს.

საქართველოს ის იყო ახლად მოეშორებინა ჩრდილოეთით მოსეული მტერი და ქარქაშში მახვილის ჩაგებას აპირებდა, რომ სამხრეთით მრავალი გამარჯვებით გულგაზვიადებული სპარსეთის ჯარი მოადგა.

მოულოდნელმა შემოსევამ ქართველები მოუმზადებლად მიაგება მტერსა.

მტერმა რამდენიმე ციხე-ქალაქი აიღო და მიადგა უკვე გამაგრებულს არმაზს. სპარსელებმა მრავალჯერ მიიტანეს იერიში, მაგრამ ქართველთაგან უკუგდებულ იქმნენ. იერიშით რომ ვერას გახდნენ, შემოარტყეს ალყა. ჰფიქრობდნენ, შიმშილ-წყურვილით შეწუხებული ქალაქი უბრძოლველად დაგვნებდებაო.

მაგრამ ქალაქში უხვად ყოფილიყო საჭელ-სასმელი და ქალაქის დანებებას ნიშნები არ უჩანდა.

ბოლოს სპარსეთის ჯარის მთავარ-სარდალმა გადასწყვიტა მშვიდობიანის მოლაპარაკებით და ტკბილის დაპირებით დაემორჩილებინა ციხე-ქალაქი და გაგზავნა კაცი მეციხოვნე ჯარის უფროსთან, რათა მოსალაპარაკებლად გამოეგზავნა ვინმე.

არმაზელებმა გაჰგზავნეს სპარსელებთან მთელს საქართველოში სიბრძნით განთქმული ვაჩე.

„წადი, ვაჩე-ბრძენო, სპარსეთის ჯარის სარდალს ენის ქავილი ჰქონია და ჩვენთან ლაპარაკი მოუსურვებია. გაიგე, რა უნდა,“ მხიარულად უთხრა არმაზის ჯარის უფროსმა ვაჩე-ბრძენსა და თან მეციხოვნეთა ყველა ნაწილში შიკრიკები აფრინა. „უთხარით გამხნევდნენ და ყოველ წუთს მზად იყვნენ. სპარსნი ვერაგნი არიან და შეიძლება მოლაპარაკების დროს უეცრად თავს ჯარი დაგვასხანო.“

მტრის ჯარის უფროსს ას წლოვან ხეების ქვეშ დაედგა კარავი, იჯდა შიგა და ყალიონს ეწეოდა. ვაჩე-ბრძენი რომ შევიდა, ჯარის უფროსმა ოდნავ დასწია თავი საპასუხო სალმის ნიშნად და დასაჯდომი ადგილი უჩვენა.

„რას მიბრძანებ, რისთვის გინებებიათ მოსალაპარაკებლად კაცის დაბარება“?

სარდალმა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ამაყად დაიწყო:

„სპარსეთის ჯარი მრავალრიცხოვანი და უძლეველია. ბევრი სამეფო მოუსრნია, ძლევამოსილნი მეფენი სპარსეთის უზენაესი მეფის მორებად გადაუქცევია და მათ სრა-სასახლის თავზე სპარსთა ალამი აღუმართნია... შორით ნიავისაგან მოტანილი ყიჟინა ჩვენის ჯარისა შიშის ზარსა ჰგვრის უცხოთა მხედრობას და თქვენ კი, ჯერ კიდევ ჰკუა ვერ გისწავლიათ და ამაო საქმეს შესდგომიხართ: გსურთ ჩვენი ძლევა-მოსილი მსვლელობა შეაჩეროთ და გაგვიძკლავდეთ.“

„დიდო სარდალო, თუ რაიმე საქმის თაობაზე გსურს ლაპარაკი—ბრძანე, თუ არა და ნება მომეცი ისევ უკან დავბრუნდე.“

„მოითმინე, ვაჩე-ბრძენო, შენს სიბრძნეს აჩქარება არა ჰმართებს. მოკლედ გეტყვი: დაგვნებდით და პირობას დაგიდებთ, ერთს ადამიანსაც კი არას ვერჩით, ხელს არავის ვახლებთ და ვიქნებით

თქვენი მფარველი. მხოლოდ ციხეში ჩვენს კაცს ჩავაყენებთ და მცირეოდენ ხარკს გამოგართმევთ“.

„ამის თაობაზე ჩვენებისაგან ლაპარაკიც კი აღკრძალული მაქვს, სიტყვითაც ძაინც რომ დავუვე თქვენს სურვილს, აგერ ხომ ხედავთ ფრიალო კლდეს, გალავნის აღმოსავლეთ მხარეს ცამდის რომ აღმართულა და თმის ქვევით საშინელს უფსკრულს, კლდეებს ძირში რომ შუბივით წვერები ამოუშვერია—იმ კლდიდგან იმ უფსკრულში თავდაღმა გადამჩეხენ. არა ისევ სჯობია მე ჩემს ბინაზე წავიდე და თქვენ კი იერიში განაგრძოთ. რაც იქნება, ამას მყოფადი გვიჩვენებს“.

„ვაჩე-ბრძენო, შენ ბრძენი, ჰკვიანი კაცი ხარ. შენი სიბრძნე პატარაობისას სპარსეთშიაც კი მსმენია. აბა დაფიქრდი, რა სარგებლობას მოიტანს თქვენი ჯიუტობა, თქვენი გამედგრებული ბრძოლა. მოდი მე და შენ შინაურულად, მეგობრულად ვილაპარაკოთ. ერთი მითხარი, რა საჭიროა აქ ცალკე სამეფო არსებობდეს, იქ ცალკე, მესამე ალაგას კიდევ ცალკე. არა სჯობიან ყველანი გაერთიანებული ვიყვეთ, ერთმანეთში განსხვავება არ იყვეს; ერთი ენა გვქონდეს, ერთი რჯული, ერთი ზნე. მაშინ მეტი ერთობა გვექნება ერთმანეთთან, უფრო დაახლოვებულნი ვიქნებით“...

„მოითმინეთ, მაგის პასუხს ახლავე მოგახსენებ,“ შეაწყვეტინა ვაჩე-ბრძენმა და კარავიდგან გავიდა. რამდენსამე ხანს შემდეგ, უკან დაბრუნდა; ხელში ყვავილებისა და ნაირ-ვარდის უცხო თაიგული ეჭირა.

—ხომ ხედავ ამ თაიგულს, ეს თაიგული ერთნაირის ყვავილებისაგან არის შეკონილი თუ სხვადასხვა ნაირ-ნაირ ყვავილისაგან?

—სხვადასხვა ყვავილისაგან, მერე?—ხედავთ: აი ზამბახი, ია, სუნბული, აი კიდევ ნარგიზი, არღავანა, სოსანი, ყარანფილის ყვავილი და სხვა. როგორ გგონია, ლამაზია თუ არა?

—ძალიან ლამაზია.

—ერთი ეს მითხარი, ერთნაირი ყვავილებისაგან შეკონილი

თაიგული და ეს თაიგული რომ შეადაროთ ერთმანეთს, რომელი უფრო ემჯობინება?

—რასაკვირველია ეს თაიგული. რაღა ლაპარაკი უნდა.

—რათა?

იმიტომ რომ ეს თაიგული შეკონილია ნაირ-ნაირ ყვავილისაგან.

—მაშასადმე, თქვენის აზრით მრავალფეროვანი თაიგული სჯობიან ერთ-ფეროვანსა.

—სჯობიან.

—მეც მაგ აზრისა ვარ. ახლა ეს მიბრძანე, ამ თაიგულში მოკცეულნი ყვავილნი ხომ არ უშლიან ერთმანეთს სხვადასხვაობით, ფერს ხომ არ უკარგავენ. ხომ უფრო მალე არა სჭკნებიან.

—ხუმარა ყოფილხარ, ვაჩე-ბრძენო, გეუბნები ერთმანეთს ამშვენებენ. ერთმანეთს უხდებიან.

—თქვენ კი, დიდო სარდალო, გინდათ ადამიანთა მთელს მოდგმას ერთი ფერი ჰქონდეს. ყოველი ადამიანი ერთს ღმერთსა ლოცულობდეს, ერთს ენას ლაპარაკობდეს, ერთი ზნე ჰქონდეს და ერთი ჩვეულება. როგორც ერთნაირი ყვავილებისაგან შემდგარი თაიგული მოკლებულია შნოსა და სილამაზეს, ისე ადამიანთა მთელი მოდგმა მოკლებული იქნება შნოსა და სილამაზეს, ცხვრის ფარასავით ერთნაირი რომ იყვეს. და არა მარტო გარეგნობით იქნება ასე, იმისი სულის ძალაც უფრო ღარიბი და უფრო უფერული იქნება.

მგზავსად მრავალ-ფეროვანი თაიგულის ყვავილებისა, ცალკე არსებული ერები არ დაუშლიან ერთმანეთსა თავის დამოუკიდებლობით და საკუთარის სახის შენარჩუნებით, თუ კი მათ შორის კეთილი განწყობილება იქნება. რამდენადაც უფრო უზრუნველყოფილი იქნება დამოუკიდებლობა სხვადასხვა ერისა, იმდენად უფრო გამდიდრდება ადამიანის გონების და გრძნობის მოქმედების ნაყოფი. მე მჯერა, რომ ჩვენთვისაც დამოუკიდებლობა საუკეთესო თავდებია ჩვენის კეთილდღეობისა და სხვისი მორჩილება კი გამათახსირებელი და დამღუპველი იქნება. ეს ჩემი ღრმა რწმენა

გახლავთ, დიდო სარდალო და ამ რწმენას ერთის წუთითაც ვერ შემაცვლევინებ“.

სთქვა ვაჩე-ბრძენმა, გამოტრიალდა სწრაფად და გაეშურა ციხე-ქალაქისაკენ.

ბრძენ ვაჩეს ძალიანაც არ ანაღვლიანებდა, იმოქმედებდა თუ არა სპარსეთის ჯარის მთავარ-სარდალზე მისი სიტყვები; საქართველოს დასავლეთ მხრიდგან კოლხების მაშველი ჯარი მოდიოდა და სულ ერთი დღის სავალი გზა ღა ჰქონდათ დარჩენილი.

ვ. ეგნატაშვილი.

ქ. ხარკოვი.

სტუდენტი სოსო ასლანიშვილი.

ძველი საქართველო: სამცხე-საათაბაგო.

ძველი საქართველო.

სამცხე-საათაბაგო.*)

სანამ სამცხის ძველ ციხე-მონასტრების აღწერას შეუდგებოდეთ, მკითხველს ცოტაოდნათ სამცხის ძველ ისტორიას გავაცნობთ.

სამცხე-საათაბაგო ანუ მესხეთი არის ძველი სახელები ახალციხის მხარისა. თუ საიდგან წარმოსდგა სახელი სამცხე ამას ისტორია არ გადმოგვცემს; საათაბაგო კი წარმოსდგა მე-XIII საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ახალციხის მფლობელს ეწოდა ათაბეგის სახელი. როგორც რომ ყოველ კუთხეს საქართველოსას ჰყავდა

---

*) ზაფხულში (1913 წ.) მუშაობა მომიხდა ქუთაისის ქართველ-კათოლიკეთა დავთარხანაში, სადაც აუარებელი საბუთებია ქართველ-კათოლიკეთა ისტორიის შესასწავლათ. იქ აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ პირებს სამცხე-საათაბაგოში გადასახლებისას თან წაუღიათ იმერეთის მეფის და დედოფლის მიერ ნაბოძი საბუთები. ამისა გამო ჩვენ განვიზრახეთ ეს დაკარგული საბუთები გვეძებნა სამცხე-საათაბაგოში—მესხეთში (აწინდელი ახალციხის მაზრა) ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიებში. მაგრამ ამაოთ, საბუთები ვერ ვიპოვნეთ. მხოლოდ ცოტაოდნავ გავეცანით სამცხე-საათაბაგოს ახლანდელ მდგომარეობას; ერთი ნაწილი სამცხე-საათაბაგოსი ფეხით შემოვიარეთ და დავათვალიერეთ ზოგიერთი ძველი მონასტრები და ტბიწები. ამის გარდა დავათვალიერე ქართველ-მაჰმადიანთა სოფლები, რომლებითაც მოფენილია სამცხე-საათაბაგო. ამ მგზავრობაში ხელი შემიწყო ქუთაისის ქართველ-კათოლიკეთა მოძღვარმა მამა დამიანემ, რომელმაც გადმომცა ფოტოგრაფიული აპარატი თავის ყოველივე მოწყობილობით, რისათვისაც დიდ მადლობას უცხადებ. ამ აპარატის საშუალებით შეძლება მომეცა გადამეღო სხვადასხვა ციხეები, მონასტრები, წარწერები და ამგვარად შევადგინე კოლექცია სურათების, რომელიც თავის დროზე იბეჭდებოდა „სახალხო გაზეთი“-ს დამატებებში. (8 კლიშე იმ სურათებისა, რომელიც მოთავსებული იყო „სახალხო გაზეთი“-ს დამატებაში, რედაქციამ არ გამოგვიგზავნა არ ვიცით რა მიზეზების გამო, მიუხედავათ იმისა რომ არა ერთხელ ვთხოვეთ წერილებით ბ. არჩილ ჯაჯანაშვილს). მადლობას უცხადებ აგრეთვე შორაპნის მცხოვრებს ბ. ანტონ სააკაძეს, რომელმაც ამ მგზავრობის ხარჯი იკისრა და თვითონ დამატარა სამცხე-საათაბაგო და ბევრი ცნობები შემაკრებინა, რადგან ის აღზრდილია სამცხე-საათაბაგოში და მთელი თავის ახალგაზდობა იქ გაუტარებია მაჰმადიანთა სოფელ—ვარხანში, შესწავლილი აქვს ყოველი კუთხე ამ მხარისა და კარგათ იცის ქართულის და რუსულის გარდა, თათრული ენა და ცოტაოდნად სომხურიც; ვისარგებლე ამ შემთხვევით და შევაგროვე ცნობები, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

ს. ასლ.

მფლობელი, ისე სამცხე-საათაბაგოს, როგორც ისტორია გადმოგვცემს „მონგოლების შემოსევის დროს აღმოჩნდა ვინმე სარგის ჯაყელი, ე. ი. მფლობელი ჯაყის ციხისა და იმ ქვეყნისა, რომელიც ახალციხის სამხრეთ დასავლეთისკენ მდებარეობს. სარგისი იყო შთამომავალი იმ გვარისა, რომელიც... ...ისტორიაში იხსენება ბაგრატ მე-IV-ს დროიდამ. შემდეგ თამარისა და იმის მემკვიდრეების მეფობაში სარგისი ირიცხება სამცხის პირველ დამოუკიდებელ მფლობელად, რომელმაც მთელი მხარე შემოიკრიბა თავის უფლების ქვეშ. გარდაიცვალა 1285 წ.," [1]) რის შემდეგაც მის შვილმა ბექა I-მა დაიპყრა სამცხე, კლარჯეთი და მიიღო ჰანეთი ტრაპიზონის იმპერატორ ალექსანდრე II-დან, რომელსაც ბექამ თავისი ქალი მიათხოვა. ბექას სიკვდილის შემდეგ (1306 წ.) ქართლის მეფემ გიორგი V ბრწყინვალემ შეაერთა მთელი საქართველო და სამცხე-საათაბაგოს ერისთავნი 145 წლის განმავლობაში საქართველოს ვასალებათ იყვნენ, მაგალითად, გიორგი მეექვსის დროს ბექას შვილი სარგის ჯაყელი II (1306—1334 წ.) და უკანასკნელის შვილი ყვარყვარე I (1334—1364 წ.), ბაგრატ V-ს დროს ყვარყვარეს შვილი ბექა II (1364—1391 წ.), გიორგი VII-ს დროს ბექას შვილი აღბუღა (1391—1451 წ.); ეს ის აღბუღა არის, რომელმაც შეადგინა ფრიად შესანიშნავი სჯულ-დება, აქამდე ხელნაწერად დაცული. გიორგი VIII-ს დროს, როდესაც სამცხე-საათაბაგოს მფლობელად აღბუღას ბიძა ყვარყვარე II (1451—1466 წ.) იყო, ეს სამფლობელო განთავისუფლდა საქართველოს ვასალობიდან. ყვარყვარემ ორჯელ დაამარცხა ქართლის მეფე გიორგი (1463 და 1465 წ.), რის შემდეგაც „ყვარყვარემ დაიფლო მთელი მხარე და სახელი საათაბაგოსი, ე. ი. ათაბეგის სამფლობელოც ყველასგან ცნობილი შეიქმნა". [2]) 1465 წ. დატყვევებულ იქმნა გიორგი მეფე, რომელიც ყვარყვარე მეორის შვილმა ათაბეგ ბაადურმა (1466—1475 წ.) გა-

[1]) **მარი ბროსსე.** საქართველოს ისტორია. ნაწილი II. გვ. 132.

[2]) ibid გვ. 134.

ანთავისუფლა. ბაადურის შემდეგ ათაბეგათ იყო ძმა მისი მანუჩარ I (1475—1487 წ.); ქართლში კი მეფობდა კონსტანტინე III, რომლის დროსაც საქართველო კვლავ დაიყო და ააოხრა უზუნ-ჰასანმა. ამ აოხრებას ხელს უწყობდა შინაური არევ-დარევაც. მანუჩარის შემდეგ ვხედავთ შემდეგ ათაბეგებს: აღბუღას შვილს—ყვარყვარე III-ს (1487—1500 წ.), რომელიც მშვიდობიანათ მართავდა თავის სამფლობელოს, ყვარყვარეს შვილს—ქაიხოსრო I-ს (1500—1502 წ.) და 1502 წლიდან ქაიხოსროს შვილს მზე-ჭაბუკს, „რომელიც შეუერიგდა მეფე კონსტანტინეს. როცა მზე-ჭაბუკმა შეიტყო, რომ ოსმალებმა თითქმის წაართვეს გურიელს ჰანეთი, საჩუქრებით დაამშვიდა ისინი და დაიფლო, როგორც ჰანეთი, აგრეთვე აჭარის მაზრაც. 1512 წ. ოსმალები წავიდნენ ჯარით საქართველოს დასაპყრობათ და საათაბაგოზე გადაიარეს. მზე-ჭაბუკმა ჩააყენა ციხეებში მცველები, თითონ კი ოსმალებს გზაზე შეეგება და დაითანხმა, რომ იმისი მხარე არ აეოხრებინათ. მან სურსათი მისცა და გზირები გააყოლა იმერეთში. ამის შემდეგ მართავდა მხარეს მშვიდობიანათ და ისე ბრძნულათ, რომ ქვეშევრდომებმა უწოდეს სახელათ მზე-ჭაბუკ-დიდი. მან მშვიდობიანობაში გაატარა თავისი ათაბეგობა; თვით ოსმალნიც კი ერიდებოდნენ. მოკვდა 1516 წ.“ [3]) შვილი ქაიხოსროსი—ყვარყვარე IV ტყვეობაში გარდაიცვალა იმერეთში. ოსმალთა ხონთქრის შემწეობით ქაიხოსრო II შეიქმნა ათაბეგათ (1545—1573 წ.). ქაიხოსრო მეორის დროს დიდი არევ-დარევა იყო სამცხეში, რომელსაც აოხრებდენ სპარსელების და ოსმალების გარდა იმერლებიც მეგრელებითურთ. არც ქაიხოსროს შვილის—ყვარყვარე V-ს (1573—158... წ.) დროს ჩამოვარდა მშვიდობიანობა სამცხეში. ხან სპარსელების ჯარი აოხრებდა მას, ხან ოსმალების. ყვარყვარეს ძმებმა მანუჩარმა და ბექამ მიიღეს მაჰმადიანობა, მხოლოდ ამის შემდეგ პირველი იხსენიებოდა მუსტაფა-ფაშის, მეორე კი საფარ-ფაშის სახელით. ყვარყვარე V-ს სიკვდილის შემდეგ ათაბეგობა ჰხვდა მის


---

[3]) ibid გვ. 137—138.

გამაჰმადიანებულ ძმას მანუჩარს, რომელიც ხან ოსმალებს იმხრობდა თავისკენ, ხან სპარსელებს. 1584 წელს კი გამოეთიშა მაჰმადიანობას, ისევ მიიღო ქრისტიანობა და ჯვარი დაიწერა ქართლის მეფის სვიმონის ასულზე. ამის შემდეგ მანუჩარი დაუახლოვდა სპარსელებს და აგრეთვე განიზრახა, რათა თავისუფლათ ემოქმედნა სამცხეში, დაზავებოდა ოსმალებს, რომლებმაც შეიწყნარეს თხოვნა მანუჩარისა; ხონთქარმა აღიარა მანუჩარი ათაბეგათ და აგრეთვე ნება დართო დარჩენილიყო ქრისტიანათ. მანუჩარ II-ს სიკვდილის შემდეგ 1614 წ. ათაბეგათ შეიქმნა შვილი მისი მანუჩარ III, რომლის დროსაც „ერის სულის ძლიერება საათაბაგოში თანდათან შესუსტდა, მაჰმადიანობამ იწყო გავრცელება და კანონიერის ათაბეგის უფლებას ხშირათ არ აქცევდნენ ყურადღებას არც ოსმალები და არც მკიდრნი. მანუჩარი მაინც არ გადასდგომია ქრისტიანობას და ამისათვის ცნობილ იქმნა დამნაშავეთ აზრუმის ფაშის მიერ, რომელმაც 1624 წ. სამცხეში ჯარი გამოგზავნა"...[1]) კვლავ აოხრდა სამცხის მიდამოები. მანუჩარი იმყოფებოდა სტამბოლში, საიდანაც ისევ ქრისტიანათ დაბრუნდა და აქ ის აღიარეს ათაბეგათ, მაგრამ იგი მოწამლა მისმა ბიძამ ბექამ 1625 წელს, რის შემდეგ ბექა III შეიქმნა ათაბეგათ და განაგებდა სამცხეს საფარ-ფაშის სახელით და როგორც გადმოგვცემს **ვახუშტ ბატონიშვილი** „ბექას ანუ საფარ-ფაშის შემდეგ საათაბაგოს მმართველები ახალციხის ფაშებათ იწოდებოდნენ და არა ათაბეგებათ". შემდეგ საფარ-ფაშისა ეხედავთ მმართველებს: შვილი ბექასი—უსუფ-ფაშა I (1635—1647 წ.), შვილი უსუფისა—როსტომ-ფაშა (1647—1659 წ.), შვილი როსტომისა—ასლან-ფაშა (1659—1679 წ.), ასლანის შვილი—უსუფ-ფაშა II (1679—1690), უსუფის ძმა—სალიმ-ფაშა (1690—1701 წ.), უსუფის შვილი—ისაყ-ფაშა (1701—1744 წ.). ისაყ-ფაშის დროს ფაშობა მიიღო სალიმის შვილმა ასლან-ფაშა II-მ, რომელიც დროგამოშვებით მართავდა სამცხეს (1705—1708 წ. და 1713—1715 წ.); 1734 წელს ისაყ-

[1]) ibid გვ. 147.

ფაშამ გადასცა ათაბეგობა თავის შვილს უსუფ-ფაშა III-ს, რომელიც ცხინვალში დამარცხების შემდეგ ჯავრით მოკვდა და ისაყ-ფაშა კვლავ შეუდგა სამცხის მართვას. ისაყ-ფაშა დამარცხებულ იქმნა



შთამომავლობითი სია სამცხის ათაბეგებისა.

თეიმურაზის და ირაკლი II-ს მიერ და აქედან იწყება სამცხე-საათაბაგოსათვის ახალი ხანა, რომელმაც გასტანა 1829 წლამდის. ამ წელს რუსეთმა მიიღო ოსმალებისგან სხვა ქალაქთა შორის ქალაქი

ახალციხეც—დედა ქალაქი სამცხე-საათაბაგოისა, და მასთან ერთათ მთელი სამცხე-საათაბაგოც.

***

მშვენიერია ბუნება საქართველოსი, მშვენიერია თვითეული ადგილი ჩვენი სამშობლოსი, სადაც ბუნების მიხედვით მძლავრმა ქართველმა ერმა ისეთი ციხეები და მონასტრები შექმნა, რომელნიც დღემდი საუკეთესო მოწმენი არიან ქართველთა დიდებულ წარსულისა. დიდებული წარსული ჰქონდა აგრეთვე სამცხე-საათაბაგოს. არამც თუ აუარებელი, დღევანდლამდე შენახული, ციხეები და მონასტრებია ამის მოწმე, არამედ უბრალო სოფელიც, მაგალითად რუსთავი, სადაც ახლა ქურთები ცხოვრობენ, მოწმეა იმ „ოქროს ხანა"-სი, როდესაც საქართველოში მეფობდა **თამარი** და **ვინმე მესხი რუსთველი** სწერდა „ვეფხის ტყაოსან"-სა.

და ეს კუთხე საქართველოსი, სადაც ირწეოდა აკვანი რუსთველისა, მგზავრისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს, რადგან თითო ნაბიჯის გადადგმაზე ახალ-ახალი სანახავები იპყრობს ყურადღებას, მოჰყავს აღტაცებაში იმ მშვენიერ ბუნებას და ვერ დამტკბარა მით.

მიუხედავათ იმისა, რომ გასულ საუკუნებში წამდაუწუმ ამ კუთხეს აოხრებდნენ ოსმალები და სპარსელები, მერე თვითონ ქართველთა სხვადასხვა თემები ერთმანეთთან ომს ეწეოდნენ და ისედაც დაბეჩავებულ ქვეყანას უფრო აბეჩავებდნენ, ჩვენ მაინც ისეთ დარჩენილ ნაშთებს ვხედავთ, როგორიც არის მიუვალ ადგილებზე გაშენებული ციხეები და მონასტრები თავის დიდებულ ტაძრებით. ესეთი ნაშთები მაჩვენებელია იმისი, თუ როგორ მაღლა იდგა ძველ დროში კულტურა საქართველოში.

ზარზმა, აწყვერი, ჯულები, აგარა და სხ. ამისთანები ნუ თუ არ არიან მაჩვენებელნი ქართველთა კულტურისა? დავათვალიეროთ სათითაოთ და ვნახოთ ეს მარგალიტები ჩვენი ქვეყნისა.

მკითხველის ყურადღებას პირველათ მივაქცევ საფარის მონასტერს, რომელიც ახალციხიდან 5-6 ვერსის მანძილზე აღმართულია მთაში. „ახალციხის წყლისა მტკვრის შესართავს ზეით, მტკვარს მოერთვის ცუნქის ხევი. ამ ხევს ერთვის ღრელის ხევი, მისვე მთის კალთის გამომდინარე. ამ ხევზედ არს **საფარას მონასტერი**, შვენიერათ დიდშენი, გუნბათიანი, ყოვლად-წმიდისა. ეს იყო შემკული ყოვლითა საეკლესიოთა და წმიდათა ნაწილებითა, და დაფლოდნენ ათაბაგნი, და აწ არს ხუცის ამარ.“[5]) მართლაც მშვენიერია ეს ღრელის ხევი და ზედ აღმართული საფარა თავის ციხითა და საყდრებით. „საფარში 12 საყდარია და უმთავრესი კი წმ. საბასი. საფარის უმთავრეს ტაძარზედ უდიდებულესი ძნელათ თუ კიდევ იქნებაო, ამბობს დიუბუა. მისი გეგმა მოგვაგონებს გელათის საყდარს, მაგრამ ჩუქურთმით ეს მდიდარია იმაზედ. მეტათ ხელოვნურათ ნაკეთებია მისი სარკმელები და სვეტები. აქვეა წმ. მარინეს საყდარი შესანიშნავი წარწერებით, რომელიც უკვე გადმოიღო ე. თაყაიშვილმა“.[6]) იმავე დიუბუას რომ მივყვეთ, გამოდის რომ საფარის მონასტერი აშენებულია ათაბეგ მანუჩარის მიერ.[7]) ეს კი შეუძლებელია, რადგან საათაბაგოში სამი მანუჩარი იყო სხვადასხვა დროს და პირველი მათგანი ათაბეგობდა 1475 წლიდან ვიდრე 1487 წლამდის, ასე რომ, დიუბუას მიხედვით, საფარა ეკუთვნის მეხუთმეტე საუკუნეს. რასაკვირველია ეს შეცდომაა, ვინაიდან დამტკიცებულია, რომ საფარის მონასტერი აშენებულია მე-XIII საუკუნეში. შორიდან ეს მშვენიერი მონასტერი ისევ მშვენიერია თავის საყდრებით და სენაკებით, მაგრამ მიუახლოვდები თუ არა, ერთ რამეს შეუძლებელია მგზავრმა არ მოჰკრა თვალი. ეს გახლავთ რუსული გუმბათები ქართულ ეკლესიაზე. თვით მონასტერი დღეს რუსების ხელშია, ვინაიდგან შიგ რუსის ბერები ცხოვრობენ. ყოველივე ქართული, თუ აქამდის რამე შერჩე-

---

[5]) ვახუშტი. საქართველოს გეოგრაფია გვ. 211.

[6]) ibid გვ. 211. მ. ჯანაშვილის შენიშვნები.

[7]) M. Tamarati. L'eglise géorgienne. გვ. 345.

ნილა, ისპობა. იშლება და დროთასვლაში ქრება ძველი წარწერები და მხატვრობა, მხატვრობა, რომელმაც შვიდი-რვა საუკუნე გასტანა და ჩვენამდისაც მოაწია. და ამის მაგიერ ჩნდება თანდათან ახალი მხატვრობა და სლავიანური წარწერები. ნუ თუ არ შეიძლებოდა ისე შეკეთებულიყო მონასტერი, რომ ძველი ქართული ელფერი შერჩენოდა მას? ამის მაგალითია ზარზმა, რომელიც შეკეთებულია 1903 წელს და არავითარი ცვლილება მას არ ეტყობა. ყოველივე ზარზმის ტაძარში დარჩენილია გასულ საუკუნოების მიხედვით.

დავათვალიერეთ სოფარა და გავემგზავრეთ აგარის მონასტრისაკენ. გზაზე გასავლელი გვქონდა ქისათიბი—მთიანი ადგილი, სადაც ერთი ქართველი-კათოლიკეთაგანი ბეთანელი ამუშავებს თეთრ მიწას. ადრევეც მქონდა გაგონილი ამ თეთრ მიწის შესახებ, მაგრამ არც მაშინ მენახა და ახლაც გზას ავცდით; იმის მაგიერ რომ მთას ავსულიყავით, ხევში ჩავედით. ქისათიბის გარდა მონასტრამდის შეგხვდებათ საგარაკო ადგილი რკინის მადნეულ წყლით (12°-t.) ეგრეთ წოდებული ურაველი, სადაც ზაფხულობით აუარებელი ხალხი იყრის თავს. იქვე, სადაც გამოდის რკინის წყალი, მოწყობილია აბანო და მსურველს შაურათ შეუძლია იბანოს. იქვე, ურაველში ვინახულე ადგილობრივი მემამულე პეტრე ყირქესალაშვილი, რომელმაც ზოგიერთი ცნობები გადმომცა იქაურ ხალხის შესახებ.

ურაველიდან აგარის მონასტრამდის ოთხი ვერსია. ჯერ მთის კიდეზე პატარა ბილიკით მიდიხარ, მარცხნით ტყე, მარჯვნით უფსკრული, სადაც მიჩუხჩუხებს პატარა მდინარე—კალმახის წყალი. ბუნება მონასტრამდის წარმტაცია. გზაში გხვდებათ ჩანჩქერი, რომელიც უფრო ალამაზებს ისედაც ლამაზ ბუნებას. როდესაც მივაღწიეთ ადგილს, საიდანაც მოსჩანდა მონასტერი, შეუძლებელი შეიქმნა სიარული. მთის მაღლობზე ეთესა პური და ჩვენც იძულებული ვიყავით გაგვეკაფა გზა. მივაღწიეთ მონასტრის ნანგრევებამდის. აუწერელი სილამაზე ადგილისა, მონასტრის ზევით კიდევ მთა და ტყე. პირდაპირ გასაკვირველია ასეთ მიუვალ ადგილზე ასეთი მონასტრის გაშენება. მერე ერთი ან ორი ნანგრევი ხომ არ არის. სულ

რვა ნანგრევია, რომელთაც უზარმაზარი ადგილი უკავიათ. ამ ნანგრევებში შესანიშნავია ორი, რომელიც ხელუხლებლათ არის დაცული. ერთი ნანგრევი, როგორც ეტყობა, არის უმთავრესი ტაძარი ამ მონასტრისა. წარწერები ბევრი აქვს. შიგნით ტაძარში ტრაპეზის ადგილას რვა გამოქვაბულია და სუყველაში მოსჩანს კედელზე დახატული ხატები. გარედან ამ ტაძარს აღმოსავლეთის მხრით სამი წარწერა აქვს მაღლა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ვერ წავიკითხეთ. თვალმა ვერ გასჭრა და არც კიბე გვქონდა, არც დურბინდი. დასავლეთით კი ჩუქურთმით ამოჭრილი ჯვარია და შიგ შემდეგი წარწერა აქვს ხუცურათ: „ჯვარო ქრისტესაო შემიწყალე მონა შენი მიქაელ“. ისე ტაძარი მშვენივრათ არის დაცული. რაც შეეხება მეორე ნანგრევს, ის ეკლესიას არა ჰგავს. შესავალში კარებთან ჩრდილოეთით შემდეგი წარწერა აქვს ხუცურათ: „ქ. სახელითა ღვთისათა და მეოხებითა წმიდისა იოანე ნათლის მცემელისათა ეეთა (sic) ბეშქენელმან მე ეფრემ ხელვყავ შენებად ხარპალსა ამას და ათი ამიკვეთეს აღაპი საუკუნოი სბობა (sic) და ვინცა შემიცვალოს კრულმცა არს ღვთისა პირითა“. შიგნით არაფერი არის, ოთხი სადა კედელია მხოლოდ; გვერდებში აქვს კარებები, რომლებიც გაგიყვანენ პატარა ოთახებში. შესანიშნავი ამ მეორე ნანგრევისა ის არის, რომ ქვეშ ცარიელი ოთახები უნდა იყვეს, ვინაიდგან როდესაც ფეხით დავარახუნეთ მიწის იატაკზე, ასე გგონიათ მთელი ქვის შენობა ინძრევაო და ქვეიდან დუდუნი და ზრიალი ისმის. უეჭველათ საჭიროა ამ ნანგრევის გათხრა, ვინ იცის რა ინახება ქვეშ. ამ მონასტრის ისტორიის გამოკვლევას უნდა ყურადღება მიაქციოს ეთნოგრაფიულ საზოგადოებამ. ესეთია ეს ორი უმთავრესი საინტერესო ნანგრევი. სხვა ექვს ნანგრევებზე არავითარი წარწერა არ არის. ერთ ნანგრევის ძირში მოსჩანს ძვლები ძველი დროის დამარხულებისა.

როდ შეუდგეთ გამოკვლევას, თუ რომელ საუკუნეს ეკუთვნის ამ აგარის მონასტრის აშენება, უნდა შევისწავლოთ ცხოვრება იმ პირებისა, რომელთა სახელებიც ნაჩვენებია ზოგიერთ ტაძრების წარწერებში, მაგალითად მიქეილ და ბეშქნელი აგარის ტაძარზე,

სერაპიონი, გორგი ჩორჩნელი, შოთა (შიო) ზარზმის ტაძარზე, ბასილი ჰულების ტაძარზე და სხ.

თბილისის საეკლესიო მუზეუმში ინახება ერთი ძველი ხელნაწერი წიგნი „ცხოვრებაი და მოქალაქობაი ღმერთ შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩვენისა სერაპიონისი“, რომელიც აუწერია მის ძმისწულს ბასილს. ამ წიგნში მოხსენებულია თითქმის ყველა ზემოხსენებული პირები და აგრეთვე ზარზმა და სხვა ტაძრები. ამ წიგნში მოხსენებულ მიქეილს, რომელიც სერაპიონის დროის პირია, ზარზმის მონასტრის ასაშენებლათ გაუგზავნია სერაპიონი, რომლისათვისაც დახმარება გაუწევიათ გიორგი ჩორჩანელის და სხვებს. „სერაპიონის ცხოვრება“-ში მოხსენებული „პარეხი“, რომელიც მიქელამ გააშენა „ადგილსა კლდოანსა და უვალსა“, და სადაც სწურთნიდა თავის მოწაფეებს, ჩვენის აზრით, უნდა იყოს აგარის მონასტერი, ვინაიდგან აგარის მონასტრის ერთ ნანგრევის წარწერაში ნახსენებია მიქელი. მაშასადამე თუ ზარზმის აშენებას აწერენ მეათე საუკუნეს, აგარის ნანგრევები უფრო უძველესი უნდა იყოს. ამის გამოკვლევას მივანდობთ ჩვენს მეცნიერებს და გადავალთ ზარზმის და ჰულების მონასტრის აღწერაზე.

აბასთუმნის გზაზე, სადგურ ბენარიდან აჰარა-ბათუმის გზისაკენ უნდა გადაუხვიოთ. გზის მარცხენა მხარეზე მოსჩანს მდინარე და მის გაღმა სოფლები ქართველ-კათოლიკეთა გლეხებისა: უდე, ვალე, არალი და სხ. სოფლების ზემოთ მთები, რომლებზედაც ალაგ-ალაგ კიდევ მოსჩანს თოვლი. მარჯვნით კიდევ მთები ციხე კოშკებით და სოფლები, მომეტებული ნაწილი, ქართველ-მაჰმადიანებისა. ასეთი სილამაზეა თორმეტი ვერსის მანძილზე; რაც უფრო შორდები ახალციხეს, მით უფრო იკარგება ქართული ენა. სოფელ ადიუგენში, სადაც გაჩერება გვიხდება ჰულების მონასტერზე ასასვლელათ, თითქმის აღარავინ ლაპარაკობს ქართულს, თუმცა ყველა ქართველი მაჰმადიანებია. არცერთი მაჰმადიანი არ გვეთანხმებოდა ჰულების მონასტრისკენ წამოგვყოლოდა გზის საჩვენებლათ; ბოლოს ერთი დავითანხმეთ და წოტა დასვენების შემდეგ შეუდექით მთას. გასავ-

ლელი გვაქვს სოფელი ადიუგენი. მაჰმადიანმა, რომელიც ჩვენ მოგვყვებოდა, არ იცოდა ქართული და ჩემ თანამგზავრს ელაპარაკებოდა თათრულათ. გზაში შემოგვხვდა ერთი ლამაზათ ჩაცმული, კოხტათ მოყვანილი მაჰმადიანი. მოგვცა სალამი და ჩაიარა. ვიკითხეთ მისი ვინაობა და აღმოჩნდა სულეიმან ბეგი ერისთავი. გავიარეთ სოფელი და ავედით მაღლობზე, საიდანაც მარცხნით წყალ გაღმა გამოჩნდა ლამაზი, მოშავო ზარზმის ტაძარი. ჰულების მონასტერი კი არ მოსჩანდა. ერთი საათი მოგვიხვდა სასიარულო. ამ დროს გამოჩნდა მარჯვნით ერთი ციხე რამოდენიმე ვერსის მანძილზე, შემდეგ მეორე დიდი ციხე. როგორც ჩვენი თანამგზავრი მაჰმადიანი ამბობდა, პირველ ციხეს, რომელიც სამი კოშკით მშვენიერათ ამართულიყო მთის წვეროზე, ეძახიან „გიურგან-ყალა“-ს, რაიც ქართულათ ნიშნავს წიფლის ციხეს. მეორე დიდი ციხე, რომელიც ხუთმეტ ვერსის მანძილზე მოსჩანდა, ყოფილა „ალთონ-ყალა“—როგორც იქაური მაჰმადიანი უწოდებდა მას. ეს უზარმაზარი და მშვენიერი „ალთონ-ყალა“, ქართულათ ოქროს ციხე, მდებარეობს ორი ვერსის მანძილზე სოფელი შოყიდან. „თამარ დედოფალ ვარ“-ო, ე. ი. თამარ დედოფალი ყოფილაო, როგორც ჩვენი თანამგზავრი მაჰმადიანი ამბობდა და იმას გაუშენებია ეს ციხეებიო. იმ ოქროს ციხეში კი ბევრი ფული არის დამარხულიო. ესეთი თქმულება ხალხში აქამდის შერჩენილა.

თუმცა ბევრი მუსრი გაავლო სპარსეთ-ოსმალეთმა საქართველოს, მოსპო ყოველისფერი, მოსპო რჯული, მაგრამ სული—ქართული სული—ვერ აღმოფხვრა ქართველის გულიდან. ნახეთ თუ გნებავთ ის მაჰმადიანი, რომელიც ჩვენ ამ ციხეების შესახებ გვიამბობდა, რომელსაც თუმცა ქართული აღარ ესმოდა, მაგრამ ისეთი აღტაცებით ლაპარაკობდა თამარ მეფეზე, რომ პირდაპირ გაგიკვირდებოდათ.

ამ ლაპარაკში გადავედით ერთი გორა, საიდანაც შორს ტყეში მთის ძირას გამოჩნდა ეკლესიის გუმბათი. ბიუახლოვდით—ორი ნანგრევი მშვენიერის ჩუქურთმებით. ერთი მათგანი მართლაც

ნამდვილი ნანგრევია, ეკლესიის გვერდით, როგორც ეტყობა სამ-ეკლო უნდა ყოფილიყოს. ეკლესიას მხოლოდ გუმბათი აქვს ჩამონგრეული. შიგნით კი ყველაფერი კარგათ არის დაცული, მაგრამ ნამეტანი მიუხედველობის გამო ეს ტაძარიც ინგრევა და ფუჭდება. ამ ეკლესიის აღწერა, როგორც გამიგონია, უნდა ჰქონოდა **მღვდელ ივანე გვარამაძეს,** რომელიც ჰულების მონასტრის სანახავათ ასულა ახალციხიდან 1879 წელს. დაიბეჭდა ეს აღწერილობა თუ არა, ნამდვილათ არ ვიცით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ როდესაც ოსმალები ან სპარსელები შემოესეოდნენ საქართველოს, ეკლესიებს ისენი ხელს არ ახლებდნენ. მხოლოდ ეკლესიის კედლებიდან ამოფხეკდნენ ჯვარს. იმისათვის არის საქართველოში მომეტებულ ნაწილ ეკლესიებზე კედელზე ჩუქურთმით ამოჭრილი ჯვრები რომ სულ ამოფხეკილია. ასე არის ზარზმის ეკლესიაზე, ასევეა ჰულების ტაძარზედაც. როგორც რომ შეხვალთ ჰულების ეკლესიაში. თქვენს თვალს წარმოუდგება მშვენიერი უძველესი მხატვრობა, რომელიც აქამდის კარგათ არის დაცული. უკანა ნაწილი ეკლესიისა ორი თაღით იყოფა სამ ნაწილათ. ამ თაღებზე ხუცური წარწერებია ქარაგმით სახარებიდან. ერთი წარწერა ეკლესიაში, მოწმობს, რომ ტაძარი ესე აღშენებულია ბასილ ხურციძესაგან, ვინაიდგან მოხსენებულია „ხურსიძე ბასილი.“ ეს კი იყო მე-XIII საუკუნის პირი. მხოლოდ იქვე მარცხენა სვეტზე მეორე წარწერა გვეუბნება, რომ ეს ტაძარი შემდეგში განუახლებიათ. „შეწევნითა ღვთისათა და წმიდისა გიორგი ჰულაისათა სრულ იქმნა ესე ეკლესია ჰულისა ხატებითა მხატვრისა არსენა თბილელისა შეუნდოს ღმერთმან ქკ-ს (ქორონიკონი აღარ ეტყობა)...“ კედლებზე სხვადასხვა ხატები და მეფეები არის დახატული და ყველას ქვეშ აქვს წარწერები. მარჯვენა კედელზე ხუთი მხატვრობა არის და წარწერებიდან გავარჩიეთ მხოლოდ ორი: „ყვარყვარე,“ „შალვა.“ ისტორიიდან ვიცით რომ ყვარყვარე იყო სამცხის ათაბაგი და მართავდა თავის საათაბაგოს 1334—1364 წლ. მთელი მხატვრობა ამ ტაძრისა ჩამოჰგავს გელათისას და ზარზმისას. წინა ნაწილს ეკლესი-

ისას შეადგენს ტრაპეზი, რომელსაც გვერდზე ორი ოთახი აქვს. ტრაპეზში კედელზე არის გამოქვაბული და შიგვე დახატულია რაღაც ხატი. ეკლესიის უკანა კედელზე შიგნით აგრეთვე არის მხატვრობა, რომლის ქვეშაც ვკითხულობთ „მიქელა და გაბრაელ ბლაზი: საყვირის (sic) მკი.“ ეს ბოლო ორი სიტყვა გაუგებარია.

ასეთია ეს მშვენიერი ტაძარი, რომელიც რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში შენახულა და ახლა, როდესაც მას მოეპოება დამცველი (ვგულისხმობთ საეთნოგრაფიო საზოგადოებას), ის უპატრონოთ ინგრევა და ამდაგვარათ იკარგება ნაშთები ჩვენი ძველი დროის კულტურისა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ, როგორც ჩვენ თანამგზავრმა მაჰმადიანმა გადმოგვცა, ეკლესიის ზევით კლდეში ყოფილა გაშენებული ოთახები თეთრი თლილი ქვისა. ჩვენ სიძნელისა და უდროობის გამო ასვლა და მათი დათვალიერება ვერ მოვახერხეთ, რადგან შუადღეზე გადასული იყო და წასასვლელი ვიყავით ზარზმის მონასტრისაკენ. თანამგზავრი მაჰმადიანი გავისტუმრეთ და ჩვენ ყანებით გზატკეცილზე გამოვედით. ძალიან გვშიოდა და დუქანი არსად იყო. იქვე ყანაში ისხდნენ მაჰმადიანი ლამაზი სახის ბავშვები და მიირთმევდნენ გომიჭებს და ყველს. მივედი და უჩვენე ფული, რათა მათ გომიჭი მოეცათ. ფულზე უარი მითხრეს, ორი გომიჭი მომცეს, თათრულათ მადლობა გადუხადე და დიდათ ნასიამოვნები გამოუდექით გზას ზარზმისაკენ.

დაგვჭირდა საათ ნახევარი, რადგან ძნელი ასასვლელი იყო გორაზე, სადაც ეკლესია სდგას, მერე ძალიანაც დაღალულები ვიყავით. თუ რა ადგილას არის ზარზმის მონასტერი, ამაზე მივმართოთ ვახუშტ ბატონიშვილს, რომელსაც მოკლეთ და მკაფიოთ აქვს აღწერილი გეოგრაფია საქართველოსი. „წურწყუმს ზეით, ჯაყის წყალზედ, არის **უველის ციხე**, მრავალჯერ შემუსვრილი და აწ უქმი. უველის ზეით, მთაში, არს **ზარზმას** მონასტერი გუნბათიანი, კეთილშენი, შვენიერს ადგილს და აწ უქმი.“ [8]) „ზარზმა ნიშნავს ზარ-

[8]) ვახუშტი. საქართველოს გეოგრაფია გვ. 210.

ცემას, ზარქმნას (ზარ-ზმა). მისი სახელი ამართლებს მიზეზს მისის აშენებისას. დავით კურაპალატის ჯარს წაუძღვა სახელოვანი თორნიკი და დაამარცხა ვარდა სკლეროსი, იქიდგან დაბრუნებულთ აუგიათ ეს ტაძარი და დაურქმევიათ ზარზმა"—ასე გადმოგვცემს **მ. ჯანაშვილი**.[9])


თვით წარწერა სამრეკლოზე ამტკიცებს ამას. ყველა წარწერები ამ ტაძრისა გადმოიღო **ბ. ექვთიმე თაყაიშვილმა**, რომელიც ტაძრის განახლების დროს 1903 წ. იქ მუშაობდა. ტაძარი ზარზმისა განახლებულ იქმნა იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასულის (ხელმწიფე ნიკოლოზ II-ს დედის) ბრძანებით ცესარევიჩ გიორგის სახელზე. რესტავრაცია ამ ტაძრისა, როგორც გადმოგვცემენ, დამჯდარა 140,000 მანეთი და უნდა აღვიაროთ რომ ტაძარი ხელუხლებლათ არის განახლებული. დაცულია ყოველივე სიძველე, არაფერია გადასხვაფერებული, გარდა ერთი ქვისა, რომელზედაც არის რუსული წარწერა, რომ ეს ტაძარი განახლებულია 1903 წ. მხატვრობა მაინც ისე არის აღდგენილი, რომ როდესაც ეკლესიაში შევედით, პირდაპირ გაკვირვებული დავრჩით. ვისაც ზარზმის ეკლესია უნახავს, იმას ნათლათ ექნება წარმოდგენილი ქართველ ხალხის ძველი კულტურა.

ზარზმის მონასტერს შეადგენს ტაძარი, სამრეკლო მარჯვნით და ერთი ნანგრევი მარცხნით, სადაც აწყვია ჩუქურთმები და ქვები ხუცურის წარწერებით. ზარზმის მონასტერში არავინ ცხოვრობს და კლიტე ეკლესიისა აბარია სოფელ ზარზმის ერთ მაჰმადიანს, რომელიც თითქმის 30 წელიწადია უვლის ზარზმის მონასტერს და უნდა ვსთქვათ რომ სწორეთ დიდის პატივისცემით ეკიდება ეს მაჰმადიანი ამ მონასტერს.

(სანამ ჩვენ ეკლესიას გადავიღებდით და დავათვალიერებდით, მაჰმადიანმა მოგვიტანა საუზმე, რომელიც შესდგებოდა პური-ყველიდან და თათრულ საჰმელიდან. **ყაისაფა**—როგორც მაჰმადიანები ეძახიან ამ საჰმელს—ძალიან გემრიელი გამოდგა. ძალიან დამაინტერესა და ვიკითხე თუ როგორ კეთდება ეს სა-

[9]) ibid გვ. 211. შენიშვნები მ. ჯანაშვილისა.

ურმე კარგ წმინდა ერბოში მოხარშავენ ჰანჰურს (კორკიმელს), შეე
რიან შაქარს და მოასხამენ თაფლს.)



ზარზმის ტაძარი.

კედით ეკლესიაში და შიგ მხატვრობის მეტი არაფერი არის,
ს მხატვრობა არის დღეს ამ ეკლესიის სიმდიდრე; ნამდვი-

ლი სიმდიდრე კი თავის დროზე (ოსმალების შემოსევის დროს) გადატანილი იყო გურიაში შემოქმედის მონასტერში, რომელიც აღმართულია მდინარე ბზუნჯის მარცხენა ნაპირას სამხრეთ-აღმოსავლეთით და ხუთი ვერსის მანძილზე ოზურგეთიდან. ამ შემოქმედის მონასტერში დღემდი ინახება სიგელი ზარზმის ეკლესიის აშენების შესახებ და ეკუთვნის იგი გოგიტიძეების შთამომავლობას. იქვე ინახება რამოდენიმე ხატი, რომელთა შორის პირველი ადგილი უკავია ღვთისმშობლის ხატს. ამდაგვარ, სიმდიდრე მონასტრისა ერთ დროს გადატანილი იყო გურიაში შემოქმედის მონასტერში და იმისათვის არის, რომ შემოქმედის მონასტრის ერთ ეკლესიას ეწოდება ზარზმის სახელი.[10])

რაც შეეხება სამცხე-საათაბაგოს ზარზმის მონასტრის სიმდიდრეს, რომელსაც შეადგენს მხატვრობა, მას მტერმა ვერაფერი დააკლო და აჭამდის ასე მშვენიერათ შერჩა კედლებს ეს მშვენიერი მხატვრობა, რომელიც რესტავრაციის შემდეგ წარმოგვიდგა ჩვენ ისე, როგორც ყოფილა ამ შვიდი-რვა საუკუნის წინ.

მარჯვენა კედელზე შემდეგი მხატვრობებია: „ერისთავთ ერისთავი გიორგი ჩურჩნელი," „მეფეთა მეფე ბაგრატი," „მამა სერაფიონი," რომელსაც ბაგრატ მეფისგან, როგორც იქვე მოყვანილ წარწერიდან სჩანს, „სიგელნი და ენქერი ებოძა," „ქართლისა კათალიკოსი ევთიმეოზი" და იესო ქრისტე, რომელსაც წარწერა ბერძნული აქვს (i-c x-c); მარცხენა კედელზე კი შემდეგი: „მანდატურთ უხუცესი ბექაი"; ეს ბექა ის სჯულმდებელი ბექა არის, რომელმაც თავის სამთავროს გაუჩინა საკუთარი სამართალი. „თუ სა-

[10]) ამის შესახებ იხილეთ წიგნი **დიმიტრი ბაქრაძისა** „Археологическое путешествіе по Гуріи и Аджарѣ," სადაც სხვათა შორის მოხსენებულია შემდეგი: „Монастырь состоит из двух церквей, соединенных вмѣстѣ и из них одна во имя Спаса, без купола, настоящій Шемокмеди, а другая съ куполом в честь Преображенія Господня, извѣстная под именем Зарзмы." (გვ. 115).

ს. ასლ.

ქართველოში—ამბობს **ბ. ნ. ურბნელი**—«სჯული და სამოქალაქო წესნი განაბრწყინვეს», არც საათაბაგო დარჩა სჯულისა და წესის განუბრწყინვებლათ. ბექა მეორემ და აღბუღამ ახალი სამართალი დაუდვეს თავის სამთავროს... ბექამ ჩაჰყარა სჯულმდებლობის საძირკველი და თავის სამთავროს საკუთარი სამართალი გაუჩინა... საჭირო იყო «სჯულისა და სამოქალაქო წესთა» დამთავრება. ამიტომაც აღბუღა (ბექას შვილიშვილი) პაპის კვალს დაადგა და იმის ხელთა ქმნილება დაამთავრა: «დავიდევით წინა პატრონისა პაპისა ჩემისა მანდატურთ-უხუცესის ბექასი განაჩენი... და რაცა ჟამითა სხვა და სხვანი უწესონი საქმენი შემოსულიყვენენ, მათი სამართალიც ზედ დაურთეთო», ამბობს სჯულმდებელი ათაბაგი.“[11])

ბექას შემდეგ მოჰყვება მხატვრობა, რომელსაც აწერია „სამცხის სპასალარი სარგის დამხტურთ უხუცესი“, ამის მერე „ამირ სპასალარი ყვარყვარე“. ბოლოს კი მიჰყვება წმინდანები; დახატულია წმ. პეტრე, წმ. პავლე და სხ.


მშვენიერათ არის განახლებული მხატვრობა ამ მონასტრისა; სათითაოთ თითო სურათი, ყოველი ხაზი, ყოველი წერტილი კარგათ არის დაცული. გასაკვირველიც არ არის. სპეციალურათ ამ ტაძრის შეკეთებისათვის მოწვეული იყვნენ მხატვრები და ხუროთ-მოძღვრები. ასეთია შიგნით ტაძარის სანახაობა. გარეთაც კედლებზე ყოველივე ადგილი შეკეთებულია წარსულ საუკუნოების მიხედვით. მშვენიერია ჩუქურთმები და წარწერებიც.

აქ მოვიყვან ერთ ხუცურ წარწერას, რომელსაც მგზავრი შეამჩნევს ეკლესიაში შესავალ კართან მარჯვნით: „ამისა:. აღმაშენებელსა:. წინამძღვარსა:. ხურციძესა:. გაბრიელსა:. შეუნდოს:. ღმერთმან:. მისსა: დედასა: პატრონისა:. ივანეს:. ასულს გულადამ:. ყოფილსა:. გაიანეს:. შეუნდონ: ღმერთმან მისა მამასა შოთა ყოფილსა შიოს შეუნდონ ღმერთმან“ (იხ. სურათი 136 გვერდზე).

ნასიამოვნები მოვდიოდით ზარზმის მონასტრიდან; ღამის ათი

[11]) ნ. ურბნელი. ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი. გვ. 1—2.

საათი იყო, მაჰმადიანების სოფელ ვარხანს რომ მივაღწიეთ. იქ



ვავათიეთ ღამე და დილას წავედით აბასთუმანში. მეორე დღეს უკვე ახალციხეში ვიყავით.

*
* *

დღევანდელი სამცხე-საათაბაგოს მაჰმადიანები პირდაპირი ქართველები არიან. ამას გვიჩვენებს ძველი დარჩენილი ეკლესიები მათ სოფლებში, სუფთა ქართული ენა, გვარები და სხ.

ერთ საუკეთესო მაგალითს ქართველების გამაჰმადიანებისას გვაძლევს ჩვენ სოფელი საყუნეთი, რომელიც მდებარეობს ექვსი ვერსის მანძილზე აწყვერის ციხიდან, საიდანაც მგზავრი ბორჯომის გზატკეცილით წავა ახალციხისაკენ. სოფელი საყუნეთი მდებარეობს წყალ გაღმა, გამოღმა კი, სადაც გაჩერება გვიხდება, არის სოფელი აგარა. უნდა აღვნიშნოთ რომ მესამე აგარა ქართლშია. (ერთი აგარა ზევით უკვე მოვიხსენიეთ—აგარის მონასტერი). ამ სოფელ აგარიდან ბორანით გახვალთ გაღმა და იქვე არის სოფელი საყუნეთი. როგორც გადმოგვცემენ, ძველათ სოფელ საყუნეთს რქმევია საღვინეთი. ამის მაჩვენებელია ეკლესიის ახლოს და ზოგიერთ ყანებში ამოჩენილი ჭურები (ქვევრები). ეს ჭურები ახლაც მოსჩანს ეკლესიის ქვემოთ გზის პირათ. სოფელ საყუნეთში მოსახლეობს სამასი კომლი მაჰმადიანებისა. იქვე არის ერთი პატარა დარჩენილი ეკლესია, რომელიც აბარია იმავე სოფლის მაჰმადიანს. ეკლესია კარგათ არის შენახული. სახურავი ქვისაა, ძველი დროიდან დარჩენილი. წინა კედელზე გარედან ეკლესიას ამკობს მშვენიერი ჩუქურთმიანი ჯვარი. ეკლესიის ძირში ძვლები მოსჩანს ადრე დამარხულებისა. შიგნით ეკლესიაში მხატვრობა არ არის. საკურთხეველში ლამპარი მუდმივ ანთია. 23 აპრილს სცოდნიათ ამ ეკლესიის დღესასწაული და მაშინ აუარებელი ხალხი ამოდის თურმე სხვადასხვა სოფლებიდან. იმ დღეს სწირავს აწყვერის მღვდელი. შესანიშნავი ის არის, რომ ეკლესიის გვერდით ხის სამრეკლო ზარებით აქამდის კარგათ არის შენახული. სოფელ საყუნეთში ერთათ ერთი განათლებული კაცია—მოლა, გვარათ ფათერაკიანი, რომელსაც სწავლა სტამბოლში აქვს მიღებული. ამ მოლის გვარი ნამდვილი ქართულია: ასეთივეა სხვების გვარები, მაგალითად კვერნაძე, იორდანაშვილი, ბოძაძე, სალა-

შკრიშვილი, დალაშვილი, ქილდიშვილი და სხვანი. ქილდა—სოფელია და ეს ქილდიშვილები იქიდან ყოფილან გადმოსულნი. ქილდიშვილმა გვითხრა: „სოფელ ერკოტაში ახლაც გვყავს ნათესავი — ქართველი“-ო. ესე იგი ქრისტიანი. ეს ქილდიშვილი თავის თავს თათრათ სთვლის და ნათესავს კი ქართველათ. ამისთანა მაგალითები ბევრია. მიუხედავათ ამისა მთელი სოფელი საკუნეთი სუფთა ქართული ენით ლაპარაკობს.

საყუნეთის გარდა კიდევ მრავალი სოფლებია ქართველ მაჰმადიანებისა სამცხე-საათაბაგოში და ამისათვის მინდა ზოგიერთი გაკვრით მაინც მოვიხსენიო. აბასთუმანს ახლო არის რამოდენიმე სოფელი ერთათ. ყველგან მაჰმადიანებია, მაგალითად ვარხანში ხევაშენში, ხარჯამში. ახალციხეში შემთხვევით გავიცანი ორი მაჰმადიანი - მოლები.

ერთი—მოლა მამედ ოღლი ჯაფარიძე, რომელიც სოფელ ხევაშენში ცხოვრობს. მეორე—მოლა მეიუდ რაჯაბ ეფენდი ზადე. ესენი ორივე ქართველებია. პირველის გვარი გვიმტკიცებს. მეორისა კი ის, რომ მამა მისი ყოფილა მოლა, რასაკვირველია მაჰმადიანი, მამიდა კი კათოლიკე. ასე რომ ეს პირდაპირი დამამტკიცებელია იმისი, რომ ეს რაჯაბ ეფენდი ზადე, თუმცა გვარი უკვე შეცვლილი აქვს, ქართველი ყოფილა.

აგარაკ ურაველთან ერთი ვერსის მანძილზე არის სოფელი გიორგი-წმინდა, სადაც მოსჩანს ძველი ეკლესიის ნანგრევები. ამ სოფელში კი ქურთები ცხოვრობენ.

სოფლებს სულ ქართული სახელები აქვს. მაგალითად, ახალქალაქის გზაზე სოფელი „მინაძე“, სადაც 355 სული ცხოვრობს მაჰმადიანებისა, სოფელი „ოხერა“, სადაც დარჩენილია ეკლესიის ნანგრევები. სოფლებს ქართული სახელები თანდათან ეკარგება, მაგალითად ავიღოთ სოფელი სხვილისი, რომელსაც მაჰმადიანები თავიანთ გამოთქმის დაგვარ სუხლიზს ეძახიან, სოფელ ხერთვისს—ხრთზა, სოფელ შამძვრალას—ჩანდურას, მამწვარას—მამზარას, ნაქალაქევს—ნაქალაქოფს და მრავალი სხვა.

თუმცა ამ სოფლებს ახლა ქაღალდებში იხსენიებენ ისე, როგორც გამოთქმენ მათ მაჰმადიანები, მაგრამ ქაღალდებში მოხსენებულია აგრეთვე ძველი ქართული სახელებიც. ამის შესახებ ძველი საბუთები მოეპოვნება ბატ. პეტრე ყირქესალაშვილს, რომელსაც მიწის შესახებ ერთ დროს დავა ჰქონია მეზობლებთან. აი ამ საბუთებში ნახსენებია მაგალითად „деревня Мамзара, по старым документам Мамцвара“ და სხ. დანაკლისი სამცხე-საათაბაგოსა ის არის, რომ იქ ნაკლებათაა გავრცელებული სწავლა-განათლება და რასაკვირველია ხალხიც დიდ უმეცრებაშია ჩავარდნილი. საჭიროა შველა, საჭიროა ხელის გაწვდენა და ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული ხალხი უფრო წინ წასწევს ამ მდიდარ მხარეს.

*
* *

თუ სამცხე-საათაბაგოში ბევრი გამაჰმადიანებულ ქართველების სოფლებია, აგრეთვე ბევრია სოფლები გაკათოლიკებულ ქართველებისა. მაგრამ აქ ჩვენ არ შევეხებით სოფლებს ქართველ-კათოლიკებისა,[12]) არამედ მოვიხსენიებთ მათ ეკლესიებს ქალაქ ახალციხეში და აღვნიშნავთ იმ მდგომარეობას, რომელსაც განიცდიან დღეს ქართველ-კათოლიკენი საზოგადოთ სამცხე-საათაბაგოში და კერძოთ ახალციხეში.

კათოლიკობა სამცხე-საათაბაგოში რომ ძველ დროიდანვე ვრცელდებოდა, ამის შესახებ მარი ბროსსეც გვამცნებს. „კათოლიკეთა ყველაზე უძველესი ეკლესია ახალციხეში არსებობს 1298 წლიდამ“ [13])— დასძენს იგი.

---

[12]) გასულ ზაფხულს ეს სოფლები ერთათ დაათვალიერეს სტამბოლის ქართულ ძმობის მღვდლებმა: აბატე პიო ბალიძემ, პატრი შალვა ვარდიძემ და პატრი შიო ბათმანიშვილმა და ყველა ცნობები ამ სოფლების შესახებ გამოქვეყნებული იქნება თავის დროზე. ს. ასლ.

[13]) მარი ბროსსე. საქართველოს ისტორია. წ. I. გვ. 182.

ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ პირველათ მისიონერები შემოსულან საქართველოში მეცამეტე საუკუნეში და მაშინ დაუწყვიათ ქართველების მოქცევა კათოლიკობაზე. იმავე საუკუნეს ეკუთვნის ეკლესიის აშენებაც. თუ რა იყო მიზეზი იმისი, რომ მისიონერები თავდაპირველათ სამცხე-საათაბაგოში დამყარდნენ, ამაზე მიხეილ თამარაშვილი გვეუბნება:

„რადგან სამცხე მუდამ გზა და კარი იყო ქართლისა ევროპიელ მგზავრებისათვის. როდესაც ევროპის მისიონერები მოდიოდნენ საქართველოში, უეჭველათ უნდა შეჩერებულიყვნენ ჯერ სამცხეში, თუ ყველა არა, ერთი ნაწილი მაინც, რადგან ქართველთა ერი, რომლის გასაკათოლიკებლათ ისინი განგებ იგზავნებოდნენ, შემოსვლისავე იქვე ხვდებოდათ. ამიტომ მათი საქართველოში მისიონი უაზრო იქნებოდა, უკეთუ ქართველი ერის ეს პირველი რაზმი დაეტოვებინათ ყურ უთხოვებელი და ყველანი მოშურებოდენ შუაგულ საქართველოს. ეს გარემოება გვიხსნის საკმაოთ სამცხეში ძველის დროიდანვე კათოლიკობის დამყარებას.“[14])

სამცხე-საათაბაგოში პირველათ ქართველების მოქცევა რომ კაფუცინებმა დაიწყეს, ამას ბევრი ძველი საბუთები გვიმტკიცებს. ამისივე დამამტკიცებელია პატარა ეკლესია (წმ. სავარდისა), რომელსაც ეძახიან პატრების ეკლესიას. ეს ეკლესია არა ერთხელ ყოფილა დანგრეული. დანამდვილებით წელი პატრების ეკლესიის აშენებისა არსად არის მოხსენებული; მხოლოდ „კაფუცინები 1742 წელს სხვადასხვა წერილებში, უკვე იხსენიებენ იმ ეკლესიაში ღვთისმსახურების შესრულებას. აქედან ის უნდა ვიგულისხმოთ—ამბობს მღვდელი მიხეილ თამარაშვილი—რომ დღევანდელი ეკლესია აუშენებიათ 1735—1740 წლებში“. ამ წლებიდან არსებობს ეს ხელახლათ გაშენებული პატარა ეკლესია თავის მონასტრით, სადაც კაფუცინები მოქმედებდნენ 1844 წლამდის, როდესაც ისენი მთავ-

---

[14]) მღ. მიხ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. გვ. 411.

რობის განკარგულების ძალით იძულებული შეიქმნენ მიეტოვებიათ საქართველოს საზღვრები. მათ შემდეგ კი ამ ეკლესიის სამწყსოს უვლიდნენ და უვლიან დღემდის ქართველი პატრები.

კაფუცინების ამ ეკლესიაში ყოფნას გვიმტკიცებს აგრეთვე ორი საფლავის ქვა იმავე ეკლესიის ეზოში. მათ შემდეგი წარწერები აქვთ: 1) „Hic jacet pater Thomas. A tempio cappucinus. Orate pro eo". იმავე ქვას ქართულათ აქვს მიწერილი შემდეგი: „ქ-ნი წელსა უფლისასა 1838-სა ივნისის 7-სა მოიხსენიეთ პატრი თომა თემფიელი ქაფუჩინი". 2) Ad: Re—ud-s. P. Hieronym. a Nurfia. Ex Praef-s. (შემდეგ არ ეტყობა, ამოშლილია) yt in Dm—no (არ ეტყობა) Mariy 1776 Prov—ae Ymbriae". ამ ქვას მარტო ლათინური წარწერა აქვს, რაიც ქართულათ ნიშნავს „ყოვლად პატივცემული მამა იერონიმე ნურფიელი. უფალი პრეფექტო.... მიისვენა უფლისა მიმართ... 1776 წელს. უმბრიის პროვინციიდგან". არის აგრეთვე სხვა ქვები წარწერებით, მაგალითად გალავნის კედელში ჩატანებული, სამრეკლოზე ასასვლელ კიბეში და სხ., მაგრამ აქ მეტათ ვსთვლით იმ ქართულ წარწერების მოყვანას. თვით ეკლესიის კედელში ჩატანებულია დიდრონი ჩუქურთმიანი ქვები. როგორც ეტყობა ეს ჩუქურთმიანი ქვები იმავე ადრე დანგრეულ ეკლესიის უნდა იყოს, ვინაიდგან ეს ქვები ძლიერ განსხვავდებიან ახალ ქვებიდან.

ამ ეკლესიაში, როგორც გადმოგვცა იმავე ეკლესიის მოძღვარმა მამა რაფიელ ნებიერიძემ, წინათ ყოფილა ბევრი ძველი წიგნები, მაგრამ გაუტანიათ სხვადასხვა პირებს და უკან აღარ დაუბრუნებიათ. კიდევ არის დარჩენილი რამოდენიმე ძველი წიგნი, მაგრამ მათ შორის არის ერთი მხედრულათ ნაწერი წიგნი „მისალი"—წირვის წესი, რომელიც შედგენილია კაფუცინების მიერ. წიგნს ზევიდან შემდეგი წარწერა აქვს: „მისალი კაპუჩინთ პატრების რიგისა მებრ გაკეთებული იმავე ფრანგული მისალისაგან ქართულს ენასა ზედა ვინმე წირვის მსახურისაგან მოწადინებითა და ხარჯით ფრა კარლოსი იმავე კაპუჩინთ რიგოსნისი. აღესრულა წელსა უფლისასა **ჩყმე**

აღვისტოს 12. ახალციხესა შინა 1845. გადაწერილი მამა ივანე მამულაშვილის მიერ, აგრეთვე ანტონ თუმანიშვილის მიერ“.

წიგნი შეიცავს 366 გვერდს. სუფთა ქართულის ენით და ლამაზი ხელით არის დაწერილი და თან დართული აქვს ხელით დახატული და მართლაც მშვენიერათ (ფერად საღებავებით) შესრულებული სურათები. სულ აქვს დართული 12 სურათი დიდი დღესასწაულების მიხედვით. თვითონ ეს წიგნი არ არის დედანი კაფუცინების მიერ შედგენილისა, არამედ გადაწერილია ქართველ მღვდლებისაგან. „პირვანდელ მისალს თვით კაფუცინების დაწერილსო—გვითხრა მამა ნებიერიძემ—არ ვიცითო, რა რიცხვი ჰქონდაო და არც ვიცით სად არის ის პირველი მისალი“-ო. მაგრამ როგორც ეტყობა ეს წიგნიც სიტყვა სიტყვით გადაწერილია პირველიდგან და დღემდის მშვენიერათ არის შენახული, თუ ამას იქით ისეთივე ბედი არ ეწვია, რაც პირველს. კარგს იზამენ მამა რაფიელ ნებიერიძე და ძმათ-უფროსები იმ ეკლესიისა რომ ამ წიგნს გარდასცემდენ ქუთაისის ქართველ-კათოლიკეთა დავთარხანას, სადაც სხვა ბევრი სიძველენიც ინახება.

პატრების წმ. სავარდის ეკლესიას ჰყავს თავისი მრევლი, რომელსაც მწყსის ქართველი მღვდელი და ყოველივე ეკლესიაში სრულდება ქართულათ, გარდა წირვის წესისა, რომელსაც მომეტებულ ნაწილათ მღვდელი ასრულებს ლათინურათ.

რაც შეეხება წმ. ჯვრის (ზემო) და იოანე ნათლის მცემლის (ქვემო) ეკლესიებს, იქ წირვის წესი სომხურ ენაზე სრულდება, ვინაიდგან ორივე ეკლესია ეჭვემდებარება მთელი რუსეთის სომეხ-კათოლიკეთა უფროსს აბრამიანს. გალობა და ლოცვები ამ ეკლესიებში თითქმის სულ სომხურათ სრულდება, თუმც მრევლი ქართველია და სომხური არ ესმის. ერთ დროს აწ განსვენებულ ცნობილ მღვდელს ივანე გვარამაძეს (ვინმე მესხი) აუკრძალეს ქართულათ ქადაგება. მამა ივანემ განაცხადა რომ მრევლს უნდა უქადაგო იმ ენაზე, რომელიც ესმისო. და რადგან სომხური არავინ იცოდა, თა-

თრული კი ახალციხეში თითქმის ყველამ იცის, ამისათვის მამა გვარამაძემ დაიწყო ქადაგება თათრულათ.

აქვე მკითხველს გავაცნობ იმ მოვლენას, თუ რის გამო ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიებში წირვის წესი არ სრულდება ქართულს ენაზე: როდესაც პირველათ მე-XIII ს. მისიონერები შემოვიდნენ საქართველოში და იწყეს ქართველების მოქცევა კათოლიკობაზე, ისენი მოქცეულებს წირვის წესის შესახებ ყოველ თავისუფლებას აძლევდენ და ამგვარათ მოქცეულებს კათოლიკობაზე შეეძლოთ მიეღოთ როგორც ქართული, აგრეთვე ლათინური წესი, რომელსაც თვითონ მისიონერები აღიარებდენ, ვინაიდგან მისიონერები საქართველოში ჩამოსვლისას ქადაგებდენ მხოლოდ სარწმუნოებაზე, წესს კი არ ეხებოდენ.

სოფლებში კი მომეტებულათ მისდევდნენ ქართულ წესს, რადგან მისიონერები იქ ნაკლებათ რჩებოდენ და ესწრაფოდენ ქალაქებისკენ. სოფლებში კი სტოვებდენ მოქცეულ ქართველ მღვდლებს. ამის მაგალითია მაგ. სოფელი ველი, რომლის შესახებაც აქამდის ძველი საბუთებიც მოიპოვნება. ეს არის მიზეზი ქართულ წესის შენარჩუნებისა. არა თუ ყოფილან ქართველი მღვდელნი კათოლიკენი, ყოფილან აგრეთვე ქართველი ეპისკოპოსები და ქორ-ეპისკოპოსები. გორის მაზრაში ორბელიანების მამულში ყოფილა მთელი ეპარქია—საეპისკოპოზო, რომელსაც მწყსიდა ქართველი ქორ-ეპისკოპოსი ქრისტეფორე თბილელი გვარათ ყაფლანიანი. ამ ეპისკოზის სახელი მოხსენებულია წერილში ვახტანგ და იოანე ორბელიანებისა, რომელნიც 1741 წ. შემდეგს აუწყებენ კარდინალ პეტრა პრეფეტოს „...მამა ეპისკოპოზი ქვეყნისა ჩვენისა ქრისტეფორე წარმოვგზანეთ“... (გვ. 350. მ. თამარაშვილის წიგნი). იტალიურ საბუთებში კი მოხსენებულია „e capitata per Monsignor Vescovo cattolico Giorgiano“ (ibid გვ. 745. § 64), „Cristofaro Caplonian arcivescovo di Tiflis“ (ibid გვ. 746. § 65), რაც ნიშნავს „მისი უსამღვდელოესობა ქართველ-კათოლიკეთა ეპისკოპოზი,“ „ქრისტეფორე ყაფლანიანი თფილისის ქორ-ეპისკოპოზი.“

ქართული წესის მიმდევრებიც აგრეთვე თვით ქ. ახალციხეშიც ყოფილან. ამას მოწმობს ერთი საბუთი, რომელიც მ. თამარაშვილს აქვს მოყვანილი თავის წიგნში 487 გვ. მის მოყვანას აქ მეტათ ვსთვლით.

რადგან მისიონერები და კაფუცინები (ორი სხვადასხვა ორდენია) წირვის წესს ლათინურათ ასრულებდნენ, ამისათვის მომეტებული ნაწილი ხალხისა მათ ემხრობოდა და ეს არის მიზეზი რომ აქამდის ლათინური წესი შერჩა ზოგიერთ ეკლესიებში. ქართული წესი კი მოისპო იმის გამო, რომ ამსრულებელი აღარ იყო.

რაც შეეხება ახლანდელ გამეფებულ სომხურ წესს ქართველ-კათოლიკეთა ზოგიერთ ეკლესიებში, ამას შემდეგ გარემოებით ვხსნით: როდესაც სტამბოლი ოსმალებმა აიღეს, მისიონერებმა საქართველოში შემოსვლას უკლეს, ვინაიდგან ოსმალეთის მთავრობა მათ შემოსვლის ნებას არ აძლევდა. თითქმის მთელ მეთექვსმეტე საუკუნის განმავლობაში არცერთი მისიონერი არ შემოსულა საქართველოში.

ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა დევნას განიცდიდა ქართველი ხალხი ოსმალებისგან, ძალით გადაჰყავდა ქრისტიანები მაჰმადიანობაზე განურჩევლათ სარწმუნოებისა, კათოლიკე იყო იგი თუ მართმადიდებელი.

ამის დასამტკიცებლათ მოვიყვან უცვლელათ ერთ საბუთს, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს:

Testimonianza richiesta dal Governo in ordine ad una certa Bucra, fuggita in Kutais, dal marito Turco.

თქვენო ღირსებავ
მოწყალეო მწყემსო

ძალისა გამო მოწერილობისა უფლის მმართებლის იმერეთისა კნ-ი მარტიდამ № 826 ჩამორთმეულს ჩემგან ახალციხელს მცხოვრებელს ასულის გარდაცვალებულის კათოლიკეს იოაკიმე ბუხრაშვილისა ანნასაგან ჩვენე-

Ваше Преподобіе
Милостивый Пастырь

Во исполненіе предписанія Г. управляющаго имеретіею отъ 27. Марта № 826=въ отобранно мною отъ ахалцихской жителки Дочери умершаго Католика Іокима Бухрашвили Анны показаніи зна-

ბაში ინიშვნის რომელ ვითომაც მის შ-დ სიკვდილისა მამისა და ძმისა მისისა იქაურმან მცხოვრებელმან თათარმან მახმედ ოღლი კულიჩიშვილმან წაიყვანა იგი თვისს სახლში სარჩენად ვითომც მეგობრობისა თვისს მამისა მისთან რომელმანცა გასულისა მებრ რამოდენიმეს წლისა უბრძანა მას მიღებად ოსმალთ სარჯმუნოებისა და მისცა არა მცირედისა თანხმობისა მის თათარს აღმეთა სულეიმან ოღლს. და ეყოლა მასთან ორი ასულნი. ხოლო აღებისა მებრ რუსეთის მხედრობისაგან ქალაქის ახალციხისა ისარგებლა შემთხვევითა მით მიმართა თვისა ერთს სარწმუნოებელთ მჭონებელთა და მიიღო ქუთაის ორის თვის ასულით კათოლიკის სარწმუნოება და ერთათ მონათლა თვისი ასულნი რომელნიც სახელადა წოდებულან პირველი მარიამათ და მეორე ელენეთ ძალისა გამო რომლისა უმორჩილესად ვიხოვ თქვენს ღირსებას მაუწყოთ მე სარწმუნოთ თუ მან მიიღო ერთათ თვისის ასულებით კათოლიკის სარწმუნოება და აღასრულა თუ არა ყოველი. მაზედა ვისგან მონათლულ ან როდის და ვინ იყო მომნათველად ჯეროვანისა განკარგულებისათვის.

ჰეშმარიტითა პატივისცემითა და სრულის გულს მოდგინებითა მაქუს პატივი (გვარი ვერ გავარჩიე)

№ 446.

აპრილსა დ დღესა
ჩლა წელსა

ქ. ქუთაისს.

чится что якобы она по смерти отца и брата ея тамошніи житель турокъ Махметъ огли Куличишвили взялъ къ себѣ въ домъ для призренія якобы познакомству съ отцомъ ея который по истеченіи нескольких лѣтъ заставилъ ея принять магометанскую веру и выдалъ безъ маленшаго согласія ея за турка агмета Сулеимана огли и прижила съ нимъ двухъ Дочерей повзятіи россіискими Воисками Города Ахалцыха воспользовавшись симъ случаямъ прибегнула къ своимъ единовѣрцамъ и приняла въ Кутаисъ католическую веру и вмѣстѣ окрестивъ и дочерей своихъ кои наименованы первая Маріамою а последная Еленою въ следствіе чего покорнѣйше прошу вашего преподобія уведомить меня действительно ли она обратилась вместѣ съ Дочерьми своими въ Католическую веру и исполнила ли все обряды по оному кѣмъ крещены когда и кто былъ и воспріемниками для подлежащаго распоряженія.

Съ истиннымъ почтеніемъ и преданностію имею честь быть Вашъ покорный Слуга (гвари ver gavarchie)

№ 446.

Апреля 4. дня 1831. года

Г. Кутаисъ.

ეს საბუთი აშკარა დამამტკიცებელია მაშინდელ ქართველების მდგომარეობისა ახალციხის მაზრაში. ანნა იოაკიმე ბუხრაშვილის ასული (ქართველი-კათოლიკე) მამის სიკვდილის შემდეგ ძალათ გაამაჰმადიანა „თათარმა“ მახმედ ოღლი კულიჩიშვილმა (ქართველი მაჰმადიანი) და როდესაც რუსეთმა ახალციხე აიღო, ეს ქალი თავის ორი ქალიშვილით გამოიქცა იმერეთს და ქუთაისში კვლავ მიიღო კათოლიკობა.

ამ მხრით სომხები ოსმალებისგან არავითარ დევნას განიცდიდენ და რადგან სომხებშიც ერია კათოლიკები, ამისათვის ის ნაწილი ქართველობისა, რომელიც აღიარებდა კათოლიკე სარწმუნოებას, მისიონერების რჩევით შეეფარა სომეხ-კათოლიკეთა ეკლესიას, რათა დაეცვათ თავიანთი სარწმუნოება. და მაშინდელ დროში ხომ ქართველისათვის სარწმუნოება ყველაფერი იყო.

ამგვარათ სომხური წესი აქამდის შერჩათ ზოგიერთ ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიებს.

დღეს კი როდესაც ამ სომხურ წესის მიხედვით სამცხე-საათაბაგოს ქართველი კათოლიკობა სომხებს მიაწერს, (როგორც რომ მაჰმადიანები თათრებს), ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია არამც თუ ქართველ-კათოლიკობაში, არამედ მთელ ქართველობაში. და ამის გამო ახალციხის ქართველ-კათოლიკებმა (სამღვდლოებამ და მრევლმა) უკვე რამოდენიმეჯერ მიმართეს მაგალითად, პაპს ლეონ მე-XIII ივლისში 1896 წ. და აგრეთვე 1899 წ., ტირასპოლის ეპისკოპოზს ბარონ როპს 1903 წ., როდესაც ეს უკანასკნელი საქართველოში ბრძანდებოდა, ეპისკოპოზს იოსებ კესლერს 1904 წ. (დეპუტაციით), მის ბრწყინვალებას ხემწიფის მოადგილეს კავკასიაში 12 ნოემბერს 1909 წ. და კიდევ ეპისკოპოზს კესლერს 12 თებერვალს 1910 წ. აქვე მოვიყვან ერთ რუსულათ დაწერილ თხოვნას, რომლითაც ახალციხის ქართველობამ მიმართა ხემწიფის მოადგილეს კავკასიაში და ამით აუწყა მათ ბრწყინვალებას თავისი გასაჭირი:

Мы католики-коренные жители г. Ахалциха, равно католики коренные жители селеній Ахалкалакскаго уѣзда: Хизабавра, Варгани и Бнела и Ахалцихскаго уѣзда: Уде, Балажура, Арала и Вале, числимся въ Армяно-Католической обрядности, но въ

дѣйствительности мы не принадлежимъ къ армянской народности, не понимаемъ армянскаго языка и не говоримъ на этомъ совершенно чуждомъ языкѣ армянскомъ. Роднымъ языкомъ нашимъ всегда былъ грузинскій, а мы сами коренные грузины древней Месхети, нынѣ Ахалцихской области. Непониманіе нами и нашими семействами армянскаго языка наноситъ великій ущербъ нашему религіозному чувству, ибо не слышимъ живого слова Божьяго въ церкви на доступномъ намъ нашемъ родномъ языкѣ, священныя церковныя пѣснопѣнія не достигаютъ до глубины нашихъ сердецъ и потому не производятъ того потрясающаго и облагораживающаго впечатлѣнія, которое подобаетъ имъ, помимо этого, исполненіе Богослуженія въ нашихъ церквахъ на армянскомъ языкѣ и по армяно-католическому обряду даетъ поводъ считать насъ армянами, что совершенно не вѣрно.

Такое исключительно неблагопріятное для насъ, грузинъ-католиковъ, положеніе воспослѣдовало вслѣдствіе слѣдующихъ историческихъ обстоятельствъ: Предки наши, какъ гласитъ исторія и подтверждается старинными церковными книгами, видя что турецкое правительство послѣ завоеванія у Грузіи въ 1625 г. нѣкоторыхъ мѣстностей верхней части ея въ томъ числѣ нынѣшнихъ Ахалцихскаго и Ахалкалакскаго уѣздовъ силой обращаетъ христіанъ въ мусульманскую религію, не разбирая—кто католикъ и кто православный, а считая всѣхъ ихъ урумо-христіанами, т. е. греко-христіанами, которыхъ турки преслѣдовали по политическимъ соображеніямъ, а армянъ по тѣмъ же политическимъ соображеніямъ ласкали, по совѣту тогдашнихъ католическихъ миссіонеровъ, находившихся въ Ахалцихскомъ пашалыкствѣ (Ахалкалакскій и Ахалцихскій уѣзды), для сохраненія своей религіи прибѣгали къ покровительству армянъ, ибо тогдашніе унитары армяне отправляли богослуженіе по Латинскому обряду, т. е. Римско-Католическому, но на своемъ родномъ армянскомъ языкѣ. Что тогдашніе Армяно-Католики состояли въ унитарствѣ, доказывается существующими и до нынѣ въ старинныхъ армяно-католическихъ церквахъ бревіарами и мисалами латинскаго обряда на армянскомъ языкѣ, напечатанный въ Римѣ въ 1630, 1714—1724 годахъ.

Такимъ образомъ, предки наши, католики-грузины, для спасенія христіанской религіи отъ турокъ, которые въ короткое время, обративъ по всей Месхети отъ Боржома до Чернаго моря и отъ Зекарскаго перевала и Арсіана до верховьевъ Чороха и Трапезунда силой меча все Грузинское православное духовенство и крестьянство въ магометанство, перешли сначала въ унитарство, а затѣмъ по прекращеніи его, остались въ армяно-католической обрядности.

Что христіанство процвѣтало въ древней Месхети, въ верховьяхъ р. Куры и бассейнѣ Чороха до появленія Турокъ въ 1625 г., то это доказывается уцѣлѣвшими и до нынѣ нѣкоторыми великолѣпными и чудными храмами.

Описанія ихъ имѣются въ трудахъ **академика Броссе, Д. Бакрадзе, проф. Кондакова и графини Уваровой**. Подъ натискомъ свирѣпаго мусульманства погибло православіе, но унитары армяне, покровительствуемыя турецкимъ правительствомъ, видѣвшимъ въ нихъ силу противъ урумо-христіанъ, т. е. грековъ, не легко разставшихся съ идеей византійской государственности, и прибѣгшая къ ихъ покровительству горсть грузинъ-католиковъ спасли свое христіанство и сохранили его.

Въ 1828 г. Графъ Паскевичъ-Эриванскій нанесъ жестокое пораженіе турецкому отряду подъ стѣнами Ахалциха 15 Августа, въ день успѣнія Божьей Матери. Послѣд-

ствіемъ этой побѣды было присоединеніе къ Россіи турецкаго Ахалцихскаго пашалыкства, т. е. Ахалцихскаго и Ахалкалакскаго уѣздовъ. Въ этомъ пашалыкствѣ, въ моментъ его завоеванія гр. Паскевичемъ, не было ни одного армяно-католика армянской народности.

Съ этого историческаго момента появились въ Ахалцихскомъ и Ахалкалакскомъ уѣздахъ армяно-католики изъ двухъ народностей: грузинской и армянской. Мы католики грузинской народности, не угрожаемые больше мусульманствомъ, естественно, начали стремиться, къ римско-католическому обряду, который, какъ объяснено выше, покинули и приняли унитарство, а затѣмъ армяно-католическую обрядность для спасенія христіанства. Соотечественники же и однофамильцы наши католики-грузины Тифлисской и Кутаисской губерній, жившіе въ бывшемъ Грузинскомъ царствѣ, удержали до сего времени Римско-католическій обрядъ, который допускаетъ совершать значительную часть Богослуженія, всѣ пѣснопѣнія и молитвы на родномъ языкѣ и который даетъ имъ возможность слушать таковыя на своемъ родномъ Грузинскомъ языкѣ.

Мы, грузины-католики вышеуказанныхъ приходовъ желаемъ осуществленія такого-же порядка.

Нынѣ, когда всемилостивѣйшему Государю ИМПЕРАТОРУ нашему угодно было даровать всѣмъ своимъ подданнымъ ВЫСОЧАЙШИМИ МАНИФЕСТАМИ: 26-го Февраля 1903 года, 17-го Апрѣля и 17 Октября 1905-го года блага свободнаго исповѣданія свободнаго же перехода изъ одной религіи въ другую, почтительнѣйше доводя до свѣдѣнія Вашего Сіятельства о ревностномъ и страстномъ желаніи нашемъ перейти изъ армяно-католической обрядности въ Римско-католическую, покорнѣйше просимъ положить конецъ нашему томленію надлежащимъ разрѣшеніемъ на вышеупомянутый переходъ изъ одной обрядности въ другую, съ учиненіемъ распоряженія о сообщеніи Его Преосвященству Тираспольскому Епархіальному Римско-Католическому Епископу о таковомъ разрѣшеніи съ тѣмъ, чтобы Его Преосвященство Епископъ Тираспольскій поручилъ завѣдываніе нами и нашими церквами Визитатору Закавказскихъ Римско-католическихъ церквей и приходовъ.

Мы искренно вѣримъ и твердо надѣемся, что настоящая наша просьба, продиктованная лишь интересами своей религіи, не встрѣтитъ никакихъ препятствій съ ВАШЕЙ стороны, т. к. упомянутыми выше ВЫСОЧАЙШИМИ Манифестами разрѣшенъ свободный переходъ изъ одной религіи въ другую, мы же просители, оставаясь въ нашей же религіи, просимъ только разрѣшенія на переходъ изъ одной обрядности въ другую.

О послѣдующемъ просимъ приказать объявить намъ, по мѣсту жительства.

1909 года Ноября 12 дня гор. Ахалцихъ.—

ამ ზემო მოყვანილ თხოვნიდან ჩანს, რომ ქ. ახალციხის--წმ. ჯვრის და წმ. იოანე ნათლის მცემლის, აბასთუმნის და ივლიტის ეკლესიების მრევლი და აგრეთვე შვიდი სოფელი თხოულობენ გადასვლას სომხურ წესიდან ლათინურ წესზე.

აქვე მოვიყვანთ ზოგიერთ სტატისტიკურ ცნობებს ქ. ახალციხის და სოფლების შესახებ.[15])

ქართველ-კათოლოკენი, რომელნიც მიწერილი არიან სომხის კათოლიკებზე:

ქ. ახალციხის წმ. იოანე ნათლის მცემლის ეკლესია	886	სული.
„ „ „ ჯვრის ეკლესია	689	„
აბასთუმნის, ქალწულ:ი მარიამის ეკლესია. . . .	136	„
ს ო ფ ლ ე ბ შ ი. სულ	1711	სული
ახალციხის მაზრა:		
ივლიტა	572	სული
ვალე	892	„
არალი	671	„
უდე	1938	„
ბოლაჟური.	58	„
სულ	4131	სული
ახალქალაქის მაზრა:		
ხიზაბავრა	2057	სული
ვარგავი	171	„
ბნელა	54	„
სულ	2282	სული

ამ სოფლებში სულ ქართველებია. მაგრამ არის სოფლები, სადაც არეულია ქართველები და სომხები, მაგ. ტურცხი, ხულგუმო, ბავრა, კარტიკამი, ალასტანი, ტორია, უჯამანი და ეშტია; მხოლოდ პირველ ოთხ სოფელში სჭარბობენ ქართველები, მეორე ოთხში კი სომხები.

ეს სოფლები სულ ახალქალაქის მაზრაშია: მოვიყვანოთ ამ სოფლების სტატისტიკური ცნობები:

ტურცხი	678	სული

[15]) ეს ცნობები ამოკრეფილი გვაქვს 1910 წლის წიგნაკიდან: „Directorium Horarum Canonicarum et Sacrarum missarum ad usum Dioecesis Tiraspolensis“.

ხულგუმო	569	„
ბავრა	395	„
კარტიკამი	1256	„
სულ	2898	სული

რადგან ამ ოთხ სოფელში[16]) ქართველები უმეტესობას შეადგენენ, გამოვყოთ იქიდან ორი მესამედი: ქართველებზე მოდის-- 1932 სული;

შემდეგ ოთხ სოფლიდან:

ალასტანი	2223	სული
ტორია	551	„
უჯამანი	566	„
ეშტია	2720	„
სულ	6060	სული

აქედან ქართველებზე მოდის ერთი მესამედი, ე. ი., 2020 სული.

სულ ქ. ახალციხეში, აბასთუმანში და ორიე მაზრის სოფლებში არის 12076 სული.

ეს თორმეტი ათასი სული მიწერილია სომხებზე და ყოველთვის შევიწროებას განიცდიან სარწმუნოების მხრით. სომხურათ ხომ უწირავენ, შვილებსაც უნაოლავენ ამ წესით და სხ. ესეთი მოქცევა უმფროსისა ხალხასადმი, აღელვებს უკანასკნელს და ხალხიც ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რათა დაახწიოს თავი მის ბატონობისგან. სომეხ-კათოლიკეთა უმფროსი ტერ-აბრამიანი პირდაპირ გასომხების პოლიტიკას აწარმოებს ქართველ-კათოლიკებში მაშინ, როდესაც ესეთ გარემოებამ გამოიწვია შესწავლა ამ საკითხისა და დღეს მეცნიერულათ დამტკიცებულია უკვე, რომ კათოლიკობა ქართველობაშიც იყო გავრცელებული. რასაკვირველია, ასეთი პოლიტიკის შედეგია ისეთი შემთხვევები, როგორც მაგალითად მოხდა

[16]) ამ ოთხ სოფლის ქართველობას შეადგენენ ის კათოლიკენი, რომელნიც ცხოვრობდენ სოფელ ველში და აღიარებდნენ ქართულ წესს. დღეს კი სოფ. ველი აღარ არსებობს. ს. ასლ.

წელს ქ. ახალციხეში. სწორეთ რომ ისტორიული მნიშვნელობა აქვს იმ 14 მესხის ღია წერილს, რომელიც დაიბეჭდა „სახალხო გაზეთი“-ს № 1184-ში და მიმართულია „მათი მაღალღირსების სომეხ-კათოლიკეთ მმართველის ბ. არხიმანდრიტ ტერ-სარქის ტერ-აბრამიანის მიმართ“. მოგვყავს აქვე ეს წერილი:

ღ ი ა წ ე რ ი ლ ი

მათი მაღალღირსების სომეხ-კათოლიკეთა მმართველის ბ. არხიმანდრიტ ტერ სარქის ტერ-აბრამიანის მიმართ.

ახალციხის კათოლიკე-ქართველები, წოდებულნი სომეხ-კათოლიკებათ, მოგმართავთ თქვენს მაღალღირსებას შემდეგი წერილით.

გაელილ 1913 წლის ზაფხულში, ჩვენ მეზობელ ახალციხელ რამოდენიმე ქართველ-კათოლიკეს თავისი შვილები მოუნათლიათ ლათინურის წესით. გაელილ დღეებში უსახელო წერილით გაგიგიათ ეს ამბავი და შეძრწუნებულხართ. დიდის რიხით მოგითხოვიათ ამ საგანზე ნამდვილი ცნობა ჩვენი მღვდლისაგან და მასთანვე საყვედური—კიცხვა, რომ მათ თავის დროზე არ გაცნობეს ამისთანა უკანონო შემთხვევა.

ამგვარი თქვენი განკარგულება ჩვენ დიდათ გვწყინს, გვაღელვებს და გვამცირებს, რადგანაც ჩვენი მოქმედება არ არის წინააღმდეგი არც სასულიერო და არც სამოქალაქო წეს-კანონისა. თქვენც კარგათ მოგეხსენებათ 1905 წლის 17 აპრილის და 17 ოქტომბრის მანიფესტი სინიდისის თავისუფლების შესახებ. იმავე მანიფესტის ძალით ჩვენი თხოვნისამებრ, კავკასიის უმაღლესი მთავრობისაგან ნება გვაქვს სომეხ-კათოლიკე ტიბიკონიდან გადვიდეთ რომის-კათოლიკეთა ლათინურ ტიბიკონზე.

რა მოხდა ეკლესიის საწინააღმდეგო? ის, რომ კათოლიკე მშობლებმა, იმავე კათოლიკე ეკლესიის სარწმუნოებაზე ლათინის წესის მღვდელს თავიანთი შვილები მოანათლინეს. ნუ თუ ეს დანაშაულია?

თქვენმა მაღალღირსებამ როგორც კათოლიკე-ეკლესიის ინტერესის დამცველ-მფარველმა, ამ საქმეში ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვათ. თუ თქვენ ნაციონალური ინტერესი გაქვთ სახეში, მაგნაირ გულმტკივნეულება, მოსარჩლეობა აღმოუჩინეთ იმ კათოლიკე სომხებს, რომლებზედაც დადგენილხართ უფროსათ პაპი პიო მე-X-ს დეკრეტით, რომელშიც მოხსენებულია—„დაგადგენთ თქვენ სამოციქულო მმართველათ სომხის გვარის კათოლიკებზე რუსეთის იმპერიაში.“ ჩვენზე კი არავითარი უფლება არა გაქვთ, რადგან სომხები არ ვართ,

მხოლოდ სარატოვის რომის-კათოლიკეთა ეპისკოპოსის დაუდევრობით მოხდა ის დიდი შეცდომა, რომ კათოლიკე ქართველებიც სამცხე-ჯავახეთისა თქვენ მმართველობაში ჩაგვრიცხეს.

ოთხი წელიწადი იცხოვრეთ ჩვენ შორის ახალციხეში, ნუ თუ არ დარწმუნდით ჩვენ ქართველ ეროვნებაზე? რა ნახეთ ჩვენ ხალხში სომხური: ზნე-ხასიათი, ენა, ჩვეულება თუ შეერთება-შეთვისება სომეხ-კათოლიკეებთან.

აგერ 85 წელმა განელო, რაც სომეხ-კათოლიკე ერი სხვა სომხებთან ერთათ გადმოსახლდნენ აზრუმის ვილაეთიდან ჩვენში და დასახლდნენ ქართველ-კათოლიკეთა სოფლების სიახლოვე. ამ ხნის განმავლობაში ეს ორი, ერთ-მორწმუნე ხალხი, თუმც ერთი მეორის სოფლიდან ორი-სამი ვერსის სიშორით ცხოვრობენ მეგობრულათ, მაგრამ დღევანდლამდე არცერთი მაგალითია, რომ ქ.-კათოლიკეთა რომელიმე სოფელში მომხდარიყოს მძახლობა ან მოყვრობა სომეხ-კათოლიკეებთან. საზოგადოთ, ჩვენი ხალხი უფრო სიადვილით უმძახლდება-უკავშირდება: პოლონელებს, გერმანელებს და სხვათა, ვიდრე სომეხ-კათოლიკეთ... ამ ცხად ფაქტს ხომ თქვენც დაგვიმოწმებთ!

თუ აქამდის არ მოხდა ჩვენი ერთიმეორესთან შეერთება-შეთვისება, ამას შემდეგ სრულებით შეუძლებელია; რადგან ჩვენში დიდათ გაცხოველებულია ეროვნული შეგნება-სიყვარული. აი, ეს ეროვნული გრძნობა-მისწრაფება გვაიძულებს ჩამოშორებას, რადგანაც სომხის ტიბიკონს ჩვენ ვერასოდეს ვერ შეურიგდებით. რამდენია ჩვენში ისეთი, რომელიც შვილებს არ ანათვლინებს სომხური წესით. სხვათა შორის შარშან ს. ვალეს მცხოვრებმა გაბრიელ გოზალა-კოპიაშვილმა მოგმართათ თხოვნით, რათა ნება მიგეცათ შვილის მონათვლისა ლათინურის წესით, მაგრამ უარი მიიღო და დღესაც რვა წლის ვაჟი მოუნათლავი ჰყავს. ეკლესიის კანონით კი, ბავშვი ორი კვირის განმავლობაში უნდა მოინათლოს. როდის მოეღება ბოლო ჩვენ ამისთანა შავ-ბნელ ბურუსით მოცულ აბუჩათ აგდებულ მდგომარეობას??! თუმც-კი ძალა-უნებურათ ვითმენთ დრომდი! მაგრამ მთელი ქვეყნის წინაშე ვღაღადებთ და ვიტყვით: აღარ გვსურს ყოფნა სომეხ-კათოლიკე ტიბიკონზე, ყოველს საშუალებას ვიღონებთ და აღარ დავრჩებით თქვენი ნაძალადევი ბატონობის ქვეშ. ჩვენი სურვილია ვიყოთ იმავე ტიბიკონზე, რომელზედაც არიან ჩვენი მოძმე: თფილისის, ჭუთაისის, ბათომის და სხვა ადგილების კათოლიკე ქართველნი...

(ხელს აწერს 14 კაცი).

ძალათ სომეხ-კათოლიკე მესხნი.

ამ საპროტესტო წერილმა დიდი აღშფოთება გამოიწვია როგორც ქართველ საზოგადოებაში, ისე ქართულ პრესაშიც, რომელმაც, განურჩევლათ მიმართულებისა, დაგმო ესეთი წარმოებული

პოლიტიკა ტერ-აბრამიანისა.[17]) მიუხედავათ იმისა, რომ თვით სომხური გაზეთი „ორიზონი“-ც წინადადებას აძლევდა ტერ-აბრამიანს, რათა მას გაეცა პასუხი ქართველებისათვის, მათი მაღალღირსება ყურსაც არ იბერტყდა და მხოლოდ მაშინ, როცა ცოტაოდნათ დაწყნარდა ხალხი, „იდროვა ჯავრის ამოყრა იმ პიროვნებისა, რომელიც მიზანში ჰყავდა ამოღებული. დიახ ამოიყარა ჯავრი, თუმცა სხვა ნიადაგზე. ამ გარემოებამ უზომოთ ააღელვა ყველა კათოლიკე ქართველი და ისე გართულდა ისეც გამწვავებული საქმე, რომ ალლახმა უწყის, თუ რითი ვათავდება ისეც სომხების მიერ დაძაბუნებული ქართველ-კათოლიკეთა საქმე.

აი საქმის ახალი გარემოება. ჩვენში, ჩვეულებრივათაა, რომ დიდ პარასკევს ღამეს ეკლესიებში ქრისტეს სატანჯველებზე გვიქადაგებენ და ერემია წინასწარმეტყველის გოდებას იტყვიან ქართულათ. რადგან წმ. იოანნე ნათლიმცემლის ეკლესია გრიგალმა ქარმა დააზიანა და შიგ აღარ მოხერხდებოდა წირვა-ლოცვები, ამის გამო მღვდელმსახურებას მამა სერაბინი ამავე ეკლესიის სკოლის შენობაში ასრულებს დღესაც. სკოლის შენობის სიპატარავის გამო გაელილ წითელ პარასკევს მერაბაშვილმა თავისი ერი ზემო წმ. ჯვრის ეკლესიაში წაიყვანა, რათა იქ მოესმინათ გოდება და ქადაგება. ჯვრის ეკლესიის მოძღვარმა მღ. თათენაშვილმა ქართულათ არ შეასრულა „გოდება“ და სომხურ ენაზედ დაიწყო ლოცვების ასრულება. მღ. თათენაშვილის საქციელი ერს არ ეპაშნიკა და მღელვარება დაიწყო. საქმე იქამდის მივიდა, რომ ყველა მლოცველმა ეკლესია დასტოვა და ღურღულით გარეთ გავიდა. ეს ამბავი ვიღაცამ ტერ-აბრამიანს აცნობა თფილისში უსახელო წერილით, ვითომც მღ. ს. მერაბაშვილმა ააღელვა და ეკლესიიდან გაიყვანა ყველანიო... ტერ-აბრამიანმა შერიგება მოსთხოვა. მღ. თათენაშვილმა...

---

[17]) იხ. „ჩვენი ერი“ № 44. სომხის კლერიკალები.
„სახალხო გაზეთი“ № 1184. ქართველ-კათოლიკეთა ბედი.
„აზრი“ № 52. თავისუფლება სინდისისა.
„იმერეთი“ № 53. ქართველ-კათოლიკეთა ტრაღედია.

თანხობა განაცხადა აესრულებინა არხიმანდრიტის ბრძანება, მაგრამ მერაბაშვილი არ დასთანხმდა უფროსის ასეთ ბრძანებაზე იმიტომ, რომ მე არც წაჩხუბებული ვარ და არც მისი ორგული და როგორ შეიძლება იმ პირს ხელმეორეთ შეურიგდე და ან რა დავარქვათ ასეთ შერიგებას, როცა ლოღიკის წინააღმდეგიც არისო...

ტერ-აბრამიანმა დასაჯა უბრალოთ მერაბაშვილი, ...ჩამოართვა დეკანობა ახალციხის წმ. იოანნე ნათლიმცემლის ქარ. —კათოლიკეთა ეკლესიისა და გადაიყვანა ს. ვალეს ღვთისმშობლის ეკლესიაში.

მერაბაშვილმა დიდი სიამოვნებით მიიღო ჭესამართლოთ დასჯა და თავისი თანამდებობანი დანიშნულებისამებრ ახალ მოადგილეს გადასცა, მაგრამ ეკლესიის მრევლმა კი არ გადასცა ეკლესია და ქონება ახლათ დანიშნულ მღვ. გაბრიელ გოზალაშვილსა...

დანიშნულმა კომისიამ ერს მოსთხოვა უეჭველათ ახალ მღვდელს ჩააბარეთ ეკლესია, თორემ ძალას ვიხმართო. ჩვენ გვეშინიან არხიმანდრიტისა, დაგვსჯის და ამიტომ სისრულეში უნდა მოვიყვანოთ მისი ბრძანებაო. ერი მაინც არ აბარებს. საქმემ პოლიციამდე მიაწია. პოლიციის თანადასწრებით ერმა 6 დღე ვადა ითხოვა. რადგანც წარმომადგენელები უნდა გაგზანონ ტერ-აბრამიანთან თფილისში, რომ მღ. სერაბინი დაატოვებიონ. ვადა 9 ივლისამდეა. არვიცით როგორ წავა საქმე. ის კი ცხადია, რომ მღელვარე ხალხი ეკლესიაში სხვა მღვდელს არ უშვებს. იმ დღეს ქალით კაცამდე თავმოყრილი იყო კომისიასთან და სულ პროტესტებს უცხადებდნენ. ეკლესიის კარის გასაღები ჩვენ გვაქვს და არავის დაუთმობთო, ეუბნებოდნენ ქალები კომისიას".

ასე აგვიწერს უკანასკნელ მომხდარ ამბებს ბ. მოკეთე (სომეხ-კათოლ. მმართველი სარგის ტერ-აბრამიანი და ქართველი კათოლიკენი. „სახალხო ფურცელი" № 32.) ამ ზემოთ მოყვანილ წერილის ამონაწერებიდან ჩანს, რომ მოთმინებიდან გამოსული ხალხი ეკლესიაში არ უშვებს ახლათ დანიშნულ მღვდელს და ყოველ ღონისძიებას მიმართავს, რათა დაბრუნებული იყოს პატივცემული მოძღვარი მამა სერაბინ მერაბაშვილი.

ბოლო ცნობა, რომელიც ჩვენ მივიღეთ ქ. ახალციხიდან არის ის, რომ ხალხი აღარ დადის იმ ორ ეკლესიაში, სადაც სომხური წირვა სრულდება და ესწრება ლათინურ წირვას ქართულ გალობით პატრების ეკლესიაში.

თუ როგორის სიძულვილით ეპყრობა ბ. ტერ-აბრამიანი ქართველ-კათოლიკობას, ამაზე მოვიყვანთ ერთ საბუთს, რომელიც წარმოადგენს მოხსენებას ტერ-აბრამიანისას ქართველ-კათოლიკებზე. ეს მოხსენება ლათინურ ენაზე აბრამიანმა გააგზავნა რომში 29 ქრისტეშობის თვეს 1909 წელს:

„ფრანგთა ერში ანდაზათ თქმულ არს: ყველა არეულობაში და ამბოხებაში „მოსძებნე ქალიო.“ ჩემდა სამწუხაროთ, აწ უნდა ვაღიარო, აქაურ უთანხმოებაში «მოსძებნე მღვდელიო»..... პეტერბურგიდან ოფიციალურათ დამიბარეს: ერთ თვეს და ოც დღეს სამგზავროთ ვიყავი. როდესაც დავბრუნდი, ენახე და გავიგე, ჩემს აქ არ მყოფლობის დროს.... ლათინ კათოლიკე ზოგიერთ მღვდელს... აგრეწოდებულ კათოლიკე ქართველთა ზოგიერთ ურწმუნო კაცების საშვალებით, ჩუმათ აუღელვებიათ 7000 სომხური წესით კათოლიკენი, რათა დასტოვონ სომხური წესი და მიიღონ ლათინური წესი... კავკასიის ხელმწიფის მოადგილისათვის თხოვნები წარუდგენიათ. ამათ, აგრეწოდებულ ქართველ-კათოლიკებს, რამდენიმე თვის წინათ მინისტრთანაც მიუწერიათ სარატოვის ეპისკოპოს კესლერის წინააღმდეგ. აი რა სულის კათოლიკები არიან... როგორც ყველანი ამტკიცებენ, წყარო ყოველი ცუდისა და არეულობისა არის რომში მყოფი მამა მიხეილ თამარაშვილი ხარისჰირაშვილის მონასტრისა, შთამომავლობით სომეხი, დაბადებული ახალციხეში და შემთხვევით ქართული ენის მოლაპარაკე, მეწაღე, რომელიც მთავრობის კანონის შებღალვის გამო ჩვენი გუბერნიიდან განდევნილ იქნა. იგი წერილებით და ყველა ნაირ მზაკვრობით ხალხში მშვიდობას არღვევს...

სარატოვის სემინარიის რექტორი ივანე ანტონოვი, რომელიც აგერ 7 თვეა ავათ არის და აწ აქ იმყოფება, იგიც ნაკლებ არ დაეხმარა თამარაშვილს ამნაირ საქმეში. არ ისვენებს, ჩუმათ პროპაგანდას ეწევა სომხურ ტიბიკონის კათოლიკეთა შორის: ეს ბატონები ჩემ წინ ნამდვილ კათოლიკეთ მეჩვენებიან, სიტყვით და საქმით კი ცდილობენ გამოიხსნან აგრეწოდებული ქართველ-კათოლიკენი სომხურ წესიდან, როგორადაც ჯოჯოხეთიდან... არღვევენ და ფეხქვეშ თელავენ დეკრეტებს... ივანე ოქროპირის იუბილეის დროს, პაპმა თავის მოქმედებით ფრიად კეთილი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთის ხალხზე და მთელი აღმოსავლეთის ერი აღტაცებით მიეგება რომის ეკლესიას. რუსეთის

ერმა, რომელიც წინათ სხვა თვალით უყურებდა ჩვენს ეკლესიას, ნელ-ნელა შეიცვალა თავისი ცრუ აზრი და დაუახლოვდა რომაელ კათოლიკე ეკლესიას: ეს ბატონები კი ისე ირჯებიან ამ 7000 მცხოვრებთან, რომ უბრალო საკითხის გამო უნდათ უცებ დაბადონ **შური** ჩვენი დედა წმინდა ეკლესიისადმი.

დასასრულ, სინიდისის წინაშე ჩემს თავს მოვალეთ ვრაცხ, უმაღლესო მთავარო (Eminetissime Princeps), ჩემი შეხედულება გამოვსთქვა ამ საგანზე:

1) კათოლიკე სარწმუნოების აღორძინებისათვის ფრიად მავნებელი იქნება, რომ წმინდა ტახტმა მიიღოს მხედველობაში 7000 სულის თხოვნა, რომელთაც მეამბოხეთა შეცდუნებით ხელ-მოწერილობითი მოხსენება მისცეს. თუ წ. ტახტი დათანხმდა, რათა ამათ ლათინური წესი მიიღონ, მაშინ არა მარტო მთავრობა ცუდის თვალით შეხედავს, არამედ მთელი რუსეთის ხალხი ყოველ დღიურ გახეთებით კათოლიკე სარწმუნოების წინააღმდეგ ამხედრდება; რადგან ხალხი გაუნათლებელია და ჰგონია წესი იგივე სარწმუნოებაა. მაშინ იფიქრებს: კათოლიკე სარწმუნოება რომ იქონიოს, მან უნდა უარჰყოს თავის საყვარელი აღმოსავლეთური წესი. ყველას ჰგონია: რომს არ სურს წესის გამოცვლა, არამედ დოგმატებში შეერთება. ახლა ფაქტიურათ ზოგიერთმა დასავლეთის წესზე რომ შესცვალონ, ნამდვილათ ფრიად ცუდი გავლენა იქნება არა მარტო რუსის ერში, არამედ აღმოსავლეთის ყველა კათოლიკე თუ არა კათოლიკე ერებში, მე და სხვა მღვდლებმაც, მრავალ გზის ერეთიკებთან და მართმადიდებლებთან ლაპარაკში დავარწმუნეთ, რომ წ. ტახტი თხოულობს შეერთებას და არა წესს, როგორადაც მრავალ პაპებმა სიტყვით და საქმით განაცხადეს და სხვ.

2) მეამბოხეთა მიმდევართ სურთ საქმის წარმართვა წ. ტახტის დატყუებით (თუ შესაძლებელ არს), წინააღმდეგ შემთხვევაში სარწმუნოების გამოცვლის ქადილით და სხვაც... აღმოსავლეთელების ყოველად გათახსირებული ჩვეულებაა ასეთი ლაპარაკი ამ მსგავს შემთხვევაში და სურთ ამ გზით მოტყუება, მაგრამ მე პასუხისმგებლათ გიდგები ამაში და გაცნობებ, რომ მსგავსი სიტყვები ეკუთვნის ცუდ კაცებს, რომელნიც ჩუმათ დაძვრებიან დედამიწაზე, გაურბიან სინათლეს და უყვართ სიბნელე.

3) რუსის მთავრობა ამ ჟამათ საკმარისათ კარგ განწყობილებაშია წმინდა ტახტთან; ამისიცე თანხმობით მას სურს აღმოსავლეთური წესის პატივსაცემლათ ახალი ეპარქია აღადგინოს სომეხ-კათოლიკეთათვის. აწ თუ დასაწყისშივე ზოგიერთნი დაიწუნებენ ამ წესს და თავიდან მოიშორებენ, ნამდვილათ სასიამოვნო არ იქნება მისთვის. ეს იმდენათ მართალია, რომ პეტერბურგიდან რაჟამს ჩამოველი თბილისში (კავკასიაში) წარჩინებულ პირებმა მწუხარებით მომითხრეს: დახედე, როდესაც მთავრობა ცდილობს თქვენთვის ეპარქია დაარსოს ამდენის ხარჯით, ზოგიერთნი, რომელნიც თავიანთ თავს ქართველებს უწოდე-

ბენ, ამ ახალ ეპარქიიდან განცალკევებას თხოულობენ, აღმოსავლეთურ წესს გაურბიან და დასავლეთის ლათინური უნდათ მიიღონ. (მე მეკითხებოდენ) ნუ თუ რომს ამ საქმეში ხელი აქვს? მე ყოველის ღონისძიებით დაუმტკიცე, რომ წ. ტახტს და პაპებს უყვართ აღმოსავლეთური წესი, რომში სასწავლებლებიც დაუფუძნებიათ აღმოსავლეთურ წესების დასაცველათ და სხვ.

4) თუ შესაძლებელ არს მეამბოხეთა იფიქრონ წ. ტახტის მოტყუება ამის თქმით: თუ მივიღებთ ლათინურ წესს, მაშინ, ნამდვილ სახელწოდებული ქართველნი, რომელნიც რუსის სარწმუნოებას მისდევენ, კათოლიკე სარწმუნოებას მიიღებენო.—პასუხს ვაძლევ: ტყვილი და სიტუტუცე; წინააღმდეგ სწორეთ მაშინ, ქართველები უკიდურეს სიმძულვარეს იქონიებენ კათოლიკე სარწმუნოებისადმი, რადგან მათთვის სულერთია თუ რომ დაკარგვენ თავიანთ წესს, რომელიც ძალზე უყვართ და ახლა რა დაინახავენ რომ სარწმუნოების გამოცვლით მეორე მხრივ ვალდებული უნდა გახდენ წესიც გამოიცვალონ, უეჭველია ძალზე დაგვშორდებიან. იქნება ფრიად ადვილი იყოს მთელი რუსის ერის მოქცევაც, თუ ესენი და სხვანი დაახლოვებით 1500 ანუ 2000 კათოლიკე ქართველნი ლათინური წესისანი იქონიებენ ქართულ აღმოსავლეთურ წესსა; მაშინ შემიძლია ვსთქვა: დიდი დიდება იქნება რომის წ. დედა ეკლესიისა და აღმოსავლეთის ერებიც, განსაკუთრებით რუსობა და ქართველობა უდიდეს კეთილ შთაბეჭდილებას მიიღებს.

5) თუ ვინმე ამ 7000 პირთაგანი რომში მოვლენ ან თხოვნებს მოგართმევენ, როგორადაც წამქეზებელნი მათ ასწავლიან, ჩემი უმდაბლესი მოსაზრება არის, რომ წ. ტახტმა მიუგოს მათ:—თუ ერთხმათ იგინი აღმოსავლეთურ ქართულ წესს ქართულ ენაზე მოითხოვენ, მაშინ წ. ტახტი ამაზე მოიფიქრებს, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დარჩნენ იმ წესზე, რომელზედაც საუკუნოებით ყოფილან.[18])

და დღეს როდესაც ქართველ-კათოლიკების წინაშე ასეთ პოლიტიკას ეწევიან, ჩვენი სამღვდელოება (გვულისხმობ ქართველ მღვდლებს ლათინურ წესისას) გაჩუმებულა, გაჩუმებულა მაშინ, როდესაც მან პირველათ უნდა აღიმაღლოს ხმა.

წელს ივნისის შუა რიცხვებში ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში შეიკრიბა მთელი ქართველი სამღვდელოება სხვადასხვა საეკლესიო წურთნის შესასრულებლათ და მაშინ, როდესაც მათ ასეთი

[18]) იხ. გაზ. „იმერეთი“ №№ 114, 115. 1914 წ. წერილი ქართველ-კათოლიკისა: „კათოლიკე ქართველები და სომეხი ტერ-აბრამიანი.“

შემთხვევა იშვიათათ შეხვდებათ, რომ in corpore კიდევ შეკრებილიყვნენ, ისენი დაიშალენ ისე—არც ერთი სიტყვა არ უთქვამთ და არავითარი ზომები მიუღიათ შესახებ მდგომარეობისა ახალციხის ქართველ-კათოლიკებისა.

საჭიროა მეტი მუშაობა და კავშირი მღვდლებისა ერთმანეთში; ამისთანა დროს ყოველივე საპირადო ინტერესები უკუგდებულ უნდა იყვეს და საერთო ძალებით მათ დახმარება უნდა გაუწიონ თავიანთ მოძმე ქართველებს. რასაკვირველია ისენი არ უარყოფენ ახალციხელების ლათინურ წესზე გადმოსვლას, მაგრამ ეს არ კმარა.

ჩვენ კი ამ შემთხვევაში შეუწყნარებლათ მიგვაჩნია გადასვლა სომხურ წესიდან ლათინურზე, ვინაიდგან ახლო მომავალში უნდა გადაწყდეს **დიდი საკითხი ქართული წესის** შესახებ. ჩვენც რასაკვირველია ვიზიარებთ სტამბოლის ქართველთა „ძმობის“ აზრს, რომ **საქართველოში ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიებში შემოღებული იქნეს ქართული წესი და გაუქმებული როგორც სომხური, ისე ლათინურიც**.

დიახ! მხოლოდ ესეთი მოთხოვნილებაა ჩვენთვის საჭირო. ქართული წესი—აი რა გვჭირია და ჩვენც არ უნდა გავჩუმდეთ, სანამ არ მივაღწევთ დასახულ მიზანს.

მიუბრუნდეთ ისევ ეკლესიებს. წმ. ჯვრის ეკლესიის გალავანში საფლავების ზოგიერთ ქვებზე აქამდის არის შენახული ძველი ქართული წარწერები, მაგალითად ერთ ქვაზე ვკითხულობთ:

„დედებოთ ანტონას საყნოსელ ვარდი
პეტრე ყვავილისა სენით დავარდი
მსწრაფლ მის მეოხეთ უფალს მივბარდი“.

1819 ოქტ. 20

ეს ძეგლი წარმოადგენს ვერძს. ასეთივეა სხვა მრავალი ძეგლები 1805, 1808, 1822 და 1825 წლების.

იმავე ეკლესიის გალავანში კედელთან არის ერთი საფლავი 1796 წლისა, რომელზედაც ვკითხულობთ: „ქ. საფლავსა ამასა შინა მდებარე არის ქაჩხუანთ მა(წაშლილია)ას მეუღლე ელენე აღმომკითხველნო შენდობა ბრძანეთ. აღიწერა 1796 იანვრის 26-სა“.

ყველა ძეგლები წარწერებით მაჩვენებელია იმისი, რომ ამ ეკლესიის მრეველი ყოფილა და არის ქართველობა.

რაც შეეხება მეორე ეკლესიას წმ. იოანნე ნათლიმცემლისას, ეს ის ეკლესიაა, რომელზედაც ბროსსე ამბობს, რომ გაშენებულია 1298 წელშიო და ეს უძველესი ნაშთი ჩვენი კულტურისა—დიდებული ეკლესია, რომელსაც მტერმა ვერაფერი დააკლო, 1908 წელს საძირკვლიანათ დაანგრია მამა მიხეილ ვარძელაშვილმა და მის ადგილას გააშენა ახალი ეკლესია. ძველი ქვები ჩუქურთმიანი თუ სხვადასხვა წარწერებიანი დაამტკრევინა და ისე ჩააყოლებინა ახალ შენობაში. მაგალითად შიგ ყოფილა ქვები უძველეს დროისა (1711 წლისა და უფრო ძველი). როგორც გადმოგვცა მამა სერაბინ მერაბაშვილმა, აშენების დროს ბევრი ქვები ჩაუყოლებიათ საძირკველში. ერთზე შემდეგი წარწერა ყოფილა: „გაუმარჯოს მეფე გიორგის და სოლომონს“-ო.

ეკლესიის ეზოში, სხვათა შორის, გდია ორი ქვა ხუცურის წარწერებით. ერთი ქვა ოთხ-კუთხია და ზევით ამოჭრილია. სიგძით, სიგანით და სიმაღლით ეს ქვა ერთი ალაბია. ამ ქვის ერთ გვერდზე ამოჭრილია ჩუქურთმის ჯვარი, მეორე გვერდზე კი ხუცურათ შემდეგი წარწერა აქვს: „სახელითა ღვთისათა მეოხებითა წმიდისა ღვთისმშობლისათა მლმკლ (sic) ღვთის ე“... (შემდეგ აღარ ეტყობა).


მეორე ქვა სიგძით ორი ალაბია და სიგანით ნახევარი ალაბი. იმაზეც ხუცური, თითქმის ანალოგიური, წარწერა არის. როგორც გადმოგვცემენ, ეს ორივე ქვა გადმოტანილი უნდა იყოს მოღნისის ეკლესიის[19]) ნანგრევებიდან მღვდელ ივანე გვარამაძის მიერ.

ამას გარდა მამა სერაბინ მერაბაშვილმა მაჩვენა ძველი ხუცური სახარებები და დაბადება. ქართული ძველი წიგნები ამ ეკლესიაში (მღვდლის სადგომში) ძალიან ბევრი ყოფილა და სომხების უფროსს ტერ-აბრამიანს წაუღია მთელი ძველი წიგნები და ხელნაწერები

[19]) მოღნისის ეკლესია მდებარეობს ახალციხეში წყალ გაღმა და წარმოადგენს ორ ნანგრევს, რომელზედაც არავითარი წარწერა მოსჩანს.

ს. ასლ.

ახალციხიდან თბილისში, სადაც თავისი სამმართველო გადაიტანა. ხალხისაგან არავინ გახდომია წინააღმდეგი. მღვდელიც იქ არ ყოფი-



ძველი ხუცური წიგნები წმ. იოანნე ნათლიმცემლის ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიაში ქ. ახალციხეში.

ლა. ასე იკარგება ყოველივე სიძველე ქართველი ერისა და ჩვენ კი გაჩუმებული შევსცქერით მას.

ამ ეკლესიის შესახებ სხვა არაფერი ითქმის, რადგან თვით ეკლესიას, როგორც ახალ აშენებულს, ჩვენთვის არაფერი მნიშვნელობა არა აქვს; რაც სიმდიდრე ჰქონდა მას—გაჰქრა იგი და რაც დარჩა ეკლესიის სახლში, ისიც ვერ შეინახა იქაურ ხალხმა და ამდაგვარ დაგვეკარგა ზედი-ზედ ეს მშვენიერი სიმდიდრე ჩვენი კულტურისა.

ახალციხის ახლოს სულ ორი ვერსის მანძილზე არის სოფელი ივლიტა, რომელიც ძველ დროში განთქმული იყო თავისი სიმდიდრით. სულ ორი საუკუნის წინ იქაურ ეკლესიას ჰყოლია მრევლი 800 სული. ამას, საბუთების გარდა, გვიმტკიცებს დიდი სასაფლაო. სადაც ძლიერ ბევრი ქვებია ქართულ წარწერებით. ზოგიერთ მათგანს კიდევ აჩნია ეს წარწერები და აქ მოვიყვან იმ რამოდენიმე წარწერას, რომელიც ადვილათ გავარჩიეთ. მაგალითად:

1) ქ. საფლავსა ამასა შინა მდებარე არს ბერეკლე მარიობის 28 1799.

2) საფლავსა ამასა შინა მდებარე მახარობელი შენდობით მოიხსენიეთ 1743.

3) საფლავსა ამასა შინა მდებარე მახაროზელის მეუღლე ელისაფეთა შენდობით მოიხსენიეთ 1770.

4) ამ საფლავში მდებარე ყალაიჯი სტეფანას შვილი მარიამი ქ-სი 1770.

5) საფლავსა ამასა მდებარე შამირანათ გრიგოლა შენდობით მოიხსენიეთ ქ-სი 1760.

6) ქ. საფლავსა: ამასა: შინა: მდებარე: არს: ყაუხჩისა აეას მეუღლე შაზადაი: რომ: მიებარა: უფალს: 1766.

7) დარეჯან დედოფლად მოველ გორიდამ... და სხ.

არის ქვები 1768, 1771, 1781 წლ. და სხ.

ყველა ეს ქართული წარწერები გვიჩვენებს, რომ აქ ქართველები ცხოვრობდნენ.

ახლა კი შიგ ამ სოფელში ოთხი ოჯახია კათოლიკების და სამიც მაჰმადიანების. პატარა ეკლესია კი აქამდის კარგათ არის დაცული და ახალციხიდან ხშირათ მიდის მღვდელი საწირავათ (მრევლი ამ ეკლესიისა მოსახლეობს ახალციხეში).

ასე გაჰქრა ეს სოფელი ივლიტაც, რომელსაც ერთ დროს თავის მისიონი (კაფუცინები) ჰყავდა და თითქმის პირველი ადგილი ეჭირა ქართველ-კათოლიკეთა სხვა სოფლებთა შორის სამცხეში.

ამითი დავასრულებთ ჩვენს წერილს და ვიტყვით რომ სამცხე-საათაბაგო—ეს მშვენიერი კუთხე ჩვენი სამშობლოსი—არ უნდა გაჰქრეს, არამედ კვლავ აყვავდეს. ამისათვის საჭიროა რათა იქაურ ხალხმა პირველ ადგილზე გამოსწიოს ეროვნული მისწრაფება და განურჩეველათ სარწმუნოებისა (მართმადიდებლებმა, კათოლიკებმა და მაჰმადიანებმა) შეერთებულ ძალებით შეიტანოს ხალხში სწავლა-განათლება, რომელიც გააშუქებს ხალხის სიბნელეში თავის სხივებს და ისევ გაბრწყინდება ეს კეკლუცი კუნჭული ჩვენ სამშობლო—საქართველოსი.

სოსო ასლანიშვილი.

ქ. ადესა.

სტუდენტი ვ. ყიფიანი.

კახეთის გუნება.

(მგზავრის შთაბეჭდილებანი).

კახეთის ბუნება.

(მგზავრის შთაბეჭდილებანი).

ჰა ციე-გომბორიც! ავეისრულდა ის ნატვრა, რომელსაც ამდე-
ი ხანი შევყურებდით, ვიხილეთ ის, რის ნახვასაც დიდი ხნის გან-
ავლობაში შევნატროდით. ძირიდან მომხიბლველათ მოჩანდა ივი,
აზე ნაცრის ფერი ნისლის ქუდი დაეხურა. დილის სიო ხან ერთ
დგილას მოახევდა ამ ნაზ ქუდის ყურეს და ხან მეორე ადგილას.
ალიან გვწყინდა გომბორის მთის ასეთი გულცივი დახვედრა. ადრი-
ნათ მწვერვალისაკენ გზას გაუდექით. გრილოდა. ზეცა მოღრუბ-
ულიყო. ნისლი ტიროდა. ჩვენ საწვიმარები მოვისხით და ერთი
ეორეს დაღვრემილნი უკან მივდევდით.

რამდენიმე საათი და უკვე მწვერვალზე გავჩნდით. ნისლი იგი
ვლავ არემარეს არ შორდებოდა. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ გზა
ანვაგრძეთ...

მთის კალთაზე შევჩერდით. წვიმა გადაიღო. ღრუბლები მი-
ფანტ-მოიფანტა. ცოტა ხანი და ჩრდილოეთით რაღაც საკვირველი
კვლილება მოხდა. დედა-მიწას ბნელი ნისლი ნახევრათ მოშორდა და
აღლა აიწია. შორით რაღაც ბუნდოვანი სურათი გამოჩნდა. კიდევ
ცოტა ხანი—და შავი ფარდა ჩვენ თვალის წინ დადნა და სული მისი
აღლა ღრუბლებს შეუერთდა. ახლა კი მთელი სურათი გარკვეუ-
ნათ თვალწინ წარმოგვიდგა.

თვით სიზმარშიც კი არ მენახა ამნაირი რამ. შორს, შორს და
მავე დროს თითქოს ახლო ჩვენ წინ ალაზნის ველი მოჩანდა.
ურმუხტივით ამწვანებული მთა-გორა, ვერცხლის ფერათ ბრჭყვია-
ა ალაზანი და მისი ფართო ველი სულსა და გულს თავისკენ ან-
ამატივით იზიდავდა. ჩვენ წინ იქვე ხანდახან მთა ბარის წამლეკი
ა გამატიალებელი პატარა თურდო ალაზნისაკენ გველივით მიიკლაკ-

ნებოდა. შორს, ალაზანს გაღმა, კავკასიონის მთაგრეხილი მედიდურათ გამოიყურებოდა. ჩრდილოეთ-დასავლეთით მაღლა ზეცისთვის მოხუცებულ მყინვარს თავი მიებჯინა და მის კალთებზე მჯდომ ღრუბლებს ემუსაიფებოდა. მწვანე მანტია მოხურული მთა-გორები შორიდან მომხიბლველათ მოჩანდა...

—აჰა კახეთი! ალაზნის ველი! კავკასიონის მთაგრეხილი! ვიშ რა მშვენიერებაა! როგორი სილამაზეა უკვდავი ბუნებისა!.. ვუზიარებდით ცოტა ხნის შემდეგ ერთი მეორეს შთაბეჭდილებას, თითქო მარტო ჩვენ თვითეულს გვენახოს იგი და სხვას არა.

დიახ, ჩვენ წინ კახეთის საუკეთესო ნაწილი იყო. იქ, შორს, სადაც ძირს ალავერდის უზარმაზარი ტაძარი თეთრი კენჭივით გამოიყურებოდა...

დიდხანს, ძალიან დიდხანს შევცქეროდი ამ უკვდავ სურათს. მინდოდა რაც შეიძლებოდა უნაკლულოთ და ღრმათ ჩამებეჭდა ყოველივე ნახული ჩემს გულსა და გონებაში. თითქოს კიდეც მეშინოდა, რომ ეს საკვირველება უცებ თვალთაგან არ მომფარებოდა; წასვლის დროს ერთჯერ კიდევ თვალი მოვავლე ამ მომჯადოებელ არე მარეს, საჩქაროთ ჩემ ჩანთას ხელი ვსტაცე და ამხანაგებთან ერთათ თელავისაკენ აღფრთოვანებული სიმღერა სიმღერით გზას გაუდექი...

შეხედეთ კახეთის ბუნებას და მისი სიმშვენიერით დასტკბით; შეხედეთ ალაზანს, როგორ მიდუდუნობს, როგორ მიღელავს; მას მთელი ჩვენი ერის მწარე წარსული და ტრაღიზმით აღსავსე ისტორია თავის არსებაში ღრმათ ჩაუმარხავს, გულში ჩაუბეჭდია. ალაზანი ნაზია და მომხიბლველი—ვით დილის მზის სხივებით ყვავილის მკერდზე აბრჭყვიალებული ობოლი ცვარი და ხან კი მრისხანება—ვით ფაფარ აყრილი, აღბარგებული ზღვის ტალღა, წმინდა, ანკარა მის წყალში მოჩანს მაღალი ზეცა, ვარსკვლავებით მოჭედილი, შიგ ცურაობენ და ცეკვავენ მალხაზი თევზები. ხან პატარა, ნაკრის ფერი ბულბული შემოფრინდება ხოლმე მის კიდეზე მდგარ ჯაგის ტოტზე და ნაღვლიანათ დაუსტვენს, ხან გოგმანა მწყერი შეუგნებ-

ღათ ხმას ააყოლებს იმის ნაზ დუდუნს, ხან ცის უფსკრულიდან რისხანე არწივი თავზე დაყურებს, ხან კი ლაღი ირემი მის ანკარა ყალში თავს ილამაზებს; დიდებულია ალაზანი მაშინ, როდესაც ლორიდან, მაღალი მთის მწვერვალიდან თავზე დაცქერით; ამ ფარ-ოო ველზე იგი მწვანე კაბით შემკული, პატარძალივით მორთული, ან აქ გამოიხედავს სახე გაბრწყინვებული და ხან იქ, ასე გგონიათ ითქოს მიჯნური არემარის რცხვენია და თვალს ვერ უსწორებსო...

არასოდეს არ დამავიწყდება ის სასიამოვნო წამები, რომელიც ქ ერთ დღეს განვიცადე. საღამო ჟამი იყო. ციე-გომბორის მთის რთ კალთაზე ვიჯექი და ალაზნის ველს თავს დავყურებდი. ჩამა-ალმა მზემ ოქროს სხივებით უკანასკნელათ გადმოხედა კახეთს და აღალი მთის მწვერვალს მოეფარა; რამდენიმე ოცეულ ვერსის სიგ-ეზე გაჰიმული ალაზნის ველის კიდე შორს, შორს, იქ, ცის და-ავალს ჰორიზონტს უერთდებოდა. მთელ არე მარეში რაღაც ნა-ველიანი მდუმარება მეფობდა; დასავლეთი ჩასული მზის სხივებით აყაჩოსავით გაწითლებულიყო; სიცოცხლე თითქოს მოდუნებული-ო; მიდამოები მკვდარ მყუდროებას მოეცვა; მოწყენილი ხეები გა-უმებული იდგენ; ნაცრის ფერ აღმოსავლეთს უხილავმა ფრინველმა ავი ფრთები გადმოაფარა. ცის კაბადონზე ნელნელა ბრილიანტის ოკოები აღმოცენდა; ცოტა ხანს შემდეგ დაღესტნის მთებიდან ამო-კურდა გახურებული რკინის ბურთიც, რომლის მბჟუტავმა სხი-ებმაც ბნელით მოცული მიდამო ოდნავ გაანათა; გრილმა ნიავმა აზათ დაუბერა და მოდუნებული არე მარე გამოაფხიზლა, მან იდუ-ალი ჩურჩულით სურნელოვან ყვავილებს ამბორი უყო და მეგო-რულათ გულში ჩაეკრა. გამოცოცხლდა მიდამო; გამხიარულდა თა-ბარი; ნაზმა ბულბულმა ბუჩქნარიდან მშვენიერათ დაუსტვინა; ახლობელ გზის პირიდან ურმის ჭრიალი მოისმა; მეურმის სიცო-ხლით აღსავსე და ლაღი, თავისუფალი და მომჯადოებელი ხმა ელ მიდამოს მსწრაფლ მოეფინა. მეტის მეტი ძლიერებით მოქმე-ობდა ის ჩემს ყურსა და გრძნობაზე. რაღაც არაჩვეულებრივი იყო ა საღამო. ანდამატივით ხიბლავდა გულს ეს ფიქრთა და გრძნობათა

ამრევი ნახევრათ ზეციური ხმა. ბუნების სიმშვენიერემ დამათრო, მომაჯადოვა. თავი სადღაც ზღაპრულ, ოცნების ქვეყანაში მეგონა; არასოდეს არ მომწონებია ისე სიმღერა, არასოდეს არ აღუტაცებივარ ისე გალობას; უკიდურესათ გახარებული და აღფრთოვანებული მზათ ვიყავი ყველას, თვით მოსისხლე მტერსაც კი მეგობრულათ გადავხვეოდი და სიყვარულით მივგებებოდი; მინდოდა მთვარისათვის ამბორი მეძღვნა, მდუმარე ბუნებისათვის უკვდავების მომჯადოებელი ჰიმნი მემღერა; ატოკდა გული, ამღერდა გრძნობა; მსურდა თითქოს კიდეც მეტირა, მოძმეთათვის თავი გამეწირა; იმ წამში მზათ ვიყავ თვით ჯოჯოხეთის ალშიც გადავარდნილიყავი, ოღონდ კი ვინმე დამეხსნა; მსურდა ფასკუნჯის ფრთებით გავფრენილიყავი ამ მთის კალთიდან იმ მთის კალთაზე და ალაზნის ველი სულ ერთიან მსწრაფლ შემომევსო; მინდოდა მეც მეთქვა სიმღერა, სიმღერა ავთანდილისებური, ჯადოსნური; მჭონოდა ზეკვეყნიური ხმა ორფეუსისა, რათა მომეხიბლა და მომეჯადოებია ჯოჯოხეთი და სამოთხე, ცა და ხმელეთი, რათა სევდიანი მიწა ნამით მაინც დამეტკბო და ცრემლის ზღვა ღრუბლათ დამეწვა...

სიმღერა კვლავ გძელდებოდა: ხმა თანდათან გარკვეულათ, მომხიბლველათ ისმოდა, მაგრამ იგი ნელ-ნელა რაღაც ნაღვლიანი ხთებოდა. ჯერ გული ხარობდა, აღტაცებაში მოდიოდა, მერე კი ამ სიმღერამ თანდათან ჩამაფიქრა, დამანაღვლიანა. აღარ ჩანდა შიგ თავისუფალი ხმა; ახლა რაღაც მწუხრული, სევდიანი და გამოურკვეველი რამ იყო მასში. მომეჩვენა—თითქოს ამ ხმაში მთელი კახელი ერის მწუხარება და სევდა ისახებოდა; გამახსენდა სპარსული გალობა, რომელიც სადღაც სარდაფიდან ქუჩაში გამეგონა და იმ სიმღერასა და ამას შუა რაღაც მსგავსება ვიპოვე; წარმომიდგა მაშინ ნათლათ მთელი ჩვენი წარსული ცხოვრება—ჩვენი ისტორია, დიდი დავითი, მრისხანე შაჰ-აბაზი, ერეკლე მეორე და სხვანი; თვალწინ დამიდგა მაშინ მთელი საქართველო, კახელი ერი...

შავმა ფიქრებმა შორს წამიღო, დიდზე გამიტაცა. მომაგონდა კახეთის ძველი სიძლიერე და ჰირ-ვარამი, შევადარე მისი ძველი

მდგომარეობა ახლანდელს და ვიპოვე იგი რაც არის და რაც უნდა მენახა...

კარგა ხანს შემდეგ გამოვერკვი, ზე წამოვდექი. შუქმიბნედილი, მბეჟუტავი მთვარე ცის კაბადონზე ყელმოღერებული გედივით მიექანებოდა; თუმცა ვარსკვლავები ფერხულს უვლიდენ, მაგრამ ნაღვლიან არე მარეს უკვე ღრმათ ჩასძინებოდა. ფიქრებისაგან კვლავ გარემოცული ნელი ნაბიჯით მოვშორდი ამ ადგილს და შინისაკენ გზას გავუდექი...

გათენდა დილა. ალაზნის ველს უნდა გამოვთხოვებოდი. როგორი მომხიბლველი და მომჯადოებელი გამხდარიყო ახლა ეს ბუნება, ეს არე მარე. საზღვარზე ვიდექი. სამხრეთით შორს თვალ უწვდენელი ყარაიასის მინდვრები და უხეო ადგილები მოჩანდა, ჩრდილოეთ დასავლეთი კი დიდებულათ მორთულიყო. იქ სიცოცხლე დუღდა, ღელავდა; ნაზი ბუნება ადამიანს თავისკენ იზიდავდა...

დილის მზის ოქროსფერმა სხივებმა დაღესტნის მთის მწვერვალიდან ამოანათა და მოდუდუნე ალაზნის ზვირთებს შეუთამაშა. მოწმენდილი, მტრედის ფერი, ზეცა, ფირუზის თაღით შეკრული, ალაზნის ველს თავს დასცქეროდა. მწვანით შემკული მთების კალთები ერთი მეორეს სალამს უძღვნიდენ. დასავლეთით ამაყათ ამართულიყო მოხუცებული მყინვარი და პირმომცინარე შუბლ გაბრწყინვებული გომბორის კალთებს მამობრივათ ელიმებოდა; ქვევით მოჩანდა მთის კალთებზე მიფენილი ლამაზი სოფლები, ჯახრაკივით მიხვეულ-მოხვეული გზები და მწვანე ყანებით დამშვენებული ბარი; ფრინველთა ჟივილ-ხივილი და სტვენა-გალობა არე მარეს ეფინებოდა. ბუნების სიდიადეს ერთად თავი მოეყარა და ლხენა-იმედის ხმები ისმოდა...

რამდენიმე წამით დამავიწყდა ჩვენი მწარე, უსიამოვნო ცხოვრება და დაკნინება, დროით უკუვაგდე ყოველივე უბედურების მოგონებანი და თვით ამ ქვეყნის მცხოვრებთა გაჭირებული მდგომარეობა, აღფრთოვანებამ აღმიტაცა და ამ უკვდავ ბუნებას ოდა ვუძღვენი. არ მახსოვს როგორი იყო ოდა იგი, ვიცი მხოლოდ, რომ ამ მშვენიერებისადმი უდიდეს ქებას გამოხატავდა...

აღელვებულმა უკანასკნელათ თვალი მოვავლე ჯადო მიდამოს და ნაღვლიანი, თავჩაღუნული, მალე მოვშორდი, გამოვეთხოვე...

„და არის ენა რამ საიდუმლო უასაკოთა და უსულოთ შორის და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათი საუბრისო,“ ამბობდა სულის მესაიდუმლე ჩვენი პოეტი. დიახ, ბ-ბო ენა იგი არსებობს და ესმის მას, ვინაც რომ ბუნებას იცნობს, ვინც მასთან არის დაახლოვებული. ბუნებაში ხედავს ტანჯული თავის დარდებისა და მწარე ფიქრების მოზიარეს, თავის მანუგეშებელს. ბუნებაში ხედავს ხელოვანი სილამაზეს და ამ ქვეყნიურ უდიდეს მშვენიერებას. მასში იპოვით ნაღველსა და ნექტარს, სიტურფეს და სიმახინჯეს, იგი წყაროა ყველაფრისა, იგი დასაწყისია სიკოკლისა...

აბა თვალი გადაავლეთ ჩვენს ქვეყანას და ნახავთ თუ როგორი მომხიბლველი და თვალწარმტაცია იგი. აქ მთა და ველი ხარობს, ილხენს, ნეტარობს და ყოველივეს ხიბლავს თავის სიმშვენიერით. ვინ იცის თუ რამდენი სისხლი დაუღვრიათ აზიის მეფეთ ტურფა კავკასიის ხელში ჩასაგდებათ. ძველ ელლინთა სანატრელი, ზღაპრული ქვეყანა ხშირათ ჩვენი სამშობლო იყო. მათი სული და გული მრავალჯერ კოლხიდისაკენ მოისწრაფოდა; სურდათ გაეგოთ, თუ ვინ იყო ბატონ-პატრონნი იმ მარად მწვანე, დაბურულ ტყეებით შემოსილი, ადგილების, რომლის სიმშვენიერესაც ისინი პონტის ზღვის გიჟმაჟ ტალღებში მოცურვენი შორს ვასკეროდენ; მარად აცვიფრებდა მათ მუდამ თოვლითა და ყინულით დაფარული მაღალი მთები, რომლებიც ქვეყანას უძილარ გუშაგათ თავს დასდგომიან და სადაც დიდმა ზევსმა პრომეთეოსი მიაჯაჭვა. ყველას ხიბლავდა თავისი სიტურფით ის მხარე, სადაც ცხოვრობდენ კეკლუცნი ბანოვანნი და შეუდრეკელნი ვაჟკაცნი, სადაც მთა-ბარი თითქმის მუდამ ყვაოდა და ყვავის და სადაც ჩქარი მდინარეები ერს იმედის სიმღერას უგალობენ...

კახეთიც ამ ქვეყნის ერთ უმშვენიერეს კუთხეს წარმოადგენს. ჩვენი ბუნების სიტურფეს იქ თავი მოუყრია და ათასფრათ შეუმკია იგი.

ვიშ, კახეთო, რა ლაღი ხარ, რა ნაზი და რა წარმტაცი!
ქვეყანაზე ვერ იპოვის შენზე ტურფა მხარეს კაცი;

თვალს ხიბლავს და გულს იტაცებს შენი ველი, შენი მთები,
თვით სატანას აჯადოვებ, როცა მწვანეთ მოირთვები;
ალაზანი გულ-მკერდს გირწყავს, ცივ-გომბორი თავს დაგყურებს,
მთის ნიავი დაგჩურჩულებს, დილის ნისლი ნამს გაპკურებს,
მზის სხივები ყელს გეხვევა, ბადრი მთვარე გიალერსებს,
მერცხალთ გუნდი დაგჭიკჭიკებს და ბულბული გითხზავს ლექსებს...
ყველა გეტრფის... შენ კი სტირი... სთქვი რათ აფრქვევ ცრემლს მდუღარეს?!
რათ გიყურებ სევდით სავსეს ნაღვლიანსა და მდუმარეს!?
რა გაშინებს? მწარე ხვედრი და ოხერი მძიმე ხუნდი?
თუ ცხოვრება ტანჯვით სავსე და შავბნელი ავსულთ გუნდი?!..
კმარა, კმარა, ჩემო ტურფავ, ნუღარ სტირი, გევედრები;
გეფიცები თავს შეგწირავ, თვით ჰერკულესს შევედრები;
ბორკილს დავლეწ, ავსულთ მოვსპობ, შვებას მოვგვრი სულს დაბნედილს,
მთა-ველ-მინდვრებს ავამღერებ დღეს ნაღვლიანს, ხმა გაკმენდილს,
ოღონდ ერთხელ დამენახვე ისე ლაღი ვით არწივი,
ოღონდ ერთხელ—და მერე თუნდ გულს დამაწვეს მიწა ცივი...

ვანო ყიფიანი.

ქ. პეტერბურგი.

მხატვარი და მპოეტველი ქართულ პოეზიაში.

(გამუღავნებული ფიქრები).

მხატვარი და მკითხველი ქართულ პოეზიაში.

(გამეღავნებული ფიქრები).

„Но не умрет живая пѣснь твоя.
Во всѣх вѣках и поколѣньях будут
Ей отвѣчать возвышенныя души“.

ვ. ჟუკოვსკი—„კამოენსი“.

ხელოვნება— ახალგაზდა მეცნიერებაა. მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში შემოაძარცვეს მას მისტიური სამოსელი. ამაყ არნასელებს „ქალწული“ პოეზიის „უმანკო„ სხეული ჰაეროვან ვარცხლბეკზე დაესვენებიათ. მოკრძალებით შესცქეროდენ მას, ხიარული ღიღინით გუნდრუკს უკმევდენ. ეშინოდათ—მიწის შვილს ხელანჩი სიტყვით არ შეებღალა მუსიკალური სილამაზე. მაგრამ ცივმა ონებამ მეყსეულად შეანელა მთვრალ პოეტთა გახურებული თავი: ფეთქა მეცნიერულ ნიადაგზე დამყნილ ლაღ ფანტაზიის კოკორმა, ჯამწიფდა მომხიბლავი სინტეზი... „უმანკო“ პოეზიის ციურ სამოელს სარჩულათ „მოუხეშავი“ მეცნიერება დაეწება. ახირებული და ანებივრებული დია-ღმერთი ამიერიდან მეცნიერების ბადეში მოამყვდიეს: პოეზია სოციოლოგიურ კანონებს დაემორჩილა.

ბევრი დიდი თავი და ღრმა გული დღესაც მისტიურს ეძებს ოეზიაში. ასეთი მისტიკოსია, მაგალითად, რუსეთის ცნობილი მწეიალი **დ. მერეჟკოვსკი**. მაგრამ ბევრი დიდი თავი და ღრმა გული ხოლოდ სინამდვილეში ეძებს „ლოღიკურ დისკოპლინით“ გაჭედილს ფსიქოლოგიურ თავისუფლებას“. მზგავსი რეალისტია ცნობილი ციოლოგი **პოტებნია**.

თვალწარმტაცია ბრძოლა მისტიკოსსა და რეალისტს შორის: ისტიკოსის ლამაზი პოზა ამაგრებს რეალისტის გონიერ პოზიციას, ეალისტის გონიერი პოზიცია ართულებს პოზას მისტიკოსისას. ვინ

გაიმარჯვებს? ვინ „შეთხზავს“ ახალ სიტყვას, ვინ გადებს მტკიცე სულიერ ხიდს სოფლად, თუ ორივ მეომარი სინამდვილის კალთაში ისმენდა ნათელ მუსიკას? ცხადია, ის, ვინც უკეთ **„იხილოს“**[1]), რაიცა ესმას...

ჩვენს მკრთალ ნაწყვეტებში სიტყვიერი პოეზიის ზოგიერთ ფსიქოლოგიურ მხარეს შევეხებით. თუ ხელოვნება სოციოლოგიური მოვლენაა (**ი. ტენი, მ. გიუიო, ე. გროსე** და სხვ.), სიტყვიერი პოეზიის სტიმულიც სინამდვილეში უნდა ვეძიოთ. პოეზია, საზოგადოთ, და სიტყვიერი პოეზია, კერძოთ, ორ ავტორს გულისხმობს: აქტიურს **(პუშკინი, ჩაიკოვსკი, შიშკინი)**... და შედარებით-პასიურს (ყოველი მკითხველი, ყოველი მსმენელი, ყოველი მომზირალი). ერთად ქმნიან მხატვარი და მკითხველი პოეზიას. და თუ ხელოვანი ზეაღტყინებას არ ყიდის, სამაგიეროთ გულს უხსნის მკითხველ მეგობარს. მოიგონეთ პუშკინის მნიშვნელოვანი სიტყვები: „не продается вдохновенье“ და მისივე, ჟუკოვსკისადმი მიძღვნილი: „Ты прав, творишь ты **для немногих**[2])... для друзей таланта строгих, священной истины друзей“. მკითხველს იქით შემოქმედება მკვდარია. მხატვარი-ხელოვანი ცოცხლობს მანამ, სანამ სიტყვა მისი „შესაწყნარია“—შესათვისები. ცოცხალია ქუჩური ლირიკა, თუ ის ბრბოს ატკბობს და აწყნარებს. მაგრამ თუ იგივე ბრბო **ჰეინეს, პუშკინის, აკაკის** პოეზიაში შეიპარა და თავისი საზდო გამოსწუწნა, ჰეინე, პუშკინი, აკაკი „უდანაშაულო დამნაშავენი“ იქნებიან: ბრბომ თვით გაიტაცა მათი ძვირფასი მარგალიტები—და ტალახში დააბნია. ბრბო ავტორი შეიქნა მათი ლირიკის.

ხელოვანის სურათს ვულგარული თვალი ვერ შებღალავს, თუ მას მეგობარი აღმოუჩნდა. მაგრამ თუ ჯეროვანათ ვერ მიუწყეს, სევდის შხამი ჩაეწვეთება გულში ხელოვანს. აი, წმინდა-ფსიქოლოგიური მიზეზი პოეტური პესიმიზმისა. მისტიკა ზემიზეზს დარაჯობს...

---

[1]) „იხილეთ, რაჲ ესე გესმის“ (მარკ. სახ.).

[2]) კურსივი პუშკინისაა.

ბარათაშვილის ნაღველი საქართველოს წყლულებში უნდა ვეძიოთ (მიზეზი სოციალურ-პოლიტიკური), ბარათაშვილის სევდის **გაღრმავება** მის სულით ობლობას უნდა მივაწეროთ (მიზეზი ფსიქოლოგიური).

გაკვრითა და ზოგადი მოსაზრებებით მსურს დავამტკიცო, რომ ქართულ პოეზიაში ლირიკოსებისა და მხატვრების პოტენციალური ძალა ჯერ კიდევ მიყრუებულია, რომ ცოცხალი, მაგრამ მტვერწაყრილი ხატები „შემწუნარებელს“ თხოულობს და რომ მხოლოდ პომავალი მკითხველი თუ შესძლებს-—გული გადაუხსნას ჩვენი პოეზიის ქურუმებს, ნახოს და **იხილოს** იქ ანთებული ლამპარი, მეტყველი ფრიად და გაუქრობელი.

I.

პირველად ყოვლისა კითხვის პროცესისა და მხატვრული ქმნის პროცესის ფსიქოლოგიური ნათესაობა გავითვალისწინოთ. მზგავსება ჰათ შორის ანალოგიურია და არა ადეკვატური, ისე, როგორც, **პროფ. ოვსიანიკო-კულიკოვსკის** განმარტებით, „შემოქმედებისა და შეთვისების (пониманія) პროცესი ანალოგიურია, და არა ადეკვატური“. მხატვრის შემოქმედება მკითხველის შემოქმედების სინონიჰათ არაოდეს არ მიიჩნევა. პირველი უფრო ინტენსიურია, უფრო ქტიური, მეორე უფრო სუსტი, უფრო პასიური. მაგრამ ორივე როცესის გზა ფსიქოლოგიურათ ერთი და იგივეა. და მკითხველი ერ გაიგებს მხატვარს არა მარტო მაშინ, როცა ის არ სარგებლობს ხატვრის მეთოდით,*) არამედ უფრო კიდევ მაშინ, როცა მისთვის

*) სწორეთ ეს აღნიშნა პროფ. ოვს.-კულიკოვსკიმ თავის ლექციებში: Основы художественнаго творчества“-ში. მხატვრის მეთოდი, მისი აზრით, ირგვარია: ა) ინდუქტიური („მხატვრული ინდუქცია“): ჯერ ინდივიდუალური ატი, მერე ტიპი, მერე იდეა (ასეთი მეთოდითაა დაწერილი, მაგ., ტურგენევის ომანები) და ბ) სიმბოლიური: ჯერ იდეა, შემდეგ ხატი (ასეთი მეთოდითაა აწერილი, მაგ., „ფაუსტი“-ს მეორე ნაწილი). მხატვრის „გასაგებათ“ საჭიროა ავიგოთ მისი მეთოდი.

სრულიად უცხოა საზოგადოთ შემოქმედების ძირითადი მამხილებელი თვისებანი: თავისი გადმოშლის წყურვილი, შესაფერისი **სიტყვის** ძებნა, წრფელი სინტეზი და ეგე ვითარნი.

როცა საქმე მხატვარს ეხება, არაა ძნელი იმის დამტკიცება, რომ შემოქმედება პირველ ყოვლისა შემოქმედისათვის არსებობს, რომ პოეტური ქმნა არსებითად სუბიექტიურია. აქ ადვილათ დავიმოწმებთ როგორც მეცნიერულ კრიტიკას (პოტებნიას, ოვს.-კულიკოვსკის...), აგრეთვე თვითონ პოეტებსაც. შემოქმედების პირველი მომენტი შეიძლება **ფეტის** სიტყვებით დავახასიათოთ:

„თვითონ არ ვიცი, რას ვიმღერ, მაგრამ
სიმღერა სულში უკვე მწიფდება“ *).

იწყება სულიერი ბორგვა, ზრუნვა, ტკბილი წუხილი—და მხოლოდ მაშინ დაცხრება მხატვარი, როცა შესაფერისი სიტყვა უკვე მოინახა, როცა წრფელათ გადმოიშალა შინა-ქვეყანაში „დანაყბედი“ ზრახვანი, როცა გამოჩნდა დაკარგული პოეტი... ასე ეფიქრობ—**ოსკარ უაილდის** პათეტიური სტრიქონები **ფორმის** შესახებ აღნიშნული—მოვლენის დადასტურება, ამეტი არაფერი. „დიახ, ფორმა ყველაფერია—ამბობს უაილდი თავისი გმირის პირით—იგი საიდუმლოა ცხოვრების. მოუნახეთ სევდას შესაფერისი გამოთქმა—და თქვენ შეგიყვარდებათ იგი. მოუნახეთ შვებას შესაფერისი სიტყვა—და გაძლიერდება აღფრთოვანება მისი“. საიდუმლო აქ არაფერია. „დანაყბედი“ ზრახვა ალბათ მიბნედილი იყო, ბურუსიანი. როცა გავანათლეთ, გამოვყავით, „მოვუნახეთ შესაფერისი გამოთქმა“—გავთავისუფლდით ბურუსისაგან, ნეტარებას განვიცდით. საზოგადოთ, ფორმა წარმოუდგენელია უშინაარსოთ. შინაარსი ფორმით იბადება, მასთან იზდება, მასთან ცოცხლობს. და თუ ძებნა, წუხილი მოისპო მხატვრულ პროცესში (ფართო მნიშვნელობით), ხელთ შეგვრჩება ფორმა, როგორც ილიუსტრაცია. მოკვდება პოეზია—დაიწყება პროზა.

---

*) „Не знаю сам, что буду пѣть,
Но пѣснь в душѣ уж зрѣет“.

ამიტომ იტყვიან—**არსებითად** ყოველი პოეტური ნაწარმოები სუბიექტიურიაო. იგივე ასეც შეიძლება ითქვას: მხატვარი ქმნის თავისთვის, რომ მით საზოგადოებრივი წყურვილი მოიკლას...

პირველი შეხედვით პარადოქსი გვგონია—მკითხველის შესახებ როცა ამასვე ვამბობთ. მკითხველი და ძებნა! მკითხველი და ფორმა-შინაარსის წრფელი სინტეზი! სად გაგონილა! ეს ხომ ერთგვარი თეატრალური ჟესტია—მეტი არაფერი!—მაგრამ საკმაოა მკითხველათ ვიგულისხმოთ არა „чтец“-ი, არა forleser-ი, არამედ „სიტყვის შემწყნარებელი“, „მხილავი“, რომ ასეთი ეჭვები მყისვე გაქრეს.

თანამედროვე შკოლა—თანამედროვე ცხოვრების მინიატიურა ჯალათად მოვლენია ქორფა თავებს. აქ „მოთხრობითი კილო“-ს მაგიერ „ბძანებითი“ გაისმის. მოუწყობელი ოჯახის მიერ ნაღრძობ პიროვნებას „მეცნიერების ტაძარი“ მთლად ასაჭურისებს. არავინ დაგიდევს მოწაფის პირად მოთხოვნილება-წყურვილს. წიგნით აჭკნობენ მის ფხიზელ გრძნობებს, ახლათ აფეთქილ აზრებს, სუსტსა და გაურკვეველს. უბძანეს კითხვა წიგნისა—და ისიც კითხულობს. თუ „პატივმოყვარე ტიპია“*), საჯაროთ გამოიტანს თავის მწიგნობრობას. უთუოდ იცნობთ ასეთ „მწიგნობარს“: სამკითხველოში ხშირათ დადის; ხელებწაკაპიწებული ფურცლავს გაზეთებს, ჟურნალებს, სქელტანიან წიგნებს. და დიდი შეცთომაა—**გოგოლის** უკვდავ პეტრუშკას რომ საზოგადოთ უშინაარსო მკითხველებს ადარებენ. პეტრუშკა კითხვის პროცესით ტკბება, მის პატარა სულს კითხვის მუსიკალურ რიტმიული მხარე სავსებით აკმაყოფილებს. პეტრუშკა, თუ გნებავთ, ესთეტიკოსიცაა, თავისუფალი, დამოუკიდებელი. ახლა დაუკვირდით ჩვენს მკითხველს: ის ან მთლათ ანგარების განხორციელებაა, ან ყურმოჭრილი მონა სხვისი აზრების. კითხულობს ან იმიტომ, რომ ქება დაიმსახუროს, ან იმიტომ, რომ... არ შეიძლება, ყველა კითხულობს. ტრაგიულია მზგავსი მოვლენა. „ეს მო-

---

*) იხ. პ. ლესგაფტის „Сем. воспит. ребенка и его значеніе. Школьные типы“ და სხვ.

კლავს მას“, წიგნი მოკლავს პიროვნებას, თუ პიროვნებამ არ გაიმაგრა საკუთარი პოზიცია. „ცხოვრების მიზანი—თვითგანვითარებაა, ყოველი ჩვენგანი ცხოვრობს იმად, რომ მთლიანათ გაშალოს თავისი არსება“ („დორ. გრეის პორტრ.“)—და როცა ადამიანი ივიწყებს ამ მიზანს, ის საცოდავ სტატისტათა ხთება. საკუთარ ზრახვათა გამჟღავნების წყურვილი ამხელს ადამიანში პიროვნებას. თუ რაიმე საკითხი გვაწუხებს და პასუხი გვსურს მოვუნახოთ, ბორგვა, დრტვინვა, ღელვა, რომელსაც ამ დროს განვიცდით—ნათელყოფს ჩვენს სულიერ თავისუფლებას. სუსტი და ძარღვჩაწყვეტილი იყოს საკუთარი პასუხი—საკმაოა იგი: ჩვენ უკვე მოვნახეთ ჩვენი სპეციფიური წონა („удѣльный вѣсъ“)— და კითხვის ყოველმხრივ გასაშუქებლათ ზნეობრივი უფლებაც გვექნება მივმართოთ, ვისაც ჯერ არს. აი, აქაა საჭირო წიგნი (ცოცხალი, თუ ბეჭდური—სულ ერთია). კვლავ პასუხს ვეძებ ჩემს მიერ ოდნავ განათებული კითხვისას, კვლავ ვნეტარებ იმდენათ, რამდენათაც ვაკმაყოფილებ ჩემს ნდომასა და სურვილს. **მე ჩემსას ვეძებ სხვისაში**—აი, აქაა ჩემი შემოქმედება. ასეთი შემოქმედება განსაკუთრებით ხელოვნებისთვისაა დიდმნიშვნელოვანი, რადგანაც ადამიანის სულის ბნელ კუნჭულთა გაშუქება ხელოვნების მონოპოლიას შეადგენს. როგორი ცივი იქნება პოეტის ბაასი მკითხველთან, თუ უკანასკნელი არაფერს ითხოვს მისგან, თუ არ განიცდის იგი ქმნის წამებას, თუ არ თხზავს საკუთარ სიტყვას, თუ არ იწვის ცეცხლით აქტიური სიყვარულისა! მკითხველს უნდა უყვარდეს მხატვარი, დროებით უნდა „ერთი წიგნის კაცი“ (homo unius libri) გახდეს იგი—და მხოლოდ მაშინ გაიდება მომხიბლავი ხიდი ორ გულს შორის, მაშინ დაიწყება პოეტური შემოქმედების ჭეშმარიტი დღესასწაული. მკითხველი-შემოქმედი ამეტყველებს მხატვარ-შემოქმედს. ისეთი მკითხველი, რომელიც თავის „სულში ამწიფებს“ პოეტის მიერ განაყოფიერებულსა და ნაზათ გადმობნეულ ზრახვებს. ამან გვათქმევია ზევით, რომ მკითხველი ვერ გაიგებს მხატვარს, თუ უცხოა მისთვის შემოქმედების მთავარი მამხილებელი თვისებანი. აქედან აშკარა დასკვნა: **მხატვრული შემოქმედების პროცესი და**

იდეალური კითხვა—ანალოგიურათ სწარმოებს. თუ არაა მზგავსი ანალოგია, მაშინ ან 1) იბღალება მხატვრული ნაწარმოები, რადგან ვერ აღვიძებს მკითხველის სულს და ან 2) ირყვნება, მახინჯდება მკითხველი, რადგან იპარავს და ვერ ინელებს სხვის მიერ გამზადებულ სინტეზს.

მეტი შეიძლება ითქვას. როგორც დიადი მხატვრული ნაწარმოები აგანიერებს, აღრმავებს იდეალური მკითხველის აზროვნებას, ისე, წინააღმდეგ, იდეალური მკითხველის სული-რეზონატორი აღრმავებს პოეტური ნაწარმოების მნიშვნელობას. ამას არავინ უარყოფს ხელოვნების მეცნიერებაში. ლამაზათ აღნიშნა მკითხველის მზგავსი როლი ოსკარ უაილდმაც.

მხოლოდ მკითხველის შემწეობით ცოცხლობს პოეტური ნაწარმოები. პუშკინი მართლა „გადმოსროლილი“ იქნებოდა თანამედროვე ცხოვრების გემიდან, რომ მისი მკითხველი ბურლიუკები ყოფილიყვენ[1]) და არა **ბელინსკი, დოსტოევსკი** (იხ. მისი სიტყვა პუშკინის შესახებ), ჩვენს დროს—ოვსიანიკო-კულიკოვსკი, მერეჟკოვსკი, და ბევრი სხვა. ქართულ პოეზიაში მაცოცხლებელი ჰველი **ილიამ** ჩააქცია: დარბაისელი მხატვარი—დარბაისელი მკითხველიც იყო...

მაგრამ როცა შემოქმედ-მხატვარს შემოქმედი-მკითხველი არ გააჩნია, შავი სევდა აკვნესდება მზიურ ქნარზე. ვინ იცის—შეიძლება **მეტერლინკის** დუმილი, **ტიუტჩევის** „silentium“-ი (გაიხსენეთ ფხიანი სტრიქონი: „мысль изреченная есть ложь“), ა. წ. „მდუმარეთა სექტის“ არსებობა და ეგე ვითარნი **ერთი მხრით** მზგავსი „სულის ობლობითაც“ იხსნებოდეს. თვით გენიალური „ყბედი“, მუდამ მოუსვენარი, მუდამ „მდრტვინავი ბესარიონი“[2]), საზოგადო-

[1]) ა. წ. ფუტურისტების თეორეთიკოსმა, **დავით ბურლიუკმა,** ერთ თავის ლექციაზე „წესი აუგო“ პუშკინს. აი მისი „ენის“ ნიმუშები: „Пушкин—мозоль русской души, нарицательное имя для всего посредственнаго, примитив, этап поэтическаго творчества“... და რადგანაც „не влился в наши души“, „сбросим его с парохода современности“.

[2]) ბელინსკის ეპიტეტი იყო „Неистовый Виссаріон“.

ების გული და ძარღვი ხშირათ მიუნდომელი იყო ჩვეულებრივი მკითხველისათვის და საუკეთესო რაინდულ სისხლს მხოლოდ ინტიმურ წერილებში აქცევდა.

ცხადია, მხატვრული ნაწარმოების საწყაული თავისუფალ მკითხველს უნდა მიენდოს—და მაშინ ვერავითარი მიმბაძველობა, ვერავითარი ანგარება ვერ შესვრის წრფელათ განზრახულსა და წრფელათ გამოთქმულ პოეტურ ხატს.

ტკბილათ შემაძრწუნებელია უკანასკნელი სცენა ჟუკოვსკის „კამოენსი“-სა: სამშობლო-პორტუგალიისაგან დევნილი, „მისთვის ცრემლშეუშრობელი“ მგოსანი, მათხოვრის ძონძებში მიგდებულა საავათმყოფოს საწოლზე და უპატრონოთ სულს ღაფავს. ნათრევი, გალანძღული, ყველასაგან მივიწყებული და სასოწარკვეთილი პოეტი შემთხვევით ეცნობა ჰაბუკ ვასკოს. პოეტის ქნარით მოწყვეტილი ნათელი ხმები უხილავათ ჩაბნეულა კეთილ გულში. და კამოენსი ღიმილით ეგებება სიკვდილს, როცა მისი გენიის ნატეხით გაპოეტებული ვასკო მგზნებარე სიტყვებით უმტკიცებს ხელოვნების ქურუმს გულწრფელ სიყვარულს. მეგობარი აღმოუჩნდა კამოენსს. ცვალები აეხილა. ვასკომ თვით აღანთო პოეტის გულში ოდნავ მბჟუტავი, თითქმის ჩამქრალი წმინდა ლამპარი.

ასეთია, საზოგადოთ, მხატვრისა და მკითხველის ურთიერთობა პოეზიაში. ვისარგებლოთ აღნიშნული მოსაზრებებით—და თვალი გადავავლოთ ქართულ პოეზიას.

II.

სამწუხაროა, ჩვენი კრიტიკა რომ თანამედროვე ლიტერატურას ვერ გაშორებია—და სრულიად არ ცდილობს გონებით მაინც ამოავსოს ის ღრმა უფსკრული, რომელიც ხელოვნურათ (искусственно) გახხრილა წარსულსა და აწმყოს შორის. ერის კულტურული წინსვლა კი სწორეთ მაშინაა შესაძლო, როცა წარსულში დამზადებული ნაყოფი უაზროთ კი არ ითელება, არამედ ითვისება და ინელება.

ესაა ძალთა ეკონომიზაცია—კაცობრიობის ევოლიუციის ქვაკუთხედი. ქართველის ტრაგიულმა მდგომარეობამ უთუოდ უნდა დაბადოს იმის შეგნება, რომ მსოფლიურ ფერხულში ჩაბმა **სულის გამთელებას თხოულობს**. დღეს მხოლოდ გულუბრყვილო და უნიადაგო პატრიოტი თუ მოინდომებს ქართველის „უმანკოთ“ შენახვას. ღრმა სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებანი ერისათვის გარდაუვალია. არა, ასეთი უმანკოება დროა გამოიტიროს მან, ვისი ფიქრითაც, „დიდება ივერიისა მასთან (ირაკლისთან) მარხია სამარეს“. ჩვენ სხვაგვარი სულიერი სიმთელე გვალაპარაკებს. შედარებით, დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც თითქო ერთი დაკვრით ჩამოჰრეს ქართველს ნახევარი გული—წარსული კულტურა. აუტანელი იყო ტლანქი დოსტაქრის დანა—მთელი ორგანიზმი გაიხრწნა ასეთი ოპერაციისაგან. ჩვენ ვერ მოვასწარით წარსულის მონელება. ჩვენ დაგვარღვევიეს საერთო სოციალური კანონი—უარგვაყოფიეს ნამყოს სიბრძნე („**накопленный опыт**“)—და, თუ ვგრძნობთ ამის მწარე შედეგს, უნდა მოვნახოთ საჭირო მკურნალი.

ხელოვნების მეცნიერებამ გვიჩვენა, რომ აზრის ეკონომიზაცია გოლიათური ნაბიჯით მიიწევს წინ პოეზიაში. ჰეშმარიტი მხატვრული ტიპი—აზრთა, ფიქრთა, გრძნობათა მორგვია; ავგაროზათ ვატარებთ მას ჩვენს სულში. ჰამლეტი, დონ-კიხოტი, ფაუსტი—ჩვენი სულის ისტორიაა. რამდენიმე სურათი—და მთელი კაცობრიობა თვალწინ იშლება. ყოველი დიდი მხატვარი—დიდი ფიქრთა აუზია. ქართველთა სულის ისტორიაც ქართულ პოეზიაში უნდა ვეძიოთ. ჩვენ მხოლოდ სახელები ვიცით ჩვენი „ისტორიკოსების“: მათი პოეტური სიტყვა, მათი ლირიული ღიღინი, მათი წრფელი ემოციები ჩვენთვის მკვდარია. რა ძლიერათ აჟღერდებოდა ჩვენი თანამედროვე მგოსნის ქნარი, რომ მოენახა მას ეგ დაკარგული მემკვიდრეობა! რა სიამოვნებით მოისმენდა ახალი მკითხველი მიყრუებული მუსიკის გახმაურებას! დღეს კი ცივია საერთოდ ქართული პოეზია. დაუხვეწელი ხმით გვამცნობს იგი თავის არსებობას. არ იცის—რა სთქვას, არ იცის—

როგორ სთქვას. პოეტების კარიკატურული გამრავლებაც*) ამის ნათელი დამამტკიცებელია. ერთი მძლავრი ხმა რომ გაისმას, პატარა „პოეტები“ „პირჯვარს გადაიწერენ“, უმნიშვნელო ქნარს ძირს ჩამოდებენ, დადუმდებიან. სიწრფელე—შემოქმედების მამხილებელი თვისება აკლია ჩვენს პოეტს. საკუთარი სულის გადმოშლის წყურვილმა თუ გაიღვიძა—დაიბადება პოეზია; მაგრამ ვისაც საკუთარი სული არ გააჩნია, ის ვერ შექმნის, და თუ შექმნა,—ვერ გაალრმავებს. იგივე ითქმის თანამედროვე მკითხველის შესახებაც.

რომ პიროვნების გათიშვა და იმიტაციის (სხვადასხვა სახით) გაძლიერება განსაკუთრებით დაჩაგრულ ერში სწარმოებს—ეს ჭეშმარიტებაა. თანამედროვე ოჯახი, თანამედროვე შკოლა, თანამედროვე სახელმწიფო, პოლიტიკურ-ეკონომიურ უთანასწორობაზე აგებული, პროკრუსტოსის საწოლში სტანჯავს ადამიანს. მაგრამ ასეთი ტანჯვა მორჩილი ერისათვის უფრო მწვავეა და საგრძნობი. ფრთები შეეკვეცა ჩვენს თვითმოქმედებას, მივეჩვიეთ—და სხვის მიერ გამზადებულ კათეგორიებს მთქნარებით ვყლაპავთ. იქ, სადაც იმიტაციური სულიითაა მოწამლული ჰაერი, შემოქმედებას ან სძინავს, ან ის პოტენციალურია. ჩვენი ჭეშმარიტი პოეტები: **შანშიაშვილი, გრიშაშვილი, აბაშელი, ჩხიკვაძე, რუხაძე** და სხვა, და სხვა, და სხვა—უფრო „სულით პოეტობენ“ („поэт в душѣ“), ვინემ სიტყვით. ერი მაშინაა ცოცხალი, როცა მას, პირდაპირი თუ ხვეული გზით, ინდივიდუალური სული შეაქვს მსოფლიო-სალაროში. ეროვნული პოეზიის დამახასიათებელი თვისება ახალი ემოციური ღირებულების (ფართო მნიშვნელობით) შექმნა უნდა იყოს. ლირიკულ-მხატვრული ემოციის ძალა კი მემკვიდრეობაზეა (преемственность) დამოკიდებული. თუ მეყსეულათ გაწყდა მემკვიდრეობითი

*) არის კიდევ ნორმალური და ბუნებრივი სიმრავლე. ა. შანიძის მიერ მთებში შეკრებილი (ჯერ გამოუქვეყნებელი) სახალხო ლექსები დაუფასებელი მასალა იქნება მისთვის, ვისაც საზოგადოთ მხატვრული თავისებურობა და სიწრფელე აინტერესებს.

ძაფი—დაკარგავს ემოცია თავის მომხიბლავ ბუნებრივობას. პუშკინმა **იხილა** რუსული ზღაპრები, განსჯვრიტა კარამზინი, ჟუკოვსკი, ბატიუშკოვი, „**შეიწუნარა**“ ნამყო სიტყვა—და შექმნა ახალი რუსეთი. ქართული ხელოვნება უფრო ავათმყოფია. **არსებითად ახალს** ვერ ქმნის იგი, რადგან ძველი ვერ მოუნელებია. ლირიული ტეხნიკის განვითარება. ნუ დაგვაბრმავებს: ემოციის სიღარიბეს კადანსის გიჟური თავხედობა ხშირათ ჩრდილავს. ძველ ელინთა სიტყვა—მთელი მუსიკა იყო. მათი რთული მეტრიკა ქედს მოახრევიებდა პუშკინსაცა და სხვა ვირტუოზებსაც. მაგრამ, სამაგიეროთ, პუშკინის ლექსთა ემოციური ღირებულება გაცილებით მეტია, ვინემ პინდარ-ანაკრეონის.[1]) გრიშაშვილი, შანშიაშვილი, აბაშელი... ნამდვილი არტისტები არიან; მაგრამ გადახედეთ მსოფლიო ლიტერატურას—და დარწმუნდებით, რომ მხოლოდ (თითქმის მხოლოდ) ქართული ენის „მუსიკალური სინიდისია“ მათ პოეზიაში შენახული,—საკუთარი, ახალი, უცნობი და გამუქვეყნებელი მათ ძლიერ ცოტა მოეპოვებათ.

ამგვარათ, წარსულს მოწყვეტილი, გული ქართული პოეზიისა სუსტათ ფეთქს. თუ წრფელია ჩვენი პოეტის განზრახვა—იბადება ახალი სიტყვა, რომლის ძალა უფრო პოტენციალურია, ვინემ რეალური; თუ ყალბია—ათრობს მკითხველ-იმიტატორს, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაღვიძებია „სიტყვის ძებნისა“ და კითხვის წყურვილი. **უნდა ვიფიქროთ, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიაში, როგორც „მასური“ პოეტი, აგრეთვე „მასური“ მკითხველიც უგულ-წრფელოა**. მოგხიბლავთ ჩვენი პოეტის პირველი კოცნა, მეორე—მოგეწონებათ, მესამე—გულს აგირევთ. აგაფრთოვანებთ პირველი დემოკრატიული ჰანგი, მეორე—უკვე ცივია... „თამბაქოს მოწევა არ დაგავიწყდებათ“.

თანამედროვე ქართული პოეზიის ჩვეულებრივ მგოსანს შესაფერისი მკითხველი უკვე მოეპოება. მაგრამ საერთო ეროვნულმა მო-

---

[1]) ამის შესახებ იხ. ოვს.-კულიკოვსკის „лирика—как особый вид творчества“ (Вопр. теоріи и псих. тв.“ т. II, вып. 2).

ძრაობამ მალე უნდა წარმოშობოს მხატვრის ჰეშმარიტი მეგობარი, შემოქმედი, კრიტიკოსი—იდეალური მკითხველი, რომელიც აქტიური სიყვარულის ცეცხლით დაეწაფება ქართულ ხელოვნებას. ის მთელი თავისი ორგანიზმით შეძრწუნდება, როცა გადაიკითხავს ჩვენს პრესას, ჩვენს კრიტიკას, ჩვენს პოეზიას... იშვიათად თუ სადმე წააწყდება პოლიტიკური მოძღვრების აღმსარებელს, რომელიც სავსებით გამობრძმედილიყოს იდეურ ბრძოლაში, იშვიათად ნახავს პუბლიცისტს, რომელსაც თავის სისხლში მოენათლოს ფიქრი-გრძნობანი, იშვიათად ნახავს საზოგადო მოღვაწეს, რომელსაც ნაზათ შეენახოს სულიერი თავისუფლება. ბნელი სურათი გადაიშლება მომავალი მკითხველის წინ: ტრაგიულ პირობებში ამომჭკნარი პარტიული პრესა ხელოვნურათ ამწიფებს ახალთაობას. ქართველი „პოლიტიკოსები“ თვითონაც ალბათ მწარეთ გრძნობენ, რომ ქორფა შუბლის დოგმა—იერლიყით დამახინჯება—ჯალათობაა... ნორჩი თავი ჰურათ გადაქცეულა. თვალიდან ცეცხლს აფრქვევს უმანკო სხვერპლი, მაგრამ გული მისი ცივი და გამოფიტულია. გულის სიღრმე'ში არ იბარტყა უხეიროთ გადმოსროლილმა იდეამ. მშრალია პატარა მოჭალაქის „მჭევრი“ სიტყვა, ყალბია მისი „საზოგადო მოღვაწეობა“.— და მომავალი მკითხველი ქართულ ხელოვნებას მიმართავს. ის ღრმათ დარწმუნდება, რომ **საერთოდ სოციალურ-პოლიტიკური მოუწყობლობისა და კერძოთ ეროვნული ჩაგვრისაგან დაწყლულებული ხალხის გული მხოლოდ მაშინ იტყვის წრფელსა და ახალ სიტყვას, როცა მტკიცეთ გაინასკვება წარსულის გულით ამოწეული და მოულოდნელათ შეწყვეტილი ძაფი კულტურული**. ქართველების სულიერი სიმდიდრე კი უფრო მეტათ პოეზიაში ინახება.

ზევით აღნიშნული მოსაზრებანი საბოლოოთ მოვაწესრიგოთ—და ვსთქვათ ასე: ხელოვნება, მეცნიერული კრიტიკის აზრით, სოციოლოგიური მოვლენაა; მხატვრული ნაწარმოები საზოგადოებისათვის არსებობს, თუმცა თავისად სუბიექტიურია; მხატვარსა და მკითხველს შორის მჭიდრო ურთიერთობას ვამჩნევთ: მხატვარი აღრმავებს

კითხველის სულს, მკითხველი აღრმავებს მხატვრულ ნაწარმოებს; ხატვრული ნაწარმოების გამღრმავებელი მკითხველი—შემოქმედია: ს **ანალოგიურათ** განიცდის პოეტის შემოქმედებას; ჭეშმარიტი შემომედების მთავარი მამხილებელი თვისება—საკუთარი პიროვნების წრფეყოთ გადმოშლის წყურვილია; ვინც ბუნებრივათ სარგებლობს წარსუი სიბრძნით, მთლიანათ გადმოშლის თავის პიროვნებას; ვინც ხეიროვნურათ მოწყვიტეს წარსულ სიბრძნეს, **ახალს** ვერ ეტყვის კაცორიობას; თანამედროვე ქართული პოეზია წარსულს მოწყვეტილი და უსტია; მხატვრული (ლირიული) ტეხნიკის განვითარებას შეიძლება იმპტომატიური მნიშვნელობა მივსცეთ: უკვე გაღვიძებული ქართვეი ეძებს დაკარგულ გულს, უკვე ჩასახული ინდივიდუალური გრძნოა ეძებს შესაფერ სიტყვას. ჩვენი წრფელი პოეტის ძალა უფრო ოტენციალურია.

III.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ „იდეალური“ კითხვა, ისე როორც მხატვრული შემოქმედება, ფრიად სუბიექტიურია, თვითონ უბიექტისთვის საჭირო. წარმოვიდგინოთ ახლა ასეთი უბრალო შემხვევა: მკითხველი, „სულით პოეტი,“ ძლიერ გაიტაცა ერთმა, პოტის ცხოვრებაში მეტათ ყურადსაღებ, საკითხმა—რას განიცდის გოსანი მაშინ, როცა ის **ჩააჩუმეს**, წაართვეს ქნარი—ერთადერთი ალხთან გამოსახმაურებელი საშვალება. კითხვა ყურადსაღებიცაა ეა საინტერესოც: ყოველი ჩვენგანი ოდნავ მაინც გატანჯულია სეთი „ცენზურით,“ ყოველი ჩვენგანი აშფოთებულა მზგავსი ბოოტმოქმედებით. და აი, ნახევრათ-გამზადებული მკითხველიც შეედგა პასუხის ძებნას. გადაიკითხა ის ლექსები, რომელიც ეხებოდა მ „თემა“-ს ქართულ პოეზიაში... წააწყდა **ვაჟა ფშაველას** „სოკლის წყლულებმა გამსენეს“-ს—და შეჩერდა. ისეთი ლამაზი, ღრმა, თლიანი და თითქმის უნაკლო მოეჩვენა მკითხველს ვაჟას მიერ თვალებზე ცრემლ-აკიდებული“ დაკარგული სტვირის მოტქმა, რომ

მან უნებურათ სხვა პოეტების ლირიკა დაივიწყა, **თავიდან** მოიშორა,—ვაჟამ სავსებით დააკმაყოფილა მკითხველი. კიდევ წარმოვიდგინოთ: მკითხველმა პოეტის „სულის ლაბორატორია“-ში შესვლა მოინდომა. მას სურს გაიგოს აღფრთოვანების, აღტყინების (вдохновенье) ფსიქოლოგია. წაიკითხა ქართული პოეზია, გადასწვდა პუშკინს—და შეჩერდა. ისე ძლიერი, სრული და გენიალური მოეჩვენა მკითხველს პუშკინის მიერ გაშუქებული რთული მოვლენა, რომ ქართველ პოეტთაგან მიღებული პასუხი გონების თვალს მიეფარა.—ამგვარათ, **შემოქმედი** („**იდეალური**“) **მკითხველის მეოხებით პოეზიაში თავისებური შერჩევა წარმოებს**; შერჩევა მკითხველის „გონების სარბიელზეა“ დამოკიდებული: **გრიშაშვილის** სიყვარულის ემოცია **სავსებით** მოხიბლავს მას, ვინც ვერ იცნობს პუშკინს, ჰეინეს... **ბესიკი** ან **ალექსანდრე ჭავჭავაძე სავსებით** დააკმაყოფილებს მას, ვინც ვერ იცნობს გრიშაშვილს...

თანამედროვე ქართველი უკვე „წარწყმედილია“ მსოფლიო ზრახვებით. ჰამლეტი, დონ-კიხოტი, ფაუსტი, ონეგინი, ნოზდრევი... თავისებურათ აშუქებენ მის გონებას. ვერავითარი ხელოვნური დამბა ვერ შეაკავებს შორით მოწოლილ პოეზიის ტალღებს. ქართველი „იცნობს“ „ვეფხის-ტყაოსანსაც,“ **ჯეკ ლონდონსაც,** ფუტურიზმსაც... ასე ინათლება მომავალი მკითხველი.

და თუ აზრის ეკონომიზაცია—კაცობრიობის ევოლიუციის ქვაკუთხედი—განსაკუთრებით პოეტური ხატებით სწარმოებს („ხატის“ ღრმა და ფართო მნიშვნელობით), იბადება ასეთი კითხვა: საკმაოთ წინ წავიდა, თუ არა, ქართული პოეზია? რამდენათ გაუსწრო წარსულს? რა სთქვა ახალი მსოფლიოსთვის? —საქმე რომ უისტორიო ხალხს ეხებოდეს, საკითხს უცებ მოესპრიდით: მარტივი და სადა ცხოვრება ადვილათ გაითვალისწინებოდა. მაგრამ სულ სხვაა კულტურული ხალხის სულიერი ცხოვრება. ხომ ადვილათ შეიძლება, რომ თანამედროვე ქართული პოეზია **ხშირათ არსებითად** იმასვე ღიღინებდეს, რაც ოდესმე „ველურათ გათლილ“ ლერწამს დაუკენესია? ხომ ბუნებრივია, ხომ წარსულის მქონე, მაგრამ წარსუ-

ლის არმცოდნე პოეტი თავიდან იწყებდეს მას, რაც უკვე დასრულებულა? ქართული ზღაპრები, მდიდარი სახალხო ლექსები, თქმულებანი, ლეგენდები, პოემები, ზეპირსიტყვაობა... **შოთა, ჩახრუხაძე, შავთელი, თეიმურაზები, არჩილი, გურამიშვილი**... უფრო აქით— **ა. ჭავჭავაძე, ბარათაშვილი, ორბელიანები,** კიდევ აქით— **აკაკი, ილია, ვაჟა** და სხვადასხვა— გამოვტყდეთ, ყველა ეს არ ჩასულა ჩვენს თავსა და გულში, არ მოგვინელებია. უნდა ვიფიქროთ, რომ ხშირათ ერთსა და იმასვე ვტკბებით, ერთსა და იმასვე ვღეჭავთ. და თუ თანამედროვე პოეზიის საზომათ ჩვენს უთავოსა და უგულო მკითხველს მიიჩნევთ, ზეაღნიშნული კითხვა პოეტური ევოლიუციის შესახებ ყრუთ დარჩება. ჩვენს მკითხველს არ გაღვიძებია საკუთარი სულის გადმოშლის წყურვილი, ჩვენს მკითხველს არ უყვარს ქართული ხელოვნება; ის არ ეძებს საკუთარ სიტყვას, არ ებაასება მხატვარს... „უბძანეს კითხვა წიგნისა“— და მთქნარებით კითხულობს.

მაგრამ თუ თანამედროვე პოეზიის მსაჯულათ მომავალი მკითხველი იქნა, ფრთას გაშლის ქართველთ პოეტური სული. მხატვრის მეგობარი შერჩევას იწყებს. მომავალი, შემოქმედი და შემრჩევი მთლიან შთაბეჭდილებას მოითხოვს ქართულ ხელოვნებას. მან წინდაწინვე იცის, რომ ოდესღაც ხელოვნური, ან „ველური“ ქნარით მოწყვეტილი ქართული ხმები საგულეში ჩასდებენ ჩვენს გამოჰმულ გულს. მომავალი **იხილავს** ჩვენს წარსულს. და გულში აგუზგუზდება ფიქრთა, ზრახვათა კოკონი. გულის ცეცხლი გასჭედს ნათელ აზრს, ლაღსა და ამპარტავანს. თავისუფალი ინტელექტი კრძალვა-მოწიწებით შეაღებს ქართული პოეზიის შებღალულ საკურთხეველს, მზრუნავი ხელით შეუჩინჩხვრებს ღველფათ ქცეულ პოეტურ კერას, ნაზათ გადმოაწყობს იქ გამოწრთობილსა და იქვე წაფერფლილ ობოლ მარგალიტებს...

კანდე.

ქ. პეტერბურგი.

აჭიმი მ. ყ. ცეცხლაძე.

ადამიანის სქესრგრივი ცხოვრება.

ადამიანის სქესობრივი ცხოვრება*).

„სქესობრივ ორგანოთა თვისების ცოდნაც ისეა საჭირო, როგორც სხვა დანარჩენ ორგანოთა თვისების, და ადამიანი ყველას თანასწორი ყურადღებით უნდა ეპყრობოდეს... თავის ფიზიკური ბუნების ნამდვილი, სწორი ცოდნით აღჭურვილი ადამიანი ცხოვრების ბევრ პირობებს სრულიად სხვა თვალით დაუწყებს ცქერას, ვინემ დღეს უცქერის. ამით თავის-თავათ მოისპობა ის ბოროტება, რომელსაც ახლა საზოგადოება ჩუმათ, რაღაც სარწმუნოებრივი მოკრძალებით უვლის გვერდს, მარა რომელსაც თითქმის ყოველმა ოჯახმა ძალაუნებურათ ანგარიში უნდა გაუწიოს“.

ავგუსტ ბებელი.

თავი პირველი.

სქესობრივი ლტოლვილება.

1. სქესობრივ ცხოვრების ბიოლოგიური განვითარება.

ყოველი ცოცხალი არსება, იქნება ის ადამიანი, ცხოველი თუ მცენარე,—დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენს. მას შეიძლება რთული აგებულება ჰქონდეს, როგორც, მაგ., ადამიანს, ან და შედარებით მარტივი, როგორც ჰიას, ან კიდევ უფრო უმარტივესი,

*) ავტორს განზრახვა აქვს ოთხ-ხუთ თავში მკითხველს მიაწოდოს ცნობები ადამიანის სქესობრივ ცხოვრების შესახებ. შემდეგ თავებში გარჩეულ იქნება სქესობრივი ფსიქოპათოლოგია, ვენერიული ავათმყოფობანი, სქესობრივი ჰიგიენა, საზოგადო დებულებანი, სასქესო და ვენერიულ სნეულებათა აქიმობის შესახებ და სხვ.; სპეციალურათ პირველი თავის შედგენის დროს ავტორი სარგებლობდა დარვინის, ხეგარის, ლევენფელდის, მოლლის, როლენდერის, რიბბანგის, დებეს, ფორელის, ბებელის, ფრეიდის, ჟოზანის, ბუმბის და შპატეგოლცის შესაფერ შრომებით, აგრეთვე, იშვიათათ, სხვა პირთა თითო-ოროლა ნაწერებითაც. **ავტორი.**

როგორიც არის, მაგ., ლოკოკინა. მიუხედავათ ასეთი განსხვავებისა, ყველა ცოცხალ არსებაში, სხვათა შორის, საერთო ის არის, რომ თითოეული მათგანის სხეული შესდგება პატარა-პატარა, უმეტეს ნაწილათ, თვალით უნახავ ნაწილაკებისაგან—ეგრეთ წოდებულ უჯრედებისაგან. ამ პაწაწინა ნაწილაკების კავშირი ანუ აგრეგატი ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილებს შეადგენს. სხეულის ერთი ნაწილი, ერთი ორგანო, ან კიდევ უფრო გარკვევით რომ ვსთქვათ, უჯრედების ერთი ჯგუფი ერთ დანიშნულებას ასრულებს, მეორე ჯგუფი მეორე განსაზღვრულ მიზანს ემსახურება, მესამე ჯგუფი კიდევ სხვა რაიმე მოქმედებას ეწევა, და ასე. აქ ჩვენ შრომის ფიზიოლოგიურ განაწილებას ვხედავთ. ავიღოთ, თუნდაც ადამიანი: კუჭის და ნაწლევთა უჯრედებით იგი საჭმელს ინელებს, ფილტვების უჯრედებით იგი სუნთქავს, ხოლო ტვინის უჯრედებით აზროვნებს. ცხოველებშიაც ტვინს, ძარღვებს, კუნთებს, ძვლებსა და კანს უჯრედთა სხვადასხვა რიგი შეადგენს, მცენარეებშიაც ქერქი, შტო, ძირი, ფოთლები და ყვავილები ამგვარ პრინციპებზეა აშენებული.

უმარტივეს ორგანიზმების ძებნაში მეცნიერებამ ისეთი მიკროსკოპიული არსებანი აღმოაჩინა, რომელთა სხეული მხოლოდ და მხოლოდ ერთი უჯრედისაგან შესდგება, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ეს პაწაწინა არსებანი მაინც საზრდოობენ, მოძრაობენ და იზრდებიან. მეცნიერული ინტერესი ამ თვალით უნახავ ორგანიზმებისადმი იმაზეა დამყარებული, რომ ევოლიუციონურ მოძღვრების შეხედულებითა და განმტკიცებით, დროთა განმავლობაში მრავალ-უჯრედოვანი ორგანიზმები მცირე-უჯრედოვანიდან წარმოსდგენ და ესენი კიდევ, თავის მხრით, ერთ-უჯრედოვან სხეულებიდან. მაშასადამე, თუ გვინდა, რომ ადამიანის ცხოვრების რომელიმე ძირითად მხარეზე საღი წარმოდგენა ვიქონიოთ, მისი დასაბამი, წარმოშვება და განვითარება ჯერ დაბალ საფეხურზე მდგომ ცხოველებში უნდა გავითვალისწინოთ და შემდეგ თანდათან ადამიანებზე უნდა გადავიდეთ. ამგვარათ, ჩვენი ყურადღება დამოუკიდებლათ-მცხოვრებ ერთ-უჯრედოვან ორგანიზმებისადმი უნდა მიიმართოს, ვინაიდან

უმარტივეს სხეულებს ესენი წარმოადგენენ. საკითხს რომ სასტიკათ შევხედოთ, საჭიროა დავუმატოთ, რომ თვით ეს უმარტივესი ორგანიზმები, როგორც სულ უფრო და უფრო მტკიცდება (მეშამი, ესტორი, მაჯი, დარვინი, დე-ფრისი, ვიზნერი და სხვ.) ფრიად რთული შენობისა არიან და შესდგებიან კიდევ და კიდევ უფრო უმარტივეს დამოუკიდებელ ნაწილაკებისაგან, რომელნიც ცოცხლობენ, იკვებებიან, იზრდებიან და მრავლდებიან. აქ სახეში გვაქვს უჯრედის არა მორფოლოგიურათ შემადგენელი ნაწილები. როგორც, მაგ., პროტოპლაზმა, გუნდი, ცენტროზომა და სხვ., არამედ ის ინტიმურ-ბიოლოგიური ელემენტები, რომელთა კონგლომერატისაგანაც უჯრედი შესდგება. ეს ელემენტები უნდა ვაღვიაროთ გარდამავალ საფეხურათ მკვდარ, უსულო ბუნებიდან ცოცხალ, ორგანიულ ბუნებაზე და, მაშასადამე, სიცოცხლის ჩანასახი და ცხოვრების გამოცანაც აქ უნდა ვეძიოთ. სამწუხაროთ, ხსენებულ უმარტივეს ნივთიერებათა ბუნება და თვისებები თანამედროვე მეცნიერებას ჯერ კიდევ იმდენათ სუსტათ აქვს გამოკვლეული და შესწავლილი, რომ მათზე დამყარება და გარკვეული რისიმე თქმა ერთობ ძნელია; ამიტომაც, როდესაც ქრონოლოგიურათ პირვანდელ ორგანიზმებზეა საუბარი, უთუოთ უჯრედები აქვთ სახეში და არა ის დამოუკიდებელი ნაწილაკები. ჩვენც ასე მოვიქცეთ.

ყოველ ცოცხალ არსების დამახასიათებელ თვისებას, სხვათა შორის, შეადგენს ზრდა. ასევე ითქმის უჯრედზედაც: ის ცოცხლობს, სიცოცხლის შესარჩენათ იკვებება, და ამ კვების შედეგი ზრდაში გამოიხატება. უსაფუძვლოთ კი არ არის ნათქვამი „საზრდო“ (საკვები),—ესე იგი გასაზარდი. ეს ხომ ასეა, მაგრამ თითოეული ერთეულისათვის ბუნებას საზღვარი დაუდვია, რომლის გადალახვა შეუძლებელია. უჯრედსაც თავის ზრდაში აქვს საზღვარი, რომელსაც იგი ვერ გასცილდება, სამაგიეროთ, ზრდის დასრულების შემდეგ შთამომავლობის გამრავლება იწყება. მაშასადამე, გამრავლების პროცესი იგივე ზრდა ყოფილა, მხოლოდ შთამომავლობაზე გადატანილი. გამრავლების კანონსაც თავისი ტენდენცია აქვს, დედა

კვდება, მაგრამ მის-მიერ წარმოშობილნი თაობანი ცხოვრებას განაგრძობენ, ესენი კიდევ, თავის მხრით, ახლებს ტოვებენ,—და, ამგვარათ, ერთეულები კვდება და გადადის, მაგრამ მთელი ჯიში, შედარებით, რასაკვირველია, დღე-გრძელი და უკვდავია.

ცხოვრების დაბალ საფეხურზე გამრავლება **უსქესოთ** ხდება. მიაღწევს თუ არა თავის ზრდაში ერთ-უჯრედოვანი ორგანიზმი განსაზღვრულ ნორმას, იგი ორათ იყოფა, თვით ისპობა და ორ პატარა უჯრედათ იქცევა. თითოეული უჯრედი-შვილი კიდევ დრო და ჟამამდე იზრდება, შემდეგ კვლავ ორათ ნაწილდება. ასე და ასე.

ცხოვრების შემდეგ საფეხურზე უსქესო გამრავლებას მხოლოთ სხეულის ნაწილებში ვამჩნევთ. მაგ., ტვინის, კუჭის, ფილტვების, ღვიძლის და სხვა რომელიმე ორგანოს უჯრედები ამ სახით მრავლდება, რაც შეეხება არსებულ ორგანიზმიდან ახალ მთელი სხეულის წარმოშობვას, ეს ხდება სქესობრივი გამრავლებით. აქ ჩვენ ორ-გვარ სახის ერთეულებს ვამჩნევთ: მამლებსა და დედლებს. თითოეული ამათგანი აღჭურვილია ორგანოთი, რომელსაც სასქესო ჯირკვალი ეწოდება და სასქესო უჯრედები მუშავდება. მამლისა და დედლის თითო სასქესო უჯრედის შეერთება და ერთი მეორეში გათქვეფა განაყოფიერების ანუ ახალ არსების ჩასახვას იწვევს. სქესობრივ გამრავლებაზე დაწვრილებით შეჩერება, მისი მამოძრავებელი ძარღვის ახსნა და განმარტება,—აი ეს არის ჩვენი წერილის მიზანი.

სქესობრივ განმრავლების ჩანასახს ჩვენ ვამჩნევთ ჯერ კიდევ იმავ ერთ-უჯრედოვან არსებათა სამეფოში. უკვე ზევით ვსთქვით, რომ იქ გამრავლება მარტივათ წარმოებს: დედა ორ ნაწილათ იყოფა და თითოეული ნახევარი შვილათ იქცევა. ცხოვრების დაბალ საფეხურზე ეს კანონი მტკიცეთ არის დაცული, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამგვარი წესით წარმოშობილი უჯრედები ბოლოს-დაბოლოს სიცოცხლისაგან იწურებიან, სიბერეში შედიან და მათი გაახალ-გაზდავება მხოლოთ **კონიუგაციის** მეოხებით ხთება. ხსენებული მოვლენა იმაში მდგომარეობს, რომ ორი სხვადასხვა უჯრედი დროებით ერთი-მეორეში ითქვიფება და ამ შეერთების დროს მათ

შორის შემადგენელ ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა წარმოებს. მანამდე ღონე-მიხდილნი, ამ მოვლენის შემდეგ უჯრედები ძალითა, ღონითა და სასიცოცხლო ენერგიით სავსე ხდებიან. აქედან **სქესობრივ** გამრავლებამდე მხოლოთ ერთი საფეხურია, იქ სასქესო უჯრედების შეერთებას სამუდამო ხასიათი აქვს, და მათი განშორება ამის შემდეგ აღარ შეიძლება.

თუ ჩვენ მრავალ-უჯრედოვან ცხოველთა დაბალ საფეხურებს თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ როგორც სამამო ისე სადედო ორგანოები ერთ ერთეულშია მოთავსებული. ასეა, მაგ., ლოკოკინებში, წურბლებში და მათზე კიდევ უმარტივეს ცხოველებში, აგრეთვე ზოგიერთ გვარის თევზებშიაც. **Ამგვარი** ცხოველი **გერმაფროდიტია**, ესე იგი, ერთსა და იმავე დროს იგი მამალიც არის და დედალიც. ცოტა მოულოდნელი იქნება, თუ დავსძენთ, რომ მიუხედავათ სხეულის ასეთი აგებულებისა, ხსენებული ცხოველები თავის თავს მაინც ვერ ანაყოფიერებენ და ამ მიზნით ამხანაგს საჭიროებენ. ტოლის ერთი ცალი ამ მომენტში მამლობას სწევს, მეორე დედლობას, შემდეგ მომენტში პირველი დედლის როლს თამაშობს მეორე კი მამლობას კისრულობს.

უფრო მაღალ-განვითარებულ ცხოველებში ჩვენ უკვე ვხედავთ სასქესო ორგანოთა განაწილებას; მაშასადამე, აქ უკვე ორი ნათლათ გამორკვეული სქესი ჩნდება. აქვე ვხვდებით ზოგიერთ ახალ მოვლენათა თანდათანობით განვითარებას, რომელთაც სქესობრივ გამრავლებასთან სხვადასხვა დამოკიდებულება აქვთ. იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ დედალ-თევზების უმრავლესობა პირველათ კვერცხს სდებს და მამალი მათ თესლით მხოლოთ შემდეგ ანაყოფიერებს, შედარებით მაღალ განვითარებულ ცხოველებში (ქვეწარმავალ შორის, ფრინველებში, ძუძუ მწოვარებში) განაყოფიერება დედის სხეულში ხდება.

საერთოთ, ხერხემლიანებში ჩვენ ისეთ ორგანოთა თანდათანობით განვითარებას ვამჩნევთ, რომელნიც სქესობრივ აკტის შეერთებას ხელს უწყობენ და აადვილებენ. ფრინველებსა და ძუძუმწო-

ვართა ზოგიერთ მოდგმებს სხეულის ისეთი ნაწილი მოეპოვებათ, რომელიც ერთსა და იმავე დროს პირდაპირ ნაწლევს, საშარდე მილს და სასქესო აპარატს წარმოადგენს. დანარჩენ ძუძუმწოვარებში უკვე შემდეგი დიფერეციანცია ხდება და ამ მკაფიოთ გამოსახული გარეგნული სასქესო ორგანოები ვითარდება---მამალს უმუშავდება, სხვათა შორის, ასო, რომელიც აადვილებს დედის სხეულში თესლის შეტანას. გარდა ამისა, როდესაც მწერების, ლოკოკინების, თევზების, ქვეწარმავალთა და ფრინველთა კვერცხები დედის სხეულში კი არა, გარეთ ვითარდება, ზოგიერთი მამალი თევზები ქვირითს პირში ინახვენ, სანამ იქიდან ლიფსიტები გამოიჩეკებოდეს, ხოლო ბევრ ფრინველსა და მაღალ საფეხურზე მდგომ ძუძუმწოვართ უკვე შემუშავებული აქვთ საშვილოსნო, სადაც განყოფიერებული კვერცხი დრო და ჟამამდე ინახება.

ერთ უჯრედოვან ორგანიზმებში გამრავლება—ერთეულის ორათ გაყოფა თავის თავათ ხდება და არავითარ მამოძრავებელ ძარღვს არ საჭიროებს. სქესობრივი გამრავლება, სადაც ორი სქესის წარმომადგენელი ერთმანეთს უნდა დაუკავშირდეს და ერთი-მეორესთან განსაზღვრული დამოკიდებულება უნდა დაიკავოს, პირიქით, ისეთ სტიმულს საჭიროებს, რომელიც ცხოველს ამ მოქმედებისადმი უნდა იზიდავდეს. ამ სტიმულს წარმოადგენს უმაღლესი სიტკბოება, რომელიც ბუნებას სქესობრივ აკტთან დაუკავშირებია, და ცხოველიც, ინსტიკტიურათ თუ შეგნებულათ, მისდამი მიილტვის. ცოცხალი არსება რომ უპმელობისაგან არ მოკვდეს, იგი განიცდის შიმშილის გრძნობას, რომლის დაკმაყოფილება ერთეულის სიცოცხლეს ძალღონეს მატებს, რომ ცხოველის სხეულმა ბევრი სითბო არ დახარჯოს, იგი სიცივის გრძნობას განიცდის, და ამ გრძნობის დაკმაყოფილება ცხოველს სითბოს მატებს, რომ ერთეულები უმემკვიდრეოთ არ დარჩეს და, მაშასადამე, ცხოვრება არ შეწყდეს, მათ აქვთ **სქესობრივი გრძნობა** და ამ გრძნობის დაკმაყოფილება ახალ არსებათა წარმოშობას იწვევს. როგორც ვხედავთ, მაშინ, როდესაც შიმშილისა, სიცივისა და სხვა მათი-მაგვარი გრძნობები საერთოთ ყო-

ველნაირი გამომჟღავნება თავის დაცვის ინსტიკტისა, ერთეულის ინტერესს ემსახურება, სქესობრივ გრძნობას მიზნათ გვარის გამრავლება და, მაშასადამე, მთელის ინტერესი აქვს.

სასქესო ორგანოებს **პირვანდელ სასქესო ნიშნებს** ეძახიან, მაგრამ არის კიდევ დედალ-მამლის დამახასიათებელ ორგანოები და თვისებები, რომელთაც გამრავლებასთან პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ. ამათ **კორელიატიურ** ნიშნებს უწოდებენ, განსაკუთრებით ბევრი მოიპოვება ისინი მამლებში. სხეულის ზოგიერთი ნაწილი ან თვისება მათში გამომუშავდა, როგორც იარაღი დედლის მოსაძებნათ, ან მისაღწევათ ან ჩასაჭერათ (სხეულის მეტი სიდიდე, მეტი ძალ-ღონის ქონა, ფეხები-მარწუხები), ზოგი განვითარდა როგორც საშვალება დედლის მოსახიბლავათ და მის სქესობრივ გრძნობის ასაღელვებლათ (ფრთები, რქები, ფერადი კანი, გალობა, სხვადასხვა ჯირყვლების სუნი). უკვე გამომუშავებული კორელიატიური ნიშნები იმ დანიშნულებასაც ეწევა, რომ მამალი მშვენიერ სქესს შორიდან ცნობილობს, მისი სულის განწყობილება შესაფერ მიმართულებას ღებულობს, და სქესობრივი ლტოლვილებაც შინაარსით უფრო მდიდარი და ტემპით უფრო ძლიერი ხდება. როგორც ფიქრობენ, კორელიატიური ნიშნები წარმოსდგა, როგორც შედეგი სქესობრივ შერჩევისა. რასაკვირველია, თითოეულ სქესის განმასხვავებელ თვისებათა მარტო ხსენებულ ფაკტორით ახსნა შეუძლებელია, ვინაიდან მამლის, გინდ დედლის ზოგიერთი ორგანო და თვისება ბუნებრივი შერჩევით უფრო ადვილი ასახსნელია. განსაკუთრებით ეგ ითქმის ადამიანზე-მამაკაცზე, რომელიც საარსებო ბრძოლაში სხვა პირობებში იყო ჩამდგარი, ვინემ დედაკაცი.

ვინაიდან ქვევით კორელიატიურ ნიშნებზე არა ერთხელ მოგვიწევს საუბარი, ამიტომ აქ ამაზე აღარ შევჩერდებით.

ფრიად საინტერესოა ის ფორმები, რომელშიაც ცხოველთა სამეფოში სქესობრივი ცხოვრება მჟღავნდება და სწორეთ განსაცვიფრებელია ის პირობები, რაშიაც სქესობრივი ალღო წარმოებს. ცხადი ხდება, რომ სქესობრივი ლტოლვილება თავის დაცვის ინს-

ტიკტს შემდეგ უძლიერესი ძალაა. კიდევ მეტი, არის შემთხვევები, როდესაც მამლები თავს განსაცთელშიც კი იგდებენ, მხოლოთ როგორმე სქესობრივი გრძნობა დააშოშმანონ. ცოტა დაწვრილებითი შეჩერება ცხოველთა სამეფოს ზოგიერთ წარმომადგენლებზე ჩვენს სიტყვებს ნათლათ დაამოწმებს.

კიბოს მაგვართა მოდგმაში კორელიატიურ ნიშნებს ჩვენ პირველათ ვხდებით. ზოგიერთი ჯიშის მამლები აქ საყნოსავ ძაფებით არის აღჭურვილი და ყნოსვის შემწეობით ისინი იგებენ, თუ სად იმყოფებიან დედლები, მეორე ჯიშის მამლებს აქვთ გრძელი მარწუხები, რომლებითაც ისინი სქესობრივ აკტის დროს სუსტ სქესს იჭერენ და იმორჩილებენ. ობობებში საინტერესო მოვლენას ვამჩნევთ. გარეგნობით მამლები დედრობით სქესზე უფრო მომცროა, ნაკლები ღონისაც არიან. დედლის შესანარჩუნებლათ მათ შორის ხშირათ ომიც იმართება. მშვენიერ არსების სიმპატია მას ეკუთვნის, ვინც ომიდან გამარჯვებული გამოდის, მაგრამ გაიელის თუ არა თავ-დავიწყების წუთი, არა იშვიათათ დედალი მოუბრუნდება და სრულიათ მოულოდნელათ შთანთქავს თავის მეუღლეს. ერთი მკვლევარი (დე-გერი) იმასაც მოგვითხრობს, თუ შეუპოვარმა დედალმა-ობობამ თავისი ტოლი როგორ შეულაპა ჯერ კიდევ სქესობრივ აკტის დაწყებამდი. უბედურ დღეზე გაჩენილ მამალს სიკვდილმა თურმე მაშინ მოუსწრო, როცა იგი, ვნებათა-ღელვით აღსავსე, ის-ის იყო, უდიადეს მომენტისათვის ემზადებოდა. ხშირათ მამალი საცოდავათ დარბის თურმე დედის ტანზე და მის ვეებერთელა ფეხებზე, ცდილობს როგორმე დაემალოს და გადაურჩეს თავის სასტიკ მეუღლეს.

მწერთა მოდგმაში სქესები ერთი მეორესაგან განსხვავდება სამოძრაო ასოებით, ხშირათ გარეგნულ გრძნობათა ორგანოებითაც და სხ. ერთი ჯიშის მამლებს (chloeon) მშვენიერი სქესის მოსაძებნათ დიდი გამოღიადებული თვალები აქვთ, დედლებს კი თვალების ნასახიც არ მოეპოვებათ. სხვა ჯიშის მამლები შეიარაღებულნი არიან უზარ-მაზარი ყბებითაც, ესენი ისე ლამაზათ არის მოწყობილი,

რომ მამალს შეუძლია დედალი მთელი აკტის განმავლობაში მაგრათ ჩაჰერილი ყავდეს და ამავე დროს კი მას არაფერი დაუშავოს. ნათქვამი გულისხმობს კრაზანებსაც ვნებიანობით სავსე ჯიშს, რომელნიც საჭიროების დროს თავიანთ მეუღლეებს ყელის გარშემო ცელის მსგავს ყბებს უჭერენ.

სხვათა შორის, მწერთა ერთ გვარში არშიყობის ჩანასახიც შეამჩნიეს. დარვინი ჯ. ლებბოკის დაკვირვებას მოგვითხრობს: „საუცხოვო სანახავს წარმოადგენს ამ პაწაწინა არსებათა ერთი-მეორის წინ კეკლუცობა. ტანით მამალი დედალზე ცოტა უფრო მომცროა, იგი სულ დედლის გარშემო დასრიალებს, ან და უცებ ორთავენი ერთი-მეორეს ეჯახებიან და, როგორც მოუსვენარი ბატკნები, წინ და უკან მირბი-მორბიან. აგერ დედალი ისეთ სახეს ღებულობს, თითქოს გასაქცევათ ემზადებაო, და მამალიც ეწევა მას, ვითომც და გაბრაზებული, ხან წინ წაუსწრებს, ხან კიდევ გარშემო შემოურბენს, ხან თითქოს კიდევაც სცემს თავისი პაწაწინა ულვაშებითა. ბოლოს ორთავენი პირის-პირ დგებიან, ერთმანეთს უსაზღვროთ ეალერსებიან და თანდათან სრულ დავიწყებაშიც შედიან''.

ბუზებში, კოლოებში და სხვებშიც სუსტი სქესის გამო ერთი-მეორეში შეცილება ჩვეულებრივი მოვლენაა. დედალი არა-იშვიათათ სასიკვდილო ომს გულ-გრილათ უცქერის, ხოლო როცა ჯიბრობა გათავდება, იგი ვითომცდა არაფერი მომხდარაო, გამარჯვებულთან ერთათ საქორწინო სარეცლისაკენ მიეშურება.

ფიზიკურ ძალას გარდა, დიდი გასავალი აქვს მუსიკას (გალობას). ჯუჯუმკალებში, მაგ., მამლები ჰრიჰინობენ, ხოლო მუნჯი დედლები ათობითა და ასობით მათ გარს ეხვევიან და ბოლოს უკეთეს მგალობელს ნებდებიან. ერთ საბერძნეთის პოეტს უთქვამს: „ბედნიერია ჯუჯუმკალები, მათ ცოლებს ყვირილი არ შეუძლიათო.“

მეორე მოდგმის მამალი საღამოობით დადგება თავის სოროსთან და იქამდი ჰრიჰინებს, სანამ დედალს არ მოიტყუილებს. მანამდი ხმა-მაღალი ჰრიჰინი ამის შემდეგ წყნარ გალობათ იქცევა

თურმე, და ამით მამალი გამოხატავს როგორც თავის, ალერსს, ისე დედლისადმი უღრმეს მადლობას.

ბუზანკლები და ფარვანები სქესობრივ აქტს არას გზით არ შეწყვეტენ. თქვენ შეგიძლიათ მამლები სულ ნაკუწ-ნაკუწათ აქციოთ და მაინც დედათა სქესს ვერ მოაშორებთ.

ბუზების ზოგიერთ გვარში და ჭიანჭველებში სქესობრივი აქტის შესრულება მამლებს იმდენათ ქანცავს, რომ მალე ამის შემდეგ ისინი წუთი-სოფელსაც ეხხოვებიან. ასევე ხდება ფუტკრებშიაც, რომელთა შორის ასსა და ათას მამალში მხოლოთ ერთი თუ მოეწევა დედა-ფუტკარს, სქესობრივ თავ-დავიწყების დროს თავის სასქესო ნაწილებს დედოფლის სხეულში ტოვებს და თვითონ კი კვდება.

პეპლებში, ჩვეულებრივათ, ხანგრძლივი არშიყობა იმართება და მშვენიერი სქესის მოხიბლვას მამალი ნაირ-ნაირათ აჭრელებულ ფრთებითა ცდილობს. „მამალი პეპელა კოხტათ შეფერადებულია და საუცხოო ამოქარგული ფრთები აქვს. სადმე მოშორებით მშვენიერი არსებაც ელოდება, ვისთვისაც მისი გული ძგერს და ტოკავს. მამალი შეიარაღებულია პატარა ულვაშებით-საყნოსავ ორგანოებით რომელთა შემწეობით ის იგებს სუნით, თუ სად იმყოფება დედალი. როცა კი მამალს ფრთები გაუმაგრდება, ვნებიანობით აღსავსე იგი მოკრის ტყეებზე და მინდვრებზე მხოლოთ ერთი აზრით გამსჭვალული, რომ როგორმე დედალთან მიაღწიოს. აქეთკენ ბევრი მისი მეტოქეც მოეშურება, და მხოლოთ ის ბედნიერი, რომელიც პირველათ მოფრენას მოასწრებს, იგემებს სიტკბოებას ფრთების ხვევნა-კოცნისას და წუთიერ ცახცახის ნეტარებისას. ღონე გამოლეული, იგი ამის შემდეგ კვდება, ანუ უკეთ ვსთქვათ, წყნარათ და მშვიდათ ესალმება წუთი-სოფელს. კვდებიან ის მამლებიც, რომელსაც მიზანს ვერ მიაღწიეს, ვინაიდან იმათ ქანცავს ხან-გრძლივი ფრენა. სქესობრივ აკტის დამთავრების შემდეგ დედალი მოფრინავს ნორჩი მცენარეულობის საძებრათ, რომ თავის შთამომავლობას წინდაწინვე საზრდო განუმზადოს. ბოლოს იგი დებს ურიცხვ განაყოფიერებულ

კვერცხს და თვითონ კი ეთხოვება სიცოცხლეს, როგორც ცალიერი, დაცლილი ჭურჭელი, რომელმაც თავისი დანიშნულება უკვე შეასრულა.

ამით ვათავებთ მწერთა შესახებ საუბარს და **თევზებზე** გადავდივართ. ამათში ხშირია დედლის შესანარჩუნებლათ ატეხილი ომი. არა იშვიათათ, მაგ., წვრილი თევზები ერთმანეთს გადაესკვნიან, ხან აღმა ხტიან და ხან დაღმა, ათას გვარათ ჰყუმპალაობენ წყალში, სანამ ბოლოს რომელიმე იმათგანი არ გაიმარჯვებს. ომი ხშირია აგრეთვე ორაგულებში, კალმახებში და სხვებში. ისიც მოხდება, რომ მამალი დედალს ბუდეს უმზადებს კვერცხების დასაყრელათ, და მის აღტაცებას საზღვარი არა აქვს, როდესაც დედალი თევზი თავის სოროდან გამობრძანდება და ბუდის დათვალიერებას ინებებს. ერთი მოდგმის მამალი თევზები საუცხოო ფერადებით არის მორთული სიყვარულის ხანაში დედლების გამო. ისინი ხან სამკვდრო-სასიცოცხლო ომს ეწევიან და ხან კი ნაირ-ნაირათ აჭრელებულ ფხებით მათ თავს აწონებენ.

ბაყაყებს შორის მამლის ყიყინი დედალში უზომო აღელვებას იწვევს, იმათ ხვევნა-ალერსში იმდენი ვნებათა-ღელვაა, რომ არავითარი სასტიკი ზომებით მათი განშორება არ შეიძლება. სქესობრივ კანცხრომაში მყოფ დედალ-მამალს თავები დასჭრეს, მაგრამ აკტი მაინც ვერ შეაწყვეტინეს, მეორე წყვილს გახურებული შანთებით ფეხები დაწვეს და, როგორც იქნა, ერთი-მეორეს გააშორეს. მალე ამის შემდეგ დედალ-მამალი ცალ-ცალკე წყალში ჩაუშვეს და, წარმოიდგინეთ, ნახევრათ ცოცხალ-მკვდარი ცხოველები ისევ ერთმანეთისაკენ გაექანენ და უდროოთ შეწყვეტილი აკტის შესრულება განაგრძეს. აღსანიშნავია, რომ ბაყაყებში აღწერილ მომენტის დროს დამიანისებური სქესობრივი შეერთება კი არ ხდება, ალერსის დროს ერსლი და კვერცხები გარეთ გამოდის და უკანასკნელთა განაყოიერებაც გარეთ წარმოებს.

გომბიოებიც სქესობრივათ ისე მხურვალეა, როგორც ბაყაები. ასევე ითქმის **კუთა და კლდის ჯოჯოთა** შესახებ. ერთი

მეცნიერი დედალ-მამალ გომბიებს წააწყდა იმ დროს, როდესაც ისინი სქესობრივ აკტს ასრულებდენ. მან მამალს ხელი სტაცა, ფეხით ჩამოკიდა, რამდენიმე ადგილს ღრმათ დასჭრა, ხორცის ნაჭერი ამოაცალა და ბოლოს მთელი ფეხიც მოსტეხა. მხოლოდ სამი საათის შემდეგ, როგორც იქნა, მამალი დედალს მოშორდა და იქვე სულიც განუტევა.

ხვლიკები და ნიანგები დედლის გარშემო ერთმანეთს შორის ხშირათ იბრძვიან. ზოგიერთი იმათგანი აგრეთვე სპეციალური ჯირკვლებითაც არის შეიარაღებული, იქიდან ერთგვარი სუნნელოვანი ნივთიერება გადმოდის, და ამ სუნნელებით ისინი დედლებს სქესობრივ ლტოლვილებას უღვიძებენ.

რაც შეეხება **გველებს**, თუ დარვინს დაუჯერებთ, იმათ შეყვარებაც კი შესძლებიათ, ბევრჯერ უნახავთ თურმე მამალი გველები ერთი დედლის- -და ისიც მკვდარი ლეშის—გარშემო გროვა-გროვათ თავ-მოყრილი.

დიდათ საყურადღებოა **ფრინველთა** სქესობრივი ცხოვრება. აქ ჩვენ ვხედავთ კორელიატიურ ნიშნების და სქესობრივ გრძნობის გარშემო აღმოცენებულ ბევრ საინტერესო მოვლენას. სქესობრივ ცხოვრების შინაარსით ადამიანებს ყველაზე უფრო ისინი უახლოვდებიან. ამ მხრით მათ, რამდენიმეთ, მწერთა სამეფო თუ შეედრება.

ფრინველებში, უპირველესათ ყოვლისა, დედლების გარშემო ატეხილი ბრძოლა ჩვეულებრივი მოვლენაა. ბრძოლის დროს იარაღათ ნისკარტებს, ფრთებსა და ფეხებს ხმარობენ. მხოლოდ გამარჯვებულს ელის განცხრომა და ნეტარება. მაშასადამე, აქ იგებს ფიზიკური ძალა.

მეორეთ, მშვენიერ სქესს აქ ხიბლავს მამლების ლამაზი შემკულება, ბიბილო, რქები, დეზები, ფერადი ფრთები და სხვ. არჩევანი პირველს ეკუთვნის, და ისიც მხოლოდ ულამაზეს მამალს ნებდება. ხშირათ 20—30 ფარშევანგი ერთათ შეიკრიბებიან, თავიანთ საუცხოო კუდებს გაშლიან და ამაყ თავ-მომწონებით აღსავსენი განაზებულ დედლების წინ სეირნობას გამართავენ თურმე. საყუ-

რადღებო ის არის, რომ მამრობითი სქესი მხოლოდ სიყვარულის ხანაში კოხტაობს და ისიც, უმთავრესათ, დედლების წინაშე.

მესამეთ, დედრობით სქესს მამლების ცეკვა და მათი სხეულის რხევა აღელვებს. უკეთესი მოცეკვავე იზიარებს მის საჭორწინო ლოგინს.

მეოთხეთ, ზოგიერთ მოდგმებში დედლებს სქესობრივ სურვილს უღვიძებს მუსკუსის სუნი, რომელსაც თავის გარშემო მამრობითი სქესი ავრცელებს.

ბოლოს და უმთავრესათ, ფრინველებში დიდ როლს თამაშობს გალობა. კარგი მგალობელი ინარჩუნებს დედლის გულსაც, სიყვარულსაც და აღტაცებასაც. მამალი დედალს კი არ დაეძებს, გაზაფხულზე ის შეარჩევს სადმე ისეთ ადგილს, რომელიც თვალით ადვილათ შესამჩნევია, დაჯდება იქ და ექსტაზში მოსული უსტვენს და გალობს. დედასაც გული უტოკდება, მთელი მისი არსება თავდავიწყების ბურუსში ეხვევა, და იგიც თავის სატრფოსაკენ მიეშურება, რომ მასთან ერთათ სიყვარულის ცეცხლში შექმნას ახალი ცხოვრება, ახალი თაობა.

ისეთი შემთხვევებიც არის, სადაც მშვენიერი, მაგრამ ვნებიანობით სუსტი სქესი ვეღარ იომენს და მამრობით სქეს უარშიყდება. ხანდახან ლამაზი მამლის გამო სამკვდრო-სასიცოცხლო ომი და ერთი ვაი-უბედურება ატყდება. ასეთი მოვლენები ხშირია ფარშევანგებში და გარეულ ინდოურებში.

ერთი მეცნიერის გადმოცემით, უკვე მოშინაურებულ გარეულ ბეს, რომელიც მთელი ორი წლის განმავლობაში თავისი მოდგმის მამლიდან ჰუკებს იძლეოდა, შეუყვარდა თურმე ტბაში ახლათ ჩაშვებული შინაური გრძელ-კუდა იხვი. თავისი მეუღლე მას სულ დავიწყდა, წამდაუწუმ ახალ სტუმარს ეალერსებოდა და სულ მის გარშემო ტრიალებდა. გრძელ-კუდა პირველ ხანებში, ცოტა არ იყოს, ოხრულოდნელი სიყვარულის გამოცხადებით თურმე ერთობ დარცვენილი იყო და წინააღმდეგობასაც უწევდა: მაგრამ შემდეგ გაზაფხულზე მასაც გულმა აღარ მოუთმინა, სულმა წასძლია, დედალ იხ-

ვის ნებას დაყვა, და მალე ახალ-შეუღლებულებმა ბუდეც გააკეთეს და პატარა იხვებიც გამოჩეკეს თურმე.

შენიშნულია, მაგ., მტრედებში, რომ, თუ მამალი დასნეულდა და დედლის სქესობრივ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებს, უკანასკნელი მას შორდება და სხვა მამალთან იწყებს ცხოვრებას.

ძუძუმწოვართა გვარში სქესობრივ ცხოვრების განვითარების მხრით, ფრინველებთან შედარებით, რეგრესს ვამჩნევთ. გალობას, გარეგნულ სილამაზეს, ცეკვასა და სხვა ასეთებს, აქ ადგილი აღარა აქვთ. სამაგიეროთ, ფართოთ გავრცელებულია მამლების ერთი-მეორეში ბრძოლა დედლის შესანარჩუნებლათ. სქესობრივ ლტოლვილების ხანაში თვით უთვინიერესი ცხოველებიც კი უბედურება შფოთსა და დავიდარებას უტეხენ ერთი-მეორეს. ორი მამალი კურდღელი ერთმანეთს მანამ ეომება, სანამ ერთ იმათგანს სული არ ამოხთება. ასევე ითქმის თხუნელებზე, ზღვის ძაღლებზე, ირმებზე, გარეულ ხარებზე და სხვებზე.

ზოგიერთ ცხოველთა სქესობრივ ცხოვრებაში დიდი გასავალი აქვს აგრეთვე სუნს. თხებს, ჯიხვებს, არჩვებს, ირმებს, ცხვრებსა და ბევრ სხვა მოდგმის მამლებს სიყვარულის ხანაში ემჩნევათ საოცარი, ადამიანის ყნოსვისათვის არა სასიამოვნო სუნი, რომელსაც გარშემო მთელი სხეული და აგრეთვე სპეციალური ჯირკვლები ავრცელებს. ეს სუნი დედლების ყნოსვას აღიზიანებს და აქედან რეფლექტორულათ სქესობრივ გრძნობის გაღვიძებას იწვევს.

სანამ საერთოთ ცხოველებზე საუბარს დავამთავრებდეთ, საჭიროთ მიგვაჩნია მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ერთ მოვლენაზე, რომელსაც ადგილი აქვს მათ სქესობრივ ცხოვრებაში. ცხოველები სქესობრივ ლტოლვილებას მთელი წლის განმავლობაში კი არ განიცდიან, თითოეულ მოდგმას განსაზღრული ჟამი აქვს. ამ დროს ხდება მათი სქესობრივი აღელვებაც, თესლში მომწიფებულ სპერმატოზოიდების წარმოშობა და ნაყოფის ჩასახვაც. ამ მოვლენას **მძუნაობა** ეწოდება. როგორც სხვაგან, ბუნებრივ შერჩევას ამ მოვლენაშიაც მიზან-შეწონილება განუმტკიცებია, ეს სიყვარულის

ხანა ცხოველებში ისეა შერჩეული, რომ შთამომავლობის დაბადების დროს მშობლებსა და შვილებს საზრდო საკმაოთ დაურჩეს. სიყვარულის ხანა, უმეტესათ, გაზაფხულს უწევს. ამ დროს ბუნება იღვიძებს, ქვეყანა ახლდება, მცენარეულობა ყვავილდება, და ცხოველებშიც ძალთა სიჭარბის-მიერ გამოწვეული გამრავლების ინსტიკტი თავისას შერება. საყურადღებოა, რომ შინაურ ცხოველების სქესობრივი კავშირი უფრო ხან-გრძლივია, ამ გარემოების ახსნა ადვილია, მათ საზრდო მთელ წელიწადს აქვთ და შთამომავლობაც, როდესაც უნდა წარმოიშვას იგი, შიმშილისაგან არ მოკვდება. ასევე ითქმის სპილოებზე, ვეშაპებზე, ზოგიერთ ჯიშის მაიმუნებზე და, განსაკუთრებით, ადამიანებზე, რომელნიც სქესობრივ მოთხოვნილებას მთელი წლის განმავლობაში განიცდიან. საინტერესოა, რომ ველურებს მაინც შერჩენიათ რაღაც მძუნაობის მსგავსი ხანა, მათი მუდმივი ხასიათის სქესობრივი ლტოლვილება გაზაფხულზე საოცრათ ძლიერდება, და მაშინ ველურებში ამ ნიადაგზე ნამდვილი ორგიებიც იმართება. ატავიზმის კანონი ალბათ თავისას შვრება, და თანამედროვე ადამიანიც რამდენიმეთ განიცდის სქესობრივ გრძნობის რყევას გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში ეს გრძნობა უფრო ძლიერია. ამ მოვლენის დამამტკიცებელ საბუთებზე ქვევით კიდევ გვექნება საუბარი.

ველურებში ჩვენ იმნაირივე ხასიათის სქესობრივ ცხოვრებას ვამჩნევთ, როგორც ცხოველებში, მხოლოთ, რასაკვირველია, უფრო განვითარებულს.

ინდოეთში, მაგ., დღესაც ხშირია ქალის გამო შეცილება. ფიზიკურათ დამარცხებულმა ქალზე ხელი უნდა აიღოს. ასეთი წესი იყო ძველ საბერძნეთში და გასულ საუკუნეში ძველ ირლანდიაშიც. ურდოებში უმძლავრეს მამაკაცებს ახალგაზდა და ულამაზესი ქალები თავისთვის მოყავდათ. ასეთ ხალხში ქალსაც, თავის მხრით, სწრაფი, მკვირცხლი და მძლავრი მამაკაცი უფრო მოსწონს. ბორნეოზე მცხოვრებ დედათა სქესს იდეალათ თურმე ისეთი კაცი ყავს

წარმოდგენილი, რომელსაც თავის სიცოცხლეში მრავლის უმრავლესი მტერი დაუხოცია და მათი თავები დავლათ წამოუღია.

ველურებში ხშირია ასეთი შემთხვევებიც, როდესაც დედაკაცი ულამაზესს რჩება. ისინი არავითარ საშვალებას არ ზოგავენ, რომ თავისი ბუნებრივი სილამაზე ხელოვნურათ გააძლიერონ. გასაოცარია, რომ პირველ-ყოფილ ადამიანებში ვაჟები თავის თავს უფრო ილამაზებს ტანის დამღით აჭრელებით და ნაირ-ნაირი სამკაულებით (სამაჯურებით, ტუჩებში, ცხვირში და ყურებში გაყრილი რგოლებით), ვინემ დედაკაცები. ცეკვა და კოხტაობა-პრანჭიაობაც მამაკაცებში უფროა გავრცელებული.

ველურებში ძალიან ხშირათ ქალს არჩევანის უფლება აქვს. კიდევ მეტი, ზოგიერთ მოდგმებში (პარაგვაელები, მოკოსები, გაროსები) წინადადებას ქალი იძლევა, ასეთ შემთხვევაში დედათა სქესში არა იშვიათია შეცილებაც მამაკაცის შენარჩუნების გამო.

ასეთია სქესობრივი ლტოლვილება როგორც ბიოლოგიური მოვლენა. რომ ცხოველთა სქესობრივ ცხოვრებაზე საშვალო მთლიანი წარმოდგენა შევიმუშავოთ, მოკლეთ და ზოგადათ გავიმეოროთ ის, რაც ზევით სხვადასხვა ალაგას აღვნიშნეთ, ამასთანავე ყურადღება მივაქციოთ ერთ-ორ მოვლენას ცხოველთა სამეფოში, რომელიც აქამდე არ მოგვიხსენიებია.

1) ცხოველებში, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, სქესობრივი ლტოლვილება ფრიად ღრმა და მნიშვნელოვანი მოვლენა არის. იქნება ის ფრინველთა ქიკჭიკი, მწერთა ბზუილი, თევზების თამაშობა თუ ძუძუმწოვართა შებრძოლება—ყოველი ამ საშვალებით მამალი მშვენიერ სქესს დარაჯობს, უთვალთვალებს, ხშირათ თავს განსაცდელში იგდებს, არავითარ დაბრკოლების წინ არ იხევს, მხოლოდ როგორმე თავისი ბუნებრივი წყურვილი მოიკლას. ძლიერია დედლის სქესობრივი მიდრეკილებაც, მაგრამ იგი ამას ნაკლებათ იმჩნევს, მისი ტემპერამენტი პასიურია, ის კეკლუცობს, ხან ვითომ და გარბის, თვალთმაქცობს, ხან კი ვნებათა ღელვით აღსავსე

თავის სურვილს ველარ მალავს, მამლის აქტიურ გამოსვლას აღარ ელოდება და თვით იწყებს მასთან არშიყობას;

2) ვინაიდან სქესობრივი გამრავლება მოპირდაპირე სქესის სასქესო უჯრედების შეერთებას მოითხოვს, და ამ პირობის დაკმაყოფილება თავისთავად შეუძლებელი ხდება, ბუნებამ როგორც ძლიერი, ისე სუსტი სქესი ერთი-მეორესათვის მიმზიდველი და საინტერესო გახადა მით, რომ სქესობრივ ლტოლვილების დაკმაყოფილებას უმაღლესი სიტკბოების გრძნობა დაუკავშირა;

3) რომ ბუნებას ამ უძლიერეს სიამოვნების განმტკიცებით სახეში ქონდა მხოლოდ **ჯიშის გამრავლება** და არა ერთეულების ინტერესი, ეს ნათლათ სჩანდა თითო-ოროლა ზევით მოყვანილ ფაკტებიდანაც.

თევზებში სქესობრივი ლტოლვილება ნელდება, როგორც კი დედლის-მიერ დადებულ კვერცხებს მამალი გაანაყოფიერებს; ჰიანჰველებში და ფუტკრებში მამრობითი სქესი სქესობრივ აკტის შესრულების შემდეგ სიცოცხლესაც ეთხოვება, ხოლო პეპლებში გარდა ამისა, ხშირათ კვერცხების დადების შემდეგ დედალიც კვდება. ჩვენ აგრეთვე ისიც დავინახეთ, რომ ობობებში, ბუზანკლებში, ფარვანებში, ბაყაყებში და გომბიოებში სქესობრივი გრძნობა უფრო ძლიერი იყო, ვინემ ინსტიკტი თავის დაცვისა. და ბოლოს, ყურადღების ღირსია ის ფაკტი, რომ სქესობრივი აკტი თავის მიმზიდველობას კარგავს და ხშირათ არა სასურველიც ხდება მას შემდეგ, როდესაც დედალს თესლი უკვე მიღებული აქვს და, მაშასადამე, განაყოფიერების საქმე სწორ გზაზეა დამდგარი. ლოკოკინაც კი, რომელიც თავის ტოლთან ეს-ეს იყო უმაღლეს სიამოვნებას განიცდიდა, აკტის შემდეგ საჩქაროთ შორდება მას, ასევე ითქმის ყველა ცხოველებზე საერთოთ, ხოლო რაც შეეხება დედალ ობობებს, ისინი ხომ ხშირათ აკტის შემდეგ თავიანთ მეუღლეებს შესაჭმელათაც არ ინდობენ;

4) ვინაიდან ბუნებას სახეში აქვს არა უწესო და უსისტემო, არამედ შერჩეული შთამომავლობის მიღება, ამიტომ ცხოველებში

დიდ როლს თამაშობს მოპირდაპირე სქესის ბევრ-გვარი თვისებები. ისინი, უმეტეს ნაწილათ, სქესობრივ მომწიფების დროს ვითარდება და მათ შესახებ ზევით უკვე გვქონდა საუბარი. ამგვარათ მიმდინარეობდა და დღესაც წარმოებს ე. წ. **სქესობრივი შერჩევა**: შეუღლების დროს იმარჯვებენ უმკვირცხლესნი, ულამაზესნი, უნიჭიერესნი (გალობა, ცეკვა), მათი თვისებები შთამომავლობაზედაც გადადის, და ჯი'შიც თანდათან წარმატებაში შედის.

5) სქესობრივი ლტოლვილება ცხოველებში მხოლოთ განსაზღვრულ ჟამს იღვიძებს, წელიწადის დანარჩენ დროს იგი მიდუნებულია. მძუნაობის დროს ისეა შერჩეული, რომ შთამომავლობის წარმოშობის დროს მშობელსაც და შვილებსაც საზრდო საკმაოთ ქონდეს. აღნიშნული გარემოებაც, სხვათა შორის, დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ სქესობრივ აკტთან სასიამოვნო გრძნობის დაკავშირებით ბუნება ხელმძღვანელობდა არა ინდივიდუუმის სიამოვნებით, **არამედ შთამომავლობის და მით ჯი'შისა, როგორც მთელის, ინტერესით**.

6) სქესობრივ ლტოლვილების დროს, გარდა აკტისა, ჩვენ ვამჩნევთ ტენდენციას ერთმანეთთან დაახლოვებისას. ეგ უკვე **ფიზიკურ ალერსის** ჩანასახს წარმოადგენს: მტრედები, მაგ., ერთმანეთს ცხვირსა ფხანენ და ამით ურთი-ერთულ ალერსს გამოხატავენ, ბაყაყებში და გომბიოებში ხომ ხვევნა, ერთმანეთზე მჯიდროთ მიკვრა მთელ სქესობრივ აკტს შეიცავს, ლოკოკინები ურთი-ერთული შეხებით დიდ სიამოვნებას განიცდიან, ასევეა მორიელებშიც.

7) რაც შეხება **სიყვარულს,** როგორც სქესობრივ გრძნობაზე აგებულ ფსიქიურ განცდას, დაბალ ცხოველებში ჩვენ ამის მსგავსს ვერაფერს ვხედავთ, იქ სიყვარული და სქესობრივი აკტი ერთი-მეორეს ფარავს, გადის განსაზღვრული წუთები, სქესობრივი ცეცხლი ნელდება და მასთან ერთათ სიყვარულის ძალაც ქრება, სერიოზული და ხანგრძლივი გრძნობა უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ცხოველებს ემჩნევათ, განსაკუთრებით გველებს, ფრინველებს, მაიმუნებსა და ადამიანებს. ბევრი დედალ-მამალი ფრინველი ერთი-მეორეს სა-


მუდამოთ უკავშირდება და ამის შემდეგ ერთმანეთს ძნელათ შორდება, რამოდენიმე დედალ ფარშავანგს მათთვის საყვარელი მამალი ფარშავანგი ჩამოაშორეს, ამის შემდეგ ისინი მთელ ზაფხულს ქვრიკებათ დარჩენ და არც ერთი სხვა ფარშავანგი არ მიიკარეს. განსაკუთრებით ძლიერია ცოლ-ქმრული სიყვარული მტრედებში, მერცხლებში, თუთიყუშებში: თუ ერთი მეუღლეთაგანი კვდება, ცავრისაგან მეორეც მოკლე ხანში წუთი-სოფელს ესალმება. მაიმუნების გრძნობას შემდეგი ფაქტი საკმაოთ ახასიათებს: ერთმა მამალმა მაიმუნმა, როცა იგი თავისი „ცოლის“ სიკვდილში დარწმუნდა, სახე ხელებით დაიფარა, წინ დადგმულ ცამს, რომელშიაც საჭმელი იყო, ზედაც არ მეხედა და იმ ადგილიდან არც კი დაძრულა, ისე განუტევა სული. ველურებში არა იშვიათია თვით-მკვლელობა მეუღლის სიკვდილის ცამო. და ბოლოს.

8) რაც შეეხება სქესობრივ ინსტიკტის **სხვა კორელიატიურ ნიშნებს**, როგორც, მაგ., სქესობრივ იჭვიანობას, კეკლუცობას, ედობრივ სიყვარულს და სხვ., ამის ჩანასახსაც ჩვენ ცერ კიდევ ურინველებში და მაიმუნებში ვამჩნევთ, ხოლო უფრო განვითარებული და მკაფიოთ გამოსახული სახით ვხედავთ ველურებში. სქესობრივი შური, მაგ., უკანასკნელებში იმ ზომამდე მაგრათ არის ცეხ-გადგმული, რომ მოლალატე ცოლს საყვარელთან ერთად კლავენ, ან და სასჯელის ნიშნათ ცხვირსა და ყურს მოჰამენ. სქესობრივ ჭურის შედეგია აგრეთვე ქალიშვილთაგან უმანკოების მოთხოვნა, რომელმაც კაცობრიობის უმრავლეს ერებში ასე მძლავრათ გაიდგა ცესვები.

2. ადამიანის სასქესო ორგანოები და მათი ფუნქციები.

მამაკაცის სასქესო ორგანოებს (იხ.ნახ.1) შემდეგი ნაწილები შეადგენს: ამაკაცის ასო, სათესლე ბუშტები, წინამდებარე ცირყვალი, თესლის ამტარებელი მილები და სასქესო ცირყვლები (яички). დედაკაცის სასქესო ორგანოებს (იხ. ნახ. 2) ეკუთნის: სასქესო ასოების გარეგანი ნა-

წილი (vulva), ბარტოლინის ჯირკვლები, საშო, საშვილოსნო, ფალოპის მილები და საკვერცხეები. დავიწყოთ მამაკაციდან. მის **ასოს** ორგვარი დანიშნულება აქვს: შარდისა და თესლის (სპერმის) გატარება. ამ დანიშნულების თანახმათ მამაკაცის ასოს შეუძლია ორგვარი ფორმა მიიღოს. შარდზე გასვლა მით უფრო ადვილათ ხდება, რაც ასო უფრო რბილია, ხოლო სქესობრივი აკტი მით უფრო კარგათ




ნახ. 1.

12. საშარდე მილი; 7. წინა-მდებარე ჯირკვალი; 6. სათესლე ბუშტი; 4. საშარდე ბუშტი; 13. სასქესო ჯირკვალის კანი. ასოს და მასთან ერთად საშარდე მილის გარეგანი ნაწილი ნახატზე არ არის ნაჩვენები..

სრულდება, რაც ასო უფრო გამაგრებულია. ჩვეულებრივათ, მამაკაცის ასოს რბილი ფორმა და კონსისტენცია აქვს, მაგრამ სქესობრივ აღელვების დროს იგი სისხლით იჟღინთება და ამის გამო, როგორც ზევით ვსთქვით, დიდდება და მაგრდება. აღნიშნულ მოვლენას ერექცია ეწოდება.

საშარდე მილში თესლი **სათესლე ბუშტებიდან** შემოდის, ს მილის ზევითა ნაწილში ხდება. სათესლე ბუშტები რიცხვით არია, როდესაც მოთხოვნილება ხდგება, სპერმა (თესლი) აქედან ხარჯება. სათესლე ბუშტები **თესლის გამტარებელ მილებს** შემეობით შეერთებულია **სათესლე ჯირკვლებთან**, სადაც სპერმის ამომუშავება სწარმოებს. თუ ადამიანი სქესობრივი ან ანანისტური კტებით ბოროტმოქმედებს და ბევრ სპერმას კარგავს, სათესლე უშტებში გამზადებული თესლი აღარ ყოფნის და მაშინ იგი, ახლათ ამუშავებული თუ ჯერ კიდევ შეუმუშავებელი, პირდაპირ სათესლე ჯირკვლებიდან გადის.



ნახ. 2.

საშარდე მილის სათავეს გარს **წინა-მდებარე ჯირკვალი** აკრავს, ქედან სქესობრივ აღელვების დროს ერთგვარი სითხე გადმოდის, ესლს წინ უძღვება და სპერმატოზოიდებს (იხ. ქვევით) მოძრაობას ადვილებს.

ამგვარათ, სპერმას შემდეგი გზა უძევს. იგი სასქესო ჯირკვლებში უშავდება, საიდანაც სპეციალურ მილების შემწეობით ზევით ადის

და საჭიროებამდე სათესლე ბუშტებში ინახება. სქესობრივ აკტის დროს სპერმა ბუშტებიდან საშარდე მილში გადმოდის, იქ მას უერთდება წინა-მდებარე ჯირკვლის-მიერ გამოყოფილი სითხე, ამის შემდეგ სპერმა ჩქარა და მძლავრათ გარბის მთელ გზას და ბოლოს ან გარეთ (ანანიზმის ან პოლიუკიის დროს) ან და ქალის საშოში ინთხევა.

თესლი გარეგნულათ თეთრ მოსქელო წებოს-მაგვარ სითხეს წარმოადგენს, აქვს სპეციფიური, არა-სასიამოვნო სუნი, მუშავდება როგორც ვსთქვით, სქესობრივ მოშწიფების დროს და შემდეგაც სასქესო ჯირკვლებში მისი საბოლოო შემადგენლობა ცოტა რთულია: მასში შედის საკუთრათ თესლი სხვადასხვა სითხეების მიმატებით, რომელიც გზაში ერთვის: ეს მეორე-ხარისხოვანი სითხეები გამოდის თესლის გამტარებელ მილებიდან, სათესლე ბუშტებიდან წინა-მდებარე, კუპერის და აგრეთვე პატარ-პატარა ჯირკვლებიდან, რომელიც ასოში ბევრ ალაგას იმყოფება.

ქიმიურათ გამოკვლეული, სპერმა სხვადასხვა ნივთიერებას შეიცავს: წყალს, ლორწოს, ცილოვან ნივთიერებებს, ნატრის, ფოსფორს და სპერმატინს.

მიკროსკოპის ქვეშ თესლი განსაცვიფრებელ სურათს წარმოადგენს: მასში მოძრაობს ურიცხვი პაწაწინა ცხოველების მსგავსი (**სათესლე ძაფები, სპერმატოზოიდები**); სახით ბაყაყის თავ-კომბალებს მოგაგონებთ, აბიათ მომრგვალო თავი და გრძელი კუდი, რომლის შემწეობითაც ისინი წამდაუწუმ იქით და აქეთ დაცურავენ. თუ კუდი პირობები დაუდგათ, კუდის მოძრაობა ნელი და ზანტი ხდება, ბოლოს თვით სპერმატოზოიდებიც კვდებიან და გარე-მოცულ სითხეში ითქვიფებიან. სათესლე ძაფები სპერმაში მილიონობით მოიპოება, საოცარი გამძლენი არიან, ქალის სასქესო ორგანოებში 10 დღემდე ცოცხლობენ და, იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც სამი კვირის გადაცვლილ ქალს სასქესო ორგანოებში მოძრავი სპერმატოზოიდი უპოვეს.

როგორ წარმოებს **ერექცია**? ზევით გაკვრითა ვსთქვით, რომ ეს მოვლენა მდგომარეობს მამაკაცის ასოს გამაგრებაში და სისხლით გაჟღენთაში. ანატომიურათ მამაკაცის ასო შესდგება სამი, ერთი მეორეს მსგავს, გრძელ და თან რამოდენიმეთ მომრგვალო სხეულისაგან, რომლებიც თვისებით ღრუბელს წააგავს. როდესაც ღრუბელს წყალში ვასველებთ, ნაჩვრეტები წყლით ივსება, და თვით ღრუბელიც მაგრდება, იბერება და დიდდება, ერექციის დროსაც ამგვარი მოვლენა წარმოებს: სქესობრივ ვნებათა-ღელვის ჟამს ჰარბათ მოწოლილი სისხლი ავსებს ასოს შემადგენელ სხეულების ნაჩვრეტებს, რის გამოც თვით ასო გრძელდება, მსხვილდება და მაგრდება. აღწერილ მოვლენის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ გამაგრებულ ასოს შეეძლოს ქალის საშოში შესვლა.

ქალის სასქესო ორგანოებში შედის: დიდი და მცირე ჩარბები, საენებო, საშო, ბარტოლინის ჯირკვლები, საშვილოსნო და საკვერცხეები.

დიდი და მცირე ჩარბები (იხ. ნახ. 2) გარეთ იმყოფება, ამათში მცირე ჩარბებს შიგნითა ადგილი უჭერია, ხოლო დიდი ჩარბები გარედან აკრავს. უკანასკნელნი ბალიშის მსგავს ორ ბაგეებს წარმოადგენენ, მცირე ჩარბები სხვა და სხვა სიდიდისა შეიძლება იყოს. აფრიკის ზოგიერთ ქვეყნებში და, განსაკუთრებით, ჰოტენტოტებში, ეს მცირე ჩარბები ფრიად გრძელი და ფართოა, ხშირათ ბარკლებშიც ჩამოდის და ამ შემთხვევაში ჰოტენტოტების წინ-საფარს უწოდებენ.

საენებოც (похотникъ, клиторъ) გარეთ იმყოფება, სახელდობრ იქ, სადაც ორთავე მხრის მცირე ჩარბები ერთმანეთს უერთდება, შესდგება პატარა მომრგვალო სხეულისაგან და პატარა თავიდან, თავისი თვისებებით მამაკაცის ასოს მოგვაგონებთ. იმგვარათვე შეუძლია სისხლით გაჟღენთა და, მაშასადამე, ერექციაში მოსვლა. იგი ქალისათვის სქესობრივ სიტკბოების მთავარ ორგანოს შეადგენს. ჩვეულებრივათ, როგორც ვსთქვით, საენებო თუმცა პატარაა, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში უფრო დიდი იზრდება და მაშინ მამაკაცის ასოს ძალიან წააგავს. ხშირათ ამ ნიადაგზე ლესბოსური სი-

ყვარულიც ვითარდება, ვინაიდან ასეთი დედაკაცი მეორე ქალის მიმართ ვაჟის როლს ასრულებს.

საენებოს ქვევით საშარდე მილის გამოსავალი იმყოფება, ხოლო ამის ქვევით **საშო** იწყება. ეს უკანასკნელი ორ დაწიშნულებას ასრულებს, სქესობრივ აქტის დროს მასში მამაკაცის ასო თავსდება, ხოლო მშობიარობის ჟამს ამ გზით ბავში იბადება. საშოში ბევრი ნაოჭებია, მათზე ასოს სრესა სქესობრივ აქტის დროს მამაკაცს სიამოვნებას უძლიერებს. სქესობრივ აქტის გახშირების შემდეგ ეს ნაოჭები თანდათან სწორდება, პირიქით, უმანკო ქალიშვილის საშო ამგვარი ნაოჭებით სავსეა.

დიდ ჩარბების უკანა ნაწილში ორი პატარა, ეგრეთ წოდებული **ბარტოლინის ჯირკვალი** ძევს, აქტის დროს აქედან ქონიანი გამჭვირვალი სითხე გამოდის. ქალში ამ სითხის გადმოდენა სიამოვნებასთან არის შეკავშირებული, მამაკაცის ასოს კი გზას უსველებს და აქტის შესრულებას უადვილებს. მხურვალე, ენებათა-ღელვით სავსე ქალებს აქტის დროს ეს სითხე წვეთების მაგივრათ შხეფ-შხეფებათ გადმოსდის. ლორწოვანი სითხის გადმოდენა ხდება აგრეთვე ონანიზმის, სქესობრივ აქტის ცოცხლათ წარმოდგენის დროს და ეროტიულ ხასიათის სიზმარში. უკანასკნელი შემთხვევა მამაკაცის პოლიუციას წააგავს.

საშოს შესავალში ჩვენ ვხედავთ ე. წ. საქალწულო **აფსკს**. ცხოველებში იგი ნაკლებათ არის გავრცელებული, აქით მხოლოთ მაიმუნებს, ხორცის მჭამელებს, მცოხნელთ და ერთ-ჩლიქიანებს. ადამიანის საქალწულო აფსკი სხვა და სხვა არის: ხშირათ ნახევარმთვარეს მოგაგონებთ, ზოგიერთ შემთხვევებში ბეჭდის მსგავსიც არის, ან და ორ ნახვრეტიანი და მაშინ ორ ან ბევრ ფანჯრიანი ეწოდება. პრაკტიკული მნიშვნელობა აქვს საქალწულო აფსკის იმ ფორმას, რომელიც საშოს სავსებით ხურავს. თუ ეს ასეა, მენსტრუაციის სისხლი გარეთ ველარ მიდის და საშვილოსნოში გუბდება, რასაც არა სასიამოვნო შედეგი მოსდევს. სქესობრივ აქტის პირველათ შესრულების დროს ხსენებული აფსკი სკდება და ნაფლეთებათ იქცევა

(**დეფლორაცია**), უმცირეს შემთხვევებში საქალწულო აფსკი შეიძლება ქალს მთელი შერჩეს, და მაშინ იგი მხოლოთ მშობიარების დროს იფლითება, მაშასადამე, ასეთი ქალი თუ კი რომ ის ორსულათ არ არის, შეიძლება უმანკოთ მიიღოთ. მეორე მხრით, ზოგიერთ ქალიშვილებს საქალწულო აფსკი სრულებითაც არა აქვთ, მხოლოთ ნასახი თუ მოეპოებათ. აქაც შესაძლებელია მეორე შეცდომა ჩავიდინოთ და ასეთი ადამიანი უმანკოება დაკარგულათ ჩავთვალოთ. მაშასადამე ეს „გარეგნული“ და უხეში საზომი უმანკოების გამოსაცნობათ არ ვარგებულა, მედიცინა ამ შემთხვევაში უფრო სწორ და უტყუარ საშუალებით ხელმძღვანელობს.

მართალია ძველათ*) თითო-ოროლა ქვეყნებში ქალწულობას ალმაცერათ უცქერდენ, მაგრამ უმრავლეს შემთხვევებში თვით უძველეს დროშიაც და ისტორიის მთელ მანძილზე უმანკოებას იმ განძათ და საუნჯეთ სახავდენ, რომლით სარგებლობა ახალ-შეუღლებულ ქმარისათვის უდიდეს ბედნიერებას წარმოადგენდა.

აზიაში და აფრიკის ზოგიერთ ხალხებში დღესაც ხმარებაშია სხვადასხვა ბარბაროსული ზომები, რომ ქალიშვილებს უმანკოება დააცვევიონ. ნუბიაში, მაგ., პატარა გოგოს მცირე ჩარბებს უკერავენ და მხოლოთ ერთ-ორ ალაგას უტოვებენ თავისუფალ ადგილს შარდისა და შემდეგში თვიურის გადმოსადენათ. ბავშობიდანვე შეხორცებულ ჩარბებს მახვილი იარაღით ყოფენ მხოლოდ ქორწინების დღეს. ინდოეთში და მის ახლო-მახლობათ ჩარბებში რგოლს უყრიან, და ამის შემდეგ სქესობრივი აკტის შესრულება შეუძლელი ხდება. დებე მოგვითხრობს, ჩერქეზეთში ახალ-გაზდა გოგონებს წელზე ტყავის სარტყელს აცმევენ, რომელიც საშოს შესავალს მაგრათ ეკერის და მხოლოთ თვიურის გადმოსადენათ ტოვებს ცოტა-ოდენ ალაგსო. საქორწილო ცერემონიის შემდეგ, თუ დებეს დავერწმუნებით, ქმარი ამ სარტყელს ხანჯლითა სჭრის თურმე.

---

*) და ახლაც იგერ-აგერ, მაგ. იაპონიაში.

საშოს თავი, როგორც უკვე ვიცით, გარეთ გამოდის, ბოლო კი სასქესო აპარატის უმთავრეს ნაწილში-**საშვილოსნოში** გადადის. უკანასკნელის დანიშნულება ის არის, რომ იგი ცხრა თვის განმავლობაში კვებავს, ზდის და ინახავს მასში მყოფ ნაყოფს, ხოლო შემდეგ კი, როცა დრო დადგება, ამ ნაყოფს გარეთ დევნის.

საშვილოსნოს მარჯვენითა და მარცხნით ე. წ. **ფალოპის ანუ კვერცხების გამტარებელი მილები** იმყოფება, თავის მხრით ესენი კიდევ **საკვერცხეებს** უერთდებიან. ეს საკვერცხეები, როგორც სახელი გვეუბნება, ქალის სასქესო ჯირკვლებს წარმოადგენს, სადაც კვერცხები მუშავდება. თითოეული ამ უკანასკნელთაგანი მამაკაცის სპერმატოზოიდთან შეერთების შემდეგ იძლევა ნაყოფს, რომლისგანაც უკვე ახალი არსება ვითარდება. კვერცხი გარემოცულია გამსჭვირვალე სითხეთი და გარსით-**გრააფის ბუშტით**. თვიურის დროს მომწიფებული ბუშტი სკდება, კვერცხი თავისუფლდება (**ვულიაცია**) და ფალოპის მილში გადადის. თუ კვერცხი და სპერმატოზოიდი ერთმანეთს შეხვდენ, რაიცა უმეტეს ნაწილათ, ფალოპის მილში ხდება მაშინ განაყოფიერებული კვერცხი საშვილოსნოში გადადის, და იწყება ორსულობა, ამ შემთხვევაში, თუ კვერცხები განაყოფიერაბას გადარჩა, იგი მაინც საშვილოსნოში ჩამოდის, სადაც დნება და ქიმიურათ იშლება, სამთვარიოს სისხლს უეთრდება და მასთან ერთათ გარეთ მოდის.

თვიური, სამთვარიო ანუ **მენსტრუაცია** წარმოადგენს ისეთ ფიზიოლოგიურ მოვლენას, სადაც ოვულიაციის პროცესთან ერთათ საშვილოსნოში შიგნითა კანი სივდება, სისხლით ივსება, ეს უკანასკნელი ხეთქს კიდევაც ლორწოვან აფსკის ხახელ ზედა-პირს და ჩამოწვეთს ჯერ საშვილოსნოში, იქიდან საშოში და შემდეგ გარეთ. მაშასადამე, ის, რაც თვიურის შემდეგ ქალის სასქესო ორგანოებიდან გარეთ გამოდის, ყოფილა სისხლისა და ლორწოვან სითხის ნარევი. სამთვარიოს მოვლენას ის დანიშნულება აქვს, რომ მისი მეოხებით საშვილოსნოს ლორწოვანი აფსკი ახლდება, ხალისდება, და განაყოფიერებულ კვერცხის მისამაგრებლათ უკეთესი პირობები

ზადდება. სისხლის რაოდენობა შეიძლება იყოს, როგორც რამდე-
იმე წვეთი ისე გაცილებით უფრო მეტიც. სოფლელი ქალი, რო-
ელიც უბრალო და ახალი საჰმელით იკვებება, რომელსაც ცოტა
ვარდი და საფიქრალი აქვს, რომელიც ზომიერ მხიარულებას ეწევა,
აკლებ სისხლს აქცევს, ვინემ რჩეული და ნაირ-ნაირ საჰმელებს
ეჩვეული, ფუფუნება ნებივრობაში და გარყვნილ ფანტაზიის ატმოს-
ერაში აღრზდილი ქალაქის ქალები. საღი, სქელი და ჩაფუნთუ-
ებული დედა-კაცი ნაკლებ სისხლს კარგავს ვინემ სუსტი გამხდარი
ა ნერვებ მოქანცული ადამიანი. მომწიფდება თუ არა ქალიშვილი
ა დაეწყება მენსტრუაცია, იგი მას რამოდენიმე დღით ყოველ თვეში
ებრუნდება და სიტყვა „თვიურიც“ ამიტომ ეწოდება. მენსტრუაცია
როებით წყდება ორსულობაში, ბავშის ძუძუთი კვებით დროს ან
ა ზოგიერთ მძიმე სნეულების დროს.

თვიური სხვადასხვა ქვეყნებში და ხალხებში განუსაზღვრელ
როს იწყება. საილიუსტრაციოთ მოგვყავს შემდეგი ცხრილი, რო-
ელიც საშვალო რიცხვებს შეიცავს.

მენსტრუაცია დაეწყოთ:

შვეციის ლაპლანდიაში	—	—	18	წლისას				
ქრისტეანიაში	—	—	16	წლ.	9	თვ.	25	დღ.
სტოკჰოლმში	—	—	15	„	6	„	22	„
კოპენჰაგენში	—	—	16	„	9	„	12	„
გეტტინგენში	—	—	16	„	2	„	2	„
ბერლინში	—	—	15	„	7	„	6	„
მაუნქენში	—	—	16	„	5	„	12	„
ვენაში	—	—	15	„	8	„	15	„
ვარშავაში	—	—	15	„	1	„	23	„
მანჩესტერში	—	—	15	„	6	„	„	„
ლონდონში	—	—	14	„	5	„	17	„
მონპელიეში	—	—	14	„	2	„	1	„
მარსელში	—	—	13	„	11	„	11	„

კორფუში	—	—	—	14	„	3	„	„	„
მადეირაში	—	—	—	14	„	„	„	„	„
კალკუტაში	—	—	—	12	„	„	„	6	„
ეგვიპტეში	—	—	—	10	„	„	„	„	„

თითოულ ქვეყანაში განსხვავებას ვამჩნევთ. ქალაქის მცხოვრებთა შორის და მაღალ წრეებში სამთვარიო, შედარებით, ადრე ეწყებათ, ასევე ითქმის ებრაელ ქალიშვილებზეც. საერთოთ, მენსტრუაციის ხანა გვიან უდგებათ იმათ, ვინც მძლავრია, ჯანმრთელი და ვინც ბევრსა საქმობს. პირიქით, ვინც სუსტი ფერ-მიხდილი და სისხლ-ნაკლულოვანია, ვინც მთელ დღეებს უსაქმობაში ატარებს, იმათ სამთვარიო ადრე ეწყებათ.

თვიურის დადგომის სუბიექტიური ნიშნები შემდეგია: ქალიშვილი თავს უქეიფოთ გრძნობს, სახე უწითლდება, ოდნავ აცხელებს, გულიც ერევა, თვალების გარეშემო ლურჯი რგოლები ევლება, მუცლის ქვედა ნაწილში და წელში სიმძიმესა გრძნობს, მოქანცული და მოსხლტილია, სასქესო ორგანოებში ნელ ქავილსაც განიცდის. ბევრს საშოდან სისხლის გადმოწვეთის შემდეგ დაღლილობა ეკარგება, მადა და სულის მხიარული განწყობილება უბრუნდება. რასაკვირველია, მაინცა და მაინც მენსტრუაციის მოვლენას ყველა ამგვარათ არ განიცდის. ზოგს იგი კიდევ უფრო ეტყობა, ზოგი კი მას სულ ადვილათ იტანს. უკანასკნელ შემთხვევაში უსიამოვნო გრძნობისა და განცდის სრულებით ალაგი არა აქვს და თვიურის დადგომასაც დაგვიანებულათ იგებენ, მაგ., ცეკვის და თამაშის დროს ან და ძილის დროს. სხვებს, პირიქით, თვიურის დაწყების წინ და მის დროსაც, გარდა ზევით ჩამოთვლილ ნიშნებისა, უჩნდებათ შაკიკი, მუცლის ქვემო ნაწილში მძლავრი ტკივილი შემოაფრინდებათ, ნერვები ეშლებათ და სხვ. აღსანიშნავია, რომ ეს უსიამოვნო მოვლენები გათხოვებისა და ორსულობის შემდეგ ზოგიერთებს სრულიათ ესპობათ.

ქალის ცხოვრებაში მენსტრუაციას ადგილი აქვს დაახლოვებით 45-50 წლამდე. ისეთი შემთხვევებიც ბევრია, სადაც სამთვარიო უფრო

ადრე წყდება. კიშის დაკვირვებით, 500 ქალში 10%-ს თვიური 35-40 წლებში შეუჩერდათ, 18%-ს 51-55 წლებში. კრიგერის მიერ შეკრებილი მასალა შემდეგ საშვალო რიცხვებს გვაძლევს;

სამთვარიო შეუწყდათ ანუ, როგორც მედიცინაში ამბობენ, **კლიმაქტერიული ხანა** დაუდგათ:

17, 87%-ს	36—40	წლებში
25, 97%	41—45	„
41, 03%	46—50	„
14, 58%	51—54	„
6, 54%	35 წლამდი და შემდეგ.	

საზოგადოთ, რაც ცხოვრება უბრალო და მარტივია, მით კლიმაქტერიული ხანა უფრო ადრე დგება. აბაშელ (აბესინიის) ქალებს სამთვარიო, შუათანა რიცხვით, 30 წელზე ესპობათ, კუნძულ ტაიტზე მცხოვრებ დედაკაცებს 35 წელზე, აფრიკის ზანგთა უმრავლეს ტომებში—35—40 წლებში, ჩრდილო ამერიკის ინდოელებსა და ჩინელებში 40 წელზე, იაპონელებში 50 წელზე. ებრაელებს თვიური ძალიან ადრე უდგებათ და დაგვიანებულათ ესპობათ, ოფლის ხალხს კლიმაკტერიული ხანა უფრო ადრე უდგებათ, ვინემ ხალალ და შეძლებულ წრეების ქალებს.

კლიმაქტერიულ ხანაში გადადგომა ხშირათ ქალის სხეულში არავითარ ცვლილებებს არ იწვევს, მაგრამ ზოგიერთჯერ კი ხსენებულ გარემოებას თან მოსდევს გამუდმებული შაკიკი, სისხლის თავში მოწოლა, წელის ტკივილი, მთელ სხეულში სიმძიმის გრძნობა, ვერვების აშლა და აგრეთვე თითო-ოროლა ადგილობრივი მოვლენებიც.

ამით დავსმთავროთ მენსტრუაციაზე საუბარი და რამდენიმე სიტყვით შევეხოთ **სქესობრივ აკტს**. უპირველესათ განვიხილოთ ამ მოვლენის **ფიზიოლოგიური მხარე**. სქესობრივ აკტის დროს ადგილობრივ შემდეგი მოვლენა წარმოებს:

მამაკაცის ასოს საშოს კედლებზე ხეხვა სასქესო ორგანოთა ვერვების ახალ და ახალ გაღიზიანებას იწყებს. ვაჟის მხრით ეს გა-

ღიზიანება ახდენს თესლის გადმოდენას საშარდე მილში, ხოლო აქედან სპეციალურ კუნთების შემწეობით მის შხეფ-შხეფათ გადმოდენას ქალის საშოში (ვიკულაცია), დედაკაცის მხრით ერექციაში მოდის ძუძუს თავები, საყვებო, მცირე ჩარბები, საშოს კედლები და საშვილოს ყელი; შემდეგი ახალ-ახალი გაღიზიანება მასში იწვევს სხვადასხვა ჯირკვლებიდან ლორწოვან სითხის გადმონთხევას.

ამავე დროს საზოგადოთ სხეულში შემდეგი ფიზიოლოგიური მოვლენა წარმოებს: სქესობრივი აქტი მთელ ტანში ღრმა და ძლიერ შერყევას იწვევს, განსაკუთრებით დიდი მუშაობა აწვება გულსა და ნერვიულ სისტემას. გულის ძგერა ძლიერდება, თვალები ბრწყინავს და ელვარებს, შეხების გრძნობა უმაღლესათ მახვილდება, მთელ სხეულს ოდნავი ცახცახი და ჟრუანტელი იცავს. აქტის შესრულების შემდეგ ორგანიზმი იქანცება, ისხლიტება, სუნთქვა და სისხლის მოძრაობა ნელი ხდება, თვალები ნაბდება და მკრთალ გამომეტყველებას ღებულობს, ხმა სუსტდება და ხრინწიანდება, მუხლები იკეცება, სიზანტე და დაღლილობა იცავს მთელ არსებას, განსაკუთრებით ვაჟისას.

ფსიქოლოგიურ განცდის წვლილი სქესობრივ აქტში შემდეგ ნაირია:

პირველათ ჩნდება ადგილობრივი სიამოვნება, რომლისთვისაც ნიადაგს ჯერ კიდევ შეხება, ხვევნა-კოცნა, თვალისა, ყურისა და ყნოსვის-მიერ მიღებული შთაბეჭდილება ამზადებს. ადგილობრივი გრძნობა მალე ინტენსიურ ხასიათს ღებულობს, მთელ სხეულს ედება და აქტის მონაწილე ქალ-ვაჟის არსებას სავსებით იპყრობს. სიტკბოება უმაღლეს ხარისხს (ორგაზმს) აღწევს თესლის გადმონთხევის (ვიკულაციის) დროს და შემდეგ მსწრაფლ ქრება. ამის შემდეგ რეაქცია დგება. ქალ-ვაჟს სრული გულგრილობა იცავს ერთიმეორისადმი, ხშირათ ერთმანეთის დროებით შეძაგებაც ხდება, გასული წუთები სიზმრათ ეჩვენებათ, აქტის გახსენება აღარ უნდათ, სულის ასეთი განწყობილება განსაკუთრებით მამაკაცს ემჩნევა. აი რა აშკარათ გამოსჭვივის ბუნების ტენდენცია ადამიანთა სქესობრივ

აკტში!*) სანამ ბუნებას თესლისა და კვერცხის შეერთება სწადია, ის უძლიერესი ურთი-ერთული ლტოლვილებით ავსებს კაცისა და ქალის არსებას, მიყავს ისინი ერთი-მეორესთან, ახდენს წინასწარ საჭირო პროცედურას, აკრებიებს მათ მთელ ძალ-ღონეს, ფიზიკურსა და სულიერს, სჭვალავს მათ საერთო აზრითა, სურვილით და აღტაცებით, მაგრამ აი, შთამომავლობის შთასახვის საქმე სწორ გზაზე დგება და, ბუნებაც იჩქარის, რომ ქალ-ვაჟს ურცხვათ გამოსტაცოს ეს სურვილი, ვნებაცა და აღტაცებაც. უნებლიეთ გაგონდებათ პეპლების შესახებ: „ცარიელი, დაცლილნი ჰურჭელნი, რომლითაც თავიანთი დანიშნულება უკვე შეასრულეს“.

სქესობრივ აკტის დახასიათებას მოკლე შენიშვნით დავამთავრებთ. ქალ-ვაჟი ხსენებულ აკტს ერთ და იმავე დროს იშვიათად ათავებს. უმეტეს ნაწილათ ვაჟი ასწრებს ქალს. შეიძლება ათ და ოც შემთხვევაში მხოლოდ ერთი მოხდეს ისე, რომ დედაკაცმა და ვაჟმაც ერთ და იმავე წუთებში განიცადონ ორგაზმი.

ახლა ესეც ვიკითხოთ, თუ რა ემართება მამაკაცის-მიერ გამოყოფილ სპერმას?

სქესობრივ აკტის დროს საშვილოში დანთხეული თესლი აუარებელ სათესლე ძაფებს შეიცავს, განაყოფიერებისათვის კი ერთი სპერმატოზოიდიც საკმაოა. აქაც ბუნების ჩვეულებრივ დაუზოგველობას ეხვდებით. გაიხსენეთ პეპლები, ჭიანჭველები და ფუტკრები. იქაც მილიონობით იბადება და კვდება მამლები, განაყოფიერების საქმეს კი მხოლოდ ერთი აკეთებს. ამ დაუზოგველობას ბევრი იმით ამართლებს, თითქოს ბუნებას სახეში ქონდეს ყოველგვარი ხელის-შემშლელი პირობები, რომელნიც, შეიძლება, ჯიშის გამრავლების საქმეს წინ გადაეღობონ და ამიტომ მამლებს გაცილებით მეტს წარმოშობს იმ რიცხვთან შედარებით, რაც შემდეგში მართლადაც საჭირო იქნება.

*) იმ შემთხვევაში, თუ ქალ-ვაჟს სერიოზული დამოკიდებულება—სიყვარული ან იდეურ ნიადაგზე აღმოცენებული მოწონების გრძნობა აერთებს, აღნიშნული რეაქცია თავის მწვავე ხასიათს კარგავს.

საშოდან სპერმატოზოიდები, რომელთაც დამოუკიდებელი მოძრაობა შეუძლიათ, საშვილოსნოში მიძვრებიან და იქიდან კიდევ ფალოპის მილში. გზაში ბევრი დაბრკოლებანი ხვდებათ, რის გამოც მრავლის ცოტაოდენი იღუპება და მიზანს ვერ აღწევს,—ზოგი ათასგვარ ნაოჭებში რჩება და იქ კვდება, ზოგი კიდევ საშოს მჟავე სითხეს ვერ იტანს და სხვა ბევრი, როგორც იქნება, მაინც აღწევს ქალის კვერცხებამდი და ყოველ მხრიდან უტრიალებს მას, სანამ ერთი იმათგანი არ მოახერხებს კვერცხის გარსის გაბურღვას და შიგ შეძრომას. ამის შემდეგ სხვა სპერმატოზოიდების კვერცხში შესვლა შეუძლებელი ხდება, ისინი ქიმიურათ იშლებიან და გარემოცულ წრეში ითქვიფებიან. კვერცხში მოთავსებულს კუდი ძვრება, ხოლო თავი, რომელშიაც მოკრეფილია მთელი სასიცოცხლო ენერგია და მისი პატრონის წინაპართა შთამომავლობითი თვისებები, შეერთდება დედის თვისებათა მატარებელ კვერცხის გუნდთან და ორთავე ერთათ იძლევა ჩანასახს მომავალი არსებისას (განაყოფიერების აკტი). იხ. ნახ. 3.

3. სქესობრივი ცხოვრება ადამიანის ინდივიდისა.

სასქესო ორგანოთა მომწიფება, მათ-მიერ განსაზღვრულ ფუნქციების შესრულება და სქესობრივ ცხოვრების გაღვიძება არ ხდება ერთბაშათ, მოულოდნელათ. ისე, როგორც ყოველივე ფიზიოლოგიურ მოვლენას ადამიანის სხეულში, მათაც აქვთ თავისი დასაწყისი, განვითარების უმაღლესი წერტილი და დასასრული.

სქესობრივი სიმწიფე ყველა მოდგმის ბალხებსა და ინდივიდებს ერთსა და იმავე დროს არ უდგებათ: ქალაქში მცხოვრებლებს სოფლელებზე ადრე, გონებრივათ მომაცადინეთ უფრო ადრე, ვინემ ფიზიკურათ მომუშავეებს.

სქესობრივი მომწიფება ადამიანის სხეულში, სხვათა შორის, **ანატომიური ცვლილებებით** გამოიხატება. ვაჟის სასქესო ჯირკვლები და სასქესო ორგანოთა გარეგანი ნაწილები ამ დროს უკვე მო-

ზრდილია, სხეული მაღალი და განიერია, ჩონჩხი ფართოა, მენჯი (таз) ვიწრო, ტუჩების ზეკითა და ქვეკითა ადგილები, ნიკაპი, ლოყები, ღლიავები, სასქესო ორგანოთა გარეგანი ნაწილები და სხეულის სხვა ზოგიერთი ადგილები ბალნით იმოსება, ხმა იცვლება და ბოხდება. ალტი და სოპრანო ბანზე და ტენორზე გადადის.

ქალის ტანი უფრო ნაზი და სათუთია. ძვლები, შედარებით, სუსტია, მენჯი ფართო და განიერი, გვერდი ვიწრო, კანის ქვეშ მდებარე ფენა მეტ ქონს შეიცავს და ამიტომ სხეულის ფორმები მორგვალებული, ლამაზი და მოყვანილია. ძუძუები უკვე საკმაოთ განვითარებულია, სასქესო ორგანოთა გარშემო და ღლიავებში ქალი ვაჟსავით არის ბალნით შემოსილი, პირისახეზე და სხეულის დანარჩენ ნაწილებზე ბალანი ნაკლებათ ამოდის, ხმა არ ეცვლება, მხოლოდ იგი განსაკუთრებულათ ნაზი, წკრიალა და მელოდიური ხდება. საერთოთ, დედაკაცი დაქალების დროს ნაკლებ ცვლილებას განიცდის, ფორმითა და აგებულობით იგი ბავშს უახლოვდება. ეს კანონი ზითელი ძაფივით არის გატარებული ცხოველთა მთელ სამეფოში.

ფიზიოლოგიურათ, სქესობრივი მომწიფება ვაჟში პოლიუციებით აღინიშნება, ქალში კი ოვულიაციითა და მენსტრუაციით.

რაც შეეხება **სულიერ მხარეს**, მომწიფებულ მამაკაცს უფრო აქვს მინიჭებული შემოქმედებითი ფანტაზია, გათვალისწინებისა და ღრმა კრიტიკის ნიჭი, გამოგონებისა და გამჭრიახობის უნარი, გრძნობის მხრით ვაჟი ტლანქი და უხეში, მაგრამ პირდაპირი და გულწრფელია, მისი ვნებანი ხანმოკლეა.

ქალს შემოქმედებითი ნიჭი და კრიტიკის უნარი, შედარებით, ნაკლებათ აქვს განვითარებული, მაგრამ რაც შეეხება შეთვისებას და შეთვისებულის გონებაში აღდგენას (მეხსიერება), იგი მამაკაცს არ ჩამორჩება. ქალის გრძნობა ნაზია, ბუნებით ის შთაბეჭდილებიანია, თანამგრძნობია, დამთმობელია, ცრუ-მორწმუნეა, ნაკლები ეგოისტია, მაგრამ თვალთ-მაქცია და გულწრფელობას მოკლებული. ცხოვრობს აწმყოთი, უფრო სიხარულისა და სიმწუხრის გრძნობე-

ბით, ვინემ გარკვეული მიზნით. თავის სქესს ძვირათ უმეგობრდება, მთელ თავის სიცოცხლეს მამაკაცსა და შვილებს სწირავს.

საჭიროა აქვე შევნიშნოთ, რომ, მაშინ, როდესაც მამაკაცის სქესობრივი ცხოვრება სქესობრივი აკტით თავდება, დედაკაცი ამგვარ ცხოვრებისაგან ორსულობის სახით მძლავრ და ხან-გრძლივ გავლენას განიცდის. შემდეგ, დედაკაცის სქესობრივი გრძნობა თავის დიდ ტვინთან არის შეკავშირებული, ხოლო ვაჟის ამგვარი გრძნობა, შედარებით ტვინის ნაკლებ-მნიშვნელოვან ნაწილებთან არის დაკავშირებული. აი, სად უნდა ვეძიოთ იმ ფაკტის ახსნა, რომ თუ ქალმა მუშაობას მოკიდა ხელი ან და სხვა გვარათ გარყვნილების გზას დაადგა მისი გასწორება და პატიოსან გზაზე დადგომა ბევრათ უფრო ძნელია, ვინემ ამნაირ პირობებში მყოფ მამაკაცისათვის. ხსენებულ გარემოებას მოწმობს ქვემოთ მოყვანილი დაკვირვება ფორელისა, რომელიც სულით ავათმყოფ დედაკაცებს შეეხება. ,,თვით უთვინიერესნი და ნორმალურ მდგომარეობაში სქესობრივათ ცივი ქალები სულიერ დაავადების დროს შეიძლება უსაშინელესმა ეროტიზმა შეიპყროს და ნამდვილ მეძავ ქალებს დაამსგავსოს. ცნობილია, რომ პსიქიატრულ სამკურნალოთა იმ განყოფილებაში, სადაც შფოთიანი და მოუსვენარი ქალებია მოთავსებული, ეროტიული დედაკაცები ყოველთვის გარს ერტყმიან აქიმს, ჩქმეტენ და ფხაჭნიან მას, ერთი სიტყვით, სიყვარულის ახსნით, კოცნა-ალერსით და იჭვიანობით საშველს არ აძლევენ... შემოიარეთ ახლა თუნდაც ქალთა თანახლებით სავაჟო განყოფილებები, სწორეთ გაოცდებით, ისეთ გულ-გრილობას და ღრმა სქესობრივ ინდიფერენტიზმს იჩენს თვითოეული ამ სულიერ ავათმყოფთაგანი. მხოლოთ უმცირესი ნაწილი თუ ამჟღავნებს ეროტიზმს და კმაყოფილდება ზოგი ონანიზმით, ზოგი პედერასტიულ ცდითა. თუ რამდენიმე შფოთიან ავათ-მყოფს გამოვაკლებთ, ახალგაზდა მანდილოსნებს დამშვიდებით შეუძლია ყველა განყოფილებები შემოიაროს. ერთი ახალგაზდა და მოხთენილი ტანადობის მჭონე ასისტენტი-ქალი ქბ. ექიმი გ., მართალია, ძალიან გაბედული, ციურიხის პსიქიატრულ

საავათმყოფოს ყველა სავაჟო განყოფილებებს მარტო ჩამოიცლიდა, თვით უშფოთესსაც კი და არასოდეს არც ერთ ავათ-მყოფისაგან ცოტაოდენი უსიამოვნებაც არ მიუღია, საქალო განყოფილებაში ამავე პირს მისივე სქესის ავათ-მყოფები საშველს არ აძლევდენ და ისევე ექცეოდენ როგორც მამაკაც-ასისტენტებს.

საინტერესოა საკითხი შესახებ **სქესობრივ გრძნობის გაღვიძებისა**. ძალიან ხშირათ იგი გარეშე მიზეზებიდან არის გამოწვეული და ამიტომ ნაადრევია. ნათქვამი გულისხმობს როგორც პატარა ვაჟებს, ისე ქალიშვილებსაც. არის ისეთი შემთხვევები, როცა პატარა ბავშები ჯერ კიდევ ხუთი ან ექვსი წლისა ზოგიერთ პირობებში უკვე განიცდიან სქესობრივ სიამოვნებას. ასეთი მომენტებია: სასქესო ორგანოთა ფხანა-ქავილი და სატკივრები, მეორეთ ბავშების ერთათ წოლა და ჩახუტება, ფრეიდს ავათ-მყოფებმა განუცხადეს, რომ პირველათ სქესობრივი სიამოვნება იმათ განიცადეს ბავშობისას ამხანაგებთან ჰიდაობის დროს, შემდეგ, ხსენებულ გრძნობას აღვიძებს ახოთი თამაშობა და მისი წვალება, იქნება თვით ბავშის მიერ გამოწვეული, თუ დედისა და გამდელის უგუნური ჩვეულება, ამგვარათვე ამოქმედებს ბავშის ასოზე ძალა და სიმძიმის მიწოლა, ხეზე ასვლა, იატაკზე ხოხვა, ეტლში ნჯღრევა, თეძოების ერთმანეთზე მიკვრა (ფრეიდის აზრით, ეს საშვალება ხშირია ქალიშვილებში) ან და ცხენზე ჯდომა. ხშირათ სქესობრივი ლტოლვილება პატარებს უდროოთ უვითარდებათ ცუდი ამხანაგების ზედ-გავლენით. ისიც შეიძლება, რომ ცხოველთა, ფრინველთა ან მწერთა სქესობრივ აქტის ცქერამაც მიიქციოს ბავშის ყურადღება. სქესობრივ მოთხოვნილების ნაადრევათ გაღვიძებას შემდეგში უმეტეს ნაწილათ ონანიზმი მოსდევს და ეს ამ ხანაში მით უფრო დამღუპველია, რომ ჰაბუკის ბუნება მომწიფებამდი ჯერ კიდევ შორს არის და მეორეთ შეუგნებლობის გამო იგი ბოროტ-მოქმედობს ონანისტური აქტებით.

დანარჩენ, ძლიერ უმცირეს შემთხვევაში სქესობრივ ინსტიქტის გაღვიძება გარეშე მიზეზებისაგან დამოუკიდებლათ და, მაშასადამე, ძალდაუტანებლათ ხდება. ახალ-გაზდა ჰაბუკის ასო ერექცი

აში მოდის, ამავე დროს ქალებზე ფიქრი ან და მათი ცქერა ხშირათ აღელვებს მას. ჰაბუკის სურვილები ჯერ გამოურკვეველი და ბუნდოვანია. პირველ ხანებში ის თავის მდგომარეობას ვერ ხსნის, ლამაზ ქალების ახლოს კი მორცხვობს, წითლდება, ბუნებრივათ მიხვრა-მოხვრას ვერ ახერხებს, შემდეგ ახალგაზდა ამჩნევს, რომ სასიამოვნო გრძნობის სათავე ასოშია, ინსტიქტურათ და უფრო კი შეგნებით [illegible] მალე მიხვდება, რომ ყოველივე ამას რაღაც საიდუმლო მჭიდრო კავშირი აქვს ქალთან და მის სასქესო ორგანოებთან. გარეშე ქალის სხეულის რომელიმე, ჩვეულებრივათ დაფარულ, ნაწილის რეალურათ დანახვა ყმაწვილს სიცხეში აგდებს; იწყება ფანტაზიის გაძლიერებული მუშაობა, ილიუზიებით სავსე წარმოდგენა ქალის ტანზე, სქესობრივ აქტის განცდაზე და სხვა. ძილში სქესობრივი გაღიზიანება ერექციასთან შეკავშირებული ახდენს თესლის გადმოდენას (**პოლიუციას**): ყმაწვილს ესიზმრება, ვითომც იგი ეხვევა, კოცნის ან და სქესობრივათ უკავშირდება ამა თუ იმ, უმეტეს ნაწილათ, საინტერესო ქალს. სიზმარშივე თუ გამოღვიძების დროს თესლის გადმონთხევასთან ერთათ იგი განიცდის სქესობრივ სიტკბოების გრძნობას. მალე სიყვარულიც მოდის. გამოუცდელი, ახლათ მოწოდებული სქესობრივ ცხოვრებისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ მოუმწიფებელი, ახალგაზდა ჰაბუკი ილიუზიებით სავსეა, ცხოვრება სამოთხე გონია, ადამიანები ანგელოზები, საყვარელი არსება სავსებათ მიაჩნია და საკუთარი პიროვნება კიდევ მის მცველ დევ-გმირათ წარმოუდგენია.

ნუ დავივიწყებთ დედრობით სქესსაც. პატარა გოგონა უკვე თამაშობის დროს ფსიქოლოგიურათ ემზადება მომავალ დედობისათვის, თავს იქცევს დედოფალებით და ვითომც ძუძუსაც აწოვებს მათ, შემდეგში იგი, უფრო მოზდილი, კეკლუცობს და კოხტაობს, ხშირათ გრძელ კაბებს იცვამს და ვითომც დიდ ქალებს ემსგავსება. რაც შეეხება დედათა სქესში სქესობრივ გრძნობის გაღვიძებას, ცნობილია, რომ თუ იგი ნაადრევათ არ არის გამოწვეული, ზოგადი ხასიათისაა და სქესობრივ აქტთან ნაკლებათ არის შეკავშირებული.

ამწუხარით უკანასკნელი დროის დაკვირვებათა მთელი რიგი სულ უფრო და უფრო ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ, ისე როგორც ვაჟებში, ქალთა სქესშიაც სქესობრივ მოთხოვნილების გაღვიძება და დაკმაყოფილება დიდძალ შემთხვევებში ნაადრევათ ხდება. განსაკუთრებით ეს ითქმის ქალაქში მცხოვრებ ახალგაზდებზე*).


სქესობრივ მომწიფების დროს მოპირდაპირე სქესებში იწყება **ზრშიყობა**. ორთავე სქესის წარმომადგენელნი ცდილობენ, რომ ერთმანეთის წინაშე თავიანთი ბუნებრივი თუ ხელოვნურათ შეძენილი თვისებები გამოაჩინონ და ერთი-მეორეს თავი მოაწონონ. ყურადღების ღირსია ქალთა ბუნების ერთი თვისების აღნიშვნა. მაშინ, როდესაც დავაჟკაცებულ მამაკაცის სქესობრივ გრძნობის ობიექტს მეორე სქესი შეადგენს და ვაჟთან კოცნა-ალერსს ნორმალურ ადამიანს ვერ აფიქრებიებთ, ქალებში მამაკაცებისადმი ლტოლვილებასთან ერთათ ვამჩნევთ ერთმანეთს შორის კოცნასა და ხვევნას, ერთათ წოლას და სხვა. ამ ნიადაგზე დედრობით სქესში ხშირათ ლესბოსური სიყვარული ვითარდება.

კავკასიის მოდგმაში დავაჟკაცება 14-18 წლებში ხდება, ხოლო დაქალება 12-17 წლებში. ზოგიერთ ერებში 12-13 წლის ჰაბუკი უკვე სქესობრივათ მომწიფებულია, ინდოელებში არა იშვიათათ ვაჟები 12-13 წლისანი ირთავენ ცოლსა და ქალებიც ამდენივე ხნისა იხოვდებიან.

სქესობრივი პოტენცია (შემძლებლობა) უფრო ძლიერია 20-40 წლებში, 40 წლის შემდეგ მამაკაცი უკვე დამშვიდებული ხდება ისი ეროტიული სურვილები ადრინდელათ მხურვალე და ენერგიანობით აღსავსე აღარ არის. 50 წელს იქით სქესობრივ პოტენციის შესუსტება ჩქარი ნაბიჯით მიემართება წინ, ერექცია ხან-მოკლე

*) პროფ. **იუნგის** გადმოცემით, ამერიკის ორთავე სქესის ახალგაზდობის 90% (ესე იგი სულ ყველა) მიჩვეულია ონანიზმს. ამასვე ამბობს პროფ. **ბერერი**. პროფ. **როლენდერის** დაკვირვებით ონანის ცოდვით არის შეპყრობილი ოსწავლე ახალ-გაზდობის ორთავე სქესის ცხრა მეათედი (9/10). შემდეგ თავები ჩვენ კიდევ გვექნება ზემთხვევა ამ საკითხს დაუბრუნდეთ.

ხდება და მას ჩვეულებრივი ძალა აღარ შესწევს, ცოტაოდენი უსიამოვნება ან შიში, ან რაიმე სხვაგვარი აღელვება უკვე მოქმედებს მასზე. 60 წელს შემდეგ სასქესო ჯირკვლები მაგრდება, მამაკაცის ასო თავის სიდიდეში კლებულობს, მას სისხლი აღარ აწვება, ერექცია ქრება. როგორც ჩვეულებრივი მოვლენა და საზოგადო კანო-



კვერცხის კიდეზე მოთავსებული გუნდი.

ნახ. 3.

განაყოფიერების აქტი.

ნი ეს ასეა, მაგრამ არის გამონაკლისი, სადაც სინამდვილე სუ_ სხვას გვეუბნება. ლევენფელდი სწერს: ერთ 75 წლის მოხუცს ჩინებული ბიჭუნა ეყოლა, მეორეს-76 წლისას პოლიუციები ემართებოდაო, მესამეს საყვარელი ყავდა და მეოთხე, უკანასკნელის მეგობარი, სამეძაო სახლებშიაც დადიოდაო.

დედათა სქესში სქესობრივი გრძნობა მთელი თავისი სიძლიერით იღვიძებს მხოლოთ სქესობრივ ლიამოვნების განცდის შემდეგ. კლიმაქტერიულ ხანაში რამდენიმე ხანს მას კიდევ აქვს ადგილი და

ხანდახან ისეთი შემთხვევები არის, როდესაც ქალი მოხუცებულია ან და ხანში შესულია, სახეზე ნაოჭების დაღი აზის, მაგრამ სქესობრივი მოთხოვნილება კიდევ აწუხებს. ევროპიელ მწერალ-ქალმა კარინ მიხაელისმა განათლებულ საზოგადოების გულის-ყური იმით მიიპყრო, რომ თავის ნაწერებში დაგვანახა ტრაღიზმით სავსე მდგომარეობა იმ ქალისა, რომელიც მამაკაცის თვალში უკვე დამჭნარია, რომლის დიდება მხოლოთ წარსულშია, მაგრამ რომელსაც ნამდვილათ კი ახლა გაუცნია ცხოვრების სიტკბოების გემო, ძალა სქესობრივ ლტოლვილებისა და ამიტომ მთელი თავისი არსებით სწადია დროს მსვლელობა შეაჩეროს და მოხუცებულებს ეომოს. საინტერესოა ქვევით მოყვანილი ცხრილი, იგი ხანში-შესულ ქალთა გათხოვებას შეეხება. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ზოგიერთ შემთხვევებში გათხოვება ახალგაზდა კაცებზე მომზადარა, ცხადია თვალ-საჩინო ადგილი აქ სქესობრივ ლტოლვილებასაც უნდა დაუთმოთ.

მიუნჰენის სტატისტიკურ ბიურომ გამოაქვეყნა ცნობები ახალგათხოვილ ქალთა შესახებ. მათი ხნოვანება 51-60 წელს უდრიდა, ქმრების წლოვანება კი შემდეგი იყო:

		ქორწინებათა რიცხვი.		
		1907 წ.	1908 წ.	1901-19
ქმარი	25----- წლისა	1 „	1 „	5
	26—30 „	—	3 „	8
	31—40 „	6 „	8 „	49
	41—50 „	10 „	10 „	102
	51—60 „	22 „	29 „	186
	61 წელზე მეტი	9 „	12 „	80

ირლანდიაში ათი წლის განმავალობაში 45-55 წლის ქალები ითხოვილან მამაკაცებს, რომელთა წლოვანება იყო:

35	შემთხვევაში	—	17--25 წელი.
145	—	—	26—35 „
227	—	—	36—45 „

55 წელზე გადამდგარი ქალები მითხოვილან შემდეგ მქონე მამაკმაცებს:

3	შემთხვევაში	—	17—25 წლისას.
12	—	—	26—35 „
15	—	—	36—45 „
52	—	—	46—55 „

ამით შევწყვიტოთ ამ საკითხზე საუბარი და ორიოდე სიტყვით განვიხილოთ **სიყვარულის გრძნობის** პირველი ჩასახვა და განვითარება. ეს გრძნობა არა იშვიათია ბავშვებში. პირველათ შეიძლება სიყვარულის საგანი ეკუთვნოდეს როგორც მოპირდაპირე, ისე მისს სქესსაც. ეს უკანასკნელი გარემოება უცნაურათ არ უნდა გვეჩვენოს, ვინაიდგან სქესობრივ გრძნობის დიფერენციაცია შემდეგში ხდება. ვაჟს უყვარდება თავისი ამხანაგი, პატარა გოგონასაც კიდევ თავისი მეგობარი ან და მასწავლებელი ქალი. დროს განმავლობაში ერტიული მისწრაფება უფრო გარკვეულ ხასიათს იღებს და სიყვარულის ობიექტათ მეორე სქესის არსება ხდება. ვაჟს უხარია ქალიშვილთან თამაშობა და დროს გატარება, ქალიშვილიც, თავის მხრით, ვაჟისკენ მიიღტვის და ასე. ეს სიყვარული ჯერ კიდევ მოკლებულია სქესობრივ ელემენტს, ამასთანავე, ზერელე ხასიათისაც არის და ბავშვის ბუნებას სავსებით არ იცავს, როგორც ეს დიდებში ხდება. ყოველ შემთხვევაში, აქაც, თუმცა იშვიათათ, არის შემთხვევები, განსაკუთრებით დიდ პიროვნებათა ცხოვრებაში, როდესაც ნორჩ შეყვარებულთა გრძნობა ღრმა და სერიოზულ განცდას მოგვაგონებს. დანტე ცხრა წლისა იყო, როდესაც ბეატრიჩე შეუყვარდა, კანავა ხუთი წლისა ძლივს იყო, როდესაც სიყვარულმა დაიმონავა, ბაირონი 8 წლისა და ლერმონტოვი ათი წლისა შეიპყრო ძლიერმა გრძნობამ. ინდივიდის ცხოვრების შემდეგ საფეხურებზე სიყვარულს რამდენიმეთ სქესობრივი ხასიათი ეძლევა. მოზდილ ბავშს ებადება სურვილი თავის საყვარელ არსებასთან ახლოს იყოს, მოეფეროს და ეალერსოს მას. დედათა სქესს ასეთი, იდეალურათ გამოხატული, გრძნობა შერჩება შემდეგშიაც, თუმცა სავსებით არა.

დავაჟკაცების დროს სიყვარულის ემოციაში შემოდის მკაფიოთ გამოსახული სქესობრივი ელემენტი-სურვილი, სატრფოსთან ფიზიკურათ შეერთებისა. შეუძლებელია პლატონიური ხასიათი მივცეთ მოზრდილთა სიყვარულს, იგი გაჟღენთილია სურვილით, სქესობრივ მიდრეკილებათ, მხოლოთ მამაკაცში ეს ლტოლვილება ცოტა უფრო გამოსახულია და ქალში კი ნაკლებათ არის გამომჟღავნებული. სიყვარულის განვითარება ხდება სქესობრივ გრძნობის განვითარებასთან ერთათ. გონებრივი სიმწიფე და ცხოვრების გამოცდილების გაფართოება სიყვარულს უფრო მშვიდ და დაწყნარებულ ხასიათს აძლევს, სხვა დადებით მხარეებთან ერთათ თვალ-საჩინო როლს თამაშობს სატრფიალო ობიექტის ზნეობრივ-გონებრივი ღირსებები. მოხუცებულობის ხანაში სიყვარულის გრძნობა თავის სიმწვავითა და სიცხოველით თავს იშვიათათ იჩენს, თუმცა გამონაკლისს, ისე როგორც ყველგან, აქაც ვხვდებით: არის შემთხვევა, როდესაც მოხუც მამაკაცში, რომელსაც სქესობრივ აქტის შესრულება აღარც კი ძალუძს, მოულოდნელათ იფეთქებს მძლავრი სქესობრივი სიყვარული, ან და წრეს გადასულ ქალს თავ დავიწყებით უყვარდება ახალ-გაზდა კაცი და სიყვარულის ნამდვილი ალი იტაცებს.

სქესობრივ გრძნობის გაღვიძება და განვითარება თანამედროვე მეცნიერებაში გამეფებულ თვალ-საზრისით დაახლოვებით იმ გვარათ ხდება, როგორც ეს მოკლე სქემატიურათ ჩვენ გადმოვეცით. თქმა არ უნდა, ცხოვრების მიმდინარეობა და ადამიანის ბუნება, კერძოთ, ბევრგვარი და მრავალ-ფეროვანია. თითოეული ერთეულის განვითარება, გარეშე იმისა, რომ იგი არსებობის ზოგად კანონებს ემორჩილება, განიცდის თავის განსაკუთრებულ არსებობას, რომლის ზოგიერთი მოვლენები ცხოვრების საზოგადო კალაპოტში არ ეტევა. მაშასადამე, ვიმეორებთ, ჩვენ-მიერ სქემატიურათ გადმოცემული აღწერა სქესობრივ ლტოლვილების განვითარებისა საზოგადო სურათს წარმოადგენს და ყველა ინდივიდუალურ შემთხვევებზე ვერ გავრცელდება.

სქესობრივ ცხოვრების წარმოშობა და განვითარება ამ ბოლო დროს თავისებურათ გაანათა და ორიგინალური დაკვირვებებით განამტკიცა ევროპიელ მეცნიერმა ფრეიდმა. მისი თეორია თანამედროვე მეცნიერებაში გამომუშავებულ შეხედულებისაგან მაგრათ განსხვავდება და დიდი კამათი და აყალმაყალიც ასტეხა მან თავის გარშემო. ნებას ვაძლევთ ჩვენ თავს ამ ორიგინალურ თეორიის შინაარსი მკითხველს მოკლეთ გადავსცეთ.

პროფესორი ფრეიდი გამოდის იმ თვალთახედვის ისრიდან, რომ ბავშობის ხანაში (დაბადებიდან ვიდრე 6—8 წლამდე) ბევრი საყურადღებო და საინტერესო მოვლენა ხდება, რომელიც ბავშის სქესობრივ ცხოვრებას შეეხება. ეს მომენტები ბევრს შემდეგში ავიწყდება, ვინაიდან შეგნების სფეროდან სათანადო წარმოდგენები შეგნების ქვევითა დარგში გადადის. გადასვლა გამოწვეულია სხვადასხვა პირობათა ზეგავლენით, იქნება ეს სირცხვილი, შეძაგება, მორალური და ესთეტიური წარმოდგენები, თუ სხვა რამ სულიერი ძალა. ამგვარათ, ხდება სქესობრივი გრძნობის, ადამიანის მომწიფებამდი, სავსებით ან რამდენიმეთ ჩაკვლა და სათანადო ენერგიის სხვა მიზანზე მიმართვა (**სუბლიმაცია**). რაც სქესობრივ მხარეს მეტი ენერგია აკლდება და სხვა რაიმე დარგს ხმარდება, მით აღზრდა იდეალურია და პირიქით.

რაში გამოიხატება, ფრეიდის აზრით, ბავშის სქესობრივი ცხოვრება? უპირველესათ ყოვლისა წოვნა და ლოკვაში. ტუჩების გაღიზიანება, იქნება ეს საჭმელით თუ სხვა რითიმე გამოწვეული, პატარა არსებაში სქესობრივ სიამოვნებას იწვევს. ამიტომაც არის, რომ მას ასეთი ხალისით მიაქვს ყოველივე საგანი პირში და ლოკავს დაუსრულებლივ. განსაკუთრებით ბავშში ძუძუს წოვნის დროს სიამოვნობს, ამ დროს მისი ყურადღება სრულიათ გაჩერებულია, მას ლოყები უწითლდება, ღიმილი ებადება, ნეტარებაში მყოფს მალე ძილიც უსწრებს. ამ სურათს ფრეიდი ამსგავსებს მოზრდილ ადამიანის სულიერ განწყობილებას სქესობრივ აკტის შემდეგ... წოვნას ზედ ერთვის ხელების სმა და თათუნი სხეულის სხვადასხვა

საგრძნობელ ნაწილებზე—მკერდზე, სასქესო ორგანოებზე და სხვა-გან. აქედან ერთი ნაბიჯიღაა ონანიზმამდი, რომელსაც გვერდს ვერ უვლის ვერც ერთი ძუძუ-მწოვარი ბავში. ტუჩებს შემდეგ მეორე ადგილი უკავია უკანა გასავალს, რომლის გაღიზიანებაც იწვევს სქესობრივ სიამოვნებას. ხშირათ ბავშები ბუნებრივ მოთხოვნილების შესრულებას აგვიანებენ, რომ მუცელში შეიკვრან და შემდეგ უკა-ნა გასავალში მეტი სიამოვნება მიიღონ. თვალსაჩინო ადგილი უკა-ვია აგრეთვე სასქესო ორგანოებს: მათი გაღიზიანება სხვადასხვა უწმინდურობით, რომელიც მათზე გროვდება, მათი ბანა და ზედ ხელების სმა— ყოველივე ეს სქესობრივ სიამოვნებას იწვევს. ფრეიდი არავითარ განსხვავებას არ ხედავს ვაჟებსა და ქალებს შორის, თავის ნათქვამში იგი გულისხმობს როგორც პირველთ, ისე მეორეებსაც. უფრო მოზრდილ ბავშებში სქესობრივი გრძნობა უსირცხვილობაში გამოიხატება, პატარას უხარია გაშიშვლება და, განსაკუთრებით, სასქესო ორგანოების გამოჩენა. შემდეგში იგი უდიდეს ყურადღებით და ცნობის მოყვარეობით ეკიდება აგრეთვე სხვის სასქესო ნაწი-ლებს და უპვრეტს სხვებს, როცა ისინი ბუნებრივ მოთხოვნილებას ასრულებენ. თუ აქამდე ბავშს თავისი სხეული ყოფნიდა, თუ სქე-სობრივ სიამოვნების გამოწვევაში იგი მეორე პირს არ საჭიროებდა, ერთი სიტყვით, თუ ის **აუტოეროტიული** იყო, აქ უკვე სქესობრივ ვრძნობაში **გეტეროეროტიული** ელემენტი შემოდის. მალე უსირ-ცხვილობას ზედ ერთვის სისასტიკე. ის ბავშები, რომლებიც განსა-კუთრებული შეუბრალებლობით ექცევიან ცხოველებსა და ამხანა-გებს, ამავე დროს სქესობრივ ცხოვრების მხრით ნაადრევათ განვი-თარებულნი არიან. მოზარდ თაობაში, განსაკუთრებით ქალიშვი-ლებში ხშირია აგრეთვე ღმით შარდის შეუკავებლობა, რაიცა პო-ლიუციებს უდრის*). ზოგიერთ შემთხვევაში სქესობრივი გრძნობა მჟღავნდება აგრეთვე სხეულის რითმიულ ნძრევის დროს, ეტლის ნჯღრევაში, კუნთების მაგრათ მოკუმშვის დროს, გარდა ამისა, შიში,

*) ამ მოსაზრებას მოლლიც ადასტურებს.

თავ-ზარის დაცემა, ეკზამენების წინ ცახცახი და აღელვება, ტვინის გაშეშება და მოქანცვა, მისი ხან-გრძლივი შეჩერება ძნელ ამოცანის გამოყვანაზე—თითოეულ ამ მომენტს შეუძლია სქესობრივ სიამოვნებისა და პოლიუციის გამოწვევა.

ბავშობის შემდეგ ხანაში, როგორც ზევით ვსთქვით, სქესობრივ მიდრეკილების სხვადასხვა გვარი გამომჟღავნება იჩრდილება სქესობრივ მომწიფებამდი. თუ ეს ჩაჩრდილვა არ მოხდა და სქესობრივ გრძნობის რომელიმე მიმართულებამ განვითარება შემდეგშიც განაგრძო, მაშინ ჩვენ ნორმალურ ლტოლვილების მაგივრათ დამახინჯებულ სქესობრივ მიდრეკილებას ვღებულობთ.

ასეთია ფრეიდის შეხედულება ინდივიდის სქესობრივ ცხოვრების განვითარების. ხსენებულ მეცნიერს თავის კვლევა-ძიების დროს მხოლოთ ჰეშმარიტება აინტერესებდა, ბევრ შემთხვევაში ახალი-საკუთარი მეთოდით პსიქო-ანალიზით ხელ-მძღვანელობდა და გადმოგვცა ფაკტები ისე, როგორც მას ეს ეჩვენებოდა.

რა თქმა უნდა, ყოველივე ახალ შეხედულებას თან ახლავს უკიდურესობაც და ამ ნაკლულევანებისაგან არც ფრეიდის თეორიაა თავისუფალი. ძნელია იმ ზოგად აზრის მიღება, რომ ძუძუს წოვნა, სისასტიკე, ბავშური უსირცხვილობა და სხვა რამ ასეთი სქესობრივ ცხოვრების გამომჟღავნებას წარმოადგენდეს, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ამ მეცნიერის ბევრი დაკვირვებანი სიმართლეს უახლოვდებიან. ყოველ შემთხვევაში, ბავშის პსიქო-ფიზიოლოგიურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ იმდენი რამ არის ბნელი და გამოუცნობელი, რომ საჭიროა პატარეებზე სისტემატიური და მრავალ-მხრივი დაკვირვება. მომავალი გვეტყვის, თუ რა არის ფრეიდის შეხედულებაში საღი და ისტორიისთვის გადასულები და მეორე მხრით, რაშია გადაჭარბება.

1. სქესობრივ გრძნობის მასაზრდოებელი წყაროები და მისი ინტენსიურობა.

სქესობრივი ლტოლვილება არ წარმოადგენს ისეთ მოვლენას, რომელიც ყოველ ჟამსა და ალაგს ერთნაირი ძალით მოქმედებს. არის დრო, როდესაც იგი მიყუჩებულია, დგება მომენტი, როდესაც იგი იღვიძებს და დაკმაყოფილებას მოითხოვს. სქესობრივ გრძნობის გაღვიძებასა და გაღიზიანებას ბევრი სხვადასხვა პირობები იწვევს. და ჩვენც ვეცდებით ეს პირობები მოკლეთ ჩამოვთვალოთ.

სქესობრივ ლტოლვილებას ორ გვარი მოვლენები აღვიძებს: სომატიური და ფსიქიური. პირველი რიგი შეიძლება კიდევ დავყოთ შინაგან და გარეგნულ მოვლენებათ, მეორე რიგში შედის მხედველობის, სმენის, ყნოსვის და შეხების ორგანოთა მიერ მიღებული შთაბეჭდილებანი, ფანტაზიის მუშაობა, ემოციონალური განცდა და სხვ. შევჩერდეთ ჯერ **სომატიურ** პირობებზე და კერძოთ **გარეგნულ** მოვლენებზე.

როგორც მამაკაცში, ისე ქალში სხეულის ზოგიერთ ნაწილების გაღიზიანება სქესობრივ სიამოვნებას იწვევს, ამ ნაწილს **ეროგენულ ზონებს** უწოდებენ. ასეთია მამაკაცში: ასო და განსაკუთრებით, ასოს თავი, სასქესო ჯირკვლები, დუნდულები და უკანა გასავალი; ქალებში: საძენძო, მცირე ჩარბები, საშოს შესავალი, საშვილოსნის ქვემო ნაწილი, დუნდულები, უკანა გასავალი, საშარდე მილის აფაკი და ძუძუს თავები. ლევენფელდს მოყავს ერთი დაკვირვება, სადაც ბავში ოყნის კეთებისაგან უკანა გასავალში სქესობრივ სიამოვნებასაც კი გრძნობდა (ფრეიდი!). დუნდულებზე ცემა, მათი ცხელი ხელით შეთბობა, მასაჟი, მართალია ყოველთვის არა, მაგრამ ბევრ შემთხვევაში აღვიძებს სქსობრივ ლტოლვილებას. აქედან ცხადია, რა დანაშაულობას ჩადის ის, ვინც ბავშს ტანის რბილ ნაწილებზე ეკმს, იგი ამით ხელს უწყობს ბავშის სქესობრივ გრძნობის ნაადრევათ გაღვიძებას და მის ცოდვაში ვარდება.

შინაგანი ფაქტორებიდან, რომელნიც სქესობრივ ლტოლვილებას ასულდგმულებს, ყურადღების ღირსია შემდეგი პირობები:

1) **სპერმის მოგროვება** სათესლე ბუშტებში. ეს მოვლენა სქესობრივ მოთხოვნილებას აძლიერებს, თესლის დახარჯვის შემდეგ სქესობრივი გრძნობა ნელდება. დედრობით სქესში თესლის როლს ამ შემთხვევაში თამაშობს სამთვარიოს წინ სასქესო ორგანოებში სისხლის ჩამოწოლა.

2) **სასქესო ნაწილების და მათ მახლობლათ მდებარე ადგილების გაღიზიანება** სატკივრებით ფხანა-ქავილით და სხვ. საშარდე მილის ანთების (მაგ. სუსუნატის) დროს ხშირია ასოს ერექცია, ამგვარათვე მოქმედობს საშარდე ბუშტის სნეულება და განსაკუთრებით, პირდაპირ ნაწლევის დაავადება. ქალებში სქესობრივ მოთხოვნილებას ბადებს საშვილოსნოს და საკვერცხეების სხვადასხვა სნეულებით გაღიზიანება და უფრო ხშირათ კი გარეგან სასქესო ნაწილების ქავილი. ესე მაგ., ზოგიერთ შემთხვევებში ქალიშვილის სასქესო ორგანოებს უზომოთ აღიზიანებს უკანა გასავლიდან გადმომძვრალი წვრილი ჭიები.

3) სქესობრივ ლტოლვილებას აძლიერებს **ხერხემლისა და თავის ტვინის სნეულება,** იმ შემთხვევაში, რასაკვირველია თუ სასქესო ცენტრების გაღიზიანება ხდება.

უნდა ვიფიქროთ, რომ ზევით ჩამოთვლილ პირობათა გავლენა ნერვიულ ნიადაგზე წარმოებს, პირიქით ქვევით მოყვანილი რეაგენტები, რამდენათაც სარწმუნოა, ქიმიურათ უნდა მოქმედებდეს. ამათ ეკუთვნის სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებანი, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს ე. წოდებული **ლიბიდოგენური ნივთიერება**. იგი, როგორც თანამედროვე მეცნიერება ფიქრობს, სასქესო ჯირკვლებში მუშავდება. იმყოფება თესლშიაც, საიდანაც სისტემატიურათ სისხლი გადადის და სისხლიდან კი ნერვიულ სისტემაზე მოქმედებს. ლიბიდოგენური ნივთიერება სქესობრივ გრძნობას არა თუ ასულდგმულებს, ის ამზადებს მისთვის ნიადგს, თუ სავსებით არა, რამოდენიმეთ მაინც ქმნის მამაკაცსა და ქალს თავ-თავისი გან-

მასხვავებელი კორელიტიური თვისებებით. ხსენებულ ნივთიერების მნიშვნელობა პირველათ მეცნიერულათ აღსნა **ბრაუნ-სეკარმა** (1889 წ.). თავის აღმოჩენას იმან პრაკტიკული ინტერესიც მისცა, მოხუცებულ ადამიანს კანში სასქესო ჯირკვლების ეკსტრაკტს (ხანგრძლივი ხარშვით გამოღებულ წვენს) უშხაპუნებდა და ვითომც მას გაახალგაზდავებასაც ატყობდა. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ჯერ კიდევ უძველეს დროიდანვე იყო შემჩნეული, რომ ბავშობისას სასქესო ჯირკვლების ამოჭრა (**კასტრაცია**) ჯაბუკის მომწიფებულ მამაკაცათ გარდაქმნას ხელს უშლიდა. ასეთ ადამიანს არ ამოდიოდა წვერი და ულვაშები, იგი სუსტი და ღონე ნაკლები რჩებოდა, მთელ მის სიცოცხლეში სქესობრივ მოთხოვნილებას ძილიან ნაკლებად განიცდიდა, სხეულის ფორმებით და ბავშური ხმით დედაკაცს მოგაგონებდათ. ყვინჩილას რომ სასქესო ჯირკვლები ამოვჭრათ, იგი დედლიდან განსხვავებული თითქმის აღარც კი იქმნება, მაგრამ ამოჭრილ ჯირკვლების ნაწილი რომ მუცლის ბუდეში შეუტანოთ და სხეულთან შეუსისხლხორცოთ, ამას უკვე დეზები ეწოდება და საერთოთ, ის ნამდვილ მამლათ იქცევა.

სასქესო ჯირკვლების ანუ საკვერცხეების ამოჭრის შემდეგ ქალის სასქესო ორგანოების განვითარება უკანა ნაბიჯით მიდის, საშვილოსნო პატარავდება და თავის სახეს კარგავს, სქესობრივი მოთხოვნილება ნელდება, იწყება თავ-ბრუს სხმა და ოფლიანობა, ნერვების აშლა და სხვა. ყოველივე ამ მოვლენას, მხოლოთ უფრო ნაკლებათ, ადგილი აქვს კლიმაქტურიულ ხანაშიც, როდესაც საკვერცხეები ბერდება და თავის დანიშნულებას ველარ ასრულებს. ხსენებულ ორგანოებს გარდა, ადამიანის სქესობრივ ცხოვრებასთან მჭიდრო ქიმიური კავშირი აქვს **ფარის მაგვარ ჯირკვალს**, მაგრამ ეს კავშირი დღეს-დღეობით საიდუმლო და გამოუცნობელია.

იმ ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებიც ადამიანის სქესობრივ ლტოლვილებაზე მოქმედებენ, ეკუთვნის იოხიმბინი, მუირაციტინი, სპერმინი, ზაფრანა, ვანილი, ფოსფორი და სხვ. სქესობრივ გაღიზიანებას იწვევს ბევრი ხორცის ჭამა, აგრეთვე ღვინო და არაყი,

იმ შემთხვევაში, თუ ისინი ძლიერ გადაჭარბებულათ არ იხმარება, ლოთობა, პირიქით, სქესობრივ გრძნობას და შემძლებლობას ინელებს. ნაირ-ნაირი მხურვალე საჭმელებიც, როგორც, მაგ., ხახვი, პილპილი, მდოგვი, აგრეთვე ლოკოკინები აძლიერებს სქესობრივ ლტოლვილებას.

მძიმე სნეულებიდან მოკეთების შემდეგ სქესობრივი გრძნობა ერთი-ორათ იჩენს თავს. ამ გარემოების მიზეზი ლიბიდოგენურ ნივთიერებათა გადაჭარბებულ დამუშავებაში უნდა სუფევდეს. ყურადღების ღირსია, რომ სქესობრივ ლტოლვილებას ინტენსიურათ განიცდიან აგრეთვე ჰლექიანები, ხედავ, ადამიანი მისუსტებულია, უსისხლო და ფერ-მიხდილია, სული ეხუთება, ხველისაგან მოსვენება აღარა აქვს, მაგრამ სქესობრივი მოთხოვნილება კი ძალზე აწუხებს.

ასეთია სქესობრივ გრძნობის გამომაფხიზლებელი სომატიური წყაროები. ქვევით ჩამოთვლილი მოვლენები **ფსიქიურ** სფერას ეკუთვნის. ძნელია იმის თქმა, რომ ამ უკანასკნელთა მოქმედება სავსებით ასოციაციურია, ესე იგი, **ისინი იწვევს** სასიამოვნო წარმოდგენებს და ამას შედეგათ სქესობრივ ლტოლვილების გაღვიძება მოსდევს, თუ მათი მოქმედება რამდენიმეთ აგრეთვე ისეთივე პირდაპირია, როგორც სომატიური ფაქტორებისა. განსაკუთრებით ეს ითქმის **ყნოსვის** მიერ მიღებულ შთაბეჭდილებებზე. ცხოველებს შორის და ველურ ხალხებში ყნოსვას სქესობრივ ლტოლვილებაზე პირდაპირი და დიდი გავლენა აქვს, განათლებულ ერებში მის მოქმედებას ამასთანავე ასოციაციური ხასიათიც აქვს. ზევით თავ-თავის ალაგას უკვე გვქონდა შემთხვევა აგვენიშნა ის ფაქტი, რომ ხვლიკებში, ნიანგებში, თხებში, ცხვრებში, ჯიხვებში, ირმებში და სხვა მოდგმებში სხვადასხვა სუნს სქესობრივ დარგში დიდი გასავალი აქვს. საილუსტრაციოთ შეგვიძლია კიდევ ერთი-ორი ფაქტი მოვიყვანოთ. დედალი ბუზები, მაგალითათ, კვერცხებს მაშინ სდებენ, თუ მათ ლეშის სუნი ეცემათ, თუ საყნოსავ ორგანოებს პაწაწინა ულვაშებს მოვაშორებთ, კვერცხების დების ინსტიკტი სამუდამოთ ყუჩდება. მინდვრის პეპლები დედლებს ყნოსვით პოულობენ, მშვენიერ სქესის

სუნი უკვე 20-30 ნაბიჯის სიშორეზე ეცემათ, წავები და კანადის ან და ციმბირის გარეთხები სქესობრივ აღელვების დროს სასქესო ორგანოებიდან იმგვარ სითხეს უშვებენ, რომელნიც თავისი სურნელებით დედლებს სქესობრივ მოთხოვნილებას უღვიძებს. ეს სითხე, სათანადო ჯირკვლებიდან ამოღებული, მედიცინაში წამლათაც იხმარება, როგორც გამომაფხიზლებელი და გულის გამაღონიერებელი საშვალება.

ულაყ ცხენებს სქესობრივ წყურვილს უღვიძებს ჰაკი ცხენის სასქესო ორგანოთა სუნი. განყოფიერების შემდეგ დედლიდან ეს სუნი აღარ მოდის და ულაყ ცხენსაც მასთან ახლოს ყოფნა წინანდებურათ აღარ აღელვებს. ესეც კიდევ ერთი საბუთი იმისა, რომ **ბუნებას სახეში აქვს მხოლოთ და მხოლოთ ჯიშის გამრავლება** და არა ცალკე ერთეულთა ინტერესი.

რაც შეეხება თანამედროვე ადამიანებს, ყნოსვას პირველი ადგილი უკავია ბრმების ცხოვრებაში. ნორმალურათ განვითარებულ ადამიანზე ამდენათ არა, მაგრამ მაინც თვალ-საჩინოთ მოქმედებს მეორე სქესის მთელი სხეულის, განსაკუთრებით, თმის, კეფისა და მკერდის სუნი. ამაში, ალბათ, ოფლის სუნიც შედის, თუმცა ღლიავების ოფლის გარდამეტებული სუნი ბევრს ყოველივე სიამოვნებას უკარგავს. მამაკაცთა ასაღელვებლათ, შეგნებულათ თუ ინსტიკტურათ, ქალები ძველი დროიდანვე ნაირ-ნაირ საშვალებებს („духи“) მიმართავენ, რომ ბუნებრივ სუნს ხელოვნურიც დაუმატონ და ამით მეტი შთაბეჭდილება მოახდინონ. პირიქით, ბევრ ქალს არ უყვარს, როცა ვაჟი ხელოვნურ სურნელებებს ხმარობს. უკვე ზევით ნახსენები მწერალი ქალი კარინ მიხაელისი თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში გვეუბნება, მამაკაცებს თავიანთი სხეულის ბუნებრივი სუნი ეყოფათ და ამიტომ მათ ხელოვნურ საშვალებებს არ უნდა მიმართონო.

სქესობრივ ლტოლვილების აღძვრაში თავისი წვლილი **შეხების** გრძნობასაც შემოაქვს. იგი ცხოველთა ზოგიერთ მოდგმებში დიდ როლს თამაშობს (ლოკოკინები, გომბიოები, მორიელები). გავიხსენოთ აგრეთვე ადამიანის ეროგენული ზომები. გარეშე ამისა, სქესო-

ბრივ გრძნობის ფსიქიური მოქმედებით აღვიძებს და აძლიერებს მეორე სქესის რბილი და ნაზი კანის შეხება, პირიქით, კორხლებიანსა და უსწორ-მასწორო კანს უსიამოვნობის ელემენტი შემოაქვს. ულონო, მომყოლი კუნთების შეხება სქესობრივ მოთხოვნილებას ანელებს, რბილი, მაგრამ რეზინისებური მოუდრეკელი ტანი ამ გრძნობას აცხოველებს. კოცნა-ხვევნის მიერ მიღებული სიამოვნება ნახევრათ მაინც შეხების გრძნობაზეა დამყარებული. შემდეგ, სხეულის, თბილი რითიმე, მაგ., ცხელი წყლით გაღიზიანება სქესობრივ გრძნობას აღვიძებს, ცხელი კანის მქონე ქალის შეხება მამაკაცს სურვილს უმატებს და სხვა.

სმენის პირდაპირი მნიშვნელობა ცხოველთა სამეფოში, როგორც მაგ. ფრინველებში და მწერებში დიდია, ხოლო ადამიანის სქესობრივ ლტოლვილებასთან მას შორეული კავშირი აქვს—მუსიკა, მაგ., უმეტესათ, იმ შემთხვევაში თუ იგი სამხიარულოა, ადამიანის ყველა ფუნქციების მიმდინარეობას აადვილებს და ამით სქესობრივ გრძნობის გაძლიერებასაც შორეულათ ნიადაგს უმზადებს.

გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს **მხედველობის** მიერ მიღებულ შთაბეჭდილებებს. ჯერ ერთი, ადამიანზე მოქმედებს მოპირდაპირე სქესის გარეგნული სილამაზე. ამ შემთხვევაში მშვენიერების გრძნობა და სქესობრივი ლტოლვილება ერთ და იმავე წყაროთი იკვებება. გაღიზიანება შეიძლება მოახდინოს როგორც მთელი სხეულის მიმზიდველობამ, ისე ტანის ცალკე ნაწილებმა, მაგ., თეთრმა კისერმა, გულ-მკერდმა, ლამაზათ მოყვანილ ხელმა ან ფეხმა, კოხტათ შეკერილ ტანისამოსმა, სამკაულებმა და სხვა. სხეულის მოყვანილობის გარდა, ადამიანზე მოქმედებს მიმიკა, ცეკვა, გრაციული ან და სუბუქი, მაგრამ ძალ-ღონით სავსე მოძრაობა. ვაჟს აღელვებს კოხტათ მოცეკვავე ქალები, დედაკაცს სქესობრივ გრძნობას უძლიერებს მოჯიდავეები და კარგი ცხენოსნები. მოლლი სწერს: „მე ვფიქრობ, რომ ქალს სქესობრივ მოთხოვნილებას უღვიძებს მუნდირის ტანზე მჯიდროთ მიკვრა და სხეულის ფორმების გამოჩენა. ამაში სხვათა შორის, ის საოცარი დაკვირვებაც გვარწმუ-

ნებს, რომ „ჟოკეები“, „ლაქიები“ და სხვები ძალიან ხშირათ შეადგენენ მიზანს ქალთა სქესობრივ ლტოლვილებისას. ცირკში, მაგალითათ, სულ ადვილათ შეგიძლიათ შეამჩნიოთ, თუ რა მაგრათ ღელდებიან ქალები ტრიკოში ჩაცმულ აკრობატებისა და გიმნასტების ჰვრეტით“.

სქესობრივ გრძნობის აღძვრაში თვალსაჩინო ადგილი უკავია **ფანტაზიის** მუშაობას. როგორც ვაჟს, ისე ქალსაც ხშირათ ხსენებულ გრძნობას უღვიძებს არაჩვეულებრივი რამ, სხეულის დაფარული ნაწილების, პერანგის ან სხვა რაიმე ასეთის დანახვა. ვაჟს აღელვებს შიშველი ქალი, მისი სასქესო ორგანოები, ძუძუები და მენჯის ახლო-მახლო მდებარე ნაწილები, საჭიროა დავუმატოთ, რომ ასეთ მოვლენას ადგილი აქვს მხოლოთ განსაზღვრულ ჟამსა და ადგილს, შეიძლება, მაგალითათ, მხატვარს, თუ იგი შორი-ახლოდან დურბინდით შეიარაღებული მობანავე ქალებს უთვალ-თვალებს სქესობრივი მოთხოვნილება გაუცხოველდეს, მაგრამ იგივე პირი, თუ კი ის ნორმალურ ადამიანს წარმოადგენს, შემოქმედების პროცესში გართული ალბათ წყნარათ და დამშვიდებულათ ხატავს შიშველ ქალს.

ოჯახის წევრები ერთი-მეორეში სქესობრივ გრძნობას ვერ იწვევენ, ვინაიდგან ისინი თავიდანვე ერთათ შეზრდილნი არიან, მუდამ ერთმანეთს ხედვენ და, მაშასადამე, აქ ფანტაზიისათვის საინტერესო არაფერია. ცოლ-ქმარშიც შეჩვევის გამო დროთა განმავლობაში სქესობრივი გრძნობა ნელდება და აქტიც შაბლონური და აკლებათ საინტერესო ხდება. ველურებში შიშველ ადამიანის დანახვა მეორე სქესზე არ მოქმედებს, იმიტომ რომ სიშიშვლე მათში ყოველდღიური მოვლენაა, ხოლო სხვადასხვა სამკაულებით მორთული და წინსაფარით შემოსილი ველური მოპირდაპირე სქესს საოცათ აღელვებს. მაჰმადიანებში მამაკაცებს სქესობრივ ლტოლვილებას უღვიძებს ქალის პირისახეზე შეხედვა, ევროპიელს—ქალის ტიტველა ფეხების დანახვა და ასე.

დაბალ ან საშვალო კლასის ვაჟს უმაღლესი წრის ქალი და ასი ათასგვარ ხელოვნებით შეზავებული სილამაზე სქესობრივი

მხრით უფრო აღელვებს. მეორე მხრით შესაძლებელია, მაღალი საზოგადოების ადამიანშიც დაბალი წრის არსებამ, მის ჯანმრთელობამ, საღ და ბუნებრივ მშვენიერებამ ძლიერი სქესობრივი აღელვება გამოიწვიოს. ერთში და მეორე შემთხვევაშიც აქ ერთმანეთს ხვდება ორი უცნობი წრის წარმომადგენელნი, ისინი ერთმანეთისათვის ახალ პიროვნებებს, არაჩვეულებრივ რაიმეს წარმოადგენენ. „ქალის თვალები ერთი წუთით შეჩერდა ვაჟის მძლავრ ხარისებურ კისერზე: იგი მზისაგან დამწვარი იყო და ფეთქავდა ჯანმრთელობითა და ტლანქი, უხეში ძალითა. თუმცა ვაჟს ასეთი წყნარი და დამორცხვებული სახის გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ ქალმა მაინც უნებლიეთ იგრძნო მისდამი ლტოლვილება. თვით იგი განცვიფრდა მოულოდნელი აზრის თავში გატარებით, მან გაიფიქრა, რომ ამ კისრის გარშემო ხელების მოხვევა მასში გადმონერგავდა ვაჟის მთელ ჯანსაღობასა და ძლიერებას. ამ აზრის თავში გატარებამ ქალს თავსზარი დასცა. ფიზიკური ძალა მისთვის მუდამ ტლანქი და ცხოველური რამ იყო და მას ვერას გზით ვერ წარმოედგინა, თუ როგორ დაებადა ასეთი სურვილი—დამწვარ კისრის გარშემო ხელების მოხვევა“ (ჯეკ ლონდონის რომანი „მარტინ იდენი“).

ზემოხსენებულს გარდა, ფანტაზიის მუშაობა იმითაც გამოიხატება. რომ ცუდათ დაფარული სურვილი, ალერსი და კოცნა ორ სქესის არსებათა შორის –ყოველივე ეს მათ სქესობრივ განცთას აძლიერებს და ფრთას ასხამს იმ აზრის შეგნებით, რომ აღელვება ურთი-ერთულია, რომ სქესობრივ გრძნობას განიცდის არა მხოლოთ ერთი, არამედ ორი არსება. პირიქით, ცივათ მოპყრობა და უგუნებობა აქტის ერთ-ერთ მონაწილესაგან მეორე პირის სურვილს ანელებს, მამაკაცზე უარყოფითად მოქმედებს აგრეთვე ქალის უსირცხვილო ყოფა-ქცევა და თავ-დაუჭერლობა, ხოლო მორცხვობა და უმანკოება, ბუნებრივი სინაზე და პასიურობა ვაჟის სურვილს აცხოველებს.

ფანტაზიის მუშაობით შეიძლება აგრეთვე თავის თავში სქესობრივ ლტოლვილების აღძრა საინტერესო პირის სხვადასხვა

მომხიბლავ ფორმებისა და მდგომარეობის წარმოდგენით. ფანტაზიის ასეთი მუშაობა, საზღვარს გადაცილებული, ე. წოდებულ გონებრივ ონანიზმის პირველ საფეხურს წარმოადგენს.

იდეურ დარგის წვლილი რომ განვიხილოთ სქესობრივ ცხოვრებაში, დავინახავთ, რომ თანამედროვე განვითარებულ გემოვნების მქონე მამაკაცს ქალში ზოგიერთ სხვა პირობებთან ერთათ ხიბლავს ჭკუა-განვითარება, გამჭრიახობა, სიამაყე და მიუდგომლობა. საშუალო გემოვნების მქონე დედაკაცს ლამაზი, მხნე და ძლიერი მამაკაცი მოსწონს, გონებრივათ უფრო განვითარებულ, ან და ღრმა ბუნების მქონე ქალს კი ვაჟის სხვა თვისებები, მისი სულიერი სილამაზე, გონებრივ-ზნეობრივი ავლა-დიდება და განსაკუთრებული ნიჭი (მწერლობა, ორატორობა, მომღერლობა, მსახიობობა და მემუსიკობა) იტაცებს.

სქესობრივ ლტოლვილების აღძვრაში სხვა სულიერ მხარეებთან ერთათ თავისი ელემენტი შემოაქვს **გრძნობათა** სფეროსაც. სასიამოვნო ემოციები და სულის კარგი განწყობილება სქესობრივ სურვილებისა და აზრების გამოწვევას ხელს უწყობს, დაღვრემილობა და მწუხარება კი, პირიქით, კლავს ასეთ გრძნობებს. ყურადღების ღირსია ის ფაკტიც, რომ ზოგიერთი ეფექტები, განსაკუთრებით, შიში თავისი ღრმა მოქმედებით ადამიანის ფსიქო-ფიზიოლოგიურ ბუნებაზე, სასქესო ცენტრებს აღიზიანებს და არა-იშვიათათ პოლიუკიებსაც იწვევს. ამ გარემოებას ფრეიდის გარდა ამოწმებს ლევენფელდი და სხვებიც.

სქესობრივ ლტოლვილებაზე მძლავრათ მოქმედებს სიყვარულის გრძნობა. ჯერ ერთი როგორც სასიამოვნო განცდა, იგი სქესობრივ სურვილების წამოყენებას ნიადაგს უმზადებს და მეორეთ, აქ დიდი ალაგი უკავია ფანტაზიის მუშაობას. ტრფობის საგანი. შეყვარებულ ადამიანის გონებაში ილაუზიისა თუ სხვა გარემოებათა გამო იდეალურათ წარმოდგენილი, აკმაყოფილებს უკანასკნელის ამენა-ყნოსვასაც, მხედველობასაც და სულიერ მხარეებსაც.

ასეთია ის სხვადასხვა წყაროები, რომელნიც სქესობრივ გრძნობას კვებას და შინაარსს აძლევს. რომ ამ მოვლენაზე უფრო სავსებითი წარმოდგენა ვიქონიოთ, აუცილებლათ მის ინტენსივობასაც უნდა შევეხოთ. ჩვენ ვიცით შიმშილის გრძნობა, იგი ისეთი განცდაა, რომელსაც ორგანიზმის სასიცოცხლო ენერგიის დახარჯვა იწვევს, ხოლო პირდაპირ მიზეზს მისი აღძვრისას კი კუჭის წვენის გადმოდენა შეადგენს. ჩვენ ისიც ვიცით, თუ რა ანელებს და აძლიერებს შიმშილის გრძნობას. სუფთათ და გემრიელათ მომზადებული საჭმელი, ამასთანავე, სიტყვაზე ვსთქვათ, ცოტა ღვინო, არაყი, მწვანილეულობა, ცხოველი ნივთიერებანი–მდოგვი, პილპილი, ყოველივე ეს ხელს უწყობს ძალის მოგვრას, ბინძურათ გაკეთებული, ერთფეროვანი უგემური საჭმელი მადას კარგავს და შიმშილს ანელებს. აქ წერტილის დასმა იქნება შიმშილის გრძნობის მხოლოთ ერთი მხრით გამორკვევა. არის მეორე, რაოდენობითი მხარეც. შიმშილის გრძნობა მუდმივ რყევაშია: ზამთარში ადამიანს ხშირ-ხშირათ შია, ზაფხულში ნაკლებათ, მთა-გორაკებზე მეტი საჭმელია საჭირო, დაბალ ადგილებში ნაკლები, მამაკაცი მეტსა სჭამს, ქალი, შედარებით, ნაკლებს და სხვ. ასევე ითქმის სქესობრივ გრძნობის შესახებაც. რაოდენობის მხრით იგი რყევას განიცდის, იგი ხან ძლიერდება, ხან კი ადამიანს გვიან-გვიან აწუხებს. ქვევით ჩვენ განვიხილავთ ისეთ პირობებს, რომელნიც სქესობრივ გრძნობის ინტენსიურობაზე და მასთან ერთათ სქესობრივ აქტის სიხშირეზე მოქმედებენ.

ხნოვანება: ვინაიდან მესამე თავში ამაზე უკვე გვქონდა საუბარი, ამიტომ ამის შესახებ აქ აღარაფერს ვიტყვით.

სქესი: იმ საკითხმა, თუ რომელი უფრო ინტენსიურათ განიცდის სქესობრივ მოთხოვნილებას, ქალი თუ მამაკაცი, ან და ორთავე სქესი ერთგვარათ გრძნობს სქესობრივ ლტოლვილებას თუ არა, დიდი და ხან-გრძლივი კამათი გამოიწვია მეცნიერებს შორის. ცხოველთა სამეფოში, უმეტესათ, აქტიურობას ვამჩნევთ მამლების მხრით. სამაგიეროთ, თუმცა უმცირეს შემთხვევაში, ასეც არის, რომ ზოგიერთ ჯიშის ცხოველებში დედლები უფრო ძლიერ ლტოლვილე-

ბას ამჟღავნებენ, ვინემ მამლები. რაც შეეხება ადამიანებს, მხედველობაში მისაღებია სოციალური და ინდივიდუალურ-ფიზიოლოგიური პირობები, რომლებიც ქალს აიძულებს სქესობრივ გრძნობის ფრთები შეაკვეცოს და ხშირათ კიდევაც ჩაკლას იგი თავის არსებაში. საკითხის გამორკვევას აძნელებს ის გარემოებაც, რომ სოციალურ პირობების, თუ ინდივიდუალურ-ბიოლოგიურ უგულწრფელობის გამო, დედათა სქესისაგან მკაფიო და გადაჭრილ პასუხის მიღება ფრიად ძნელია.

საკითხი ორ ნაწილათ უნდა გაიყოს: სქესობრივი მოთხოვნილება სქესობრივ აქტის შესრულებამდი და შემდეგ. მეცნიერთა დიდ-ძალი უმრავლესობა ფიქრობს, რომ სანამ ქალიშვილს ასენებულ აქტის სისტემატიურათ განცდა მოუწევდეს, მის სქესობრივ გრძნობას სძინავს, მისი მამაკაცისადმი ლტოლაილება საზოგადო ხასიათისაა.

ფორელი ამბობს, ქალიშვილი კოხტაობს, ინსტიკტურათ ცდილობს ლამაზათ ჩაიცვას, დაიხუროს, ვაჟებს თავი მოაწონოს, გარეგნობით, გრაციული მოძრაობით თუ სახის მომხიბლავი თამაშით კაიტაცოს ისინი,—მაგრამ ყველაფერი ეს, ფორელის და სხვების აზრითაც, მხოლოთ სქესობრივ ინსტიკტის გამოხატულებაა და არა გამომჟღავნება სქესობრივ წყურვილისა.

ლომბროზო და ფერეროს აზრით ქალიშვილის სიყვარულში სქესობრივი ელემენტი უკანა ადგილზეა დაყენებული.

მოლლის მოყავს **ლაურა მაროლმის** სიტყვები: „გერმანელ ქალიშვილთა მთელი გრძნობა და ფიქრები ოჯახურ ბედნიერებისაკენ არის მიმართული, იმათ საოცრათ სწყურიათ დედობა. როდესაც გერმანელი ქალიშვილი ხედავს პატარა ბავშს ან და გაეალერსება მას, ის ამავე დროს თავის მომავალ ბიჭუნაზე ოცნებობს და საკვარელ მამაკაცშიაც მხოლოთ და მხოლოთ მომავალ შვილის მამას ხედავს“.

ამგვარათ, ვიმეორებთ ქალიშვილის სქესობრივი ლტოლვილება, სანამ მას სქესობრივი აქტი არ შეუსრულებია და სქესობრივი

სიამოვნება არ განუცდია, ზოგადი ხასიათისაა და მამაკაცთან ფიზიკურათ შეერთების სურვილით გამსჭვალული არ არის. სამწუხაროთ, უკანასკნელ დროის დაკვირვებათა მთელი რიგი სულ უფრო და უფრო ამჟღავნებს იმ ფაქტს, რომ დიდ-ძალ შემთხვევებში უმეტესათ ქალაქის ახალ-გაზდობაში ხდება სქესობრივ გრძნობის ნაადრევი გაღვიძება. განსაკუთრებით ონანიზმის სახით და ჰომოსექსუალურ დამოკიდებულების მეოხებით. ამაში დამნაშავეა თანამედროვე უკუღმართი პირობები, რომლების შესახებაც თავის ალაგას ჩვენ კიდევ გვექნება საუბარი.

საჭიროთ მიგვაჩნია აქვე აღვნიშნოთ ერთი გარემოება. დედათა სქესის ერთი უმცირესი ნაწილი მთელ თავის სიცოცხლეში ან სრულებით არ განიცდის სქესობრივ მოთხოვნილებას და სიამოვნებას, ან და ძალიან ნაკლებათ. ასეთი პირები მაღალ წრეებში და ინტელიგენციაში გაცილებით მეტია, პირიქით, დაბალ კლასებში კი მათ იშვიათათ შეხვდებით. თუ სტატისტიკურ ცნობებს დავემყარებით, ბავარიაში და გერმანიის სხვა მხარეებშიც ბევრი ისეთი ოლქი მოიძებნება, სადაც გაუთხოვარ ქალთა შორის ქალწულები თურმე გამონაკლისს შეადგენენ. დედათა სქესის სქესობრივ უგრძნობლობის (ანესტეზიის) ზოგიერთ შემთხვევას ფრეიდი შემდეგ-ნაირათ ხსნის: შეიძლება ქალი აუღელვებელი იყოს საშოს მხრიდან, მაგრამ, სამაგიეროთ, ასაღელვებელი სავნებოდან. ამ შემთხვევაში ქალის სქესობრივ გრძნობის გამოწვევა შეიძლება მხოლოთ სავნებოს გაღიზიანებით, რომელიც ამ გაღიზიანებას, თავის-მხრით, ახლო-მახლო მდებარე ადგილებს გადასცემს. თუ დედა-კაცი ბავშობაში თავისი სასქესო ასოთი, კერძოთ სავნებოთი, ბოროტმოქმედებდა, მაშინ გაღიზიანების გადაცემა გვიანდება ან და სრულებით არ ხდება. ამგვარათ, ხელში გვრჩება შეძენილი სქესობრივი ანესტეზია. აღარ მახსოვს, სახელდობრ რომელი, მაგრამ ერთ-ერთი იმ ავტორთაგანი, რომლებითაც მე ვსარგებლობდი, სქესობრივ უგრძნობლობის მიზეზათ ზოგიერთ შემთხვევაში იმ გარემოებას ასახელებს, რომ სქესობრივ კავშირის მონაწილე ქალებს, აქტის ნაჩქარევათ თუ უხერხუ-

ლათ შესრულების გამო, სავნებო სართულებით არ უღიზიანდება და ამის გამო ვერავითარ სიამოვნებასაც ვერ განიცდიან. როგორც ვხედავთ, ეს ავტორი და ფრეიდი ერთსა და იმავე აზრს გამოსთქვამენ, რომ არა იშვიათათ სასქესო ორგანოთა გაღიზიანება მხოლოთ სავნებოს მეოხებით შეიძლება და თუ ეს არ ხდება, სათანადო სიტკბოებასაც ადგილი არა აქვს.

მამაკაცებში ბევრი ურწმუნო თვალით უყურებს იმ გარემოებას, თითქოს სქესობრივათ აუღელვებელი და იმავე დროს სხვა ყოველი მხრიდან ჯანმრთელი ქალები არსებობდეს. საილუსტრაციოთ მოგვყავს ერთი დაკვირვება **რიბინგის** პრაქტიკიდან.

„185* წელში მე მომმართა 30 წლის ვექილმა და მამაკაცურ უღონობაზე შემომჩივლა. გამოკითხვის დროს გავიგე, რომ მთელ უკანასკნელ წლის განმავლობაში ის მხოლოთ ერთხელ ცდილიყო სქესობრივი აქტი შეესრულებინა და ეჭვში დარჩენილიყო შესახებ იმისა, შეასრულა თუ არა მან ნორმალური ძალ-ღონით ეს მოქმედება. მას ცოლიც მოეყვანა, რომელსაც ჩემთან მოლაპარაკება სწადდა.

მისი მეუღლე განათლებული, ზედ-მიწევნით თავაზიანი და გრძნობიერი ადამიანი აღმოჩნდა. ისეთი კილოთი დამიწყო საუბარი, რომელიც ერთნაირათ შორს იყო როგორც ურცხვობისაგან, ისე ცრუ და ყალბ სირცხვილისაგანაც. საკითხს უბრალოთ და პირდაპირ უცქეროდა, სურდა თავისი მდგომარეობა გამოერკვია... ცოლქმარი თურმე ერთი-მეორეს ჯერ კიდევ ბავშობიდან იცნობდენ, ერთათაც იზრდებოდენ, შემდეგში მათ შორის სიყვარულიც გაჩაღდა, რომელიც ქორწინებით დაგვირგვინდა. ქალს საფუძველი ქონდა თავისი საქმრო სქესობრივი მხრით თავიდანვე უღონოთ ეცნო, არა იმიტომ, რომ მის მეგობარს რაიმე ცოდვები მიუძღოდა, არამედ ეს უილაჯობა მას ბუნებრივ მდგომარეობათ მიაჩნდა, ცოლს ქმარი ძლიერ უყვარდა და აქიმს არას გზით არ მიმართავდა, თუ არ სურვილი ბავშის ყოლისა, რომელიც იმათ ბედნიერებას კიდევ უფრო გააღრმავებდა. ამავე დროს იგი (ცოლი) მარწმუნებდა, რომ მან სრულებით არ იცის, თუ რა არის სქესობრივი მოთხოვნილება. მი-

სი ქმარისადმი სიყვარული პლატონიური ხასიათისა იყო და მის განზრახვაში არც შედიოდა ქმრის ვნებათა-ღელვა გაეცხოველებინა, იგი მხოლოთ გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო, უყვარდა ქმარი და მისგან შვილებს ნატრობდა.“

ამგვარათ, თუ დედათა სქესს ცივ-ბუნებიან ქალთა მცირე-მნიშვნელოვან რიცხვს გამოვაკლებთ, მაინც დაგვრჩება დედაკაცთა უმრავლესობა. რა და რა აზრი არსებობს მათ სქესობრივ მოთხოვნილების შესახებ თანამედროვე მედიცინაში?

ფორელის შეხედულებით, სიყვარულის გრძნობა და სქესობრივი ლტოლვილება მამაკაცის ბუნებაში ერთი-მეორის გვერდით თავისუფლათ იარსებებს. შეიძლება ვაჟი ოჯახში სამაგალითო ქმარიც იყოს და ამავე დროს მეძავ ქალებთან მას კავშირიც ქონდეს. დედაკაცის არსებაში გრძნობათა მსგავსი დანაწილება იშვიათი მოვლენაა, მას თუ უყვარს ვინმე, უყვარს მთელი თავისი „მე“-თი, იგი სულიან-ხორციანათ ნებდება საყვარელ ადამიანს და სქესობრივ სიტყვების უმაღლეს წუთებსაც მასთან განიცდის.*) იგივე ქალი, სხვა მამაკაცთან სქესობრივ აქტის შესრულების დროს სრულებით გულ-გრილი და პასიური რჩება. თვით მეძავი ქალებიც კი, როგორც ფორელი სწორეთ შენიშნავს, ლოგინის მრავალ მოზიარეებთან სასიამოვნოს არაფერს გრძნობენ, მაგრამ ამავე დროს მათ ყავთ საყვარლები, რომელთაც ისინი აძლევენ ოვიანთ სხეულს, ალერსსა და სიყვარულს, მიუხედავათ იმისა, რომ საყვარლები საოცრათ ჩაგრავენ, ყვლეფენ და ხშირათ კიდეც სცემენ მათ.

*) რუსეთის მწერალი კუპრინი ერთ-ერთ თავის მოთხრობაში ისეთ ამბავს მოგვითხრობს, რომელიც ზემო-მოყვანილ შეხედულებას რამოდენიმეთ ეთანხმება და რამოდენიმეთ კიდეც ეწინააღმდეგება; ეთანხმება იმდენათ, რამდენათაც ფორელს სახეში აქვს დედათა სქესის სქესობრივ ლტოლვილების არა მუდმივობა, ხოლო ეწინააღმდეგება მას იმით, რომ მოთხრობის გმირი-ქალი, თავის ჰკვიან და განათლებულ ქმარზე შეყვარებული, სქესობრივ სიამოვნებას განიცდის არა საყვარელ არსებასთან, რომელთანაც მას სისტემატიური ფიზიკური კავშირი აქვს, არამედ სრულიათ უცნობ გემის მოსამსახურე პირთან, რომელიც შემთხვევით სარგებლობს და ქალზე ძალას ხმარობს.

ზევით ვსთქვით, რომ სქესობრივ აქტის განცდამდი ქალიშვილის მამაკაცისადმი ლტოლვილება ზოგადი ხასიათისაა. ფორელის აზრით, სქესობრივ კავშირის სისტემატიურათ განცდის შემდეგ ქალის ბუნება იცვლება, მას უკვე იზიდავს ხორციელი სიამოვნება და ხშირათ ცოლი ქმარზე უფრო ვნებათა-ღელვიანი ხდება.

კიშიც დაახლოვებით იმნაირ შეხედულებას გამოსთქვამს, როგორც ფორელი. მისი აზრით, დედათა სქესი სოციალურ-იურიდიულ პირობების გამო იძულებულია თავს ძალა დაატანოს და ბუნებრივი მოთხოვნილება შეზღუდოს.

ვინკელის აზრით, სქესობრივ გრძნობას ქალებიც ისე ღრმათ და მძლავრათ განიცდის, როგორც ვაჟები. ამას მოწმობს ორი გარემოება: 1) ქალები წლით წლობამდე ორსულდებიან და არ უფრთხიან არავითარ განსაცდელს, რომელიც მშობიარებასთან არის შეკავშირებული, 2) ქალთა შორის სულ უფრო და უფრო ხშირდება ჰომოსექსუალური დამოკიდებულება.**)

გაველოკ ელისის შეხედულებით, დედაკაცის სქესობრივი ლტოლვილება გარეგნულათ უფრო პასიურია, ორგაზმიც მასში უფრო გვიან ხდება. რთულ ძალას სქესობრივი მოთხოვნილება მხოლოთ სქესობრივ კავშირის რეგულიარულათ შესრულების შემდეგ აღწევს. მამაკაცისადმი ლტოლვილება პერიოდულათ ძლიერდება და ამიტომ, რაც საყურადღებოა, ქალთა სქესობრივი გრძნობა დიდ რყევას განიცდის არა თუ სხვადასხვა ქალებში, არამედ ერთ და იმავე პიროვნების ცხოვრების სხვადასხვა დრო და ხანაში.

ლევენფელდი იზიარებს სხვების აზრს შესახებ იმისა, რომ აღზრდა, მორალი, რელიგია, ჩვეულება და სხვა პირობები დედაკაცის სქესობრივ მოთხოვნილებას სასტიკათ ზღუდავს. გარეშე ამისა, **ბლოხთან** და გაველოკ ელისთან ერთათ ის აღიარებს, რომ მაშინ, როდესაც მამაკაცში თითქმის მუდამ ღვივის სქესობრივი გრძნობა,

---

**) ჰომოსექსუალიზმი ეწოდება სქესობრივ ლტოლვილებას, რომელიც თავისსავე სქესის პირებისადმია მიმართული.

ქალებში სქესობრივ მოთხოვნილებას პერიოდული ხასიათი აქვს და ყოველ-თვიურ მენსტრუაციასთან იგი მჭიდრო კავშირით არის გადაბმული.

ყოველივე ზემო-ნათქვამიდან მოკლე დასკვნა ასეთია: ქალის სქესობრივი ლტოლვილება, სანამ მას სქესობრივი სიამოვნება არ გამოუცდია, ზოგადი ხასიათისაა, თუ ქალს სქესობრივ სიტკბოების სისტემატიურათ განცდა უწევს, რა გზითაც უნდა ხდებოდეს ეს,— ნორმალურ სქესობრივ აკტის, ონანიზმის თუ ლესბოსურ სიყვარულის მეოხებით,—მისი ბუნება იღვიძებს და ამის შემდეგ სქესობრივ მოთხოვნილებას იგი ისევე გრძნობს, როგორც მამაკაცი. განსხვავება მხოლოთ იმაშია, რომ 1) ხსენებულ მოვლენის ინტენსივობა სოციალურ თუ ინდივიდუალურ-ფიზიოლოგიურ პირობების გამო დედაკაცში მეტ რყევას განიცდის, 2) არა იშვიათია ისეთი პირებიც, რომელთაც სქესობრივი გრძნობა სრულებით განვითარებული არა აქვთ, მაგრამ სხვა მხრით კი სრულიათ ნორმალურ ქალებს წარმოადგენენ. ცნობილია, რომ ასეთი ცივი ბუნების და სქესობრივათ უგრძნობი დედაკაცები მაღალ წრეებში და ინტელიგენციაში გაცილებით მეტი მოიპოვება, ვინემ დაბალ კლასებში, გლეხებსა და მუშებს შორის.

განვაგრძოთ ჩვენი საუბარი. სქესობრივ ლტოლვილების ინტენსივობაში ხნოვანებასა და სქესს გარდა, თავისი ადგილი უკავია აგრეთვე შემდეგ პირობებს:

წელიწადის დროს: გაზაფხული და ზაფხულის დასაწყისი ყველა სულდგმულისათვის სიყვარულის ხანას შეადგენს, ეს საერთო გამოღვიძება ადამიანზედაც მოქმედობს. სქესობრივ კავშირს ადგილი აქვს უფრო აპრილში, მაისში და ივნისში. ხსენებულ ფაკტს ის გარემოებაც მოწმობს, რომ ამას იქით ცხრა თვის შემდეგ (იანვარში, თებერვალში და მარტში) შობილთა რაოდენობა დანარჩენ თვეებში დაბეჩავებულთა რიცხვს სათითაოთ გაცილებით სჭარბობს.

ამ მოვლენაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს პარიზში შეკრებილი ცნობები.

ექვსი წლის განმავლობაში საშუალო რიცხვით დაიბადა:

იანვარში	—	55,801 ბავში,
თებერვალში	—	54,971 „
მარტში	—	53,527 „
აპრილში	—	51,314 „
მაისში	—	49,884 „
ივნისში	—	45,113 „
ივლისში	—	46,934 „
აგვისტოში	—	49,851 „
სექტემბერში	—	48,850 „
ოქტომბერში	—	49,103 „
ნოემბერში	—	46,134 „
დეკემბერში	—	41,988 „

შემდეგ სქესობრივ გრძნობაზე თავის დაღს ამჩნევს **მოდგმა, ეროვნება, მემკვიდრეობა** და სხვ. აღმოსავლეთის ერები: ოსმალები, ებრაელები, მონგოლები, საკუთრათ ჩინელები სქესობრივ გრძნობას ევროპიელებზე უფრო მძლავრათ განიცდიან. ვიწროთ რომ გავზომოთ, სხვადასხვა ოჯახებშიაც კი ხსენებული გრძნობა ერთ დონეზე არა სდგას, ერთ ოჯახის წევრებში იგი ფეხგადგმულია, მეორისაში ნაკლებათ მჟღავნდება და ასე.

ჰავა: ცხელ ქვეყნებში მცხოვრებთ სქესობრივი მოთხოვნილება უფრო აწუხებს, ვინემ ცივი მხარეების ბინადრებს. ეს ცხელი ჰავა მოქმედობს ევროპიელებზედაც, თუ კი იმათ ტროპიკულ ქვეყნებში უწევთ ცხოვრება. ბებელი იმოწმებს ტარნოვსკის, რომელსაც სარწმუნო მოგზაურებმა გადასცეს, რომ მაღალ, ესე იგი, ცივ ადგილებში ხანგრძლივათ ცხოვრება აყუჩებს სქესობრივ მოთხოვნილებას, ხოლო ბარში დაბრუნების შემდეგ იგი თავს წინანდელი სიძლიერით იჩენს.

გარდა იმ გავლენისა, რომელსაც ჰავა ადამიანის სქესობრივ ცხოვრებაზე თავის-თავათ ახდენს, სახეში მისაღებია კიდევ საარსებო პირობები. ცივ ქვეყნებში თავის გამოკვება ძნელია და მას მიაქვს

ადამიანის როგორც დრო, ისე ძალ-ღონეც, ცხელ ქვეყნებში კი ადამიანი არც გათბობას საჭიროებს, არც მაინცა და მაინც რთულ თავ-შესაფარს და მოწყობილ ბინას. იქ მას საჭმელიც ნაკლებათ ესაჭიროება და ტანთსაცმელიც, საარსებო საშვალებაც ადვილათ მოსაპოვებელია, ყველაფერი ეს სქესობრივ ცხოვრების ინტენსიურ განვითარებას ხელს უწყობს.

წრე: ხშირათ ქალებში ყოფნა, მათთან ცეკვა, კაფე-შანტანებში და ლუდხანებში სიარული, ამხანაგებთან ხშირათ სქესობრივ გრძნობაზე და აქტზე საუბარი, პორნოგრაფიული რომანებითა და სურათებით თავის შექცევა, ყოველივე ეს სქესობრივ მოთხოვნილებას აძლიერებს.

კულტურა: მაღალ-განვითარებული ერები სქესობრივათ უფრო ხშირათ ღელდებიან, ვინემ ველურები.

გონებრივი მუშაობა: ფრეიდი სწორეთ შენიშნავს, რომ გონებრივი შრომა, როგორც დიდებში ისე მოზარდ თაობაშიაც სქესობრივ მოთხოვნილების გაღვიძებას ახშირებს. იგივე ავტორი მეორე ადგილას შემდეგს ამბობს: „სქესობრივი მომწიფება და ნაადრევი ინტელექტუალური განვითარება არა იშვიათათ პარალელურათ მიდის. ამასვე ვამჩნევთ წარჩინებულ და შემოქმედურ ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებებს ბავშობაში".

ცხოვრების წესი: ზომიერი სქესობრივი დამოკიდებულება სქესობრივ ლტოლვილებას აძლიერებს, ხანგრძლივი მოთმენა კი ხსენებულ გრძნობას აყუჩებს. ფორელი ამბობს: „ნერვიულ სისტემის ფიზიოლოგიის საზოგადო კანონია ის, რომ ყოველ-გვარი ნერვიული აქტი ვარჯიშობისაგან ძლიერდება. ვინც ღსაზღვრო ჰამას ეჩვევა, იგი მალე გაუმაძღარიც ხდება... ფიზიკური ვარჯიშობა იწვევს მოთხოვნილებას მოძრაობაში და კუნთებს ამაგრებს..., რომელიმე სნეულებაზე მუდმივი ფიქრი იმით თავდება, რომ ეს ავათმყოფობა ბოლოს თავის სხეულშიც გონიათ... ხშირათ განმეორებული მელოდია იმდენსა შვრება, რომ ბოლოს მას ავტომატიურათ მღერიან და სტვენენ... ამიტომ არც გასაკვირველია, თუ ხსენებული კანონი სქესობრივ

მოთხოვნილებაშიც იჩენს თავის ძალას: მოთმენა სქესობრივ ინსტიქტს აყუჩებს და გაძლიერებული ვარჯიშობა კი მას აცხოველებს.“

ამ სიტყვებში ბევრი სიმართლეა, მაგრამ, სამაგიეროთ, ისიც ცხადია, რომ ხანგრძლივი **მოთმენის შემდეგ**, თუ სქესობრივ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შესაძლებელი ხდება, სქესობრივი გრძნობის სიძლიერე, არა იშვიათათ, მოულოდნელი ძალით იფეთქებს. შემჩნეულია, მაგ., რომ ხშირათ მონასტრიდან გამოსული პირები, რომელნიც ბიწიერ ცხოვრებას უბრუნდებიან ან და ქვრივები, რომელნიც ხელმეორეთ თხოვდებიან, წლობით ჩაკლულ და ახლათ გამოღვიძებულ მოთხოვნილებას საზღვარს ვეღარ უდებენ და მის დაკმაყოფილებას თავ-დავიწყებით ეძლევიან.

ყველა აქ ჩამოთვლილ ფაქტორებს გარდა, სქესობრივ ლტოლვილების სიძლიერეზე და მის სიხშირეზე გავლენა აქვს აგრეთვე ბევრ იმ პირობებს, რომლებიც სქესობრივ გრძნობის გაღიზიანებას ახდენს და რომელზედაც ზევით გვქონდა საუბარი. ბევრი იმ პირობათაგანი, გარეშე იმისა, რომ სქესობრივ ლტოლვილებას აღვიძებს, მის მეტათ თუ ნაკლებათ გამომჟღავნებასაც ხელს უწყობს, ასეთია, სიტყვაზე ვსთქვათ, ხანგრძლივი და გადაჭარბებული საზრდოობა ხორცითა, ალკოგოლის ზომიერი და სისტემატიური ხმარება, ასევე მოქმედებს, მაგ., სიყვარულის გრძნობა და სხვ.

გვგონია, ყოველივე ზემოხსენებულს შემდეგ, მკითხველს შეუძლია მოკლე, მაგრამ მთლიანი წარმოდგენა იქონიოს სქესობრივ ლტოლვილებაზე. ჩვენს განხილვაში მოვათავსეთ მხოლოთ ის, რაც საჭირო და აუცილებელი იყო, ამას ჩვენ დაგვიმტკიცებს ჩვენი წერილის შემდეგი თავები, სადაც სახელ-მძღვანელო ნორმათ და გამოსავალ წერტილათ გვექნება პირველ თავში მოყვანილი საზოგადო დებულებანი და კონკრეტული ფაქტები.

ქ. ადესა.

მიხ. ცეცხლაძე.

ადესის უნივერსიტეტის ნერვული კლინიკის ორდინატორი
სიმონ ნიკიფორეს ძე ყიფშიძე.

საუბარი ტვინის შენოგისა და ფუნქციების შესახებ.

Camera obscura, obscuriores morbi, funciones obscurissimae.
Fantoni.

საუბარი ტვინის შენობისა და ფუნქციების შესახებ.

ორასი წლის წინეთ ტვინის შესახებ ფანტონი სწერდა: „ბნელი ოთახი, ბნელი სნეულებანი, უბნელესი ფუნქციებიო“. ნახევარი საუკუნის წინეთ ამავე სიტყვებს იმეორებდა იოსებ ჰირტლი, რომელიც სახელ-განთქმული ანატომი იყო. თავის ანატომიის შესაკალში ჰირტლი სწერს: „ტვინის გარეგანი შენობა ვრცლათ აწერილია, ისე ვრცლათ, როგორც არც ერთი ორგანოს შენობა არ არის აწერილი. ტვინის შინაგანი შენობის შესახებ კი არაფერი ვიცით. ტვინი შეგვიძლია შევადაროთ იმ წიგნს, რომელიც იეროგლიფებით არის დაწერილი და შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი. არამც თუ ეხლა, ტვინის შენობას ვერასოდეს ვერ გავიცნობთ!“

ასე გულ-გატეხილი უყურებდენ ძველი ანატომები ტვინის რთულ შენობას. მათ ჭსმოდათ, რომ ტვინი სულიერი ცხოვრების ორგანოა. სურდათ ტვინის შუა-გულში ჩაეხედათ და ერთი დაკვრით ტვინის შენობა და ფუნქციები ნათელეყოთ.

მაგრამ „ოთახი“ მართლაც ბნელი იყო და საჭირო შეიქნა მრავალი შრომა მრავალ მეცნიერთა, რომ ტვინის შენობაში და დანიშნულებაში რაიმე გაგვეგო. ნახევარი საუკუნის შრომას ტყვილად არ ჩაუვლია: შეისწავლეს ტვინის შენობა, მისი ფუნქციები, მისი სნეულებანი.


აღმოაჩინეს, რომ ტვინი და საზოგადოთ ნერვების სისტემა დიდ მონაწილეობას იღებს მოძრაობასა და გრძნობაში.

ტვინის როლი ამ მარტივ ფუნქციებში მისი შინაგანი შენობით ახსნეს. საჭირო შეიქნა ამ შინაგანი შენობის ვრცლად შესწავლა, რადგანაც უამისოდ ტვინის მარტივი ფუნქციების გაგება შეუძლებლათ იყო ცნობილი. მით უმეტესათ ითქმის ეს ტვინის უმაღლეს ფუნქციაზე—სულიერ, ცხოვრებაზე.

ცხადია, ჩვენი საუბარი უპირველესათ ტვინის მარტივ ფუნქციებს უნდა შეეხოს. ეს მარტივი ფუნქციები კი გრძნობითა და მოძრაობით გამოიხატება. ამათ შესახებ გვექნება ჩვენ საუბარი ამ მოკლე წერილში. რაც უნდა რთული იყოს ცხოველის თუ ადამიანის ცხოვრება, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ეს ცხოვრება, როგორც სამი მარტივი ფუნქცია: კვება, ზრდა და გამრავლება. ყოველი ცხოველი იკვებება, იზრდება და მრავლდება, რაც უნდა უბრალოთ იყოს მოწყობილი მისი სხეული. არიან იმნაირი ცხოველები, რომლებიც ამ სამ უმთავრეს ფუნქციას იმგვარათ ასრულებენ, რომ მოძრაობა არ სჭირდებათ. ამნაირი ცხოველები უმეტეს ნაწილად ზღვაში ცხოვრობენ. უმაღლესი ცხოველები და ადა?იანი კი ამ ფუნქციებს ვერ შეასრულებენ, თუ მოძრაობას მოკლებული იქნებიან. ამიტომ არის, რომ მოძრაობა ამ ცხოველთათვის ძლიერ საყურადღებო ფუნქციაა. რადგანაც სხვა და სხვა ცხოველების სამოძრაო ნაწილებში დიდი განსხვავებაა და რადგანაც ჩვენ ყველაზე უფრო ადამიანი გვაინტერესებს, აქ ავწერთ მხოლოდ იმ სამოძრაო მექანიზმს, რომელიც ადამიანს და უმაღლეს ცხოველებს აქვს.

უმაღლესი ცხოველების ორგანიზმი (სხეული) შესდგება ტანისა და ხელ-ფეხისაგან, ტანში მოთავსებულია ეგრეთ წოდებული შინაგანი ორგანოები: გული, ფილტვები, ნაწლევები, ტვინი და სხვა.

ხელფეხის დანიშნულება ტანის სივრცეში ადგილის მოცვლაა. ფეხები ცხოველისათვის და ხელ-ფეხი ადამიანისათვის სამოძრაო მექანიზმია. ამ სამოძრაო მექანიზმის შენობას განვიხილავთ აქ მოთავსებულ პირველ ნახატზე. ეს ნახატი წარმოადგენს ადამიანის ხელს, ხელი მოღუნულია იდაყვში. მხარს შეადგენს ძვალი, რომელიც ნაჩვენებია რიცხვით 1. ამ ძვალზე ვხედავთ ორ-თავიან კუნთს (იხ. 4 და 5); მხარის ძვალი შეერთებულია სახსრით წინა მხარის ძვლებთან (იხ. 2); ამ ძვლებს სახსარში მოძრაობა შეუძლიათ. მოძრაობის განხორციელებისათვის საჭიროა ან ერთი, ან მეორე კუნთი შეიკუმშოს. ჩვენ ნახატზე შეკუმშულია კუნთი, რომელიც იწყება მხარის ბეჭის ძვალზე, ბოლოთი კი წინა მხარის ძვალზეა მიბმული. წარმო-



ნახ. 1.

სამთავრო ძუძუსებრი.

ვიდგინოთ, რომ შეიკუმშა კუნთი (5). ეს კუნთი იწყება მხარის ბეჭის ძვალზე, შემოუვლის სახსარს უკანიდან და მეორე თავით მიბმულია წინა-მხარის ძვლებზე. მაშასადამე, როდესაც ის შეიკუმშება, წინა-მხარი, რომელიც მოღუნული იყო, გაიხსნება. კუნთი 4 გახსნილ წინა-მხარს მოღუნავს. მოძრაობისათვის საჭიროა შეიცვალოს ძვლების ერთმანეთისამდი მდებარეობა. ამ მდებარეობის შეცვლა შეადგენს კუნთების დანიშნულებას. მათი უმთავრესი თვისება შეკუმშვაა. ის კუნთს, რომელსაც მაგალითად ერთი ტკაველი სიგრძე აქვს, შეუძლია ნახევარი ტკაველი სიგრძე მიიღოს. შეკუმშვა-გახსნაში გამოიხატება კუნთების მუშაობა. შეკუმშვის დროს კუნთის სიმსხო მატულობს. რადგანაც ადამიანის მთელი სხეული ამგვარადაა მოწყობილი, მეტი იქნებოდა აგვეწერა სხვა ნაწილების სამოძრაო მექანიზმები. ყოველგან ვნახავდით ძვლებს, რომლებიც სახსრებითაა შეერთებული და მოძრაობაში კუნთებს მოყავთ.

სანამ ადამიანი ჯანმთელია, შეუძლია აამუშაოს მისი სამოძრაო მექანიზმები როცა მას სურს. სურვილისამებრ განხორციელებულ მოძრაობას ნებითი მოძრაობას ვეძახით: ეს მოძრაობა განსხვავდება იმ მოძრაობისაგან, რომელიც ადამიანის ნების წინაღმდეგ ხდება: სუნთქვა, გულის-ცემა და სხ.

ზოგიერთ პირობებში ადამიანი მოკლებულია ნებითი მოძრაობას. ამ პირობას ავათმყოფობა წარმოადგენს. ჩვენ ვიცით რამოდენიმე სნეულება, რომლებსაც მოყვება მოძრაობის მოსპობა-დამბლა.

პირველი მაგალითი: ადამიანს არ შეუძლია ხელით ან ფეხით რაიმე მოძრაობა შეასრულოს: არ შეუძლია სიარული, ჯდომა, საწოლში გადაბრუნება; არ შეუძლია საჭმელის მიღება. ერთი სიტყვით ამნაირი სნეულების პატრონი მკვდარს ემზგავსება, რომ არ სუნთქავდეს და გული არ უცემდეს. მისი სამოძრაო მექანიზმი ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას; მისი კუნთები ველარ იკუმშებიან; მოშლილია ადამიანის სხეულის სივრცეში ადგილის შემცველი ორგანოები; ადამიანის სიცოცხლე ძაფზე კიდია; მას არსებობისათვის ბრძოლა არ შეუძლია.

მეორე მაგალითი: ადამიანი კარგავს ფეხების მოძრაობის საშუალებას. იმ დროს, როდესაც ხელები მშვენიერად ასრულებენ თავის დანიშნულებას, ფეხებს არავითარი მოძრაობის შესრულება არ შეუძლიათ: სიარული სრულიად შეუძლებელია. ამ ადამიანს აქვს ისეთი დამბლა, რომელსაც მხოლოდ ფეხები შეუპყრია.

მესამე მაგალითი: სნეულება გამოიხატება ნახევარი სხეულის დამბლაში. ადამიანი ადგომის დროს მიწაზე ეცემა ცალ ფეხის სისუსტის გამო, ცალ ხელს არავითარი მოძრაობის შესრულება არ შეუძლია, ტუჩები ცალ გვერდზე მოძრაობენ: ესე იგი ერთი ნახევარი სხეულის მოძრაობას მოკლებულია, ამგვარი ავათმყოფი უნდა იწვეს, რადგანაც იგი უმწეო და უღონოა. ასეთი სნეულება შეიპყრობს ადამიანს რამოდენიმე წუთში, არა-იშვიათად რამოდენიმე დღეში სიცოცხლესაც გამოასალმებს ხოლმე.

რა მიზეზია, რომ ადამიანი მოძრაობის ფუნქციას კარგავს? რომელი ორგანოა დაზიანებული?

ის ორგანო, რომელიც დაზიანებული აღმოჩნდება, ალბათ ან თვითონ ამოძრავებს სხეულს, ან რაიმე მონაწილეობას იღებს მის მოძრაობაში.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ სამოძრაო მექანიზმში დიდი მნიშვნელობა აქვს სახსრებს. თუ სახსრებში მოძრაობა შეუძლებელია, მაშინ მოძრაობასაც ბოლო ეღება. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ ადამიანმა გადაიტანა სახსრების ანთება. ხშირად სახსრების ანთების შემდეგ ძვლების თავები ერთმანეთს ეხორცებიან და სახსარში მოძრაობა ისპობა. მაგრამ ამგვარი უმოძრაობა განსხვავდება დამბლისაგან: ამ შემთხვევაში შეგვიძლია შევამჩნიოთ, რომ ადამიანის კუნთები იკუმშება, მოძრაობა კი არა სჩანს, არც შეგვიძლია მოვღუნოთ სნეულის სახსარი. დამბლით შეპყრობილის სახსარი, პირიქით ჩვენ შეგვიძლია მოვღუნოთ, მაგრამ ავათმყოფი მას ვერ ანძრევს, მისი კუნთები არ იკუმშება. აქ უმოძრაობა სახსრების დაზიანებით არ არის გამოწვეული. შეიძლება კუნთები იყოს დაზიანებული? ცოცხალი ადამიანის კუნთის გაშინჯვა შეუძლებელია. თუ შესაძ-

ლებელი იქნება გაჭრა იმ ავათმყოფის გვამისა, რომელიც პირველ მაგალითში აწერილ ავათმყოფობამ სიკვდილამდე მიიყვანა, მაშინ შეიძლება კუნთები გავშინჯოთ და გადავწყვიტოთ, არის თუ არა მათში იმგვარი ცვლილებანი, რომელთაც დამბლის გამოწვევა შეუძლიათ: ეხლანდელ დროში თითქმის ყველა საავათმყოფოში გარდაცვალებულთა გვამებს სჭრიან. აქიმს შეუძლია გამოიკვლიოს ავათმყოფობის და სიკვდილის მიზეზები. ავიღოთ პირველ მაგალითში აღწერილი ავათმყოფის კუნთები და გავშინჯოთ. მათში არავითარი ცვლილება არ არის. მაშასადამე დამბლის მიზეზი კუნთების დაზიანება არ ყოფილა. ჩვენ პირველ ნახატზე კუნთებში შედის ორი ძაფი, რომლებიც აღნიშნულია რიცხვებით 8 და 9. ეს ძაფები ტვინიდან გამოდიან და კუნთებში თავდება. ყოველი კუნთი შეიცავს იმნაირ ძაფებს, რომლებსაც ჩვენ ნერვებს ვეძახით. შეიძლება ამ ნერვების დაზიანებამ გამოიწვია დამბლა? გავშინჯოთ ნერვი შეუიარაღებელი თვალით. თითქმის არავითარი ცვლილება არა სჩანს. თუ ამავე ნერვს მიკროსკოპის საშვალებით გავშინჯავთ, ვნახავთ, რომ ნერვი ძლიერ დაზიანებულია. გავყვეთ ნერვს, სანამ ხერხემლის ტვინში შევიდოდეს. გავშინჯოთ ხერხემლის ტვინი. მასში ვერავითარ ცვლილებას ვერ ვნახავთ. ხერხემლის ტვინს თავის ტვინი აბია. მისი შენობაც ხელუხლებელია. მაშ იმ დამბლის მიზეზი, რომელიც პირველ მაგალითში ავწერეთ, ყოფილა ნერვების დაზიანება. თუ ნერვების დაზიანება დამბლას გამოიწვევს, მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონიათ მოძრაობაში. ზემო აღწერილ სამოძრაო მექანიზმს, რომელიც ძვლებისა, სახსრებისა და კუნთებისაგან შესდგება, ნერვებიც ემატება. ნებსითი მოძრაობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ნერვების შენობა საღი და ხელუხლებელია. იმ ავათმყოფობას, რომელიც ნერვების დაზიანებას გამოიწვევს, ვეძახით ნერვების ანთებას.

ნერვების დიდი მნიშვნელობა შეგვიძლია დავამტკიცოთ ცხოველების გამოკვლევით. ავიღოთ ბაყაყი. მოვნახოთ მის ფეხზე ის ნერვი, რომლის ტოტები კუნთებში მიდის. ეს ნერვი გავჭრათ ისე, რომ კუნთებს, სახსრებს და ძვლებს ხელი არ ვახლოთ. ბაყაყი ამ


ოპერაციის შემდეგ ცოცხალი რჩება. დავსვათ იგი მაგიდაზე და ნევსით ფეხს ვუჩხვლიტოთ. ბაყაყი დააპირებს მაგიდიდგან გადახტომას. ადვილად შევამჩნევთ, რომ ის ფეხი, რომლის ნერვიც გადაჭრილია, მოძრაობაში მონაწილეობას არ იღებს. ბაყაყი სამ ფეხზე დადის. ის კუნთები, რომლებშიაც გადაჭრილი ნერვი შედის, ვეღარ მუშაობენ, ნერვების დიდი მნიშვნელობა შეგვიძლია დავამტკიცოთ ყოველი ცხოველის გამოკვლევით. ვნახოთ, რა მნიშვნელობა აქვთ იმ ორგანოებს, რომლებიდგანაც ნერვი გამოდის.

განვიხილოთ მეორე აქ მოყვანილი მაგალითი. ამ სნეულების პატრონს აქვს ფეხების დამბლა. ხელები მას საღი აქვს. კუნთების გამოკვლევა გვიმტკიცებს, რომ მათში არ არის მიზეზი დამბლისა. მათი შენობა ხელუხლებელია. ნერვების შენობაშიაც არავითარი ცვლილება არ არის. ხერხემლის ტვინი კი თვალსაჩინოდ არის დაზიანებული. მისი შინაგანი შენობა ისე გამოცვლილია, რომ მის ელემნტების მუშაობაზე ფიქრიც აღარ შეიძლება. უმეტეს ნაწილათ აქ იმნაირ ცვლილებებს ვნახულობთ, რომლებიც ტვინის ანთებას ახასიათებენ. უფრო ი'შვიათად სისხლის მასრების დაზიანების გამო სისხლი ტვინში იქცევა და მის ნაზ შენობას არღვევს. ამგვარ დაზიანებას დამბლა მოყვა. მაშ ხერხემლის ტვინსაც დიდი მნიშვნელობა ქონია ნებსით მოძრაობაში. თავის ტვინის გამოკვლევა ამ შემთხვევაში არავითარ დაზიანების ნიშანს არ გვიჩვენებს. სამოძრაო მექანიზმი კიდევ უფრო გართულდა. ზემო აღწერილ ძვლებს, სახსრებს, კუნთებს ხერხემლის ტვინიც მიემატა. ხერხემლის ტვინითაც არ თავდება ნებსითი მოძრაობის მოწყობილებანი. მესამე მაგალითის შესწავლა ამას ნათლად გვაჩვენებს. აქ ნახევარი სხეულის დამბლის შესახებ იყო ლაპარაკი. ამ შემთხვევაში ვერავითარ ცვლილებას ვერ ვნახულობთ ვერც კუნთებში, ვერც ნერვებში და ვერც ხერხემლის ტვინში. მიზეზი დამბლისა—თავის ტვინია. უფრო ხშირად შევხვდებით აქ სისხლის მასრების დაქცევის გამო ტვინის ნივთიერების დაზიანებას, უფრო ი'შვიათად-ანთებას. თავის ტვინიც მონაწილეობას იღებს ნებსითი მოძრაობაში, თუ მისი დაზიანება დამბლას გამო-

იწვევს. თავის ტვინი აგვირგვინებს სამოძრაო მექანიზმს, იმ მექანიზმს, რომელიც შეადგენს უმთავრეს ორგანოს ყოველ უმაღლეს ცხოველის და ადამიანისას.

ზემოხსენებულ სამი მაგალითის განხილვის დროს ჩვენ გავიგეთ, რომ არსებობენ ნერვები, ხერხემლის ტვინი და თავის ტვინი; გავიგეთ, რომ ისინი სამოძრაო მექანიზმის ნაწილები არიან, ერთმანეთზე დამოკიდებული და შეკავშირებული. იმნაირ ორგანოებს, რომლებიც ერთათ მუშაობენ და ერთსავე ფუნქციას ასრულებენ, ჩვენ ვეძახით ორგანოთა სისტემას. ნერვები, ხერხემლის ტვინი და თავის ტვინი შეადგენენ ნერვებთა სისტემას. ამ ნერვებთა სისტემას თავის ადგილი აქვს ადამიანის სხეულში: თავის ტვინი მოთავსებულია თავის ქალაში, ხერხემლის ტვინი — ხერხემალში. ნერვები შტოებათ იყოფა ადამიანის მთელ სხეულში. განვიხილოთ დაწვრილებით ნერვებთა სისტემის სხვა-და-სხვა ნაწილები.

დაუკვირდეთ მეორე ნახატს, რომელიც ნერვებთა სისტემას წარმოადგენს. ტვინს აქ წინიდან ვხედავთ. თავის ტვინი აღნიშნულია რიცხვებით 1, 2 და 3; 3 წარმოადგენს ეგრედ-წოდებულ პატარა ტვინს; 1 და 2 წარმოადგენენ ნახევარ-სფეროებს. ნახევარ სფეროებს უწოდებენ ამნა წილებს იმისათვის, რომ თავის ტვინს სფერული (ბურთის მზგავსი) ფორმა აქვს: ის შუაზე არის გაყოფილი. ნახევარ-სფეროებში თავდება ხერხემლის ტვინის (4) და თავის ტვინის შემაერთებელი ნაწილი, რომელსაც ტვინის წველს ანუ ღერს უწოდებენ. ეს ტვინის ღერი გაგრძელებაა ხერხემლის ტვინისა და აერთებს ერთმანეთთან ნახევარ-სფეროებს. ღერი იყოფა ორ ნაწილათ, რომელთაგანაც ერთი მარცხენა ნახევარ-სფეროში, ხოლო მეორე მარჯვენა ნახევარ-სფეროში შედის. ამ ორ ტოტს ტვინის ღერისას ტვინის ფეხებს ეძახიან. ხერხემლის ტვინი წარმოადგენს მრგვალ ღერს, რომლის სიგძე 40 სანტიმეტრამე მიაღწევს. ტვინის სიმსხო განსხვავდება სხვა და სხვა ადგილებზე, საერთოდ შეგვიძლია ვთქვათ,—საჩვენებელი თითის სიმსხო ექნება. ხერხემლის ტვინიდან




ნახ. 2.

ზურგის ტვინის.

გამოდიან ნერვები: 6, 7 და 8 (ნახ. 2) ეს ნერვები, როგორც უკვე ვიცით, მიდიან კუნთებამდე და მათში ტოტებს იძლევიან.


მესამე ნახატი უფრო ვრცლად გვიჩვენებს ხერხემლის ტვინის შენობას. ეს ნახატი წარმოადგენს ხერხემლის ტვინის პატარა ნაწილს. აქ ნაჩვენებია თვალსაჩინოთ გარეგანი დაწვრილებითი შენობა ხერხემლის ტვინისა. ტვინს ვხედავთ წინიდან. ნერვი (5) მსხვილდება ერთ ადგილას (4) და შემდეგ იყოფა ორ ნაწილად: პირ-



ნახ. 3.

ხერხემლის ტვინი.

ველი ნაწილი (3) შემოუვლის ტვინს წინიდგან და შედის ტვინის ნივთიერებაში. ამ ნაწილებს ეძახიან ნერვების ფესოებს. პირველი ფესო, რომელიც ტვინში წინიდან შედის, არის წინა ფესო; მეორე უკანა ფესო. მაშასადამე ნერვები შეერთებულია ტვინთან წინა და უკანა ფესოებით. ტვინის ფესოები რიცხვით ოცდა ათია. იმ


Truncus corporis callosi
Splenium
Septum pellucidum
Rostrum
Sulcus hypothalamicus
Culmen
Declive
Lobulus centralis
Tuber vermis
Fimbria
Nodulus
Uvula
Pyramis
Pons

ადგილს (4), რომელიც ფესოებსა და ნერვს აერთებს, კვანძს ვეძახით. ხერხემლის ტვინი მისი ნერვების ფესოებით მოთავსებულია ხერხემლის ფოსოში. ნერვები ფოსოს გარეშე მდებარეობენ.

მეორე ნახატზე ვნახეთ მთელი ნერვებთა სისტემა: ხერხემლ-ს ტვინი, ტვინის ღერი, ნახევარ-სფეროები და პატარა ტვინი.

მეოთხე ნახატი წარმოადგენს ერთ ნახევარ-სფეროს (1), ნახევარ პატარა ტვინს (2), ნახევარ ღერს (3),—ესე იგი ტვინი შუაზეა გაყოფილი. ჩვენ იმ მხრით უყურებთ, რომლითაც ის მეორე მხარეს უერთდება. მეხუთე ნახატზე კი ნახევარ-სფეროს გარედან ვხედავთ.

ტვინის ღერი შესდგება—მოგძო ტვინისაგან, (ნახ. 4—3) ხიდისაგან (5) და ტვინის ფეხისაგან (4), რომელიც ნახევარ-სფეროში შედის. ტვინის ღერზე ზის პატარა ტვინი (2). ის შეკავშირებულია ხერხემლის ტვინთან უკანა ფეხებით, ხიდთან შუა ფეხებით და თავის ტვინთან წინა ფეხებით. ამ ფეხებს ნახატზე ვერ ვხედავთ.

ფრიად საყურადღებოა ვარეგანი ფორმები ნახევარ-სფეროებისა. დავიწყოთ მეხუთე ნახატის განხილვით. უპირველესათ თვალში გვეცემა, რომ ტვინის ზედაპირი სწორი არაა. ის თითქო დახნულია, დაკვალულია. კვალები საზღვრავენ ტვინის ნაწილებს, რომლებსაც ხვეულებს ეძახიან. ულრმესი კვალი ტვინის გარეგან ზედაპირზეა, ეს არის სილვიის კვალი (1); სილვიის კვალი ყოფს ყვრიმალის ნაწილს კეფის და შუბლის ნაწილებისაგან. შუბლის ნაწილს კეფის ნაწილისაგან ყოფს როლანდის კვალი (2); როლანდის კვალის და სილვიის კვალის უკან მოთავსებულია კეფის და ქედის ტვინი. როლანდის კვალის (2) წინ მდებარეობს წინა ცენტრალური ხვეული, მის უკან—უკანა ცენტრალური ხვეული; ეს ხვეულები ქვევით მიდიან სილვიის კვალამდე (1). წინა ცენტრალური ხვეულების წინ მოთავსებულია შუბლის ხვეულები, რომლებიც ერთმანეთისაგან შუბლის კვალებითაა გაყოფილი. პირველი შუბლის კვალის (4) ზევით მოთავსებულია პირველი შუბლის ხვეული. მეორე შუბლის კვალის (6) ქვეშ მოთავსებულია მესამე შუბლის ხვეული (9), ეს ხვეული



Gyrus centralis post.
Gyrus supramarginalis
Gyrus temporalis sup.
Gyrus temporalis medius
Gyrus temporalis inf.
Gyrus occipitalis
Gyrus angularis

Fig. 5.

უერთდება წინა ცენტრალურ ხვეულს. ის ადგილი, სადაც ეს ხვეულები შეიყრებიან, დიდათ საყურადღებოა. უკანა ცენტრალური ხვეულის უკან მოთავსებულია კეფის ხვეულები, რომლებიც კეფის კვალით (10) არიან გაყოფილი. კეფის კვალის (10) ზევით მოთავსებულია პირველი კეფის ხვეული (11), მის ქვევით—მეორე კეფის ხვეული. ყვრიმალის ნაწილი იყოფა ორ კვალით: პირველ ანუ ზედა კვალის (13) ზევით მდებარეობს ზედა ყვრიმალის ხვეული (16); ქვედა კვალის ქვეშ მოთავსებულია ქვედა ყვრიმალის ხვეული. ამ გარეგანი ფორმების ცოდნა დაგვეხმარება მომავალში, როდესაც ნებსითი მოძრაობათა დაზიანებას შევეხებით.

ტვინის გარეგანი ფორმების გაცნობის შემდეგ შეგვიძლია გავაგძელოთ საუბარი ტვინის ფუნქციების შესახებ. თურმე ნერვების დაზიანების გარდა, ნერვის ფესოების დაზიანებასაც შეუძლია გამოიწვიოს დამბლა ან და მოძრაობის შესუსტება. ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც სნეულება წინა ფესოებს შეეხება; უკანა ფესოების დაზიანება დამბლას არ გამოიწვევს, მათ სხვა დანიშნულება აქვთ. ხერხემლის ტვინის დაზიანება დამბლას მხოლოდ მაშინ გამოიწვევს, როდესაც სნეულება მის წინა-ნახევარს შეეხება, იმ ნახევარს, რომლიდგანაც წინა ფესოები გამოდის. უკანა ნახევარს სხვა ფუნქცია უნდა ქონდეს. გარდა ამისა შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ხელების დამბლას გამოიწვევს ხერხემლის ტვინის ზედა ნაჭერის დაზიანება, ფეხების დამბლას—ქვედა ნაჭერის დაზიანება. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ხერხემლის ტვინის ყოველი ნაჭერი ასრულებს სხვადასხვა გვარ ფუნქციას. ზემოთ ვთქვით, რომ თავის ტვინის დაზიანების გამო ადამიანს დამბლა ემართება. გარდაცვალებულთა ტვინის გამოკვლევამ დაგვანახა, რომ დამბლას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ზიანი შეეხება ცენტრალურ ხვეულებს, ანუ უკეთ რომ ვთქვათ წინა ცენტრალურ ხვეულს და მის ახლო მდებარე ნაწილებს შუბლის ხვეულებისას. წინა ცენტრალურ ხვეულის დაზიანება გამოიწვევს ნახევარ სხეულის უმოძრაობას. თუ დაზიანებულია ქვედა ნაწილი ამ ხვეულისა

(18), დამბლა პირისახეს შეეხება; შუა ნაწილის (19) დაზიანება გამოიწვევს ხელის დამბლას; ზედა ნაწილის დაზიანება ფეხების დამბლას; ქვედა და შუა ნაწილების დაზიანება გამოიწვევს პირისახის და ხელის სიდამბლეს; შუა და ზედა ნაწილების დაზიანება—ფეხის და ხელის სიდამბლეს და სხ. სხვა ხვეულების დაზიანების გამო ხელფეხს არავითარი ზიანი არ მიეცემა. იმ ადგილის დაზიანება, სადაც წინა ცენტრალური და მესამე შუბლის ხვეულები შეიყრებიან, გამოიწვევს სიტყვის და ლაპარაკის უნარის დაკარგვას. ყველა ეს იმას ნიშნავს, რომ ტვინი დაყოფილია ნაწილებათ, რომელთა დანიშნულება ერთი-მეორისაგან დიდათ განსხვავდება. ამ ნაწილებს ჩვენ ცენტრებს ვეძახით: ხელის, ფეხის, სახის, ენის და სხვა ცენტრები. ფეხის ცენტრი თავისთავათ დაყოფილია პატარა ცენტრებათ: ზოგი ამოძრავებს მუხლს, ზოგი თითებს და სხ. იმ ხვეულებს, რომელთა დაზიანებაც გამოიწვევს სიდამბლეს, ეძახიან სამოძრაო არეს.

ცენტრალურ ხვეულების სამოძრაო ფუნქციების აღმოჩენა სხვა გზითაც შეიძლება. შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ცხოველების ტვინის სხვადასხვა ხვეულებს სხვადასხვა დანიშნულება აქვთ. ამისათვის საჭიროა ეს საკითხი ცხოველების გამოკვლევით შევისწავლოთ. უმაღლეს ცხოველების ტვინი შესდგება იმავე ნაწილებისაგან, რომლებისაგანაც შესდგება ადამიანის ტვინი. იგივე ნერვები მათი ფესოებით, ხერხემლის ტვინი, ტვინის ღერი, პატარა ტვინი და ნახევარ-სფეროები. განსხვავება ისაა, რომ რაც უფრო მეტია ნახევარ—სფეროები, მით უფრო მაღლა დგას ცხოველი. გამოკვლევის ობიექტათ ავიღოთ ძაღლი და შევისწავლოთ მისი ტვინის სხვადასხვა ხვეულების დანიშნულება.

ძაღლი ხლოროფორმით დავაძინოთ; ამნაირათ ოპერაცია შეგვიძლია ისე გავაკეთოთ, რომ ძაღლი ვერაფერს გაიგებს. თავის ქალა ერთ ადგილას გავჭრათ, ამოვიღოთ შაურის ოდენა ძვალი და ვნახოთ ტვინის ქერქი. ამოვჭრათ ის ადგილი ტვინისა, რომელსაც ძაღლის ტვინში წინა ცენტრალური ხვეულის ადგილი უჭირავს.

თუ ამ ხვეულს მარცხნივ ამოვჭრით, მარჯვენა მხარეს დამბლა დაეცემა, ძაღლი ცალ გვერდზე დავარდება.

აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ხვეული, რომელიც ამოვჭერით, ალბათ ცალ მხარეს ამოძრავებდა. კიდევ ერთი საშვალება გვაქვს დავამტკიცოთ, რომ ტვინის ქერქი დაყოფილია ცენტრებათ: ელექტრონის ძალას დიდი გავლენა აქვს ნერვებთა სისტემაზე. ავიღოთ ეგრეთ-წოდებული ბატარეია, რომელიც ელექტრონის ძალას იძლევა. ეს ძალა მავთულების საშვალებით ცხოველის ტანში შევიყვანოთ. ამისათვის საჭიროა ორი მავთული, რომლებიც ბატარეის სხვადასხვა ადგილებზეა მიბმული. თუ თავისუფალი თავები მავთულებისა განშორებულია ერთმანეთისაგან, ელექტრონის ძალა ამუშავდება. შეგვიძლია ამ თავების შუა ჩვენი სხეული ჩავაყენოთ: მაშინ ელექტრონი ჩვენ სხეულში გაივლის. იმ გამოკვლევისათვის, რომელსაც ჩვენ ეხლა შევეხებით, საჭიროა—ამ მავთულების თავები ერთი მეორესთან ძლიერ ახლოს იყოს, მაგრამ ერთმანეთს არე ეხებოდენ. შევეხოთ ამ მავთულების თავებით ბაყაყის რომელიმე კუნთს: კუნთი იმ წამსვე შეიკუმშება და მოძრაობას გამოიწვევს, შეგვიძლია ავამუშაოთ ის კუნთი, რომელიც გვსურს. შევეხოთ ამავე მავთულებით ნერვს. ყველა ის კუნთები, რომლებშიაც ეს ნერვი შტოებს იძლევა შეიკუმშებიან, ესე იგი მუშაობას დაიწყებენ. იგივე მოხდება, თუ მავთულების წვერით ხერხემლის ტვინს შევეხებით.

ამ მოვლენას, რომელსაც ელექტრონის ძალა იწვევს კუნთებსა და ნერვებში, ვეძახით კუნთების და ნერვების გაღიზიანებას. მეორე შემთხვევაში კუნთების მუშაობა გამოიწვია ნერვის გაღიზიანებამ, მესამე შემთხვევაში—ხერხემლის ტვინის გაღიზიანებამ.

ხერხემლის ტვინის სხვადასხვა ადგილების გაღიზიანება გამოიწვევს სხვადასხვა მოძრაობას. თუ ამავე საშვალებას ვიხმართ ტვინის ქერქის გასაღიზიანებლათ, შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ესა თუ ის ადგილი თავის ტვინის ქერქისა დანიშნულია ამა თუ იმ მოძრაობისათვის. ამ ადგილებს ჩვენ უკვე სამცძრაო ცენტრები უწო-

დეო. ძაღლის ტვინში ამგვარი ცენტრები თხუთმეტამდეა, კაცის ტვინში კი ბევრათ უფრო მეტია. კაცის ტვინის ამ მხრივ შესწავლა მხოლოდ მის შემდეგ შეიქნა შესაძლებელი, როდესაც ტვინზე ოპერაციების კეთება დაიწყეს. ოპერაციის დროს ტვინის ქერქი თავისუფლათ მოსჩანს თავის ქალის ნახვრეტში. თუ ამ ქერქს სხვადასხვა ადგილას შევეხებით ბატარეიდან გამოყვანილი მავთულებით, ამა თუ იმ მოძრაობას მივიღებთ. დავინიშნოთ ტვინის ნახატზე ის ადგილი, რომელსაც შევეხეთ და იმ მოძრაობასაც, რომელიც ამ ადგილის გაღიზიანებით მივიღეთ. მოძრაობას მხოლოდ სამოძრაო არეს გაღიზიანება იწვევს. ამ არეს გაღიზიანებით ბევრგვარი მოძრაობა შეგვიძლია მივიღოთ. თუ ტვინს მავთულებს არ მოვაცილებთ და ასე ერთ ადგილიდან მეორეზე გადავიტანთ, ერთს მოძრაობას მეორე მოყვება. თუ თითების ცენტრებს გავაღიზიანებთ. შეგვიძლია თითებს იმგვარი მოძრაობა შევასრულებიოთ, თითქო ისენი ფორტეპიანოზე უკრავდენ. ჩვენ უკვე განვიხილეთ ნახატი, რომელზედაც ცენტრებია აღნიშნული. აქ შემდეგი ცენტრებია ნაჩვენები: ფეხის—(20), ხელის –(19), პირისახის მოძრაობის –(18). ენის—(23), ღეჭვის და ყლაპვის –(24), ლაპარაკის—(9), თვალების და თავის მოძრაობის —(5) და სხ... სამოძრაო მექანიზმი შეიცავს ტვინის ქერქში მდებარე ცენტრებს, რომელთაც ალბათ კუნთებთან აქვთ დამოკიდებულება.

საჭიროა იმგვარი მოწყობილების არსებობა, რომლის საშვალებითაც ეს დამოკიდებულება განხორციელდეს. ეს მოწყობილება რთულია. მისი შესწავლა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ჯერ უფრო მარტივ სამოძრაო მექანიზმებს გავიცნობთ. ამგვარი მარტივი მექანიზმები უნებლიეთ მოძრაობათა განსახორციელებლათ არსებობენ. ამ მოძრაობათა და მათი მექანიზმის გაცნობას უნდა შეუდგეთ ჩვენ ეხლა, რათა შემდეგ უფრო რთული მოწყობილება ნებსითი მოძრაობათა მექანიზმების ადვილათ შევისწავლოთ.

დამბლა-დაცემული სხეულის მოძრაობას მოკლებულია იმდენათ, რამდენათაც ადამიანის ნებას არ ემორჩილება. მისი კუნთები არ

იკუმშებიან მისი სურვილისამებრ. ამისდა მიუხედავათ დამბლა დაცემულ სხეულს შეუძლია ავათმყოფის ნების წინაღმდეგ მოძრაობა განახორციელოს. ამგვარი მოძრაობა უნებლიეთია.

გამოვიკვლიოთ უნებლიეთი მოძრაობა დამბლა დაცემულ ფეხისა; ავიღოთ მესამე მაგალითში დასახელებული ავათმყოფი.

ავათმყოფი წევს. მოუდგეთ მას იმ მხრიდან, საითაც ფეხი დამბლით არის შეპყრობილი, მარცხენა ხელი მუხლის ქვეშ შეუდვათ და მუხლი ცოტა ზევით ავწიოთ. ამ აწევის დროს ფეხი მუხლში მოიღუნება. მეორე ხელში კვერი ავიღოთ, ის კვერი, რომელსაც აქიმები ხმარობენ და დავკრათ ხმელ ძარღვზე მუხლის კოტოტის ქვეშ. ეს ხმელი ძარღვი ეკუთვნის იმ კუნთს, რომელსაც ფეხის გახსნა შეუძლია.

კვერის დაკვრის შემდეგ ფეხი გაიხსნება და იმ წუთშივე მოიღუნება. რამდენჯერაც უნდა გავიმეოროთ კვერის დაკვრა, იმდენჯერვე მას ფეხის გახსნა მოყვება. ეს მოძრაობა ფეხისა უნებლიეთია, არც მისი გამოწვევა და არც შეჩერება ავათმყოფს არ შეუძლია; ეს არის პირველი დამახასიათებელი თვისება უნებლიეთი მოძრაობისა.

მეორე თვისება უნებლიეთი მოძრაობისა ისაა, რომ მის გამოსაწვევათ საჭიროაგა რეგანი მიზეზი: ჩვენ მაგალითში კვერის დაკვრა. ამგვარივე უნებლიეთი მოძრაობა შეგვიძლია გამოვიწვიოთ იმ შემთხვევაშიც, თუ კვერს დავკრავთ საღი ფეხის მუხლის კოტოტის ქვეშ. მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი უნებლიეთ მოძრაობისა: გაუსვათ კვერის ტარის ბოლო ფეხის გულზე, ავათმყოფის ფეხის დიდი თითი ფეხის ზურგისაკენ გაიღუნება. დავაყენოთ საღი ადამიანი ფეხზე. კვერის ტარი გაუსვათ ბაყვების შიგნითა გვერდიდან: სასქესო ჯირკვალი ზევით აიწევს. არც ამ მოძრაობის გაჩერება შეუძლია ადამიანს: ეს მოძრაობაც უნებლიეთია. ეს მოძრაობანი პასუხი არის ჩვენ მიერ გამოწვეულ გაღიზიანებისა: კვერის დაკვრის, კვერის ტარით შეხებისა და სხვა.

ამგვარ მოძრაობას უკუგდებით მოძრაობას უწოდებენ. უფრო ხშირათ „უკუგდებითი მოძრაობის“ აღსანიშნავათ ხმარობენ სიტყვას —„რეფლექსიურ მოძრაობას“, ანუ უბრალოთ, რეფლექსს. ჩვენც ამ სიტყვას ვიხმართ. ფეხის გახსნას მუხლის რეფლექსს უწოდებთ. დიდი თითის ფეხის ზურგისაკენ მოღუნვას—დიდი თითის რეფლექსს და სხ.

რეფლექსიური მოძრაობანი ანუ რეფლექსები ძლიერ გავრცელებულია ცხოველებისა და ადამიანის ცხოვრებაში. მაგალითები: ადამიანი სვამს წყალს. საჭმელი მილი სასუნთქავი მილის უკან არის მოთავსებული. ამიტომ შეიძლება, რომ წყალის წვეთი სასუნთქავ მილში მოხვდეს. თუ წყალი სასუნთქავ მილში მოხვდა, ადამიანი გაიგუდება. რომ ამგვარი შემთხვევა არ მოხდეს, ადამიანი მაშინვე ხველებას იწყებს, როგორც კი წყლის წვეთი სასუნთქავ მილში მოხვდება. ამ ხველების შეჩერება შეუძლებელია, მას მიზნათ აქვს წყალი ზევითვე ამოდენოს. ხველება აღნიშნულ მიზნის მიღწევის შემდეგ მოკლე ხანში ისპობა. ხველება უკუგდებითი ანუ რეფლექსიური მოძრაობაა. ადამიანი ღვინით გაიღეშა. ღვინოს დააყოლა ბევრი, შეიძლება, ურიგო საჭმელიც. ადამიანი იწყებს პირის ღებინებას, რომლის შეჩერებაც არ შეუძლია. ურიგო საჭმელი და ბევრი ღვინო აღიზიანებს კუჭს, რომელიც პირის ღებინებით, როგორც უკუგდებითი მოძრაობით, ამ საჭმელს უკანვე გამორეკავს.

პირისღებინება—რეფლექსია. რომ ადამიანს ეს რეფლექსი არ ქონდეს, ადვილათ შეიძლებოდა, რომ ურიგო საჭმელს ის მოეწამლა. ადამიანი ყნოსავს ცუდი სუნის სითხეს. ის იმ წამსვე იწყებს ცხვირის ცემინებას. ამნაირათ ის უკუ აგდებს იმ გამაღიზიანებელ გაზებს, რომლებიც ცხვირში მოხვდა. ადამიანი შორდება იმ ადგილს, რომელსაც ცუდი სუნი უდის. რეფლექსი ადამიანს ამ შემთხვევაში განსაცდელისაგან იცავს. თითქმის ყველა შინაგანი ორგანოების მოძრაობა რეფლექსიურია; მოძრაობა არსებობს მანამდი, სანამ გამაღიზიანებელ მიზეზებს მასზე გავლენა აქვთ. რეფლექსიურ მოძრაობის მექანიზმის შესწავლა საჭიროა, როგორც ზევით ვთქვით იმი-

სათვის, რომ ნებსითი მოძრაობათა მექანიზმი შევისწავლოთ. ეხლა იმასაც ვხედავთ, რომ რეფლექსები ძლიერ გავრცელებულია ცხოველთა ცხოვრებაში და მაშასადამე, მათ შესწავლას ამისათვის საკუთარი მნიშვნელობაც უნდა ქონდეს.

რომელი ნაწილები ნერვებთა სისტემისა იღებენ მონაწილეობას რეფლექსებში? ის ნაწილები, რომლების დაზიანების შემდეგაც რეფლექსები იკარგება ხოლმე.

განვიხილოთ ამ მხრით ნერვების, ხერხემლის ტვინის და თავის ტვინის მნიშვნელობა.

ნერვების ანთება დამბლის გარდა გამოიწვევს რეფლექსების გაქრობას. მაშ ნერვების დაზიანება რეფლექსებს სპობს. ნერვები რეფლექსებისათვის საჭირო ყოფილა. ნერვების ფესოების დაზიანებაც გამოიწვევს რეფლექსების გაქრობას. რეფლექსები ისპობა მიუხედავათ იმისა თუ რომელი ფესოა დაზიანებული---უკანა თუ წინა. ისპობა მხოლოდ ის რეფლექსები, რომლებიც დამოკიდებულია იმ ნერვის სიმთელეზე, რომელიც ამ ფესოებიდან შესდგება. ხერხემლის ტვინის დაზიანებაც რეფლექსების დაკარგვას გამოიწვევს. ამისათვის საჭიროა, რომ დაზიანებული იყოს ან ის ადგილი, რომლიდანაც წინა ფესოები გამოდის, ან ის, რომელშიაც უკანა ფესობი შედის. ცნობილია ორი ტიპიური სნეულება, რომლებიც რეფლექსების გაქრობას იწვევს: პირველი —წინა რქების ანთება, მეორე--- ხერხემლის ტვინის სიფლექე. პირველი სნეულება ხშირათ შეიპყრობს ბავშებს, მეორე ხნიერ ადამიანებს. თავის ტვინის დაზიანება არ გამოიწვევს რეფლექსების გაქრობას, პირიქით მისი დაზიანება რეფლექსების გაძლიერებას გამოიწვევს ხოლმე. რეფლექსისათვის საჭიროა ნერვი, ნერვის წინა და უკანა ფესოები და ხერხემლის ტვინი. ჩვენ მეორე ნახატზე ნაჩვენებია რეფლექსიურ აპარატის ნაწილები: 5, 4, 3, 2 და 9; ამ აპარატის შესწავლა შეგვიძლია ცხოველების გამოკვლევით.

ავიღოთ ბაყაყი, მოვჭრათ თავი, სვეტზე ჩამოვკიდოთ და ნევსით ფეხზე ურჩხელიტოთ. ყოველთვის ჩხვლეტის შემდგომ ბაყაყის ფეხი

შეიკეცება. ამგვარი მოძრაობა ნებსითი არ შეიძლება იყოს, რადგანაც ბაყაყს თავის ტვინი არა აქვს. მაშ ფეხის შეკეცა აქ რეფლექსიურათ ხდება.

აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ იმ ცხოველს, რომელიც ნებსით მოძრაობას მოკლებულია, რეფლექსიური მოძრაობის შესრულება შეუძლია; თავის ტვინი რეფლექსიური მოძრაობისათვის საჭირო არ არის.


ვნახოთ, საჭიროა თუ არა მთელი ხერხემლის ტვინი? გადავჭრათ ხერხემლის ტვინი იმ ადგილს ზევით, საიდანაც ფეხებისათვის დანიშნული ნერვები გამოდის. რეფლექსები მაინც გამომჟღავნდება, ჩხვლეტა ფეხის შეკეცას გამოიწვევს. მაშასადამე, მთელი ხერხემლის ტვინი ფეხების რეფლექსიური მოძრაობისათვის საჭირო არ ყოფილა. თუ ეხლა ხერხემლის ტვინს სიგრძის დაყოლებით შუაზე გავყოფთ, შემდეგ მოვლენას ვნახავთ: ჩხვლეტის შემდეგ ის ფეხი შეიკეცება, რომელსაც ვაღიზიანებთ. წინა შამთხვევებში კი რეფლექსიურ მოძრაობის აქტში მეორე ფეხიც მონაწილეობას იღებდა. ამგვარათ ცალი ფეხის რეფლექსიურ მოძრაობისათვის მხოლოდ ნახევარი ხერხემლის ტვინია საჭირო. როგორც ნებსითი მოძრაობის ცენტრები არიან განაწილებული ხერხემლის ტვინში, ისე ყოფილან განაწილებული მასში რეფლექსიური ცენტრები. ყოველი ადგილი ხერხემლის ტვინისა საკუთარ ფუნქციას ასრულებს. ეხლა უნდა განვიხილოთ რეფლექსიურ აპარატების შინაგანი შენობა. მეორე ნახატზე ნაჩვენებია ნერვი, მისი წინა და უკანა ფესოები და ხერხემლის ტვინი. ფესოები შეერთდებიან კვანძში და მერე ნერვში გადადიან. ის ნაწილი ნერვისა, რომელიც უკანა ფესოს ეკუთვნის, უმეტეს ნაწილათ კანში მიდის; ის ნაწილი, რომელიც წინა ფესოს ეკუთვნის—კუნთებში თავდება. თუ ეხლა გავიხსენებთ, რეფელქსიური მოძრაობა რანაირათ განხორციელდება, დავინახავთ, რომ მისი გამომწვევი გამღიზიანებელი ძალა მოქმედობს კანზე, მიდის ნერვში, გადადის უკანა ფესოში, რომელშიც კანში დაწყებული ნერვის ნაწილი შედის, აქედან მიემართება ხერხემლის ტვინში, ტვინიდან

წინა ფესოში, ნერვში და ამრიგათ კუნთებამდე მიაღწევს. როგორც ვხედავთ, რეფლექსიური მექანიზმი წარმოადგენს რკალს, რომლის ერთ თავშიც მოთავსებულია კანი, მეორეში კი კუნთები, შუაში ჩართულია ხერხემლის ტვინი. ამ რკალს უწოდებთ რეფლექსიურ რკალს. რეფლექსიური რკალის დაზიანება რეფლექსიურ მოძრაობათა მოსპობას გამოიწვევს.

რეფლექსიური აპარატი გავს დაშორებით იმ მოწყობილობას, რომლის საშვალებითაც დეპეშებს გადასცემენ. ეს აპარატი შეიცავს გასაგზავნ სადგურს (კანი), მავთულებს, რომლებიც ერთი სადგურიდან მეორემდე არიან გაბმული (ნერვები), და მიმღებ სადგურს (ხერხემლის ტვინი), რომელიც დეპეშებს პატრონს აბარებს. რა რიგათ უნდა იყოს მოწყობილი რეფლექსიური რკალი, რომ ამგვარი მუშაობა შეიძლოს? შევისწავლოთ ჯერ ნერვების და მერე ხერხემლის ტვინის წმინდა შენობა.

ნერვი, თუ მას შეუიარაღებელი თვალით გავშინჯავთ, წარმოადგენს გრძელ თასმას, რომელიც თხელ გარსშია გახვეული. ამოვჭრათ ამ ნერვიდან თხელი წელი და გამადიდებელ შუშის საშვალებით გავშინჯოთ. ადვილათ დავრწმუნდებით, რომ ზედაპირი ნაჭერისა შეიცავს მრავალ კაკლის მზგავს ნაწილებს. თუ ამავე ნერვს მიკროსკოპის საშვალებით გავშინჯავთ, სულ სხვა სურათს ვნახავთ. მიკროსკოპი გვაძლევს საშვალებას საგანი ორასჯერ, სამასჯერ, ხუთასჯერ გავადიდოთ. მისი საშვალებით ისეთი საგნები შეგვიძლია შევისწავლოთ, რომელთა შესწავლა შეუიარაღებელი თვალით ყოვლათ შეუძლებელია. საჭიროა მხოლოდ ამ საგნის სისქე პაპიროსის ქაღალდის სისქეს უდრიდეს. ამნაირ ნაჭრების მოსამზადებლათ არსებობს მანქანები, რომლებსაც მიკროტომებს ეძახიან. მიკროსკოპის ქვეშ კაკლების მაგივრათ პატარა რგვალ წრეებს ვნახავთ. ეს წრეები შეგვხვდება ნერვის ყოველ ნაჭერზე. აქ შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ ნერვი პატარა კაკლებისაგან შესდგება. როდესაც ამ კაკლებს გავჭრით ნაჭერის მომზადების დროს და მიკროსკოპით გავშინჯავთ, დავინახავთ რგვალ წრეებს. სულ სხვა სურათს ვნა-

ხავთ, თუ ნერვს სიგრძეზე გავჭრით. რგვალ წრეებს ვეღარ ვამჩნევთ, მოსჩანს მხოლოდ გრძელი თასმები, რომლებიც ერთმანეთთან ძლიერ ახლო არიან გამწკრიკებულნი. სიგანეზე გადაჭრილ ნერვის ნაჭერზე რომ წრეები ვნახეთ, ისინი ამ თასმებს ეკუთვნოდენ. ნერვი შესდგება მრავალ ძაფებისაგან. თვითეული ძაფი თავისუფლათ არის მოთავსებული თავის გარსში. ნერვის ფესოებიც ისეა მოწყობილი, როგორც თვით ნერვები.



ნახ. 6.


ხერხემლის ტვინის ნაჭერი.

რა სურათს წარმოადგენს ხერხემლის ტვინი თხელ მიკროსკოპიულ ნაჭერზე? შეუიარაღებელი თვალით შეგვიძლია გავარჩიოთ რომ ამ ნაჭერს ყველგან ერთი ფერი არა აქვს. (იხ. ნახ. **6**) შუა გულში ნაცრის-ფერია, გარშემო თეთრი: ტვინის ნაცრის-ფერი ნივთიერება (**1**) და ტვინის თეთრი ნივთიერება (**2**). ნაცრის-ფერი ნივთიერება შეგვიძლია დავყოთ შემდეგ ნაწილებათ: წინა რქები (**3**) და უკანა რქები (**4**). წინა და უკანა რქა ერთმანეთის გაგრძე-

ლებას წარმოადგენს და ვიწრო ხიდის საშვალებით არის დაკავშირებული. რქებში ვხედავთ შავ წერტილებს.

თუ გვსურს ამ წერტილების შესწავლა, ძლიერ უნდა გავადიდოთ ის ადგილი, სადაც ისინი მდებარეობენ. მეექვსე ნახატზე ჩვენ ეს ადგილი შემოვხაზეთ. ის შეიცავს წინა რქის წინა ნაწილს და მის ახლო მდებარე თეთრ ნივთიერებას.

მეშვიდე ნახატზე ვხედავთ ამ შემოხაზულ ადგილს, მაგრამ 500-ჯერ გადიდებულს. ის წერტილები, რომელიც მეექვსე ნახატზე ვნახეთ, აქ ნაჩვენებია რიცხვით — 1.



ნახ. 7.

უკრკვები.

რას წარმოადგენს ეს წერტილები? შეიძლება თუ არა მათ წერტილები უწოდოთ? მეშვიდე ნახატზე მათ წერტილებთან ცოტა რამ აქვთ საერთო. თეთრი ნივთიერება აქ იმავე შენობას წარმოადგენს, როგორიც ნერვებისათვის ავწერეთ. აქაც იგივე ნერვების ძაფები უნდა იყოს (2); ამნაირ ძაფებს, მაგრამ სიგრძეზე გაჭრილს ვნახულობთ თეთრსა და ნაცრის-ფერ ნივთიერებაში (3). ხერხემლის

ტვინის ელემენტების შესწავლისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რა ელემენტებისაგან შესდგება ადამიანის სხეული საზოგადოთ. მხოლოდ მაშინ გავიგებთ ტვინის შენობის გეგმას.

— ძველი დროის მეცნიერებს ძლიერ ეინტერესებოდათ კაცის და ცხოველების აგებულობისა და შენობის შესწავლა. გვამის გაჯრის საშვალებით მეცნიერებმა შეისწავლეს სხეულის შენობა: ამათ გაყვეს სხეული სხვადასხვა დანიშნულების ორგანოებათ, ამათშია: ჩონჩხი, რომელიც ძვლებისაგან შესდგება, სახსრები, რომლებიც ძვლებს ერთმანეთთან აკავშირებს, კუნთები. რომელიც სამოძრაო აპარატს წარმოადგენს, გული, ფილტვები. ღვიძლი და სხ.

ზემოხსენებულმა მეცნიერებმა არ იცოდენ თვითეულ ორგანოს მნიშვნელობა. ზოგს ეგონა უმთავრესი მნიშვნელობა გულს აქვსო, ზოგი ფილტვების უპირატესობას ამტკიცებდა, ზოგიც სიცოცხლის ძალას სისხლში ეძებდა. მაგრამ მათ ვერ აკვირვებდა, რომ ზოგიერთ ცხოველს არც გული ჰქონია და არც ღვიძლი, ხოლო ცხოვრებას მშვენიერათ ახერხებდა. ზოგი ცხოველი წარმოადგენს პატარა ტომსიკას. რომელიც ერთ ადგილზეა მიკრული. ეს ცხოველი წყალში ცხოვრობს და ასრულებს ყველა იმ ფუნქციებს, რომლებსაც უმაღლესი ცხოველები ასრულებენ. მისთვის არც გულია საჭირო, არც სისხლი, არც ფილტვები. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ. რომ სიცოცხლის საიდუმლო, გულსა და სისხლში კი არა, სადღაც უფრო მარტივ ორგანოშია მოთავსებული. ეს ორგანო, როგორც ადამიანს, ისე ამ პატარა ტომსიკასაც აქვს.

ძველი დროის მეცნიერებმა ბევრი დრო და შრომა დახარჯეს. სამწუხაროთ, საიდუმლო ისევ საიდუმლოთ დარჩა, მაგრამ ადამიანის აზრი მუშაობდა დაუსვენებლათ. გამოიგონეს მიკროსკოპი. რომლის საშვალებითაც სხეულების წმინდა შენობის შესწავლა შესაძლებელი შეიქნა.

პირველათ მეცნიერებმა მიკროსკოპის საშვალებით მცენარეთა შენობა შეისწავლეს. თხელ მიკროსკოპიული ნაჭრების შესწავლით დაამტკიცეს, რომ მცენარის სხვადასხვა ნაწილები შესდგებიან უჯ-

რედებისაგან, რომლებიც გაყოფილია კედლებით. ამ უჯრედებში რაღაც სითხეც შეამჩნიეს. რადგანაც უჯრედები აღმოჩნდა მცენარის ყოველ ნაწილში, მეცნიერები ამტკიცებდენ, რომ მცენარე უჯრედებისაგან შესდგებაო. უჯრედი იყო ცნობილი, როგორც ელემენტარული ნაწილი მცენარეებისა. მცენარე, პირველი მიკროსკოპისტების აზრით, ისე იყო აშენებული უჯრედებისაგან, როგორც სახლი აგურებისაგან. ცხოველების ორგანოების მიკროსკოპიული შესწავლა ცოტა უფრო ძნელი აღმოჩნდა. მიკროსკოპიული სურათები აქ უფრო ბნელი გამოდიან. უჯრედების მაგივრათ აქ მხოლოდ კაკლებს ნახულობდენ. ცხოველების წმინდა შენობის შესწავლა მხოლოდ მაშინ შეიქნა შესაძლო, როდესაც მიკროსკოპიული ნაჭრების შეღება ისწავლეს. აღმოჩნდა, რომ საღებავს იღებს ზოგი ნაწილი ნაჭერისა, ზოგი კი შეუღებავი რჩება. როდსაც შეღებილი ნაჭერი მიკროსკოპის საშვალებით შეისწავლეს, ნახეს რომ ნაჭერი შესდგება შეღებილ გუნდებისაგან, რომლის გარშემო შეუღებავი ნივთიერება არის. მცენარეებთან შედარებით ამტკიცებდენ, რომ ეს გუნდები უჯრედებს უნდა ეკუთვნოდესო. შემდეგ იმგვარი საღებავი აღმოაჩინეს, რომელიც უჯრედების კედლებს ღებავდა. ამ საღებავით შემუშავებული ნაჭრები მართლაც დაახლოვებით მოგაგონებდათ მცენარეების შეუღებავ ნაჭრებს. ამისათვის იმ ელემენტებს, რომლის შუა გულში გუნდი იყო მოთავსებული, აქაც უჯრედი დაარქვეს.

ჩვენ დროში ყველამ იცის, რომ მცენარეების და ადამიანის სხეულები უჯრედებისაგან შესდგება. ეს უჯრედები ძლიერ პატარა არიან. საჭიროა მრავალჯერ გადიდება, რომ მათი შენობა შევისწავლოთ. უჯრედის შუა გულში მდებარეობს გუნდი; გუნდის გარშემო—ეგრეთ წოდებული პროტოპლაზმა. პროტოპლაზმა გარსშია გახვეული. რას წარმოადგენს ეს უჯრედი? შეუძლია თუ არა მას ცხოვრება ორგანიზმის დამოუკიდებლათ?

მიკროსკოპის გამოგონების შემდეგ მეცნიერები დარწმუნებული იყვნენ, რომ უნდა არსებობდენ იმნაირი ცხოველები, რომლებიც

შეუიარაღებელი თვალით არ ინახებიან. მიკროსკოპის გაშინჯულ ერთ წვეთ წყალში აღმოჩნდა არსებათა მთელი კოლონია. ეს პატარა ცხოველები მშვენიერათ მოძრაობდენ, იკვებებოდენ და მრაცლდებოდენ. გამრავლება აქ ხდებოდა უბრალოთ. პატარა ცხოველი იყოფოდა ორ ნაწილათ და თვითეული ნაწილი ახალ პატარა არსებას წარმოადგენდა. ყოველი პატარა ცხოველი შეიცავდა გუნდს და პროტოპლაზმას, ზოგს გარსიც ჰქონდა. ერთი სიტყვით, ცხოველი ერთ უჯრედს წარმოადგენდა. ეს ცხოველი იყო უჯრედი, რომელიც თავისუფლათ ცხოვრობდა.

ამგვარათ, უმაღლესი ცხოველების ორგანიზმი შესაძლო იყო წარმოედგინათ, როგორც უჯრედთა კოლონია. ამ სახელმწიფოში უჯრედები ცხოვრობენ, მაგრამ თავისუფლებას მოკლებული არიან, უჯრედს არ შეუძლია მოსცილდეს იმ სხეულს, რომლის ნაწილსაც შეადგენს. როგორ დაკარგა უჯრედმა თავისუფლება? ცოტა მოთმინება ვიქონიოთ და გამოვიკვლიოთ, როგორ წარმოსდგა უჯრედებისაგან უმაღლეს ცხოველთა ორგანიზმი.

მეცნიერები ამტკიცებენ—უმაღლეს ცხოველების ორგანიზმი უჯრედისაგან წარმოიშვაო. ადამიანის სხეულიც ისახება ერთ უჯრედში, რომელიც დედის საკვერცხედან გამოდის, საშვილოსნოში გამოსვლის დროს უერთდება მამის თესლის უჯრედს და ამ ორ უჯრედიდან ვითარდება ადამიანის მთელი რთული სხეული. თუ რთული ადამიანის სხეული შეიძლება უჯრედიდან განვითარდეს, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ უმაღლესი ცხოველები წარმოსდგენ იმ ცხოველებიდან, რომლებიც უწინ ერთ უჯრედს წარმოადგენდენ. რა რიგათ უნდა მომხდარიყო ერთ უჯრედიან ცხოველის განვითარება? თუ მარტივათ წარმოვიდგენთ ამ განვითარების პროცესს, შეგვიძლია შევადგინოთ განვითარების ამგვარი სქემა. ერთ უჯრედისაგან შემდგარი ცხოველი იყოფა ორ ნაწილათ—მრავლდება. თითო ნაწილი კიდევ ორათ იყოფა. თუ ეს ოთხი ცხოველი ერთმანეთს დაცილდება, კოლონია ველარ შესდგება. წარმოვიდგინოთ იმგვარი პირობები, რომლებიც უჯრედებს საშვალებას არ აძლევს

ერთმანეთს დასცილდეს. უჯრედები ერთათ რჩებიან, მათ გარშემო ეკვრებათ ის ლორწო, რომელიც თვითონვე შეიმუშავეს; კოლონიაში ჯერ მხოლოდ ოთხი უჯრედი ცხოვრობს; როდესაც ესენი გაიყოფიან, მაშინ რვა უჯრედი იქნება; ამათ გაყოფის შემდეგ—თექვსმეტი და სხვა. კოლონია თანდათან იზრდება. ყოველი ნერვი კოლონიისა ჯერ-ჯერობით თავისათვის ზრუნავს. მაგრამ, როდესაც კოლონია იმდენათ გამრავლდება, რომ შუა-გულში მოთავსებული ნერვები გარეშე ქვეყანას პირდაპირ ველარ შეეხებიან, საჭირო ხდება ამ ნერვების საზრდოება. ეს ასეც წარმოებს, კოლონიის გარშემო მოთავსებული ნერვები საზრდოს იჭერენ, სხვები კი ამ საზრდოს მთელი კოლონიისათვის შეიმუშავებენ. ამნაირათ კოლოონიის წევრთა შორის შრომის განაწილება ხდება. გარდა ამისა, თუ კოლონია საზრდოს ერთ ადგილზე ველარ პოულობს, საჭიროა წევრთა ერთ ჯგუფმა მოძრაობის განხორციელება თავის თავზე იდვას. კოლონიდგან გამოიყოფება იმგვარი წევრები, რომლებისგანაც შემდეგში კუნთები წარმოსდგება. რაც უფრო მეტი წევრები იქნება კოლონიაში, მით უფრო გავრცელდება მასში ფუნქციების სპეციალიზაცია. ერთ დანიშნულების უჯრედები ერთმანეთს გვანან. გრძნობის ფუნქციას იღებენ თავის თავზე ის უჯრედები, რომლებიც კოლონიის გარშემო არიან მოთავსებული. გარეშე ქვეყანაში მომხდარი ყოველნაირი ცვლილება ამ უჯრედებმა უნდა გადასცენ მთელ კოლონიას, რომელიც ეხლა უკვე ორგანიზმს წარმოადგენს. საჭიროა ორგანიზმში იმისთანა ადგილიც დაარსდეს, რომელმაც ზემოხსენებულ უჯრედებისაგან ცნობები მიიღოს და სამოძრაო აპარატს გადასცეს. ამ როლს ასრულებს ის ორგანო, რომელსაც ჩვენ ნერვების სისტემა უწოდეთ. მას ეკუთვნის ის ორგანოები, რომლებიც მიიღებს ცნობებს გარეშე ქვეყნისაგან: 1) კანში მოთავსებული ნერვული მოწყობილობა და 2) უმაღლესი საგრძნობი აპარატები: სმხედველო ორგანო-თვალი, სმენის ორგანო—ყური და სხვა.

ნერვების საშვალებით ეს ცნობები ტვინამდე მიდის. უკანასკნელი ამა თუ იმ კუნთებს აამუშავებს, რათა ის მოძრაობა განახორ-

ციელოს, რომელიც ამა თუ იმ შემთხვევაში საჭიროა. ყოველ ნერვულ უჯრედის ძირითად თვისებას შეადგენს სიადვილე გაღიზიანების მიღებისა. სხვა უჯრედებმა ეს თვისება ნახევრათ დაკარგეს, რადგან მათ ორგანიზმმა სხვა ფუნქციების შესრულება მიანდო. მაშ, ნერვების სისტემა იმავე უჯრედებიდან შესდგება, როგორც მთელი ორგანიზმი, მაგრამ ამ უჯრედებს სპეციალური დანიშნულების დაგვარათ სპეციალური შენობა აქვთ.

დაუბრუნდეთ ეხლა ხერხემლის ტვინის შენობას. ის კაკლები, რომლებიც მეშვიდე ნახატზე ვნახეთ, ალბათ უჯრედები უნდა იყვნენ. ეს უჯრედები ნერვული უჯრედებია, მათგან შესდგება ნაცრის-ფერი ნივთიერება. ნაცრის-ფერ ნივთიერების დაზიანებამ რეფლექსების გაქრობა გამოიწვია, ალბათ იმიტომ, რომ დაზიანდა აქ მოთავსებული ნერვული უჯრედები. იგივე გაქრობა რეფლექსებისა გამოიწვიეს ნერვების, მათი ფესოების და ხერხემლის ტვინის თეთრი ნივთიერების დაზიანებას. უსათუოთ უნდა იყოს რაიმე დამოკიდებულება უჯრედებსა და ნერვულ ძაფებს შორის, რომლებისგანაც ნერვები, ნერვის ფესოები და თეთრი ნივთიერება შესდგება.

მეცნიერებმა უწინ ამ დამოკიდებულების შესახებ არაფერი იცოდენ. მიკროსკოპიული ნაჭერი, რომლის შესწავლითაც შესაძლებელი ხდებოდა შესაფერი გამოკვლევა, ძლიერ თხელი უნდა ყოფილიყო. ამ თხელ ნაჭერზე მთელი ნერვული უჯრედი არ თავსდებოდა. შემდეგში მოიგონეს იმნაირი მეთოდი ნაჭრების შეღებისა, რომლის საშვალებითაც ნერვული უჯრედების შესწავლა ძლიერ გაადვილდა. შესაძლებელი შეიქნა მიკროსკოპიულათ განხილვა იმისხო ნაჭრებისა, რომლებზედაც ნერვული უჯრედი ეტეოდა მისი ტოტებით.

მიკროსკოპიული სურათი შემდეგი იყო: ნერვული სურათი შესდგებოდა პროტოპლაზმისა და გუნდისაგან. მას რამოდენიმე ტოტი ჰქონდა. ყველა ტოტები, ერთის გარდა მოკლე იყო, ერთი ტოტი კი გძელი და ყველაზე უფრო წვრილი აღმოჩნდა. მოკლე ტოტებს დენტრიტები დაარქვეს, გრძელ ტოტებს—აქსონები. უჯრედის ტანი

დენტრიტებით ნაცრის-ფერ ნივთიერებაში იყო მოთავსებული, აქსონები კი თეთრ ნივთიერებაში გამოდიოდა. იმ უჯრედების ტოტები, რომელნიც ხერხემლის ტვინის გარეთ იყვენ მოთავსებული, ტვინში შედიოდენ. აქსონი შესდგება ცენტრალურ ძაფისაგან, რომელსაც ახვევია რამოდენიმე გარსი. უჯრედის ტანი, დენტრიტები და აქსონი შეადგენენ იმ ერთეულს, რომლისგანაც შესდგება ნერვებთა სისტემა. მას სახელათ ნეირონი უწოდეს. ნერვებთა სისტემა ნეირონებისაგან შესდგება.

ტვინის შენობის შესწავლის დროს ჩვენ შევეხებით შემდეგ საკითხებს: რა ნეირონები შეადგენს ამა თუ იმ ნაწილს ნერვების სისტემისას, როგორ არიან ეს ნეირონები დაწყობილი და რა ურთიერთობაა სხვადასხვა ნეირონების შორის. რეფლექსიური რკალის განხილვის დროს ჩვენ დავსვით საკითხი მისი შენობის შესახებ. რადგანაც მაშინ ნეირონების შესახებ წარმოდგენა არ გვქონდა, ამ საკითხზე პასუხის მიცემა გადავდევით. მხოლოდ ეხლა, როდესაც უჯრედებზე და კერძოთ ნეირონებზე წარმოდგენა უკვე გვაქვს, შეგვიძლია გამოვარკვიოთ, თუ რა ელემენტებისაგან შესდგება რეფლექსიური რკალი. ამის შემდეგ ჩვენ ადვილათ შევძლებთ აეხსნათ, თუ გვეცოდინება როგორ განხორციელდებიან რეფლექსიური მოძრაობანი. უნებლიეთი მოძრაობათა მექანიზმების შესწავლის შემდეგ ადვილათ გავიგებთ ნებსითი მოძრაობათა აპარატების შენობასაც.

ყურადღება მივაქციოთ მერვე ნახატს. აქ ვხედავთ ხერხემლის ტვინის ცნობილ ნაწილს (1); შუაგულს შეადგენს ნაცრის-ფერი ნივთიერება, რომელიც წარმოდგენილია წინა (12) და უკანა რქებით (13); ერთი ნახევარი მეორეს ვიწრო ხიდით უერთდება (14). ნაცრის-ფერი ნივთიერების გარშემო მოთავსებულია თეთრი ნივთიერება; ის დაყოფილია ეგრეთ-წოდებულ სვეტებათ; უკანა რქების შორის მოთავსებულია უკანა სვეტები თეთრ ნივთიერებისა, წინა რქების შორის წინა სვეტები; დანარჩენი თეთრი ნივთიერება შეადგენს გვერდითი სვეტებს. აქვე ვხედავთ წინა (2) და უკანა ფესოებს, რომლებიც ნერვში ერთდებიან, ნერვი კიდევ იყოფა ორ ნაწილათ: ერთი ნა-

წილი (5) შედის კუნთში (8), მეორე ნაწილი (6) შედის კანში (7). რეფლექსიურ რკალის ბოლოებში ერთი მხრივ მდებარეობს კანი, მეორე მხრივ--კუნთები. კანიდან გამოსული ნერვის ძაფი გაირბენს ნერვში და თავდება კვანძის ნეირონში. ამ ნეირონისაგან გამოდის (9) მეორე ტოტი, რომელიც გაირბენს უკანა სვეტებს და უკანა რქაში შედის. აქ იმის ტოტები წინა რქის (11) უჯრედებამდი მიაღწევენ და მის გარშემო ტოტებათ იყოფიან. ამნაირი უჯრედები წინა რქაში მრავალია, აქ ნაჩვენებია მხოლოდ ერთი. ამ ნეირონიდან გამოდის ტოტი, რომელიც გაირბენს თეთრ ნივთიერების წინა სვეტებში, წინა ფესოებში (2) და თავდება კუნთებში (8). ხერხემლის ტვინის კვანძის ნეირონს აქვს ორგვარი ტოტები: ერთი ტოტი კანიდან იწყება და უჯრედამდი მოდის; ეს ტოტი დენტრიტს წარმოადგენს, თუმცა მას დიდი სიგრძე აქვს. ის ტოტი, რომელიც უჯრედიდან გამოდის და ტვინში შედის, წარმოადგენს აქსონს. წინა რქის უჯრედს მოკლე დენტრიტები აქვს; უკანასკნელნი წინა რქაშივე იყოფიან შტოებათ, აქსონი კი კუნთებამდე მიაღწევს. რეფლექსიური რკალი აქ წარმოდგენილია ორ ნეირონით: ერთი ჩართულია ტვინსა და კანს შორის, მეორე ტვინსა და კუნთებს შორის. ეს უბრალო ანუ მოკლე რეფლექსიური რკალია. ერთი ნეირონი (6, 4, 9, 3) მიიღებს გაღიზიანებას კანისაგან და გადასცემს მას ხერხემლის ტვინს; ეს--მიმღები ნეირონია. მეორე ნეირონი (2, 5) პირველი ნეირონისაგან მიღებულ გაღიზიანებას გადაცემს კუნთებს. ეს სამოძრაო ნეირონია.

მოკლე რეფლექსიურ რკალში შეიძლება ჩაერთოს კიდევ ერთი ნეირონი. მაშინ უკანა ფესოში გასული კვანძის უჯრედის აქსონი გაჩერდება უკანა რქაში და გაიტოტება აქ მდებარე ნეირონის გარშემო. ამ უკანასკნელი ნეირონის ტოტები მიაღწევენ წინა რქის ნეირონამდე და მის გარშემო იტოტებიან. მაშასადამე აქ რკალი სამი ნეირონისაგან შესდგება.

ხერხემლის ტვინი ყოველ ადგილას აშენებულია ამ გეგმაზე. მაშ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის მრავალ რეფლექსიურ რკალე-

ბისაგან შესდგება და მათ საშვალებით ხერხემლის ტვინი რეფლექსიურ ფუნქციებს ასრულებს.

გავარჩიოთ მოკლეთ, თუ როგორ განხორციელდება რეფლექსიური მოძრაობა. გავიხსენოთ მუხლის რეფლექსი, რუმელიც ზევით ავწერეთ. მუხლში მოლუნული ფეხი კვერის დაკვრის შემდეგ გაიხსნა.


კვერის დაკვრით გავაღიზიანეთ იმ ნეირონის დენტრიტები, რომლებიც კანში და ხმელ ძარღვებში იწყებიან (6—ნახ. 8); ეს გაღიზიანება გადაეცა კვანძს (9), უკანა ფესოს, რომელსაც კვანძის უჯრედების აქსონები შეადგენს. შემდეგ მიაღწია უკანა რქას, გაირბინა წინა რქაში და აქ მდებარე უჯრედს გადაეცა; ამ უჯრედმა გადასცა გაღიზიანება წინა ფესოს, რომელიც წინა რქის უჯრედის აქსონებისაგან შესდგება. ამ აქსონებისაგან გაღიზიანება კუნთებს გადაეცა. რა ადგილზედაც არ უნდა დაზიანდეს ზემოხსენებული რკალი, რეფლექსები უნდა გაქრეს, რადგანაც რეფლექსიური გზა გაწყვეტილი იქნება: ნერვების დაზიანების დროს იღუპება როგორც მიმღები, ისე სამოძრაო ნეირონიც. რეფლექსი მოსპობილია. წინა ფესოს დაზიანების გამო რეფლექსი იმიტომ გაქრება, რომ გაღიზიანება, რომელმაც მოაწია წინა რქის უჯრედამდე, კუნთს ვერ გადაეცემა.

ხერხემლის ტვინის დაზიანება გამოიწვევს ან სამოძრაო ნეირონების დაზიანებას, ან მიმღებ ნეირონთა აქსონების გაწყვეტას. რეფლექსიურ მოძრაობისათვის საჭიროა სიმთელე იმ ნეირონებისა, რომლებიც მის ელემენტებათ ვიცანით.

როგორც ქვევით დავრწმუნდებით, ზემო აწერილ რეფლექსიურ რკალის შენობით ყველა რეფლექსიურ მოძრაობას ვერ ავხსნით. მოვკვეთოთ ბაყაყს თავი. თავ-მოკვეთილი ბაყაყი კიდევ ცოცხალია, მას რეფლექსიური მოძრაობა შეუძლია, ე. ი. ბაყაყის კუნთები მხოლოდ მაშინ დაიწყებენ მუშაობას, როდესაც გამაღიზიანებელი მიზეზი მოქმედობს მათზე. თავ-მოკვეთილი ბაყაყი სვეტზე ჩამოვკიდოთ, უჩხვლიტოთ ნევსით უკანა მარჯვენა ფეხზე, ფეხი მო-

იღუნება, თითქო ბაყაყს ესმოდეს, რომ ფეხის მოღუნვით გამაღიზიანებელ მიზეზს მოშორდება. უფრო სასტიკათ უჩხვლიტოთ მარცხენა ფეხს; მარცხენა ფეხის გარდა, მარჯვენაც მოიღუნება. როდესაც მარცხენა ფეხი მის პირდაპირი გაღიზიანების შემდეგ მოძრაობას იწყებს, ჩვენ ეს არ გვაკვირვებს. ამისათვის არსებობს რეფლექსიური რკალი, რომელიც მარცხენა ფეხის კანში იწყება და მარცხენა ფეხის კუნთებში თავდება. მარჯვენა ფეხი რაღათ მოძრაობს?

მივაქციოთ ყურადღება მერვე ნახატს. ამ ნახატზე მარჯვენა რეფლექსიური რკალი სრულიათ არ არის ნაჩვენები. ჩხვლეტის საშვალებით ჩვენ ვაღიზიანებთ მარცხენა უკანა ფესოს ნერვულ ძაფებს (15); ეს ძაფი თავდება უკანა რქაში მდებარე უჯრედის გარშემო (17); ამ უჯრედის ერთი ტოტი მიაღწევს იმ წინა რქის სამოძრაო უჯრედამდე, რომელიც მარცხენა მხარეზეა და მის გაღიზიანებას გამოიწვევს. მარცხენა ფეხი მოძრაობას იწყებს. მეორე ტოტი ამ უჯრედისა (18) მიაღწევს იმ სამოძრაო უჯრედამდე, რომელიც მარჯვენა წინა რქაში (11) მდებარეობს. ამ უჯრედის გაღიზიანება გამოიწვევს მარჯვენა ფეხის მოძრაობას. მაშასადამე ორივე ფეხების ერთდროული მოძრაობა ერთი ფეხის კანის გაღიზიანების შემდეგ შესაძლებელი იმიტომაა, რომ წინა რქების უჯრედებს და უკანა ფესოებს შორის ჩართულია უკანა რქაში მდებარე უჯრედი, რომელიც საშვალებას აძლევს ორივე ნახევარს ხერხემლის ტვინისას ერთათ იმუშაონ. ამნაირი უჯრედები მარჯვენა მხარეზეც არის. შეიძლება ბაყაყის ერთ-ერთ ფეხის კანის გაღიზიანების დროს მის ოთხივე ფეხებს მივაღებინოთ მონაწილეობა მოძრაობაში. ამისათვის საჭიროა გამღიზიანებელი ძალა უფრო სასტიკი იყოს, ვიდრე ნევსით ჩხვლეტა. ერთი ფეხის გაღიზიანების შემდეგ, მოძრაობას იწყებს პირველათ ეს ფეხი; ამის მოძრაობას მოყვება მეორე უკანა ფეხის მოძრაობა, ამის შემდეგ მოძრაობას იწყებს წინა ფეხი ცალ გვერდზე და შემდეგ მეორე გვერდზე. ის გზა, რომლის საშვალებითაც გაღიზიანება ერთ უკანა ფეხიდან მეორეზე გადადის, უკვე გავიცანით. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ უკანა ფეხიდან წინა ფეხზე გაღიზია-




ნახ. 8. ტვინის ტროპიკული ნაწლავის.

ნების გადასაცემად უნდა არსებობდეს უჯრედები, რომლების შეალებითაც გაღიზიანების გადაცემა შეიძლება ხერხემლის ქვედა სართულებიდან ზემო სართულებზე.

განვიხილოთ ნახატი 9, რომელიც ხერხემლის ტვინის წენო-

ბას წარმოადგენს. ხერხემლის ტვინის შუაგულში მოთავსებულია ნაცრის-ფერი ნივთიერება (1. 1. 2. 2) მისი წინა (2. 2) და უკანა რქებით (1. 1). წინა რქაში ვხედავთ უჯრედებს, რომლებიც სამო-



ნახ. 9.

ხერხემლის ტვინის გამტარებელი გზები.

ძრაო უჯრედებს წარმოადგენენ; აქ ნაჩვენებია რვა ამგვარი უჯრედი. ყველა ეს უჯრედები მარცხენა მხაოეს ეკუთვნის. (მარჯვენა მხარის უჯრედები ნაჩვენები არაა).

ამ უჯრედებისაგან გამოდის აქსონები, რომლებიც წინა ფესოებს შეადგენენ (3). როგორც ვიცით ისინი კუნთებში ჩერდებიან.

ხერხემლის ტვინის მარჯვნივ ვხედავთ კვანძის უჯრედს (5), რომელიც მისი აქსონით ტვინში შედის. ამ აქსონის შტოები წინისკენ მიეშურებიან და წინა რქის უჯრედების გარშემო იტოტებიან. ეს ის შტოებია, რომლებიც მერვე ნახატზე უკვე განვიხილეთ. ისინი გაღიზიანებას გადაცემენ იმ უჯრედებს, რომლების აქსონებიც იმ ნერვშია მოთავსებული, სადაც მოთავსებულია კვანძის უჯრედის დენტრიტები. ეს მარტივი რეფლექსიური რკალია. გარდა ამ ტოტებისა კვანძის უჯრედს მრავალი სხვა ტოტები აქვს. ერთი ტოტი კვანძის უჯრედისა ზევით მიეშურება (11), მეორე ქვევით დაეშვება (12). ამ ტოტების პატარა გვერდითი შტოები წინისაკენ მიდიან და უკანა რქაში ჩერდებიან. აქ მდებარეობს უჯრედები, რომლებიც ამ შტოებისაგან გაღიზიანებას მიიღებენ. ერთი მათგანი აქ ნაჩვენებია (10); ეს უჯრედი იძლევა ტოტებს, რომლებიც ზევით (13) და ქვევით (14) მიდიან. ამათი გვერდითი შტოები პირდაპირ წინა რქების უჯრედებთან თავდება და გადასცემენ მათ იმ გაღიზიანებას, რომელიც კვანძისა და წინა რქის უჯრედებს შორის ჩართულ უჯრედისაგან მიიღეს.

თუ გაღიზიანება სასტიკი არაა, ის მიმდინარეობს კვანძის უჯრედამდე, აქედან გადადის მის აქსონზე (9) და მის პირდაპირ გვერდითი ტოტებზე (6. 6); აქედან პირდაპირ წინა რქის უჯრედებზე. ეს ის აპარატია, რომლის საშვალებითაც უკანა ფეხის გაღიზიანების შემდეგ მის მოძრაობას მივიღებთ. თუ გაღიზიანება უფრო სასტიკია, კვანძის უჯრედის აქსონიდგან მის უმთავრეს ტოტებზე გადადის, რომლებიც გაღიზიანებას ქვევით და ზევით სართულებისაკენ გაატარებენ და გადასცემენ სხვადასხვა სართულებში მდებარე უჯრედებს (10). ამ უჯრედსაც ორი უმთავრესი ტოტი აქვს. ერთი ქვევითისაკენ მიეშურება, მეორე ზევითისაკენ. (13 და 14) ამათი გვერდითი შტოები სხვა და სხვა სართულის წინა უჯრედებთან მიდიან და მათ გარშემო იტოტებიან, მაშასადამე შესაძლებელია, რომ

კვანძის უჯრედისაგან მიღებული გაღიზიანება გადაეცეს სხვადასხვა სართულების სამოძრაო უჯრედებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმ კვანძის უჯრედის გაღიზიანებით, რომლის დენტრიტები უკანა ფეხში იწყება, შეგვიძლია გავაღიზიანოთ ის სამოძრაო უჯრედები, რომლებიც წინა ფეხის ნერვებს იძლევიან. ეს გაღიზიანება კი წინა ფეხის მოძრაობას გამოიწვევს. ამ წესზეა აგებული მთელი ხერხემლის ტვინი. ამნაირი შენობის გამო რომელიმე გამაღიზიანებელი მიზეზი, რომელიც კანის პატარა ნაწილზე მოქმედობს, მთელ სხეულის მოძრაობას გამოიწვევს.

ადვილათ შეიძლება მკითხველმა გვისაყვედუროს, რატომ დაუთმეთ ამდენი ადგილი რეფლექსიურ მოძრაობის და მისი მექანიზმის შესწავლასო? იმიტომ, რომ რეფლექსის შესწავლის დროს ჩვენ ტვინის შენობა გავიცანით. მეორე მიზეზი ამისა ის იყო, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენი მოძრაობისა რეფლექსიურათ ხდება. რაც უფრო დაბლა დგას ცხოველი, მით უფრო მეტი ნაწილი მისი მოძრაობისა რეფლექსიურია.

ადამიანის ცხოვრებაშიც დიდ როლს თამაშობს რეფლექსიური მოძრაობა. ავიღოთ, მაგ., სიარული. ადამიანის სიარული მხოლოდ იწყება მისი ნების დაგვარათ, შემდეგ მის განხორციელებაში ნება ძლიერ მცირე როლს თამაშობს. ხშირათ მომხდარა, რომ ადამიანი სევდით შეპყრობილი სახლიდან წასულა, რამოდენიმე ვერსი გაუვლია, ბევრი უბოდიალებია, სანამ გონზე არ მოსულა. გონს მოსულს ვერც კი წარმოუდგენია, რა გზით მოვიდა ამა თუ იმ ადგილზე. მისი გონება სიარულის დროს სულ სხვა აზრით იყო შეპყრობილი, მაგრამ ადამიანს ფეხი მაინც არ ეშლებოდა. ამ ადამიანის სიარული რეფლექსიური იყო. ის მხოლოდ დაიწყო ნებსითი აქტით.

მეორე მაგალითი: ადამიანი სადილობს. ადამიანი ჭამის დროს (უმეტესი ნაწილი) უმთავრესათ სხვა რამეზე ფიქრობს. ამისდა მიუხედავათ საჭმელი ყელში არავის არ ეჩხირება. ჭამა მხოლოდ იწყება ნებსითი აქტით, რა კი დაიწყო — შემდეგ რეფლექსიურათ გრძელდება.


იგივე შეგვიძლია ვთქვათ ფრიად საყურადღებო ფუნქციების

შესახებ, რომელთა მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში დიდია. ნაწლევების მოძრაობას, გულის ცემა და სხვა. ეს ფუნქციები ხომ ჩვენ ნებაზე სრულიად აა არიან დამოკიდებული. რადგანაც რეფლექსიური მოძრაობის მექანიზმები მოთავსებულია ხერხემლის ტვინში, მოგრძო ტვინსა და ხიდში, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ რეფლექსიურ მოძრაობას უთავისტვინო ცხოველიც ახერხებს. **ჰოლცმა** პირველათ დაამტკიცა, რომ უთავისტვინო ძაღლს (იმან ამოაცალა ძაღლს ნახევარი სფეროები) მოძრაობა შეუძლია: პირველ ძაღლს, რომელზედაც ჰოლცმა ამგვარი ექსპერიმენტი მოახდინა, მეცნიერებმა ჰოლცის ძაღლი უწოდეს.

ამ ძაღლს ცენტრალურ ნერვულ სისტემისაგან შერჩა ხერხემლის ტვინი, მოგრძო ტვინი და ხიდი ტვინის ფეხებით. ჰოლცის ძაღლი თავისთავათ არ მოძრაობდა, იწვა ერთ ადგილას და თითქოს ეძინა. თუ ფეხზე დააყენებდენ და ხელით რამდენსამე ნაბიჯის გადადგმას აიძულებდენ, მაშინ სიარულს იწყებდა და იქამდის მიდიოდა, სანამ რამე გზაში არ შეაჩერებდა. გაჩერების შემდეგ ფეხს აღარ იცვლიდა.

ეს ძაღლი საჭმელსა და სასმელისათვის არ ზრუნავდა: საჭმელი წინ ედგა, ხედავდა მას, მაგრამ ჭამას არ იწყებდა, კატის დანახვა მას აღარ აღიზიანებდა, პატრონს აღარ ეალერსებოდა, მხოლოდ პირში ჩადებულ საჭმელის გადაყლაპას ახერხებდა. როგორც სიარული, აგრეთვე საჭმელის გადაყლაპა ამ შემთხვევაში ალბათ რეფლექსიური იყო.

მტრედი, რომელსაც ნახევარი სფეროები ამოაცალეს, ფრენას მაინც ახერხებს. ბაყაყი, რომელსაც დანგრეული აქვს თავის ტვინი, მშვენიერათ ცურავს. ცხადია, ეს ცურვა რეფლექსიურათ ხდება. როგორც ამ ბაყაყის ცურვა, აგრეთვე უთავისტვინო მტრედის ფრენა და ჰოლცის ძაღლის სიარული განხორციელდება იმ მექანიზმების მუშაობით, რომლებიც არიან ხერხემლის ტვინსა, მოგრძო ტვინში და სხვა. ნებსითი მოძოარბა საჭიროებს ამ მექანიზმებს, მაგრამ მათი მუშაობა თავისთავათ საკმარისი არაა მის განსახორციელებლათ.



Бъб. 10.

ვნახოთ რა გზით მოქმედობს თავის ტვინი ხერხემლის ტვინის მექანიზმზე. თავის ტვინის ნივთიერება ნეირონებისაგან შესდგება. ეს ნეირონები ხერხემლის ტვინის ნეირონებისაგან გარეგანი ფორმით განსხვავდებიან, ამათაც მრავალი დენტრიტები და ერთი აქსონი აქვთ.

უმეტესი ნაწილი ამ ნეირონებისა (უჯრედებისა) გავს პირამიდებს, რატომაც მათ პირამიდულ უჯრედებს ეძახიან. პირამიდულ უჯრედების აქსონებს იგივე შენობა აქვთ, რაც ყველა სხვა აქსონებს.

ნახევარ-სფეროების ქერქს შეადგენენ უჯრედები (1); (ნახ. 10) ნაცრის ფერი ნივთიერება აქ გარედან არის მოთავსებული, ხერხემლის ტვინში ის შიგნით იყო ჩართული და გარშემო კი თეთრი ნივთიერება ჰქონდა. ერთი ნაწილი ნაცრის-ფერ ნივთიერებისა აქაც შიგნით არის მოთავსებული (2): ნახევარი სფეროების ძირითადი კვანძები. ჩვენის ნახატის ზემო ნაწილზე წარმოდგენილია ნახევარ-სფეროების ნაჭერი: შუაზე—მოგრძო ტვინის ნაჭერი და ქვევით—ხერხემლის ტვინი. ხერხემლის ტვინში ჩვენ ვხედავთ უკვე ცნობილ რეფლექსიურ რკალს, რომელიც შესდგება კვანძის ნეირონისაგან (3). ამ უკანასკნელის დენტრიტები იყოფა კანში (5), აქსონი კი ხერხემლის ტვინის ნაცრის-ფერ ნივთიერებაში შედის და წინა რქის უჯრედის გარშემო ტოტებათ იყოფა (7). ამ უკანასკნელის აქსონი შეადგენს წინა ფესოს და კუნთებში შტოებათ ვრცელდება. ზევით სართულებში რეფლექსიური რკალი სრულიათ არ არის ნაჩვენები. აღნიშნულია წინა რქის უჯრედები, რომლების აქსონები (10 და 11) კუნთებამდე აღწევს (8 და 9). ხერხემლის ტვინს უკანიდან ვხედავთ. ხერხემლის ტვინის მარცხენა მხარეზე წინა რქების სამოძრაო უჯრედები ნაჩვენები არაა. აქ ნაჩვენებია, როგორ შედის ხერხემლის ტვინში კვანძის უჯრედის (12 და 13) აქსონები და როგორ იყოფიან ისინი ორ ტოტათ: ერთი ტოტი ზევით მიეშურება (14), მეორე ქვევით მოდის (15). ტოტი ზევით რომ მიდის, იყოფა იმ ნეირონების გარშემო, რომელიც მოგრძო ტვინშია მოთავსებული. ეს

ის აპარატია, რომელიც ჩვენ ვრცლათ გავარჩიეთ მეცხრე ნახატის განხილვის დროს.

ნახევარ სფეროების ქერქში. როგორც უკვე ვიცით, მოთავსებულია პირამიდული უჯრედები (1); მათი აქსონები ერთმანეთს უახლოვდებიან, გაძვრებიან ძირითად კვანძებს შორის, დაეშვებიან მოგრძო ტვინისაკენ და აქ მეორე მხარეზე გადადიან. აქედან (15) ხერხემლის ტვინში ჩამოდიან და მის წინა რქის უჯრედებთან (9, 8 და 7) ტოტებათ იყოფიან. ის ნეირონები, რომლის გარშემოც კვანძის აქსონები იყოფიან, თავის აქსონებს ზევით აგზავნიან. ეს აქსონები მოგრძო ტვინში მეორე მხარეზე გადადიან (17) ქერქში, სადაც შტოებს იძლევიან (18).

ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა გზით მოდის თავის ტვინის ქერქიდან პირამიდული უჯრედების აქსონები ხერხემლის ტვინამდე. ბევრი შრომაა დახარჯული ამ გზის შესწავლისათვის. ეს გზა შესდგება მრავალი აქსონებისაგან, რომელნიც ერთათ მდებარეობენ და ერთეულ კონას შეადგენენ. ამ კონას პირამიდული კონა ეწოდება. ყველა ის აქსონები, რომელთაც ერთგვარი დანიშნულება აქვთ, ერთათ მდებარეობენ და მათ საკუთარი სახელი აქვთ. პირამიდული კონის გზა ძლიერ ყურადსაღებია. რა საშვალებით შეგვიძლია შევისწავლოთ ჩვენ იგი? არის შემუშავებული ერთგვარი მეთოდი ნაჭრების შეღებვისა, რომლის შემწეობითაც საღებავს მხოლოდ იმ ნაწილებს მივაღებინებთ, რომლებშიაც ნერვული ძაფებია, ხოლო ნაცრის-ფერი ნივთიერება შეუღებავი რჩება. თუ ამ მეთოდით ხერხემლის ტვინს შევღებავთ, დავინახავთ, რომ წინა რქები და უკანა რქები საღებავს არ ითვისებს; თეთრი ნივთიერება კი, რომელიც შეიცავს ნერვულ ძაფებს, ლურჯათ იღებება, ე. ი. მხოლოდ ის ნაწილი იღებს საღებავს, სადაც ნერვული უჯრედების აქსონებია. წარმოვიდგინოთ, რომ სნეულების გამო დაზიანებულია ის ადგილი, რომელიც პირამიდულ უჯრედებს შეიცავს. პირამიდულ უჯრედების აქსონები იღუპებიან, რადგანაც აქსონს უუჯრედოთ ცხოვრება არ შეუძლია. მაშასადამე იმ ადგილზე, სადაც ეს აქსონები გაირბენდენ,

აქსონები აღარ იქნებიან. ამიტომ ეს ადგილი საღებავს არ მიიღებს. ხერხემლის ტვინის ნაჭერზე თეთრ ნივთიერებაში ვნახავთ იმისთანა ადგილს, რომელიც შეუღებავი დაოჩება. სწორეთ ამ ადგილას ძევს პირამიდული კონა. ამგვარი მეთოდის საშვალებით შეისწავლეს პირამიდული გზის მდებარეობა.

პირამიდული კონა იწყება წინა ცენტრალურ ხვეულისაგან (1), გამოირბენს ძირითად კვანძებს შორის, მოგრძო ტვინში ეკრე მხარეზე გადადის და ჩამოეშვება ხერხემლის ტვინში. აქ ის მდებარეობს თეთრ ნივთიერებაში გვერდითი სვეტებში. მისი გვერდითი შტოები წინა რქის უჯრედებთან თავდება (1, 19, 15, 9, 8 და 7). რა დანიშნულება აქვს ამ პირადულ კონას?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ წინა ცენტრალური ხვეული (19—ნახ. 5) შეიცავს ნებსით მოძრაობათა ცენტრებს. მისი დარღვევა გამოიწვევს. ნებსითი მოძრაობათა დამბლას მოპირდაპირე მხარეზე, ხოლო მისი გაღიზიანება ელექტრონის ძალით გამოიწვევს მოპირდაპირე ხელ-ფეხის მოძრაობას. არამც თუ პირამიდული უჯრედების დარღვევა, არამედ ყოველივე დაზიანება პირამიდული კონისა გამოიწვევს დამბლას. მაშასადამე, პირამიდული კონა ყოფილა გზა, რომლის საშვალებითაც თავის ტვინი ხერხემლის ტვინზე მოქმედობს. ხერხემლის ტვინში, როგორც უკვე ვიცით არ არსებობს სამოძრაო მექანიზმები ეგრეთ წოდებულ რეფლექსიურ მოძრაობისათვის, ამ მექანიზმებზე აქვს გავლენა პირამიდულ კონას. მის დასაწყისში—პირამიდულ უჯრედებში იბადება ნებსითი მოძრაობა; ჩამოდის ამ უჯრედების აქსონებზე და ამათი საშვალებით წინა რქის უჯრედებს გადაეცემა. აქედგან წინა რქის უჯრედების საშვალებით კუნთებზე მოქმედობს. პირამიდული კონა—სამოძრაო კონაა.

ეხლა ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს თუ თავის ტვინი რა საშვალებით აიძულებს კუნთების მუშაობას, ე. ი. რა გვარათ მოყავს მას სისრულეში ნებსითი მოძრაობა. პირამიდულ კონის ანუ გზის დაზიანებას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში. მრავალი სნეულებანი იწვევს მის დაზიანებას, უფრო ხშირათ პირამიდულ კო-

ნის დაზიანებას ვხედავთ იმ ავათმყოფთა გაშინჯვის დროს, რომელთაც ათაშანგი გადაუტანიათ; ჩვენ განათლებულ დროში ხომ ათაშანგს ხშირათ შეხვდებით. ადამიანს ათაშანგი დაემართა, მან იაქიმა და თითქოს კარგათაც გახდა, ადამიანის ცხოვრება წყნარათ მიმდინარეობს; მას ათაშანგი დიდი ხანია კიდევაც დაავიწყდა. ერთ მშვენიერ დღეს უეცრათ ავათ ხდება: კარგავს გონებას რამოდენიმე საათით და როდესაც ამის შემდეგ იღვიძებს, რწმუნდება, რომ დამბლა დასცემია. როგორც ვიცით, ეს დამბლა შეღეგია პირამიდულ გზის დაზიანებისა.

ხშირათ ნერვებთა სისტემის სისუსტეს ლოთობაც გამოიწვევს ხოლმე.

მეორე ავათმყოფობა, რომლითაც ბუნებას ადამიანი დაუსჯია, არის ბნედა. ბნედით შეპყრობილი ადამიანი უცებ მიწაზე ეცემა, გრძნობას კარგავს და იწყებს უთავბოლო მოძრაობას: ხან გაიჭიმება, ხან შეიკუმშება, ხან ხელ-ფეხით მუშაობს, თითქოს ვისმე ებრძოდეს. პირიდგან ქაფი მოდის, რომელიც სისხლის გამო წითლათ არის შეღებილი. ამგვარი სნეული წარმოადგენს შესაშინებელ სურათს. გადის რამოდენიმე წუთი და ადამიანი მშვიდდება, გონს მოდის, ადგება და თავის გზას აგრძელებს. მეცნიერების აზრით ეს ავათმყოფობა შედეგია პირამიდულ კონის გაღიზიანებისა. რაღაც, დღემდის უცნობი, მიზეზი დროგამოშვებით აღიზიანებს პირამიდულ კონას და უთავბოლო მოძრაობას იწვევს. ზოგიერთ შემთხვევაში თავის ტვინში წინა ცენტრალურ ხვეულის ახლოს ნახულობენ ხორცმეტს, რომელიც თავის ზრდის გამო სამოძრაო ცენტრებს აღიზიანებს.

ამ ნაირათ, პირამიდული კონა ერთი მხრით იმყოფება ჩვენი ნების გავლენის ქვეშ, მეორე მხრით მას აღიზიანებს რაიმე მატერიალური მიზეზი, რომელიც მის მახლობლათ მოქმედობს. რა ძალა აღიზიანებს პირამიდულ უჯრედებს, როდესაც ისინი ჩვენი ნებისამებრ მუშაობენ? შეიძლება მათშია მოთავსებული ის უცნაური ძალა, რომელსაც სულს უწოდებენ, თუ, არსებობს სხვა წყარო, რომლისაგანაც პირამიდული ძალა ენერგიას იღებს? რეფლექსიურ

მოძრაობათა განსახორციელებლათ ჩვენ ვმოქმედობთ რეფლექსების რკალზე: კვერის დაკვრა, ჩხვლეტა, სიმჟავის წასმა და სხვა; გაღიზიანება ხომ უჯრედის ძირითადი თვისებაა, მით უმეტეს იმ უჯრედების, რომლებმაც ეს გაღიზიანება მიითვისეს, როგორც სპეციალური ფუნქცია. რეფლექსიური რკალი თავის ერთ ბოლოზე გაღიზიანებას გარეშე ქვეყნიდგან იღებს და მის პასუხათ მეორე ბოლოს საშუალებით მოძრაობას ახორციელებს. შეიძლება პირამიდული უჯრედიც იღებს მსგავს გაღიზიანებას გარეშე ქვეყნიდან? ამ საუბარის თავში უკვე ვთქვით, რომ ცხოველს მხოლოდ მაშინ შეუძლია შეასრულოს ცხოვრების უმთავრესი ფუნქციები, როდესაც გრძნობს იმ ცვლილებებს, რომლებიც მის გარშემო ხდებიან; გრძნობა საჭიროა ნებსითი მოძრაობის განხორციელებისათვის. ამიტომ ჩვენი წარმოდგენა ნებსითი მოძრაობის აპარატებზე მხოლოდ მაშინ იქნება სრული, როდესაც გრძნობის მექანიზმების შესახებ წარმოდგენა გვექნება. საუბარის გეგმა იგივე დავტოვოთ, როგორიც ვიხმარეთ სამოძრაო ფუნქციების შესწავლის დროს.

ზოგიერთ სნეულების გამო ადამიანი კარგავს გრძნობის ნიჭს. ავიღოთ გრძნობის ნიჭის დაკარგვის მაგალითი. ერთი ამ სნეულებათაგანი, რომლებიც გრძნობის ნიჭის დაკარგვას იწვევენ, ადამიანს შეპარვით შეიპყრობს. რამდენიმე თვის ან წლის განმავლობაში ამგვარათ სნეული კარგავს, მაგ., სითბოს გრძნობის ნიჭს. შემოდის თქვენთან ავათმყოფი, რომელსაც ხელები დამწვარი აქვს. თუ მიზეზს კითხავთ, საოცარ პასუხს მიიღებთ; მზარეულს აუღია ხელში გაცხელებული ჭურჭელი და მანამ ხელი არ გაუშვია, სანამ დამწვარ ხორცის სუნს მისი ყურად-ღება არ მიუქცევია. მეორე მაგალითი: გლეხი დაწოლილა გამთბარ ფეჩზე. ღამე დამწვარ ხორცის სუნმა გამოაღვიძა. ნახა, რომ ნახევარი მხარე შემომწვარი ჰქონდა.

ამგვარ ავათმყოფებს ალბათ გრძნობის ნიჭი არა აქვთ. ამის დამტკიცება შეგვიძლია გრძნობის ნიჭის გამოკვლევით: დავახუჭინოთ ამ ავათმყოფს თვალები და შევეხოთ მის სხეულს ცხელი და ცივი ჭურჭლებით. ავათმყოფი გრძნობს, რომ მის სხეულს შევეხეთ,

მაგრამ ცხელი იყო საგანი თუ ცივი, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. მაშასადამე, მას აღარ ჰქონია სითბო-სიცივის გრძნობის ნიჭი. ამ ავათმყოფს არც ტკივილის გრძნობის ნიჭი აქვს. შეგიძლიათ უჩხვლიტოთ ნევსით, სანამ სისხლი გამოვიდოდეს, ავათმყოფი ტკივილს ვერა გრძნობს. ზოგი ავათმყოფი სითბო-სიცივის და ტკივილის გრძნობის ნიჭთან ერთათ შეხების ნიჭსაც კარგავს. გარდა შეხების, ტკივილის, სითბო-სიცივის გრძნობის ნიჭისა ადამიანს აქვს კიდევ ერთი დარგი გრძნობის ნიჭისა: დავაწვინოთ ადამიანი ტახტზე, თვალები დავახუჭინოთ, ავიღოთ მისი ფეხი ხელში და ვთხოვოთ საჩვენებელი თითით თავისი ფეხის დიდი თითი გვიჩვენოს. ადამიანის ფეხი ხან ზევით ავწიოთ, ხან ქვევით დავწიოთ, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ გავწიოთ. ვსთქვათ, ადამიანი ყოველთვის რიგიანათ გვიჩვენებს ფეხის თითს. ეს იმას ნიშნავს, რომ მას თვალების დახუჭვის შემდეგაც შეუძლია საღი წარმოდგენა ჰქონდეს მისი ფეხების სივრცეში მდებარეობაზე. თუ ავათმყოფს დაკარგული აქვს სხეულის ან მისი ნაწილების სივრცეში მდებარეობის ნიჭი, ის ფეხის თითს თვალდახუჭული ვეღარ გვიჩვენებს: ის მიათითებს მარცხნივ, როდესაც ჩვენ ფეხი მარჯვნივ გავწიეთ, მიათითებს ზევით, როდესაც ფეხი ქვევით დაუშვით და სხვა. ხშირათ სნეული ადამიანი კარგავს გემოვნების, სუნის, მხედველობის ნიჭს. ცენტრალურ ნერვულ სისტემაში უნდა იყოს იმგვარი ადგილები, რომლების დაზიანებაც გრძნობის ნიჭის დაკარგვას გამოიწვევს. ამ ადგილებს გრძნობის ცენტრები უნდა უწოდოთ. ნერვების დაზიანება გამოიწვევს ყველა დარგის გრძნობის ნიჭის დაკარგვას ან შემცირებას. ნერვის გადაჭრის შემდეგ ის სხეული, რომელსაც ნერვი ეკუთვნის, ვერაფერს გრძნობს. ნერვებში შეკრებილი არიან ერთათ ყოველგვარ გრძნობების გზები.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს ხერხემლის ტვინის დაზიანება. ხერხემლის ტვინის დაზიანების შემდეგ, თუ ზიანი უკანა ნახევარს შეეხება, ადამიანი კარგავს წარმოდგენას ასოების სივრცეში მდებარეობისას და შეხების ნიჭს. ამიტომ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ

ის ნერვული გზები, რომლის საშვალებითაც ჩვენ ვგრძნობთ, უკანა სვეტებში გადის. თუ დაზიანებულია გვერდითი სვეტები, მაშინ იკარგება სითბო-სიცივის გრძნობის ნიჭი. ამ გრძნობის გზები გვერდითი სვეტებში გადიან. წინა სვეტების დაზიანება გრძნობის ნიჭს სრულიათ არ შეეხება. მაშ, მათ არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონია გრძნობის ნიჭთან. მოგრძო ტვინის დაზიანების შემდეგაც გრძნობის ნიჭის დაკარგვა შესაძლებელია. ეს მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, თუ აქ გრძნობის ნიჭის გზები გადიან. სად მიდიან ეს გზები? რა ადგილზე თავდებიან? სად არიან მათი ცენტრები?

ამის პასუხს მოგვცემს აგრეთვე ტვინის სხვადასხვა ადგილების დაზიანებათა გამოკვლევა. წინა ცენტრალურ ხვეულის დაზიანება გრძნობის ნიჭს არ შეეხება. უკანა ცენტრალურ ხვეულის დაზიანება გრძნობის ნიჭის დაკარგვას ან შესუსტებას გამოიწვევს. ეს ხვეული არის გრძნობის ნიჭის ცენტრი, ისე როგორც წინა ცენტრალური ხვეული ცენტრია მოძრაობისა. უკვე ვიცით, რომ ამ ცენტრთან მომავალი ნერვული გზები, რომლებსაც სხვანაირათ გამტარებელ გზებს ეძახიან, ამოივლიან ხერხემლის ტვინში და შემდეგ მოგრძო ტვინში, აქედგან გადადიან ხიდში, ტვინის ფეხში, გაივლიან ძირითად კვანძებამდის და აქ ჩერდებიან, აქედგან კი მიეშურებიან უკანა ხვეულისაკენ და მასში თავდებიან. ჩვენ ნახატზე ეს გზა ამნაირათაა ნაჩვენები: (იხ. ნახ. 10). ხერხემლის ტვინის კვანძის უჯრედი (12) მისივე დენტრიტით იწყება კანში (20); კვანძის უჯრედის აქსონი (21) შედის უკანა სვეტებში და იყოფა ორ ტოტათ, რომლისგანაც ერთი ზევით მიეშურება (22) და აღწევს მოგრძო ტვინამდე (16) აქ მდებარე უჯრედთა ჯგუფთან. ამ უჯრედებიდგან იწყება ნერვული გზა, რომელიც მეორე მხარეზე გადადის, მიემართება ძირითად კვანძებს შორის და მიდის ნახევარ-სფეროს ქერქამდე (18). ის ნერვული გზა, რომელიც მარცხენა მხარის ხელ-ფეხისაგან იწყება, მარჯვენა მხარის ნახევარ-სფეროში თავდება. იგივე უნდა გავიხსენოთ სამოძრაო პირამიდულ ნერვულ გზების შესახებ.

ყველა ცენტრები გრძნობისა თუ მოძრაობისა მეორე მხარეზე

მდებარეობენ. უკანა ცენტრალური ხვეული მიიღებს ცნობებს მის ცვლილებაზე, რომელიც სხეულის გარშემო ხდება. ცნობის მიღების შემდეგ ადამიანი ისე მოიქცევა, როგორც მას სურს, იგი ამა თუ იმ მოძრაობას შეასრულებს. მაშასადამე გრძნობისა და მოძრაობის ცენტრებს შორის კავშირი უნდა იყოს. წინა და უკანა ხვეულები შეერთებულია ერთმანეთთან. უკანა ხვეულში იმ ადგილზე, სადაც გრძნობითი ნერვული გზა თავდება, მდებარეობენ უჯრედები, რომლების აქსონებიც წინა ხვეულის უჯრედების გარშემო იყოფიან და მათ გაღიზიანებას გადასცემენ.

გარდა ცენტრალურ ხვეულებისა, ნახევარ-სფეროებში მოთავსებულია მრავალი სხვა ხვეულები. მათი დანიშნულებაც უნდა გავიცნოთ.

ადამიანს აქვს ნერვი, რომელიც დანიშნულია სმენისათვის, ეს ნერვი იწყება სასმენელ აპარატში, შედის მოგრძო ტვინში, საიდანაც იწყება გზა პირველი ყვრიმალის ხვეულისაკენ (ნახ. 5 —21). თუ დაზიანებულია ის გზა, რომელიც სასმენი აპარატისაგან მოგრძო ტვინამდე მიდის, ადამიანს დაზიანებულ გზის მხარეზე არაფერი არ ესმის. ცალი ყური ყრუა. თუ დაზიანებულია გზა მოგრძო ტვინიდან ყვრიმალის ხვეულამდე ან თვითონ ხვეული, ადამიანს ესმის ხმა, მაგრამ ვის, ან რას ეკუთნის ეს ხმა, მას ვერ გაუგია. ზარის რეკას, მაგალითათ, ავათმყოფი ყურადღებას მიაქცევს, მაგრამ ვერ გეტყვით რომ მას ზარის ხმა ესმის.

ამგვარ სიყრუეს—სფიქიურ სიყრუეს ეძახიან. მხედველობაც შეიძლება ამგვარათ დაზიანდეს: სამხედველო ნერვი იწყება თვალის ძროში, შედის ტვინის ღერში ტვინის ფეხების მახლობლათ და აქ თავდება იმ უჯრედების ჯგუფთან, რომელსაც ძირითად სამხედველო ცენტრის მნიშვნელობა აქვს. აქედან იწყება სამხედველო გზის მეორე ნაწილი, რომელიც ტვინის ქერქში თავდება სათხემე ხვეულში. სათხემე ხვეულის დაზიანება გამოიწვევს ფსიქიურ ანუ სულიერ სიბრმავეს. ამისთანა ავათმყოფს შეუძლია სიარული, ის არ წაიჩეხება გზაში შეხვდერილ საგნებს, მაგრამ საგნებს ერთმანეთში ვერ არჩევს.

სასმენი და სამხედველო ცენტრების გარდა ტვინის ქერქში მდებარეობს ყნოსვისა და გემოვნების ცენტრები ყვრიმალის ხვეულების ქვედა პირზე.

ჩვენ არ გვექნებოდა წარმოდგენა იმ ცვლილებებზე, რომლებიც ჩვენს გარშემო ხდება, ჩვენი სხეული რომ არ გრძნობდეს ამ ცვლილებებს ნერვულ სისტემის საშვალებით. ეს სისტემა იწყება ჩვენს კანში, თვალებში, ყურებში და თავდება სხვადასხვა ცენტრებში; რადგანაც ამ ცენტრების გარდა ჩვენ გვაქვს სამოძრაო ცენტრებიც, რომელიც ზემოხსენებულ ცენტრებთან შეკავშირებულია, ამიტომ ისე მოვიქცეთ, როგორც საუკეთესო იქნება.

ავიღოთ უბრალო მაგალითი: ადამიანს ძინავს, მის ოთახში გაჩდა ცეცხლი. ოთახის ერთი ნაწილი კიდეც იწვის. ცეცხლი მძინარეს მოუახლოვდა. სიცხისა თუ კომლის გამო ადამიანი იღვიძებს, ხედავს ცეცხლს. ადამიანი ხელათ ამჩნევს, რომ განსაცდელშია ჩავარდნილი, მაშასადამე თავს უნდა უშველოს. ამ გადაწყვეტილების შემდეგ, ადამიანი განახორციელებს იმგვარ მოძრაობას, რომელიც მას განსაცდელს ააცდენს. ამ შემთხვევაში გრძნობითი ცენტრების გაღიზიანების შედეგათ მოყვება მოძრაობა, რომელიც პირამიდულ გზის გაღიზიანებით ხორციელდება. გრძნობით ცენტრების გაღიზიანება—მიზეზია მხოლოდ, პირამიდულ უჯრედების გაღიზიანება კი—შედეგი.

ადამიანის მოქმედება რეფლექსიურ მოძრაობას მოგვაგონებს. რეფლექსიური მოძრაობა აუცილებლათ მოყვება გამღიზიანებელ მიზეზს. ჩვენ მაგალითში კი ადამიანს შეეძლო არ გაქცეულიყო. მისი ნების ძალით ის ადგილზე დარჩებოდა, თუნდა მართლაც ცეცხლისგან დამწვარიყო. ამითი ადამიანის მოქმედება რეფლექსიური მოძრაობისაგან განსხვავდება. რეფლექსიური მოძრაობა უსათუოთ მოხდება, თუ გარეგანი მიზეზი არსებობს; ნებსითი მოძრაობა კი იმ წუთშივე არ მოყვება გამღიზიანებელ მიზეზს: გრძნობისა და მოძრაობის შორის ჩაერთვის ახალი ელემენტი—აზროვნება. ამ შემთხვე-

ვაში მოძრაობა შემდეგი გეგმით მოხდება: გარეგანი მიზეზი, გრძნობის ცენტრების გაღიზიანება--აზროვნება—მოძრაობა.

ჩვენ დაწვრილებით არ ვიცით, რომელი ადგილია ტვინში აზროვნების ცენტრი. ამტკიცებენ, ამგვარ როლს შუბლის ხვეულები ასრულებსო, ზოგი იმასაც კი ამბობს, ამგვარი როლი მთელი თავის ტვინის ქერქს ეკუთვნისო. გადაჭრით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ აზროვნებისათვის იგივე აპარატებია დანიშნული, რომლებიც გრძნობას და მოძრაობას განახორციელებენ. გრძნობისა და მოძრაობის ცენტრები შეკავშირებულია ერთმანეთთან ნერვული გზებით. ამ გზებს ასოციაციურ გზებს ვეძახით.

უკვე განვიხილეთ ცენტრალური სხეულების ფუნქციები, მოვნახეთ სამხედველო, ყნოსვის, სასმენი და გემოვნების ცენტრები. ტვინის ქერქის დანარჩენი ადგილები რაღა ფუნქციებს ასრულებს? ამ საკითხის პასუხით დავასრულებთ ჩვენს წერილს.

უმთავრეს ყურადღებას მივაქცევთ მეტყველების ფუნქციას: სიტყვით აზრის გადაცემა შეადგენს ადამიანის ცხოველებისაგან განსხვავებას. სიტყვა ახასიათებს ადამიანს, როგორც უმაღლეს არსებას. ადამიანს არა იშვიათათ ემართება უცნაური სნეულება: მას ეკარგება უეცრათ მეტყველების ნიჭი. ამგვარი ავათმყოფი ცდილობს სიტყვის წარმოთქმას, მაგრამ ამ ცდისაგან არაფერი გამოდის. მისი ტუჩები და ენა მოძრაობენ, მაგრამ სიტყვა კი ვერ წარმოუთქვამს. ამნაირ ადამიანს ყველაფერი ესმის. ყველა თქვენ თხოვნას ასრულებს: „გამოყავით ენა!“ ეუბნებით მას. ის ენას გიჩვენებთ. „გაიხსენით პერანგი!“--გაიხსნის და სხვ., ე. ი. მას ესმის თქვენი სიტყვები და სიტყვების მნიშვნელობა. თუ ამ ადამიანმა საზოგადოთ წერა იცის, შეგიძლიათ მას წიგნიდანაც გადააწერიოთ რაიმე ადგილი ან და შეგიძლიათ კითხოთ რაიმე და მასთანავე თხოვოთ პასუხი წერილით მოგცეთ. დარწმუნდებით, რომ წერილით თავის აზრის გადმოცემა ავათმყოფს შეუძლია. მიუთითებთ ამგვარ ავათმყოფს სხვადასხვა საგნებზე და მათი სახელი კითხეთ--პასუხს ვერ მიიღებთ. ავიღოთ, მაგალითათ ქალამი: „რა არის ეს?“ ავათმყოფი პასუხს ვერ

იძლევა. „ეს ჩექმაა?“ ავათმყოფი განიშნებთ „არაო“. „ეს ჰერია?“ ავათმყოფი უარს განიშნებთ. „ეს კალამია?“ ავათმყოფი თავს გიქნევთ—„მართალი სთქვითო“. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ ავათმყოფმა იცის ის სიტყვა, რომელიც უნდა სთქვას, წარმოთქმა კი არ შეუძლია. მას თითქოს დავიწყებია, როგორ უნდა აამოძრაოს ტუჩები და ენა, რომ სიტყვა „კალამი“ წარმოსთქვას. ავათმყოფი ემზგავსება ბავშს. რომელსაც ჯერ ლაპარაკი არ უსწავლია.

სიტყვის წარმოთქმა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ტვინში არსებობს ამ სიტყვის მოძრაობითი გამოხატულება. ის ადგილი, რომელშიაც ინახება სიტყვათა ამგვარი მოძრაობითი გამოხატულებანი, ნაჩვენებია ჩვენს მეხუთე ნახატზე (9). ის მდებარეობს პირისახისა და ენის ცენტრების წინ მარცხნით ნახევარ-სფეროში.

ამ ცენტრის დაზიანება გამოიწვევს ადამიანის იმგვარ სიმუნჯეს, რომელიც უკვე ავწერეთ. სიტყვის ფუნქციის ამგვარ დაზიანებას „აფაზიას“ უწოდებთ. ეს მოძრაობითი აფაზია, გარდა ხსენებულისა, მეტყველების ნიჭის სხვაგვარ აფაზიებითაც გამოიხატება. მაგალითი: ადამიანს თქვენი ხმა ესმის, მაგრამ სიტყვის მნიშვნელობას ვერ მიმხვდარა. ის იმნაირ მდგომარეობაშია, თითქოს მას უცნობ ენაზე ელაპარაკებოდენ. შეუძლია წერა და თავისთავათ ლაპარაკი. რა მიზეზია, რომ ადამიანს, რომელსაც საღი სმენა აქვს, სიტყვის მნიშვნელობა ვერ გაუგია? სიტყვის მნიშვნელობა მაშინ გვესმის, როდესაც ტვინში არსებობს სიტყვის სმენითი გამოხატულება. წამოთქმული სიტყვა ამ გამოხატულებას აღვიძებს, ადამიანს ესმის სიტყვის აზრი.

წარმოიდგინეთ. რომ დაზიანდა ის ადგილი ტვინისა, სადაც ამგვარი შთაბეჭდილებანი ინახება. ჩვენ-მიერ წამოთქმული სიტყვა ავათმყოფის ტვინში სიტყვის სმენითი გამოხატულების გამოღვიძებას ველარ გამოიწვევს. ადამიანი სიტყვის აზრს ვერ გაიგებს. სიტყვების სმენითი გამოხატულებათა ცენტრები პირველ და მეორე ყვრიმალის ხვეულებში მდებარეობს (იხ. ნახ. 5--21) სმენის ცენტრების მახლობლათ.

მეორე მაგალითი: ავათმყოფი, რომელიც მშვენიერათ კითხულობდა, ახლა ისე იქცევა, ვითომ ანბანიც არ იცოდეს. ლაპარაკი შეუძლია, შეუძლია ავრეთვე გაიგოს თქვენი სიტყვები და სხვ.

როდესაც ადამიანი კითხვას სწავლობს, მისი ტვინის ერთი ადგილი ინახავს იმ შთაბეჭდილებებს, რომლებსაც სამხედველო აპარატი იღებს ასოებისა და სიტყვების ნიშნებისაგან. არსებობს ცენტრი სიტყვების სამხედველო გამოხატულებათა. ეს ცენტრი მდებარეობს იმ ადგილზე, რომელიც ნახატზე აღნიშნულია რიცხვით 22 (ნახ. 5); მისი დაზიანება გამოიწვევს კითხვის შეუძლებლობას—ალექსიას. წერის დაზიანებას გამოიწვევს დაზიანება იმ ცენტრისა, რომელიც ინახავს ნიშნებს სიტყვის წერითი გამოხატულებისას. წერის საშვალების დაზიანებას—აგრაფია ეწოდება. ცენტრი მდებარეობს მარჯვენა ხელის ცენტრის მახლობლათ—მარცხენა ნახევარ-სფეროში.

შეგვიძლია ამ საუბრიდან ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ სიტყვის ცენტრები მრავალი ყოფილა, მაგრამ ამას უნდა დაუმატოთ, რომ ეს ცენტრები ერთათ მუშაობენ.

მაგალითათ: თუ მე ხმამაღლა ვკითხულობ, ეს იმას ნიშნავს, რომ მუშაობს: 1) ის ცენტრი, რომელიც დანიშნულია კითხვისათვის და 2) ცენტრი, რომელიც დანიშნულია სიტყვის წარმოთქმისათვის. წიგნიდან გადაწერის დროს მუშაობს: ცენტრი სიტყვების სამხედველო შთაბეჭდილებათა და ცენტრი სიტყვების წერითი გამოხატულებისა. ასე და ამგვარათ. მაშასადამე ამ ცენტრებს შორის ანატომიური ურთიერთობა უნდა არსებობდეს. ეს ურთიერთობა განხორციელდება იმავე ნერვულ გზების საშვალებით, რომლებსაც ჩვენ უკვე დამაკავშირებელი ანუ ასსოციაციური უწოდეთ. მათი საშვალებით წარმოებს ტვინის სხვადასხვა ადგილების საერთო მიზნისათვის მუშაობა.

ზევით გავიგეთ, რომ ტვინი შესდგება ნეირონებისაგან, რომლებიც თავისი აჭრონებით რეფლექსიურ გზებს შეადგენს. იმ ფუნქციებს, რომლების განხორციელებაც თავისთავათ ხდება, რეფლექსიუ-

რი აპარატები ასრულებს; ისინი მოთავსებული არიან ხერხემლის ტვინში და ტვინის ღეროში.

ნებსითი მოძრაობათა განხორციელება პირამიდული გზების საშვალებით წარმოებს, ესენი ცენტრალურ ხვეულებში, ანუ უკეთ, წინა ცენტრალურ ხვეულში იწყება და პირამიდულ უჯრედებს ეკუთნის. უკანასკნელნი გაღიზიანებას იღებენ იმ გზებისაგან, რომლებიც სხვადასხვა გრძნობათა გზების გაგრძელებას წარმოადგენენ და უმთავრესათ უკანა ცენტრალურ ხვეულში, სმენისა, მხედველობისა და სხვა ცენტრებში თავდებიან.

მრავალ ცენტრების ერთდროული მუშაობა შესაძლებელი ხდება, რადგანაც მათ შორის შემაკავშირებელი ანუ ასსოციაციური გზები გადის.

რა მექანიზმი არსებობს ტვინში აზროვნებისათვის? აზროვნება სარგებლობს იმავე მექანიზმებით, რომელიც უკვე ავწერეთ. ტვინის ქერქის დაზიანება, მაგალითათ, აზროვნების დაზიანებას იწვევს. ჩვენ ისიც ვიცით, რომ აზროვნების დროს ტვინში მატერიალური პროცესები წარმოებს: სითბოს და ელექტრონის განთავისუფლება და სხვა. მაგრამ იმ საკითხის აღსნა, თუ რა საშვალებით გადადის ფიზიკური ძალები ფსიქიურ პროცესში, ჯერჯერობით შეუძლებელია. ზოგიერთი მეცნიერების აზრი—ფსიქიურ პროცესების მექანიზმს ვერასოდეს ვერ გავიგებთო, მეტათ დაჩქარებული, მეტათ დასწრებულია. ჰირტლსაც ეგონა, ტვინის შენობას ვერასოდეს ვერ გავიგებდით, მაგრამ მეცნიერების წინსვლამ სულ სხვა დაგვიმტკიცა. გაივლის კიდევ რამდენიმე დრო და ადვილათ შეიძლება, ჩვენ ან ჩვენმა შთამომავლობამ ისე თავისუფლათ გაარჩიოს ფსიქიური პროცესების მექანიზმები, როგორც დღეს ჩვენ მოძრაობისა და გრძნობის აპარატების შენობას ვარჩევთ.

ამის იმედს გვაძლევს მეცნიერების შეუწყვეტელი და ძლევამოსილი წინსვლა.

სიმონ ყიფშიძე.

ქ. ადესა.

ადესის უნივერსიტეტის ანატომიურ ინსტიტუტის პროზექტორი

აკიმი ნ. ს. კახიანი

და

სტუდ. პ. ქავთარაძე.

უჯრედი და ქსოვილი.

ადამიანის ანატომიის შესავალი.

შ ე ს ა ვ ა ლ ი.

ანატომია მეცნიერების იმ დარგს წარმოადგენს, რომელიც სხეულთა სამეფოს ფორმასა და აგებულობას იკვლევს. ჩვეულებრივათ მიღებულია ცოცხალი ბუნების მცენარეთა და ცხოველთა სამეფოთ დაყოფა. ამისდამიხედვით ანატომიაც ორ ნაწილათ იყოფა: **მცენარეთა ანატომია** (ფიტოტომია) და **ცხოველთა ანატომია** (ზოოტომია). ცხოველთა ანატომიის ერთ დარგს **ადამიანის ანატომია** შეადგენს*).

რთულ ორგანიზმებს მათი აგებულობის შესწავლის დროს, ცალ-ცალკე, ერთმანეთის მსგავს ორგანოებათ ანაწილებენ. ხოლო ორგანოებს კიდევ მათ შემადგენელ ნაწილებათ-ქსოვილებათ ყოფენ და სჩრიან. აქედან თვით იმ მეცნიერებას, რომელიც აღნიშნული მეთოდით ხელმძღვანელობს, დაერქვა „ანატომია“, რაც ბერძნულათ ნიშნავს „გაჭრას“—გაჩეხას. დროს განმავლობაში ამ გზით მიღებულ შედეგმა მეცნიერები ბოლოს და ბოლოს მაინც ვერ დააკმაყოფილა.

ყოველი მათგანი დარწმუნებული იყო, რომ ქსოვილიც თავის მხრივ, რაღაც მათთვის გამოუკვლეველ ნაწილისაგან შესდგებოდა, მაგრამ ადამიანის თვალი ამ შემთხვევაში ძლიერ სუსტი იარაღი გამოდგა და მარტო მისი მეოხებით მეცნიერული კვლევა-ძიების გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა. გამადიდებელ შუშის ანუ **მიკროსკოპის** გამოგონების შემდეგ უკვე თვალსაჩინო გახდა, რომ ქსოვილი მართლადაც კიდევ უფრო პაწია ნაწილებისაგან, ეგრეთ წოდებულ, უჯრედებისაგან შესდგება და რომ თვით ეს უკანასკნელნი


*)ადამიანის ანატომიის შესწავლას საფუძვლათ უდევს არა მარტო პრაქტიკული ინტერესი, არამედ წმინდა მეცნიერული ლტოლვილებაც. ყოველი ადამიანი ვალდებულია ეცადოს, რომ რამდენიმეთ მაინც თავის თავზე, საკუთარ სხეულის ფორმასა და აგებულებაზე წარმოდგენა იქონიოს; მიუხედავათ ამისა თითქმის განათლებულ ადამიანთა დიდი უმრავლესობა საკუთარ სხეულის აგებულობის შესახებ სრულ უცოდინარობას და უვიცობას იჩენს.

ავტორნი.


სხვადასხვა ნაირია, და ქსოვილთა ყოველ გვარს განსაკუთრებული სახის უჯრედები შეადგენს*).

ორი მეცნიერი—**შლეიდენი** (1837წ.) და **შვანნი** (1838წ.) ითვლებიან უჯრედის აღმომჩენათ. იმათ პირველათ შენიშნეს, რომ ორგანიზმის ელემენტარული შემადგენელი ნაწილი უჯრედია. უჯრედები ყოველგვარ ქსოვილებსა და ორგანოებს შეადგენს და ამ პრინციპზეა აშენებული მთელი ორგანიზმის აგებულობაც. ეს დებულება **ვირხოვმა** ბევრნაირ გამოკვლევის შემდეგ იმ დასკვნით დააგვირგვინა, რომ ყოველი **უჯრედი უჯრედისაგან წარმოსდგება**, „omnis cellulae e cellula“.

უჯრედი. ჩვეულებრივათ უჯრედი ძლიერ პატარაა-მიკროსკოპიულ სიდიდისაა, ძლივს 0,008—0,01 mm. (მილიმეტრს) უდრის. გამონაკლისს შეადგენს, მაგ., ერთუჯრედიანი **ამება**, რომელიც თავისუფალ უმარტივეს ორგანიზმის სახით უმარილო წყალში სცხოვრობს, სიდიდით რამდენიმე მილიმეტრს აღემატება. თუმცა ცალკე დამოუკიდებლათ მცხოვრები უჯრედი რგყალია, მაგრამ ქსოვილში შესული უჯრედთა ფორმა, ურთიერთულ შეხების გამო, სხვადასხვა სახეს ღებულობს. იგი შეიძლება იყოს კვერცხის მაგვარი, გაფოჩხილი, პატყელი, ვარსკვლავისებური და სხ. ყოველ უჯრედს სამი უმთავრესი ნაწილი შეადგენს: 1) უჯრედის ტანი ანუ პროტოპლაზმა, 2) ბირთვი (გუნდი) და 3) შუაგულში მყოფი პატარა სხეული —**ცენტროზომა** (იხ. ნახ. 1 და 2).



ნახ. 1.



ნახ. 2.

*) სანამ თვით ანატომიაზე გადავიდოდეთ, საჭიროა ცოტაოდენი ექსკურსია მოვახდინოთ **ემბრიოლოგიასა** და **ჰისტოლოგიის** დარგში, რომლებსაც მოთხოვნილებისამებრ შემდეგშიც მივმართავთ.


I. **პროტოპლაზმა—protoplasma.** უჯრედის ტანი ანუ პროტოპლაზმა ლორწოს მსგავს, მლაშე ნივთიერებას წარმოადგენს და ამიტომაც **შვანმა** მას უჯრედის ლორწო უწოდა. მიკროსკოპში, თუ დააკვირდებით, ადვილათ ნახავთ, რომ პროტოპლაზმა ერთგვარ ნივთიერებიდან კი არ არის შემდგარი, არამედ მასში მოშავო ფერის პაწია მარცვლები—**მიკროზომები** დასცურავს. საერთოთ პროტოპლაზმის აგებულება ახლაც არ არის საბოლოთ გამორკვეული. ზოგი მაგ., იმ აზრისაა, რომ პროტოპლაზმა ერთგვარია ან არა და ცოტათი დამარცვლული, სხვები კი (**ალტმანი, პფლიუგერი** და სხ.) ამტკიცებენ, რომ პროტოპლაზმას განსაზღვრული სტრუქტურა აქვს მარცვლებსა და ძაფებისაგან შემდგარი (ამ თეორიას მეცნიერთა უმრავლესობა ემხრობა). ხსენებულ საკითხის შესახებ **ბიუჩლიმ** ორიგინალური შეხედულება გამოსთქვა. მისი აზრით, პროტოპლაზმის ქაფისებური აგებულება აქვს და თაფლის ფოჭოს წააგავს.

ქიმიურათ პროტოპლაზმაში სხვადასხვა ორგანიული ნივთიერება შედის და მათ შორის განსაკუთრებული ყურად-ღების ღირსია **პროტეინი**, რომელიც რთულ ცილთა რიგს ეკუთვნის. ზემოხსენებულს გარდა პროტოპლაზმაში ბევრი წყალი და მარილი იმყოფება.

II. **ბირთვი—nucleus.** უჯრედის მეორე მთავარ ნაწილს ბირთვი შეადგენს. უბირთვოთ უჯრედის ცხოვრება წარმოუდგენელია. ბირთვს მოკლებული უჯრედი აუცილებლათ მოკვდება; რომ ეს დებულება მართალია, ამას მეცნიერთა მიერ ინფუზორიებზე გაკეთებული ცდა გვიმტკიცებს. მათ ინფუზორია არა ერთხელ უქცევიათ ნაკუწ-ნაკუწათ და ყოველთვის მხოლოთ ინფუზორიის იმ ნაწილს შესძლებია ცხოვრების გაგრძელება, რომელსაც ბირთვის ნაჭერი შერჩენია; ბირთვს მოკლებული ნაწილი კი ჩვეულებრივათ კვდება. ყოველ უჯრედში ერთი ან რამდენიმე ბირთვია. ზოგიერთებს ბევრ ბირთვიანი უჯრედის არსებობა არა სწამთ, იმათი აზრით, უჯრედში ერთი ბირთვია, მხოლოდ რამდენიმე ნაჭრათ დაყოფილი.

მდებარეობით ბირთვს უჯრედის შუა-გული უჭერია, მაგრამ არა იშვიათათ მას კიდის ახლოსაც ნახავთ (ნახ. 3). ბირთვი შეიძლება იყოს

მომრგვალო, სიგძეზე გაჭიმული, გაპტყელებული და სხ. პროტოპლაზმისგან ბირთვს სიფრიფანა გარსი ყოფს. თუ უჯრედს შევღებავთ და მიკროსკოპში დავაკვირდებით, ბირთვში ორგვარ ნივთიერებას შევამჩნევთ: ერთს სუსტათ შეღებილ ბირთვის ჩონჩხს, ძაფის მსგავს **აქრომატინს** ანუ **ლინინს** და მეორეს—კარგათ შეღებილ მარცვლოვან ნივთიერებას, რომელსაც **ქრომატინი** ანუ **ნუკლეინი** ეწოდება.



ნახ. 3.

ბირთვის ქიმიურ შემადგენლობას პროტოპლაზმასას ძლიერ წაგავს, მხოლოდ გარჩევა იმაშია, რომ ბირთვი სხვა ნივთიერებასთან ერთათ ფოსფორსაც შეიცავს. ახლა უჯრედის მესამე ნაწილი **ცენტროზომაც** განვიხილოთ, რაც შედარებით დიდი ხნის აღმოჩენილი არ არის. ცენტროზომა მომრგვალო პაწია სახის სხეულს წარმოადგენს და პროტოპლაზმაში იგი ბირთვის ახლოს იმყოფება. (ნახ. 3). იმყოფება. (ორგულის უჯრედი). უჯრედის პროტოპლაზმა ცენტროზომის გარშემო თავმოყრილია სხივის მსგავსათ, რასაც **მიმზიდველობის სფერო** ეწოდება (ნახ. 4). როგორც ფიქრობენ ცენტროზომა უჯრედის გამრავლებაში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს.




ნახ. 4.

საკვერცხე უჯრედი გაყოფის დროს. ორი ცენტროზომა სხივისებრ „**ფიგურით**“ გარშემორტყმული. შუაში, გაყოფის გზაზე დამდგარი, ბირთვი.

უჯრედის თვისებანი. ყოველ ცოცხალ უჯრედის ცხოვრება ოთხი ძირითადი თვისებით ხასიათდება სახელდობრ იგი: ა) მოძრაობს, ბ) საზდოობს, გ) იზდება და დ) მრავლდება. თუმცა ესე ასეა, მაგრამ ქსოვილის შემადგენელნი ზოგიერთნი უჯრედნი პირველ თვისებას კარგავენ და ამრიგათ მათ მოძრაობა აღარ ძალუძთ.


ა) თუ ბუნებაში თავისუფლათ ჰცხოვრებ ერთუჯრედიან ორგანიზმს — ამებას ვუთვალთვა-

ლებთ, **უჯრედის მოძრაობას** მშვენიერათ დავინახავთ. ჩვეულებრივათ მოდიდო ფორმა ამებისა მოძრაობის დროს ძლიერ იცვლება, მის ზედაპირზე ცქინტები, ე. წ. ცრუფეხები ჩნდება და პროტოპლაზმა ამ ფეხების მეოხებით წინ მიიწევს, შემდეგ ეს ცრუ-ფეხები სწორდება და ასეთები !ხვადასხვა ადგილს უჩნდება; ამრიგათ ამება მიზოზინებს და მოძრაობს. (ნახ. 5.)



ნახ. 5.
ამების თანდათანობითი მოძრაობა.

სისხლში მცურავი უჯრედები—თეთრი სორსლები ანუ **ლეიკოციტები**, თუ თავისუფლათ არიან, მაგ., თხელ სისხლში, რგვალ ფორმას ინარჩუნებენ, მაგრამ, თუ კი საჭიროება მოითხოვს, მათ შეუძლიათ ამებასავით ცრუფეხები გამოყონ, სისხლის გამტარებელი მილის კედლებს მიეკრან და მათ ჰუპრუტანებში გადაძვრენ. მილიდან გამოსვლის შემდეგ თეთრი სორსლები კვლავ ჩვეულებრივ რგვალ ფორმას იღებენ. (ნახ. 6).




ნახ. 6.
ლეიკოციტის-ამების მაგვარი-მოძრაობა 1/4 საათ. განმავლობაში.

ყოველივე ზემოთქმული მოძრაობის შესახებ, რასაკვირველია, თავისუფლათ მცხოვრებ უჯრედებს ეკუთვნის, ხოლო რაც შეეხება იმ უჯრედებს, რომელნიც ქსოვილის შემადგენლობაში შედიან, როგორც უკვე ვსთქვით, ისინი ამ თვისებას, ასე თუ ისე კარგავენ, ზოგი სრულიად (ძვლის ქსოვილის უჯრედები), ზოგი კი რამდენიმეთ (მოციმციმე ეპიტელიის პროტოპლაზმატიური ძაფები). აქვე უნდა დაუმატოთ, რომ არსებობს უჯრედების ერთი რიგი, ესენი მხოლოდ განსაზღვრულ სახის მოძრობას ახერხებენ, ასეთია მაგ. კუნთების

ქსოვილთა უჯრედები, რომლთაც საჭიროების დაგვარათ შეუძლიათ დამოკლება და კვლავ დაგძელება (კუნთის შეკუმშვა).

ბ) **საზრდოობა**. ცოცხალი უჯრედი საკვებ მასალას გარემოცულ წრიდან შოულობს; ამას გვიმტკიცებს დაკვირვება, როგორც ამებაზე, ისე სისხლის თერთ სორსალზე: ესენი იტაცებენ გარშემო მყოფ ნივთიერებას და ითვისებენ მას, რასაკვირველია, თუ კი იგი მათთვის საკვებ მასალათ გამოდგება, წინააღმდეგ შემთხვევაში უვარგის გარეთ ისტუმრებენ.(ნახ. 7).




ნახ. 7.
ამება ზღვის-ბალახას შთანთქავს. A, B, C, D—ოთხი თანდათანობითი საფეხური.

უჯრედი ძლიერ გრძნობიერი არსებაა და ყოველ ფიზიკურ, გინდ ქიმიურ გაღიზიანებაზე იგი მაშინვე პასუხს იძლევა. სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერების უჯრედზე სხვადასხვანაირათ მოქმედობს, ზოგი მათგანი იზიდავს და ზოგისგან კი უჯრედი გარბის კიდევაც. ამ მხრივ ძლიერ ყურად-საღებია **მეჩნიკოვის** დაკვირება **პლაზმოდიებზე**. მეჩნიკოვი დასველებულ საშრობ ქაღალდზე პლაზმოდიას ათავსებდა, თვით საშრობ ქაღალდის ბოლოებს უშვებდა ორ ჰიქაში, რომლებშიც სხვადასხვა კონცენტრაციის ქინა იმყოფებოდა. ხსენებულ ცდას ყოველთვის ერთი და იგივე შედეგი მოსდევდა, პლაზმოდი მიიწევდა იმ ჰიქისკენ, რომელშიც ნაკლები კონცენტრაციის ქინა იყო. ეს ცდა ცხადყოფს, რომ უჯრედს სასარგებლო და ხელსაყრელ საცხოვრებლის მონახვისათვის დიდი შრომა არ სჭირდება. ამ თვისებით შემკულია სისხლის თეთრი სორსლები-ლეიკოციტები, რომლებიც, როგორც უკვე ვსთქვით, ჩვენს ორგანიზმში თავისუფლათ მიდი-მოდიან, ვინაიდან ცრუფეხების შემწეობით ყველგან გაძვრებიან. ამიტომაც გაჩნდება თუ არა სხეულში რომელიმე უცხო მავნე სტუმარი (ბაქტერია) ან. სხვა რაიმე, ლეიკოციტები მაშინვე მისკენ მიისწრაფვიან,

გარს შემოერტყმიან, გზას შეუკრავენ და თუ მოერიენ, შთანთქავენ კიდევაც. ამ მოვლენაზეა დამყარებული მეჩნიკოვის სახელ-განთქმული თეორია, რომელსაც **ფაგოციტოზი** ეწოდება. სიტყვა „ფაგოციტი“ — ბერძნულია და მჭამელ უჯრედს ნიშნავს. აღნიშნული თეორია, ფაგოციტებს ე. ი. სისხლის თეთრ სორსლებს, როგორც ჩვენი სხეულის დარაჯებს, დიდ მნიშვნელობას აძლევს, ვინაიდან ესენი სხეულის მტრებთან სასტიკ ბრძოლას ეწევიან და შეძლების დაგვარათ ორგანიზმს განსაცდელისაგან იფარავენ.

გ) **უჯრედის ზდა**. უჯრედებში ნივთიერებათა გაცვლა (საკვები მასალების მიღება, მათი გადამუშავება და უვარგისის განდევნა) უეჭველია უჯრედის ზდასთანაა დაკავშირებული. თუ საჭმელის მიღება და მისი დაბრუნება ერთი მეორეს უდრის, მაშინ უჯრედი იმავე სიდიდისა რჩება და მას ზდა არ ემჩნევა; ზედმეტ საზდოს მიღება, პირიქით, უჯრედს აღიდებს, ხოლო ზედმეტის უკან დაბრუნება კი აპატარავებს. რომ უჯრედი იზდება, ამას ჩვენ, სხვათაშორის, ნაირნაირი სიდიდის სისხლის თეთრი სორსლები გვიმტკიცებს.

დ) **უჯრედის გამრვალება** წარმოებს ან **პირდაპირი**, როგორც ბირთვის, ისე პროტოპლაზმის ორ მომცრო სიდიდის უჯრედის დანაწილებით, ან ბირთვის რთული ე. წ. არა-პირდაპირი გაყოფით (**მიტოზით** ანუ **კარიოკინეზით**). პირდაპირი გაყოფა მარტივია და შემდეგში მდგომარეობს: მას შემდეგ, რაც უჯრედი ზდას დაამთავრებს, მისი ბირთვი ორ პატარა ბირთვათ განიმწვალება. ბირთვის ორათ გაყოფის შემდეგ, პროტოპლაზმის მოპირდაპირე ნაწილებიც იწყებს ნელნელა ერთმანეთის დაშორებას და ბოლოს თვით პროტოპლაზმაც შუაზე განიმწვალება (ნახ. 8). ამნაირათ ერთისგან ჩნდება ორი უჯრედი თავთავიანთი ბირთვით და პროტოპლაზმით.




ნახ. 8.
უჯრედის პირდაპირი გაყოფის სქემა.

რაც შეეხება არაპირდაპირ გაყოფას ან **კარიოკინეზს**, იგი ბუნებაში უფრო ხშირია და ძლიერ რთულ პროცესს შეადგენს, ვინაიდან ბირ-

თვი გაყოფამდი ბევრნაირ ცვლილებას განიცდის. ამ შემთხვევაში ყველაზე უწინ ორათ ცენტროზომა იყოფა. ახლათ წარმოშობილნი დამოუკიდებელი ცენტროზომები თანდათან ერთმანეთს შორდებიან და უჯრედის კიდეებისკენ მიეშურებიან. ცენტროზომებს შუა ძაფის კონისგან თითის ტარის მსგავსი ფორმა ჩნდება, ამავე დროს ბირთვიც თავის ფორმას იცვლის, იჟღინთება და მისი ქრომატინი გძელ ძაფს წარმოადგენს, შულოსავით დახვეულს და დახლართულს, ამიტომ ამ მდგომარეობას სახელათ **შულოს სტადია** ქვია (ნახ. 9 a). შემდეგში ქრომატინის ძაფი უფრო პატარა, მოკლე „შპილკების“ მსგავს ძაფებათ იშლება. ამას **ქრომოსომები** ეწოდება. ამ მოკაკულ ძაფების შეერთებული თავები წკინტისკენ (ცენტრისკენ) არის მიქცეული, ხოლო ბოძალი ბოლოები კი უჯრედის კიდისკენაა მიმართული. ქრომატინის ამნაირი ფორმა უჯრედს ვარსკვლავის მსგავსათ ხდის და ამიტომ ამ მეორე სტადიას **ვარსკვლავის სტადია** ქვია. (ნახ. 9 b).




ნახ. 9 A.



ნახ. 9 B.



ნახ. 9 C.



ნახ. 9 D.

უჯრედის პირდაპირი გაყოფა.


მესამე სტადიაში თითოეული ძაფი თავის მხრივ ორათ იყოფა, გაყოფილი ნაწილი ერთმანეთს შორდება, პოლიუსისკენ მიემართება და

ამავე დროს ისე შემოტრიალდება, რომ პოძალ ბოლოს ახლა შიგნით წკინტისკენ მოათავსებს, მოკაკულ კუთხეს კი უჯრედის კიდისკენ მიაშვერს. განშორებულ მოკაკულ ძაფებს გარს შემოერტყმის ცენტროზომა, ასე რომ ახლა უჯრედი ორ ვარსკვლავის შთაბეჭდილებას ახდენს, ამიტომ ამას **ორ-ვარსკვლავის სტადია** ეწოდა (ნახ. 9 c).

ხსენებულ ორ-ვარსკვლავის საფეხური, ქრომატინის დახევე-დახლართვით ისევ შულოს სტადიაში გადადის და ამნაირათ ორი ახალი ბირთვი ჩნდება (ნახ. 9 d). ამასობაში პროტოპლაზმაც ორათ იყოფა, თითოეულ ნახევარში ახლათ წარმოშობილი ბირთვი და ცენტროზომა თავსდება და ამგვარათ საბოლოოთ ორ ახალ უჯრედს ვღებულობთ.

ქსოვილები.


რადგან ყოველ ბევრუჯრედოვან ორგანიზმის დასაწყისს, როგორც ვიცით, უჯრედი აძლევს, ამიტომ ჩვენთვის ძლიერ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რომელ უჯრედიდან წარმოსდგება თვით ადამიანის ორგანიზმი. ამის გაგება და გათვალისწინება მით უფრო სავალდებულოა ახლა ჩვენთვის, რომ შემდეგში ცხოველთა სამეფოს უმაღლეს წარმომადგენლის -- ადამიანის სხეულის აღწერას შეუდგებით. ადამიანის ორგანიზმი ქალის საკვერცხე უჯრედიდან (კვერცხიდან) ვითარდება (ნახ. 10). მომწიფებულ ქალის კვერცხი განაყოფიერამდი უმოქმედოთ რჩება. განაყოფიერება რომ მოხდეს, ამისთვის საჭიროა აუცილებლათ კვერცხის ბირთვის შეერთება მამაკაცის სასქესო უჯრედის ბირთვთან. ქალის კვერცხი შედარებით მოდიდო უჯრედს წარმოადგენს (0,2 mm.) და ბუშტის მაგვარ ბირთვს შეიცავს. მამაკაცის სასქესო უჯრედი (სპერმატოზოიდი) კი ძლიერ პაწიაა; მასში იმყოფება: ა) მოდიდო თავი



ნახ. 10.
საკვერცხე უჯრედი: A—გარსი; B—ბირთვი; C—უჯრედის ტანი დამარცვლულ გულით.

(ეს არის უჯრედის ბირთვი), ბ) ყელი და გ) კუდი, საერთოთ თავკომბალას ძლიერ წააგავს. განყოფიერების დროს სპერმატოზოიდი კუდის შემწეობით ენერგიულათ მოძრაობს, ქალის კვერცხისკენ მიექანება და მიაღწევს თუ არა, თავით კვერცხში შეიპარება, კუდი კი გარეთ რჩება და ბოლოს სრულიად მოძვრება (ნახ. 11). ამის შემდეგ სპერმატოზოიდის ბირთვი, ოდნავ გამოცვლილი, კვერცხის

სპერმატოზოიდები.



ბირთვი კვერცხის კიდეზეა მოთავსებული.


ნახ. 11.

სპერმატოზოიდის შეპარვა საკვერცხე უჯრედში.

ბირთვს უერთდება და ამგვარათ ხდება ნაყოფის ჩასახვა. შემდეგში იწყება ამ განაყოფიერებულ კვერცხის გაჭმეწვალვა ანუ კარიოკინეზის წესით გაყოფა. პირველი უჯრედი, ე. ი. მთელი კვერცხი ორათ იყოფა, თითოეული ამათგანი ისევ ორათ, ეს უკანასკნელნიც კიდევ ორათ და ამგვარათ თანდათან ვღებულობთ ოთხ უჯრედს, შემდეგ რვას, თექვსმეტს და ასე.

იმ საფეხურს, რომელზედაც განაყოფიერებული კვერცხი უჯრედებათ იყოფა, **მორულა** ეწოდება.

მალე კვერცხის შიგნით. სითხეთი სავსე, სიღრუე ჩნდება, რასაც შედეგათ განვითარების ახალი საფეხური, ეგრეთ წოდებული **ბლასტულა** მოსდევს (ნახ. 12).



ნახ. 12.
ცხვრის ბლასტულა გაჭრილი.


შემდეგში ამ უჯრედთა დიფერენციაცია ანუ დანაწილება ხდება. მომავალ სხეულის ანატომიურ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა მიხედვით უჯრედების სხვადასხვა ჯგუფი თავის თავზე განსაკუთრებულ ფუნქციებს ღებულობს, ქსოვილიც ასე ხასიათდება; ამ დაყოფას საძირკვლათ შრომის განაწილების პრინციპი უდევს. ეპიტელიალური ქსოვილი, მაგ., სხეულს მავნე ნივთიერებისგან იცავს, კუნთის ქსოვილი სხეულს ამოძრავებს, საჰმლის მომნელებელ ჯირყვლების უჯრედები სხვადასხვა წვენს (სეკრეტს) ამზადებს და ამით საჰმლ-ს მონელება-შეთვისებას ხელს უწყობს.

ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავსკვნათ, რომ სიცოცხლის მთავარ ფუნქციებს: მოძრაობას, საზდოობას, ზდას და გამრავლებას, რაც ყოველი უჯრედის (ამება იქნება ის თუ სისხლის თეთრი სორსალი) დამახასიათებელ თვისებას შეადგენს, ბევრუჯრედოვან ორგანიზმში უჯრედთა ცალცალკე ჯგუფი განაგებს. ზდა-დამთავრებულ ცხოველის სხეულში შემდეგი გვარი ქსოვილები იმყოფება: 1) ეპიტელიალური, 2) შემაერთებელი, 3) კუნთის და 4) ნერვის ქსოვილი. აგრეთვე ქსოვილის განსაკუთრებულ გვარს წარმოადგენს სისხლი და ლიმფა, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ.

ეპიტელიალური ქსოვილი.

ეპიტელიალური ქსოვილის უჯრედნი ერთმანეთს მჭიდროთ ეკვრიან. ხსენებულ ქსოვილის დანიშნულებას შეადგენს როგორც გარეთა ზედაპირის (მაგ. კანის), ისე სხეულის სიღრუვის

შიგნითა კედლების დაფარვა. გარდა ამისა, ამავე ქსოვილიდან წარმოსდგება სხვადასხვა სითხის მომზადებელი ორგანოები (ჯეშმარიტი ჯირკვლები). ეპიტელიალურ ქსოვილს, აღნიშნულ თვისებათა მიხედვით, ორ კატეგორიათ ყოფენ: **ზედსაფარი** და **ჯირკვლის ეპიტელი**. ზედსაფარი ეპიტელი შეიძლება იყოს პტყელი და ცილინდრის მსგავსი, რომელთა შუა არის აგრეთვე ეგრეთ წოდებული **გარდამავალი ეპიტელი**. ალაგ-ალაგ, სადაც ზედსაფარ ეპიტელის უჯრედები მეტ აქტიურ სამსახურს ეწევა, საჭიროების და ვვარათ ისინი ფორმასაც იცვლიან, მაგ. სასუნთქავ მილის შიგნითა კედლებზე ხსენებულ ქსოვილის უჯრედები შეიარაღებულია აუარებელ პროტოპლაზმატიურ ძაფებით, რომელნიც მუდმივ მოძრაობაში არიან და სასუნთქავ მილიდან სდევნიან, სუნთქვის დროს ჰაერთან ერთათ შემოსულ, ყოველნაირ მავნე ნივთიერებას. ამ ეპიტელიალურ ქსოვილს სახელათ **მოციმციმე ეპიტელი** უწოდეს. ეპიტელიალური უჯრედები შეიძლება ერთ რიგათ იყოს დამწკრივებული და თითოეულ მათგანს პტყელი ან ცილინდრის მსგავსი ფორმა ქონდეს, ამ შემთხვევაში ჩვენ წინ იქნება **ერთფენიანი** ეპიტელი (ნახ. 13 და 14), პირიქით, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ეპიტელიალური უჯრედები რამდენიმე ფენას შეადგენდენ-ეს კი იქნება **მრავალ-ფენიანი** ეპიტელი (ნახ. 15 და 16).




ნახ. 13.
ერთფენა პტყელი ეპიტელი (ენდოტელი).




ნახ. 14.
ერთფენა ცილინდრული ეპიტელი.

შემაერთებელი ქსოვილი. ამ პასიურ ქსოვილის როლი ორგანიზმის ჩონჩხის შექმნაში მდგომარეობს; აგრეთვე იგი აერთებს სხვადასხვა, ასე თუ ისე ერთმანეთს დაშორებულ ორგანოებს. ეს ქსოვილი ოთხ გვარია: 1) ძაფხლართული, 2) საცხიმო, 3) ხრტილის და 4) ძვლის ქსოვილი.

1. **ძაფხლართული შემაერთებული ქსოვილი**. ყურად-საღებია ამ ქსოვილის უჯრედებ შუა მყოფი ნივთიერება, რომელიც ორ-გვარ




ნახ. 15.
მრავალფენა პტყელი ეპიტელი;




ნახ. 16.
მრავალფენა ცილინდრული მოციმციმე ეპიტელი.

სახისა და თვისებისაა და რომლის მიხედვით თვით ძაფხლართულიც შეიძლება იყოს ორ ნაირი: 1) **წებოს მომცემი** და **უდრეკი** (ელასტიური) (ნახ. 17). პირველი ძლიერ წვრილია, ძაფხლართული მასში კონა-კონათ არის დაწყობილი და მოხარშვის დროს წებოს იძლევა, შესაფერი სახელიც ამიტომ დაერქვა. მეორე გვარის ნივთიერება--- უდრეკია, სხვილი და ლაპლაპა, მისი ძაფები ძლიერ მოქნილნი არიან. რაც შეეხება ძაფხლართულ ქსოვილების უჯრედებს, ისინი სხვადასხვა სახის არიან, მათ შორის კი უმთავრესია ე. წ. **ფიბრობლასტები,** რომელნიც ჩვეულებრივათ წვრილ ფირფიტებს მოგაგონებთ. მათი მეოხებით მზადდება უჯრედშუა-მყოფი ნივთიერების ძაფები. ამ ხსენებულ უჯრედთა გარდა ძაფხლართულ შემაერთებელ ქსოვილში გვხვდება



ნახ. 17.
შემაერთებელ ქსოვილის ძაფხლართული: A—წებოს მომცემი; B—უდრეკი.

მარცვლის მაგვარი და აგრეთვე ე. წ. **მოხეტიალე უჯრედები.** (ნახ. 18). ესენი ძაფხლართულ ქსოვილში შემძვრალი ლეიკოციტები არიან. უჯრედშუა-მყოფ ნივთიერების მიხედვით, ძაფხლართული შემაერთებელი ქსოვილი იყოფა: 1) **ელასტიურ ანუ უდრეკ**




ნახ. 18.

ძაფხლართული შემაერთებელი ქსოვილი: A, B—უძრავი უჯრედები; C—მოხეტიალე; D—წებოს მომცემი ძაფხლართულის კონები; E—უდრეკი ძაფხლართულები.

ქსოვილათ, როდესაც უდრეკი ძაფები რიცხვით წებოს მომცემს სჭარბობს, 2) **ფხვიერ, დახლართულ ქსოვილათ**, როცა წებოს მომცემი ძაფები რაოდენობით ელასტიურ ძაფებზე მეტია, მაგრამ თხლათ არის გამწკრივებული და 3) **მკვრივ ძაფხლართულ ქსოვილათ**, როდესაც წებოს მომცემი ძაფების კონები ერთმანეთზე მჭიდროთ არის მიკრული.


ქონის (საცხიმო) ქსოვილი. ქონის ქსოვილი შედარებით სათუთ ძაფის და წებოსმომცემ ნივთიერებისაგან შესდგება. უჯრე-

დები მოდიდოა და გარსით არის აღჭურვილი (ნახ. 19). უჯრედის შიგნით ქონის წვენი გროვდება და პროტოპლაზმას ბირთვიანათ კიდისკენ დევნის. სხეულის ზოგიერთ ადგილში მაგ. ბადექონში ქონის ქსოვილი ძლიერ ბლომათ მოიპოვება.



ნახ. 19.
ქონის უჯრედთა ჯგუფი.


ხრტილის ქსოვილი. ეს ქსოვილი სამ გვარია: ა) **გიალინური** ანუ **მინისებური,** ბ) **ელასტიური** და გ) **ძაფხლართული.** ყველა ამ ხრტილის უჯრედი ერთგვარია, ხოლო უჯრედშუა-მყოფი ნივთიერება კი სხვადასხვაობს, მოხარშვის დროს ცოტა წებოსაც იძლევა. მინისებური, ხრტილის უჯრედშუა-მყოფი, ნივთიერება გამჭირვალეა, შეხედვით ერთ ფეროვანია და მხოლოდ რეაქტივებით დამუშავების შემდეგ შეიძლება ძაფხლართულობა შევამჩნიოთ (ნახ. 20). ამგვარ ხრტილს ჩვენს სხეულში დანარჩენ ორ გვარზე უფრო ხშირათ ვხვდებით, გავიხსენოთ თუნდაც სასუნთქავი ყელის ხრტილი, ნეკნებ.ს, ცხვირის, სახსრების ხრტილი და სხ. აგრეთვე, ყოველგან, გარდა თავის კენჩხოსი, ძვალის ადგილას თავდაპირველათ მინისებური ხრტილია, რომელიც ძვლათ მხოლოდ შემდეგში იქცევა.




ნახ. 20. მინისებური ხრტილი.

ელასტიური (**უდრეკი**) **ხრტილი** მინისებურისგან მით განსხვავდება, რომ მის უჯრედშუა-მყოფ ნივთიერებაში უდრეკი ელემენტები ბლომათ მოიპოვება. (ნახ. 21) ამ ხრტილისგანაა შემდგარი, სხვათა შორის, ყურის ნიჟარა.

ძაფხლართული ხრტილი. ამნაირ ხრტილში წებოს მომცემი ნივთიერება მრავლათ არის, ხოლო უჯრედთა რიცხვი ფრიად მცირეა (ნახ. 22). ძაფხლართული ხრტილი ხერხემლის ძვლის შუა გვხვდება.



ნახ. 21.
ელასტიური (უდრეკი) ხრტილი.



ნახ. 22.
ძაფხლართული ხრტილი.

ხრტილის უჯრედი რგვალია ან კვერცხის მსგავსი, ბირთვი მასში მკაფიოთ მოსჩანს. ამ ქსოვილში უჯრედნი ჯგუფ-ჯგუფათ იმყოფებიან. ხრტილი დაფარულია გარსით, რომელიც შემაერთებელ ქსოვილისგან შესდგება და მას **ხრტილსზედა** ეწოდება. მასში სისხლის მილები ბლომათ მოიპოვება, მაგრამ ესენი ხრტილის შიგნით არ შედიან და ამიტომ ხრტილის საზდოობა წვენის გამტარებელი არხების მეოხებით ხდება.

ძვლის ქსოვილი. ძვლის ნივთიერება განსაკუთრებულ გვარის შემაერთებელ ქსოვილისაგან შესდგება, იგი უფრო მაგარი და მკვრივია, ვიდრე ზემოჩამოთვლილი ქსოვილები, რადგან იმის ძაფხლართული


და შემაკავშირებელი ნივთიერება კირის მარილით, ნახშირმანის და ფოსფორ მჟავა კალციოთაა გაჟღენთილი. ფორმის მიხედვით ძვალი სამგვარია: გძელი, მოკლე და პტყელი. გძელი ისეთს ეწოდება, რომელსაც ერთი რომელიმე ზომა სხვა ზომაზე ბევრათ მეტი აქვს (ბარძაყის, მხრის, წყრთის ძვალი და სხ.); მოკლე ძვალი ყოველ მხრიდან დაახლოებით ერთი და იგივე ზომისაა (ხერხემლის, მაჯის ძვლები და სხ.). პტყელი ძვალი, როგორც სახელი გვიჩვენებს გაპტყელებულია და ორ მკვრივ ფირფიტისგან შესდგება, რომელთა შუა ფხვიერი ნივთიერებაა მოთავსებული. პტყელ ძვალს ეკუთვნის ბეჭის ძვალი, მენჯი, კენჭხოს ძვლები.

გძელ ძვალში ჩვენ ვარჩევთ შუა ნაწილს—**დიაფიზს** და მსხვილ ბოლოებს, რომელთაც **ეპიფიზი** ეწოდება. ძვალის შესანახათ დიაფიზი არხის მსგავს სიღრუვეს შეიცავს.

ძვლის საზდოობა შემაერთებელ ქსოვილის აპკის შემწეობით წარმოებს, იგი ძვლის გარშემოა შემორტყმული და მას **ძვლისზედა** ეწოდება. ძვლისზედაში სამ ფენას ვარჩევთ: 1) ზედაპირს, ფხვიერ წებოს მომცემ ძაფხლართულისგან შემდგარს, 2) მკვრივ შუათანა ფენას, რომელშიც უდრეკი ძაფხლართულია გარეული და 3) შიგნითა, უფრო ფხვიერ, ფენას, რომელიც პირდაპირ ძვალს ეკვრის და სისხლის მილებით არის მდიდარი.

ძვალის წარმოშობა. ძვალი ვითარდება ან მინისებურ ხრტილიდან, ან შემაერთებელ ქსოვილის ფირფიტისაგან (მაგ., კენჭხოს სარქველი). პირველ შემთხვევაში ე. ი. თუ ძვალი ხრტილიდან წარმოსდგება, მაშინ ძვალის ზრდა წარმოებს: **ენდოხონდრალურათ** (ხრტილის შიგნიდან) და **პერიოსტალურათ** (ძვლისზედასაგან); აპკისგან კი ძვალი მხოლოდ პერიოსტალური გზით იზდება. ძვლის ენდოხონდრალურათ ზდის დროს მინისებური ხრტილი ზოგიერთ ადგილას იმღვრევა და ამ აშღვრეულ ნაჭრისკენ სისხლის ახლათ წარმოშობილ მილების მიმოსვლა ხდება. უკანასკნელში მყოფი მომჭმედნი ელემენტები თეთრ სორსლების განსაკუთრებული გვარი ე. წ. **ოსტეობლასტები** მილიდან გარშემო მოძვრებიან და სხვა-

დასხვა ცვლილებათა მთელ რიგს განიცდიან. ოსტეობლასტები პირველათ რგვალნი არიან, შემდეგ იჭიმებიან, მიიწევ-მოიწევიან, განიმწვალებიან და ძაფხლართულ შემაერთებელ ქსოვილის ნივთიერებათ იქმნებიან, რასაკვირველია ამის შემდეგ უჯრედის თვისებასაც კარგავენ. ოსტეობლასტის მცირე ნაწილი ახლათ გაჩენილ ძაფხლართულ შემაერთებელ ქსოვილის ნივთიერებაში იმწყვდევა, იქსლიტება და ხოჭოს მსგავსი ხდება. ამის შემდეგ შემაერთებელ ქსოვილის ძაფხლართული კირის მარილით იჟღინთება, მაგრდება და ძვლის ქსოვილათ იქცევა. შემაერთებელ ქსოვილის ძაფხლართული, სისხლის მილის გარშემოხვეული, იმის შემდეგ, რაც იგი კირის მარილით იჟღინთება, **ძვლის ფირფიტათ** იქცევა, ხოლო ეს უკანასკნელი მასში მყოფ სისხლის მილებიანათ ზოგად **გავერსის** სისტემას შეადგენს. იმ ადგილს, სადაც სისხლის მილები იმყოფება, ქვია გავერსის არხი (ნახ. 23). რამდენიმე ზოგად გავერსის სისტემას გარშემო ისევ ძვლის ფირფიტები არტყია და ამგვარათ საერთო გავერსის სისტემა ჩნდება.



ნახ. 23.
მილიანი ძვალი გასწვრივ გაშალაშინებული.

(ნახ. 24). როგორც ვხედავთ, ხრტილის ადგილზე მზადდება ძვალი, რომელსაც ფორმა და მოყვანილობა ხრტილისა რჩება. შემდეგში

სიგრძეზე ძვალი ეპიფიზარულ ხრტილის მხარეზე იზდება, სიმსხო კი ძვლისზედიდან ემატება

ძვლისზედას შიგნითა ფენა სისხლის მილებითაა მდიდარი და ამიტომ მასში იმყოფება აუარებელი ოსტეობლასტები, რომელნიც ძაფხლართუ-ლათ იმწვალებიან, მარილით იჟღინთებიან და ამრიგათ ძვლის სიმსხოს ადიდებენ. პირველათ გძელ ძვალს ცენტრალური სა-ძვალ-ტვინო არხი არა აქვს და ძვალის ტვი-ნი მოთავსებულია გარდიგარდმო დახლარ-თულ ძვლის შუა. შემდეგში კი მოქმე-დებას იწყებს თეთრ სორსლების განსა-კუთრებული გვარი ე. წ. **ოსტეოკლასტე-ბი,** რომელნიც ძვლის ტვინში იმყოფე-ბიან და მარილის სიმჟავის (HCl) გამო-ყოფით თანდათან ძვლის ნივთიერებას შლიან. ეს პროცესი ცენტრიდან იწყება და შემდგომ ირგვლივ ვრცელდება. ამნაი-რათ ხრტილის ადგილს ძვალი გაჩნდება, ხოლო რაც შეეხება აკიდან წარმომდგარ ძვალს, რომელიც მხოლოთ კენჩხოს სარ-ქველს შეადგენს, იგი, როგორც წინათაც ვსთქვით, პერიოსტალური გზით იზდება.



ნახ. 24.
მილიანი ძვალი გარდიგარდ-მო გაშალაშინებული.

ძვალთა შეერთება. ძვლები ერთმა-ნეთს ორნაირათ უერთდება: 1) განუწყვე-ტლივ (სინარტროზი) და 2) სიღრუით, როცა შესაერთებელ ძვლების შუა ჰვრიტიმალია დარჩენილი (დიარტროზი), მაგ. მუხ-ლისა და მხრის სახსრები და სხ.

კუნთის ქსოვილი. კუნთი ორგვარია: სადა და გარდიგარდმო ზოლიანი. ეს უკანასკნელი სისხლით მდიდარია და უფრო წითელ ფერისაა. მიკროსკოპში თუ დავაკვირდებით, მასში ზოლებს შევამ-


ჩნევთ, მოშავო ხაზს მოთეროო მოსდევს, ამისდამიხედვით კუნთის ცილინდრი ცალკე **ბაუმანის** დისკოებათ იყოფა (ნახ. 25). ამ კუნთებში გარდიგარდმო ზოლებს გარდა დახაზულობას სიგძის დაყოლებითაც ნახავთ, რაც ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ კუნთის ცილინდრი ცალკე ძაფხლართულისგან არის შეკრული. ცილინდრს გარსი—**სარკოლემა**—აკრავს, ხოლო გარსის ქვეშ კუნთის ბირთვი იმყოფება.



ნახ. 25.

გარდიგარდმო ზოლიან კუნთის ძაფხლართული: კარგათ ეტყობა თუ როგორ მოსდევს ყოველ შავს თეთრი ზოლი. სიგძეზე გაყოლებული ზოლი კუნთის ბირთვია; S—არის სარკოლემა, ამ ადგილას კარგათ მოსჩანს, რადგან თვით კუნთის ძაფხლართულის შემადგენლობა გაწყვეტალია; B—კუნთის ძაფხლართულის ფიბრილებათ დაყოფას წარმოადგენს; C—დისკოებთა დაყოფას.

ჩვეულებრივათ, კუნთი ძვალს ხმელძარღვის



ნახ. 26. სადა კუნთის უჯრედები.


სადა კუნთი, რომელიც გულის გარდა შიგნითა ორგანოებსაც შეადგენს, ერთგვარია და ერთფეროვანი, მარტივია, უჯრედები გაჭიმული, ხოლო ბოლო წაწვეტიანებული აქვს, უჯრედის შუაგულში ჯოხის-მაგვარი გუნდი იმყოფება. (ნახ. 26).

(საზიდის) შემწეობით მიებმის, ხმელძარღვი მკვრივ შემაერთებელ ქსოვილისაგანაა შემდგარი და ფორმა კუნთისებური აქვს. ფარ-

თე, პტყელი კუნთის ხმელძარღვს—**აპონევროზი** ეწოდება.

კუნთს გარშემო განსაკუთრებული, შემაერთებელ ქსოვილისგან შემდგარი, გარსი—**ფასცია** აქვს შემოკრული, რომელიც თავის მხრივ ცქინტებს უშვებს და ერთ კუნთს მეორისგან ყოფს.

ნერვის ქსოვილი. ამ ქსოვილის მნიშვნელობა დიდია, მთელი ორგანიზმის ფუნქციები მის ხელ ქვეით იმყოფება. ნერვის უჯრედში ჩვეულებრივათ ორ ნაწილს ვარჩევთ: ნერვის უჯრედს ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით და ნერვის ძაფხლართულს. ამგვარი დაყოფა ცოტა არ იყოს უხერხულია, რადგან თითქოს ესენი ორ სხვადასხვა დამოუკიდებელ ელემენტებს წარმოადგენდეს, იმ დროს როცა ეს ძაფხლართული ნერვის უჯრედის ძლიერ გაჰიმული პროტოპლაზმატიური ცქინტია. დიდი ხანი არ არის, რაც ნერვის უჯრედს მთელი მისი ცქინტებით **ნეირონი** დაარქვეს. ნერვის უჯრედის ფორმა ხშირათ რგვალია, პირამიდული ან ვარსკვლავისებური, მოდიდო ბირთვითა და ბირთვილით. არის უჯრედი ერთცქინტიანი (უნიპოლიარული), ორცქინტიანი (ბიპოლიარული) და ბევრცქინტიანი (მულტიპოლიარული). ბევრცქინტიან უჯრედს ორგვარი ცქინტი აქვს: ერთი მათგანი, პროტოპლაზმატიური ცქინტი ანუ **დენდრიტი**, თვით



ნახ. 27.


ბევრცქინტიანი უჯრედი ხერხემლის ტვინიდან. 1—ბირთვი, 2—ნეირიტი, 3—დენდრიტი.

ნერვის უჯრედის ტანის გაგძელებაა; მეორე უფრო გძელია და ქვია ნეირიტი (ნახ. 27). ნეირიტი, გარშემო შემორტყმულ გარსით, შე-

ადგენს ნერვის ძაფხლართულს. ეს არის უმთავრესი ნაწილი ნერვისა, რადგან ნერვული გაღიზიანება ამის შემწეობით გადადის.

სისხლი და ლიმფა.

როგორც ვიცით, ყოველი ქსოვილი უჯრედების და უჯრედ შუა მყოფ ნივთიერებისგან შესდგება; ამ მხრით სისხლიც ქსოვილს წარმოადგენს, თუმცა ეს ქსოვილი თხელია და მოძრავი; მას'ში ჩვენ ვარჩევთ თხელ ნაწილს **პლაზმას** და უჯრედებს. პლაზმა გამჭვირვალე, ცილიანი სითხეა. სხეულიდან გადმოდენილი სისხლი აიპრება და ამ აპრის შემდეგ ვღებულობთ სითხეს, რომელსაც **სისხლის შრატი** ეწოდება. სისხლის უჯრედები სამგვარია: ა) თეთრი სორსლები, ბ) წითელი სორსლები, გ) **ბიცოცეროს** ფირფიტები (ნახ. 28).



ნახ. 28.
სისხლის უჯრედები.

სისხლის თეთრი სორსლები სხვადასხვა ზომისაა 4-დან 14 მიკრონამდე; მოძრაობენ ამებასავით და ამ მოძრაობის დროს ფორმას იცვლიან. ზევით ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი. გერმანიის ცნობილ მეცნიერმა **ერლიხმა** დაამტკიცა, რომ თეთრი სორსლების პროტოპლაზმა საღებავ ნივთიერებას სხვადასხვა ნაირათ ეტანება და ამისდამიხედვით მან თეთრი სორსლები რამდენიმე კლასებათ დაყო: 1) **ეოზინოფილები** -- ამ უჯრედთა პროტოპლაზმა მჟავე საღებავით იღებება. 2) **ბაზოფილები**—ამათი პროტოპლაზმა მხოლოდ მლაშე საღებავებს იკარებს. 3) **ნეიტროფილები** კი ორთავ გვარის საღებავს ერთნაირათ ითვისებს.

რაც შეეხება ბირთვს, ეს სისხლის თეთრ სორსლებში ერთია ან რამდენიმე (უკეთ რომ ვსთქვათ ბირთვი აქაც ერთია, მხოლოდ რამოდენიმეთ გაყოფილა).

სისხლის წითელი სორსლები სახით ჩაჭყლეტილ შაურიანებს ან და „ბისკვიტებს“ მოგაგონებთ (ნახ. 29). ძუძუმწოვართა სორსლები უბირთვოა, ხოლო ფრინველთა და ქვეწარმავალთა წითელი სორსლები კი შეიცავენ ბირთვს მის ბირთვილით. სისხლის გამტარებელ მილებში ამათ შუაგული უკავიათ, თეთრი სორსლები კი მილის კიდეებზე არიან გამწკრივებულნი. სისხლის ერთ კუბიკურ მილიმეტრში წითელი სორსლების რიცხვი 5,000000—დე ადის, ხოლო თეთრის—6,000—მდე, ამგვარათ ერთ თეთრ სორსალზე 600—700 წითელი სორსალი მოდის. სისხლის ფერი გამოწვეულია წითელ სორსლებში მყოფ ნივთიერებისგან, რომელსაც **გემოგლობინი** ეწოდება, იგი წითელ სორსალის ორგანიულ ნივთიერებათა 95% შეადგენს. ზემოხსნებულ თეთრსა და წითელ სორსლებს გარდა, სისხლში ე. წ. **ბიცოცეროს** ფირფიტებსაც ვხვდებით. ამათ წითელ სორსლებზე გაცილებით ნაკლები სიდიდე და სიმსხო აქვთ, ბირთვს არ შეიცავენ, ნაზი შემადგენლობისა არიან და ადვილათ იშლებიან. ზევით ვსთქვით, რომ სხეულიდან გადმოდენილი სისხლი აიჭრება ხოლმე, ამ პროცესს იწვევს სხვადასხვა ცვლილება, რომელსაც ამ დროს **ბიცოცეროს** ფირფიტებში აქვს ადგილი. სისხლის 67—68%-ს შეადგენს მისი თხელი ნაწილი—**პლაზმა**, ამ 67—68%-ში მაგარი ნივთიერება 7%—დე ადის, დანარჩენი 60% კი მხოლოდ წყალია.



ნახ. 29.
სისხლის წითელი სორსლები.

ლიმფა. სისხლთან ახლოს სდგას ლიმფა, რომელიც უფერულ ან რძის ფერ სითხეს წარმოადგენს; რძის ფერი გამოწვეულია ქონის უჯრედების მარცვლებისგან, რომელნიც მასში დასცურავენ; ლიმფა წითელ სორსლებს მოკლებულია, ხოლო სამაგიეროთ თეთრ სორსლებსა და მათ ახალგაზდა მოუმწიფებელ ფორმას ე. წ. **ლიმფოციტებს** შეიცავს.

ორგანოები და სხეული.

როგორც ვიცით, უჯრედებისგან ქსოვილი კეთდება, ხოლო ქსოვილისგანაც, თავის მხრით, ორგანოები შენდება. ორგანო ეწოდება სხეულის ისეთ ნაწილს, რომელსაც განსაზღვრული ფორმა აქვს და რომელიც ამასთანავე განსაზღვრულ ფიზიოლოგიურ დანიშნულებას ემსახურება. ყოველი ორგანო თავის დანიშნულებისამებრ რამდენიმე ქსოვილისგან არის შემდგარი. ავიღოთ მაგ. საჰმლის მომნელებელ აპარატის ერთ-ერთი ორგანო—კუჭი. ეს უკანასკნელი შიგნიდან არის დაფარული ლორწოიანი გარსით, რომელში სხვათა შორის ეპიტელიც შედის. იგი საჰმელ ნივთიერებათა მოსანელებლათ განსაკუთრებულ სეკრეტს (კუჭის წვენს) ამზადებს; გარდა ამისა კუჭის კედლებში ჩაყოლებულია სადა კუნთის ძაფხლართული, რომელიც თავის შეკუმშვით, კუჭის წვენის მიერ მონელებულ საჰმელის ნაწლევებში გადასვლას ხელს უწყობს. კუჭის შემადგენლობაში აგრეთვე შედის შემაერთებელი ქსოვილიც, რომელიც კუჭს თავის ადგილზე ამაგრებს.

კუჭის უმთავრეს შემაერთებელ ნაწილს უკვე აღნიშნული ეპიტელი ეკუთვნის, მაგრამ არა-მცირედი მნიშვნელობა აქვთ დანარჩენ ქსოვილებსაც, რადგან ამას მოკლებული კუჭი თავის დანიშნულებას ვეღარ შეასრულებს. ორგანოები, თავის მხრით, ორგანოთა მთელ სისტემას ადგენენ. ასეთია, მაგ., საჰმლის-მომნელებელი სისტემა—მასში შედის კბილები, რომლებიც საჰმელს ღეჭავს, სხვადასხვა ჯირკვლები, რომელნიც საჰმლის მომნელებელ წვენს ამზადებენ, მონელებულ ნივთიერებათა შემსრუტავნი ორგანონი და სხ.

ადამიანის სხეულში შემდეგ სისტემებს არჩევენ:

1) ძვლებისა და მათ შემაერთებელ კავშირებისგან შემდგარი **ჩონჩხის სისტემა**, ამ სისტემის ნაწილები მთელ სხეულს ამაგრებს.

2) **კუნთის სისტემა** დაკავშირებულია ახლა-ხან ნახსენებ სისტემასთან; აქტიურათ მოძრაობს.

3) **საშვლის მომნელებელ ორგანოთა სისტემა**—ამის შესახებ ზევით უკვე ვსთქვით ორიოდე სიტყვა.

4) **სასუნთქავ ორგანოთა სისტემა**, მას ეკუთვნის ცხვირის სასუნთქავი ნაწილი, საყლაპავი მილი, ყანყრატო, სასუნთქავი ყელი, ბრონქები ად ფილტვები.

5) **საშარდე-სასქესო ორგანოთა სისტემა** ერთი მხრით ემსახურება გამრავლების ფუნქციას, ხოლო მეორე მხრით სხეულის გადამუშავებულ უვარგის ნივთიერებას შარდის სახით გარეთ დევნის. ანატომიურათ საშარდე და სასქესო ორგანო ძლიერ დაკავშირებულია ერთმანეთთან.

6) **სისხლის გამტარებელ მილების სისტემა** ემსახურება სისხლის და ლიმფის მიმოსვლას, რომლის შემწეობითაც მთელ სხეულებში ნაწილდება საკვებავი ნივთიერება და სასუნთქავ ორგანოებისგან სისხლში შესული მჟავბადი.

7) **ნერვების სისტემა** ყველა სისტემასთან ვიწროთაა დაკავშირებული და მათ მოქმედებას განაგებს.

8) **გრძნობათა ორგანოების სისტემა.** ამას ეკუთვნის: მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების და შეხების ორგანოები, ნერვების სისტემა ამათი შემწეობით იღებს გარეშე ქვეყნიდან შთაბეჭდილებას.

9) მეცხრე სისტემას ეკუთვნის **კანი**, რომელიც სხეულს გარედან ფარავს და ამავე დროს გრძნობის ერთ-ერთ ორგანოსაც წარმოადგენს.*)

ნიკ. კახიანი
და პ. პ. ქავთარაძე.

ჭ. ადგსა.

---

*) ლიტერატურა, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობდით და აგრეთვე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი **ანატომიის** წიგნის ბოლოში იქნება მოთავსებული.

დასკვნა ბ. ალექსანდრესი ჩვენთვის ფრიად საგულისხმოა. იგი ერთხელ-კიდევ უსვამს ხაზს იმ უცილო გარემოებას, რომ ქართველები უფრო ახლო სდგანან კავკასიონის ქედს აქეთ მცხოვრებ აზიელ ერებთან, ვიდრე ჩრდილოეთ-დასავლეთის ევროპიელებთან.

დაბოლოს, არ შეგვიძლია არ ვუსურვოთ ბ. ალექსანდრეს ქართულათ გამოცემა თავის ნაშრომთა, თუმც შემოკლებით ჯერ ხანებში. ჩვენი მწიგნობრობა უკვე ამ ბოლოხანებში იმდენათ განვითარდა, რომ ასეთი შრომა არ უნდა რჩებოდეს მიუწდომელათ ქართველ მკითხველისათვის.

გრ. ვეშაპელი. (მოსკოვი).

მღ. მელიტონ კელენჯერიძე. ბაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა. (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა). ტ. I. ქუთაისი 1913.

აუარებელ ძვირფას მასალების კრებულია მამა მელიტონ კელენჯერიძის წიგნი „გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა;“ ძვირფასია მით, რომ საზოგადოთ ესეთი მასალები—უტყუარი ცნობები—ნამდვილათ გადმოგვცემენ ჩვენ ყოველივე ხაზს ისტორიის მსვლელობისას. ამ შემთხვევაში კი ჩვენს წინ გადაშლილია მასალები დიდი პიროვნების შესახებ—პიროვნების, რომლის სახელიც წაუშლელი იქნება ქართველ ხალხის ისტორიის ფურცლებზე.

ამ წიგნის კითხვის დროს ჩვენ კვალ და კვალ მივყვებით, დაბადებიდან ვიდრე სიკვდილამდე, გაბრიელის ცხოვრებას, რომლის „თვითეული წამიც მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისთვის, ერთათ კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალ-სათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჰეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა“...—ამბობს ილია ჭავჭავაძე (წინასიტყვაობა გვ. VI).

მართლაც და გაბრიელი—შესანიშნავი პიროვნებაა ქართველთა ცხოვრებაში, პიროვნება, რომელმაც დაგვიტოვა ჩვენ ისეთი განძი, როგორიც არის მისი „ქადაგებანი,“ „Основанія опытной психологіи“ და სხ.

მამა კელენჯერიძის ცდა თითქმის პირველი ცდაა რომ დიდი ქართველის პიროვნება ჩვენს წინ იშლება ყოველის მხრით. მაგრამ რა? ასეთ ძვირფას მასალების ასე უბრალოთ გამოცემა სწორეთ რომ ცოდვაა. ვინ არის აქ დამნაშავე? მამა კელენჯერიძეს განზრახვა ჰქონია მდიდრათ დასურათებული გამოცემა, მაგრამ „არც ქ. შ. წ.-კ. საზოგადოებამ, არც ეთნოგრაფიულმა, არც კერძო პირებმა გამოცემა არ იკისრეს.“ (წინასიტყვაობა გვ. X).

მამა კელენჯერიძე იძულებული შეიქნა უბრალოთ გამოეცა ეს ძვირფასი მასალები გაბრიელის შესახებ.

ამისათვისაც დიდი მადლობის ღირსია მამა მელიტონი და ვუსურვებთ წარმატებას შემდეგ მასალების გამოცემაში.

წიგნში 322 გვ. და ძალიან ადვილათ იკითხება.

ს. ახლანიშვილი. (ადესა).

А. А. Пахомовъ. Монеты Грузіи. (Домонгольскій періодъ). Ч. I. С.-Петербургъ. 1910.

ამ წიგნში აწერილია და გარჩეულია ქრონოლოგიურათ ქართული და სხვა ქვეყნის ფულები, მოჭრილი და ნახმარები საქართველოში, როგორც, მაგალითად: სპარსული, ბერძნული და სხვა მე-IV საუკ. ქრ. წ., დედოფალ რუსუდანის ხანამდის. ობიექტიურათ და ნამდვილ მეცნიერული დაკვირვებით და სიფრთხილით შედგენილი, იგი მკითხველის ყურადღებას იქცევს და სიამოვნებით იკითხება. დაბეჭდილია კარგ ქაღალდზედ, წიგნის ბოლოში მოთავსებულია ფულების ატლასი კარგათ და გარკვევით დაბეჭდილი.

მკითხველის წინ, ფულების მიხედვით, თანდათან იშლება მთელი საქართველოს ისტორია, მისი პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა, რელიგია და ზნე-ჩვეულებანი; ჩვენი თვალითვე ვხედავთ თუ რომელ ერის გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ ქართველები, როგორ იცვლებოდა მათი რელიგია და რამდენ ხანს გასტანდა ხოლმე ეს გავლენა.

მკითხველს გააკვირვებს ის მოვლენა, თუ ჩვენი წინაპრები ფულის სილამაზეს და მის სწორე მოყვანილობა-მოჭედილობას რა ცოტა ყურადღებას აქცევდენ; აგრეთვე შესამჩნევია ისიც, რომ სპარსული, ბერძნული, არაბული და სხვა ქვეყნის ფულები თანასწორათ და ერთად ქართულ ფულებთან იხმარებოდა საქართველოში.

ამ შრომას აქვს ერთი ნაკლი, რომელსაც თვით ავტორიც აღიარებს: წიგნში „არ არის მოყვანილი ფულების ღირებულება და დასახელება.“

ავტორს განზრახული აქვს ახლო მომავალში გამოსცეს მეორე ტომი ამ შრომისა.

გ. კოკოჩაშვილი. (პეტერბურგი).

С. Дарiани. Грузія послѣ 1905 года. Кутаис. 1914.

გამოვიდა ახალი წიგნაკი ბ. დარიანისა (საქართველო 1905 წ. შემდეგ), რომელმაც მიიპყრო, როგორც საზოგადოების ყურადღება, აგრეთვე პრესისაც. გამოიწვია ეს გარემოება თვით წიგნის შინაარსმა, რომელშიც ბ. დარიანი ეხება ქართველ ინტელიგენციისა და საზოგადოების ევოლიუციას.

ამ წიგნაკის დასაწყისში ის გაკვრით ეხება რუსეთის ინტელიგენციის ზრდას და აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ 10 წელიწადში ის აღწევს თავს ყურ-მოჭრილ მონობას და პოლობს მეტ მოქალაქობრივ უფლებებს, რომ დღევანდელ რუსეთის საზოგადოებას მთავრობაც კი უწევს ანგარიშს და თუ ბევრათ არა, ცოტათი მაინც აკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას, რასაც ამტკიცებს ერობის შემოღება რუსეთში და კოოპერაციის ზრდა. შემდეგ ამისა, ბ. დარიანი შეუდგება ქართველ ინტელიგენციის განვითარების ფაზისების განხილვას. უმთავრეს ყურადღებას იქცევს ის ადგილი, სადაც ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სოციალიზმი და ამდაგვაროი პრინციპები და იდეალები „უტოპიებია," რომ მათი პრაქტიკულათ განხორციელება კაცობრიობას არ შეუძლია და მასთან ერთად მიუთითებს საუკეთესო გზას—გზას რეფორმისტულს. „მხოლოდ ამ გზით შეიძლება პროგრესისათვის მიღწევა, საზოგადოების ინტელექტუალურათ და მორალურათ აღორძინება". ამ აზრის დასამტკიცებლათ ავტორს მოჰყავს ჩვენი სოც.-დემ. უნიადაგობა საქართველოში. ამ უკანასკნელებმა უცქერელათ გადმოიღეს გერმანელ სოც.-დემ. დოქტრინები. რომლებიც საქართველოს პირობებს არ უდგებოდა. „თუ გერმანიის სოც.-დემ., ამბობს დარიანი, ნაციანალურ გრძნობას აცხადებდა კონსერვატიულ ელემენტათ, რათა ამით შეეერთებია მთელი ქვეყნის პროლეტარიატი, ქართველ სოც.-დემ. არ შეეძლო გაემეორებია ეს, რადგან ჩვენ სულ სხვა პირობებში ვიმყოფებით, რომ ქართველებს არ აქვს ისე გავრცელებული მრეწველობა, არ გვაქვს ქარხანა-ფაბრიკები და პროლეტარიატი, როგორც ეს გერმანელებს აქვს და ყავს. ამიტომ ქართველ სოც.-დემ. დაჰკარგეს ნიადაგი და მათი უმეტესი მიმდევარნი დღეს დღეობით პრაქტიკულ, რეფორმისტულ გზას დაადგენ". რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ბ. დარიანის აზრი ტენდენციონური და ცალმხრივია.

„საჭიროა იმ იდეალების ტარება, ამბობს დარიანი, რომელნიც დღევანდელ საჭიროების დამაკმაყოფილებელია და მასთან ერთად პრაქტიკულათ განსახორციელებელი". ამგვარი გზა ძველია. აღიარებენ რა „პოსტეპენოვები" კომმუნას, მიწის სოციალიზმს და მით უმეტესათ საზოგადოთ სოციალიზმს „უტოპიათ", მიუწდომელ იდეალათ, ისინი მოითხოვენ რეფორმების შემოღების, როგორც ერთად ერთ ბურჯს საზოგადო ცხოვრების გაუმჯობესობისას. განმარტებაც მეტია, რომ „უტოპისტებისათვის" შეუწყნარებელია ეს აზრი, რადგან რამო-

დენიმე რეფორმის შემოღება მხოლოდ პატარა ნაბიჯის გადადგმაა, მხოლოდ მცირე მიახლოვება ჩვენს იდალისაკენ, ამიტომ შეუძლებელია, ვ. ჩერნოვის აზრით, რეფორმისტებთან სრულიად შეერთება (слияние) და ერთი გზით სიარული, თუმცა აშკარათ ცხადია, რომ „რეფორმისტები-პრაქტიკოსნები"-ც ებრძვიან რეაქციას და ბურჟუაზიულ-ფეოდალურ წესწყობილებას. ნათქვამია: „მტერი შენი მტერისა—შენი მეგობარია," მაგრამ ამ შემთხვევაში ყოვლად შეუძლებელია რეფორმისტებთან შეთანახმება, რადგან მაღალ იდეალებისკენ მიმდევარი ერთი ნაბიჯითაც ვერ დაიხევს უკან თავის პრინციპიალურ საკითხებში, მით უმეტესათ რომ:

„Мы знаем—судьбы неизбѣжная воля,—
Побѣда достанется нам!"

შემდეგ ამისა ბ. დარიანი შეუდგება ჩვენს მეურნეობის განხილვას და აღნიშნავს, რომ ქართველები უმეტეს ნაწილათ მეურნეობას ეჩვევიან, მხოლოდ ზოგიერთ დარგებში ჯერ-ჯერობით პრიმიტიულ საშვალებებით, მაგრამ ეს ხომ დროებითია, მით უმეტეს რომ ქართველები ამ უკანასკნელ წლებში მაინც დიდ უნარს იჩენენ და სიყვარულით ეკიდებიან განათლებას. ამ შემთხვევაში დიდ ალაგს უთმობს სოფლის იენტელიგენტებს, რომელნიც სამნიშვნელო ძალას წარმოადგენენ განათლების მხრივ სოფლებში. თავად-აზნაურობა კი თანდათან ეცემა. დღითი დღე ეცლება ხელიდან მამული და ხშირათ უბრალო თოხის მუშათა ხთება.

წიგნი შენცავს 50 გვ. და ლამაზათ არის გვმოცემული.

ლევან ქორქაშვილი. (კიევი).

გრიშაშვილის ლექსების კრებული, გამოცემული ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების მიერ. თბილისი. **1914.**

დღეს, როდესაც დასავლეთ ევროპაში პოეზიის ყოველ დარგში ერთმანეთს ეჯიბრებიან, ქართულ კულტურამაც აიდგა ფეხი. ჩვენი ნორჩი პოეზია საერთო აყვავების ფერხულშია ჩაბმული. ამის დამამტკიცებელია ახლად გამოცემული გრიშაშვილის ლექსების კრებული, რომელიც შეიცავს ქრონოლოგიურათ დაწყებულ ლექსებს, დაწერილს 1907 წ.—1914-ის.

გრიშაშვილი რომ მდიდარი ესთეტიური შემოქმედებითი ნიჭით არის დაჯილდოებული, ამას დღეს ყველა აღიარებს. ვინც ახლად გამოცემულ წიგნს წაიკითხავს, იგი დარწმუნდება რომ გრიშაშვილის ლექსები ნამდვილი ხელოვნური ნაწარმოებია, რომელიც იწვევს ჩვენში ინტელექტუალურ ემოციას ესთეტიურ ემოციასთან ერთად. არც ერთ ახალგაზდა პოეტის ლექსები (გარდა

შანშიაშვილისა) არ არის ისეთი ნაზი სევდით, ღრმა ინდივიდუალურ პესიმიზმით გაჟღენთილი, როგორც გრიშაშვილის. მისი ნაღვლიანი მუზა მუდამ ერთ ლეიტ-მოტივს—სიყვარულს დაფარფატებს თავზე. მაგრამ ერთგვარი შინაარსი არ უკრავს მის ლექსებს სილამაზეს, ზიმზიდველობას, რადგანაც იგი (სიყვარული) სხვადასხვა ფორმაში, სხვადასხვა განცდათა სამოსელშია გამოხვეული. გრიშაშვილმა ჩვენ პოეზიაში ახალი ხანა შექმნა, ხანა-ფორმის და რიტმის აყვავებისა, რომლებითაც ხასიათდება თანამედროვე პოეზია. მისი ლექსები ხან

„როგორც სიბრძნე სევდით სავსეა,
ხან შეშლილივით მოხეტიალე".

გრიშაშვილის რითმა—ეს მთის თხემიდგან მოწასხლეტი ჩანჩქერია, რომელიც შეუჩერებლივ მირაკრაკებს სიპიან ქვებზე. მისი ლაღი ფანტაზია დაუშრეტელი წყაროა მრავალ გვარ სურათების, ფერადების.... მხოლოდ გრიშაშვილის პოეტურ ნიჭს ძალუძს წარმოიდგინოს „ნაკრის ფერი სიცივე", „მარჯნის დილა"., მხოლოდ გრიშაშვილ-პოეტს შეუძლია ჰქრეტდეს „თვალთა ჟღერას, ვარდის ფერ სიარულს". გრიშაშვილი ერთად ერთი ხელოვანია ახალგაზდა პოეტებში, რომელმაც შეიმუშავა თავისი სტილი. იგი ორიგინალურია, როგორც ფერადების ხმარებაში, ისე ეფექტიურ სურათის დახატვაში.

რასაკვირველია მის ზექვეყნიურ, უმწიკვლო ლექსებშიაც არის ზოგიერთი დეფექტები. მაგ. იმეორებს ერთ და იმავე რითმას, როგორც:

„წყარო მაღალ მთის
ნაზობს, სხლტება თრთის" (აკორდი).

და... ჩანჩქერი სალ მთის.
იქ ცვარი ყლორტებს
კოცნის, ნაზათ თრთის".

არის მის ლექსებში ისეთები, რომელთაც მკრთალი პორნოგრაფიული ელფერი აკრავს. მაგ.:

„მე თვით დავგხდი თეთრ ტანსაცმელს, თეთრ სხეულზე ამოქარგულს
. . . . . .
კოცნით დავსრეს ამოფეთქილ მკერდის კუკურს საეშბლემოს!!
(დარჩი, დარჩი).

ასეთი ლექსები მხოლოდ დისგარმონიას ბადებს მის ნაწარმოებში.

წიგნი სუფთათ არის გამოცემული, მშვენიერ ქაღალდზე დაბეჭდილი. ვისაც ცოტათი მაინც აინტერესებს ჩვენი პოეზია, მან უნდა შეიძინოს ეს წიგნი, რომელიც პოეტის სურათია „ძვირფას ჩარჩოში მხოლოდ ჩასმული."

შ. აფხაიძე. (პეტერბურგი).

გ. ტაბიძის ლექსები. ქუთაისი 1914.

ივნისში ახალგაზდა მწერლის გ. ტაბიძის ლექსთა კრებული გამოიცა. საზოგადოთ სამხიარულოთ უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, რომ ამ ბოლო დროს ახალგაზდა მწერალნი თავის ნაწარმოებთა გამოცემას ახერხებენ. ეს მოვლენა საინტერესოა, რადგანაც მკითხველსა და განსაკუთრებით კრიტიკოსს შეძლება ეძლევა ესა თუ ის მწერალი გაიცნოს და ერთგვარი შეხედულება შვიმუშავოს მაზე. რა თქმა უნდა ძნელია ყველა მწერალთა პატარ პატარა ლექსები ძველ ჟურნალ-გაზეთებში ეძიო და ამოიწერო. ამას მეტი დრო და ენერგია სჭირდება. გ. ტაბიძის ლექსთა კრებულს ერთვის ორი სურათი ერთი ავტორისა და მეორე (ყდაზე)—მწუხარე ქალი ლირით ხელში. ქაღალდი სუფთა და თეთრია. კრებულში 181 ლექსია მოთავსებული. გ. ტაბიძე პესიმისტ პოეტთა ჯგუფს ეკუთვნის. მას, როგორც სხვა პესიმისტებს, გულს უღრღნის ის მარადის გამოუცნობელი საკითხი, რომელიც კაცობრიობას სფინქსივით წინ უდგას. სახელდობ ის, თუ რა არის ჩვენი ცხოვრება, რათ ვიბადებით და ვკვდებით, რა არის ჩვენი გაჩენის მიზეზი და მიზანი.

„საით მივყევარ ჩემს მოწყენილ გზას,
სად ვპოებ შვებას მიუსაფარი“?

კითხულობს პოეტი. ის წუხს, ეძახის „სიცოცხლის მიზანს, მაგრამ არავინ იძლევა პასუხს,“ კითხვა ისევ კითხვათა რჩება. თვით ცხოვრება პოეტისათვის ტანჯვას წარმოადგენს. მთელი ქვეყანა მისთვის უდაბნოა. ტკბილი ფიქრები, რომელიც მას სულის სიყმაწვილის დროს დაბადებია, დღეს უკვე გამქრალა. წყეულმა და ბოროტმა დრომ სადღაც წარიღო მისი ფიქრები და „ოცნება წყნარი.“ გაკრა ვით ღამის სიზმარი პოეტის „ყვავილები“ და რწმენა და იგი ხშირად უკიდურესობამდის მიდის იტალიელ მწერალ ლეოპარდივით, სიკვდილს ეძებს, სიკვდილს უყივის.

„ჩქარა სიკვდილო, ჰო, გევედრები“-ო...

ის ბუნებას ეუბნება:

„რომ ბედნიერება ჩემთვის არ არის,
ბედკრული შვილი გამომიგლოვე“-ო.

იგი ხშირად ძველ დაკარგულ ბედნიერებას იგონებს და უიმედოთ გაიძახის წასული ბედნიერება არაოდეს არ დაბრუნდებაო...

პოეტს ხან სურს რომ ტანჯვას გაშორდეს და ხან კი არ უნდა მისი მოშორება და შიგ ერთგვარ სიამოვნებასა და ბედნიერებას პოულობს:

„მე ვეძებ მაში (ტანჯვაში) თავისებურ ბედნიერებას“-ო.

ტაბიძეს თუმცა ლექსები სხვა ტემებზეც აქვს ნაწერი და ხშირათ საიმედო მომავალსაც გვისურათებს, მაგრამ ის პესიმისტური ხასიათის ლექსებით ხასი-

ათდება. იქ იგი ხატავს თავის გულის სიღრმეში დაფარულ გრძნობებს და ლტოლვილებებს...

ტაბიძეს ნ. ბარათაშვილის გაგება ეტყობა. („ელეგია"), თუმცა იგი ნ. ბარათაშვილზე შორს მიდის. სამშობლოსა და სატრფოს განშორებით არ კმაყოფილდება და როგორც ვსთქვით, ხორციელათ და სულიერათ დატანჯული პოეტი სიკვდილს ნატრობს, რათა სამუდამოთ გაეცალოს ამ არარაობას, ორპირ ქვეყანას და იქ დაისვენოს, სადაც სამარადისო სიჩუმე მეფობს.

ვ. ყიფიანი (პეტერბურგი).

გიორგი ქუჩიშვილი. თხზულებანი. წ. 1 და 2. თბილისი 1914.

С. Л. Аваліани. Крестьянскій вопрос в Закавказьѣ. т. I. Крѣпостное право и исторія крестьянской реформы в Тифлисской и Кутаисской губ. Одесса. 1912.

„ Крестьян. воп. в Зак. т. II. Крестьянская реформа в Мингреліи, Сванетіи и Сухумском Отдѣлѣ. Одесса. 1913.

„ Очерки по крестьянскому вопросу в Закавказьѣ. Одесса. 1913.

I. Кипшидзе. Грамматика мингрельскаго языка. С.-Петербург. 1914.

ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ისტორია. თბილისი. 1914.

ვეფხის ტყაოსანი. გამოცემული სარგის კაკაბაძის რედაქტორობით. თბილისი. 1914.

ვეფხის ტყაოსანი. ი. აბულაძის რედაქტორობით. თბილისი. 1914.

ქართველი მწერლები. ვასილ ბარნოვი. მიმქრალი შარავანდედი. ალ. შანშიაშვილი. უგვირგინო მეფენი. „სახალხო გაზეთი"-ს პრემია, თბილისი. 1914.

საისტორიო ბიბლიოთეკა. დ. უზნაძის რედაქტორობით. № 1. მაჰმადი და მისი მოღვაწეობა; № 2. ისლამი და არაბთა სახელმწიფო. ქუთაისი. 1914.

N. Marr. Ag(ღ)apni d(χ)uaris monastrisani ierusalimsa iiina. Petropoli. 1914.

Н. Марр. Исторія термина „абхаз". С.-Петербург. 1912.

„ Древнегрузинско-русскій словарь к 1—2 главам евангелія Марка. С.-Петербург. 1913.

„ Замѣтки по текстам св. Писанія в древних переводах армян и грузин. (Отдѣльный оттиск „Христіанскаго Востока". т. II, вып. III.) С.-Петербург. 1914.

„ Абхазское происхожденіе грузинскаго термина родства **bid(d)a** дядя. С.-Петербург. 1914.

Опредѣленіе языка второй категоріи ахеменидских клинообразных надписей по данным яфетическаго языкознанія. С.-Петербург. 1914.

დიმიტრი ჯანაშვილი. ისტორიული სურათები. გორი. 1914.

სიმონ ქვარიანი. შოთა რუსთაველი და მისი პოემა. ქუთაისი. 1914.

საქართველოს ცხოვრება 1469—1800 (აღწერილი 1. სეხნია ჩხეიძის მიერ, 2. პაპუნა ორბელიანისა, 3. ომან ხერხეულიძისა, 4. შედეგი კახეთის ცხოვრების და 5. ფარსადან გორგიჯანიძისა). ზაქ. ჭიჭინიძის გამოც. თბილისი. 1914.

საქართველოს ცხოვრება 1469—1800 აღწერილი ბატონიშვილის ვახუშტის მიერ. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა. თბილისი. 1913.

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი. გედევანიშვილის გამ. თბილისი. 1913.

Ан-Пари. Хизанскій вопрос и идеологи хизанства Тифлис. 1913.

შიო არაგვისპირელი. თხზულებანი წ. V. თბილისი. 1914.

კოტე მაყაშვილი. თხზულებანი. („თემი"-ს გამოც.). თბილისი. 1914.

ინგოროყვა. ძველი სასულიერო პოეზია. ნაწ. I. თბილისი. 1914.

ნემესიოს ემესელი. ბუნებისა—თჳს კაცისა. (ბერძნულითგან გადმოღებული იოვანე პეტრიწის მიერ). თბილისი. 1914.

იოსებ გედევანიშვილი. სინათლე. ზღაპარი-ფეერია 3 მოქმ. და 7 სურათათ. თბილისი. 1914.

აკაკი. ბაში-აჩუკი. პიესათ (5 მოქ.) გადმოკეთებული კესაშვილის მიერ. ქუთაისი. 1914.

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი.

გვერდი.

პროფესორი პეტრე გრიგორლის-ძე მელიქიშვილი (სურათი).
დევიზი პროფ. პ. მელიქიშვილისა . . . . . V.
წინასიტყვაობა . . . . . VII.

I.

პრივატ-დოცენტი სიმონ ლ. ავალიანი. დროებით ვალდებულ გლეხთა განთავისუფლება საქართველოში . . . . . 5.
სტუდენტი ვანო კარბელაშვილი. ახალგაზდები. (ამბავი). . 15.
გრიგოლ ვეშაპელი. არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიური შეხედულებანი . . . . . 37.
სტუდენტი ქრისტეფორე რაჭველი. პატარა საუბარი. (ხელოვნება). . . . . 73.
სტუდენტი ვ. ეგნატაშვილი. ვაჩე-ბრძენი . . . . . 111.
სტუდენტი სოსო ასლანიშვილი. ძველი საქართველო: სამცხე-საათაბაგო . . . . . 119.
სტუდენტი ვ. ყიფიანი. კახეთის ბუნება. (მგზავრის შთაბეჭდილებანი). . . . . 165.
კანდე. მხატვარი და მკითხველი ქართულ პოეზიაში. (გამჟღავნებული ფიქრები) . . . . . 175.

II.

აქიმი მ. ყ. ცეცხლაძე. ადამიანის სქესობრივი ცხოვრება . 5.
აქიმი სიმონ ნ. ყიფშიძე. საუბარი ტვინის შენობისა და ფუნქციების შესახებ . . . . . 71.
აქიმი ნ. ს. კახიანი და სტუდ. პ. ქავთარაძე. უჯრედი და ქსოვილი. ადამიანის ანატომიის შესავალი . . . . . 125.

III.

ბიბლიოგრაფია . . . . . 1—12.

შეცდომების გასწორება.

გვ.	პწკარი ზევიდან.	დაბეჭდილია.	უნდა იყოს.
		I.	
10	9	გადახდას	გადახდა
40	13	„გზა მეტყველება“	„გზა მეტყველება“
45	15	ქვევნის	ქვეყნის
53	9	გამოტყეთ	გამოტყდეთ
53	18	სიდუმლოება	საიდუმლოება
84	21	ქყეყანაზე	ქვეყანაზე
86	5	სდამიანისა	ადამიანისა
113	6	თმის	მთის
166	11	სადაც	სადღაც
168	13	შემომევსო	შემომეველო
168	16	ნამით	წამით
178	17	დადასტურება, ამეტი	დადასტურებაა, მეტი
		II.	
10	6	თელის	თესლის
12	23	დედის	დედლის
14	27	რომელუაც	რომელმაც
17	14	დედასაც	დედაღსაც
32	22	გრძნობისა და განცდის	გრძნობასა და განცდას
50	25	იქცემს	იქცევს
51	11	ძილიან	ძალიან
59	13	ლტოლაილება	ლტოლვილება
86	16	არე	არ
—	31	სამცძრაო	სამოძრაო
117	23	სფიქიურ	ფსიქიურ
137	2	უჯრდებ	უჯრედებ